# მნათობი

3 1978

13866

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 55-ე № 3 მარტი, 1978 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

გიორგი ციციშვილი — სძლიე სიხარბესა შენსა!... მოთხრობა. გაგრძელება . . . 3
დოდო გვიშიანი — ლექსები . . . . . . . . . . . 42
გულიკო დვალი — ლექსი . . . . . . . . . . . 43
შარლოტა კვანტალიანი — ლექსები . . . . . . . . . . 43
მაყვალა მანდენაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 44
მადლენა მეგრელიძე — ლექსები . . . . . . . . . . 45
ნაილი ნეკერიშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 45
მაია სახოკია — ლექსი . . . . . . . . . . . 46
ლამზირა ფირცხალავა — ლექსები . . . . . . . . . . 46
ნაირა ცხვედიანი — ლექსი . . . . . . . . . . . 48
იზა ჯამვაძე — ლექსები . . . . . . . . . . . 48
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება . . . . . . 50
მიხეილ ლოხვიცკი — თიბათვე. მოთხრობა. თარგმნა დოლორეს ჭიჭინაძემ . . 79
ნანა ღვინეფაძე — ლექსები . . . . . . . . . . 141
ბელა შალვაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 143
ლამარა გვაზავა-სანაძე — ანთიმ ივერიელი სნაგოვოში . . . . 144

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — ლეო ქიაჩელის შემოქმედება . . . . . 153
კობა იმედაშვილი — ლირიკული ანუ „ახალი პოემა" . . . . . 171
სოფიო როხელი — ქართული ხალხური საქორწილო პოეზიის საკითხისათვის . . . . . . . . . . . . 180
გამიდ ველიევი — აზერბაიჯანული ფოლკლორი ქართულ წყაროებში . . 190

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

კ. მარქსის სახ. საქ. სს
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია:

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექ. № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11, რედაქტორის მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 2/II-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/III-78 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.
უე 08185. ტირაჟი 17.000. შეკვ. 388.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

# სძლიე სიხარბესა შენსა!..

მოთხრობა

ეს შემთხვევა ურბნისში მოხდა.

სასოფლო კრებაზე მალხაზმა „მაგარი სიტყვა“ წარმოთქვა და რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი წამგლეჯობის, სპეკულაციისა და უქნარობისათვის გააკრიტიკა.

კრებაზე მდივნის სიტყვის წინააღმდეგ არავინ გამოსულა, მაგრამ როცა მალხაზი მანქანაში ჯდებოდა, რამდენიმე კაცი ირგვლივ შემოეხვია და მისი დამარტოხელება სცადა.

მალხაზმა ვითომც ვერ შეამჩნია სოფლელების განზრახვა. მანქანაში სასწრაფოდ ჩაჯდა და მძღოლი ააჩქარა, — აბა, გასწი, დაგვაგვიანდაო. სწორედ ამ დროს ერთ-ერთმა მათგანმა, მიტრა მამაცაშვილმა, ხელი მანქანის ფანჯარაში შემოჰყო, საჭეს ჩააფრინდა და ხმადაბლა თქვა:

— გოდერძის ბიჭო, შენთანა ორიოდე სიტყვა გვაქვს, ჩამოხდი, შენს გახარებასა.

მძღოლმა მალხაზს გადახედა, — ხომ არ გავაქანო მანქანაო, მაგრამ უკვე გვიან იყო, ოთხი კაცი მანქანას წინ გადაუდგომოდა და გზა მოეჭრა. დამხვდურები ათიოდ კაცამდე იქნებოდნენ.

არ ეჭაშნიკა მალხაზს ეს მოთხოვნა. არც მომართვა მოეწონა, აბა, რა თქმა იყო — „გოდერძის ბიჭოო“, რაიკომის მდივნებს ასე არ მიმართავენ. მაგრამ რა მეტი ჩარა იყო, მანქანიდან გადმოვიდა და ურბნელებს პირისპირ დაუდგა.

მალხაზი მიტრას ბავშვობიდანვე იცნობდა. მამის ოჯახიც ენახა, როცა მიტრა სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა და სასოფლო კლუბს აშენებდა. ეს ახმახი და კარგად მეტყველი მამაკაცი ამ სოფელში ზედსიძედ იყო შესული, მაგრამ ძველი მახსოვრობით, ყველა „რუისელ მიტრას“ ეძახდა.

სიბნელეში მალხაზი კარგად ვერა ხედავდა ირგვლივ შემოხვეულთა სახეებს, მაგრამ მაშინვე იგრძნო მათი ზავთიანი განწყობილება და მიხვდა, რომ სოფლელები მეომრულ გუნებაზე შემდგარიყვნენ.

— გოდერძის ბიჭო, — ხმადაბლა და რაღაც მიმნდობი კილოთი თქვა მიტრამ, — თან ხელში მოზრდილი ჭოკი შეათამაშა, — ახლა რომ ერთი მაგრად მიგბეგვოთ და ისე შეგდოთ ი შენ მანქანაშია, რას იტყოდი?

— რას ვიტყოდი? ძალიან ძვირად დაგიჯდებოდათ ეგ საქმე!

ვიღაცამ, ჩაიქირქილა, ვიღაცამ დაუსტვინა, ვიღაც სიცილს მოჰყვა.

— მაშ, ამბობ, ძვირადაო? — დამცინავად იკითხა მიტრამ.

— დიახ, ძალიან ძვირად!

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 2.

— შენ კი იაფად გამოხვალ ჩვენი ხელიდან? კიდეც რომ გადაგვირჩე ცოცხლადა, ნაცემ-ნაბეგვსა მდივნად ხომ აღარავინ გიგუებს?..

— მე რომ რამე დამმართოთ, განა თქვენ კი გიგუებენ?

— ჩვენა? ჩვენ შენცა და შენ შოფერსაც ცინდლებივით მიგახრჩობთ, მერე შარაზე გაგაგორებთ, ერთ დიდ გრუზავიკს ჯახანს ვაქნევინებთ და ყველაფერს ავარიად გავასაღებთ, მოწმეებადაც თვითონ ჩვენ დავდგებით.

— მაშ რაღას ელით?

— არ გვემეტები, გოდერძის ბიჭო! რაც არ უნდა იყოს, მაინც ჩვენებური ხარ. აი, იმ ბექობიდან რომ გადაიხედო, — მიტრამ მტკვრისკენ ხელი გაიშვირა, — გაღმა მამაშენის სახლი მოჩანს. ერთი მიწაწყლის შვილები ვართ, უცხოებს ისევ შენ გვირჩევნიხარ, თუ, რა თქმა უნდა, ჭკუით იქნები და ჩვენც დაგვზოგავ...

— აბა, განზე გადექით, გამიშვით, მე უსაგნო ლაპარაკისათვის არა მცალიან! — ხმაში სიმკაცრე გაირია მალხაზმა და გასავლელად გაიწია, მაგრამ ირგვლივ შემოხვეული მამაკაცები გაუნძრევლად იდგნენ და გზას არ უთმობდნენ.

— უსაგნო ლაპარაკისათვის არც ჩვენა გვცალიან.

— მაშ, რა გინდათ, დროზე თქვით!

— გოდერძის ბიჭო, ცოტა დინჯად მოიქეცი. ჩვენა ხუმრობა არ გვიყვარს! შენა, წეღანა, კრებაზედა აი ამ კაცსა ციხით დაემუქრე, — მიტრამ ერთ-ერთ იქ მყოფთაგანზე მიუთითა ,— ორი ტომარა ფქვილი უკანონოდ გაიტანეო საწყობიდან. ამასა კიდევ, — მიტრამ ახლა სხვას დაჰკრა მხარზე ხელი, სოფლიდან გაგდება აღუთქვი, საზოგადოებრივ შრომაში ჩაბმული არა ხარო. ამასა კიდევა, — მან ვიდაც ჩია კაცი წინ წამოაყენა, სასამართლოში გადაცემას უპირებ, ხილსაო სპეკულანტურ ფასებში თბილისის ბაზრებში ჰყიდისო. ხომ ასე იყო ნათქვამი?...

— დიახ ასე იყო! და ეს მოთხოვნები ჩემი მოგონილი კი არ არის, ამას ზემდგომი ორგანოები მოითხოვენ.

— მამაშენი, გოდერძი ზენკლიშვილი, ბაზაში რო ყაჩაღობს და ქურდობის წყალობითა მილიონერი რომ გახდა, ამასაც ზემდგომი ორგანოები მოითხოვენ?

მიტრამ ეს ისე მოულოდნელად დაახალა, რომ მალხაზი დაიბნა, უცებ ვერ მოიფიქრა რა ეპასუხნა, ან ლაპარაკი საიდან დაეწყო.

— ეს საწყალი ხალხი რაღაც წვრილწვრილ ამბებს გინდათ გადააყოლოთ. მამაშენი კი ობობასავით ჩამჯდარა ბაზაშია, სახელმწიფო დაწესებულება კერძო დუქნად გაუხდია, თავისნაირი ჯიბგირები შემოუხვევია და ხალხსა ფცქვნის! — განა ეს სამართალია? განა მამაშენის პატრონმა კიდევ სხვა უნდა აკრიტიკო და ამცირო? განა შენა, მილიონერის შვილსა, კიდევ სხვაზე გაქვს ხმა ამოსაღები?

მალხაზს კრიჭა შეკვროდა, შუბლი უხურდა, გული საშინელი სისწრაფით უცემდა.

სულ ორად ორი წუთი ილაპარაკა მიტრამ და ეს ორი წუთი საუკუნედ ეჩვენა.

ჯავრი, შეურაცხყოფა, სინანული და კიდევ რაღაც მსუსხავი გრძნობა — ბალღამივით მწარე და ასპიტივით შხამიანი — ერთმანეთს გადახლართოდა და გულს ისე შემოხვეოდა, როგორც მახრჩობელა გველი.

— ამჯერად მეტს აღარას გეტყვით. წადი, შენი საქციელი მოინანიე და უფასო ვექილად ნურავის ნუღარ დაუდგები, თორემა ხომ იცი, ხალხსა გრძელი ხელები აქვს. ისე მიგასაკლავებთ, თვით იმ სულწაწყმედილ მამაშენსაც არაფერი ეცოდინება, თუ კიდევ სადმე კრებაზე გამოსვლა მოგიწიოს, იცოდე, რომ პირველი ქურდი და ყაჩაღი საკუთარ სახლში გიზის! იმ შენს მამისეულ სახლსაც კარგად შეხედე, უკეთ შეაფასე, იანგარიშე რა ფულიც უნდა დამჯდარიყო მისი აშენება, მერე ისიც მიათვალე რა სამკაულიც მოგეძევებათ, ან რა ავეჯითა გაქვთ სახლი გაწყობილი და სხვაზე მერე ილაპარაკე.

მალხაზი რომ გამოერკვა, ახლომახლო აღარავინ იყო. ურბნელები შემოფანტოდნენ და შარაგზაზე მარტოდმარტო მიეტოვებინათ.

გაქვავებულივით იდგა სიბნელეში და წინ ნაბიჯის წადგმას ვერ ახერხებდა. სირც-

ხვილი სწვავდა, სიმწრის ოფლი გამოსვლოდა.

როგორც იქნა, მანქანამდე მილასლასდა და შიგ ისე ჩაჯდა, მძღოლისთვის თვალი არ გაუსწორებია, ეშინოდა მისი დამცინავი მზერისა, ალბათ გაიგო, რაც ურბნელებმა უთხრეს.

იმ წუთში ყველაზე ძალიან თავისი ორი დიდი შემწე, ორი გზისგამკვლევი ეჯავრებოდა: მამა — გოდერძი და მფარველი — ვახტანგ პეტროვიჩი. პირველი იმიტომ, რომ თავისი საქმიანობით შვილს მთავარი ძარღვი ჩაუწყვიტა, მეორე კი იმიტომ, რომ პარტიული მუშაობის გზაზე შეაყენა და მოშურნე ხალხის ხახაში მოახვედრა.

სწორედ მაშინ გადასწყვიტა ორი რამ: ჯერ ერთი, მამის სახლს რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა, ბინა ცალკე დაედო და დამოუკიდებელი ცხოვრება დაეწყო, და მეორე, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ვახტანგ პეტროვიჩის მაცდური ულლისაგან განთავისუფლებულიყო, მის მომთხოვნ ქალიშვილს ხელიდან დაძვრენოდა...

მხოლოდ ერთი სურვილიღა ჰქონდა — ორივე ეს გადაწყვეტილება რაც შეიძლება ჩქარა სისრულეში მოეყვანა.

იმ დღეს მამის სახლში აღარ წასულა.

სამების ახალ სასტუმროში გაათია ღამე.

მაგრამ რამდენსაც არა ფრთხილობდა, რამდენიც არ ეცადა „კომპრომეტირებული" მამისაგან თავი შორს დაეჭირა, და საკუთარი პიროვნება მამისეული ოჯახისაგან გამოყოფილად ეჩვენებინა, გარდუვალი მაინც მოხდა: რაიკომის ბიუროს ერთერთ სხდომაზე, როცა მალხაზი ამას ყველაზე ნაკლებ მოელოდა, რაიონის ახალმა ხელმძღვანელმა ზენკლიშვილის მდივნობიდან განთავისუფლების საკითხი დააყენა— „უნდა გავათავისუფლოთ, სხვა სამუშაოზე გადასვლისა გამოო". ამ წუთებში მალხაზს იგივე გრძნობა დაეუფლა, რაც ურბნისელთა მოულოდნელი ალყის დროს.

ბიურომ ერთხმად დაუჭირა მხარი პირველი მდივნის წინადადებას და მალხაზი რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ დაამტკიცა.

ეს უკვე დაქვეითება იყო. მართალია, საპატიო, მაგრამ მაინც დაქვეითება...

მალხაზი მიხვდა, რომ მისი გზა თავქვეზე დაეშვა.

იგი იმ უბედო ყვავილსა ჰგავდა, რომელიც ბუტკოს მთლიან გაშლას ვერ მოესწრო, სრულ აყვავებას ვერ ეღირსა და უკვე ჭკნობა იწყო.

აი, მაშინ ისევ მამისეულ სახლს მიაკითხა.

თვითონაც არ იცოდა რა ძალამ მიიყვანა ნაცნობ ალაყაფთან.

მაგრამ გამოვიდა თუ არა ბიუროს სხდომიდან, სახეალეწილი, დაბნეული, საქციელწამხდარი, ფეხებმა როგორღაც თავისთავად წაიღეს და მამის ჭერქვეშ მიიყვანეს.

ავიშვიშებული დედა დაამშვიდა, მივლინებაში ვიყავიო, მამისეულ აბანოში დიდხანს იბანა, მერე კი მთელი დღე-ღამე ისე ღრმად ეძინა, გვერდიც არ უცვლია.

გოდერძისაც არანაკლებ მძიმე დღე ადგა.

თითქმის ერთდროულად გამოიძახეს იგი რაისაბჭოს აღმასკომში, სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტში და რაიპროკურატურის გამომძიებელთან.

რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ დიდხანს ალოდინა და შემდეგ ისე მკაცრად და შეტევით დაუწყო ლაპარაკი, თითქოს ზენკლიშვილი უკვე სამართალში მიცემული პირი ყოფილიყო. ჯერ ბაზის ამბები გამოკითხა, მერე ვითომ სხვათა შორის ამცნო, თქვენთან კონტროლიორები გავაგზავნეთ, ფუნდამენტური რევიზია უნდა ჩავატაროთო და საუბარი შეუმჩნევლად გოდერძის სახლკარზე გადაიტანა. იმდენი წვრილმანი ჰკითხა, ბევრი მათგანი გოდერძის აღარცკი ახსოვდა.

ამ გულჩათხრობილ კაცს ზენკლიშვილი ადრეც იცნობდა. ერთხელ ვახტანგ პეტროვიჩმა სახლშიაც კი მიუყვანა, რომელიღაც წვეულებაზე. მაშინ სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე მასპინძელს გულღიად უღიმოდა და მეგობრულად ებაასებოდა. რაიკომის პირველი მდივნის შეცვლამდე კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე „ლესსტროიტორგის" ბაზას შორიდან უვლიდა და თითქოს ვერც ამჩნევდა იცოდა, ბაზის მმართველი

რაიკომის პირველი მდივნის „ძმაკაცი“ იყო. ახლა კი, როცა ვახტანგ პეტროვიჩი შორს დაიგულა, ზენკლიშვილს ქორივით დააცხრა და ახსნა-განმარტების ბარათი მოსთხოვა.

— დაწვრილებით ჩამომიწერე, — მაგიდაზე ფანქრის კაკუნით მოძღვრავდა თავმჯდომარე, — სად, როდის და რა ფასში შეისყიდე ესა თუ ეს საამშენებლო მასალები. — მან გოდერძის მანქანაზე დაბეჭდილი გრძელი სია გაუწოდა — რამდენი ფული წაგივიდა, რამდენი დაიხარჯა თუთიამოკიდებული თუნუქი, აგური, ხე-ტყე, ცემენტი, საარმატურე რკინა, თუ მზა ბეტონი ან ბეტონის სიმკარეები გაიხმარე, ისიც უჩვენე, საიდან და როდის მოზიდე, მიწის გამოყოფის საბუთიც წარმოადგინე, ნახაზიანად და რაიაღმასკომის ნიერ დამტკიცებული გეგმაც მოგვიტანე. თუ უგეგმოდ და უნებართვოდ ააშენე, ეგეც უჩვენე. ერთი სიტყვით, არაფერი დაივიწყო, არაფერი გამოგრჩეს. რაც მეტ საბუთს წარმოგვიდგენ, მით უკეთესი იქნება შენთვის.

დამშვიდობებისას თავმჯდომარემ ხაზგასმული ოფიციალობა გამოიჩინა, არც ფეხზე წამომდგარა, არც ხელი გამოუწვდია ჩამოსართმევად. თავი ოდნავ დაუკანტურა და ტელეფონში ლაპარაკი დაიწყო, თითქოს ეს მთასავით კაცი ბალღინჯო ყოფილიყო.

მთლად აჭარხლებული გამოვიდა თავმჯდომარის კაბინეტიდან გოდერძი ზენკლიშვილი. ისე გამოიარა ხალხით სავსე მოსაცდელი, თვალი არავისთვის გაუსწორებია. ერჩივნა მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ვიდრე ამდენ ნაცნობს გადაჰყროდა. ახლა ალბათ ყველამ შეიტყო, რომ სახალხო კონტროლი ნის საქმეს იძიებს...

პროკურატურაში კიდევ უფრო უარესი დღე დაადგა ყოფილ მეტივეს. დასაკლავი დანა ყელთან ასე ახლოს ჯერ მისთვის არავის არ მიებჯინა.

გამომძიებელთან რომ გამოცხადდა, ეს ახალგაზრდა პირტიტველა ჭაბუკი მაშინვე ფეხზე წამოხტა და ისე გაუძღვა რაიონის პროკურორთან, გამარჯობაზედაც კი არ უპასუხნია.

რაიონის პროკურორმა მაშინვე როდი მიიღო, მანაც დიდხანს ალოდინა. ხუთ საათზე მეტი იჯდა მის მოსაცდელში გოდერძი და ავზე-ავ ფიქრებს თაფლზე მოსეული კრაზანებივით იგერიებდა.

პროკურორის კაბინეტში რომ შევიდა იგი რაღაცას გამალებით წერდა და სანამ საქმეს არ მორჩა, თავი არ აუღია. ტანსქელი, მოუსვენარი, ნერვიულად აღგზნებული პროკურორი თითქოს ვერ ამჩნევდა მისი საწერი მაგიდის წინ ასვეტილ გოდერძის და არც დაჯდომა შემოუთავაზებია, არც მისალმებია.

გოდერძი მასაც კარგად იცნობდა.

ეს ხანშიშესული, მელოტი, სათვალებიანი კაცი არაერთხელ მისულა ზენკლიშვილთან, ბაზაში, და ხან რა უთხოვია ხან რა.

გოდერძის არასოდეს არ გაწოუბრუნებია იგი ხელცარიელი. მართალია, პროკურორს ან ფულის გადახდა „დავიწყებია“, ან ისე დიდხანს და ისეთი ფაცი-ფუცით უჩხრეკია თავისი ათივე ჯიბე, რომ გოდერძი იძულებული გამხდარა შეეჩერებინა ხოლმე იგი. „არ არის საჭირო, ღმერთმა სასიკეთოდ მოგახმაროს“ — ყოველთვის ერთნაირად ისტუმრებდა ბაზის მმართველი პროკურორს, რომელიც ასევე ერთნაირად იღიმებოდა და მადლობასაც ერთი და იგივე სიტყვებით უხდიდა.

ახლა ეს პროკურორი თავს მაღლა არ იღებდა, რათა ყოფილ ნაცნობს მისალმებოდა.

როდის, როდის მორჩა იგი წერას, თავი ასწია და დიდხანს კისერგაგრძელებით შესცქეროდა მის წინაშე გაჭიმულ გოლიათური აგებულების ჭაღაროსანს.

— იცით, რაზე დაგიბარეთ მოქალაქე ზენკლიშვილო?

— აბა საიდან მეცოდინება, ჯერ არავის არაფერი უთქვამს.

პროკურორმა კიდევ დიდხანს ბურღა თავისი ბეცი თვალებით გოდერძი, მერე უჯრების ჩხრეკას მოჰყვა. დიდხანს ეძება რაღაც ქაღალდი და როცა საჭირო საბუთი იპოვნა, თვალებჩაშტერებით უთხრა:

— თქვენზე მამხილებელი მასალები შემოვიდა პროკურატურაში.

— ვისგან შემოვიდა? — მიამიტად იკითხა გოდერძიმ.

პროკურორმა ეს გულუბრყვილო ცნობისმოყვარეობა გამომწვევ შეკითხვად მიიჩნია და წარბები მრისხანედ შეჰყარა.

— მოქალაქე ზენკლიშვილო, აქ კითხვებს მხოლოდ ჩვენა ვსვამთ, თქვენ კი მათზე პასუხის გაცემა გევალებათ. გასაგებია?

გოდერძიმ არაფერი უპასუხა, ფეხი მოინაცვლა.

— გასაგებია? — უფრო ხმამაღლა იკითხა პროკურორმა.

— გასაგებია. — დინჯად თქვა გოდერძიმ და ირგვლივ მიმოიხედა.

პროკურორი თითქოს მიუხვდა განზრახვას. — შეგიძლიათ დაბრძანდეთ — ისე უთხრა, გეგონება, დიდ წყალობას უშვებაო.

— თქვენ გევალებათ, თქვენი ნივთების აღწერის თანახმად, — ჩამარცვლით და მკაფიოდ ამბობდა პროკურორი, თან თვითეული სიტყვის შემდეგ ჩერდებოდა, რათა შეეტყო სწორად თუ გებულობდა ნათქვამს ბაზის მმართველი, — თქვენი ნივთების აღწერის აქტის თანახმად...

— ჩემი ნივთები ჯერ არავის არ აღუწერია...

— უკაცრავად, მაგრამ უკვე აღვწერეთ. ბოდიშს გიხდით, რომ ეს ღონისძიება თქვენი წინასწარი თანხმობის გარეშე ჩავატარეთ, — პროკურორი ისე ლაპარაკობდა, კაცი ვერ გაიგებდა, დასცინოდა იგი ზენკლიშვილს თუ მართლაც უხდიდა ბოდიშს.

— როდის აღწერეთ? — ვითომ სხვათაშორის იკითხა გოდერძიმ.

პროკურორი დიდხანს ფიქრობდა ეპასუხა ზენკლიშვილის ამ კითხვაზე, თუ არა, ბოლოს ყოყმანის შემდეგ თქვა:

— დღეს აღვწერეთ. აქტი აგერ აქ მიდევს. კმაყოფილი ბრძანდებით?

— ძალიან. მხოლოდ ერთი მაფიქრებს...

— სახელდობრ?

— ხომ არაფერი გამოგრჩათ, აღწერის დროს?

პროკურორმა კიდევ დიდხანს უცქირა ზენკლიშვილს და შემდეგ იმავე ხმით განაგრძო:

— თქვენ გევალებათ აღწერის აქტში ნაჩვენები თანამიმდევრობით, ანუ მის შესაბამისად განგვიმარტოთ სად, როდის, რა ფასებში და ვისგან შეიძინეთ თვითეული იმ ნივთთაგანი, რომელიც აღწერაშია, ნაჩვენები.

— შეიძლება ერთი შეკითხვა მოგცეთ?

— შეიძლება.

— მე, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით, — გოდერძიმ ხელები ფართოდ გაშალა, — არც სამართალში ვარ ოფიციალურად მიცემული და არც მსჯავრდადებული გახლავართ. ვისა აქვს ხელი ჩემს ნივთებთან, ან რა უფლებით აღწერეთ ისინი.

— გიპასუხებთ. თქვენზე შემოვიდა მამხილებელი მასალები. თქვენ შეგიძენიათ ისეთი ანტიკვარული ნივთები, რომელთაც გარკვეული კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ და როგორც ასეთები, არსებული წესის თანახმად, აღრიცხვაზე უნდა იქნან აყვანილი. ასეთია, მაგალითად, ყოფილი გრაფის ბეზბოროდკოს საწოლი, რომელიც ახლა თქვენ გიდგათ...

— ტყუილია, — აჯანყდა გოდერძი, — არავითარი გრაფისა ეგ არ არის, ეგა ისაკამ იხუნრა და ზოგიერთმა აქაურმა რეგვენმა შეუგნებლად გაიმეორა, ეგ საწოლი ლვოვშია ნაყიდი...

— მოითმინეთ, — მკაცრად შეაწყვეტინა პროკურორმა და ხელი მაღლა შემართა, — ჩვენ ასეთი ცნობები გვაქვს და ვალდებული ვართ შევამოწმოთ. დიახ, თქვენ გქონიათ ბეზბოროდკოს საწოლი და მარშალ მიურატისეული ბანქოს სათამაშო მაგიდა, მწვანე მაუდგადაკრული. ეს გახლავთ პასუხი თქვენი კითხვის პირველ ნაწილზე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, რომ ჯერჯერობით პასუხისგებაში მიცემული არა ბრძანდებით, ეს არაფერსაც არ ნიშნავს. პასუხისგებაში სულ ადვილად შეგვიძლია მიგცეთ და ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. გაქვთ კიდევ რაიმე შეკითხვა.

— არა.

— მაშინ გთხოვთ ამ საბუთზე ხელი მოგვიწეროთ. ეს არის ხელწერილი, რომ თქვენ უნებართვოდ სამებიდან არსად არ გაემგზავრებით.

გოდერძიმ დიდხანს, დაკვირვებით იკითხა მანქანაზე დაბეჭდილი საბუთი და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერა ხელი.

— ახლა კი, ჯერჯერობით, თავისუფალი ბრძანდებით. — გაბრაზებით წარმოთქვა პროკურორმა და ისევ ქაღალდებში ჩაეფლო, გოდერძისათვის აღარ შემოუხედავს.

გოდერძიმ არ იცოდა მოესმა თუ მართლაც ასე იყო, მაგრამ ისე ეჩვენა, თითქოს სიტყვა „ჯერჯერობით“ პროკურორმა უფრო ხაზგასმულად თქვა.

მესამე იძულებითი სტუმრობა რაიაღმასკომში ჰქონდა გოდერძი ზენკლიშვილს.

პროკურორისა და სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარისაგან განსხვავებით, რაიაღმასკომის თავმჯდომარემ წამითაც არ ალოდინა და მოახსენა თუ არა ტექნიკურმა მდივანმა გოდერძის მოსვლა, მაშინვე თავისთან შეიპატიჟა.

პირველ ორი შეხვედრით დაშინებული გოდერძი გაუბედავად შევიდა ნაცნობ კაბინეტში და შუა ოთახში შედგა.

თავმჯდომარე, ახალგაზრდა სასიამოვნო შესახედაობის კაცი, მაშინვე ფეხზე წამოუდგა, საწერ მაგიდას შემოუარა, გოდერძის მიუახლოვდა და ხელი მაგრად ჩამოართვა. მერე გვერდით მდგარ სხდომების გრძელ მაგიდას მიუჯდა, ზენკლიშვილი კი პირდაპირ დაისვა.

ასეთი მიღება სალბუნივით მოეცხო გოდერძის გულს. ამის შემდეგ რაიაღმასკომის თავმჯდომარეს რაც არ უნდა ავი ამბავი ემცნო, ყოველივეს კუთვნილივით მიიღებდა ყოფილი მეტივე.

იგი დაკვირვებით ათვალიერებდა მის წინ მჯდომ, ტელეფონით მოლაპარაკე თავმჯდომარეს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ კომკავშირის სამების რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა და მალხაზის კბილა იყო.

თავის მხრივ, ახალგაზრდა თავმჯდომარეც ინტერესით შესცქეროდა გოლიათური აღნაგობის მამაკაცს, რომელზედაც ამდენი რამ სმენოდა და არც კი წარმოედგინა, რომ ახლოდან იგი ასეთი მისანდო, სახიერი და თვინიერი აღმოჩნდებოდა.

თავმჯდომარემ ჯერ გოდერძი მოიკითხა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიტყო, მერე ბაზის საქმეებზე ჩამოუგდო ლაპარაკი: თანამშრომლები დაახასიათებინა, მასალებს საიდან იღებთო, ამითაც დაინტერესდა, ბოლოს კი, მართალია ზრდილობიანად, მაგრამ მტკიცედ და შეუვალად ამცნო:

— რაიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ბაზის მმართველის თანამდებობიდან გაგანთავისუფლოს და სოფელ ბლისძირის აგურის ქარხნის დირექტორად დაგნიშნოს.

გოდერძიმ წარბშეუხრელად მოისმინა განაჩენივით გამოტანილი ეს დადგენილება და მწუხარებისა თუ შეშფოთების ნაცვლად რაღაც შვება იგრძნო. „ეს თუ მამყოფინეს, ამით თუ გადავრჩი“... — შეუცნობი სიხარულით გაიფიქრა გოდერძიმ. რაიაღმასკომის თავმჯდომარე კი განაგრძობდა: — ...ბლისძირში ადრე აგურხანა ყოფილა, მაგრამ ომის წლებში გაუუქმებიათ. ახლა იმ სოფლის მახლობლად სულ მალე მესაქონლეობის დიდი კომპლექსი უნდა ავაშენოთ.,

— კომპლექსი რაღაა? — ვერ მოითმინა გოდერძიმ.

— კომპლექსი, მესაქონლეობის სპეციალიზებული დიდი ფერმაა. ამ კომპლექსისათვის კი აგური გვჭირდება. შორიდან მის მოზიდვას ვარჩიეთ, რომ ეს აგური, იქვე, ადგილობრივ გამოვწვათ და სწორედ ამ მიზნით ვაშენებთ აგურის ქარხანას. ამ საქმის ხელმძღვანელობა კი თქვენ უნდა დაგაკისროთ, იმედი გვაქვს რომ თქვენ როგორც გამოცდილი კაცი, რომელმაც აგურის ერთ ქარხანას უკვე ჩაუყარა საფუძველი, ამ სახელმწიფო დავალებასაც პირნათლად შეასრულებთ.

თავმჯდომარის მშვიდმა კილომ, მისმა გულისყურიანმა მოპყრობამ გოდერძის მღელვარება ჩააცხრო. ზენკლიშვილს თითქოს გაეხარდა კიდეც, რომ იმ წყეულსა და მაცდურ ბაზას როგორც იქნა მოსცილდებოდა.

„ეტყობა მთლად უვარგის კაცად არ მივაჩნივარ, — ფიქრობდა იგი, — თორემ ასეთ საქმეს არ ჩამაბარებდნენ. მაგრამ ღირს კია ჩემგნივა ასეთი ტვირთის წამოკიდება? როგორც არ უნდა იყოს მერმისა,

გიორგობისთვეშია, სამოცდათორმეტი წლისა გავხდები"...

— ერთი უნდა შეგეკითხოთ და ნუ მიწყენ, — ჩაახველა მუჭში გოდერძიმ.

— ბრძანე, ძია გოდერძი, — წამოსცდა თავმჯდომარეს და მაშინვე გაისწორა — პატივცემულო გოდერძი.

— ხომ არ აჯობებდა ყველაფრისათვის თავი დამენებებინა, უკვე კაი ხანია საპენსიო ასაკისა ვარ, მეც მოვისვენებდი და თქვენც მოგასვენებდით ჩემზე ზრუნვისაგან.

— არავითარ შემთხვევაში. თქვენ კიდევ საჭირო ხართ და კიდევ შეგიძლიათ კეთილად ემსახუროთ საქმეს, — თავმჯდომარის ხმაში მტკიცე დაჯერება მოისმოდა.

— რა ვიცი, ეგება გეცოდებით ბერიკაცი და იმიტომ გინდათ საქმე გამიჩინოთ...

— არა. ჩვენ თქვენი გამოცდილება გვჭირდება.

— კარგი, მაგრამ თუ მართლაც აპირობთ ჩემს იქ გაგზავნას, მაშინ ეს მიბრძანეთ: აქედან ბლისძირამდე თხუთმეტ კილომეტრზე მეტი იქნება. მთავარი გზიდანაც განზეა. იქა, დღეში ერთი მანქანაც არ მიდის. აბა, როგორ უნდა ვკეცო ჩემი მუხლების პატრონმა ყოველდღე ოცდაათკილომეტრიანი გზა?

— მანქანას შეგაძენინებთ და იარეთ. ჩემის აზრით, თქვენისთანა ,,თავშენახულ კაცს", ამდენი ხნის ნამსახურს, ერთი ,,ჟიგულის" ყიდვა არ გაუჭირდება, — თავმჯდომარე გოდერძის უღიმოდა და თვალებს ეშმაკურად წკურავდა.

— კარგი, თანხმობა მითქვამს. — შესცინა გოდერძიმაც.

და ისევ მძიმე დღეები დაუდგა ძველ მეტივეს.

ჯაფით, ზრუნვით, რუდუნებით აღსავსე დღეები... იმაზე ბევრად უფრო მძიმე, უწინ რომ გადაეტანა...

მაგრამ ახლა ის ძველი ჯანი და ამტანობა აღარ მოსდევდა. სამოცდაათ წელს გადაცილებულ ჭარმაგს გული აწუხებდა, ყოველ დაღლაზე ბასრად ჩხვლეტდა, ქოშინი სუნთქვას უძნელებდა.

— ჩემი ხნის კაცსა ახლა მშვილდ-ისარი დიდი ხნის დადებული უნდა ჰქონდეს, ბუხარს უნდა უჯდეს და შვილიშვილებს ზღაპრებს მოუთხრობდეს. მე კი აღმა-დაღმა დავეხეტები და აგურის ქარხნის გამართვასა ვცდილობ. ნეტავი რა მრჯის, ან რისთვის და ვისთვის ვირჯები?... გავმართავ თუ არა, ალბათ, მაშინვე პანღურს ამომკრავენ, ან უფრო შორს გადამკარგავენ, ანდა პენსიაში მიტუცავენ თავსა... იცოცხლე, ახლაც გავეცლებოდი, მაგრამ ისევ იმ ბიჭისათვის ვმხნეობ. ახლა რომ პენსიაზე გავიდე, იტყვიან გააგდესო, — და მეც უფრო შემდგებიან, იმ ბიჭსაც უფრო მოაჯდებიან. ახლა კი მაინც სხვა სამუშაოზე გადაყვანილად ჩავითვლები და აგრე რიგად ვერ დამაზიანებენ. ყოველ დღეს ერთსა და იგივეს ფიქრობდა სამებიდან ბლისძირში მიმავალი გოდერძი.

ყველაზე მძიმე ისევ ეს წყეული გზა იყო.

უთენია დგებოდა, რომ სამუშაოს დაწყებისთვის მაინც მიესწრო. ჯერ სამებიდან ზლუდერზე მიმავალ შარაზე გავიდოდა, ზემოთ მიმავალ რომელიმე მანქანას დააჯდებოდა, ბლისძირის გადასახვევამდე გაჰყვებოდა, იქ დაქვეითებული კი ფეხით ვაუდგებოდა გაუკვალავ ბილიკს. ორ მოზრდილ გორაკს, ერთ ჩაქუფრულ ტყეს გაივლიდა და როგორც იყო ეკალბარდებიან მთას მიადგებოდა, რომლის ძირშიც ორიოდე მუშა ზანტად ფუსფუსებდა, აგურის გამოსაშრობ ფარდულს აშენებდა.

უკან დაბრუნება კიდევ უფრო უჭირდა, სიბნელე მოუსწრებდა ხოლმე. საღამოჟამზე კი მანქანები იშვიათად დადიოდნენ. ვინ იცის, რამდენჯერ მოუხდა სამებაში ფეხით ჩასვლა. მის სახლამდე სულ ცოტა ჩვიდმეტი კილომეტრი მაინც იყო, ჩვიდმეტი კილომეტრი ოღროჩოღრო, ტალახიანი და გორმახებიანი გზისა. ამ ტრიალ მინდვრებზე ქარიც ონავარი იცოდა. თუ საპირისპიროდ ქროდა, სახეს ისე გაგიყინავდა, ცხვირსა და ყურებს ველარა გრძნობდი.

თვეც არ იყო გასული ბლისძირში მისი მუშაობის დაწყებიდან, ლოყები იმნაირად გაუწითლდა, თითქოს ცეცხლზე დაეწვათ. თვალებიც განუწყვეტლივ უცრემლიანდებოდა, ანთებამ გაუღიზიანა.

— კაცო, გამოდი, სანამ მთლად არ მო-

გიღნო მაგ სამუშაომ, ხომ ხედავ კატორღასავით ყოფილა, ეგ წყეული, — ყოველ დღე უჩიჩინებდა მალალო, მაგრამ გოდერძი ჯიუტად იდგა თავისაზე: — ჯერ ის ქარხანა უნდა ავამუშაო, მერე ,როცა საქმეს ავაწყობ, სხვას გადავცემ. მაშინ წავიდნენ და ახალონ თავი კედელსა, ნახონ, რა ადვილიც არის...

მას შემდეგ, რაც მალხაზი რაიალმასკომში გადაიყვანეს, ხოლო გოდერძი პლისძირის აგურის ქარხნის დირექტორად დანიშნეს, მამა-შვილი ერთმანეთს სალაპარაკოდ აღარ შეჰყრია.

გულში ორივე ერიდებოდა ამ შეხვედრას, თუმცაღა წადილი ორთავესა ჰქონდა.

დილაობით, სამუშაოზე წასვლამდე, გოდერძი შვილის საწოლ ოთახში შედიოდა, ვითომც რადიატორების გასასინჯად. ბატარეებს ხელს დაადებდა, საკმაოდ ცხელი თუ არისო და, თითქოს სხვათაშორის, იტყოდა:

— ბიჭოუ, სმას უკელი, თავი არ წააგო. ხომ იცი, ქრისტე ჭკუით იცნეს. გაფრთხილდი, ისეთ სამსახურში დგახარ, — როცა მოუნდებათ მაშინ გაგაფუჭებენ. ჭკუით იყავი. მქრები ორთავეს ბლომადა გვყავს, მაგრამ მაგანა არც უნდა შეგაკრთოს, არც უნდა გაგათამამოს. უკან რომ დაგხიეს, ეგეც არაფერია. ხომ არა გგონია, რომ შენი გზა გადაიწურა, არა, კიდევ ბევრი სიამე გელის, წინდახედულად თუ იქნები. ფრთხილად უნდა იყო, არაფერზე წამოგაგონ...

მალხაზი არა პასუხობდა. თავს იმძინარებდა, ერთს არ შეირხეოდა. უმძიმდა გოდერძისთან პირისპირ დარჩენა.

გოდერძის წუხილი უსაფუძვლო როდი იყო: ბოლო ხანებში მალხაზმა ძალზე უხშირა სმასა და დროსტარებას.

დღე ისე არ გავიდოდა, სახლში მთვრალი არ დაბრუნებულიყო. ზოგჯერ იმდენად იყო ღვინისაგან გამოსავათებული, ტანსაცმელის გახდა აღარ შეეძლო, გაუხდელი მიეგდებოდა ხოლმე ლოგინზე. მალალო ფეხაკრეფით შევიდოდა გულჩაღმა გამოტილ შვილთან, ფეხთ დახდიდა, საკინძეს შეუხსნიდა, ყელსაბამს მოხსნიდა, არ დაიხრჩოსო.

ქმარს გულდაგულ უმალავდა შვილის ლოთობას, მაგრამ გოდერძის რას გამოაპარებდა? დილაობით, როცა გოდერძი შვილთან ოთახში შევიდოდა, იქ ღვინის ისეთი ოხშივარი იდგა, გეგონება მთელი საწნახელი აორთქლდაო. ღვინის ამონასუნთქი კაცს თავბრუს ახვევდა, გულს უძმარავდა.

გოდერძი არც ისეთი დაუკვირვებელი კაცი გახლდათ, არა სცოდნოდა, რომ მალხაზს რაიალმასკომში ვიღაც საეჭვო მეგობრები გაუჩნდა, რომ ხშირად სამუშაოც მიუტოვებია, რათა თავის ახალ ამფსონებთან სადღაც გაუჩინარებულიყო. მართალია, რესტორანში კაცი ვერ ნახავდა, მაგრამ რაღაც სოროები რომ გაეჩინა, ეს აშკარა იყო.

გოდერძიმ ძველი გამოცდილებით კარგად იცოდა, რომ ალმასკომის ზოგიერთი თანამშრომლის წყალობით იქ ქრთამი ტრიალებდა და იქაურ მუშაკებს რყვნიდა. გაუძლებდა კი ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამ ცდუნებას? ეგება ახლა ყველაფერზე ხელი ჩაექნია და ფულს დახარბებოდა?

ეჰე, რა მძიმე ყოფილა შვილზე დარდი! სადარდებელი კი სულ უფრო და უფრო ემატებოდა ყოფილ მეტივეს. ჯერ იყო, პროკურორმა და სახალხო კონტროლმა კინაღამ მოიღნო. ისე დღე არ გავიდოდა, თავი არ შეეხსენებინათ. განმარტებით ბარათს განნარტებით ბარათზე აწერინებდნენ. ერთს რომ მიუტანდა, მაშინვე მეორეს თხოვდნენ. ამდენი თავის სიცოცხლეში არ ეწერა და არ ეკითხა გოდერძის.

გაზეთებსაც უფრო მიეძალა. მათი კითხვა ჩვეულებად ექცა. ისეთი გულის ფანცქალით და ძრწოლით შლიდა თვითეულ მათგანს, გეგონება შიგ თავისი ავკაცობის მაუწყებელი ცნობა ეგულებოდა და უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა ამოეკითხა.

ამავე ხანებში ერთი ისეთი ამბავიც მოხდა, რომელმაც არა მარტო ძალუმად შესძრა და მწარედ ჩააფიქრა გოდერძი ზენკლიშვილი, არამედ თავისი ერთადერთი შვილიც სულ სხვაგვარი სახით დაანახვა.

იმ საღამოს კარს ისაკა მიადგა. დანდლიშვილი პეტროვიჩის გამოცვლის პირველ დღეებში ჯერ კიდევ ბაზაში მუ-

შაობდა იქ მას ახალი მმართველი ჰყავდა, რომელსაც მთავარი ბუღალტერი სულ წყევლა-კრულვით იხსენიებდა.

გოდერძი ისე მიეჩვია წლების მანძილზე ისაკასთან მხარდამხარ მუშაობას, რომ ახლა, დროდადრო ამ ავყია კაცის მონახულების სურვილი გაუჩნდებოდა ხოლმე.

ისაკა რომ გოდერძის საძინებელ ოთახში შებრაგუნდა და ტახტზე წამოწოლილ ყოფილ უფროსს თავზე წამოადგა, გოდერძის აშკარად გაუხარდა ძველი ამფსონის ნახვა. იფიქრა, თან გულს გადავაყოლებ, ახალ ამბებს შევიტყობ, თანაც რჩევას ვკითხავო. ჭკვიანი და შორსმხედველი იყო ბაზის მთავარი ბუღალტერი.

მაგრამ ისაკა შეშფოთებული ჩანდა, დაბნეულობა ემჩნეოდა.

— კაცო, მაჰმადიანი ხომ არა ხარ, ქუდს რომ არ იხდი, პალტოც გაიძრე, სახლში ხარ, საწყობში ხომ არა. — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად მწყრალად უთხრა გოდერძიმ და ტახტიდან წამოიწია, — ნე, ჩემო ისაკ, ფეხებმა ტკივილი დამიწყეს, თუ არ გეწყინება, ვიწვები და ისე გელაპარაკები.

— ვახ, უფროსჯან, ჩემი თავი გენაცვალოს, თუ გინდა სულაც ყირამალა დადექი. სალაპარაკოდ მოვსულვარ, მაშასადამე, პირში უნდა გიყურო და არა ფეხებშია!..

—იქით, ცოტა შორს დაჯექი, ნივრის სუნად ყარხარ.

— ვახ, როდის აქეთ გახდი ასეთი აზიზი? ნივრის სუნი, ცუდი სუნია?

— ცუდია თუ კარგია, არ მინდა. ძალაა?.

— უფროსჯან, ძალიან კონფლიდენციალნი საქმე მაქვს შენთანა.

— შენა უცხოურად ტლიკინს თავი გაანებე და ქართულად მელაპარაკე, კონფიდენციალნად გიცხონდა მამაშენი...

— უფროსჯან, დიდი ამბები უნდა გითხრა. მაგრამ სრულიად სეკრეტნად. ამ ყურში შეუშვი, იმ ყურში გაუშვი...

— ჰო, კარგია და, თქვი...

— ეს ამბავი შენს ბიჭსა და ვახტანგ პეტროვიჩის ქალს ეხება...

ისაკას პირველივე სიტყვებმა გოდერძის სუნთქვა შეუკრა. მალხაზის ხსენებამ სისხლი აუჩქროლა.

— ხომ იცი, ორივე მიყვარხართ, პატივსა გცემთ, — ხელაპყრობით განაგრძობდა ისაკა, — ამიტომ სიმართლე უნდა გითხრა...

— არ იტყვი და, როგორც მოხვედი, ისე წახვალ. ერთი პანღური, და მორჩა!.. — გოდერძიმ უდარდელი შეხუმრება სცადა, სინამდვილეში კი გული უფანცქალებდა. მალხაზის დარდი ჰქონდა, ეჩქარებოდა მისი ამბის შეტყობა. ჩანდა, მართლა რაღაც ახალი და მნიშვნელოვანი მომხდარიყო.

— ნუ გეწყინება, თუ ბიჭს ცოტათი გაგიკრიტიკებ. როცა სამართალი მომთხოვს, არც იმ ქალს დავზოგავ, ნათქვამია, სამართალი წონით არისო, აბა, როგორ გინდა?.. თურმე, შენი ბიჭი ვახტანგ პეტროვიჩის ქალს ჩუმჩუმად უთვალთვალებდა. ალბათ, ეჭვი გაუჩნდა და იმიტომაც ზვერავდა ფარულად. არც გაემტყუნება, ქალსა მუდამაც უნდა უთვალთვალო. აბა, ქალი რის ქალია თუ ნებაზე მიუშვი... ჰოოდა, შეუტყვია იმ შენს ბიჭსა, რომ ლიკას ერთი ახალგაზრდა პროფესორი ყვარობს. ვიღაც ცნობილი პროფესორის შვილი ყოფილა, თვითონაც პროფესორი სამედიცინო ინსტიტუტისა. თურმე, ნუ იტყვი, ამხანაგის ბინაზე ერთმანეთს ჩუმჩუმად ხვდებიან. იმ კაცსა ცოლი ყოლია, კარგ ქალს ამბობენ, არც იმისი გაშვება ნდომებია, არც ამას ეშვებოდა. ამასა კიდევა, ესე იგი ვახტანგ პეტროვიჩის ქალსა, ეტყობა ის კაცი უყვარს და ამიტომ ვერა შორდება! აი, ასეთი ამბავი ჩახლართულა...

— ჰეე, წადი ახლა და თქვი, გოდერძი ზენკლიშვილი ბრძენი არ არისო: ვგრძნობდი, მამის სული არ წამიწყდეს, ვგრძნობდი, რომ ის გოგო კეთილი სული არ იყო!..

— აბა, დედამისის პატრონი კეთილი სული როგორ იქნებოდა... დამიწდნენ, დამიწდნენ, დამიწდნენ ორივენი!.. — მოისმა კარებს უკანიდან მალალოს ვიშვიში.

— ესა, ჩემი მალალოა, — დააშშვიდა აფორიაქებული ისაკა გოდერძიმ — ხომ იცი, ქალსა არაფერი არ გაიოეპარება. დეე, მაგანაც იცოდეს, სხვა რომ არაფერი იყოს, მშობელი დედაა, ასე არ არის? — შეეკი-

თხა იგი შიშისგან ფეხზე წამომხტარ დანდლიშვილს და სკამზე მიუთითა — დაჯექი, დამშვიდდი, განაგრძეო.

ისაკამ ვედრების ნიშნად ყანყრატოსთან ორი თითი წაივლო. — მალალომ არ გამცესო...

— ნუ გეშინიან, — სახე დამანჭა გოდერძიმ, — მაგასა ვერაფერს ვერ წამოაცდენ, ტყუილად როდია კაკოლას ნაშიერი.

გოდერძი დიდიხანია მიჩვეული იყო ცოლის წაყურადებას. საიდუმლოს შეტყობის ასეთი ხერხი არც მას და არც მალალოს საძრახისად არ მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ზენკლიაანთ ოჯახში არც ერთი ოთახის კარი ყრუდ არ იკეტებოდა. ხან ქმარი უსმენდა ცოლთან მოსული მეზობლების ჭორაობას, ხან ცოლი ისმენდა ქმრის სტუმრების ლაპარაკს, ხანაც ორთავენი ერთად მალხაზს უთვალთვალებდნენ. ამას ერთგვარი სიხალისეც კი შეჰქონდა კარჩაკეტილად მცხოვრები ოჯახის ყოფაში.

დიდი წვეულებების მიუხედავად, რომელთაც დროდადრო ზენკლიაანი მართავდნენ, მათი ოჯახი მაინც უსტუმრო და უმეგობრო იყო.

გოდერძი კარგად ხედავდა, რომ თავისიანებსაც მოწყდა, მეზობლებსაც დაშორდა და ვერც მაღალ ქანდარაზე მსხდომთ დაუახლოვდა.

ასე დარჩნენ ზენკლიაანი ცასა და მიწას შორის გამოკიდებულნი, აღარც ზემოურნი იყვნენ, აღარც ქვემოურნი.

— ქალი რომ შარვალში ფეხებს გაყოფს და თეძოებზე შემოიტმასნის, წარბებს აიქნის და ლოყებს შეიღებავს, თუთუნს რომ გააბოლებს და არყის სმას დაიწყებს, ისა ერთ მამაკაცს დასჯერდება? აი, დამიწდნენ, დამიწდნენ, დამიწდნენ, ღმერთმა დასაჯოს ჩემი ბიჭის გზაკვალის არევისათვის...

გოდერძი ვერ ხედავდა, მაგრამ რაზედაც გინდა დაგენაძლავებოდა, რომ ამ დროს მალალო პეტროვიჩიანთ ოჯახს ქოქოლას აყრიდა და თვალებს ზეცისკენ აღაპყრობდა — ღმერთს მათ დასჯას შესთხოვდა.

ისაკა დაბნეული იყო. აღარ იცოდა, განეგრძო თხრობა თუ შეეწყვიტა. იგი არაფრით არ მოელოდა, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ეგონა მარტონი ვართ მე და გოდერძიო, და აი, შარი...

— დედაკაცო, დაგვაცალე ლაპარაკი, მოსცილდი ე მაგ კარებსა, წადი, საქმეს მიხედე.

— აჰაანდე, მივდივარ. ასე გგონიათ, მე ვერ შევიტყობ ამბებსა? ცოტა დამაცადეთ და თქვენზე უკეთ მეცოდინება ყველაფერი. — მალალომ ფლოსტები იატაკზე ატყაპუნა და შუშაბანდში გამავალი კარი გაიჯახუნა. მაგრამ გოდერძი თუ გინდა ხატზე დაიფიცებდა, რომ მისი ცნობისმოყვარე მეუღლე ისევ იქვე იდგა. მართლაც, მალალო კარს უკან იყო ატუზული. იგი ერთი კარიდან ხმაურით რომ გავიდა, მეორით მაშინვე უხმოდ შემობრუნდა და მიყურადება განაგრძო.

ისაკა ორიოდე წუთს გატვრენილი იჯდა. როცა დაიჯერა, მალალო ახლა კი ყურს არ გვიგდებსო, კისერი წაიგრძელა და ხმადაბლა განაგრძო:

— ის შენი ბიჭი ნამდვილი რაზედჩიკი ყოფილა, — ეს სიტყვები ისაკამ იმნაირად თქვა, ვერ გაიგებდი სძრახავდა მალხაზს თუ აქებდა.

— წასულა, კაცო, და იცი რა უქნია? — ლიკას კათედრის ლაბორანტი გაუცვნია, დაუახლოვებია. მაგრამ ხომ იცი, ქალი ქალის პირველი მტერია, იმ ლაბორანტსაც თურმე მალხაზისათვის ყველაფერი ჩაუკაკლავს და არაფერი არ დაუმალავს.

ამდგარა ამის შემდეგ ეს შენი ბიჭი, იმათი შეხვედრის ადგილას ჩასაფრებულა... ვახ, ნახე კაცო, ნამდვილი მზვერავივით არ უმოქმედია?... და როცა ის ახალგაზრდა პროფესორი და პეტროვიჩის ქალი ერთმანეთს ეკურკურებოდნენ, ეს შენი ბიჭი რალაც მანქანებით ოთახში შეჭრილა და ტრტლიკანებს თავზე წასდგომია... ვახ, კაცო, მოხერხება არ უნდა ყველაფერ ამასა? ასე როგორ უნდა გამოზომო? არა ძმაო, ნამდვილი მზვერავი ყოფილა!.. მერე ამდგარა, ის თავისი რაყიფიც მიუშვეჟია, ეს შენი ლიკაც გაუსილაქებია, გამოუხურავს კარი , წამოსულა. მერე ვახტანგ პეტროვიჩისთვის ტელეფონით დაურეკავს, მე შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ქალის შემრთველი აღარა ვარო, აჰე და ასე მოხდა ყველაფერიო. თუ არ გჯერა, ამ მისამართით წადი, დანარჩენს ადგილზე შეიტყობო...

— ვახტანგ პეტროვიჩი თვითონ არ წასულა, მაგრამ ცოლი გაუგზავნია და იმ ცოლს მართლაც ყველაფერი შეუტყვია.

— ცოლი, თორემ, იმისმა თავის გახეთქამა ის უკეთესია თავის კახპა გოგოზედა! — გაისმა ამ დროს კარს უკან მალალოს ხმა.

ისაკა ნაკბენივით წამოხტა:

— ვახ, კაცო, ეს კიდევ აქა მდგარა!— საყვედურით შესძახა მან გოდერძის.

— დაჯექი, დაჯექი. მაგასა ახლა კეტით ვერ გადენი, — დაამშვიდა მანპინძელმა ღანდლიშვილი.

— ახლა მე ვახტანგ პეტროვიჩმა მოციქულად გამომგზავნა...

— შენც თუ ისეთივე არამზადა არა ხარ, რათ უდგები მოციქულადა იმ ჩემი ცოლვით სავსესა? — გაისმა კარსუკანიდან მალალოს ხმა.

— ვახ, კაცო, რაებს მეუბნება?! არამზადა რათა ვარ, კაცმა მთხოვა და არ შევუსრულო?

— დიახაც, არ უნდა შეუსრულო! — შემოუცაცხანა დიასახლისმა.

— მალალო, არ გეყურება, მოსცილდიმეთქი კარებსა და ნუ ერევი მამაკაცების საუბარშია.

— როგორ თუ ნუ ვერევი? განა შენა ჩემთვის უცხო ხარ? ან ის ბიჭია უცხო?..

— დაგვაცადე ლაპარაკი, შე მამაძაღლო, შენა! — დაუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა გოდერძიმ და კედელს მუშტი თხლიშა.

კარს უკან სიჩუმე ჩამოვარდა. გოდერძის გაბრაზებისა თვით მალალოსაც კი ეშინოდა.

— რა მინდაო, რისთვის გამოგაგზავნა? — გოდერძიმ რისხვაგარეული თვალები ისაკას დაამტერა.

— თუ აღარ უნდაო, ნუ შეირთავსო, ოღონდ სახელს ნუ გაუტეხავსო!... ამ ამბავს ქვეყანას ნუ მოსდებსო, ჩემს მტერს ნუ გაახარებსო. მე მაინც შემინახოს ხათრიო, მაგისთვინა კარგის მეტი არაფერი გამიკეთებიაო. ეს ერთი თხოვნა შემისრულოსო...

ისაკა გოდერძის შესცქეროდა. გოდერძი კი სდუმდა, ეტყობა, წინადადებას იაზრებდა.

კარს იქიდანაც ჩამიჩუმი არ ისმოდა.

— რაც ბელგად მოართვით, ყველაფერს დაგიბრუნებთო. ახალგაზრდა ქალია, იმ მამაოხერმა შეაცდინაო. სამუდამოდ ნუ დაღუპავთო. ბელგას უკან მოგართმევთ და ვითომც ჩვენს შორის არაფერი არა ყოფილაო.

ოთახში ისევ სიჩუმე იდგა.

გოდერძი წარბშეკრული იჯდა. ტახტიდან ფეხები ჩამოეშვა, ზურგში წასრილიყო და თითებგაწნული ხელები მუხლებს შორის ჩაეკიდა. ასე უყვარდა ჯდომა.

— ჩემი მხრიდანაც ამასვე გირჩევთ, — შეაპარა ისაკამ — ვახტანგ პეტროვიჩი მაინც ვახტანგ პეტროვიჩია! მართალია, აქედან გაიძახეს, მაგრამ ღონე ისევ მოსდგამს. შეუძლიან დიდი ზიანი მოგაყენოს შენცა და შენს ბიჭსაცა. ხომ იცი, ძმაბიჭობა ისევ ძალაშია. მაგასა კიდევა ქვეყნის მეგობრები ჰყავს, ისე გაგიშრობენ სისხლსა, სულ თავბედი გაწყევლინონ.

— კარგი, ყაბულსა ვარ. ბელგა დაგვიბრუნონ.

— სახლის ფული? ვითომ რატომ უნდა შეიტყაპუნონ? — აჯანყდა მალალო კარს უკანიდან.

— სახლის ფულიო? — ისაკამ კისერი კარისკენ წაიგრძელა და ისე გაეპასუხა უხილავ მოსაუბრეს, თითქოს იგი მის წინ მდგარიყოს, — სახლის ფულიო, ასე თქვა, კოოპერატივში შევიტანეო და ახლა ნუღარ გამომატანინებთო. ბინა ცუდ-უბრალოდ დაგვეკარგებაო. ცოტა მაცალეთ, ხელს მოვინაცვლებ და მთელ თანხას უკლებლივ ჩაგაბარებთო.

გოდერძი ხმას არ იღებდა. კარს უკანაც ჩუმად იყვნენ.

— დაუჯერე, ხომ იცი, ვახტანგ პეტროვიჩი სიტყვის კაცია. ნამუსი აქვს და ქუდი ხურავს. მაგისთანასა უშიშრად უნდა ენდო...

— ნამუსი აქვს და ქუდი ხურავს, მა-

შა, მაშა, ერთბაშათა! — წანლერებით წარმოსთქვეს კარს უკან.

— კარგი, ყაბულსა ვარ, ერთმანეთს თუ არ ვენდეთ, ისე როგორ უნდა ვიცხოვროთ ამ დაწყევლილ ქვეყანაზე?

ისაკა კმაყოფილი ბრუნდებოდა. ვახტანგ პეტროვიჩის დავალებაც შესრულა და გოდერძისაც ასიამოვნა. მისი მტკიცე რწმენით, ჩხუბსა და დავიდარაბას ისევ მშვიდობა და სიამტკბილობა სჯობდა.

ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ვახტანგ პეტროვიჩმა თუ მოინდომა, ბაზის ყოფილ მმართველსაც და მთავარ ბუღალტერსაც საცოდავ გაუხდის საქმეს!..

მან ხომ ყველაფერი იცის. ერთ პატარა ანონიმურ წერილს მისწერს, ვისაც ჯერ არს და მშვიდობით, ისე აბურდ-დაბურდავენ, ისე გაგწურავენ, ისე გაგადენენ ცხრა წყენს, მამის სახელსაც კი დაგავიწყებენ.

ყველაზე მეტად სწორედ ამისა ეშინოდა! და ბარაქალა გოდერძი ზენკლიშვილო! შენც დროულად იგრძენი საიდან მოგელოდა სასიკვდილო საფრთხე, და რომ ვახტანგ პეტროვიჩს შეეძლო თავის მტრებისათვის სასიკვდილო „სიტუაციების" შექმნა, ეს ისაკა დანდლიშვილმა სხვაზე უკეთ უწყოდა.

გოდერძი კი ცუდ დღეში იყო: როცა იფიქრებდა, მგონი გამოვცურე ტრიალი მორევიდანო, სწორედ მაშინ დაეძგერებოდა ან პროკურორი და მისი გამომძიებელი, ან სახალხო კონტროლის თავმჯდომარე და მისი რევიზორი.

ვინ იცის როდინდელ ამბებს არა ქექავდნენ და რის გახსენებას არ მოითხოვდნენ: ამა და ამ დროს, ეს და ეს მასალა ვის მიეცით, რამდენადაო, საიდან ან როდის მიიღეთ, რამდენი მიიღეთ. დალოცვილები, აღარ დაგიდევდნენ, ამის დამახსოვრება ასე ადვილი რომ ყოფილიყო, მაშინ არც ბუღალტრები ეყოლებოდათ და არც ბუღალტრული აღრიცხვა იქნებოდა.

ერთადერთი, რაც თითქოს მოწესრიგდა და დალაგდა, ეს მალხაზის საქმე იყო.

მას შემდეგ, რაც მან ვახტანგ პეტროვიჩის აბეზარი ასული ჩამოიცილა, ჭაბუკი შესამჩნევად დამშვიდდა, გახალისდა და თავის ჩვეულ, გაზომილ ცხოვრებას დაუბრუნდა. აღარა სვამდა, სამსახურსაც ძველებური მუყაითობით ეკიდებოდა, რის გამო ახალ თანამდებობაზეც კარგი სახელი დაიგდო.

რაიონის გადახალისებული ხელმძღვანელობაც კარგი თვალით შეჰყურებდა რაისაბჭოს თავმჯდომარის ენერგიულსა და განათლებულ მოადგილეს, მიუხედავად იმისა, რომ მამამისის საქმე ჯერ ისევ ცუდად იყო.

მართალია, კრებებსა და სხვა თავყრილობებზე ძველებური ჯიქურობით აღარ გამოდიოდა, მანკიერ მოვლენებსაც იმნაირი გზებით აღარ აკრიტიკებდა, ურჩნისელებთან შეტაკების შემდეგ, უფრო ფრთხილი, უფრო მოქნილიც გახდა, მაგრამ სამებაში ყველამ კარგად იცოდა, რომ მალხაზი უარყოფითი მოვლენების ლიკვიდაციისათვის ბრძოლას აქტიურად უჭერდა მხარს.

ერთი აწუხებდა განსაკუთრებით გოდერძის: ბიჭი ისევ გაგარეულებული ჩანდა. მშობლებს გაურბოდა, ოჯახი ეუცხოვებოდა.

სწორედ ამ ხანებში მიაღწია მალალოსა და გოდერძის ყურამდე სამებაში დარხეულმა ერთმა ჭორმა: მალხაზიო, სამების კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქალიშვილის შერთვას აპირებსო..

არ ეჭამნიკა ეს ამბავი გოდერძის: გაგონილი ჰქონდა, ედიშერაშვილის გოგო ფრონატარები ქალიაო. მართალია, არც ოჯახით, არც გარეგნობით იგი არ დაიწუნებოდა, მაგრამ სახელი, ასე თუ ისე, მაინც ცოტა შელახული ჰქონდა.

მარინე ედიშერაშვილი ნამდვილი სამებელი ასული იყო.

ლამაზად მოყვანილ მხრებზე ფაფუკი წაბლისფერი თმა ეყარა, თეთრყირმიზა სახეს დიდრონი, შუქიანი თაფლა თვალები უმშვენებდა. იმანაც ამაყი, კისერმოშვილდული სიარული იცოდა, იგი რომ თავს კოხტად მოიდრეკდა, ნიკაპთან პატარა ნაკეცი უჩნდებოდა და ღაბუა ჩიტს ემგვანებოდა.

ისეთი ასაკი ჰქონდა, ოდნავ სიმსუქნეში იყო შესული. როცა მარინე თავისი ჯიგასავით მდგარი მკერდით და მაღალი თეძო-

ების რხევით ქუჩაში გაივლიდა, მხოლოდ ცოლსათხოვ ჭაბუკებს კი არა, ხანდაზმულ მამაკაცებსაც კისერი გვერდზე ელრიცებოდათ.

სამებაში თამამ გოგოდ იცნობდნენ. ერთადერთი შვილი იყო და მშობლები უსაშველოდ ანებივრებდნენ.

მამამისი, სანდრა ყველაზე უფრო გამოჩენილ პიროვნებად ითვლებოდა სამების რაიონში. ისიც და მისი მეუღლეც, სოციალისტური შრომის გმირები იყვნენ და დოვლათით სავსე ოჯახი ჰქონდათ.

ამაყი კაცი იყო ელიშერაშვილი.

რომ იტყვიან, ბუზსაც არ აიფრენდა.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, მკერდი სულ ორდენებით ჰქონდა მოჭედილი. ისე თვე არ გავიდოდა, რომ საქართველოს ცენტრალურ პრესას ან ტელევიზიას სანდრა ელიშერაშვილი არ ეხსენებინა.

მარინეს კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და სამების მუსიკალური სკოლის დირექტორად მუშაობდა. იგი ორი წლით უფროსი იყო მალხაზზე და უკეთესის ძებნაში აქამდე გაუთხოვარი დარჩენილიყო.

ახალი ქორის გამგონე გოდერძიმ ხელები გაშალა და ამოოხვრით თქვა:

— რას სჩადის ეგ ბიჭი! აქეთ მე ასეთ დღეში ვარ, იქით ის ვახტანგ პეტროვიჩი ჯერაც არ დაშოშმინებულა, არც თვითონ იცის, რა დღე ეწევა ახალი უფროსების ხელში, და ეს მუტრუკი ცოლის თხოვნისათვის ემზადება.

— ეგება მაგიტომაც ირთავს, რომ იმ კაცში ძალასა ხედავს — გამოსთქვა ვარაუდი მალალომ. ეტყობა არც მას ეჭაშნიკა ახალი სარძლო.

მალალოს სიტყვებმა ჩააფიქრეს გოდერძი. მას ჭკუაში დაუჯდა ცოლის ნათქვამი.

— მართლაც, — გაიფიქრა მან, — ეგება სულაც იმიტომ სჩადის ამასა? ისეთი გამაცადინებული ტვინი აქვს, თუ არ ულირს, უქმად ნაბიჯსაც არ გადადგამს.

— დედაკაცო, იქნებ შეიტყო რა აქვს იმ ბიჭსა უზუნში?

— ეგრე ადვილი გგონია მაგისი ფიქრების შეტყობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადვილი რომ არ არის, იმიტომაც გეუბნები...

მაგრამ მშობლების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მალხაზის მთავარი ზრახვის გაგება არც თუ ისეთი ძნელი აღმოჩნდა. უფრო სწორად, მან თვითონ გაამჟღავნა თავისი საწადელიცა და მიზანიც.

ჩინებული დარი იდგა.

ცა ისეთი მოწმენდილი იყო, ზედ ღრუბლის ერთ პაწია ფთილასაც ვერ შეამჩნევდი.

თებერვალი იწურებოდა, მზეს სიმცხუნვარე მომატებოდა, თოვლი ჩრდილოვან დაბლობებშიაც კი იწყებდა დნობას.

შიშვლად მდგარ, სინესტით გაჟღენთილ ხეებს შტოები გამუქებოდათ. ალბათ, კვირტობისათვის ემზადებოდნენ.

ცაში შაშვები დაფრინავდნენ, ღობეებზე შემომსხდარი ბელურებიც უფრო მხიარულად ჭყლოპინებდნენ.

საქონელი ბოსლებიდან ბაკებში გამოეშვათ, დროდადრო ხარების ზმუილს ძროხების ბღავილი ენაცვლებოდა.

კრიალა ჰაერში ხმა შორამდე უწევდა. ესეც მოახლოებული გაზაფხულის მაცნე იყო.

სადღაც შორს, ტრაქტორი თუხთუხებდა. რკინიგზის სადგურიდან კი ჯერ ისევ გრილ სიოს სამანევრო ორთქლმავლის წივილი მოჰქონდა.

სანზარეულოზე მიდგმულ პატარა აივანზე მალალოს მაყალი გამოეტანა, ცეცხლი გაეჩაღებინა და ღორის ფეხებს ტრუსავდა, სამუჟუჟედ ამზადებდა. ძმრიანი მუჟუჟი გოდერძის საყვარელი საჭმელი იყო. ბაზარში გავლისას კარგ თავფეხს თუ შეხვდებოდა, სახლში ასიც რომ ჰგულებოდა, მაინც იყიდდა და ცოლს გამოუგზავნიდა. ახლაც ბაგრატასთვის გამოეტანებინა.

ალაყაფის კარებთან ხმამაღალი საუბარი და სიცილ-ხარხარი გაისმა, ერთი ხმა მალალომ მაშინვე შეიცნო, იგი მალხაზისა იყო.

ასეთი მხიარულება კარგა ხანია არ გამოჰყოლია შვილის სიტყვას. მალალოს გაუკვირდა მისი ლაპარაკის კილოკანება. სა-

ქმე მიატოვა და დიდ აივანზე გასულმა ეზოში გადაიხედა.

პალტოგაღეღილ, სახეშეწითლებულ და მომცინარე მალხაზს ვიღაც ქალისათვის ხელკავი გამოედო და სახლისაკენ სირბილ-სირბილით მოაპორწიალებდა.

ქალი მაღალი, წარმოსადეგი ჩანდა. თავდაუხურავი იყო. შავი მდიდრული ქურქი მასაც გაღეღოდა. მალალოს თვალში ეცა ძისი უზარმაზარი მკერდი და მსუქანი ბარკლები, მოკლე კაბის ქვეშიდან რომ მოუჩანდა. ფეხებზე მაღალყელიანი, პრიალა ტყავის ჩექმები ეცვა. ისე განიერ ნაბიჯებს ადგამდა, კარგა მოსიარულე მამაკაცსაც კი შეშურდებოდა.

ეს ცხენი ნეტავი საიდანღა უშოვნია?! — უსიამოდ გაიფიქრა მალალომ.

მალხაზმა თვალი მოჰკრა აივანზე გადმომდგარ დედას და ხიარულად შესძახა:

— დედიჯან, თუ გიყვარვარ, აქ ჩამოდი...

— უი, ქა, აბა, როგორა, ფლოსტები მაცვია!..

— არა, არა, არ ჩამოხვიდე ძალუა მალალო! — შემოჰყვირა ქალმა.

— დედიჯან, თუ ხათრი გაქვს. — სწორედ ისე დაელრიჯა მალხაზი, როგორც ბავშვობაში იცოდა და ორი თითი ყელზე წაივლო, — თუ გიყვარვარ!..

— ახლავე შვილო, ახლავე. — აფუსფუსდა მალალო და კიბეზე საჩქაროდ დაეშვა.

კიბესთან ხელი-ხელ გაყრილი ქალ-ვაჟი იდგა. ქალი მალხაზზე ოდნავ მაღალი ჩანდა. მკვრივი იყო, თეძოგანიერი, წვივსქელი. მალალოსნაირი თაფლა თვალები ჰქონდა და მისნაირივე ფაფუკი წაბლისფერი თმა. სამებელი ქალებისათვის დამახასიათებელი თეთრყირმიზა სახე ლამაზდ შევარდისფერებოდა.

უცნობი ქალი ღიმილით შესცქეროდა მის წინაშე მდგარ მალალოს, რომელსაც მოულოდნელობისაგან საქციელი წახდენოდა და აღარ იცოდა რა ექნა, ან როგორ მისალმებოდა უცნობს.

— დედა, მარინე ველარ იცანი, სანდრას ქალი? — მალხაზმა დედას ხელი მოჰხვია და თვალებში ჩახედა.

— უი, დამიდგა თვალები, მოდი შვილო, მოგეხვიო. ისე გამოცვლილხარ, იმნაირად გადასხვაფერებულხარ, ველარ გიცანი. — მალალომ ქალიშვილი ჩაბღუჯა, ჯვარედინად გადაჰკოცნა, მერე ცოტა განზე დაიყენა და გულდასმით ჩაათვალიერა.

— კი, მაგრამა, შენა ლოლა არ გქვიოდა? — გაიკვირვა მალალომ.

— ლოლა მქვიოდა, მაგრამ ახლა მარინე მქვიან! — კეკლუცად შესძახა ქალმა და ხმამაღლა გადაიკისკისა.

— ეს როგორ? — გაიკვირვა მალალომ.

— სახელი გამოიცვალა. — აუხსნა დედას მალხაზმა.

— მე ისევ ლოლას დაგიძახებ, ასე ვარ დაჩვეული. — თქვა მალალომ.

— აბა, ეგ როგორ იქნება? — ჩაერია მალხაზი, — რაც თვითონ ურჩევნია, ის უნდა დაუძახო.

— ვითომ ლოლა რითია ცუდი? — გაჯიუტდა მალალო.

— ეჰ, დედაჩემო, — მალხაზმა სულ მამისივით დამანჭა სახე, — ყველაფერზე დავა სად გაგონილა? გეუბნებიან მარინე დაუძახეო, ადექი და დაუძახე, ამით ვითომ რა გეკარგება?!

— არ მიყვარს, როცა ქალები სახელს იცვლიან. სახელი უნდა კუბოს კარამდე ატარო. აბა, ისე სახელი, რა სახელია?

— რას იზამ, ხომ იცი ძველი ხალხის ამბავი, — ბოლიში მოჰხადა მალხაზმა დედამისს. მერე სტუმარს ხელკავი გამოსდო და კიბეზე ასვლაში მოეხმარა.

დედისკენ აღარ მოუხედნია.

მალალომ თავისი გამოცხობილი ქადები და ალვახაზი გამოუტანა, ნახერხში ცოცხლად შენახული ბუდეშურიც მოართვა, ბროლის დოქით ლალისფერი თავკვერი დაუდგა და თვითონ წასვლა დააპირა, მაგრამ მალხაზმა არ გაუშვა, გვერდით მოისვა, ძალიან საყურადღებო ამბავი უნდა გაუწყოო.

სანამ მალხაზი და მარინე რომელიღაც უცხოურ კინოფილმზე გატაცებით საუბრობდნენ, მალალო სტუმარს წარბქვეშიდან ათვალიერებდა.

ქალს დასაწუნი არაფერი უჩანდა. დიდი კეთილად ანაგები და ლამაზი პირისა-

ხის ქალი იყო. სასიამოვნო, ოდნავ ძლიერი ხმა ჰქონდა. სიცილი კი ისეთი იცოდა, ფანჯრებში მინები ზანზარებდნენ. ეტყობა, ნებიერად იყო აღზრდილი და სითამამე არ აკლდა.

მალალომ გონებაში საგანგებოდ აღნიშნა, რომ ლაპარაკის დროს მარინე რამდენჯერმე შეუმჩნევლად მიესიყვარულა მალხაზს. ერთი-ორჯერ მის სამკერდეზე ღილს წაეტანა და ბორბალივით დაუტრიალა, მერე კისერში ხელი ჩაუყო და რაღაცაზე უმიზეზოდ გადაიკისკისა, ერთხელ უბიძგა კიდეც და ჩექმიანი ფეხის კვირისტავი მალხაზს მუხლში წაჰკრა, რაღაც მიანიშნა.

არ ეჭაშნიკა ეს ყოველივე მალალოს. სულ სხვანაირ რძალს ნატრულობდა იგი, ისეთს, როგორიც თავის დროზე თვითონ იყო: მორცხვი, მორჩილი, უსიტყვო, უფროსებთან მოკრძალებული და თავშეკავებული.

ეს კი მეტისმეტად ახტაჯანა ჩანდა. მართალია, გარეგნობით მოეწონა — ნამდვილი სამებელი ქალი ჩანდა, ღონიერი და სახიერი, ჯიშიანი და გამძლე, თორმეტი შვილის ყოლა რომ შეუძლია ისეთი, მაგრამ მისი ზნე ამთავითვე აშინებდა მალალოს.

„ერთხელ ხონ ჭამა ნიახური და ახლაც რომ არ გამოადგეს, მთლად წაუხდება გუნება“. — დარდიანად ფიქრობდა მალალო.

მალხაზი და მარინე ენად იყვნენ გაკრეფილები, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, სხვადასხვა კინოსურათებიდან ადგილებს იხსენებდნენ, უცხოელ მსახიობთა გვარების ჩამოთვლაში მთელი ცილობა ჰქონდათ გამართული. დროდადრო ისე ცხარედ პაექრობდნენ, გეგონებოდა, სამუდამოდ უნდა წაეკიდნონ ერთმანეთსო. მალალო რომ გაიფიქრებდა, ახლა კი მორჩა, ნამდვილად გაიბუტებიანო, სწორედ მაშინ დაზავდებოდნენ და იმნაირ სიცილს იწყებდნენ, ჭერი ზანზარებდა.

მარინე რომ ახარხარდებოდა, მისი უშველებელი მკერდი ისე ადი-ჩადიოდა, ისე თახთახებდა, თითქოს ვიღაცას ქვეშიდან ხელი შეუბჯენია და ზევით-ქვევით აქანავებსო. როგორც თვით მას, ისევე მის ხმასაც რაღაც სიუხეშე ემჩნეოდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ სიტყვებს კი არ წარმოთქვამდა, გაჰყვიროდა.

მალალო თუმცაღა არ იმჩნევდა, მაგრამ გულში ძალიანაც ნაწყენი იყო; — ქალ-ვაჟი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, გეგონება იქ არცა ყოფილიყო.

„უყურე, ერთი ამასა, — ფიქრობდა მალალო, — რა ურცხვი ყოფილა, რა უტიფრად იკრიჭება, რა ლირფად იქცევა! აი, ჩასკდა შენი თავი“...

მალალომ გონების თვალით შეადარა ერთმანეთს ლიკა და მარინე. მართლია, ბოლომდე არც ერთი მათგანი არ მოსწონდა, მაგრამ ახლა ლიკა უფრო მისანდოდ ეჩვენებოდა. პეტრევიჩის ასულს რაღაც მომხიბლავი პეწიც ჰქონდა. თავისი სიჯიუტისა თუ ჭირვეულობის მიუხედავად, იგი უფრო სათნო და კეთილი ჩანდა, უფრო მეტ გულხალვათობას და უანგარობას ამჟღავნებდა.

ეს კიდევ სოფლურად უხეში იყო, კუნძიდან გამოჩორკნილსა ჰგავდა.

ასეთები კუდს იმნაირად ამოგინასკვავენ, წარბსაც არ შეიხრიან მთელი თავისი ღონიერი სხეულით მოგაწვებიან და ისე გაგდევნიან შენივე სახლიდან, ორიოდ კვირაში სახსენებელსაც კი გაგიქრობენ.

„მართალია, რაღაც სამებურიც ამჩნევია, — ფიქრობდა მალალო, — მაგრამ ქალაქს გაუთამამებია, გაუუტიფრებია. ასე ჰგონია, ჩემნაირი სხვა არავინ დადის ამ ცისქვეშეთშიო. მერე სასწავლებლის დირექტორიც არის და თავი დედოფლად მიაჩნია. ოჰო, ჰო, რა ძნელია ასეთი ქალის რძლად შემოყვანა, შეიძლება, სულაც თავბედი გაწყევლინოს და საფლავშიც ნაადრევად ჩაგიყვანოს. ამისთანა ცხენივით ქალს, გულიც ცხენისა ექნება და წიხლიც“.

ალბათ, ამ უსიხარულო ფიქრების ბრალი იყო, რომ მალალომ „ცხენი“ შეარქვა მარინეს და გუნებაში სხვაფრივ არც იხსენიებდა.

სტუმართან ყოფნა დაუმძიმდა. უნდოდა რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა ატორღიალებულ ქალ-ვაჟს. მაგრამ რამდენჯერაც არ დააპირა წასვლა, იმდენჯერ მალ-



კ. მარქსის სახ. სახ.

ხაზი დადარაჯებულივით ხელში სწვდა და უკანვე დასვა.

მარინესთან ურთიერთობის დროს მალალომ შვილის ქცევაში ერთი თვალში საცემი სიახლეც შენიშნა: თუ ლიკასთან ყოფნისას უფრო მეტად მალხაზი ფუსფუსებდა, ქალს თავს დასტრიალებდა, ართობდა, აშკარად ცდილობდა მისი გულის მონადირებას, აქ საქმეს სულ სხვა პირი უჩნდა: მართალია, მალხაზი აქაც საკმაოდ ნათელსა და არაორჭოფულ ყურადღებას ამჟღავნებდა თავმჯდომარის ასულისადმი, მაგრამ ამჯერად მარინე უფრო ელოლიავებოდა მას, ვიდრე იგი მარინეს.

მალალო ძალაუნებურად ადარებდა ძველი და ახალი სარძლოების ქცევას და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ახალი გაცილებით უფრო მოწადინებული იყო მისი შვილის ხელში ჩაგდებას, მის მოხიბვლას.

მალხაზი კარგად გრძნობდა მარინეს ძალუმ ლტოლვას მისადმი და ძალიანაც უხაროდა ახალგაზრდა ლამაზი ქალის ეს თამამი, თანაც დაუფარავი მიტანება.

— დედა, — შეცვლილი ხმით წარმოსთქვა მალხაზმა და მოულოდნელად ფეხზე წამოდგა. მერე მარინეს მკლავში ხელი სტაცა და ისიც ფეხზე წამოაყენა.

მალალომ გაკვირვებით ახედა მის წინ ასვეტილ ახალგაზრდებს და გულმა რეჩხი უყო. არც მოტყუებულა! მალხაზმა ამოსუნთქვაც არ აცალა, ასაფეთქებელი ნაღმივით მიუგო:

— დედა, მე და მარინემ შეუღლება გადავწყვიტეთ. დაგვლოცე!...

მალხაზის სიტყვებში რაღაც ზეიმური კილოც მოისმოდა და შიშნარევი გაუბედაობაც გამოკრთოდა.

— უი! — შემოიდო ლოყაზე ხელი მალალომ და, როგორც იდგა, ისე გაშეშდა.

ცოტა უფრო გვიან, როცა მალალო ამ შემთხვევას გაიხსენებდა ხოლმე, ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა: — ,,ნეტავი რამ გამაშეშა მაშინ ასე, ხომ ვიცოდი, რასაც მეტყოდნენო‘‘. მაგრამ იმ პირველ გამხელას მაინც თავისი ზარი ახლდა და არც თუ უსაფუძვლო.

— რა, ძალუა მალალო, ხომ არ გიმძიმს ოჯახში ჩემი შემოსვლა?— ისე დოსტოღრივ შეეკითხა მარინე, როგორც მოსამართლე ბრალდებულს.

— ეგ რა სთქვი, გოგონა, — გულწრფელად შეიცხადა მალალომ, — მეცა და ჩემ ქმარსაც ის გვინდა, ვინც ჩვენს შვილს უნდა!... ასე უცებ რომ მომახალეთ, იმიტომ გავიოცე. თორემა... ბედნიერი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახში, ორთავენი დამილოცნიხართ...

მალალო სარძლოსთან მივიდა, წელზე ხელი მოხვია, თავისკენ მიიზიდა და სამჯერ ჯვარედინად გადაკოცნა. მარინე კი იმის მაგივრად, რომ კოცნითვე ეპასუხა, ისე ხვიხვინებდა, ჰეგონება ვინმე იღლიებში უღიტინებსო, თან თავის წითელ ლოყებს სადედამთილოს უშვერდა.

— ხომ ალალად გვლოცავ ძალუა მალალო? — ცბიერი ღიმილით იკითხა მარინემ.

— უი, დამიდგა თვალები, ემაგას როგორ ამბობ, ქალო? აბა, როგორ დაგლოცავთ თუ არა ალალადა! ჩემი შვილის ანარჩევი ხარ, შენ კი არა, გონჯზე-გონჯიც რომ მომიყვანოს, არც მაშინ შევეწინაალმდეგები! არჩევანი მაგისია... — მალალო ნაწყენობას ვერა მალავდა. თვალები მოწკურული ჰქონდა, წარბი აპრეხილი, ხამუშ-ხამუშ სუნთქავდა.

მარინე მიხვდა, რომ პილპილი ზედმეტი მოუვიდა. ამიტომ სადედამთილოს პირველი თვითონ ეცა. ღონივრად მოეხვია და ისეთი მტლაშა-მტლუში აუყენა, კაცი იფიქრებდა ქაღალდის სატკაცუნებლებს ხეთქავენო.

მალალო დაბნეული ჩანდა. თავი ჩაეღუნა. თავშლის ყურით ცრემლებს იწმენდდა.

— ესა, სიხარულისაა. — განმარტა მან, რათა მარინეს მისი ცრემლები არა წყენოდა და როგორღაც მეტად საწყალობლად გაიღიმა.

გახალისებული მარინე მაშინვე დიასახლისობას შეუდგა.

პატარა მაგიდა, ზედ გაშლილი ტკბილეულით, საღვინე დოქით, ტახტთან მიაჩოჩა, თავისი პრიალა ჩექმები. დაიხადა, ტახტზე შეხტა, ბალიშები ირგვლივ შემოიწყო და მოხერხებულად მოიკალათა. მისი

ლამაზად მომრგვალებული მუხლები და სქელი ბარძაყები თეთრად ქათქათებდნენ.

მალალომ ვეღარ გაუძლო მათ უტიფარ სიშიშვლეს, მეორე ოთახიდან თავისივე ნაქსოვი შალი გამოიტანა და თამამ ქალიშვილს შიშველ ადგილებზე გადააფარა.

— გმადლობთ ძალო, ეტყობა გულმა გიგრძნო, რომ მციოდა. — გაუღიმა მარინემ.

მალალო გულდაძმარებული გავიდა.

მომხდარით აფორიაქებულმა ვერც მეორე ოთახში მოისვენა. სახე უხურდა, გულზე მაჯლაჯუნასავით რაღაც აწვა, ყურში კი მარინეს მამაკაცურად თამამი, ბოხხმიანი ხარხარი ჩაესმოდა.

ვაის გავეყარე, უის შევეყარე, — სწორედ ზენკლიაანთზე იყო ნათქვამი.

ლიკასთან მარცხის შემდეგ მარინეს თავიდან მოცილება ხალხში მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, თორემ იცოცხლე, მალალო დაურიდებლად იფრენდა საპატარძლოდ მოძალებულ ამ გომბიოს.

მამისგან გათამამებული მარინე გოდერძიაანთ სახლში ისე შევიდა, თავსაც ისე გრძნობდა, ვითომც მუსიკალურ სკოლაში შესულიყოს და თავის დარაჯებთან ებაასოს.

— აი, ჩასკდა შენი თავიცა და შენი ამრჩევისაცა. — მალალომ იმნაირად ჩაიქნია ხელი, გეგონება, მთელს თავის მომავალ ცხოვრებას ემშვიდობებოდა.

მარინესა და მალხაზს კი ისევ კამათი აეტეხათ. ისეთი გამმაგებით დასძგერებოდნენ ერთმანეთს, კაცი იფიქრებდა გულდაგულ ჩხუბობენო. მალალომ რამდენჯერმე კარის ღრიჭოშიც კი შეიხედა, მართლაც ხომ არ წაიკიდნენ რამეზეო, მაგრამ შიში ამაო გამოდგა, ქალ-ვაჟის დავა მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულიანი შეცილება იყო და მეტი არაფერი...

მარინე გვიანობამდე დარჩა. შუაღამეს აღარაფერი აკლდა, როცა მალხაზმა იგი სახლში გააცილა.

შინ მობრუნებულ სასიძოს დედა საწოლში დახვდა. თავზე საბანი წაეხურა. ეტყობა, ჩასძინებოდა.

მაგრამ მალალოს რა დააძინებდა?

გულზე ცეცხლი ეკიდა! ისეთი გენია მოსდებოდა, ვერც ვერავის გაუზიარებდა და ვერც ვერავის აუწყებდა.

გოდერძისათვის ამის გამჟღავნებას ერიდებოდა, რადგან ძველი მეტივე შეიძლება შვილს შეწინააღმდეგებიყო. და არც ეს უნდოდა. მალხაზისათვის კი ამის განცხადებას აზრი არა ჰქონდა; წინასწარ იცოდა, შვილი თავის განზრახვას მაინც არ დასთმობდა.

ამიტომაც მოერიდა შვილთან შეხვედრას.

ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მალალოს მალხაზთან პირისპირ შეყრა გაუძნელდა და უსიამო ლაპარაკის თავიდან ასაცილებლად ლოგინში ჩაწვა, თავი მოიმძინარა.

გოდერძი ნაშუაღამევს დაბრუნდა. სიმთვრალე არ ემჩნეოდა, მაგრამ მალალოს ვარაუდით არც მთლად ფხიზელი უნდა ყოფილიყო. ერთი უცნაურობა დასჩემდა ამ ბოლო დროს ბაზის მმართველს; მას შემდეგ, რაც პროკურატურასა და სახალხო კონტროლში დაუწყეს წარა-მარა გამოძახება, ღვინო ვეღარ ათრობდა. სიმთვრალე ეწადა, ბევრსაც სვამდა, მაგრამ ვეღარა თვრებოდა.

დაწყევლილივით უთრობი გახდა ზენკლიშვილი!...

ეს ძალაუნებური სიფხიზლე გვარიანად აწუხებდა კიდეც და ქენჯნიდა კიდეც.

იმათ შექნატროდა, ვისაც უგონოდ დათრობა შეეძლო. სულ უფრო და უფრო მეტს ფიქრობდა რეგვენ ბაგრატაზე. რეგვენი კი არა, ჭკვიანზე ჭკვიანი და ბედნიერზე ბედნიერი კაცი ყოფილა ის მამაოხერი. თავის ნაგაზებს რომ დააპურებდა, მეტი არც საქმე ჰქონდა, არც სადარდებელი. დაიდგამდა ორნახადი არაყის ბოთლს, ძირამდე გამოწრუპავდა, ტახტზე წამოგორდებოდა, ტყაპუჭს წაიხურავდა, და იალა! დილამდე გვერდუცვლელად ეძინა. არც შვილი აწუხებდა, არც ქონება...

იმ ღამეს მალალოს ხმა არ ამოუღია, მაგრამ დილით გოდერძის გამოღვიძება და მისი ლოგინზე წამოჯდომა ერთი იყო.

— კაცო, შენა აქეთ-იქით დაყიალობ, ჩვენ კი ღმერთი ისევ შემოგვწყრა.

— ვითომ რაში შეატყე შემოწყრომა?

— იმ შენს ბიჭსა ახლა სხვა ქალი მოჰყავს. მაგრამ იმ პირანდელივითა არც ეს უქნია ღმერთსა...

გოდერძი ნაკბენივით შემოტრიალდა, ლოგინზე ფიცხლად წამოჯდა, მალალოს უსიტყვოდ შეაცქერდა.

— ვინ მოჰყავს? — როგორც იქნა მოახერხა მან სიტყვის ამოთქმა.

— ვინა და სანდრას გოგო, უწინა ლოლა რომ ერქვა და ახლა მარინე დაურქმევია...

— სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი? — სწრაფად იკითხა გოდერძიმ და ხელები წვივებზე დაიტყაპუნა.

— ჰოოდე. სწორედ ისა.

გოდერძიმ ხელმეორედ, შემოიკრა ხელები წვივებზე. მაგრამ ამჯერად ხმა არ ამოუღია. ან რა სიტყვა სჭირდებოდა, ხელებს ისე იცემდა, როგორც კაცი, რომელსაც ეს-ეს არის ახლობლის გარდაცვალება აუწყეს.

— ისეთი გამაცადინებული ჩანს გათხოვებაზედა, რომა მაგასა ველარ მოვიცილებთ. — ფიქრში წასულივით წარმოთქვა მალალომ.

— ასეც მიგრძნობდა გული. მაგათი ამბავი ერთი-ორჯერა ჭორადაც მამცნეს, მაგრამ, სწორედ გითხრა არა მჯეროდა. ვიფიქრე, იმის შემდეგ ამ ძონძროხა ქალს არ მოიწონებს მეთქი, მაგრამ მოვტყუებულვარ! ასე ჰგონია ვაშლივით წითელი ლოყები რომ აქვს, სულაც ასე ექნებაო. ქალი რომ მარტო ხორციანობით ფასდებოდეს, ერიჰა, მაშინა არჩევანი სულ ადვილი იქნებოდა... ნეტავ რა დავაშავეთ, რომ ჩვენთვისა, ერთი გვარიანი სარძლო ვერ.მოინახა?!...

— მაგ ქალისა ხომ არაფერი შეგიტყვია? — გაუბედავად იკითხა მალალომ.

— როგორ არა, განათხოვი ყოფილა, მაგრამა მალავენ.

— უი, დამიდგა თვალები! ვიზედა კაცო, ვიზედა?

— რა ვიცი, ვიღაც ქალაქელ ღლაბუცა მამაძაღლზე. სტუდენტს ამბობენ, მაგის ჯგუფისასა. ჯერ გადაჰკიდებია, მერე კი თხოვაზე უარი უტკეცია...

— შევატყე იმ სასიკვდილესა, ნამდვილად შევატყე, დრონატარები ქალი რომ იყო.

— შენ რომ შეატყე, ეგ საქმეს არა შველის. იმ შენს ვირგლა ბიჭს უნდა შეეტყო. ის ირთავს, ჩვენ კი არა!...

— ისა, ისეა აწყვეტილი და დაბრმავებული, მგონი ფურ-კამეჩიც რომ დაუყენო თვალწინა, ისიც ქალი ეგონება, ჩასკდა მაგისი თავი!...

— ნეტავი რამ გააცოფა ეგ მამაძაღლი! ჯერ იმ ვირეშმაკა პეტროვიჩის ძუკნა არა გვყავს ხეირიანად მოცილებული და უკვე მეორის მახეში გაება!.

— ჰო, ჰო, ჰო, რა ამბავს შექმნიან, როცა გაიგებენ ქალს ირთავსო!...

— მე ვარ და ისეთი დღე მადგა, ჩემს მტერს არ ვუსურვებდი. ისეთ დაკითხვებს მიწყობენ, გეგონება კაცი მომეკლას. ვეუბნები რას მერჩით? თქვენი არაფერი მომიპარავს, ზარალი არავისთვის არ მიმიცია, სახელმწიფოსთვის არაფერი დამიშავებია, მაშ რაღა გინდათ? რას ჩამომეკიდეთ? გაგიგონია! არაფერი არ ესმით!. საიდანაო, რამდენიო, როგორაო, რა ფასადაო, როდისაო, ვისი დახმარებითაო, შენ ვის შეეწიეო, ისინი რატომ შეგეწიენო, — მეტი არაფერი არ აინტერესებთ!.. თუ დაჭერას გადავურჩი, დიდი ბედნიერება იქნება. ისე არიან მოძალებულნი, აუცილებლად დამაზიანებენ...

— უწინამც დღე დამელიოს, ვიდრე შენ რამე შეგემთხვეს! — წამოიყვირა მალალომ, — მერე თითქოს ღმერთს ევედრებაო. ისე დაუწყო ხვეწნა: — გოდო, შემოგევლოს, ჩემი თავი, აიღე და მიაშავე, რაც კი ფული გვაბადია, დეე ჩახეთქონ, ეგება სულაც მაგის მუცლის გვრემა აქვთ! წაიღე, მიაშავე, მიუგდე, მიაცეცხლე! ოღონც შენ დაგესსნან და დეე, გროშიკაპეიკი ნუ გვექნება, ან რა ჭირად გვინდა?. ეს სიცოცხლე უკვე წავიდა და მაგ ბიჭსა კიდევა, ჩვენი არც არაფერი უნდა, არც არაფერი ენაღვლება! წაიღე, შემოგევლოს ჩემი თავი, მიეცი, მიაცეცხლე, მიაშავე, ჭირი დაეტაკა მაგათა!!

— მივცემდი, მაგრამ ეგრე ადვილი როდია. შეიძლება უარეს მარში გაგახვიონ.

მართლმსაჯულების ორგანოების დაქრთამვა მოინდომაო, არ იცი მაგათი ამბავი!

— მაშა, რა ვქნათ? რა გვეშველება?

— ეეჰ, კაცს რომ ბედი არ ექნება, არ ექნება. დაიქცეს ჩემი გაჩენის დღე...

— აბა, ღმერთი არ შერისხო! ძალა უნდა მოიცე! შენ საქმეს მიხედე. ახლა მთავარი ეგ არის. ამ ბიჭმა რაც უნდა, ისა ქნას. თუ ასე ძალიან უნდა, მოიყვანოს. ალბათ, აქვს რაღაც ანგარიში. ეგ იყოს კარგადა, თორემ ჩვენა...

— არა ჯობდა, ეგეც კარგად ყოფილიყო და ჩვენცა?

— იცოცხლე აჯობებდა, მაგრამ იმნაირად გადაიხლართა ჩვენი გზები, მგონია, რომა. ერთაღერთ შვილთან სიამტკბილობა და ბედნიერება ჩვენ არ გვიწერია.

—მართალი ხარ. ეგ აგრე უნდა იყოს. რა გაეწყობა. ჩათრევას ისევ ჩაყოლა ჯობიაო. ზოგიერთ კაცსა ყველაფერი სხვისა უფრო მოსწონს. რაც არ უნდა კარგი რამ ებადოს, რაც არ უნდა კარგი რამ გააჩნდეს, თავისას — სხვისი ურჩევნია. ჩვენი ბიჭიც ასეთია...

— ვითომ რა გინდა მაგითი თქვა?

— ყველაფერი სხვისი თავისაზე უკეთესი რომ ჰგონია, ამიტომ ქალებიც სხვისი გამონაცვალი მოსწონს...

— რა ვიცი, ეგება კარგიც გამოადგეს. რაც არ უნდა იყოს, ჩვენებურია, უფრო უკეთ გაგვიგებს... — სცადა აფორიაქებული ქმრის დაშოშმინება მალალომ.

იგი ისე შეაშინა საუბრის შემოტრიალებამ და ქმრის მიერ გამჟღავნებულმა საფრთხემ, რომ გოდერძისათვის ჯავრის გაქარვება მოიწადინა. თავიც გაიხალისა და მის გახალისებასაც შეეცადა.

— ღმერთმა ქნას. მე ახლა მაგას ვერ შევეჭიდები. — ჩაფიქრებით თქვა გოდერძიმ — თუ შევთვისდით, ხომ კარგი, თუ არა და, ავიყაროთ გუდა-ნაბადი და ისევ ჩვენ პატარა სახლს დავუბრუნდეთ. დეე, ეს სახლიცა და ეს ქონებაც კეთილად მოხმარებოდეთ...

— უი, ვენაცვალე იმ ჩვენს პატარა სახლსა, — ტაში შემოჰკრა მალალომ, — იმის ბალავარსა და იმის ჭერ-ფუძესა. რაც იქაურ სხვენქვეშ სიხარული გაგვიცდია, აქა იმის მეათედიც არა გვრგებია!... ეგენი კარგად იყვნენ და მე, თუნდაც, ხვალვე დავუბრუნდები ჩვენს ძველ სახლს... იმ ორ პატარა ოთახში უფრო მიადვილდება სუნთქვა, ვიდრე ამ დევერხანა ოთახებში!..

ამ უცნაურმა სიტყვებმა აღელვებული ზენკლიშვილი ერთბაშად დაამშვიდა.

გოდერძის არც კი წარმოედგინა, რომ მისნაირ მდგომარეობაში ჩავარდნილ კაცს, ცარიელი სიტყვა ასე დაამშვიდებდა, გულს ასე თუ გაუკეთებდა.

მანამდე განუცდელმა სიამემ შვება აგრძნობინა.

ისეთი გრძნობა აღეძრა, თითქოს, ზეცის თავანი გადაეხსნა და იქ, მტანჯველ კითხვებზე გაცემული პასუხი ამოიკითხა. პასუხი უშეცდომო, უცოდველი, სიმხნევისა შთამნერგავი და სიცოცხლისა მიმნიჭებელი...

ბავშვობაში დაზეპირებული ლოცვის სიტყვები გაიხსენა და ისე მსუბუქად იგრძნო თავი, როგორც პირველი ზიარების დროს, როცა ოქროპირიძეანთ მღვდელმა შუბლზე მირონი მოსცხო, ვერცხლის კოვზით პირში ნაკურთხი ღვინო ჩააწვეთა და სეფისკვერი მიაწოდა.

გუნება გადაეწმინდა. მომავალს იმედიანი თვალით შეხედა. თავისი ბედის საწვიმრო, ამჯერად, არც თუ ისეთი მოღრუბლული ეჩვენა.

ბოლო დროს ზენკლიშვილს სამსახურის საქმეებიც უკეთ მისდიოდა: აგურის ქარხნის ღუმელების შენებას უკვე მორჩნენ და დღე-დღეზე უნდა გაეხურებინათ. გამოსაწვავი აგური უკვე შეჰქონდათ ვეებერთელა ღუმელებში. საშრობი საწყობი და მზელავი საამქრო კი უკვე დიდიხანია მზადა ჰქონდათ.

გოდერძის უხაროდა, რომ დათქმულისამებრ, პირველივე კვარტალში, ქარხანას სრულ სიმძლავრეზე აამუშავებდა და მიცემულ პირობას გაანაღდებდა.

მაგრამ ამჯერად მარტო ეს როდი ამოძრავებდა. საზოგადოებრივ ინტერესს პირადული მიზანიც ერთვოდა: გაჭიანურებული ძიებით გულგაწყალებულ დირექტორს იმედი ჰქონდა, რომ ამით თავის გაჯანჯლებულ საქმესაც არგებდა და მისი ერთ-

გული შრომით დაკმაყოფილებული რაიონის ხელმძღვანელები მოძალებულ პროკურატურასა და სახალხო კონტროლს თავიდან ჩამოაცილებდნენ.

მართალია, ერთგული მეგობრები, რომელიც გოდერძის ახლაც საკმაოდ შემორჩა, ამხნევებდნენ: გაჭიანურებული ძიება კიდევ უფრო გაჭიანურდება და ბოლოს თავისთავად ჩაქრებაო, მაგრამ მარტო ამის იმედად ყოფნა ვერაფერი თამასუქი იყო.. სამსახურებრივ წარმატებას კი შესაძლოა ამ აუტანელი წეწვა-ღლეჯვისათვის, ბოლოსა და ბოლოს, წერტილი დაესვა.

ორიოდე კვირამ შეუმჩნევლად გაირბინა. გოდერძი გამომძიებლებს არ შეუწუხებიათ. არც მალხაზს გამოუმჟღავნებია აჩქარება თავმჯდომარის ქალის ცოლად მოყვანაში. მან თითქოს მიივიწყა კიდეც დედისადმი გამჟღავნებული სურვილი.

იმედმოცემულმა გოდერძიმ უფრო მეტად იწყო მომავალზე ფიქრი. ხანდახან ახალ გეგმებსაც კი ადგენდა. მას თანდათან, უბრუნდებოდა ჩვეული სიდინჯე და თავდარწმუნებულობა. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ აზობოქრებული ზღვა უკვე გადაცურული ჰქონდა.

მაგრამ ნაადრევად აღძრულმა იმედმა და-მისი მაცდური წათამამებით გადადგმულმა ერთმა ნაბიჯმა ისეთ უსიამოვნებას გადაჰყარა, რომელმაც კვლავ უკუღმა დაატრიალა, თითქოსდა წაღმა შეტრიალებული მისი ბედის ჩარხი...

მარტმა გაუთავებელი წვიმები მოიტანა...

ასეთი ნამიანი გაზაფხული სამებელებს კარგა ხანია არ ახსოვდათ.

გზები ისე ატალახდა, მანქანით კი არა, ურმით ჭირდა გავლა.

და აი, ამ დავიდარაბაში, წვიმასა თუ ქარში, გოდერძი ყოველ დღე ბლისძირში ადიოდა და ჩვიდმეტკილომეტრიანი გზის თითქმის ნახევარს ფეხით კეცავდა.

ისე გაბეზრდა, ისე დაიქანცა, რომ ეს უთქმელი და ჩივილს მიუჩვევი კაცი ყოველ სისხამ დილით თავისი გაჩენის დღეს წყევლიდა, მაგრამ სამუშაოზე მაინც დაუგვიანებლად ცხადდებოდა.

ბოლოს, როცა მოთმინება საბოლოოდ დაელია, რაისაბჭოს ახალი თავმჯდომარის სიტყვები გაიხსენა: — „ჭიგულის" შეგაძენინებთ და რამდენიც გინდა, იმდენი იარეო". ამ გახსენებამ მოულოდნელად, ერთი კვიმატი აზრი გაუჩინა და მოსვენება დაუკარგა: „რა იქნება, მართლაც რომ შევიძინო? მაშინ ხომ გადავრჩები ამ წყეულ გზაზე ფეხით სიარულს?"

ეს აზრი მით უფრო მიმზიდველი ეჩვენა, რომ აგურის ქარხნის დამთავრებასთან დაკავშირებით სამებიდან ბლისძირამდე გზატკეცილის გაყვანას შეუდგნენ და გზის დამთავრებას ზაფხულისათვის აპირებდნენ.

პირველ ხანებში გოდერძი ჯიქურად უძალიანდებოდა თავის მაცდურ სურვილს.

გამოცდილი კაცი იყო, იცოდა, ასეთ ნაბიჯს შესაძლოა უსიამოვნება მოჰყოლოდა. მაგრამ გაჭირვებამ სიფრთხილე დაავიწყა მაგრამ გაჭირვებამ სიფრთხილე დააკარგვინა. „ბოლოსა და ბოლოს რა დიდი ამბავია ერთი „ჟიგულის" ყიდვა, — ფიქრობდა იგი — ნუთუ ქარხნის დირექტორმა „ჟიგულის" ყიდვა არ უნდა შეძლოს?"

მანქანის შეძენის სურვილი, რომელიც სულ უფრო და უფრო უძლიერდებოდა, მოსვენებას არ აძლევდა, აწვალებდა, გოდერძიმ მალალოს გაანდო. მალალომ კი ეტყობა მალხაზს ახარა.

ერთ დღეს, როცა გოდერძი ის-ის იყო ვახშამს მორჩა, სამზარეულოს კარი მალხაზმა შემოაღო. თუ სტუმრები არა ჰყავდათ, ზენკლიაანი სამზარეულოში ჭამდნენ პურს.

მას შემდეგ, რაც მამა-შვილს შორის გარეგნულად შეუმჩნევი, მაგრამ ძნელად ასარიდებელი უმძრახობა ჩამოვარდა, გოდერძი ყოველთვის ერიდებოდა შვილთან ლაპარაკის დაწყებას და ხმის პირველ ამოღებას მას უთმობდა.

მაგრამ საუბრის დაწყებას, ჩვეულებრივ, არც მალხაზი ჩქარობდა, მას სიჩუმე უფრო აწყობდა.

ზენკლიაანთ სამზარეულოში ამჯერად სწორედ ასეთი სიჩუმე იდგა.

სკამის საზურგეზე გადაწოლილი გოდერძი პურის ბურთულებს აგორგოლავებდა და შვილს წარბქვეშიდან გასცქეროდა. მაგიდაზე წახრილი მალხაზი კი დიდი ფი-

ნჯნიდან ჩაის ხმამაღლა ხვრეპდა და კარტოფილიან ღვეზელს ნება-ნება აყოლებდა.

მალალო გაჰქურასთან ფუსფუსებდა. როცა საქმეს მორჩა, მამა-შვილს შეუმჩნევლად გადახედა და ზავთიანობა რომ ვერ შეამჩნია, მათი ლოგინების გასაშლელად გავიდა.

გოდერძიმ იმედი რომ გადაიწყვიტა, შვილი რაიმეს მეტყვისო, ისიც მძიმედ წამოდგა და კარისკენ გაემურა, ეტყობა ძილს აპირებდა.

თითქოს ამას ელოდაო, მალხაზმა მიმავალ მამას ანაზდად კითხვა მიაყოლა:

— მამაჩემო, გავიგე მანქანის ყიდვას აპირობ, მართალია?...

გოდერძი შეჩერდა, მაგრამ არ შემობრუნებულა, მხოლოდ თავი მოღრიცა ოდნავ.

— ვაპირობ კიდეც და არც ვაპირობ, ჯერ ვერ გადამიწყვეტია. — როგორღაც შემარიგებლურად თქვა გოდერძიმ.

— დიდი უგუნურება იქნება.

— რა იქნება უგნურება? — თავის მოუბრუნებლად იკითხა გოდერძიმ.

— ახლა, ამ გართულებულ სიტუაციაში მანქანის ყიდვა...

სიტყვა „სიტუაცია" ჯერ კიდევ ისაკამ შეაჯავრა გოდერძის. ის რომ სიტუაციას იტყოდა, აუცილებლად დაშხამულ აზრებს მოაყოლებდა. მას აქეთ ეს სიტყვა ისე მოქმედებდა ზენკლიშვილზე, როგორც გახელებულ ბუღაზე წითელი ხელსახოცის ქნევა.

— ეგა შეიძლება სწორიც არის, მაგრამ იმ სიმორეზე სიარული შენ ადვილი გგონია? აბა, ერთი გაისარჯე და სამი დღე ზედიზედ აქეთ-იქით მიდი-მოდი, ვნახოთ, რა გუნებაზე დადგები...

— კარგი, დავუშვათ ეგ აგრეა, რა ფულით გინდა იყიდო მანქანა?

ახლა კი იკადრა შემობრუნება გაწბილებულმა მამამ.

დიდხანს უცქირა შვილს ონავარი ქარისაგან შეწითლებული თვალებით, დიდხანს აფახულა თავისი გრძელი წამწამები, მერე კი ნახევრად ხუმრობით, ნახევრად მწყრალად ჩაუმარცვლა:

— აი, იმ ნეტარცხონებულმა დარეჯანამ, ღედიშენის ღედამა, მზითვის ანგარიშში ფული რომ დამიტოვა, იმითი მისდა ვიყიდო... ხომ არაფერს წავახდენ, ბიჭო?

მალხაზმა ერთბაშად არ უპასუხა. იგრძნო მამის პასუხის დამცინავი კილოვანება.

— არა თუ წაახდენ, თავსაც დაიღუპავ და მეც დამღუპავ.

— რათა, ბიჭო, რათა? — იკითხა გოდერძიმ, — თუმცა გულში თვითონაც კარგად გრძნობდა შვილის სიმართლეს. ამ საკითხზე ადრეც არაერთხელ უფიქრია. სწორედ ეს უბორკავდა ხელ-ფეხს.

— კაცი ძიების ქვეშა ხარ. ეჭვი აქეთ, რომ ბაზაში მუშაობისას მეტისმეტად ბევრი ირგე. ამ მიზეზისა გამო, სადღაც დასაკარგავში გიკრეს თავი, შენი გულისთვის მეც პარტიული სამუშაოდან საბჭოთაზე გადამაგდეს, და ახლა, ყოველივე ამის შემდეგ, გინდა შენი ფულიანობა ასე თამამად დაადასტურო? განა ეს ჭკუაა?... რისი იმედით? ხვალ რომ სულაც ციხეში გიკრან თავი?.

— მიკრან და, ჯანდაბას ჩემი თავი.

— კარგი, ვთქვათ შენი თავი ჯანდაბას, მაგრამ ჩემი თავი? მე რა შუაში ვარ, მე რა დავაშავე, მე კაი კაცო, მე მაინც დამინდე!...

— ესე იგი, ჩემი თავის მოჭრაზე თანახმა ხარ, მაგრამ შენს დაზარალებაზე, არა. ასეა ხომა? — ჩაიღიმილა გოდერძიმ.

— თუ შენი თავი არ გენაღვლება, აბა, მე რა გიყო? ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის დამრჩენია, რომ ჩემს თავზე ვიზრუნო...

— ვინძლო, არავინ არაფერი გისაყვედუროს, არა? — იმავე სევდიანი კილოთი ჰკითხა გოდერძიმ.

— ოღონდაც, ოღონდაც. აბა, როგორა გგონია, მაშ, როგორ გინდა? განა მაქვს კია უფლება ჩემს მომავალს, ჩემს ბედს, ჩემს ხვალინდელ დღეს ისე უდიერად მოვეპყრა, როგორც შენ შენსას ეპყრობი?..

— გამოდის რომა, მე გიშლი ხელსა?

— დიახაც მიშლი! — წამოცდა გაჯურებულ მალხაზს, მაგრამ მაშინვე მიხვდა გადავამლაშეო და იქვე გაისწორა, — განზრახ კი არა, შენდა უნებურად.

— ჩემდა უნებურად? — ისევ იმ სევდიანი ღიმილით იკითხა გოდერძიმ.

— მამი, უნდა გამიგო, კი არ უნდა გეწყინოს, უნდა გამიგო!... — თითქმის მუდარით თქვა მალხაზიმა.

— გაგიგე, შვილო, გაგიგე, — გოდერძი წელათრევით გავიდა და კარი უხმაუროთ გაიხურა.

მეორე ოთახიდან კიდევ დიდხანს ისმოდა მისი დახუთული ხველება. მას შემდეგ, რაც ბლისძირში მუშაობა დაიწყო, წარმამარა ცივდებოდა და ხველა არ ეშვებოდა.

ნავახშმევს, როცა აღელვებული მალხაზი სასტუმრო ოთახში გავიდა, ქაღები აანთო და დიდ წითელ სავარძელში ჩამჯდარმა გაზეთში ჩარგო თავი, მალალო, რომელმაც არაფერი იცოდა მამა-შვილის წელანდელი საუბრის შესახებ, სუფრის ალაგების შემდეგ შვილს თავზე წამოადგა და დიდიხნის შემზადებული საუბრის დაწყება სცადა.

— მალხაზო, გენაცვალოს დედაი, გატყობ რაღაცა გაწუხებს. ამის დამნახავი ლამის მეც ჯავრმა მომიღნოს. გამანდე შენი სადარდებელი, ამითა თვითონაც გეშელავათება...

ბიჭმა თავი ასწია, მაგრამ მის მკაცრსა და მსუსხავ თვალებში მალალომ სანუგეშო ვერაფერი ამოიკითხა. ამან ცოტა არ იყოს შეაცბუნა, დააბნია, მომზადებული სიტყვები შემოუფანტა, ლაპარაკის ძაფი გაუწყვიტა.

—თუ მამჩნევთ, რომ რაღაც მაწუხებს, ალბათ, იმასაც მიხვდებოდით, სახელდობრ, რა მაწუხებს. — მალხაზი ამ დროს გაფხორილ ინდაურს წააგავდა.

— ხვალინდელი დღე ნუ გამითენოს ღმერთმა, თუ ვიცოდე!

ბიჭმა დაკვირვებით ახედა დედას.

— კარგი, გეტყვი. მაშ იცოდე, ყველაზე მეტად მამაჩემის საქმე მაწუხებს...

— დამიდგა თვალები, ცუდი ხომ არაფერი ჭირს?

— ისეთი არაფერი, მაგრამ... — მალხაზს თვალები გაექცა.

— ცუდად ხომ არ წაუვიდა საქმე? — არ ეშვებოდა ერთბაშად გაფითრებული მალალო, — იმ წყეულმა გამომძიებლებმა ხომ არაფერში დაიჭირეს?!

— არა. განა მაგის გამოჭერა აგრე ადვილია.

—მაშ, რა გადარდებს?...

— ეჰ, დედაჩემო, დედაჩემო, საწუხარისა და სადარდებლის მეტი რა მაქვს?!...

— ეგრე, ქარაგმულად ნუ მელაპარაკები, შენამც დაგენაცვლე... მე ჩემი დამემართა! თუ ამბობ, გასაგებადა თქვი.

— კარგი, გასაგებად გეტყვი: არც ადრე მომწონდა და არც ახლა მომწონს მამაჩემის საქმიანობა. ცუდი სახელი დაიგდო; საქმოსანსა და კომბინატორს ეძახიან...

— უი, დამიდგა თვალები! ეგ რა სთქვი, შვილო? მამაშენის აუგი ჯერ არავის უთქვამს, რომელი ოხერი ეძახის აგრე?

— შენ ეგრე გგონია! აბა, დაუგდე ყური ხალხს, მაშინ, ნახავ, რასაც ლაპარაკობენ.

— რასა? რას ლაპარაკობენ ეგ გასაწყვეტლები?

— წამლეჯიაო, ჯერ იყო და ბაზა თავის დუქნად აქციაო, მილიონერი გახდაო, ახლა კვალის დასაფარავად სხვაგან გადაიყვანესო, მაგრამ იქაც მაგრად ხეირობს აგურზეო...

— დამიდგა თვალები, მაგისთანა კაცზედა განა ეგ ითქმის? აბა, მითხარი, სად, ვის რა გაჭირვებია, რომ მაგასა დახმარების ხელი არ გაეწვდინოს? განა საკუთარი ცოტა მიუცია? განა ცოტა მიუშავებია თავისზე უფროსებისთვისაც და უმცროსებისთვისაც?

— აქვს და აძლევს.

— დიახაცა! მაგრამ ხომ შეეძლო სულაც არ მიეცა და მარტო თავისი თავი ესარგებლებინა?

— არა, არ შეეძლო! მაშინ ერთ დღესაც არ გააჩერებდნენ სარფიან სამუშაოზე, მაშინვე ჭიტლაყს ამოკრავდნენ.

— გამოდის, რომა ისინი თხოვენ და ეგეც აძლევს?

— კი მაგრამ საიდან აძლევს?

— შოულობს და აძლევს!

— საიდან შოულობს?

— როგორ თუ საიდან, მშოვნელი კაცია და შოულობს!

— საიდან, საიდან შოულობს?

— ფულიან საქმეში დგას და ფულმა კი ფულის მეტი რა იცის!

— გამოდის, რომ ფული თავისით ეკრობა ხელზე? ძალად ეკრობა, თვითონ ხელს არ ახმარს, არა?

მალალომ იგრძნო, რომ ის „მთავარი ლაპარაკი", რომელიც ასე სწადდა და რომლისკენაც ასე ისწრაფვოდა, ახლა იწყებოდა. ძნელად, მძიმედ დაიწყო იგი და ალბათ კიდევ უფრო მეტ უსიამოვნებას მოუტანდა. ამიტომ მთელი თავისი ძალა მოიკრიფა, მღელვარება ჩაიცხრო და შვილს დინჯად გაეპასუხა:

— ეგება ახმარს კიდეცა, მაგრამ ეგა ჭკუისაა. მაშ როგორ გინდა, წყალში იდგეს და წყალი არ დალიოს? ცეცხლში იდგეს და ხელი არ მოითბოს? ყველაფერი მაგის კისერზე იყოს და თვითონ არ ისარგებლოს? სხვებს ასვას-აჭამოს და თვითონ მშიერი დარჩეს? განა არის კია ასეთი კაცი ქვეყანაზედა?

— ეჰ, ლაპარაკობ უანგარიშოდა, — ხელი ჩაიქნია მალხაზმა, — მაგის გულისთვისა მე ვზარალდები!..

— რათა, ბიჭო, შენ რატომ ზარალდები? განა ეს ყველაფერი შენთვის არ უნდა? განა შენთვის არ აგროვებთ ყველაფერსა?

— ეჰ, — წარბები შეჰყარა მალხაზმა და ამით სახე კიდევ უფრო გაუმკაცრდა, — ეგ ქონება ბოლომდე შემრჩება თუ არა ესა ჯერ ეშმაკმაც არ იცის. სამაგიეროდ ზარალი კი დღესვე ხელში მიჭირავს! დიახ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მე ვზარალდები! ამასწინათ, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ ვუნდოდი, მაგრამ არა ქნეს, — სავაჭრო კაცის შვილიაო, ქაფისტისაო, კომბინატორისაო, მილიონები დააგროვაო. იმაზე წინ, იმავე მიზეზითა რაიკომში არ გამაჩერეს, მამაჩემის გამო ჩემს ყოველ დაწინაურებაზე სულ ხელებს ასავსავებენ... როდემდე უნდა ვიყო ასე? გაიგე, დედაჩემო, რომ ახლა პაპიჩემის, კაკოლას, დრო აღარ არის. ფულსა და ქონებას ძველებური ძალა აღარა აქვს. არც ის ძალა აქვს ამ ოროდე წლის წინათ რომ ჰქონდა, ახლა თანამდებობა და საზოგადოებრივი მდგომარეობა უფრო მეტს იძლევა, ვიდრე ფული, მე რომ რაიკომში ვყოფილიყავი...

— კი, მაგრამა, განა იმ რაიკომშიაც ისევ იმ მამაშენმა არ გაგიყვანა? იმ შენს რაიკომის მდივნებსაც იმდენი დააყარა, სახლები აუვსო, ის სულელი ცქვიტინიძეც სულაც მაგან დაასახლა!

მალალოს სახე ალეწოდა, თვალები უელავდა, ეტყობა კაკოლა შავდათუაშვილის სისხლი ამღელვარებოდა ძარღვებში. მისი სიტყვებიც უფრო მკვახედ და უფრო ძლიერად გაისმოდა.

— განა, იქამდე სკოლის დირექტორადაც ისევ მამაშენმა არ დაანიშვნინა შენი თავი? აგრე მალე დაგავიწყდა ყველაფერი? ეს რა უმადური ყოფილხარ, ბიჭო! მაგისთანა მამაზედა სულ პირჯვარი უნდა იწერო, შენა კიდევა გადმომდგარხარ და მაგის სახელს აბურთავებ!.. სხვა უშენო ზედ გადაჰყვებოდა, შენი სიკეთის მეტზე, არაფერზე ფიქრობს, ყველაფერი მაგან არ გაგიკეთა?

მალხაზმა ნერწყვი გადაყლაპა. ეტყობა, ხახა გაუშრა. დედის ასეთი ჯიქური შემოტევა ჯერ არ განეცადა.

— ისა მაშინ იყო, ახლა სულ სხვანაირად არის საქმე, ახლა ესენი...

— ნუ გეშინიან, ამათაც მიუდგება, — შეაწყვეტინა სიტყვა მალალომ, — ცოტა დააცადე და აუცილებლად მიუდგება...

— ვერა, დედიჯან, ვერა! ახლა სხვა დროა, სხვა საზომებია, სხვა მოთხოვნებია!.. ახლა სულ სხვა ხალხი მოვიდა სათავეში. იცი რა ხდება საქართველოში?

— ვითომ რა ხდება? არაფერიც არა ხდება! მილიციის უფროსი ისევ ის არის, პროკურორი, — ისევ ის არის, მოსამართლე, — ისევ ის არის. საქმეც ისევ ისე ბრუნდება მიყავთ! ეგ არის, მამაშენს ჩამოაცივდნენ და კიდევ ორიოდე კაცსა, გოდერძის ჭირი დაეტაკოთ მაგათა. მაგით გაასწორებენ ცხოვრებასა?

— პირველი მდივანი ხომ გამოცვალეს, ვინც არ ევარგება, იმასაც დაცვლიან. მოიცადე, ხელის ერთი დაკვრით საქმე ვის გაუკეთებია?! მთავარი ის არის, რომ ყინული

დაიძრა. ახლა ყველაფერი შეიცვლება, ყველაფერი სხვა გზით წავა.

— არა მჯერა, შვილო, არა. წყალი ისევ თავის სადინარს მონახავს. რაც ხალხს მოსწონს და ეგემრიელება, იმასა ვერც აგრე ადვილად მოაშლევინებ და ვერც აღუკვეთავ.

— საქმეც მაგაშია, დედაჩემო, რომ ისა აღარც ხალხს მოსწონს. ახლა ხალხსაც სულ სხვა რამ უნდა...

— შეიძლება სხვა რამაც უნდა, მაგრამა ყველაზე მეტად ისევ ფული და ქონება უნდა. ახლა, გემო რომ გაუგეს ცხოვრებასა, განა აგრე ადვილად გადაავიწყებ?. შენა კიდევა ზომიერად იყავი. ხალხს ნუ გადაიკიდებ. მთავარი ხალხია, დანარჩენსა მამაშენი მოგიწყობს. მაგის მხარშედგომით უფრო შორს არ წაიწევი? ფხა და უნარი შენი იყოს, ძალა და შეწევნა მაგისა..

— სწორედ ეგ არ მინდა! მე, ჩემით მინდა გზა გავიკაფო, და ძალაც შემწევს ქადილისა. თქვენ კიდევა ხელს მიშლით! — მოთმინებაგამოლეულმა მალხაზმა ერთბაშად იფეთქა.

— რითი, შვილო, რითი გიშლით ხელსა?

— თქვენი სახელითა, თქვენი ქონებითა! შენ გგონია, ვითომ არ იციან, რომ დიდძალი ფული გაქვთ გადამალული? რომ ასეული ათასები გაგაჩნიათ, რომ, კოოპერაციულ მშენებლობაში თანხა შეიტანეთ ოთხოთახიან ბინაზე? ან, გგონია ვერა ხედავენ ეს სასახლე რომ წამოჭიმეთ, იმპორტული ავეჯითა, ბროლითა, ხალიჩებითა. გგონია ბრმები არიან? სადმე რომ დამინიშნონ, იტყვიან ადგილი უყიდესო. იმათ კიდევ ამ ლაპარაკისა ეშინიათ და ადგილს არ მაძლევენ. აი, რა დღეში ჩამაგდეთ! და განა სხვაზე ნაკლები ვარ, ან სხვაზე ნაკლები შემიძლია? მე, თუ გინდა იცოდე, ორი თავით მაღლა ვდგევარ ყველაზე!...

მალალომ ვეღარ გაუძლო შვილის გაასპიტებულ მიტანებას, ავიშვიშდა, აცრემლდა, თავშალის ყური მოიმარჯვა და ხან ერთ თვალს იმშრალებდა ხან მეორეს.

შავდათუაანთ ქალს გაჭირვების ატანა დიდხანს შეეძლო, მაგრამ დიდხანს ბრძოლა, ისიც თავისიანებთან, მის ბუნებას არ ეგუებოდა.

მალხაზი სავარძლიდან წამომხტარიყო და ოთახში ისე მიდი-მოდიოდა, როგორც გალიაში მგელი.

დედა-შვილმა ერთდროულად იგრძნო, რომ ავისმაცნე ლაპარაკმა გულში ორთავეს რაღაც ჩასწყვიტა და ერთიმეორისათვის თითქოს უფრო უცხო, უფრო შორებელი გახადა.

აქამდე განუცდელ შიშს მალალო მდუღარესავით დაეთუთქა, ფერფლივით ჩაენავლა. ერთადერთი შვილის უზომო პატივმოყვარეობით, მისი თავის გამოჩენის დაუფარავი წადილით შეძრწუნებულ ქალს სიტყვის ამოთქმაც აღარ შეეძლო. მალალო უხმოდ შესცქეროდა მალხაზს, რომელიც იმდენად უკარება და გამოუცნობი ეჩვენებოდა, თითქოს, ეს ლამაზი, წარმოსადეგი ყმაწვილი მისი ღვიძლი შვილი კი არა, ვიღაც უცხო, გადამთიელი ყოფილიყო.

სხვა დრო და გარემოება რომ ყოფილიყო, მალალო მაშინვე წამოხტებოდა, თავის ოთახში შევარდებოდა, ლოგინზე დაეგდებოდა, თავს ბალიშის ქვეშ შეჰყოფდა და ტირილით გულს იჯერებდა. სწორედ ისე, როგორც ომიანობის დროს არაერთხელ უქნია, როცა მეზობლიანნი წერილს მიიღებდნენ, ხოლო მან გოდერძისა არაფერი იცოდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი.

მაგრამ მალალო გრძნობდა, რომ აქ ლაპარაკისაგან ახლა გაქცევა არ ეგებოდა. ბოლოსა და ბოლოს, ხომ უნდა გაერკვია მას, რა სწადდა, ან საით იწევდა მისი უჯიათი შვილი, რომელსაც, როგორც აშკარად ჩანდა, დედ-მამა იმის მეათედადაც არ უღირდა, რამდენიც ეს უწინ მშობლებს ეგონათ.

მალალო ფარულად გასცქეროდა ოთახში წინ და უკან მოსიარულე შვილს, ვისი წარბის ერთი შეჭანების აზრს, ჩვეულებრივ, შეუცდომლად იგებდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად ვერაფერს მიმხვდარიყო. ერთი იყო მხოლოდ ცხადი: მალხაზი უჩვეულოდ აღელვებული ჩანდა, ეტყობა, თავის თავს ებრძოდა. ბოლოს იგი დედის წინ შედგა და რაღაც უცხო ხმით უთხრა.

— ნუ გეწყინება, დედაჩემო, ნურც შენ, ნურც მამაჩემს, მაგრამ ახლა დროებით და-

შორება გვიჯობს. ცოტა ხანი აგრე აჯობებს, მერე ისევ შევერთდეთ...

მალალომ უცებ ვერ გაიგო ნათქვამის აზრი, მაგრამ მეყსეულად იგრძნო, რომ ამ სიტყვების უკან რაღაც საშინელი რამ იმალებოდა.

ხელები საცოდავად გაასავსავა და ეს ამოდენა ქალი გულშეღონებული იატაკზე გაიშხლართა.

შეშინებული მალხაზი დედას ეცა. წამოაყენა. საწოლზე წამოაწვინა. ცნობა დაუბრუნა და თავთით იქამდე უჯდა, სანამ მალალო ფეხზე არ წამოდგა.

შვილს ეგონა, რომ გონს მოსული დედა ვედრებას დაუწყებდა, სახლში დარჩენას შესთხოვდა, შეემუდარებოდა, მაგრამ მალალოს კრინტიც არ დაუძრავს. გეგონება, არაფერი არა თქმულიყოს და არაფერი არ მომხდარიყოს. კიდევ დიდხანს იჯდა საქციელწამხდარი მალხაზი, მაგრამ როცა დედამისმა ერთი სიტყვაც არ აღირსა, ერთხელაც თვალი არ გაუსწორა, — წამოდგა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

რაც დღე გადიოდა, მით უფრო მეტად იბზარებოდა ზენკლიაანთ ოდესღაც მხიარული და პურმარილიანი ოჯახი.

შინაგან ზავთიანობას სტუმრიანობის შეწყვეტამაც შეუწყო ხელი. სტუმრიანობა თითქოს უფრო ჰკრავდა და ადუღაბებდა ზენკლიაანთ. ახლა კი, ვახტანგ პეტროვიჩის სამებიდან წასვლის შემდეგ, თითქმის აღარავინ არ მიჰკარებიათ.

ახალი მდივანი მამაპაპური ნადიმების მტერი გამოდგა და გადაჭარბებული ქეიფები მავნე გადმონაშთებად მიაჩნდა. აბა. ბიჭი იყავი და ახალი მდივნის ეს მითითება არ გაგეთვალისწინებინა!

მარტო ზენკლიაანი როდი იყვნენ ამ დღეში. თითქმის ყველა სამებელმა აიღო ხელი ხალხმრავალ ნიშნობა-ქორწილებსა, ქელეხებსა თუ დღეობებზე. ასკაციანი სეფა იშვიათობად იქცა და მორდეხა მანაშეროვის საქელეხო მაგიდები, თავისი ჭურჭლეულით, დანა-ჩანგლით, ბოთლებითა და სასმისებით, უწინ სამებელთა შორის რომ აქირავებდა, ახლა უქმად ეყარა.

კაცმა რომ თქვას, საქეიფოდ აღარავის ეცალა. მომთხოვნელობა და კონტროლი ისე გაიზარდა, სამებელებს ლხინისათვის კი არა, ზოგჯერ სამხრობისათვისაც კი აღარ რჩებოდათ დრო.

გოდერძიანიც ამ დღეში იყვნენ. ოჯახის თავი დილიდან საღამომდე აგურის ქარხანაში ტრიალებდა, შვილი მთელ დღეებს რაიაღმასკომში ალამებდა, ქმარ-შვილს დანატრებული მალალო კი ოთახებში გამოყრუებულივით დაბორიალობდა და შინაურ საქმეში ახშობდა თავის ხვაშიადს.

მამასთან უსიამო ლაპარაკის შემდეგ, მალხაზი კიდევ უფრო გაგარეულდა.

ზოგჯერ არც ღამეობით მოდიოდა სახლში და არავინ არ უწყოდა, სად ათენებდა ან სად აღამებდა.

ერთ საღამოს, სამუშაოდან დაბრუნებულ გოდერძის შინ ისაკა დანდლიშვილი და სერგო მამაჯანოვი დახვდა.

ისაკა, ვახტანგ პეტროვიჩის სამებიდან წასვლის მეორე თუ მესამე კვირასვე გადაბარგდა ჯავახეთში და იქ ბოგდანოვკის რაიკავშირის მომმარაგებლად დაიწყო მუშაობა. არც სერგო შერჩა დიდხანს „დაობლებულ“ სამებას, საცხოვრებლად სურამში გადავიდა და რომელიღაც სამედიცინო დაწესებულების საწყობის გამგედ მოეწყო.

მეგობრებმა ძველი დრო გაიხსენეს, სინანულით თავი დიდხანს აქნიეს, „მახლას“, „მახლას“ იძახეს და ისე გამოიბრუჟნენ თავკვერით, პირში ენას ვეღარ ატრიალებდნენ.

სანამ სუფრას შემოუსხდებოდნენ ისაკამ მალალო და გოდერძი მეორე ოთახში გაიხმო.

იქ მან რაღაც განსაკუთრებული სიდინჯით უბის ჯიბიდან საგანგებოდ გახვეული შეკვრა ამოიღო და ცოლ-ქმარს მალხაზის მიერ ლიკასათვის ბელგად მიცემული ბეჭედი, გულქანდა და სამაჯური დაუბრუნა. — ვახტანგ პეტროვიჩმა გამოგიგზავნათო.

მაგრამ უბრალოდ როდი მისცა, ხელწერილი მოსთხოვა. გოდერძიმ ჯერ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არავითარი ხელწერილის მიმცემი არა ვარო, მაგრამ ისაკას ხერხიანობამ აქაც გასჭრა: ხელწერილი ისე ეშმაკურად დააწერინა, რომ პეტ-

როგორც იგი ვერაფერში ვერ გამოიყენებინა.

როცა დანდლიშვილმა დავალება შეასრულა, ხმა დაიშაქრა და ვითომც სხვათაშორის დააყოლა: ვახტანგ პეტროვიჩმა შემოგითვალა, რომ ახლა, შესაძლოა, ჩემმა მტრებმა ისარგებლონ და შეეცადონ, როგორც ჩემს ყოფილ მეგობარს, რამე წამოგაცდენინონო. ღმერთი არ გაგიწყრეს, არაფერი წამოგცდეს, თორემ ჩემზე ადრე შენსავე თავს დაღუპავო. ჩვენს საქმეებზე კრინტი არ დასძრა და არც ლიკასა და მალხაზის ამბები გაანდო. ვისმესო. ახლა უფრო მეტად გვმართებს ერთ-ურთის მხარის მიცემაო...

მიუხედავად საქმიანი შეხლა-შემოხლისა, მაინც კარგად მოილხინეს, ნაცნობები მოიგონეს, ტკბილად იჭუკჭუკეს, გულიანად იცინეს. მაგრამ ბოლოს ყოვლისმცოდნე ისაკამ კვლავ ბალღამი ჩააწვეთა გამხიარულებულ ოჯახის მეთაურს:

— შენი ბიჭი, თურმე, კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სანდრას ქალს ირთავს. — ხანჯალივით აძგერა მან ზენკლიშვილს, — ცდილობს საიმედო სიმამრი იშოვოს; თუ გაუჭირდა, სანდრა შეეშველება, ხომ იცი, მთელს რესპუბლიკაში ცნობილი კაცია, რაიკომის მდივანზე ნაკლები როდია. ქონებაც კარგა აქვს მოხვეჭილი. ვერც პირდაპირ და ვერც ქვეშ-ქვეშიდან ადვილად ვერ შეედავები. ისიც და მისი ცოლიც სოციალისტური შრომის გმირები არიან. სანდრა დეპუტატიცაა და, აბა, ვინ რას გაუბედავს. ის კი არა, რომელსაც გინდა რაიკომის მდივანს, როცა გინდა წყალს შეუყენებს. სანდრასნაირ მშრომელს, — ამ სიტყვაზე ისაკამ ეშმაკურად ჩაიცინა, — რას დააკლებ? სოფლის თავკაცია, ახალი ყაიდის შეძურა და ყველაფერი შრომითა აქვს შეძენილი, ისე რა ვუთხარ მე მაგას... არა, უფროსოჯან ძალიან, ძალიან ჭკვიანი ბიჭი გყოლია. სანამ ათჯერ არ გაზომავს, ისე არ გაჭრის. ცარიელი ანგარიშია! ვახ, ვახ, ნახე, კაცო, რა ინტერესნი ვინმე ყოფილა! ეგ ძალიან შორს წავა, მე და ჩემმა ღმერთმა...

გოდერძი წარბშეკრული იჯდა, ცხვირს [illegible] იცოდა, როცა რაიმე არ მოსწონდა. ისაკას მიერ მისი შვილის მისამართით ნათქვამი ქება, ძაგებაზე მეტად ემძიმა. დანდლიშვილმა ნებით თუ უნებლიედ, სწორედ იმ მტკივან ადგილზე დააბიჯა ფეხი, განუწყვეტლივ რომ აწუხებდა და სტანჯავდა ძველ მეტივეს.

მაგრამ ყოველივე ეს არც თუ ისე მოულოდნელი იყო; აკი, შვილთან იმდღევანდელმა საუბარმაც დაარწმუნა გოდერძი, რომ მის ბიჭს უპირველეს საფიქრალად საკუთარი საქმე და პირადი კეთილდღეობა აქვს გამხდარი. მშობლებზე ზრუნვა, მათზე დარდი, კაცმა რომ სთქვას, მას არც არასოდეს გამოუმჟღავნებია და ალბათ არც არასოდეს ჰქონია.

„ნეტავი ვისი გამოვიდა ასეთი მოთავისე?" ფიქრობდა სტუმრების წასვლის შემდეგ გოდერძი და მიზეზისათვის ვერ მიეკვლია. არც თავის მხრივ, არც მალალოს მხრივ ასეთი ვიწრო პირადულით შეპყრობილი, ასეთი პატივმოყვარე და ანგარიშიანი წინაპარი არავინ არ ეგულებოდა. „გაუკუღმართებული კაკოლაა, დროს აყოლილი და კიდევ უფრო გახარბებული" — დაასკვნა მან.

თუ აქამდე ძილი დიდებული ჰქონდა, თუ აქამდე, ბალიშზე თავის დადებისთანავე მკვდარივით ეძინებოდა და დილამდე გვერდს არ იცვლიდა, ახლა უძილობა დასჩემდა. მთელი ღამეები შამფურივით ტრიალებდა ლოგინში და ხშირად უთენია ისე წამომდგარა, თვალი არ მოუხუჭავს.

ღამეული შიში მოქძალა ზენკლიშვილს, შიში უძილობისა და სიბნელისა.

წაიხურავდა თუ არა საბანს, უჟმური ფიქრები ზემოდან მაჯლაჯუნასავით დააწვებოდნენ და ავი სულივით მოძალებული სადარდებელი ისე გათანგავდა, ისე შებოჭავდა, ისე მოიგდებდა ქვეშ, ისე გასთელავდა — ძვალ-სახსარი თუ ჰქონდა, აღარ ეგონა.

აგურის ქარხანაშიც სწორედ ისეთი ოთახი გააკეთებინა თავისთვის, როგორც „ლესკტროიტორგის" ბაზაში ჰქონდა. მაგიდაც იმნაირი აყიდინა, იფიქრა, ეგების ბაზაში რომ წაუძინებდი ხოლმე, აქაც ასე შევისრულო ძილით. მაგრამ ამაოდ, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმა არ უშველა, თვალზე რული არ ეკარებოდა.

— აბა, რას იზამ, — ხელებსა შლიდა მალალო, — ეტყობა, ასაკის უძილობა დაგვჩემდა. მეც აგრე ვარ, ფხიზელი მყეფარივით არ მეძინება.

სიბერემ სხვა კლანჭებიც გამოსდო გოდერძის: მუხლებში ძველებურ ძალას ვეღარ გრძნობდა, ხელები დაუსუსტდა, ხანდახან მკლავებიც უბუჟდებოდა, დრო და დრო წელში ტკივილს უჩიოდა.

დილაობით ისე ხალისიანად ვეღარ დგებოდა, როგორც უწინ; მოთენთილობა დასჩემდა, გეგონება წინდღით კოდიანი ტომრები ზიდაო.

დაჩაჩანაკების ეს უცილო ნიშნები ძალზე ადარდებდა ოდესღაც ჯანღონით ქებულ მეტივეს. როგორც ავადობას მიუჩვევ ჯანმრთელ ადამიანს, ოდნავ შეუძლოდ ყოფნაც კი, ძარღვებს უწეწავს და სასტიკად ახელებდა.

მაგრამ ეს ყოველივე, ასე თუ ისე კიდევ ასატანი იყო, ზედ უარესი ამბავი რომ არ დართოდა: — გულმა ოჩნობა დაუწყო! იმ ღონიერმა, დაუღალავმა გულმა, რომლის არსებობა აქამდე არც კი იცოდა. როცა ვინმე გულზე ჩივილს დაიწყებდა, გოდერძი მკერდზე ხელს დაიდებდა და იტყოდა: — ჯერაობითა, არც კი ვიცი, გული თუ მაქვს; ეს ცხოვრება ისე გავატარე აქამდე ვერ გამიგია მარცხნივ მიდევს თუ მარჯვნივა!....

და აი, აქამდე უჩუმარი და უჩინარი გული ახლა თითქმის ყოველდღე ისე მიელეოდა და მიუსუსტდებოდა,ან ისე აუფართქალდებოდა და მოუმატებდა სირბილს, რომ გოდერძი ნაპირზე გადმოგდებული თევზივით აღებდა პირს და მიტკალივით გათეთრებულს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა.

განსაკუთრებით მაშინ აუჩქროლდებოდა ან მიელეოდა, როცა მალხაზზე იწყებდა ფიქრს. გულის ცემის ასწრაფება თუ შენელებაც ამ ფიქრზე იყო დამოკიდებული.

იყო კიდევ ერთი მიზეზი გულის უთანაზრო ფეთქვისა; გამომძიებლები და რევიზორები რომ მოეძალებოდნენ, მაშინაც იგივე ემართებოდა.

უკანასკნელი თვეების გაურკვევლობამ ხომ მთლად მოიდნო...

აღარ იცოდა რა ეღონა, რა ეთქვა, ან როგორ მოქცეულიყო.

და აი, ამ შემაწუხარი ორჭოფობის დასაძლევად კიდევ ერთხელ გამოიღო ხელი სამებელმა ფალავანმა და კიდევ ერთი საბოლოო გაბრძოლება გადაწყვიტა...

— დედაკაცო, ი, ბიჭი მთლად გაგვიგარეულდა. ეგა ძლიერ საშიშია. კაცი თუ ერთხელ გაგარეულდა, მერე იმას სახლში ვეღარ შემოაბრუნებ. სულ გარე-გარე ივლის მგელივითა. არც ადრე იყო დიდი მოენე, მაგრამ ახლა სულ დამუნჯდა. არც არას გვეუბნება, არც არას გვეპუება. ნეტავი რა ნახა?... შენ ხომ არაფერი შეგიტყვია? — თავს წამოადგა ერთი დილით გოდერძი ცოლს.

მალალო ამ დროს შვინდის კერკს არჩევდა შეჭამანდისათვის.

— აბა, რა ვიცი, რა გითხრა...

— შენეული გეშითა რაღაცას აუცილებლად შეიტყობდი. გინდა დავიფიცო, რომ გეცოდინება?

ასე იცოდა: რისიმე გაგებას რომ მოინდომებდა, მაშინვე მალალოს ჩაეკითხებოდა ხოლმე. მისი ალღოიანობის იმედი ჰქონდა. ამჯერადაც, სხვა გამოსავალი რომ ვერ მონახა, ამბის შესატყობად ისევ ცოლს მიაშურა,

— არა, ღმერთმანი, მაგრამა ეჭვი კი მართლაცა მაქვს...

— თქვი.

— აბა, რა ვიცი, რა გითხრა.., — გაუბედავად გაწელა მალალომ.

— ჰო, კარგია და, თქვი! — დააბრიალა თვალები გოდერძიმ.

— მე ასე მგონია, რომა ჩვენი ერცხვინება...

— იიი?

—ჰო, ღმერთმანი — სასირცხვილო რა გვჭირს, დედაკაცო, რა გვაკლია?

— აბა რა ვიცი, მაგრამა მგონია, სწორედ ემაგისი ერცხვინება, ბევრი რომ გვაქვს...

— იიი?

— ჰო ღმერთმანი.

— უყურე მაგასა! — ხელები მუხლებზე დაიტყაპუნა გოდერძიმ, თან ისე სწრაფად წამოდგა, გეგონება, საჭიდაო მოე-

დანზეა გასული და ვიღაცას უნდა ეცეხო.

— გამოდის, რომა ქონებისა ერცხვინება?!

— აბა, რა ვიცი, მაგრამ აგრე კი უნდა იყოს...

— დახე, მაგ მამაძაღლსა! — ერთბაშად იფეთქა გოდერძიმ და სამფეხა სკამს ფეხი ღონივრად წაჰკრა. სამფეხა ჰაერში რამდენჯერმე გადატრიალდა, შორეულ კედელს ბრახუნით მიენარცხა.

— იმიტომ მეჯავრება შენთან ღია ლაპარაკი. აგრე აიწყვეტ ხამი მოზვერივითა, საქმესა კიდენა სიდინჯე უნდა, ჭკუა უნდა!

— იცი, რა გითხრა? — შენი პატრონი დედაცა და იმისი პატრონი დედაცა! ჭირსაც წაუღიხართ ორთავენი!!! — გოდერძიმ ფეთიანივით გაიჯახუნა კარი. შუშებმა ზრიალი შექმნეს. ერთი მათგანი ჩამოვარდა და წკრიალით დაიმსხვრა.

— აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ღორიაქა თავზე. — ქოქოლა მიაყარა მალალომ.

ის იყო და ის. ამ საკითხზე ცოლ-ქმარს კარგა ხანს ხმა აღარ ამოუღიათ.

მალხაზი კი უფრო გაგარეულდა...

ერთი გვიანი ღამით, როცა მალალომ უზომოდ მთვრალსა და მძიმედ მქშინავ გოდერძის მაღალყელიანი, თხელი თექით ამოპირული უცხოური ტუფლები დახადა, ფეხები ქაფქაფა წყალში ჩააყრევინა (ძალიან მთვრალს აბაზანაში არ უშვებდა, გული არ გაუსკდესო) და დიდრონი ბალიშები აუპენტა, ღვინით გაოგნებულ ქმარს, ვითომც სხვათა შორის, წაულაპარაკა:

— შენა ღვინითა სკდები და ი ბიჭი კი, თვალსა და ხელს შუა გვეცლება...

— როგორ? — მოულოდნელი სისხარტით იკითხა ლოგინზე წამომჯდარმა გოდერძიმ და ცოლს თავისი ვეება თვალები დააშტერა.

ასე დასჩემდა ოდესღაც აუჩქარებელსა და აუღელვებელ მეტივეს: შვილის უბრალო გახსენება, მასზე ერთი კრინტის დაძვრაც კი, ამ ვეებერთელა ვაჟკაცს სულ ბურთივით ახტუნავებდა.

— როგორა და, ბინას ეძებს, უნდა იქირაოს, ჩვენგან წასვლა გადაუწყვეტია, — ხმის კანკალით თქვა მალალომ და დაძველებული ჩერით იატაკის წმენდას შეუდგა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

გოდერძი ხმას არ იღებდა.

ქმრის დუმილი მეტისმეტად რომ ეხანგრძლივა, მალალომ მისკენ მიიხედა და კინაღამ შეჰკივლა: ღვინით შეღაჟღაჟებულ გოდერძის ახლა მიტკლის ფერი დასდებოდა. თვალები საშინლად გაფართოებოდა. პირი დაეღო. მკერდი საბერველივით აუდიოდ-ჩამოუდიოდა და სახსრებში მოხრილი ხელები ზევით იმნაირად აეწია, გეგონება, ვიღაც უხილავი თოფს უღერებდა და ხელის აპყრობას უბრძანებდა.

— რა იყო, ადამიანო?.. — მივარდა მალალო ქმარს. მაჯებში ხელი სტაცა, მკლავები ძირს დააშვებინა, მუხლებზე ფრთხილად გადაიწვინა, შუბლიდან ცივი ოფლი გადასწმინდა.

მერე ბუხრის თავზე გადებულ რაფას ეცა, ვალიდოლი მოურბენინა, ცივი წყლით დასველებული პირსახოცი შუბლზე დაადო და იქვე, მის სასთუმალთან ჩამომჯდარი, გაფაციცებით თვალებში ჩააცქერდა.

გოდერძი ცოტა ფერზე რომ მოვიდა, თვალებიც ჩვეულებრივი გაუხდა და სუნთქვაც დაუმშვიდდა, აცრემლებულმა მალალომ სახე სახესთან მიუტანა და ნახევრად მუდარით, ნახევრად საყვედურით, როგორღაც მეტად ნირწამხდარმა საწყალობლად ჩასჩურჩულა:

— რა დაგემართა, კაცო, განა აგრე შეიძლება?

— იიჰ, ერთი შენცა, — ამოიქშინა გოდერძიმ, ცოლს თვალი მოარიდა, კედლისკენ გადაბრუნდა და ისე გაყუჩდა, მისი სუნთქვაც კი აღარ ისმოდა.

უფრო გვიან, როცა მალალომ სინათლე ჩააქრო და თავის ფაფუკ ლოგინზე გაუხდელი მიწვა, გოდერძიმ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეს სატიალე, ესა, რა ტყუილად შევჭიდებივარ ცხოვრებას. ციხე შიგნიდან ტყდებაო, ტყუილად კი არ უთქვამთ. ამ ბიჭმა ლამის ხერხემალი გადამიტეხოს. ნეტავი რა ცოდვის კითხვა უნდა? მითხრას მაინც!... მაგის მეტი ვინა მყავს? სულაც მაგისთვინ არ ვიტანჯავ თავსა? ლამის ჩემი ხელით, ჩემივე თავი მომაკლევინოს, მაგ მამაძაღლმა, მაგანა.

პასუხად მალალოს ქვითინი გაისმა.

ხმის დასაყრუებლად საბანი თავზე წაეხურა, მაგრამ ისე გულამომჯდარი ტიროდა, ცხრა მთას იქით რომც ყოფილიყო, გოდერძი, მაინც გაიგონებდა.

— ცარიელ ტირილსა, გირჩევნია, ი ბიჭს დაელაპარაკო და რაც უდევს გულშია, ის შეიტყო. მარტო ეგ თუ გვიხსნის, თუ არა და... — გოდერძი ისევ კედლისკენ გადატრიალდა, ხმა გაკმინდა.

იმ ღამეს, ეს დევივით კაცი, ჩვეულებრივ ამდენი ხვრინვა, ხროტინი და ხვნება რომ იცოდა, სრულიად უჩუმრად, გაუნძრევლად იწვა. არც დაუხვრენია, არც დაუხველებია, არც გვერდი უცვლია.

ის წყეული ღამე მალალომაც თეთრად გაათენა. წარამარა წამოიწეოდა და იდაყვზე დაყრდნობილი ქმარს აკვირდებოდა, ეშინოდა ძილში არ გამოსცლოდა ხელიდან.

დილით ორთავე ნაცემ-ნაგვემივით წამოდგა.

დაუბრებულებივით მიდი-მოდიოდნენ ძვირფასი ავეჯით გაწყობილ თავიანთ უზარმაზარ ოთახებში და კრინტს არა სძრავდნენ.

გოდერძი რომ სახლიდან ხმის გაუცემლად და უზმოდ გავიდა, უძილობით მოღლილ-მოთენთილი მალალო ლოგინზე უნიათოდ მიეგდო და მარტო დარჩენილმა მოთქმით ტირილი დაიწყო. უნდოდა ამით მაინც ეგრძნო შვება.

ამ დროს კარები ისევ გაიღო და ზღურბლზე გოდერძი შემოდგა.

გზიდან მობრუნებულიყო.

მალალო სწრაფად წამოდგა, ცრემლები ხელისგულებით ამოიმშრალა, ქმარს მიაშტერდა. ცხოვრება ერთად გალიეს, მაგრამ გზიდან მობრუნებული ჯერაც არ ენახა.

ზოგიერთ რამეში ფრიად ცრუმორწმუნე იყო გოდერძი ზენკლიშვილი. ძაღლის ყმუილზე ცულს ფიცარში ჩაარჭობდა, სახლიდან გასულს რამე თუ დაავიწყდებოდა, უკან არაფრით არ შემობრუნდებოდა, გზაზე შავი კატა თუ გადაურბენდა, ან გეზს შეიცვლიდა, ან იქამდე იდგა და ელოდა, სანამ სხვა ვინმე არ გაივლიდა.

— უკან დაბრუნებაი, კარგი რომ არ არის? განა ისეთი რა დაგავიწყდა, ქვემოდან ვერ დაიძახე? — ვითომც არაფერიაო ისე იკითხა მალალომ.

ხმაც კი გაიხალისა. არ უნდოდა თავისი გულდათუთქულობა ქმრისათვის გაემჟღავნებინა.

მაგრამ განა გოდერძის აგრე ადვილად მოატყუებდი?

იგი გაუნძრევლად იდგა ზღურბლზე და ღიად დარჩენილ კარებში მზით შეღვინებულ ცის კიდურზე, შავად იხატებოდა მისი დევგმირული სხეული.

— თავს ნუ მოიკლამ, დედაკაცო — გოდერძის ხმაში უჩვეულო სითბო და მზრუნველობა იგრძნობოდა, — ეგ ბიჭი, ჩვენი ღვიძლი კია, მაგრამა, ეტყობა, იმად არა ღირს, რომ გულები დავიხეთქოთ. რას იზამ, ზოგის ცხოვრება ასე ბრუნდედ მიდის. ეტყობა მე და შენც აგრე გვიწერია. ვნახოთ, რაც იქნება, იქნეს. გონს თუ მოვა, ხომ კარგი, არ მოვა და ისევ თავის თავს მისცემს ზიანსა. დედ-მამის მიმტოვებელი შვილი არ შეიძლება ბოლომდე ბედნიერი იყოს.

ასეთი ზნე სჭირდა ზენკლიაანთ გოდერძის: მძიმე წუთები თუ დაუდგებოდა, უფრო ალერსიანი და ყურადღებიანი ხდებოდა. მაშინ ცოლსაც მეტი მზრუნველობით ეპყრობოდა.

— მეც ეგ მადარდებს. ჩვენი თავი ჯანდაბას, მაგრამ ამით ხომ თავის თავსაც იუბედურებს? ცარიელ ადგილზე დასახლებასა არ ურჩევნია ჩვენს მონაგარს დაეპატრონოს? ან ხალხი რას იტყვის, ერთადერთი შვილი ყავდათ და ისიც გაექცათო!..

— იცოცხლე გაახარებს ჩემს მტრებსა! მაგის გამგონენი, ალბათ სულ უზუნდარას იცეკვებენ კახპა ქალებივითა.

მალალოსთან ამ ლაპარაკის შემდეგ გოდერძიმ შვილთან პირისპირ შეყრა და საჭოჭმანო საკითხის გარკვევა გადასწყვიტა.

ერთი დღე ელოდა მალხაზს, მეორე, მესამე, მაგრამ უძღები შვილი სახლში არ შემოდიოდა.

მაშინ მისი სამსახურში მონახულება განიზრახა და პარასკევ დილით, იმის მა-

გივრად რომ აგურის ქარხანაში წასულიყო, რაიაღმასკომს მიაშურა.

აღმასკომი ყოველთვის რაღაც ფარულ შიშსა და მოკრძალებას იწვევდა გოდერძი ზენკლიშვილის გულში.

თვით მისი შენობის დანახვაც კი გულს უძგერებდა. არ უყვარდა, ძალიანაც არ უყვარდა ძველ მეტიჯეს სახელმწიფო დაწესებულებანი. მით უფრო ისეთი მაღალი საფეხურისა, რომელთა სიტყვას ვერ შემოევლებოდა. ნაადრი ბავშვობიდანვე გამოჰყვა უძრახი გრძნობა მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისადმი.

გრძელი, საკმაოდ ციცაბო მარმარილოს კიბე აიარა და მოკლე დერეფნით დიდ მოსაცდელში მოხვდა.

ეცნაურა ეს ოთახი, სამი განიერი ფანჯრით, ლამაზად მოხატული ჭერით, სადაც ლაჟვარდიდან ირაოდ წამოსულ ფრთოსან ანგელოზებს ხესთან მჯდომი ქერა ქალისათვის დაფნის გვირგვინი მოჰქონდათ, ორფერა პარკეტით და ჩუქურთმიანი მარმარილოს ვეება ბუხრით.

ამ ოთახში ნიკოლოზის დროს სამეფო კანცელარია იყო გამართული და პრისტავი სოსო მაღალაშვილი აი, იმ შუა ფანჯარაზე გადმომდგარი, ეზოში თავმოყრილ გლეხებს ნაირნაირ ბრძანებულებებს უკითხავდა.

ვინ იცის, რამდენჯერ შემოძურწულა ამ საოცნებო და ზარდამცემ ოთახში გოდერძი, როცა თავის პატარა ბიჭობაში კანცელარიის შიკრიკად მუშაობდა. იმჟამინდელი შიში და ძრწოლა დღესაც ცხოვლად ახსოვს.

მერე აქ მენშევიკური მმართველობა იყო და იგივე სოსო მაღალაშვილი, იგივე ფანჯრიდან მამულიშვილურ სიტყვებს ამბობდა.

ახლა კიდევ... ახლა კიდევ აი, იმ მაღალაშვილისეულ კაბინეტში მისი შვილი მალხაზი ზის!..

— ვისთან ბრძანდებით? — შემოესმა გოდერძის ქალის ხმა.

ორ შავტყავაკრულ კარს შორის საწერი მაგიდა დგას და მასთან მიმჯდარი კნაჭა გოგო თავისი კუნაპეტივით შავი თვალებით მკაცრად შემოსჩერის.

— ზენკლიშვილთან.

— ზენკლიშვილს თათბირი აქვს. თუ დრო გაქვთ, დაელოდეთ.

— ბატონი ბრძანდები. — თქვა გოდერძიმ და სკამზე ჩამოჯდა, ირგვლივ მიმოიხედა. კედლებთან ჩამწკრივებულ სკამებზე რამდენიმე მთხოვნელი ჩამომსხდარა და მასავით მიღებას ელიან.

„ზენკლიშვილი". — ესეც პირველი შემთხვევა იყო, როცა თავისი გვარი სხვისი მისამართით წარმოთქვა.

მართალია ეს „სხვა" ისევე მისი შვილი იყო, მაგრამ აქამდე თავისი გვარი მხოლოდ თავის პირად საკუთრებად მიაჩნდა და სხვანაირი გაგებით არასოდეს არ ეხმარა. ახლა კი ძალზე ეუცხოვა აქამდე ასე რიგად მახლობელი და შეჩვეული ეს სიტყვა, მხოლოდ მისი კი არა, სხვის საკუთრებადაც რომ აღმოჩნდა...

კარებზე დიდი შავი ასოებით ეწერა „მ. გ. ზენკლიშვილი".

ამ გამაოგნებელმა აბრამ თითქოს კიდევ უფრო დააშორა თავისივე გვარს.

„აქ არ უნდა მოვსულიყავი. სახლში უნდა დავლოდებოდი" — დაინანა რატომღაც გოდერძიმ. ერთხანს უკან გაბრუნებაც კი დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს კარები გაიღო და მოთათბირეებმა კაბინეტიდან გამოლაგება იწყეს .

— შებრძანდით. — მკაცრად უთხრა ქალიშვილმა.

ეს პატარა გოგო ისე ელაპარაკებოდა, თითქოს თვითონ ბატონი ყოფილიყო, გოდერძი კი მისი მსახური.

დიდ, ნათელ ოთახში, შესასვლელი კარის პირდაპირ მდგარ ვეებერთელა საწერ მაგიდას მალხაზი უჯდა. იგი მაგიდას იდაყვებით დაყრდნობოდა და წინწახრილი, კისერწაგრძელებით გამოსცქეროდა მასთან შესულ მთხოვნელს.

მამამისი რომ შეიცნო, უკან გადაქანდა, თვალები გაუფართოვდა, დაბნეულობა შეეტყო.

წამოდგა, მაგიდას შემოუარა. მამისკენ გაუბედავად წამოვიდა.

გოდერძი მიუახლოვდა და წინ დაუდგა.

— გამარჯობა თავმჯდომარის მოადგილევ!

— გაგიმარჯოს მამი, — გაუბედავად ამოღერღა მალხაზმა, — აქ რამ მოგიყვანა? — შიშნარევად იკითხა მან.

— მაშ, რა მექნა, შენ სახლში აღარ მოდიხარ. ეტყობა, სხვა სახლი გაიჩინე. მოხუცები მიგვატოვე, აღარც გვკითხულობ, აღარც გედარდებით. მე ჯანდაბას, დედა მაინც არ გეცოდება?...

— რა ვქნა, ქვეყნის საქმე მაწევს...

— ეჰ, ხომ გაგიგია, თუ გული გულობსო... მაგრამ არ იფიქრო, საყვედურებისათვის მოსულაო, არა. სიტყვა მაქვს შენთან.

მალხაზმა კედელზე მიმაგრებულ ღილაკს ხელი დააჭირა, ზარი დარეკა.

კარის ზღურბლზე ისევ ის წვრილი გოგო შემოდგა. ისეთი მომღიმარი სახე ჰქონდა, ისეთი აჟუჟუნებული თვალებით შემოსცქეროდა მალხაზს, გოდერძის არა სჯეროდა, რომ ის ბრაზიანი და ეს სათნოდ მომღიმარი ქალიშვილი ერთი და იგივე პიროვნება თუ იყო.

— ჰეი, ჰე, რა შეძლებია ძალასა და უფროსობას. — გაიფიქრა გოდერძიმ, — მე, ამ ხნის კაცსა როგორ მიღრენდა და ამასა, კიდევა, როგორ ელაქუცება! განა ამ ქვეყანას რამე გაასწორებს?.

— ჩემთან არავინ არ შემოუშვა. — მკაცრად გააფრთხილა თავმჯდომარის მოადგილემ.

— გავიგე, ბატონო მალხაზ. — სულ სხვა ხმით წაიმღერა გოგონამ და ტანის მოხდენილი მოძრაობით კარს უკან გაუჩინარდა.

— შენ კარგად იცი, რომ მე იწილობიწილო არ მიყვარს და არც ჯანჯალი კაცი ვარ.

— არც მე. — ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ თქვა მალხაზმა.

— მამაშვილობაში პირდაპირობა ჯობს.

— აგრე ჯობს. — დაეთანხმა მალხაზი.

— მართალია თუ არა, რომ ცოლს ირთავ?

— მართალია.

— რომელსა?...

— სანდრას ქალსა. სახლშიაც მყავდა, დედაჩემს გავაცანი.

— მე კიდევ სხვისგან უნდა შევიტყო, არა?

— შენ მაშინ სახლში არ დაგვიხვდი და რა მექნა?

— მაშინ თუ არ დაგხვდი, კიდევ მოგეყვანა შე დალოცვილო!

— არ მოგვიხერხდა.

— ისე მაინც გემცნო შენი განზრახვა, ქალის მოუყვანლადა, რა გიშლიდა?

— რა ვიცი, ვერც ეგ მომიხერხდა. ნუ გეწყინება.

— როდის ირთავ?

— მომავალ კვირას.

— მერე, შე მამაძაღლო, — იფეთქა გოდერძიმ, — რატო არას მეუბნები, ქორწილის თადარიგი როდისღა დავიჭირო?

— ქორწილი არ გვექნება.

— ეგ, როგორა?

— ისე. დიდი ქორწილი არ გვექნება. ახლა მიღებული აღარ არის. გარდა ამისა, მე როგორც პასუხისმგებელ პირს დიდი წვეულებები არ შემფერის, ხომ იცი ახლა სხვა დროა...

გოდერძი პირდაღებული შესცქეროდა თავჩაქინდვრით მჯდარსა და ყრუდ მოლაპარაკე შვილს. ნირწამხდარი მამა უჩვეულოდ გაოცებული ჩანდა. მერე, თითქოს გონს მოეგოო, როგორღაც მეტად ხმადაბლა ჰკითხა:

— ისიც მართალია, ბიჭო, თითქოს ზედსიძედ აპირობ შესვლასა?

— ეგეც მართალია, მამი.

გოდერძი ზეზე წამოიჭრა, ფანჯარასთან მივიდა, ჩარჩოს ხელისგული მისცხო და განივრად გაიდო.

ეტყობა, სული ეხუთებოდა, ჰაერი აღარ ყოფნიდა.

კარგა ხანს იდგა ასე და გარეთ უხმოდ იხედებოდა.

მალხაზიც ჩუმად იჯდა. ხმას არ იღებდა.

— კაცსა საკუთარი სახლკარი ჰქონდეს, თავისი გამართული ოჯახი გააჩნდეს და სხვასთან ზედსიძედ მირბოდეს, ჯერ არა მსმენია! — ისე გულდათუთქულად წარმოთქვა გოდერძიმ, უცხო ვინმეს რომ

გაეგონა, ალბათ, გული მოუკვდებოდა, — არ იცი, შე ოჯახქორო, რომ ზედსიძეობა იგივე ყმობაა, ნეტავი რა გრჯის, რა?...

— აბა, რა ვქნა, ერთი ქალი ჰყავთ, და...

— შენა? შენ კი ერთი არა მყევხარ? — გოდერძის ხმას ბზარი შეეპარა, — მაშ მე როგორღა გაგიშვა? ქალის წესი ქმართან წასვლაა, ვაჟის წესი, მამის ოჯახში დარჩენაა. რად მირევ გზა-კვალსა, რად მისპობ ოჯახსა, რად მიქრობ კერასა? სამაგისო რა დაგიშავეთ? ან ეგრე როგორ უნდა გაგვწირო? იცოდე, ჩვენ რომ შეგინდოთ, ღმერთია, თუ განგებაა, თუ რაღაცა ძალაა, — ის არ შეგინდობს!

— მამი, ეგ საქმე უკვე გადაწყვეტილია. მაგასა არაფერი ეშველება. მაშ რატომ იმღვრევ გუნებას, რად იფუჭებ გულსა?..

— ვინ გადაწყვიტა?

— მე და მარინემ.

— უჩვენოთა?

მალხაზმა მხრები აიჩეჩა. მერე ფრთხილად დააყოლა: — ახლა ბედსა ადამიანები თვითონ წყვეტენ. ჯერ ეგრე ვიცხოვრებთ, მერე ვნახოთ, ეგება ისევ შევერთდეთ კიდეც.

— გამოდის, რომ იმ სახლში ყარაულებად გვტოვებ, ღამის დარაჯებად, რომ არაფერი დაიკარგოს?... უშვილოდ, უძიროდ რამ უნდა გაგვაძლებინოს?...

— რას იზამ, ჩნდება ხოლმე, ცხოვრებაში სიძნელეები...

— შენ რა ასეთი სიძნელე დაგეტაკა?

— ხომ გითხარი, მარინე ერთადერთი ქალი ჰყავთ და...

— მაშ, არ იშლი და არ იშლი? — წარბები შეჰყარა გოდერძიმ.

— სიტყვას ნუ გამატეხინებ, მამი...

ოთახში ისევ ჩამოწვა მძიმე, მქეჯნავი სიჩუმე.

— გინდა გითხრა რა სარჩული აქვს შენს საქციელსა?! ყასიდად მოგონილი სარჩული კი არა, ნამდვილზე-ნამდვილი?

— განა ახლა მე თვითონ არ გითხარი?

— არა, შენ ტყუილი მითხარი, მე კი მართალს გეტყვი. შენა გგონია, ჩემთან რომ დასახლდე, სახელი გაგიტყდება, როგორც საქმოსნის შვილსა, და წინსვლაში ხელი შეგეშლება, ამ ცოტა ხანში მაინცა. ხოლო თუ სანდრას გმირულ ოჯახში ზედსიძედ შეხვალ, მაშინ, პირიქით, მდგომარეობა გაგიმაგრდება... ხომ გამოვიცანი?

მალხაზს სახე უხურდა. თვალები აცაბაცა გაურბოდა. აღელვებული ჩანდა. გოდერძის ამ მწარე სიტყვებმა წონასწორობა დაურღვიეს, ააფორიაქეს.

— ძალიან ცუდი წარმოდგენა გქონია ჩემზე, მამი, — ძლივს ამოღერღა საქციელწამხდარმა შვილმა.

— რა, ვტყუივარ? უკეთესი ბრძანდები, განა? აი, დაიმახსოვრე ჩემი ნათქვამი: ისა, ვინც ცხოვრებასა და თავისიანსა თუ უცნობსა მხოლოდ ანგარებით ზომავს, საბოლოო ანგარიშში აუცილებლად წააგებს. ანგარება მარტო ფულის გამორჩენა როდია. აი, სულ რომ წინსვლა და პატივი გინდა, რომ ცდილობ ყველას კისერზე მოაჯდე და პირველი კაცი გახდე, ყველაფერში შენს თავს წინ რომ აყენებ, სხვების სხეულზე რომ აბიჯებ და სხვის თავებზე გადადიხარ, — ეგა უარესი ანგარებაა! პირველსა კიდევ ეშველება, რადგან, რაც არ უნდა ხარბი კაცი იყოს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაძღება და დაშოშმინდება, შენისთანა კაცი კი არც არასოდეს გაძღება და არც არასოდეს დაშოშმინდება.

გოდერძი დაუმშვიდობებლად შემოტრიალდა და განიერი ნაბიჯებით კარისაკენ წავიდა.

მარმარილოს ციცაბო კიბე რომ ჩაათავა და გარეთ გამოვიდა, თავბრუ დაეხვა.

ლასლასით უკან შებრუნდა, კიბეზე ჩამოჯდა.

კარგახანს იჯდა ასე.

ერთი სული ჰქონდა, სახლში მისულიყო, ტანთ გაეხადა და ლოგინში გაშოტილიყო.

რაც თავი ახსოვდა, ჯერ ლოგინი ასე არ მონატრებია. ალბათ, უკვე სიბერისა სჭირდა...

მაგრამ თავს ძალა დაატანა და სახლისკენ კი არა, ბლისძირისკენ აიღო გეზი.

იცოდა, სახლში რომ უდროოდ დაბრუნებულიყო, მალალოს შეაშინებდა. იმ საცოდავს კი დარდისა და ვარამისაგან სუ-

ლი ძლივს ედგა. მაგრამ ამაზე საშიში ის იყო, რომ ცოლი სიმართლეს დასტყუებდა და მერე ვიშვიშით თვითონაც ქანცს გამოილევდა და მასაც გულყრებს დამართებდა.

გოდერძიმ ჯერაც არ იცოდა, რომ სანამ მალხაზი ამ თავზარდამცემ ამბავს ჟამას გაანდობდა, უფრო ადრე მან დედა არ დაინდო და თავისი განზრახვა პირველად მას აუწყა.

მაგრამ განა შეეძლო მალალოს ყოველივე ეს ქმარისათვის ემცნო? ამას ხომ სიკვდილი ერჩივნა.

გოდერძის მიერ მალხაზის მონახულების მესამე დღეს, საღამოჟამს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სანდრა და მისი ცოლი მარგალიტა ზენკლიაათ ესტუმრნენ.

მაღალმა, მხარბეჭიანმა, მწითურმა და როხროხა სანდრამ ისეთი ზარითა და ზათქით შეაღო გოდერძის სახლის კარები, გეგონება მედუდუკეთა დასტას მიუძღვებაო.

ღონიერმა, კარგად ნაპატიებმა თავმჯდომარემ ცოლ-ქმარი შინაურულად გადაჰკოცნა და მაშინვე ღვინო მოითხოვა.

— თუ არ გეშოვებათ, ჭიშკართან შოფერი მიცდის, ჩემი მარნიდან მოვატანინებ! — ყვიროდა სანდრა და ყასიდად აივნისკენ იწევდა.

გოდერძიც და მალალოც თავშეკავებულად შეხვდნენ მომავალ მძახლებს.

პირველი ფრთხილი მოკითხვის შემდეგ, როცა თავმჯდომარეობით გათამამებული, საკუთარი სურვილების შესრულებას მიჩვეული სანდრა არ იქნა და აღარ დაშოშმინდა, ახლავე სუფრა გამიწყვეთ, ხელში ყანწი მომეცითო, გოდერძიმ მალალოს თვალი უქნა სუფრა გაშალეო.

სანდრას პირშიმთქმელი, მაგრამ უხეში კაცის სახელი ჰქონდა დავარდნილი, მლაშე-მლაშე ხუმრობები უყვარდა, მან არც ახლა უღალატა თავის ჩვევებს:

— მძახალო, — როყიოდ მიმართა მან გოდერძის, — როგორა ფიქრობ, მოუვლის კია შენი ბიჭი ჩემს გოგოსა? იმისი გადაბრუნება მაგასა ადვილი ჰგონია? კრავი კი არ არის, ყაჩაღია, ნამდვილი ყაჩაღი! თუ რაიმე არ მოეწონება, კისრულით წამოიღებს და ლავაშივით გაშლის. ისეთი ღონე აქვს, ბუღას დაეჭიდება...

— იფ, იფ, ძალიან არ ამკობ შენ ქალსა! — რაღაც გესლიანად ჩაილაპარაკა სანდრას ცოლმა.

— რატომაცა! ქალი ისეთი ღონიერი უნდა იყოს, ფეხებშუა მოზვერი თუ მოიგდო, ლაჯების მოჭერითა სული უნდა გააფრთხობინოს!

— ერიჰაა, — ქეჩოს ფხანით გააპრყელა გოდერძიმ, — რომ შეეშალოს და ქმარს მოუჭიროს?

როგორც ყოველ ქართველ მამაკაცს მარილიანი სიტყვა გოდერძისაც ახალისებდა ხუმრობის გუნებაზე აყენებდა.

სანდრამ ხმამაღლა გადაიხარხარა. ისეთი ძლიერი ხმა ჰქონდა, შეგეშინდებოდა სახლმა ზანზარი არ დაიწყოსო.

სიცილს რომ მორჩა, მუშტი მაგიდას დასთხლიშა, თან ისე შეჰყვირა, თითქოს საკოლმეურნეო მინდორში მდგარიყოს და ვიღაც ცხრა მთას იქით მყოფი კოლმეურნისათვის შეეძახოს:

— ჰეი, ქალო მალალო, რით ველარ გაშალე ეგ ოხერი სუფრა, მე და ჩემს მძახალსა ხახა გაგვიშრა...

სანდრას გლეხურად უბრალო სიტყვა-პასუხმა, მისმა შინაურულმა ქცევამ, განსაკუთრებით კი ზენკლიაანთათვის ესოდენ ნაცნობმა სამებურმა ხასიათმა, რომელიც სანდრასა და მარგალიტას ყოველ თქმასა თუ მიხვრა-მოხვრაში გამოსჭვივოდა, სულ მალე გულითადობა ჩამოაგდო ზენკლიშვილებსა და ედიშერაშვილებს შორის და ორივე წყვილი როგორღაც უფრო დააახლოვა, ერთმანეთს გაუშინაურა.

რომ იტყვიან: ,,მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო‘‘, სწორედ ასეთი გამოდგა გოდერძისა და სანდრას პირველი შეხვედრა.

ორივე ნაქები მსმელი იყო და ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ. ორივეს დილამდე შეეძლო სუფრასთან ჯდომა. და აკი იმ საღამოს ორივემ თავი მოიქაჩლა: ისე შეებნენ ერთმანეთს, როგორც ცხრათავიანი დევები.

სანდრა უფრო ახალგაზრდაც იყო და უკეთ შენახულიც. სმაშიაც უფრო გავარჯიშებული გახლდათ; როგორც კოლმეურ-

ნეობის მეთაური თითქმის ყოველ დღე ვიღაცას ხვდებოდა ან ისტუმრებდა, რაც ორივე შემთხვევაში სმით მთავრდებოდა.

ბოლოს, როცა გოდერძიმ დაჯაბნის საშიშროება იგრძნო, სანდრას თვალი ჩაუკრა, მეორე ოთახში გაიპატიჟა.

რბილ სავარძლებში ჩასხდნენ.

სანდრამ ხმამაღლა, ურცხვად დააბოყინა და სიგარეტი ნებიერად გააბოლა.

მალალომ სამებური კიტრავაშლები, ღოღნაშოს ჩირი და დიდ ნაჭრებად დაჭრილი ფიჭიანი თაფლი შემოიტანა.

გოდერძი სათქმელს იაზრებდა. ღვინოს ნაფიქრალი აეწეწ-დაეწეწა, ვერაფრით ვერ მოეგონებინა, საიდან უნდა დაეწყო ლაპარაკი.

— სანდრა-ბიჭო, თუ მეხსიერება არა მღალატობს, მამაშენმა, ცხონებულმა იასონმა, ცოლად გორელი ქალი მოიყვანა, ეგნატაანთ ჩამომავალი. აგრე არ იყო?

— აგრე იყო. — სანდრამ ლოყაწითელ კიტრავაშლას თავისი არშინიანი ხელი ჩაავლო და ისე ჩაკბიჩა, ერთბაშად ნახევარზე დაიყვანა.

ხელები უზარმაზარი ნიჩბებივით ჰქონდა, მწითურბალნიანი, კოჭიტა თითებიანი, კამეჩის ტყავივით დაშაშრული.

— შენმა უფროსმა ძმამა, გოგლამა, ღმერთმა აცხონოს, ფრონტზე ერთად წავეიყვანეს, ყარაღაჯელი ქალი ითხოვა. აგრე არ იყო?

სანდრამ ვაშლის მეორე ნახევარი მთლიანად პირში გააქანა, მერე ახალ ვაშლსა წვდა, ძველი ჩვეულებისამებრ შარვალზე გაიხახუნა. გააპრიალა და ისიც ნახევრამდე ჩაკბიჩა.

— ეგეც ეგრე იყო. — თქვა მან და ჭამა განაგრძო.

— შენმა მეორე ძმამა თარხნიაანთ ახალქალაქიდან მოიყვანა ქალი. — სანდრამ თავი დაუქნია.

— შენა, კიდევა, აქაური მოიყვანე...

სანდრას ეტყობა მოთმინებამ უღალატა და მოსაუბრეს მჭახედ შეუძახა:

— შენ რა ჩემი რეგისტრატორივით ლაპარაკობ? განა ის არ მეყოფა კანცელარიაში რო მიზის? ახლა შენ დამიწყე აქა ლათაიები! ამისთვის გამომიყვანე ამ ოთახშია, ამისთვის მომწყვიტე იმ ქაი ღვინოსა?

— მაიცა, მაიცა! — ხელი ასწია გოდერძიმ — ნუ გაუტიე, აქა შენი კანტორა არ გეგონოს!... — მერე ისიც ვაშლს დასწვდა და დიდი კიტრა ნახევრამდე ჩაკბიჩა. ასე იცოდნენ სამებაში: ვაშლის ჭამა ორი კბეჩით უნდა დაემთავრებინათ. გოდერძიმ რომ კიტრავაშლას ნახევარი, მეორე ლუკმად გადაყლაპა, სანდრას წარბაპრეხით ჰკითხა:

— გამოდის რომა, არც მამაშენი, არც შენი უფროსი ძმები და არც შენა ზედსიძედ არ შესულხართ?

— ბიჭოს! — უაიკვირვა სანდრამ და ფეხი-ფეხზე შემოდო, — ვითომ რად უნდა შევსულიყავით, სახლი გვაკლდა თუ კარი?

— ჰოო, მეც მანდა ვარ, — ნიშნისმოგებით თქვა გოდერძიმ და კისერი წაიგრძელა. ასე მაშინ იცოდა, როცა სიჭაბუკეში, ჭიდაობის დროს მოწინააღმდეგეს ხელის ჩასავლებად უახლოვდებოდა, — მაშ, ჩემი ბიჭი რატომღა უნდა შემოვიდეს შენთანა ზედსიძეთა? რა, სახლი აკლია, თუ კარი?...

სანდრა არ მოელოდა ასეთ ვერაგობას. ერთბაშად გამოფხიზლდა, მწითური წამწამები ააფახულა, შუბლი შეიჭმუხნა, ეტყობა, პასუხს იაზრებდა.

მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო თოფივით დაახალა:

— მე რა შუაში ვარ, თვითონ აგრე გადაწყვიტეს!

— ვინ თვითონ?

— ვინა და, ახალგაზრდებმა, შენმა ბიჭმა და ჩემმა ქალმა...

— თვითონ გადაწყვიტეს, შენ ძალა არ დაგიტანებია?

— არა, მამის სული არ წამიწყდეს! მოვიდნენ და მთხოვეს, ჯერ-ჯერაობით შენთან ვიცხოვრებთო, მერე ენახოთო, რამეს ვიღონებთო. აბა, რა მექნა, ერთი ქალი მყავს და გულახდილად გეტყვი, გამეხარდა კიდეც. უარს ხომ არ ვეტყოდი? გამეხარდა, რაც მართალია, მართალია. აბა, მე რა გიყო, თვითონ შენმა ბიჭმა მოინდომა.. — სხაპასხუპით ლაპარაკობდა სანდრა.

— გინდა თქვა, რომ შენთან უფრო ურჩევნიათ!

— აბა, რა ვიცი, აგრე არ გამოდის? გამოდის და მე რა გიყო!

— მართლაც აგრე გამოდის. — თქვა გოდერძიმ და გულისკოვზთან საშინელი ჩხვლეტა იგრძნო.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს, საფეთქლებში უროებს ურტყამდნენ, თან ბლაგვი დანით ყელსაც ღადრავდნენ, მაგრამ თავი ვერაფრით ვერ მოეჭრათ. მხოლოდ იმასღა ნატრობდა ჩქარა ამოსვლოდა სული და ტანჯვისგან განთავისუფლებულიყო...

— რო აღარ ამოვიდა ეს სატიალე სული. — თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა გოდერძიმ და თავი გვერდზე ჩამოუვარდა, თვალთ დაუბნელდა.

შეშინებულმა სანდრამ წინგადმოქანებულ მასპინძელს ხელი სწრაფად შეაშველა, სხეული უკან გადაუწია, სავარძელში გაასწორა, თვალებში ჩახედა.

გოდერძის შუქიან თვალებს ლიბრი გადაჰკროდა. ძველი მეტივე ისე შემოსცქეროდა სანდრას, გეგონება თვალის ჩინი დაჰკარგვიაო.

— გოდერძი, რა მოგივიდა, შე კაი კაცო, ცუდათ ხომ არ გახდი, ხომ არაფერმა გაწყინა?

— არა. აგრე ვიცი. ცოტა დამაცადე, ახლავე გადამივლის. — ძლივს ამოილუღლუღა ზენკლიშვილმა.

—ახლავე მალალოს დავუძახებ.

— არა, არა, არ გინდა!... ცოტა დამაცადე და ახლავე მოვსულიერდები... ამ ბოლო ხანებში აგრე დამჩემდა... — გაურკვევლად ბუტბუტებდა გოდერძი და წინ წახრილი ლამის სავარძლიდან გადმოვარდნილიყო.

სანდრამ თავისი სავარძელი სულ ახლოს მიუჩოჩა და ლაფანივით მომჩვარული მასპინძელი თავის მუხლებზე გადმოიწვინა.

გოდერძი ნებას დაჰყვა. სანდრას მუხლებში თავი ჩარგო. ეტყობა წაკუზვით ჯდომა ერჩივნა, ტკივილს უყუჩებდა.

კარგა ხანს ისხდნენ ასე.

გოდერძის ხმის ამოღება არ შეეძლო, სტუმარს კი ლაპარაკის ხალისი დაჰკარგოდა.

სანდრა ერთბაშად გამოფხიზლებულიყო. იგი შეფიქრიანებული დასცქეროდა გოდერძის ვარდისფერ კეფას. ზენკლიშვილს კეფაზე თმები გასცვენოდა, კარგა მოზრდილზე იყო გაბელატებული.

ყოველთვის თამამი და თავდაჯერებული თავმჯდომარე ამჯერად შემკრთალი ჩანდა. იგი გაშეშებულივით იჯდა და განძრევისა ეშინოდა, გოდერძის ტკივილი არ გაუმეორდესო.

როდის, როდის ასწია თავი ღონეგამოცლილმა და უცნაურად მომლბარ-მოთუთქულმა მასპინძელმა.

დაწითლებული თვალები სანდრას მიაპყრო და საწყალობელი ღიმილით უთხრა:

— სიბერისა მჭირს, ჩემო სანდრა, ცოტა რამ და ეს სატიალე გული ისე აწიოკდება ხოლმე, გეგონება, შუაზე ფხრეწენო. სხვებსა კიდევა ისევ ძლიერი გვონივარ; მაგრამ ვაგლახ, რომა ეგა აგრე აღარ არის.. .

შემდეგ თითქოს თვითონვე შეეშინდა თავისი უნებლიე აღსარებისა, თავი გაიხალისა და უფრო რიხიანად დააყოლა:

— ახლა უკვე არა მიშავს რა, ახალ ტკივილამდე სულ კაჟივით ვიქნები. —და ხმადაბლა ჩაიცინა.

მაგრამ სანდრამ ადვილად შეატყო, რომ ზენკლიშვილს სულაც არ ემხიარულებოდა. ამიტომ სიცილიც ნაკვეთები გამოუვიდა, უგული, სხვისი დასანახი...

სანდრას წასვლის შემდეგ გოდერძიმ კიდევ უფრო მოიწყინა. ვერ იქნა და ვერ ამოაღებინა მალალომ ხმა. ასე იცოდა: თუ გაჩუმდებოდა, მაშასადამე, რაღაცაზე ფიქრობდა, რაღაცას იაზრებდა. ახლაც ერთ წერტილს გასცქეროდა და მისი გონება სადღაც სხვაგან ჰქროდა.

— ნეტავი რამ ჩაგაგდო საგონებელში? — სცადა ქმრის გამხნევება მალალომ. — ბოლოსა და ბოლოს, აქვე, ჩვენს გვერდით არ იცხოვრებენ? რა შორს ეგ მიდის? თუ გინდა ხატზე დავიფიცებ, რომ სხვაგან დიდხანს ვერ გასძლებს და ისევ თავის სახლს მოაკითხავს... თუ ეგენი მალე აქ არ გად-

მოვიდნენ საცხოვრებლადა, ეს თავი მომჭერი!

— მაგას არა ვჩივი, დედაკაცო, მაგას არა ვჩივი...

— სტყუი, სწორედ მაგასა ჩივი. აბა, მაშ სხვა რა გადარდებს?

— ისა, რომა, იმ შენს ბიჭსა ჭიანი გული აღმოაჩნდა!..

— გოდო, შენი ჭირიმე შენი, მთლად ნუ მოიძულებ, ნუ მოიკვეთ, ისიც ცოდოა. ვინ იცის, რა ცეცხლი უნთია გულშია...

— უბედურებაც ეგ არის, რომ გულში არაფერიც არ უნთია. ცეცხლი კი არა ჭრაქიც არ უხრჩოლავს, მაგ უბედურსა მაგასა ფშუტი გული აღმოაჩნდა, დედაკაცო, ფშუტი...

— აგრე ნუ ამბობ, ღმერთს ნუ სცოდავ. — ტირილგარეული ხმით შეევედრა მალალო.

— კაცმა მამის სახლი მიატოვოს და სხვის კარად იწოწიალოს, ამასა რომელი ჭკუათმყოფელი იზამს? მაგასა ჰგონია ასე უფრო გამიმარჯვდებაო, ჰგონია გვირგვინს დამადგამენ, თუ მამას გავეყრებიო. ვაი, მაგის პატრონსა, ნეტავი რა უნდა მისცენ მშობლების ფასი?.

— დაწყნარდი, გოდო, დაწყნარდი, აი, ნახავ, სულ მალე მოეგება გონსა!

— მალე მოეგება თუ გვიანა, ჩემთვის უკვე სულერთია!

— რას ამბობ კაცო, სულერთი რად უნდა იყოს?

— ჰო, სულერთია! ამიერიდან, მაგასთანა ერთ ჭერქვეშ ვეღარ ვიცხოვრებ!! მაგისთანა შვილსა მე ვეღარ ვიგუებ!!!

— ვაი, ჩემს გაჩენასა! ვაი, ჩემს მოსწრებასა! არა ჯობდა ადრევე გამხეთქოდა ეს წყეული გული და არ შევსწრებიყავ ამ უბედურ დღესა, მე სასიკვდილე.. .

იმ ღამეს გოდერძის გულის კიდევ ერთი შეტევა მოუვიდა.

დაფეთებული მალალო მეზობლებთან გადაიჭრა, ნათლიდედა ქმარს თავთით მოუსვა, თვითონ კი უკუნეთ სიბნელეში ექიმის დასაძახებლად გაიქცა.

მხოლოდ გარიჟრაჟზე გადაუარა ზენკლიშვილს ტკივილებმა.

იმავე ღამეს ერთი უცნაურობაც მოხდა: როცა სახეგაფითრებულ გოდერძის ნემსს უკეთებდნენ, რაღაცამ დაიტკაცუნა. მიზეზს მხოლოდ დილით მიხვდნენ: გოდერძიანთ ვეება სახლის ერთი კუთხე, ზვრისკენ რომ იყო მოქცეული, კარგად დიდზე დამსკდარიყო.

კუთხის ორივე მხრივ კედლებს ირიბად გამავალი მოზრდილი ბზარი აჩნდათ. მაშინვე ინჟინერს დაუძახეს. მან დიდხანს სინჯა შენობა და ზენკლიაანი დაამშვიდა, ეს არაფერია, ალბათ, მაგ კუთხესთან მიწა ნაყარი იყო და შენობა ოდნავ დაჯდაო.

როცა უცხოები წავიდ-წამოვიდნენ, გოდერძიმ კიდევ დიდხანს სინჯა გაბზარული კედელი. მერე კი მალალოსთან მარტოდ დარჩენილმა, თავი გადააქან-გადმოაქანა და დანანებით თქვა:

— რა ერთდროულად გაიბზარა ჩვენი ოჯახიცა და ჩვენი სახლიცა.

— გოდო, ეგა ცუდი ნიშანი არ იყოს!?

— მაგაზე არ იდარდო. ეგ რომ ცუდი ნიშანი იყოს, ახალ სახლებში არავინ არ იცხოვრებდა: დღეს რომ ააშენებენ, ხვალისათვის ყველა დაბზარულია. — ანუგეშა გოდერძიმ მეუღლე, თუმცაღა გულში მასზე უფრო თვით იყო შეშფოთებული.

ოთხშაბათ დილით, მოპატიჟედ თვითონ სანდრა გადმოვიდა.

ჯერ გოდერძი მოიკითხა, იმ დღეს ძალიან შემაშინეო, მალალოს გაეხუმრა, ქორწილში უნდა გეცეკვოო, მერე კი თავის როყიო ხმით, ჰომავალ მძახლებს, ვითომ სხვათაშორის, აუწყა:

— წუხელა, ბევრი ვიმსჯელეთ და ასრე გადავწყვიტეთ: დიდი ქორწილის გადახდა ჯერჯერობითა არ ეგების. რაიონის ახალი ხელმძღვანელობა წინააღმდეგია ხალხმრავალი წვეულებებისა. მაგრამ არც მთლად უამისობა შეიძლება. ამიტომ, სულ რამდენიმე კაცი შევიყრებით და ცოტას ჩავღლევთ, ახალგაზრდებს დავლოცავთ, მერმისა კი მერმე ვნახოთ.. ჰა, რას იტყვი, ძველო მეტივევ, მოვდრიკოთ აქეთკენ ორთაყვირი თუ არა?

— რა უნდა ვთქვა. რაც გადასაწყვეტი იყო, უკვე გადაგიწყვეტიათ.

— თუ რამეს უკეთესს იტყვი, ჩვენს გა-

დაწყვეტილებას მოვშლით და შენს ჭკუაზე გავივლით.

— ვერა, უკეთეს ვერაფერს ვიტყვი, აჰანდე, თითი მოშიკაკვია. — თავი მოისაწყლა გოდერძიმ.

— ჰოოდა, თუ ასეა, როგორც დავადგინეთ, ისე მოვიქცეთ. შაბათს შუადღითა ჩვენსას გელით.

სანდრა ცოლ-ქმრის პასუხს არ დალოდებია, დაემშვიდობა და წავიდა. მას არც კი წარმოედგინა, რომ ზენკლიაანი სხვაგვარად მოიქცეოდნენ. თავკაცობას მიჩვეულ თავმჯდომარეს თავისი საზოგადოებრივი უპირატესობის იმედი ჰქონდა. „რაიონის მთელ მთავრობას, რომ შევკრებ და თბილისიდანაც რამოდენიმე ცნობილ კაცს ჩამოვიყვან, მაშინ ნახავენ, რა ძალაცა მაქვს“, — ფიქრობდა სანდრა და საპატიო სტუმართა სიას ახალ-ახალ გვარებს უმატებდა.

მაგრამ ედიშერაანთ, ეტყობა, მაინც აეჭვებდათ გოდერძისა და მალალოს ქორწილში მისვლა და საქმის „გასამაგრებლად“ მეორე საღამოს მარგალიტა გადმობრძანდა.

მარგალიტა ხუთშაბათ საღამოს ესტუმრა ზენკლიაანთ, ხოლო მეორე დღის დილით მომხდარმა ამბავმა სულ სხვაგვარად შეატრიალა საქმის ვითარება...

პარასკევი დილისათვის გოდერძის საწარმოში საგურე ღუმელების გახსნა იყო დანიშნული. ღუმელების გახსნა ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო საქმედ ითვლებოდა აგურის ქარხანაში. ამიტომ გოდერძი ჩვეულებრივზე ადრე გამოცხადდა სამუშაოზე.

ღუმელთა თაღოვანი კარებები ცეცხლგამძლე აგურით ამოეშენებინათ. ახლა, როცა აგურის გამოწვა უკვე დამთავრებული იყო, მუშებმა, მზა აგურის გამოსაზიდად, ღუმელთა კარებში ამოყვანილი დროებითი კედლების დანგრევა დაიწყეს.

დროებითი კედლები რომ გადმოანგრიეს, ღუმელებიდან ისეთი აუტანელი ბუღი გამოვარდა, თავი რომ არ შეებრუნებინა სახეს დაგწვავდა. სანამ ეს გაუძლები ალმური განელდებოდა, კარგა ხანი გავიდა.

როგორც იქნა, მუშებმა ღუმელებში შესვლა გაბედეს და ხელის საზიდარებით აგურის გამოტანას შეუდგნენ. მაგრამ ღუმელებში კვლავ საშინლად ცხელოდა. აგურიც ისეთი გავარვარებული იყო, ბრეზენტის ხელთათმანებითაც რომ აგეღო, მაინც ხელსა გწვავდა.

გოდერძი სხვა დროსაც არაერთხელ შესულა ახლადგახსნილ ღუმელში. ამიტომ მუშებს ამჯერადაც კვალდაკვალ მიჰყვა. უნდოდა გაეგო რამდენად კარგად გამოიწვა აგურის ეს წყება.

ღუმელში რომ შევიდა და ირგვლივ შემოუარა, უეცარი თავბრუსხვევა იგრძნო.

კიდევ ორიოდე ნაბიჯი გადადგა თუ არა, გული საშინლად აუჩქარდა, თვალთ დაუბნელდა. მიხვდა გრძნობას კარგავდა და მუშებს შეუძახა — „მიშველეთო“...

როგორ გამოათრიეს იმ საშინელი მხურვალებიდან, აღარ ახსოვდა.

ჯერ თავის კაბინეტში მაგიდაზე წამოაწვინეს, მერე გზატკეცილზე მიმავალი საბარგო მანქანა გააჩერეს, ქარხანაში შემოიყვანეს და სახლში გაისტუმრეს.

მანქანაში თვალმილულული იჯდა. ქუთუთოები ისეთი დამძიმებული ჰქონდა, თვალებს ვერ ახელდა. მაგრამ შეჩერდა თუ არა მანქანა მისი ალაყაფის კარებთან, ძალა მოიკრიბა, მანქანიდან სხვის დაუხმარებლად გადმოვიდა, გამცილებლები უკან გაისტუმრა და კიბეს ლასლასით აუყვა.

კიდევ კარგი, მალალო სახლში არ დაუხვდა. მისი ტაატით სიარულის შემხედვარეს, ალბათ, გული გაუსკდებოდა.

ძალიან უნდოდა ლოგინში ჩაწოლა, მაგრამ არ დაწვა: — „მალალო მწოლიარეს რომ დამინახავს, შეშინდებაო“.

ცოლს ფეხზე დახვდა, თავიც მოიყოჩაღიანა, მაგრამ მეუღლის უცდომელმა თვალმა მაინც შეამჩნია ავადობა.

ჯარასავით დატრიალდა გაფითრებული მალალო.

ლოგინი გაუშალა, ფეხები ცხელ წყალში ჩააყრევინა (ეს მისი ნაცადი სამკურნალო ხერხი იყო), ვალიდოლი დაალევინა, მეზობლიანთ ბიჭი ექიმთან აფრინა...

ორი კვირის მწოლიარე „რეჟიმი“. მიუ-

საჯეს ინფარქტს სასწაულებრივად გადარჩენილ გოდერძის. ასეთი ხანგრძლივი ვადით ჯერ არასოდეს არ ყოფილა ლოგინს მიჯაჭული.

შაბათ დილით მალხაზი გადმოვიდა.

წარბშეკრული იყო. გაუცინარი.

— ავად გახდი? — თავზე წამოადგა იგი გოდერძის.

— როგორცა ხედავ.

— ძალიან უდროოდროს კი ჩაწოლილხარ. — მალხაზის სიტყვებში დაუფარავი უკმაყოფილება შეიმჩნეოდა.

— ავადმყოფობა ვისი ყოფილა დროული, რომ მაგისა იყოს. — არ შეარჩინა შვილს საყვედური მალალომ.

— დიპლომატიური ნაბიჯი ხომ არ არის მეთქი? — იკითხა მალხაზმა და ნაძალადევად გაიღიმა.

— შენ გინდა მკითხო, ძალათი ხომ არ მოვიავადმყოფე თავი, მაგას მეკითხები არა? — წამოიწია გოდერძი.

— რა ვიცი, კაცნი ვართ. — ორაზროვნად უპასუხა მალხაზმა.

— რას ამბობ, ბიჭო, — შეიცხადა მალალომ, — კინაღამ ინფარქტი დაემართა, ცხელ ღუმელში შესულა...

— თუ „კინაღამ" იყო, მაშ საშიში არ ყოფილა.

— საშიში მარტო სიკვდილია, ასეა, არა? — იკითხა გოდერძიმ.

— ნუ გეშინიან, მამაჩემო, სიკვდილი ჯერ კიდევ შორს არის შენგან.

— ღმერთმა გვაშოროს, ღმერთმა გვაშოროს! — ხელები აღაპყრო მალალომ.

— როგორც გითხრეს, ხვალ ქორწილი მაქვს. თუმცა შინაურულია და ბევრი ხალხი არ გვეყოლება, მაგრამ მაინც ქორწილია. უშენობა არ იქნება, მამაჩემო!

— ეგ მართალია, მაგრამ, აბა, რა გიყო, რა ვქნა? ადგომას არ მანებებენ.

— რას ამბობ, მამაკაცო, რის ადგომა, რა ადგომა. კიდევ ორი კვირა უნდა იწვე, თუ გინდა რომ კარგად იყო! — შეიცხადა მალალომ.

— მანქანა რომ მოგიყვანოთ, შიგ ციმციმად ჩაგსვათ, იქაც ციმციმად გადმოგსვათ, კიბეზეც ხელით აგიყვანოთ, ცოტა ხანს სუფრაზე გამყოფოთ, მერე კი ფრთხილად უკან დაგაბრუნოთ, ამაზე რას იტყვი?..

— დამიდგა თვალები, რაებსა როშავ, ბიჭო? არ გეყურება ავად არის მეთქი! კაცი ინფარქტს ძლივს გადაურჩა და შენ გინდა აქეთ-იქით აძუნძულო? — ქორივით დააცხრა შვილს პირგამეხებული მალალო და წინ ისე გადაუდგა, თითქოს უნდოდა თავისი სხეულით ქმარი დაეფარა — მე კი არ მომიგონია, ექიმებმა თქვეს. აპარატებით გაზომეს, კარდიოგრამა აუღეს, შენ კიდევ აქ რაღაცეებს მიედ-მოედები!

ასეთი მკაცრი და სასტიკი მალხაზს დედა ჯერ არ ახსოვდა.

მალალოს თვალები უელავდა, ხმის უჩვეულო აწევით ლაპარაკობდა, სიტყვებსაც ისე ისვროდა, თითქოს ხიშტს აძგერებსო.

— ექიმები, ექიმები, — ხელი უდიერად აიქნია და ტუჩები ზიზღით დაბრიცა მალხაზმა, — ნეტავ იცოდნენ რამე! ძველ ბეითლებზე უარესნი არიან. — მერე წამით ჩაფიქრდა და თქვა: — მოდით, ასე მოვიქცეთ: მე ხვალ დილით ერთ ჩემ მეგობარ ექიმს მოვიყვან. დეე, კიდევ ერთხელ შეამოწმოს და როგორც ის გვირჩევს, ისე მოვიქცეთ. აბა, რას იტყვის ხალხი, ქორწილზე მამაჩემი და დედაჩემი რომ არ იქნებიან?...

— რაც უნდა ისა თქვან, მაგაზე დამიდგა ახლა დარდი. მე ამის სიცოცხლესა საფრთხეში ვერ ჩავაგდებ!..

— რას იტყვი მამაჩემო? — არ ეშვებოდა მალხაზი. მას იმედი ჰქონდა, რომ გოდერძის უფრო ადვილად მოტეხდა.

— აბა რა გითხრა? შენა, ეტყობა, ჩემი იქ ერთი მისვლა უფრო გიღირს, ვიდრე ყველაფერი ისა, რაც შეიძლება ამას მოყვეს...

— ოჰო, ჰო, ჰო, — თავზე ხელი იტაცა მალხაზმა, — გაუთავებელი ბრალდებები, გაუთავებელი ეჭვები, გაუთავებელი ჭკუის სწავლება!... რამდენ ხანს შეიძლება გაუძლოს ამას კაცმა?

— რა გაუძლისი შენ გადგია, შე მართლაც უმადურო, ჩვენ თუ გიძლებთ, შენ რატომღა ვერ უნდა გაგვიძლო? არ კი იცი,

რომა კაცის სიცოცხლე მხოლოდ გაძლებაა და მეტი არაფერი? — ცხადი იყო, მალალოს ძარღვებში ისევ და ისევ შავდათუაანთ ნოჯანყე სისხლი აბორგებულიყო,

— კარგი, რახან ასეა, რა გაეწყობა. — მალხაზმა უკან დახევა სცადა, — მაშინ შენ აუცილებლად უნდა წამოხვიდე, დედაჩემო, გესმის? აუცილებლად!

— ვერა, ვერც მე წამოვალ. მამაშენსა ამ დღეში ვერ მივატოვებ.

— რა ჭირს მაგისთანა, ორი საათით მეზობლების ამარა რომ ვერ დატოვო? მალხაზს ბოლომა ახრჩობდა, თავს ძლივს იკავებდა. დედ-მამის უარში შინაგან სიჯიუტეს უფრო ხედავდა, ვიდრე გასამართლებელ მიზეზს.

— არა ვარ დაჩვეული უამისობას. სადაც ეგ იქნება, მეც იქ უნდა ვიყო. აგრე გავლიეთ ეს ცხოვრება და აგრე წავალთ ამ ქვეყნიდან.

— მაშ, იცოდეთ, — ხმაში მუქარა გაირია და მშობლებს თითი დაუქნია მალხაზმა, — მე ამ სახლში ფეხის შემომდგმელი აღარა ვარ! — მან ფეთიანივით გამოაღო კარი, მაგრამ სანამ გარეთ გავარდებოდა, ზღურბლზე წამით შემობრუნებულმა დედმამას გამოხედა, ეტყობა, უნდოდა გაეგო, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა მისი სიტყვები. ალბათ, იმედი ჰქონდა, რომ გოდერძი და მალალო მაშინვე წამოცვივდებოდნენ, შვილის უკან დაბრუნებას შეეცდებოდნენ, უკან დაიხევდნენ, ბოლოში მოუხდიდნენ...

— შენ იცი, შვილო! — ხმადაბლა უპასუხა მალალომ და ქვედა ყბა აუცახცახდა.

გოდერძი გაუნძრევლად იწვა და თავისი დიდრონი ხშირწამწამა თვალებით შვილს უხმოდ გამოსცქეროდა.

მალხაზმა კარი ღონივრად გაიჯახუნა და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა.

ამ დინჯსა და აუღელვებელ ჭაბუკს ჩვეულმა თავდაჭერილობამ უღალატა. ისე იყო გაცოფებული, თავს ველარა ფლობდა.

გაიჯახუნა თუ არა, შვილმა კარი, მალალო გოდერძის ლოგინზე მოწყვეტით დაეცა, თავი საბანში ჩარგო და გულამომჯდარი ატირდა. სხეული უთრთოდა, მხრები უკანკალებდა, თავს ქმრის ლოგინსა სცემდა.

გოდერძი კი ისევ ისე გაუნძრევლად იწვა.

გაქვავებული გეგონებოდა ყოფილი მეტივე...

მაგრამ იმ დღეს, მალალოს მაინც მოუხდა თავის ახალ მძახლებთან გადასვლა. დანიშნულ დროზე ადრე მივიდა, რათა უკან ადრევე დაბრუნებულიყო და ქორწილს არ დასწრებოდა.

წასვლა გოდერძიმ აიძულა.

ჯერ სარდაფში ჩაგზავნა, საიდუმლო სამალიდან ფულის ორი დიდი შეკვრა ამოატანინა, უბრალო ზიმბილში ჩაადებინა და მალხაზთან გაატანა.

სარძლოს კი შავი დღისათვის შემონახული ერთი ძვირფასი ბეჭედი გაუგზავნა. ზედ ის უბედო სამაჯურიც დაურთო, ამაზე ადრე, მალალომ ლიკას რომ მიართვა.

სადედამთილოს სტუმრობამ მძახლების დაუფარავი სიხარული გამოიწვია.

თვით მალხაზიც კი ვერ მალავდა კმაყოფილებას. დედას გადაეხვია, აკოცა და მოულოდნელად თვითონაც აცრემლდა.

მალალო სახტად დარჩა, როცა შვილის მკაცრსა და მქირდავ თვალებში, კურცხლები შეამჩნია.

მაგრამ რამდენიც არ ეხვეწნენ, მალალო ქორწილში ვერ დატოვეს.

უჩვეულოდ მკაცრი, ცივი, შეუვალი ჩანდა ამჯერად შავდათუაანთ ქალი.

არც არას პირი დააკარა, არც ხმა ამოიღო. ცოტახანს დაჰყო და უკანვე გამოსწია.

გულაღმა მწოლიარე გოდერძის, ბეჭებქვეშ უზარმაზარი ბალიშები შეედო, საწოლის საზურგეზე ყურთბალიში ჩამოედო, თავი ზედ მიებჯინა და ნახევრად წამომჯდარი, რომელიღაც გაზეთს უჩვეულო გატაცებით კითხულობდა.

იმდენად იყო კითხვაში ჩაფლული, ცოლის დაბრუნებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ერთი წარბქვეშიდან გამოხედა და გაზეთის კითხვა განაგრძო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მნათობის“ რედაქცია ულოცავს საბჭოთა ქვეყნის ქალებს დიდ დღესასწაულს — 8 მარტს!

ჟურნალის ამ ნომერში ვაქვეყნებთ ქართველი პოეტი ქალების ლექსებს.

* * *

დოდო გვიშიანი

## მზეო, შენ გევედრები

მზეო, რომელიც იღვიძებ კვირტში,
ცოცხლდები რტოზე, მწიფდები ხილში,
ვინც აღორძინებ მიწაში ხორბალს
და ატრიალებ სიცოცხლის ბორბალს,
ვინც ზღვის წიაღში მრავლდები თევზად,
ფრინველად ცაში, მიწაზე ფესვად, —
არ მიატოვო პატარა მიწა,

შენა ხარ მისი ერთგული ძიძა;
შენ შეინახე მოდგმა კაცისა,
მფარველად ექმენ და ნუ გასწირავ,
შენ გაუკაფე ბილიკი ცაში,
შენ ჩაუდექი ნათელად თვალში,
შემოატარე ვარსკვლავთა რიგი,
და აღამაღლე შენამდე იგი!

* * *

თბილისიდან ამოვედი,
მზის სარკმელით ვითვრები,
თოვლისაგან გაწმენდილან
ოქროყანის მინდვრები;
გამარჯობა, ია-ია,
შენც მოსულხარ, პაწიავ?

აქ ჯერ გრილა, შენ კი უკვე
მოკლე კაბა გაცვია!
ნუ შეშინდი, ველის სიო
ნაზია და ამოა,
გზაში შემხვდა გაზაფხული,
სადაცაა ამოვა.

## გულიკო დგალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

დარჩა ოქროს გაზაფხული
ამღერებულ ვაშლის ხეში,
აღარ, ვეღარ მეორდება
იმ წარსულის წვიმის თქეში.
დარჩა თხელი, თეთრი მხრები,
წლების მიღმა, წლების იქით,
ჩამოშლილი მხრებზე თმები,
ისიც წლების, წლების იქით.
სიოს შრიალს შეუერთდა
აფეთქებულ გულის ძგერა,

ნუთუ იყო ის ზღაპარი,
გულს იმ ზღაპრის აღარ სჯერა,
ნუთუ იყო თეთრი ღამე,
ნატვრა — ღმერთო, ღმერთო ნეტავ —
ნუთუ არის ქვეყნად რამე
დასერილი უფრო მეტად —
ვიდრე ოქროს გაზაფხული
დარჩენილი ვაშლის ხეში,
ცის ცრემლებით ავსებული,
მოვარდნილი წვიმის თქეში.

## შარლოტა კვანტალიანი

### სიყვარულის ელეგია

პაემანი წვიმასთან და
პაემანი ქართან,
ყველაფერი ბევრი მქონდა
სიყვარულის გარდა.

ჩემს დახატულ უცხო რაინდს
რა მაცდურად ჰგავდა,
ყველაფერი ამისრულდა
ოცნებების გარდა.

ვაი, ჩემი სიხარული
როგორ გადაგვარდა,
ყველაფერი დამეკარგა
ტკივილების გარდა.

ახლა ისევ წვიმა მღერის
ჩემს დახურულ კართან,
ყველაფერი დაბრუნდება
სიჭაბუკის გარდა.

პაემანი წვიმასთან და
პაემანი ქართან...
ყველაფერი ბევრი მქონდა
სიყვარულის გარდა.

### სიცრუე

აღარ მიყვარხარ.
ალბათ ამიტომ
დამბლაგვებია
ოცნების ცელი,
ალბათ ამიტომ გაუგემურდა
მინავლულ ცეცხლზე
შემთბარი ცრემლი;
და ძუნწი კაცის
სუფრას მიაგავს
გაუმეტები ჩემი ღიმილი,
საგულდაგულოდ
გიმტკიცებ ახლა,
რომ ძველებურად
მიყვარხარ ისევ,

შენ —
გულმოწყალე და მიხვედრილი;
როგორც ყოველთვის,
მოთმენით მისმენ
და ვიცი, ნატრობ —

ჩემი გულწრფელი,
მონატრებული მზერა გაჩვენა,
მე ვიტყუები
ასე ულმერთოდ
ჩვენი ზღაპრების გადასარჩენად.

მაყვალა მანდენაშვილი

## თითქოს!

თითქოს ცხოვრება უსასრულოა
თავის გასავლელ გზებით,
ახალგაზრდობას თითქმის სიხარბით
და სიხარულით ვხვდებით.

ის კი გაირბენს და გაფრინდება,
წლები წააგავს საათს,
მოიხედავ და შენი ბავშვობა
უკვე შენს შვილებს დააქვს...

ცხოვრების შარა თითქოს გრძელია,
ბოლო არ უჩანს თითქოს,
როცა გაივლის, გული ხარბია,
ისევ დასაწყისს ითხოვს!

## ია

ცრემლი?! — ო, არა... ეს ყველას ძალუძს...
სიტყვა?! — გაცვეთილს მიიღებს იერს,
ყველას სჯობია, ამ ღიმილს ქალურს
მე მივუმატებ ლურჯთვალა იებს
და შენ მოგიტან...
და არ იცინო!
უჩვეულს ვიცი შენიშნავ, თუმცა...
გთხოვთ, ეს იები არ მოიცილო,
რომელიც ასე ახლოა სულთან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მადლენა მეგრელიძე

* * *

ცხოვრება თითქო ერთი შეხედვით
არის ტკბილი და არის მარტივი,
ჩემი ცხოვრებაც უცნაურია,
ცვალებადია თეთრი მარტივით.

ხან მზეა, ხან წვიმს, ხან კიდევ ცივა,
ხანაც თოვლიდან მიღიმის ია...
მარტში ხშირია თოვლი და წვიმა,
გაზაფხული კი მარტს მაინც ჰქვია.

### ფიქრს ფიქრები ერთვიან

ახლა თმაშევერცხლილი
იმ ძველ წარსულს ვიგონებ,
რა ვქნა შენი ვედრება
დროზე ვერ გავიგონე.

დღეს მზე თავის თბილ სხივებს
აელვარებს, ანათებს,

თითქოს ჩემი რჩეული
მიგზავნიდეს ბარათებს.

მიგზავნიდეს ბარათებს,
სიტყვებს ალერსიანებს,
ნუთუ, გულო ჭაღარავ,
ტრფობას კვლავ ეზიარე?!

## ნაილი ნეკერიშვილი

* * *

ნეტავი ჩემი სიყვარული ჩადგებოდეს
მწვანე ბალახში,
ან ყვავილებში, ან პეპლებში, მაღალ ხეებში,
არ ჰქონდეს სიტყვა, არც ნაბიჯი, ივსებოდეს
მადლიერებით
და შესატყვისი უბრალოებით გადავიდეს
მგზავრიდან მგზავრში.

* * *

რა ცოტაა ეს სუნთქვა და ეს სიყვარული
იმისათვის, რომ ერთი წუთით იყო მაინც
ჩემით ამაყი,
ფერს გაძლევდეს სიცოცხლე ან სიკვდილი
ჩემი,
თორემ უბრალოდ რომ შენი ვარ, შენი და შენი,
რა არის ასე ერთიბეწო მსახურება,
თვალთა სინათლევ.!

* * *

მე რომ ათასი ძმა მყავს ქალაქში,
მე რომ ათასი ძმა მყავს სოფელში —
იმათ მაჩუქეს სათნოების დიდი სასახლე
და წითელი ვაშლის ხეები,
ჩუმად და ცხადად მომიჭიქეს გადასახედი,*
მომცეს საქსოვად მიწის ფარდაგი,
მომიზიდეს ბევრი ყვავილი, სიყვარულად
შემომიგზავნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია სახოკია

## ცისარტყელა

სიზმარი ტკბილი ასე ცხადად როგორ ახარე,
სავსე პეშვებით იაგუნდი გადამაყარე!
შენი თვალები დაბადების თარიღს მიხდიან
და წამწამებზე სიხარულის პეპლები თრთიან.
გამოჰკრთა შუქი სინატიფეს, როგორც ფაიფურს,
და დაეღვარა შენს სახელად შეკრულ თაიგულს.
ვზეიმობ შენს თავს, სტუმრად ველი ალისებრ ვარდებს,
დღეს მზე გადმოდის ბროლის ჭიქით ჩემთან ალავერდს!
დილამ მომართვა ნუშის ტოტი, ღრუბლის სინაზე.
მორეულ გრძნობით დაგაწვიმა თავზე სინაზე.
თმა გაგისწორე — ცისარტყელას ხელით შევეხე!!
ათინათინით ვნების სარტყლის ფოჩი შევღებე.
ავარდა მერცხლად ბაგე შენი, გაღიმებული,
და ეშხით მკვდარი, უკვდავებას შეერთო სული.
დამადგი ჯიღა, აბრეშუმის ტალღებით მორთულს!
კიდევ მსურს კოცნა, შენს ფეხებთან თურქულად მორთხმულს!
შენი სხივებით ნამის მჭვირვალ ორთქლად ვიფრქვევი,
როს შარბათისგან შენი ხმისა ამოდ ვითვრები.
გაკვირვებული, გალიიდან გაფრინდა გული,
და შეჯდა გვრიტად, სიყვარულის ხეზე დაბმული.
ბავშვურ კულულებს მიყრდნობილი ჩურჩულებს ტრფობა.
მე შენი შუბლით გადავზომე უსასრულობა!
გით სასწაული, ხელთუქმნელი, ვრცელ სამყაროში,
ჩაგსვი მის ფონზე ზღაპრებისგან დაწნულ ჩარჩოში.

ლამზირა ფირცხალავა

## თეთრი საათი

ახლა სადღაც, სულ პირველად,
ირწევიან აკვნები,
ახლა სადღაც, ვიღაცასთან,
ფრთხილად და ფეხაკრეფით,
მობრძანდება მამალმერთი
და ზეცისკენ ახელებს,
სადღაც ვიღაც ჩუმად ტირის —
„ადრე რატომ წახვედი“!

ახლა სადღაც სიმღერაა,
სადღაც მწარე გოდება,
საყვედურით წერს ვიღაცა:
„რატომ არ გაგონდები?“
და დრო მაინც გვტოვებს ასე:
ჩქარა, ზოგჯერ ტაატით,
ცაში ისევ ისე დადის
მთვარე — თეთრი საათი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შთაგონება

... ბავშვები ქვიშაზე ხატავდნენ ღრუბლებს
და ქვიშისფერი ღრუბლების იქით
მათი პატარა სამყარო ჩანდა
თვისი იმედით და თვისი ფიქრით...
ეცინებოდა ზეცას და ბავშვებს
ენატრებოდათ ცინცხალი წვიმა...
ყველა მათგანი ხატავდა ისე,
ვით შეამჩნია მაშინ და წინათ...

. . . . . . . . . . . . . . .

და არ უგრძვნიათ, რა უდარდელად
მოვიდა უკვე ნამდვილი წვიმა...

## თბილისი... ფიქრები ფიროსმანზე

აქ, ალბათ, უკვე აღარ ღირს დარჩენა, —
მთვარის ზმანებებს ჩუმად მივკვალავ,
თბილისი ისევ ღელავს თავისთვის
და ჩემს ფიქრებში დადის ნიკალა!
რა შესძლებია უსიტყვო ძახილს!
ვინ იცის, გზები ვის საით უხმობს,
მხოლოდ ფოთლები ითმენენ სიკვდილს,
მხოლოდ ფოთლები კვდებიან უხმოდ.

და ჰგვანან ხენი მორწმუნე ქალებს —
ცისკენ მიმზირალთ უხმო ვედრებით,
ვერ შევედრებით სიკვდილში ფოთლებს
და სიცოცხლეშიც ვერ შევედრებით...
აქ ალბათ უკვე არ ღირს დარჩენა!
მთვარის ზმანებებს ჩუმად მივკვალავ.
თბილისი ისევ ღელავს თავისთვის
და ჩემს ფიქრებში დადის ნიკალა!..

## დედამიწა მაღლიდან

... ალბათ იცვლება ჩემი გზა-შარა,
როგორც იცვლება ყოველი ღამით,
მომეცი, ცაო, სიმაღლე შენი
და მომახედე მიწისკენ წამით!..
რა პატარაა ყველა ბილიკი
და რა დიდია ის გზა... უვალი!
იქნება მქვია შენი სიცოცხლე,
შენი სიმღერა გარდაუვალი...
... იცდის წუხილი სულის ჭრილებთან
იმგვარად სუსტი და სასცილო!..

ვიცი, ჩაგჭიდებს ფიქრები ხელებს,
მე მარტო წავალ... არ გამაცილო!
არ გამაცილო! მე წავალ მარტო!..
თესავენ ლოცვებს ქარში ხეები
და დაეძებენ ძაღლივით პატრონს
დუმილის თეთრი სასახლეები.
ირგებს ქალაქი სიმშვიდის ნიღაბს
(როგორ იცვლება ყოველი ღამით!),
მომეცი, ცაო, სიმაღლე შენი
და მომახედე მიწისკენ წამით!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა ცხვედიანი

## გული

გული გულია, სულ პატარა,
სულ ერთი ციდა,
და როგორც სასჯელს, უმძიმეს ტვირთს
მხოლოდ ის ზიდავს.
ძმობას და მტრობას,
ბოროტებას, იჭვებს, გატანას,
უნდა გაგება, განსხვავება,
ბოლოს ატანა.
და რა ქნას გულმა,
მოისვენოს ცოცხალმა როდის,
და ვით გაუძლოს ამდენ ტკივილს,
დარდსა და ლოდინს.
ანდა ვით შეძლოს
გამოვლილმა ცრემლსა და ვარამს,
კეთილი დარჩეს, ნაღდი დარჩეს,
ბავშვობის დარად.
შემოსწოლიათ საფიქრალი
გუნდად და გუნდად,
გულებს სიკეთე, მხარდაჭერა,
გაგება უნდათ.
გული, გულია, ოცნებებს და
იმედებს ეძებს,
ვაი, თუ გატყდეს, ტვირთის ზიდვას
როს ვეღარ შეძლებს.
ანდა ვით შეძლოს
გამოვლილმა ათასგვარ ვარამს,
კეთილი დარჩეს, ნაღდი დარჩეს
ბავშვობის დარად.

---

იზა ჯაჭვაძე

## გამოთხოვება

გადაეფინა ღრუბელი
გორებს,
ნისლებმა ხეთა
ტოტები თელეს,
უჭირავთ წლები
ნატვრისთვალივით,
დედ-მამის გულზე
დაკრეფილ ხელებს.
დღე იღიმება
ნამტირალევი,
ნისლის პერანგი
უგიათ ფოთლებს,
გამოვეთხოვე
ბავშვობის
დღეებს
და მდურვით
წლებმა ტირილი მორთეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შუაღამისას, ჩემო დედილო,
მომელანდები დაღლილ მგზავრივით,
როგორ კეცავდი ფეხქვეშ ბილიკებს,
როგორ მიგქონდა ლხენაც ჯავრივით..

როცა მიდამოს უკუნი ღამე
შთანთქავს და ბნელი მოეფინება —
მიდგებ-მოდგება ციდან ნათელი
და დედასავით მომევლინება.

## ღამე

იყურა დიდხანს, დიდხანს იყურა
ღამემ სარკმლიდან ხელაპყრობილმა,
შავი თვალებით მიამბო ერთი —
უმანკო ლოცვა ატირებულმა.

მიყურა დიდხანს, დიდხანს მიყურა,
მითხრა ზღაპარი თვალებხატულა,
მერე კი — ფეხის წვერზე შემდგარმა,
შორს ფეხაკრეფით ცა გადასცურა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

## რომანი ოთხ წიგნად

### წიგნი მესამე

### თავი X

ალის ციხეში გამაგრებულ ჩონჩოლ-მუსას არ გამოჰპარვია მალემსრბოლების საიდუმლო მისვლა-მოსვლა ქართლ-იმერეთის გზაზე და არც ის, რომ უახლოეს დღეებში მოსალოდნელი იყო იმერთა მეფე სოლომონის შემოჭრა ქართლში ლეკებისაგან შევიწროებული თეიმურაზის დასახმარებლად.

სარდალი ფრთხილი კაცი იყო და თავიდანვე არ იწონებდა იმერეთში მარბიელი ჯარის გაგზავნას. ამჯერად ამას მხოლოდ გამოუსწორებელი ზიანის მოტანა შეეძლო, ვინაიდან სოლომონს ლეკების წინააღმდეგ აამხედრებდა და უნებლიეთ, სურდა თუ არა, ქართლ-კახეთის მეფეების გვერდით დააყენებდა.

გამოცდილი სარდალი იტარისაც ამავე აზრისა იყო, მაგრამ ვერც ერთმა და ვერც მეორე სარდალმა ვერ შესძლო ზღაპრული ნადავლის მოპოების იმედით ქართლში შემოზვავებული ლაშქრის დარწმუნება, ნუ ვიქმთ ჩვენს საზიანო საქმესო, სიხარბეს თავს ნუ გადავაყოლებთ, იმასაც წყალს ნუ გავატანთ, რაც აქამდე გვიშოვნიაო.

ბელადების მხრივ მეტი წინააღმდეგობის გაწევა, მით უფრო ძალის გამოყენება, ისედაც ურჩ ლაშქარში განხეთქილების ვაშლს ჩამოაგდებდა და ქრისტიან მეფეთა წამოსაჩოქებლად შეყრილი ჯარი უბრალო მძარცველთა ბრბოდ გადაიქცეოდა, რითაც მტერი ისარგებლებდა და წინააღმდეგობის გაწევას უფრო ადვილად შესძლებდა.

ალის ციხეში უტყუარი ცნობები ჰქონდათ, რომ გაურჩებული შუშის ხანის ხელახლა დასაყმობად წასულ კახბატონ ერეკლეს უკვე აუწყეს, რაც მისი არყოფნის დროს ქართლსა და კახეთში მოხდა და ისიც შეუჩერებლივ აქეთ მოეშურებოდა. თუ ჭორი არ იყო, ავი ენები იმასაც კი ამბობდნენ, გარდა დაქირავებული ჩერქეზებისა, ყაბარდოელებისა, ყალმუხებისა და ნოღაელებისა, ერეკლეს თან მოთვინიერებული შუშის ხანის ლაშქარიც

* იხ. „მნათობი", № 1,2

ახლავს და ერთიორად გაძლიერებულსა და გამძვინვარებულს წინ ვერა ძალა ვეღარ დაუდგებაო.

ამ უკანასკნელ ცნობას იქნებ კიდევაც აზვიადებდნენ, იქნებ ერეკლეს იმის ნახევარი ჯარიც არ ჰყავდა, რამდენზეც ხმა დაეგდოთ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა, ძალის მოკრება და საიმედო სიმაგრეების დროულად დაკავება საქმეს არ აწყენდა.

იტარისას თავიდანვე ხელი მოეცარა. ამაოდ უვლიდა გარს გორის ციხეს, რომელშიაც თვით მეფე თეიმურაზი იყო ჩაკეტილი და მოულოდნელი გამოხდომებით, დღისით თუ ღამით, მტერს საგრძნობ ზარალს აყენებდა. ჯარი უპატრონოდ დაგდებულ ქალაქს მოედო. სავაჭროები, სახელოსნოები, მანუფაქტურის ორი საამქრო, მართლმადიდებლური და გრიგორიანული ეკლესიები, კათოლიკე მისიონერთა საყდარი, ქალაქის მოურავ ოთარ ამილახვრის სასახლე და ბევრი სხვა რამ გაძარცვეს და უამრავ ტყვესთან და პირუტყვის ჯოგებთან ერთად დიდოეთის გზას გაუყენეს.

ნაძარცვით დატვირთულმა ქარავანმა შინ თიანეთისა და კახეთის გზით გაუტია, ვინაიდან მარბიელ ლეკთა რისხვა მეფე ერეკლეს გამოჩენამდე ეს ყველაზე უფრო მყუდრო და უშიშარი გზა იყო.

ხუნძახის ბატონმა ნურსალ-ბეგმა თავისი რვა ათასი თავზეხელაღებული მეომრით ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს და მცირერიცხოვან კახ მეციხოვნე ჯართან ერთად ახლომახლო სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობაც, უპირატესად ქალები, ბავშვები და დაუძლურებული მოხუცებულები, ციხეში შემწყვდია. დღე-დღეზე მოელოდნენ ციხის დაცემას. წინა წელიწადს, ერეკლეს მიერ მჰადიჯვართან სამარცხვინოდ დამარცხებულ ავარიის ხანს, იგივე ხუნძახის ბატონ ნურსალ-ბეგს, ყვარლის ციხის დაცემა ხელებს გაუხსნიდა და შიდა კახეთის მოსარბევად მოქმედების სრულ თავისუფლებას მიანიჭებდა.

ყვარელში, რომელიც თავგანწირულ წინააღმდეგობას ეწეოდა, ნურსალ-ბეგი მარტო არ იყო. მას გვერდში უდგა სამი ათასი კარგად შეიარაღებული ლეკი მეომარით მოსული სურხაი-ხანი, კოხტა-ბელადი და კაკი-ენისელის სულთანი. წინასწარ დათქმული პირობის თანახმად ელოდნენ აჯი-ჩალაბს — შაქი-შირვანის ხანს, თუ ერეკლესა და თეიმურაზის ეს ძველი მოსისხლე პირს არ შეირცხვენდა და თავისიანებს დროზე მოეშველებოდა.

მომხვდურთა კარგა მოზრდილი ჯარი დაბანდა სხვილოს ციხემ. ერთმა მუჭა მეციხოვნეებმა სასმელი წყლის, ნუზლისა და ტყვია-წამლის დროულად მომარაგება მოასწრეს, ქალები, ბავშვები და მოხუცებულები შეიფარეს და ციხის დათმობას ცოცხალი თავით არ აპირებდნენ.

ლეკთა ბელადებს, უპირველეს ყოვლისა ყვარელში მდგომ ხუნძახის ბატონს, ჩინებულად ესმოდათ, რომ დროის გაჭიანურება წყალს მხოლოდ ქრისტიანი მეფეების წისქვილს დაუსხამდა. ამიტომაც ჩქარობდნენ, წვავდნენ სოფლებს, სარჩო-საბადებელს, ჯერ კიდევ მიუკარებელ მოსავალს, წვავდნენ ყველაფერს, რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა, რათა გაჩანაგებული ქვეყნის მკვიდრებისათვის პირში ლუკმა გამოეცლიათ და, თუ ღმერთი უმუხთლებდათ და ამჯერადაც ვერაფერს გააწყობდნენ, შემდგომი თავდასხმით მაინც აეგოთ მათთვის წესი.

ყველაზე მეტ გაავებას ლეკები ყვარელში იჩენდნენ. ოთხივე კუთხივ მიუვალი ციხის მაღალ კედლებს იქ სახელდახელოდ შეკოწიწებული ხის კოშკურები მიუყენეს და ზედ აბარგებული მეთოფეები და მოისარნი ტყვიას და კუპრში ამოვლებულ ცეცხლმოკიდებულ ისრებს შიგ ციხეში ისროდნენ. ციხე ხრჩოლავდა, აქა-იქ ალის ენებიც გამოჩნდებოდა ხოლმე, რომელსაც რაღაც მანქანებით იქავე

აქრობდნენ. დამწვარი ჰინჭისა და ხორცის სუნი ქარს შორს მიჰქონდა და მთელს ალაზნის ველზე ფანტავდა. ციხეში ტყვია-წამლისა და სურსათის მარაგი ილეოდა, მჭიდრო ალყის გამრღვევი და მეციხოვნეებისათვის ახალი მარაგის მიმწოდებელი კი არავინ იყო.

რამდენ ხანს გასძლებდა კიდევ. საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი ყვარლის ციხე? რამდენ ხანს გაუმაგრდებოდა რიცხვით, იარაღ-საჭურვლითა და სიცოცხლისათვის საჭირო ყველა საშუალებით უმეტეს მტერს?

სისხლისმღვრელ ომში ჩაბმულ ლეკ ბელადებს მხარი ახალციხის ფაშა ჰაჯი-აჰმადის უპირულობამ მოსტეხა. სანამ კართლ-კახეთის მეფეების ზურგს უკან ყოვლის მომსვრელი საღმრთო ომი მზადდებოდა, ფაშა ლაშქრობის სულისჩამდგმელ ნურსალ-ბეგს აგულიანებდა და მიუხედავად იმისა, რომ ბრწყინვალე პორტასა და სპარსეთს შორის ამჟამად მტკიცე ზავი სუფევდა და სპარსეთის ხელდებული ქვეყნის წინააღმდეგ მახვილის აღმართვა ბედნიერი სულთნის ქვეშევრდომ ფაშას ზავის პირობების დარღვევად ჩაეთვლებოდა, უეჭველ დახმარებას ჰპირდებოდა.

საფაშოს ძლევამოსილი ლაშქარი მტკვრის ხეობით უნდა შემოსულიყო შიდა ქართლში და ლეკების მხარდამხარ პირდაპირ გორისა და ტფილისისათვის უნდა მიემართა. გორის ციხეში გამაგრებულ თეიმურაზს საკმაო ჯარი არ ჰყავდა. მისი საუკეთესო სარდლებიც ერეკლეს ახლდნენ შუშის სახანოში და თითქმის მარტოდ-მარტო დარჩენილ მეფეს დიდი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ერეკლეს მომაკვდინებელ ლახვარს ჩასცემდა მოხუცებული მამის დატყვევება. ძვირფასი მძევლის გამოსასყიდად კახბატონი არაფერს დაიშურებდა, ვინ იცის, იქნებ მეფობაზეც კი ხელი აეღო. თუ გორის ციხე აქამდე კვლავ გურჯებს ეჭირათ და ამილახვრიანთ სხვილოს ციხეც გარსშემორტყმულ მტერს მედგრად იგერიებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „გიაურის ნაშიერმა“ ფაშა ჰაჯი-აჰმადმა პატიოსანი სიტყვა გასტეხა და არამცთუ შემწე ჯარი არ გამოგზავნა, საქმე რომ საქმეზე მიდგა, ყურიც არ შეიბერტყა.

ოქტომბრის ჩვიდმეტს, გამთენიის ხანს, კახბატონის ჯარის მეწინავე რაზმები, რომელთაც თვით გვირგვინოსანი ერეკლე სარდლობდა, ნაძარცვით დატვირთული ქარავნის კუდს მისწვდნენ ალაზნის ჭალებში და მცველ რაზმს ფიცხელი ხელჩართული ბრძოლა გაუმართეს. უთანასწორო ბრძოლა მზის ამოსვლამდე გაგრძელდა, ვიდრე დაწინაურებულ რაზმებს შუშის სახანოდან მობრუნებული სხვა რაზმებიც არ წამოეწივნენ და ალაზნის პირები მტრის გვამებით არ მოჰფინეს. გამარჯვება სრული და უყოყმანო იყო. ტყვეებად გამორეკილ ქართლელთ, ტანისამოსშემოფლეთილ, ფეხშიშველ, ცემითა და ვაებით დაოსებულ ქალებს, ვაჟებსა და მცირეწლოვან ბავშვებს, მეტი უშიშროებისათვის ერთიმეორეზე რომ გადაებათ და წინ პირუტყვებივით მიერეკებოდნენ, სისხლით გალიპული ბაწრები ახსნეს და მომხდარით გაოგნებულებს, ეს ცხადია თუ გველანდებაო, მშობელ კუთხეში დასაბრუნებელი გზა გაუხსნეს.

ერეკლე წუთსაც არ ჰკარგავდა. ლეკთა ტყვეობისაგან გამოხსნილ ქართლელთ შინ დაბრუნების პირობად დაჭრილ-დაკოდილთა მოვლა, საფლავების გათხრა და ომში დაღუპულთა დამარხვა დაუდო, მესაფლავეებს ზედამხედველები მიუჩინა, თვით კი ამოდენა გზით და სისხლისღვრით მოღლილ ჯარს კვლავ ამხედრება უბრძანა და პირი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ ჰქნა.

ბევრს ეგონა, პირდაპირ ყვარელზე მივდივართო, სადაც ასე მოუთმენლად ელოდნენ ერეკლეს გადამწყვეტი ომის გასამართავად, მაგრამ ყველასდა გასაკვირლად, კახეთის ბატონი გავაზში შეჩერდა. ჯარი ორ ნაწილად გაჰყო,

უფრო დიდ ნაწილს, რომელიც უპირატესად ფულზე გაწუწკებული დაქირავებული მეომრებისაგან შესდგებოდა, ქიზიყის მოურავი კონსტანტინე ჩოლოყაშვილი უწინამძღვრა და ლაგოდეხის გზით ჭარ-ბელაქანს გაუსია, ხოლო თვით ყველაზე სანდო, თუმცა რიცხვით მცირე ჯარი შემოიკრიბა და გეზი ყვარლისაკენ აიღო.

ქიზიყის მოურავის სარდლობით ჭარ-ბელაქანში გაგზავნილ ლაშქარს მოწყალე ნება დაერთო, შეუბრალებლივ გაეძარცვა და აეკლო იქაურობა, თუნდ ქვა ქვაზე აღარ დაეტოვებინა და ომში ნაშოვნი ალაფით ყელამდე ავსებულიყო. დაქირავებულ მოლაშქრეებს, ვინც სწორედ საშოვრის გულისათვის იყო აქ მოსული და თუ დღეს ხმალს ერეკლეს მხარეზე იქნევდა, ხვალ შეიძლება სწორედ მის წინააღმდეგ დაექირავებინათ, ფრთები გამოესხათ, ორი დღის სავალი გზა დღენახევარში განვლეს და დაუცველად მიტოვებულ უცხო ქვეყანას საავდროდ გამზადებულ შავ ღრუბლად ჩამოაწვნენ.

ხუნძახის ბატონი ინით შეღებილ წვერს იგლეჯდა. „შაითან ერეკლეს“ მხედრულ ფანდებს სრული არევ-დარევა შეჰქონდა მის ჯარში და მრავალჭირნახულ გამოცდილ სარდალს ძალაუფლების ყველა სადავე ხელიდან ეცლებოდა.

ყვარელში ზარბაზანივით დაიჭექა შემაძრწუნებელმა ახალმა ამბავმა, რომელიც, ეჭვი არ იყო, თვით ერეკლეს კაცებმა დაჰყარეს: წყეულმა კახბატონმა თავი დაგვიარა, იმის მაგიერ, აქ მოსულიყო და ჩვენ შეგვბმოდა, ჭარ-ბელაქანს შესევია და დედაწულს გვიწიოკებსო.

ეს სწორედ იმ დროს მოხდა, როდესაც ჯერ კიდევ გავაზში დაწინაურებულმა მოხალისეებმა, რომელთაც მეფემ უხვი წყალობა, თავადაზნაურთ — ტახტის სამსახურში დაწინაურება, გლეხთაგანს კი ყმობის უღლიდან გათავისუფლება, გაანატება აღუთქვა, გაუგონარი თავგანწირვის ფასად ყვარლის ციხის ალყა გაარღვიეს, ცეცხლის ნიაღვარი, ყოვლის მხრიდან განუწყვეტლივ რომ მოედინებოდა, არად ჩააგდეს და ციხეში ტყვია-წამალი და ნუზლი შეიტანეს. მამაცთა შორის ცხრა თავადიშვილი აღმოჩნდა, ორი აზნაური, ერთიც სამღვდელო პირი და ას ოცდაათი ქიზიყელი გლეხი. ყველა მოწადინე საქმემ ვერ დაიტია...

ზედიზედ გაუჩნდა ცეცხლი კედლებთან მიდგმულ ხის კოშკურებს. ლეკი მეთოფენი და მოისარნი, ერთი საათის წინ დიდსა და პატარას შიშის ზარს რომ სცემდნენ და ციხის ოთხკედელშუა მომწყვდეულ ხალხს სისხლმოწყურებული ჟუჟავდნენ, პანტაპუნტით ცვიოდნენ ძირს და ამაოდ ლამობდნენ თავი გაქცევით გადაერჩინათ.

ჯერ ჭარელებმა იბრუნეს პირი და შინ გასაბრუნებლად ცხენებს მოახტნენ, რალა გვეერეკლება და გვეკახეთება, სახლის ჭერი თავზე გვექცევაო, შემდეგ დაღისტნელი ნურხაი-ხანი და ნუხის ხანიც აწრიალდნენ. ნუხის სახანო ჭარ-ბელაქანს ებმოდა. თუკი ჩოლოყაშვილის მარბიელები ჭარ-ბელაქანს მოითარეშებდნენ, ამაზე უკეთესი დღე არც ნუხის სახანოს დაადგებოდა.

განრისხებულმა ხუნძახის ბატონმა ნაიბები კარავში დაიბარა. გადაწყვეტილი ჰქონდა, უკეთუ ომიდან გამოსვლის ვერაგულ განზრახვაზე ხელს ვერ აალებინებდა, ყველა საკუთარი ხმლით აეკუწა და იმათი ამყრალებული მძორები, სხვათა დასაშინებლად და ჭკუის სასწავლებლად, ყვარლის შუკებში დაეყარა. დამარხვის უფლებასაც არავის მივცემო. დრტვინავდა ხუნძახის ბატონი, დაე, ქვეყანამ დაინახოს, თუ ღალატისა და გამცემლობის წილ რა შეიძლება ჯიგიტმა მიიღოსო.

შიკრიკები გაწბილებული დაბრუნდნენ. გაგონებაც კი ნურსალ-ბეგის ბრძანებისა არავის უნდოდა. ჯარი თვითნებურად იყრებოდა და მისი შეჩერება ახლა აღარავის შეეძლო. გულში ბალღამივით ჩაგროვილი ბოღმა სარდალმა შიკრიკებზე გადმოანთხია:

ხმალი იძრო და სანამ ვინმე რისამე მოსაზრებას მოასწრებდა, ერთ მათგანს თავი იქვე, კარვის კართან გაუჩეხა. საქმე წაგებული იყო. ახალი მტრების მოკიდებას ისევ ბარგის შეკვრა და დროით გაცლა ჯობდა!..

ალყა შუაღამისას მოხსნეს ციხეს. ამ დრომდე ნურსალ-ბეგი კიდევ იმედოვნებდა, იქნება ღმერთი იწამოს და აჯი-ჩალაბი სადმე გამოჩნდესო. ეს იმედიც ქვიშაზე იყო აშენებული: შაჰ-შირვანის ხანს რომ მოსვლა და ომში გარევა სდომებოდა, აქამდე დიდი ხნის მოსული იქნებოდა. აჯი-ჩალაბი, როგორც ჩანდა, კვლავ შორიდან ეთამაშებოდა „შაითან ერეკლეს“, ძმობას ეფიცებოდა და ანგარიშის გასასწორებლად კიდევ უკეთეს დროს ელოდა, ვიდრე ამჟამად იყო...

სხვილოს ციხეში საიდუმლო ხვრელით კაცი შევიდა და კახეთში ლეკთა მთავარი ლაშქრის სასტიკად დამარცხების ამბავი შეიტანა. იქ იმისთანა ვაშა და ჟრიამული ატყდა, მოალყე ლეკებმა ყურები სცქვიტეს — ნეტავი რა ხდებაო. ამასობაში მათ კიბეები დაემზადებინათ, თოკებით, ჩანგლებით, კანჯოებით მომარაგებულიყვნენ და მომდევნო დილისათვის, ინათლებდა თუ არა, საიერიშოდ ემზადებოდნენ.

მეფე ერეკლეს გამოჩენისა და ყვარლიდან ხუნძახის ბატონ ნურსალ-ბეგის სამარცხვინო გაქცევის ცნობამ სწორედ იერიშის დაწყების წინ ლეკების ყურამდეც მიაღწია. ომის საქმეში ღრმად ჩახედული ძველი მოლაშქრენი ერეკლეს სულ სხვა მხრიდან მოელოდნენ და დახვედრის თადარიგსაც იჭერდნენ. ეს მოლოდინი არ გამართლდა. მოხდა სწორედ ის, რაც ყველაზე ნაკლებ შეიძლებოდა მომხდარიყო. მიდგნენ-მოდგნენ, გორში მალემსრბოლები აფრინეს და საგანგაშო ამბავი იქ თეიმურაზ მეფესთან უსარგებლო კენწლაობაში გართულ იტარისას შეატყობინეს.

ალის ციხეში მოკალათებულ ჩონჩოლ-მუსას, რომელმაც კახეთიდან ხუნძახის ბატონის განდევნა, ჭარ-ბელაქნის უწყალოდ აკლება და მეფე ერეკლეს მოახლოება იტარისასაგან შეიტყო, რაღა ამის გაგება და ახალი ელდა უნდოდა! სოფელ უწლევთან ჩასაფრებულ მის მეწინავე რაზმებს იმერლებმა შემოუტიეს და პირველსავე შეტაკებაში ულმერთოდ სძლიეს. იმისთანა ამბავი შეიქნა. ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობდა. ცოცხალმა და საღსალამათმა თითქმის ვეღარავინ გამოასწრო. ჩონჩოლ-მუსა ბედს იწყევლიდა, რომ ამ შეჩვენებულ ციხეში და ალის-წყლის ვიწრო ხეობაში თავი ვირთხასავით გამოიმწყვდია და გასაქან-გამოსაქანი აღარ დაიტოვა. ციხის დაცლა, სოლომონ მეფის აჩიკ-ბაშები ზედაც რომ მოსდგომოდნენ და ცეცხლი შემოეკეთებინათ, საშური არ იყო. გზა ალსა, ვაყასა, გომსა და მოხისისაკენ ჩონჩოლ-მუსას თავისუფალი ჰქონდა, რადგან აქ მისი ჯარები იდგნენ. ციხის დატოვებას და სამშვიდობოზე გასვლას, ალაჰის მადლით, ყოველთვის მოასწრებდა. ახლა, რაკი ძალა აღმართსა ხნავდა, საჭირო იყო, ოსტატურად უკან დაეხია, მტერი ვაკე მინდორში გამოეტყუებინა და იქ მარქაფად მდგომი ცხენოსანი ჯარით დასჯახებოდა.

ქართლელ თანამოძმეთა შესაწევნად მოსულ აჩიკ-ბაშებს ლეკები, თუ მეტით არა, ერთნახევარჯერ მაინც სჭარბობდნენ და ეს რიცხობრივი უპირატესობა გაშლილ ადგილზე თავის საქნელს უთუოდ იზამდა.

ომებსა და გამუდმებულ სისხლისღვრაში დაბერებული ჩონჩოლ-მუსა ათას ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრსა და ეჭვში იყო გახლართული.

ბოლოს მისი ფიქრი ერთ საგანზე შეჩერდა: იქნებ სულაც უომრად და სისხლის დაუღვრელად მოგვარებულიყო საქმე?

ქართლ-კახელებისაგან გაბრიყვებული სოლომონი, როდესაც კავკასიის ყველა მაჰმადიან ტომთან დაკავშირებულ ლეკებთან ომში თეიმურაზისა

და ერეკლეს მხარეზე გამოდიოდა, რაღა თქმა უნდა, თავს მომაკვდინებელ საფრთხეში იგდებდა.

უწევდა ანგარიშს ამას თუ არა? ნათლად ჰქონდა თუ არა წარმოდგენილი ყველა შედეგი, წინდაუხედავ ლაშქრობას ხვალ და ზეგ რომ მოყვებოდა?

ჯერ იყო, და, თავისი უგუნური ნაბიჯით უამისოდაც გულაღრენილ ოსმალთ განარისხებდა: ხომ წამოაყვედრიდნენ, რა გრჯიდა, შე ოხერო, ასეთო და ისეთო, დღე და მოსწრება თეთრი ვეშაპისაკენ მაცქერალ ჩვენს დაუძინებელ მტრებს, მართლა ყონაღებივით რომ გვიღიმიან და თეთრ კბილებს გვაჩვენებენ, დამხმარე ხელი რად გაუწოდეო? მერე კი საკვნესად და სათავცემოდ ისიც ეყოფოდა, რომ ქართლ-კახეთის ყველა ფარულ თუ აშკარა მტერს თავის საკუთარ მტრად გაიხდიდა. ლეკები და აგარიანები რომ ისევ სიომრად აღიღებდნენ მახვილს და პირს კახეთისაკენ ან ქართლისაკენ კი არა, იმერეთისაკენ იზამდნენ, მაშინ გვერდში ვინ ამოუდგებოდა ან ზურგს ვინ გაუმაგრებდა, ერეკლე და თეიმურაზი?

ჩონჩოლ-მუსა გამხნევდა, გულში იმედი ჩაესახა. სამშვიდობო მოლაპარაკებას და სოლომონთან ცალმხრივი ზავის შეკვრას წინ თითქოს არაფერი უდგა, წვრილ-წვრილ ნაიბებს თავსავე რომ დაეჯერებინათ და ჯარი იმერეთის სოფლების მოსარბევად არ წაეყვანათ. ახლა, როცა აჩიკ-ბაშებმა ლეკის სისხლს გემო გაუგეს და მომხტომთანა კაცი, ვინც გაფიცხებულ სოლომონს რაღა პირით შეხვედროდა? რა ეთქვა, თავი რით და როგორ გაემართლებინა?

ჩონჩოლ-მუსა მხსნელ აზრს ჩაებღაუჭა: უსიკვდილოდ უნდა გამოეძებნა კაცი, ვინც გაფიცხებულ სოლომონს თვალებს აუხელდა და ომის შემზარავ შედეგს დაანახვებდა. ასეთი კაცი თვით ჩონჩოლ-მუსა იყო. მაგრამ როგორ მოეხერხებინა სოლომონთან პირისპირ შეყრა? როგორ მოეწყო ისე, რომ არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური?

## თავი XI

ერისთვიშვილმა გიორგი სარდალმა, რომელიც დურბინდით კარგად ხედავდა ამჟამად მტრის ხელში მყოფ ალის ციხეს და იქ ზარბაზნების განლაგებას აკვირდებოდა, უცებ ხეობის ფსკერზე, მურყნარში, მდინარეს რომ გასდევდა, მხედართა პატარა ჯგუფი შენიშნა. მხედრები საქარავნო გზას აღგნენ და ერთ მჭიდრო გუნდად შეკრულნი ცხენებს პირდაპირ იმერთა მეფის ბანაკისაკენ მოაგელვებდნენ.

— ლეკები! — დინჯად თქვა გიორგი სარდალმა და დურბინდი ძმას, მეთოდეს გაუწოდა. — ქვე რავა ოულერიათ-ყე თავი და მოდიან, ჩვენ ველარა გვხედავენ?

მეთოდემ დურბინდი მოირგო, კარგა ხანს აკვირდებოდა.

— ლეკებია, — დაასკვნა მანაც. — თეთრ დროშას მოაფრიალებენ. მოლაპარაკება თუ უნდათ.

— თეთრ დროშას? — გაუკვირდა გიორგის, რადგან მას არავითარი დროშა არ დაუნახავს, ძმას დურბინდი გამოართვა და მურყნარში გამავალ მიხვეულ-მოხვეულ გზას კვლავ დაჰხედა. — სწორია, წინ თეთრი დროშა მოუძღვით. როგორ მოვიქცეთ?

— უნდა ჩავაგებოთ ვინმე.

— თუ თავად ჩევეგებო?

— არა, არა, ვინმე სხვა ჩაგზავნე, ვინ იცის, რა განზრახვით მოდიან!

— ღალაკუნა, — სარდალი მის ზურგსუკან მდგომ ახალგაზრდა აზნაურს — გალაქტიონ გოცირიძეს მიუბრუნდა. — ჩოუძეხი-ყე ბიჭებს

შენებურად და გააჩერე ეგ ნაბიჭვრები, კითხე, რა უნდათ, რას გვიძვრებიან თოფის ტუჩში. ფრთხილად, მაგათი ამბავი ხომ იცი, კარებამდე სანდო არ არიან. თუ გესროლონ, შენც ქვე ესროლე, თუ არა და...

— ბატონი ბრძანდები, — მიუგო გოცირიძემ და გატრიალდა.

სანამ ის წყლის პირზე ჩავიდოდა, ლეკები სხვებმა გააჩერეს, თოფ-იარაღი აჰყარეს, მხოლოდ ზავის მაუწყებელი თეთრი დროშა დაუტოვეს და გარს შემოერტყნენ.

— ბატონი მეფის ნახვას ითხოვენ, — მოახსენა ერისთვიშვილებს ციცაბო აღმართში შეუსვენებლივ ამოსვლისაგან სუნთქვამოხშირებულმა გოცირიძემ. — ჩონჩოლ-მუსამ, გაწყდა მაგისი სახსენებელი, სიტყვა დაგვაბარაო.

მეფის გაგონებაზე გიორგი სარდალი აიმრიზა:

— სიტყვა? რა სიტყვა? ეგ სიტყვა ჩვენთან არ ითქმის?

— ვერ ვიტყვითო, შენი ჭირიმე, გიორგი. მეფეს მიჰგვარეთ-ყე ჩვენი თავიო. ჩვენ ტყვეები კი არავის ვეგონოთ, ნებით მოვსულვართ, ბატონის სიტყვის მოსატანად და პასუხის წასაღებად გამოგვაგზავნესო.

გიორგიმ მწარედ ჩაიცინა, მერე ერთბაშად მოიღუშა.

— კანონის ხალხი ყოფილა! არავისაც რომ არ მივგვაროთ და თავუკეები დავაყრევინო?

— ბატონ მამას ვკითხოთ. გიორგი, — ურჩია შურისძიების ჟინით შეპყრობილ ძმას ნაბერალმა. — რავარც ის გვირჩევს, ისე მოქცევა აჯობებს.

როსტომი თვით გამოვიდა ლეკთ მოციქულების შესახვედრად, რა ამბავია, ამ ტყვიის წვიმაში აქ ცოცხლები რამ მოგიყვანათო. ლეკებს ქართული ესმოდათ, მაგრამ ხეირიან ლაპარაკს ვერც ერთი ვერ ახერხებდა და ამიტომაც თარჯიმნის, ალში შეპყრობილი მეწვრილმანე ებრაელის პირით გაიმეორეს ის, რაც გალაქტიონ, იგივე ლალაკო გოცირიძეს გიორგი სარდალთან დააბარეს — ტყვეები არა ვართ, ნებით მოვსულვართ, ბატონის სიტყვის მოსატანად და პასუხის წასაღებად გამოგვაგზავნესო.

იქნებ ლეკები არც გაეშვა და მანამ დაეკავებინა, ვიდრე ყველაფერს ძირისძირობამდე არ გამოიძიებდა, მაგრამ ერისთავი გრძნობდა, სოლომონის მსტოვრებით იყო გარემოსილი და ახალი უსიამოვნების ჩამოგდებას ისევ ის არჩია, ჩონჩოლ-მუსას მიერ გამოგზავნილი შუამავლები თავისი ბადრაგის თანხლებით მეფის ბანაკში გაეგზავნა.

სოლომონი ერთი უზარმაზარი მუხის ქვეშ, სალაშქრო კარავში იჯდა, სარდლები მოეწვია, ვახუშტისეული რუკა გაეშალა, ალის ციხის მოურავი პეპია ხაჩიძეც გვერდით მოესვა და ციხის ალყაში მოქცევის გზებს არჩევდა, როდესაც ჩონჩოლ-მუსასაგან კაცების მოსვლა აუწყეს. სოლომონმა თავი ასწია, კარავს თვალი მოავლო და ბრძანა, ლეკები შემოეყვანათ.

— პატივი დაგვდოს და მისი უმაღლესობა ბატონი მეფე ცალკე მოგველაპარაკოსო, ვაღაი, — ორივე მუხლზე დაიჩოქა, ხელები გულზე გადაიჯვარედინა, სამგზის მიწას შუბლით შეეხო და ისე მიმართა სოლომონს ცალკერძ ლეკებისა და ცალკერძ ირგვლივ შემოჯარული ქრისტიანი მხედრების შიშით ხმაწართმეულმა და საცოდავად მობუზულმა მეწვრილმანემ.

— აქ ყველა ჩემიანია, — მკაცრად მოსჭრა ხელმწიფემ. — სათხოვრად მოდიან და მოლაპარაკების პირობასაც თავად მიდებენ?

ებრაელმა ახმახ, ქლალწვეროან ლეკს შეხედა, რომელიც უთუოდ ჩონჩოლ-მუსას ერთ-ერთი ნაიბი ან დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო და რაღაც წაიჩიფჩიფა მეფისა და მისი ქვეშევრდომებისათვის გაუგებარ ენაზე. ლეკმა ჩაახველა, სატევრის ცარიელ ქარქაშზე საოცრად ნატიფი ხელები დაიწყო და მომდურავი კაცის ხმითა და გამომეტყველებით კარგა ხანი

ილაპარაკა, სანამ თარჯიმანს თავის სათქმელს გააგებინებდა.

— უარზეა, ვადაი, შენი პირი შემეყაროს, ასე მოგახსენებს, რჯულის მადლმა, თავად დიდებული ხელმწიფისთვისაც სასარგებლო იქნება, თუ ჩვენს მოლაპარაკებას გარეშე პირი არავინ დაესწრებაო.

— უთარგმნე მაგას: გარეშე პირი აქ არავინ არის! — კვლავ კუშტად მიუგო მეფემ. — ჩემი სარდლებია. თუ ლაპარაკი არ ნებავს, საიდანაც მობრძანდა, იქით მიბრძანდეს. ჩვენ აქ საომრად მოვსულვართ, ენის მოსაქავებლად არა გვცალია!

ამ სიტყვების გადათარგმნის შემდეგ კარავში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სოლომონის ზურგსუკან მდგომნი აღტაცებული იყვნენ თავიანთი მეფის პასუხით, რაც იმით გამოჰხატეს, რომ ერთმანეთს მალულად გადაჰხედეს და თვალი ჩაუკრეს. ლეკები, ეტყობოდა, არ მოელოდნენ ამგვარ დახვედრას. პასუხის გასაცემად რამდენიმე წუთი დახჭირდათ. ამაყი და მედიდური ნაიბი მეფის სიტყვების მოსმენის შემდეგ თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და მარტო მისი ნება რომ ყოფილიყო, მოლაპარაკება, ალბათ, იმავე წუთს შეწყდებოდა, მაგრამ ახლა წინ თეთრჩოხიანი, თმა-წვერგაჭაღარავებული, სახენაიარევი ლეკი წამოდგა და თარჯიმანს კი არა, თვით მეფეს დათაფლული ხმით მიმართა.

სოლომონმა მას თვალი აარიდა და თარჯიმანს შეხედა, თუმცა ლეკი ჯერ ისევ ლაპარაკობდა და ლაპარაკის დროს, სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიენიჭებინა, თითქოსდა ჰარხლის წვენში ამოვლებულ ორთავ ხელს იშველიებდა.

— ასე მოგახსენებს, ბატონო, რომეო, — იმერულ კილოზე თქვა ებრაელმა, როდესაც ლეკმა საკმაოდ გრძელი სიტყვა დაასრულა და მეფეს თავი დაუკრა. — მთელს კავკასიაში და იმას იქით განთქმული სარდალი ჩონჩოლ-მუსა ახიკ-ბაშების დიდი მეფის, სოლომონის მეგობარი და კეთილის მდომელიაო. რასაც ჩონჩოლ-მუსა ახიკ-ბაშების დიდი მეფისათვის ინებებს, ის მაღალმა ალაჰმა ბელადის შვილსა და შვილიშვილს ნუ მოაკლოსო.

— ამინ! — ჩაიცინეს კარვის შორეულ კუთხეში.

ტახტზე გაუნძრევლად მჯდომმა სოლომონმა თავისიანებს მოჰხედა და ნიშნად უკმაყოფილებისა წარბი შემართა.

— ათადამ-ბაბადამ აგრე ყოფილაო, — განაგრძო თარჯიმანმა. — ქართლელები და კახელები ერთმანეთს ეშლებოდნენ, ხოლო იმერლები ორივეს სძულდათო.

სოლომონი, ამ წუთამდე სრულ სიდინჯეს რომ ინარჩუნებდა და ლეკებს მოლაპარაკების სასარგებლოდ წარმართვის იმედს უკარგავდა, აილეწა, თვალებში რისხვისა და სიძულვილის ცეცხლმა გაკვესა:

— ენა ჩაიგდე შენ, ვიღაცა ხარ! ჯობს, შენს საქმეს მოუარო და მოკლედ გაგვაგებინო, აქ რისთვის მოსულხარ. იქნება ხეირიანად არც კი იცით, ვის ხელში ხართ და ვის ელაპარაკებით! მაგ სიმყრალის გავრცელებისათვის მე სიკვდილით ვსჯი ყველას, თავადი იყოს, გინდ აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი! ამას გარდა, ესეც უთარგმნე: მთელ კავკასიაში და იმას იქით განთქმულმა სარდალმა ჩონჩოლ-მუსამ თავის ტოლი და სწორი ნახოს და მეგობრობა იმას გაუწიოს. ქურდისა და ავაზაკის მეგობარი მე და ჩემი მამა-პაპა არასოდეს არა ვყოფილვართ. ღმერთმა ნურც გაგვხადოს! — მერე სახე გვერდზე მიიბრუნა. — შენ ვერ უყურებ, რანაირად გატუტუცებულა?

ეს რომ მოისმინა, ჰაღარა ლეკმა ბოღმით მოიხადა, რაღაც, ალბათ, ისე ვერ გამოვთქვი, ღვთის გულისათვის შემინდეთო და გაბზარული ხმით დაუმატა:

— თუ ნებას დაგვრთავთ, ჩვენს სიტყვას ვიტყვით, მერე ბატონმა მეფემ ბრძანოს თავისიო.

სოლომონი უკვე ნანობდა, რომ შუამავლები პირადად მიიღო და თარჯიმანს შეუტია.

— ეგ წესი და რიგი ოჯახში, თუ შინ მისვლა ეღირსა, თავის ცოლ-შვილს დაუდგინოს. ჩვენ ბევრი მიეთმოეთის დრო არა გვაქვს და არც ძველი ზღაპრების ყურის დასაგდებად გვცალია. თუ სათქმელი მეტი არაფერია, მაშასადამე, ჩვენი ბანაკის დასაზვერავად მოსულან და უფლებას ვიტოვებთ, ყველას ისე მოვექცეთ, როგორც მტრის მიერ შემოგზავნილ მსტოვრებს ეკადრება!

ლეკებმა მანამ გაიგეს, რაც მეფემ ბრძანა, სანამ ცხოველური შიშისაგან კიდევ უფრო მოკუნტული და საქციელწამხდარი თარჯიმანი დაღისტნის ერთ-ერთ კილოკავზე სოლომონის სიტყვებს თარგმნიდა, და ფერი ეცვალათ, მხოლოდ ის ამაყი და მიუკარებელი ნაიბი იდგა კვლავინდებურად პირმოქურუშებული, თითქოს ღვთის ნაბოძები სიცოცხლე ჩირადაც არ უღირსო, გულხელი დაეჭდო და წინ უტეხად იყურებოდა.

ჭალარა ლეკმა სიტყვა გადაუგდო თავისიანებს, პასუხიც მოისმინა და კვლავ დინჯად, იოტისოდენა აღელვების გარეშე მიმართა თარჯიმანს:

— მოახსენე ჩვენს მაგივრად დიდებულ მეფეს: შუაკაცებს ასე არავინ ეპყრობა, ჩვენც ხალხი ვართ-თქო.

თარჯიმანი შეყოყმანდა, უსასოოდ მიიხედ-მოიხედა, ვერ გადაწყვიტა, ეთარგმნა ეს სიტყვები თუ არა და მხოლოდ მაშინ, როდესაც ლეკებმა თვალი ცარიელ ქარქაშებს დაადგეს, ლეკის ნათქვამი ბლუკუნ-ბლუკუნით ქართულად გაიმეორა.

— ჩემი და ჩემი მოყვრის მტრისაგან მე შუამავლებს არ ვღებულობ და არავითარ გარიგებას არ ვაპირებ, — ასევე დინჯად, აუღელვებლივ უპასუხა მეფემ. — ერთადერთი შუამავალი ცხელი ტყვია მეგულება. მე თქვენ მარტო იმისათვის შემოგიშვით აქ, რომ მეგონა გონიერებას გამოიჩენდით, არ მოინდომებდით ამაო სისხლისღვრას და ციხის გასაღებს მოგვართმევდით. ვწუხვარ, რომ შეეცდით. ეს არის გვამცნეს, რაც, ღვთის შეწევნით, კახეთში ამბავი დატრიალებულა. დიდებული მეფე ერეკლე ყვარლიდან უკვე გამოსულია და, თუ ღმერთმა კვლავ ხელი მოუმართა, რაც არავის გვაეჭვებს, ხვალ გორში იქნება. ჩვენ, ალბათ, ერეკლეს არ დაველოდებით, სასიხარულო ნობათს დავახვედრებთ. წადით და ასე მოახსენეთ იმ თქვენს ჩონჩოლ-მუსას. ეს გახლავთ ჩვენი უკანასკნელი სიტყვა. ციხის გასაღები! თუ უომრად დაგვნებდებით და იარაღს დაჰყრით, ვფიცავ ჩემს ღმერთს, არავის შევეკითხები — შინ ყველას უვნებლად გაგიშვებთ, მხოლოდ თოფ-იარაღსა და ტყვიაწამალს დავიტოვებ, არა და, ჩემი ცოდვაც თქვენ ზიდეთ და თქვენიც!

ჭალარამ მეფეს აღუთქვა, რომ ყოველივე ამას თავის ბელადს, ჩონჩოლ-მუსას აუწყებდა. სოლომონმა ორი საათი დრო დაუდო. ეს დრო საკმაო იქნებო და იმისათვის, რომ შუაკაცები ციხეში მიბრუნებულიყვნენ და მეფის ბანაკში, რომელიც პასუხის მიღებამდე არავითარ ახალ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, ჩონჩოლ-მუსას საბოლოო პასუხი მოეტანათ.

მუქარით აღსავსე სიტყვაში სოლომონს გაკვრითაც არ უხსენებია ვაკე იმერეთისა და ოკრიბის სადროშოები, რომლებიც უკვე გადმოსული უნდა ყოფილიყვნენ რიკოთის უღელტეხილზე, ალის ციხეს ზურგიდან უახლოვდებოდნენ და ერთობლივი იერიშის დათქმულ ნიშანს ელოდნენ.

ლეკებმა ისევ გადაულაპარაკეს ერთმანეთს. ამ გადალაპარაკებასა და უკანასკნელ ბჭობაში მარტო ის ამაყი ნაიბი არ მონაწილეობდა, განზე იდგა და ყველაზე და ყველაფერზე შემომწყრალი თავის საფიქრალს ფიქრობდა.

გამოირკვა, რომ შუაკაცები თავიანთ ბელადს ერთადერთი მიზნით გამოეგზავნა: მათ მჭევრმეტყველების ყველა ხერხი უნდა ეხმარათ და იმერთა მეფე

როგორმე დაერწმუნებინათ, რომ სრულიად საიდუმლოდ ჩონჩოლ-მუსას შეხვედროდა. ადგილს თვით სოლომონი აირჩევდა. ჩონჩოლ-მუსა თანახმა იყო, მეფეს იქ შეხვედროდა, სადაც შეხვედრასა და მოლაპარაკებას ის უფრო მოსახერხებლად ჩათვლიდა.

სოლომონმა ლეკთა ბელადის არც ეს შემონათვალი სცნო გულდადებით განსჯა-განხილვისა და შეწყნარების ღირსად, შუამავლებს პირდაპირ განუცხადა, საიდუმლო შეხვედრა, თქვენი ბელადი რომ გვთავაზობს, თავადაც იცით, ჩვენის მხრივ სუფთა წყლის ღალატს უდრის და ნურავის გაუკვირდება, თუ სიკვდილს ვარჩევთ, ვიდრე ღალატის მოლიპულ გზას დავადგებოდეთო.

ეს რომ თქვა, სოლომონმა ლეკებს თავი ძლივს შესამჩნევად დაუკრა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მოლაპარაკება დამთავრდა და უბრალო თავაზიანობისათვის დაელოდა, ვიდრე თარჯიმანი მის სიტყვებს ლეკების ენაზე თარგმნიდა.

მოციქულებსა და მათს თარჯიმანს, რომლებიც როსტომ რაჭის ერისთავის კაცებმა მეფის ბანაკში თვალებახვეული მოიყვანეს, თვალები ისევ აუკრეს და ცხენები მოჰგვარეს. ბანაკს ხეირიანად გაცილებული არც კი იქნებოდნენ, რომ სადღაც ზარბაზანმა დაიქუხა, მიდამო შესძრა და ამას თოფებისა და ზამბულაკების გახშირებული სროლა მოჰყვა.

— რა ხდება? — სოლომონი წამოდგა და მხლებლებთან ერთად კარვიდან გამოვიდა.

კბილებამდე იარაღში ჩამჯდარმა ქაიხოსრო წერეთელმა სმენა დაძაბა და მხოლოდ მცირე შეყოვნების შემდეგ მიუგო:

— თუ ყური არ მატყუებს, თქვენო უმაღლესობავ, სროლა ნაბახტევის მხრიდან უნდა ისმოდეს. ნაბახტევი აგიაშვილის და ლორთქიფანიძის გზაზეა...

სარდალი სიფრთხილეს იჩენდა, პირდაპირ არ ამბობდა, ეს შესაძლოა, ვაკე იმერეთისა და ოკრიბის სადროშოებმა მოაღწიეს და ცხელ გულზე მტერს შეებნენო.

— მადლობა ღმერთს, თუ მშვიდობით მოვიდნენ, მაგრამ ასე ჩვენთვის შეუტყობინებლად დაიწყებდნენ? იქ რაღაც სხვა ამბავია, ქაიხოსრო ბატონო, ახლავე მარჯვე ბიჭები გაგზავნე, თავადაც წაბრძანდი და სისწორე გვაცნობე. ხაფანგში არ გაგვაბან. სირცხვილით თავი სადღა გამოვყოთ. თუ მართლა ბერი და ქაიხოსროა, როგორც შენ ბრძანებ, ჩვენგან საყვედური ეკუთვნით. ომში შეწყობილი მოქმედება არის საჭირო. ეს თქვენგან, სარდლებისაგან, მისწავლია. აბა ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!

არ გაუვლია ნახევარ საათსაც, შიკრიკმა გაქაფული ცხენი მოაჭენა და მეფის კარვის წინ ჩამოქვეითდა.

— ქაიხოსროსაგან ხარ? — შეაგება სოლომონმა.

— ერისთავის ყმა გახლავარ, დიდო მეფეო, აზნაური ღლაკო გოცირიძე, — ყოჩაღად უპასუხა მოსულმა და, თუმცა დაღლილობისა და მღელვარებისაგან, რომ მეფესთან გამოგზავნის პატივი სწორედ მას არგუნეს, სულს ძლივს იბრუნებდა, ქვეყნის უზენაესი ბატონის წინაშე ორივე მუხლი მოიყარა. — სასიხარულო ამბავი მოგართვი-ყე...

— თქვი, რაღას აყოვნებ!

— ერისთვიშვილი გიორგი სარდალი ციხეშია, ბატონო მეფევ, ციხიდან მდაბალ სალამს გითვლის!..

— ციხეშია? — სოლომონი გაოცდა, ყურზე ხელი მოიფარა, სმენამ ხომ არ მიღალატაო. — რომელ ციხეში, კაცო?

— ალის ციხეში, მეფეო, აქ სხვა რომელი ციხეა!

— ლეკები რა იქნენ, ჩონჩოლ-მუსა ახლა იქ არ იჯდა?

— იჯდა, დიდო მეფეო, ახლა აღარ ჯის. ციხე ამ დილას დოუცლიათ და ჩუმად გაპარულან.

მეფემ მხრები აიჩეჩა, ეს რა მესმისო, ამალის წევრებს გადახედა, თვალი ჰკიდა სიხარულისაგან მეცხრე ცაზე

აფრენილ პეპია ხაჩიძეს და თავადაც ღიმილმა შეუტევა ტუჩის კუთხე.

— მერე ეგ ამბავი თქვენ ვინ შეგატყობინათ?

გოცირიძემ, როგორც შეიძლო, მოკლედ დაასურათა საქმის ვითარება. გიორგი სარდლის მიერ შერჩეულ ბიჭებს ციხისათვის უკანა მხრიდან მოევლოთ და ნაღმის ჩასადებად კედლის ძირში ორმო ამოეთხარათ. სხვები, სამოციოდე კაცი, მათ შორის თვით გიორგი სარდალიც, მშრალ ხევში ისხდნენ და როგორც კი ნაღმი აფეთქდებოდა და კედელში ხვრელს ან ნაპრალს გააჩენდა, ციხისათვის უნდა მოეშურებინათ. ნაღმი აფეთქდა, ციხის მთელი უკანა კედელი ჩამოაქცია, ბიჭებიც კინაღამ ქვეშ მოიყოლა, მაგრამ ციხიდან ბაიბური არ ისმოდა. როდესაც შიგ შევიდნენ, ყველა სახტად დარჩა: ციხეში კაცის ჭაჭანება აღარ იყო. გზაზე მოშვერილი სამი საველე ზარბაზანი და ქონგურზე აღმართული დროშა, ალბათ, მტრის შესაცდენად და შესაშინებლად, ხელუხლებლივ მიეტოვებინათ.

— დიდება შენდა, ღმერთო, წმიდაო გიორგი, — სასოებით წარმოთქვა სოლომონმა და პირჯვარი გადაისახა. — გმადლობ, რომ სასწაული მოგვივლინე და ურჯულო მტერი შენი ძლევამოსილი მახვილით დაგვიმარცხე!

— გიორგი სარდალმა გამარჯვება მოგილოცა, მეფეო, — ახლა უფრო გაბედულად დასძინა ნათქვამს გოცირიძემ. — ციხეზე ლეკის დროშა ჩამოვაგდეთ და შენი კურთხეული დროშა ავმართეთ!

— თავად შენ ციხეში იყავი?

— გახლდი, ბატონო!

— შუაკაცები ხომ არ დაგიხოციათ?

— ვერ მოგახსენებ, დიდო მეფეო, აქეთობას აღარ შემხვედრიან. არა მგონია, ვინმეს ევაკაცოს, აჰ, ღმერთს ვინ გაარისხებდა, ელჩებს ქვე რავა დახოცავდნენ!..

— ერისთავი სად ბრძანდება?

— ეს არის, ეიყარა, ბატონო, ახლა ციხეში იქნება ისიც!

— რა გაეწყობა, გოცირიძე, გვიბოძებია შენთვის ტახტის აზნაურობა. ვნახოთ, როგორ შეიფერებ და როგორ გვიერთგულებ!

— ღმერთმა გადღეგრძელოს და ცამდე აგამაღლოს, დიდებულო მეფეო! — მხურვალედ შესძახა ახალმა ტახტის აზნაურმა. — შენი ერთგული ყმობის მომშლელს ღმერთმა და მამაზეციერმა შავად გაუთენოს წითელი პარასკევი, არ მიეწიოს დღეის სწორამდე, არ ღირსებოდეს ნაკურთხი მიწა!..

სოლომონი მოალბო, ცოტათი კიდევაც გაახალისა ამ წრფელმა ფიცმა, რომელსაც გოცირიძისაგან არავინ მოითხოვდა და თვალების მოძრაობით ანიშნა, წამოდექიო.

— ვიდრე პირისპირ ვნახავდე, ჩემი მადლობა გადაეცი ბატონ როსტომს, მეტადრე კი სარდალ გიორგის, ვინც ასე ივაჟკაცა და ციხე დაიკავა. ამის მეტი რა მეთქმის, მაგრამ დედის წინ მორბენალ თხასავით რომ მარცხი მოგსვლოდათ და მტრის მიერ დაგებულ მახეს წასწყდომოდით, იცოდე, ჩემს რისხვას ვერ გადაურჩებოდით ვერც ერთი! ასე არ არის, პეპია? — მეფე ალის ციხის მოურავს მოუბრუნდა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— აგრეა, თქვენო უმაღლესობავ, — უმალვე დაეთანხმა ხაჩიძე და ნაბდის ქუდი მოიშველია.

— ახლა რაღას იტყვი, ხომ გაგიქციეთ მტერი?

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, მეფევ ბატონო, — პეპიამ დაიჩოქა, ჩვარივით მოჭმუჭნული ფარფლებიანი ქუდი გულზე მიიხუტა და თვალები ზე აღაპყრო. — ღმერთს შევთხოვ და იესო მაცხოვარს, ყოველ საქმეში ხელი მოგმართოდეს და როგორც რომ ახლა ჩვენ შეგვეწიე...

— აგიაშვილი და ლორთქიფანიძე გეახლნენ, ბატონო, ჯარით, — გოცირიძე უფრო გათამამდა, ქადაგად დავარდნილ პეპია ხაჩიძეს სიტყვის დამთავრება აღარ დააცალა და მეფეს ახალი სასიხარულო ამბავი აუწყა. — ნაბახტევში

დგანან და შენი უმაღლესობის ბრძანებას ელიან!

სოლომონს თვალები გაუბრწყინდა.

— მაშ, ქაიხოსრო მართალი ყოფილა! მაგრამ აქამდე სად არის, რატომ არაფერს გვატყობინებს?

— მე რომ აქეთ გეახელი, ზემომხრის სარდალი ქაიხოსრო წერეთელი ციხის გვერდოზე ადიოდა, მეფეო, როსაფ მაჭავარიანი და მისი ხალხი ახლდა, დანარჩენები ძირს. წყლის პირზე უცდიდნენ და შეკაზმული ცხენებიც იქავე ბალახობდნენ.

სოლომონი ამალას მიუბრუნდა:

— თუ ასეა, დროა, ჩვენც დავიძრათ. ეი, ვინ არის მანდ. ცხენები მოგვართვით!

## თავი XII

იმერეთში კიდით კიდემდე ხმა დაირხა: ღვთივ მირონცხებულმა მეფე სოლომონმა ქართლში თურმე ურიცხვ მტერს სძლია, ლეკთა ბელადები თვალით გააფუჭა, ყველა კისრისტეხით უკუაქცია და ზღვა ალაფით დატვირთული იმერთა ლაშქარი, თუ ალაფის გაყოფისას ჩხუბი არ მოუვიდათ და ერთმანეთი არ ამოხოცეს, დღე-დღეზე უკან მობრუნდებაო.

ეს ცნობა, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ ქართლის მომიჯნავე სოფლებში გავრცელდა, მერე კი იცოცა, იცოცა და ქვეყნის შუაგულსაც მალე მოაღწია. ვარციხის სასახლეში კვლავ არაფერი იცოდნენ. სოლომონისა კვალიც კი გაციებულიყო. მეფე ამბის შეტყობინებას აგვიანებდა და თავის მწარე ხვედრს შერიგებული დედოფალთ-დედოფალი მარიამი ერთადერთ ხსნასა და შვებას ისევ და ისევ სნეულთა მოვლასა და პატრონობაში პოულობდა.

დილის წირვის მოსმენის შემდეგ, კარის მწირველი მღვდელი სვიმონ წერეთელი ხატებს რომ ჩამოუვლიდა და უკლებლივ ყველას, ოქროცურვილ ვერცხლის შანდლებს და საკურთხეველს გაჩაღებული საცეცხლურის კვამლს მიაფრქვევდა, დედოფალი მცირედ წაიხემსებდა, უფრო იმისათვის, რომ ძალღონე შეენარჩუნებინა, ბატონიშვილ დარეჯანის დასახედავად შევიდოდა, გამდელებს საჭირო დარიგებებს მისცემდა და თითქმის მთელი დღე, სამხრობამდე, ქსენონში იკარგებოდა.

სოლომონის ლაშქრად წასვლისთანავე მარიამს ქსენონში მეტი ჯაფა დააწვა. აქიმები, დასტაქრები, თვით კაპუჩინელი პატრებიც კი მეფეს ახლდნენ ომში. მარიამი ხუთიოდე მასავით თავგადადებული მონაზვნის ამარა იყო და ქსენონში სნეულთათვის საჭირო ყველა შესაფერ თუ დედოფლისათვის სავსებით შეუფერებელ საქმეს აკეთებდა.

ქვემომხრის ლაშქარი სამი დღის აშლილი არც კი იქნებოდა, როდესაც ოდიშიდან იმერთა სამეფო კარს დადიანის გულუხვი ძღვენი მოართვეს. ძღვენი მართლაც სახარბიელო იყო. ალექსანდრიიდან მოსული ვაჭრებისაგან მამასისხლად შეძენილ ბისონს, ფარჩეულსა და სამ ვეებერთელა არაბულ ხალიჩას ფასი არ დაედებოდა. აქვე იყო ზუგდიდელი ხელოსნების მიერ ვერცხლით მოსევადებული წყვილი ყანწი, ოქრომკედით ნაკერი სადედოფლო უნაგირი, ჯერ კიდევ ლევან დადიანის დროს თეათინელ ძმათა ყალმით შესრულებული ექვსი ქანრული სურათი, რომლებიც მხატვრობის, გალობისა და მწიგნობრობის ტრფიალ მარიამს ასე უყვარდა, მაგრამ მზითვად რატომღაც არ გამოატანეს, ჩინური ფაიფურის საკვირვლად ნატიფი ჭურჭელი ოცდაოთხკაციანი სუფრის გასაწყობად, ექვსი ნასუქი ჰედილა და მალაქიტივით შავად მბზინვარე წყვილი კამეჩი — ფური და ხარი.

მარიამს ყოველთვის ემაყებოდა მამისა და საფიცარი ძმის ყურადღება, ყუ-

რადღებით და ალერსით დადიანის ერთადერთი ასული მუდამ განებივრებული იყო. სადღესასწაულოდ ან სხვა რომელიმე ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო გამოგზავნილ ძღვენს თავშეკავებული სიხარულით იღებდა და თავის მხრივაც ცდილობდა, საპასუხო ძღვენიც არანაკლებ მდიდრული და ბრწყინვალე ყოფილიყო, თუმცა გულისწადილის აღსასრულებლად სახსარი არ გააჩნდა და ისედაც ათასი საზრუნავით შეპყრობილი გვირგვინოსანი თანამეცხედრე რომ არ შეეწუხებინა და კიდევ ერთი ახალი საზრუნავი არ გაეჩინა, ხშირად გამოუვალ გასაჭირში ვარდებოდა ხოლმე.

კაცო ჩიჩუამ, დადიანის კარის საგარეო საქმეთა უცვლელმა განმგებელმა, რომელიც ოდიშის ბატონის ასულს პატარაობიდანვე რატომღაც გამორჩეულად არ უყვარდა, უფრო იმის გამო, ხალხში რომ ამბობდნენ, გაუსწორებელი ტყვისმსყიდველიაო, და შემდეგ ამას სოლომონის მხრივ ათვალწუნებაც დაემატა, ძღვენს ამჯერად დადიანის ძე კაცias მოკითხვის წიგნი მოაყოლა. ჩიჩუას გარდა, ტყვეს სამეგრელოში სხვაც ბევრი ჰყიდდა და კათალიკოსის შეჩვენებას არ ეპუებოდა, მაგრამ მარიამის ზიზღმა და სიძულვილმა ყველა ამათ მიმართ თავი ერთ კაცო ჩიჩუაში მოიყარა.

დედოფალმა ეტრატის გახსნისთანავე იცნო ძმის ხელი და ელდა ეცა. კაცია არასოდეს არ წერდა ხოლმე დას, მოკითხვის წიგნებს თვითონ ოდიშის ბატონი ადგენდა და მარიამს ტანში ნაცნობი ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, როდესაც მამის ხელით გამოყვანილ პირველ სიტყვებს ამოიკითხავდა: „შვილო და სიბერის იმედო ჩემო; სანატრელო, ორთავ თვალის სინათლევ, მარიამ...“

— რა მოელანდა ჩემს საყვარელ ძმას, კაციას, წიგნის დასაწერად რომ მოუცლია? — მეგრულად უთხრა დედოფალმა კაცო ჩიჩუას და ვიდრე წიგნს თავიდან ბოლომდე გულდასმით ჩაიკითხავდა, ზერელედ გადახედა. — ბატონი მამა რასაიქს, როგორ ბრძანდება?

— ხან წევს, ბატონო, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო, ხან ზეზეა, — მეგრულადვე მიუგო ჩიჩუამ. — თქვენ გნატრულობთ. დღე ისე არ გავა, არ გახსენოთ და თვალზე ცრემლი არ მოადგეს.

— ღმერთო, რა უსამართლოდ არის ცხოვრება მოწყობილი! — დედოფალს გული აუჩუყდა, მაგრამ აბა რის მარიამი იქნებოდა, თუ თავს ვერ შეიკავებდა და საძულველ ადამიანს სისუსტეს აჩვენებდა. — მეც ძალიან მენატრება. ბატონიშვილი დარეჯანი ამხელა ქალი გაგვეზარდა და იმდენი ვერ ვქენით, ჯერ საყვარელი ბაბუა ვერ ვანახვეთ!

— ამ შემოდგომაზე ელოდა მეფეს სახლეულით. მოვემზადეთ... დაზამთრებამდე დროა. იქნება კიდევ მოხერხდეს. ანდა ზამთარი რას შეგიშლით, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო, ცხენისწყალი ზამთარ უფრო ადვილი გადმოსავლელია.

— შენ პირს შაქარი, კაცო, მაგრამ... მოიცლის მეფე-ბატონი? თვალით დასანახავად გვენატრება. ახლაც ქართლში ბრძანდება. იქაც გაიგებდით: თეიმურაზს ლეკები შესევიან, ერეკლე შინ არ ბრძანებულა...

— დიდ ბატონსაც მოუვიდა წვევის წიგნი, თქვენო უმაღლესობავ, ჯარიც შევყარეთ, გზაზე ვადექით, ის იყო, მაგრამ უცაბედი საქმე გამოგვიჩნდა და ხელი შეგვეშალა.

— რა იყო მაგისთანა უცაბედი საქმე? — მარიამი ერთბაშად ქართულზე გადავიდა. — ამაზე უფრო დიდი საქმე რა უნდა გამოგჩენოდათ?

— მამია გურიელს ძმა აჯანყებია, დედოფალო, გურიელყოფილი გიორგი, მომხრეები უშოვნია და როგორც კი გურიელი ქართლს მიმავალ ლაშქარს ძირულის პირზე შეერთებია, იმ დალოცვილს დაუკრავს ხელი და ოზურგეთი დაუკავებია.

— ეგ ვიცით, — მარიამმა წარბი შეიკრა და კვლავ ქართულად განაგრძო, თუმცა ოდიშის ბატონის კარისკაცი ამბავს მეგრულად უყვებოდა. — ვიცით და შესაფერი ზომებიც მივიღეთ: ფარეშთ უხუცესი ზურაბ მიქელაძე გავგზავნეთ ოზურგეთს ხუთასი კაცით. გურიელს გზაშივე ვაუწყეთ არეულობა და ჩვენის ნებართვით ისიც უკან დაბრუნდა. ახლა გურიაში ღვთის შეწევნით სიწყნარეა, მხოლოდ გურიელყოფილი გიორგი გაგვექცა და თავი ახალციხეს შეაფარა. ღმერთო, როდის მოიშლება ეს უხსენებლის ბუდე!

— ბატონი თქვენი ძმა გურიელის საქმემ დააბრკოლა, — ყოველივე ამის მოსმენის შემდეგ ჩიჩუას ხმაში კიდევ მეტი კრძალვა და მოწიწება გაისმა. ოდიშარი თავადი კარგად ხედავდა და თვალნათლივ რწმუნდებოდა, რომ გაუჭირდებოდა იმ საჭოჭმანო საქმის მოგვარება, რაც დადიანის ძე კაციამ დაავალა. — არ ვიცოდით, რომელ დღეს დაგვიძახებდნენ, — თავშეკავების ყველა ღონეს მიმართა და მშვიდად დააბოლოვა მან.

„თაღლითობას არც შენ იშლი და არც ჩემი საყვარელი ძმა!“ — გაიფიქრა დედოფალმა მარიამმა. შემდგომ გამოკითხვას, მართალს მაინც არაფერს იტყვისო, თავი ანება, სტუმარს სელისკამზე ანიშნა, თავადაც დაჯდა, კაბის ნაოჭები გაისწორა და ძმის მიერ გამოგზავნილი წიგნის კითხვას შეუდგა.

კაცია მამის ჯანმრთელობისა და ოჯახის ამბებს ატყობინებდა, ატყობინებდა წვრილად, საკვირველი გულმოდგინებით. მარიამს ზოგი რამ ძალზე უმნიშვნელოდ მოეჩვენა და ეჭვმა გაჰკენწლა, ჩემი ძმა ხომ არ დამცინის, ანდა ისევ ბალღი ხომ არ ვგონივარ, მითუმეტეს იმ არასასიამოვნო საუბრის შემდეგ, ჩვენს შორის სწორედ აქ, ვარციხის სასახლეში რომ შესდგაო. მაგრამ ეს უმნიშვნელო ამბები მალე გათავდა, და დედოფალი და და რომ არ დაეღრთხო, კაცია საქმეზე ნელა-ნელა გადავიდა.

შენი დიდებული დედამთილი, არაგვეთის ბატონის ასული დიდი დედოფალი თამარი, ვერ არის ისე, როგორც უნდა იყოსო, იწერებოდა დადიანის ძე კაცია, ორჯერ გული შეუღონდა, ორჯერვე მთელი ღამე უგონოდ ბრძანდებოდა, მთელი ოჯახი ფეხზე ვიდექით, აქიმები დავასიეთ, სასუნებელი და პირში ჩასაწვეთებელი წამლებით ძლივს მოვაბრუნეთო. ჯერ იყო და, სულთნის კარზე ან ახალციხეში გაშვებას ითხოვდა, ბატონ მამას თავისი განუყრელი პირისფარეში ხვაშაქი მიუგზავნა, ერთხელ პირადადაც დაიმდაბლა თავი და ნაწირვებს სთხოვა, მაგრამ, მოგეხსენება, მამას სიტყვა აქვს დადებული სოლომონთან და თამარს მოკრძალებული უარი ჰკადრა, მაგას ვერ ვიზამო, რამაც აბაშიძის ზვიადი ასული გააგულისა და, მეტი რომ ვეღარაფერი იღონა, საჭმელ-სასმელი აღიკვეთაო. ახლა, რაკიღა ასე დაუძლურდა და ვგონებ დიდი დღე აღარ უწერია, დაძმურად გთხოვ, საქმე ისე მოაგვარო, სოლომონსაც ნუ გააგებინებ, ბატონიშვილი არჩილი გამოგზავნო დედის სანახავად, შენც მშობელი დედა ხარ, კარგად მიხვდები, თუ ამით რა სიკეთეს იზამო...

მარიამი სულმოუთქმელად კითხულობდა, ყოველი სიტყვის ამოკითხვისას გული სიმწრითა და სამსალით ევსებოდა, ვერც კი გრძნობდა, როგორ უკანკალებდა ხელები, უთრთოდა მთელი ტანი და თვით ისიც დავიწყებოდა, რომ ყოველივე ამას საკუთარი თვალით ხედავდა მოციქულად თუ მსტოვრად მოგზავნილი თავადი კაცო ჩიჩუა.

„როდის აქეთ გახდა ჩემი ძმა ასე სათნო და გულთამხილავი? — ფიქრობდა მარიამი. — როდის აქეთ აღეძრა თანაგრძნობა მოყვასისადმი? როდის აქეთ გადაწყვიტა, ხელმწიფის განაჩენით სამეფოდან გაძევებულ ცრუ დედას, დღესაც რომ მზად არის, მიუხედავად ავადმყოფობისა, სულთანს ან ახალციხის ფაშას ფეხშიშველი ეახლოს ძუძუებიდან მოწყვეტილ პირმშო შვილზე შუ-

რინ საძიებლად, სხვა შვილების უნახავობით გაწამებული სიცოცხლე გაუხანგრძლივოს? არა, აქ რაღაც სხვა ამბავი იმალება! შერისხული აბაშიძის ასულისათვის კაცია თითს თითზე არ დააწებდა, ენასაც არ დაასველებდა, ამ წაჯექუკუჯექობისაგან რაღაც სარგებელს რომ არ გამოელოდეს! აკი სხვათაშორის კიდევაც იხვეწება, სოლომონს არც გააგებინო, ეს საქმე ისე მოაგვარეო? ძღვენია თუ ქრთამი, ამჯერად რომ მომართვა? დრო შემირჩია... მცდის? მაშ, ამასწინდელ ჩვენს საუბარს, აქამდე რომ ლოდივით მაწევს გულზე და ყოველთვის გულისკანკალით მოვიგონებ, ამაოდ ჩაუვლია, კაცია ისევ ის არის, რაც იყო და და-ძმური სიყვარულის შებღალვასაც არ ერიდება, ოღონდ თავისი უკეთური ზრახვები აღასრულოს?“

დადიანის ძე შემდეგ გაკვრით ახსენებდა ლაშხეთში მეფის ყოფნას, იქაურ ტყეებში ნადირობას, სვან ბერიკაცებთან თათბირს გვარჯილის თაობაზე და მწუხარებას გამოთქვამდა, რომ სიძის განზრახვა დროზე ვერ შეიტყო, სოლომონს შესაფერი პატივით ვერ შეხვდა და საკადრისი მასპინძლობა ვერ გაუწია. აწი თუ ჩვენს საბატონო მამულში მობრძანება ინებოს, გაისარჯოს და კაცის პირით წინასწარ გვაცნობოსო. მაშინ ჩვენც შევეცდებით, თავი არ შევირცხვინოთ, ისე შევხვდებით, როგორც მის მეფურ დიდებულებას და ჩვენს ღირსებას შეეფერებაო.

აქ რომ დადიანის ძე კაციას „ჩვენი საბატონო მამული“ და ზოგი რამ სხვაც არ მოეხსენებინა, მარიამს ზემოთქმული იქნებ ჩვეულებრივ მოყვრულ საყვედურად მიეღო და მისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭებინა, მაგრამ ძმის ამ სიტყვებმა, სიტყვებში გახვეულმა ფარულმა აზრმა, უნებლიეთ შეაკრთო და ლაწვებზე ცეცხლი მოუკიდა.

ცოლისძმა სიძეს თავის საბატონო ქვეყანაში, ოდესღაც დადიანების მიერ მიტაცებულ ლეჩხუმში უნებართვოდ შესვლას უკრძალავდა და სიტყვასა და სიტყვას შორის კიდევაც ემუქრებოდა— თავის ღირსებას და დაუპატიჟებელი სტუმრის „საკადრის პატივს“ უხსენებდა!

„ჯერ მამა ისევ ცოცხალია, სამთავროს ყველა სადავე იმის ხელთაა, — გაიფიქრა მარიამმა. — ეს კი რას ბედავს? ღმერთი რომ გაგვიწყრეს და ის აღარ გვეყოლოს, მაშინ რას იზამს?“

ძმის უკანასკნელმა სახვეწარმა დედოფალი კიდევ მეტ საგონებელში ჩააგდო: კაცია დადიანის ძე მეფის ბრძანებით დილეგში ჩაგდებულ და სამართალში მიცემულ გვანიში ქაჯაიას მფარველობას ითხოვდა და უკეთუ მარიამი ძმის ამ თხოვნას შეიწყნარებდა და ქაჯაიას გადასარჩენად თავის ძალასა და გავლენას არ დაიშურებდა, კაცია სამაგიერო პატივისცემას ჰპირდებოდა.

„ისე მევაჭრება და მელიჭინება, თითქოს ცხენის მოსართავებს ვყიდდე შუა ბაზარში!“ — გაიფიქრა მთლად გაფითრებულმა დედოფალმა, თავი ასწია და ვეფხვის მძვინვარე თვალები ჩიჩუას შეანათა:

— ვინ არის ეს გვანიში ქაჯაია, თავადო, როდის და რისთვის დააკავეს?

კაცო ჩიჩუას გაუკვირდა, ამას რას მეკითხებაო, ყოველგვარ შეკითხვას მოელოდა, ამას კი არა.

— გვანიში ქაჯაია გიორგი და ბერი წულუკიძეების სიძე გახლავთ, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო, იმათი ღვიძლი და, გულქანი, ყავს ცოლად.

— მერე? რა ჩაიდინა ამისთანა?

— ტყვისმსყიდველობა ბრალდება.

— აჰა, — მარიამს ყველაფერი გაახსენდა. — ბრალდება თუ დანაშაულზე წაისწრეს?

— წაისწრესო, ასე მოგახსენებენ, მაგრამ მე იქ არ ვყოფილვარ და...

— ახლა ჩემი საყვარელი ძმა კაცია რას მთხოვს?

— გვანიშს რომ ეს ამბავი შეემთხვა, მისი თანამეცხედრე გულქანი თქვენს ძმას, ბატონ კაციას ეახლა გორდში და ფეხებში ჩაუვარდა. კაციაც ამიტომ შე-

მოგეხვეწათ, პირადადაც ასე დამაბარა და მეც, თუ არ გამირისხდებით, ჩემის მხრით ამასვე გთხოვთ...

— თუ უდანაშაულოა და ხელს ტყუილად ადებენ, თვით წულუკიძეები რას გაჩუმებულან, რად არ შუამდგომლობენ?

— მოგეხსენებათ, დედოფალო, საკუთარი ტყავი... — ჩიჩუამ სიტყვა გაწელა.

— ყველაფერს ახლავე შევიტყობ!

მარიამი მრგვალი მაგიდის კიდეზე შემოდებულ პაწაწინა ვერცხლის ზარს მისწვდა და დარეკა. დარბაზის მაღალი კარი მსწრაფლ გაიღო, ზღურბლზე ყურთმაჯებიან თეთრ ჩოხაში გამოწყობილი თავშიშველი ყმაწვილი გამოჩნდა და დედოფალს თავი დაუკრა, რას მიბრძანებთო.

— ბატონ გიორგი წულუკიძეს სთხოვე, ერთი წუთით გვეახლოს.

გიორგი წულუკიძეს დიდხანს არ ულოდინებია. სადად, მაგრამ გემოვნებით გაწყობილ კარგა მოზრდილ დარბაზში, სადაც დედოფალი და მისი სტუმარი ისხდნენ, დარბაისლური ნაბიჯით შემოვიდა, ჯერ დედოფალს, შემდეგ უმალვე ფეხზე წამომდგარ კაცო ჩიჩუას მდაბალი სალამი ჰკადრა, ხელიც ჩამოართვა, მოიკითხა და სმენადა და ყურადღებად ქცეული შორიახლო გაჩერდა.

— დაბრძანდი, ბატონო გიორგი, და, თუ არ შეწუხდები, აი, ეს წიგნი წაიკითხე! — მიმართა მარიამმა, გაშლილი ეტრატი მიაწოდა და სკამზე აჩვენა.

ჩიჩუას ფერი ეცვალა, ცოტაღა დააკლდა, ხელებში არ ეცა მარიამს, რას სჩადიხართ, დედოფალო, წიგნი ხომ სრულიად საიდუმლოა, მისი წაკითხვა თვით მეფესაც არ მართებსო, მაგრამ რაღაც შინაგანმა ძალამ თუ ალღომ, რითაც საშიშროების მოახლოებას ყოველთვის შეუცდომლად გრძნობდა, ხელ-ფეხი შეუკრა და ადგილიდან დაძვრის ნება არ მისცა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ინდოეთის წითელი ხის ძვირფას ჩარჩოში ჩასმული კედლის ექვსკუთხა საათის თანაბარი ტკაკ-ტუკი ისმოდა მარიამის ნამზითევი ვენეციური სარკის მარჯვენა მხარეს. განიერ ფანჯრებზე ჩამოშვებულ კრეტსაბმელსა და კრეტსაბმელს შუა.

გიორგი წულუკიძემ წიგნი ბოლომდე წაიკითხა, გადააბრუნა, ლუქის ანაგლეჯ ადგილსაც დაჰხედა, ოქროს სათვალე, ამ ბოლო დროს კითხვისას და წერისას რომ ხმარობდა, მოიხსნა, წიგნი მაგიდაზე დასდო და დედოფალს მშვიდი მზერა მიაპყრო.

— რას გვეტყვით, თავადო? — ჰკითხა მარიამმა და თვალი თვალში გაუყარა.

— ნუ მიწყენთ, თქვენო უმაღლესობავ, — აუჩქარებლივ მიუგო წულუკიძემ და თავი ისე დაიჭირა, თითქოს კაცო ჩიჩუას აქ ყოფნას ვეღარც კი ამჩნევდა. — აჯობებდა, ამ წიგნის რომ არაფერი გამეგო. მარტოოდენ მოწყალე მეფისა და თქვენი ნება გახლავთ, გაგზავნით თუ არა ბატონიშვილ არჩილს ოდიშში დედის სანახავად. მე მხოლოდ ის შემიძლია მოგახსენოთ და სინანული გამოვთქვა, რომ ამჟამად საამისო დროს ვერ ვიშოვნით, ვინაიდან ეს არის გეახლენ კაცები ტფილისიდან: გვირგვინოსანი ძმა ბატონ არჩილს ისნის სასახლეში იბარებს, რამდენადაც ვიცი. იქ მეფე ერეკლეს უმცროს ასულზე, ელენეზე დანიშნავენ. დიდმარხვის დადგომამდე, თუ მშვიდობა იქნა, ალბათ, ჯვარსაც დავწერთ და ქორწილსაც გადავიხდით...

— როგორ, ბატონო გიორგი, მეფისაგან კაცი მოვიდა? — ისე მშვიდად, ყოველგვარი მოუთმენლობისა და მღელვარების გარეშე იკითხა მარიამმა, თითქოს უკანასკნელი დღეები და კვირეები სწორედ ამ წუთის მოლოდინში არ ეთენ-ეღამებინოს. — რატომ აქამდე არაფერი გამაგებინეთ?

— სტუმარი გყავდათ, ხელი ვერ შეგიშალეთ, გადაუდებელი საჩქაროც არაფერია.

— მომილოცავს, თქვენო უმაღლესო-

ბავ, დედოფალო! — შეატყო, ახლა კი დროა და ზრდილობაც მოითხოვს, მეც ჩავერიოო და სიტყვა მოწიწებით ჩაურთო კაცო ჩიჩუამ. — ჩანს, მტერი დაუმარცხებიათ, რაკი თავს ყველა ისნის სასახლეში იყრის და გამარჯვების აღსანიშნავად ბატონიშვილ არჩილის დაქორწინებაც გადაუწყვეტიათ. ერთი პირობა კი ამბობდნენ, მერე მიწყდა ამაზე ლაპარაკი. რაღა დაგიმალოთ, ჩვენ ოდიშში ასე გვეგონა, მეფე სასძლოდ რონტომ რაჭის ერისთავის ბადიშს, გიორგი სარდლის ასულს აირჩევდა...

— ის ხომ მთლად ბღარია ჯერ, ბატონო! — მიუბრუნდა არცთუ სახუმროდ შეცბუნებული გიორგი წულუკიძე სტუმარს, ვინც ამ თავისი სიტყვებით გაცილებით მეტი რამ თქვა, ვიდრე შეიძლებოდა ვინმე საქმეში ჩაუხედავ კაცს ეფიქრა. — მე თავად ვახლდი ბატონიშვილს წესში, ერისთავის კარზე, სხვის მოყოლილს კი არ გეუბნებით. სარდლის პატარა ასული, მართალია, ვნახეთ, მაგრამ მაგნაირი რამე, მერწმუნეთ, იქ არ თქმულა.

— ვისაც ჩვენი და ტახტის სიკეთე გულით სწადია, ამას პირიდანაც არ ამოუშვებს, — თითქოს არავისაც არ მიმართავსო, ისე, თავისთვის თქვა დედოფალმა. — საქმე გადაწყვეტილი ჩანს. შემდგომი ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა მხოლოდ ერისთავის სახლეულს გვინაწყენებს და ახალ სათავცემოს გაგვიჩენს. ღმერთმა ინება და ძლივს სიმშვიდე ჩამოვარდა.

— ნეტავი ენა მომტეხოდა! — ცხარედ შესძახა ჩიჩუამ. — არ მითქვამს ბატონო გთხოვთ, ისე ჩათვალოთ, რომ ერთი სიტყვაც არ მითქვამს!

— მე უნდა გეახლოთ, დედოფალო, ბატონიშვილი მოსამზადებელი გახლავთ, მეც, ალბათ, მცირედი მომზადება დამჭირდება.

— თქვენ გაჰყვებით, ბატონო გიორგი? — მარიამი მიხვდა, რომ დადიანის ძის მიერ წამოჭრილ მეორე სათხოვარზე წულუკიძეს პასუხის გაცემა არ უნდოდა და არჩილ ბატონიშვილის სამგზავროდ მომზადება მიზეზად მოიდო, რათა აქედან გასულიყო.

— მეფეს ასე უბრძანებია. გელათში კიდევ კაცია გასაგზავნი. ბატონიშვილ იოსებსა და მის უწმიდესობა კათალიკოსს უნდა შევატყობინოთ.

— ისინიც მოდიან თუ?

— ბატონიშვილი, ალბათ, წამობრძანდება, მოვალეც არის, კათალიკოსისა კი რა მოგახსენოთ.

დედოფალი წამოდგა, ჩიჩუას დაემშვიდობა, ახლა მოისვენეთ, იმედია, ვახშმად ისევ შევხვდებითო და სოლომონის მიერ სასახლეში გამოგზავნილი კაცების მისაღებად მეზობელ ოთახში გავიდა.

## თავი XIII

ალაფით ყელამდე ავსებული ჯარის მაგიერ, ყოველ ცისმარე დღე რომ მოელოდნენ, გორაძირში, ქართლ-იმერეთის დიდ სავაჭრო გზაზე, ხარ-ურმის პირველი ქარავანი გამოჩნდა. ურმებზე ომში დაკოდილები დაეწვინათ, ვინც ცხენზე ამხედრება ველარ შეიძლო და ტკივილებით გაწამებული, შემოდგომის ნაგვიანევი სიცხე და ჰაერში მობორიალე მტვერი კიდევ უფრო აუტანელს რომ ხდიდა, იძულებული იყო, მთელი გზა ჯაყჯაყით გამოევლო.

დაჭრილ-დაკოდილები მოჰყავთო, რომ დაიძახეს, სოფლები, დიდი და პატარა, ერი და ბერი გზებზე გამოეფინა.

— სად, ქალო?

— ვინ მოყავთო?

— დაჭრილ-დაკოდილებიო...

— რაიო, ბოშო?

— ვინ მოყავთ, ვინ?

მაგრამ ამასობაში ურმებსაც მოლან-

დავდნენ თვალს და აზიაქებული ბრბო უმალ აქეთ მოაშურებდა. კრიახებდნენ დამფრთხალი ქათმები, ჰყვიროდნენ და გულგახეთქილი აქეთ-იქით აწყდებოდნენ წუთის წინ ჩრდილში ნებივრად წამოწოლილი ღორები, ყეფდნენ ძაღლები, ზმუოდა საძოვრიდან მობრუნებული საქონელი. ორღობეში წითელი თავსაფარი, კაბა ან ახალუხი გაიელვებდა და მარჯვედ ნასროლი მუგუზალივით ჰაერში გავარვარებულ კვალს სტოვებდა. ყველა თავისიანს დაეძებდა, მკვდარსა თუ ცოცხალს, ყველას ომში გასტუმრებული თავისი ღვიძლის ამბის შეტყობა სწყუროდა. ხან აქ, ხან იქ, გულის გამგმირავად იკივლებდა ვიღაც გაჭირვებული და ტანში ყველას სიმწრის ჟრუანტელი დაუვლიდა. ლეჩაქგაშავებული მშობელი დედა, დაქვრივებული ცოლი, ერთიმეორეზე უმცროსი დაობლებული ბავშვები ჯერ შეიცხადებდნენ, თუმცა ხეირიანად ვერც კი დაეჯერებინათ, თუ ის, ვისაც ასე გულისფანცქალით მოელოდნენ, შინ აღარასოდეს დაბრუნდებოდა, მერე, მეზობელ-ახლობლები რომ შემოესეოდნენ და მათთან ერთად ტირილსა და მოთქმას მორთავდნენ, ხმა საწყალობლად ჩაუწყდებოდათ და უკიდეგანო ქვეყანაზე ღვთის წყალობის ანაბარა დარჩენილნი მიწას ცხარე ცრემლით ალბობდნენ. სხვები პირჯვარს იწერდნენ, ჭირისუფალს დამდურებულივით პირს არიდებდნენ და თითქოს ეკრძალებათ ან შიშობენ, სულმოკლეობად არავინ ჩამოგვართვასო, ძლივს გასაგონად ჩურჩულებდნენ:

—ღმერთო და იესო მაცხოვარო, გვაშორე სიავე და უბედურება! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, მტერი გეიმეტე, დეიფარე ყველა ჩემიანი!..

ერთმა ჩალიანმა ურემმა კვახჭირთანაც გადაუხვია დიდი გზიდან. ჩალაზე დაჭრილი იწვა და დროდადრო ყრუდ კვნესოდა.

— რა ქენი, ბიჭო, მახარობელა, ჩააბარე ღმერთს ცოდვილი სული თუ ისევ ცოცხალი ხარ? — მეურმე უღელში გაბმულ ლომა ხარებს ჩამორჩა, მხარზე თოხივით გადებული გრძელი თითი ჩამოიღო, ფრთხილად, თითქოს ეშინია, უცაბედად არ გამივარდესო, ჩალაზე დასდო, ღვედით ჭალზე გამოაბა და დაჭრილს წვერმოშვებულ სახეზე დაჰხედა.

დაჭრილი გაყუჩდა. მისი კვნესა და ვიშვიში კარგა ხანს აღარ ისმოდა. ეტყობოდა, არ სურდა ან თავი არ ჰქონდა ამხანაგს ლაზღანდარობაში აჰყოლოდა.

— ასკია! — დაიძახლა რამდენიმე წუთის შემდეგ, კარგა ხნის გაუპარსავ, მბზინვარე შავი ჯაგრით დაფარულ პირისახეზე ტორი მოისვა და თვალი გაახილა. — აქა ხარ, ბიჭო?

— აბა, სად ვიქნები, —უპასუხა მეურმემ. — მახარობელა გუნცაძე კი არა ვარ, ძმაკაცი რომ შუაგზაზე მივატოვო. ადექი ახლა, მარტვა მე და შენ დავრჩით. ხომ ვიცი, კანიც არა გაქვს გაკაწრული. ნუ გეშინია, არსად დაგაბეზღებ!

— მაგ სიმართლით იარე შენ, ასკია, როგორც ახლა მართალს ამბობდე! — ისევ კვნესასა და კრუსუნს მოჰყვა დაჭრილი. — მე არა მაქვს, ბიჭო, კანი გაკაწრული? ვისა აქვს აბა? ი ხმლის წვერი შენ გატაკეს ფერდში? კანი კი არა, ახლაც მიკვირს, სული რანაირად შემრჩა. გეყურება შენ? ეტყობა, არ მეწერა ჯერ სიკვდილი. ექვსი ლეკი მოგვესია. ჩვენ ორი ვიყავით...

— მეორე ვინ იყო?

— რას იღრიჯები, ბიჭო, გგონია გატყუებ?

— გეიხსენი, თუ ღმერთი გწამს, მანახვე, რა ალაგას გატაკეს ი ხმლის წვერი?

— არ გჯერა, ხომ?

— რატომ, დოუჯერებელი რა არის!

— კი, ბატონო, ეგერ წყაროსთან მივალთ და...

— მანამდე ერთად არ ვიყავით? მერე სად დეიკარგე?

— წყალი მომწყურდა და ქოხში შევედი.

— ვიცი, რისთვისაც შეხვედი, შე წუწკო. მტერი და მოყვარე აღარ უნდა იცოდე? ჭკუას როდის მოუხმობ? თათარი ხარ, შე ოხერო, თუ ქრისტიანი?

— თავი ნუ მამიკვდება, ასკია, მართლა მამწყურდა და შევედი, შევედი და რას ვხედავ: ქალი ჯის აკვანთან და ძუძუს აწოვებს ბოვშს...

— მერე, შე უწმინდურო?

— არ მეგონა, თუ ქოხში ვინმე იყო, თუ არა რავა გავბრიყვდებოდი და რავა შევიდოდი. ღვთის წინაშე, შენთან რა დავმალო, ცოტა ქე შემეშინდა. მივიხედ-მოვიხედე. რაღაი ეს დედ-მამაგანათლებული ქალი დარჩენილა და სხვებივით არ გახიზნულა, აქ ვინმე კიდევ იქნება-თქვა.

— ქალმა არაფერი გითხრა?

— ბოვშს ძუძუ გააშვებია, შენ ხარ ჩემი ბატონი, გული შეიბნია და ადგა. ადგა, მარა რა ადგა, ასკია, ღმერთო, შემინდე, ნუ წამიწყმედ სულს, ქალის უნახავს გაგხდიდა! შენ რაღა დაგიმალო, შიშმა ერთი კიდევ გამკრა გულში. ამისთანა ქალს, რძე და ღვინო რომ გადასდის სახეზე, გახიზნულ სოფელში უპატრონოდ ვინ დატოვებდა. პირი სულ გამიშრა. გამახსენდა, წყლის დასალევად რომ შემოვედი და, ერთი ფათქა წყალი დამალევინე, მაგ შენს პატარას გაზრდას-თქვა, შევეხვეწე. ბოვში ტიროდა, ძუძუს ითხოვდა. უდროო დროს შემოვესწარი. არაფერი მიპასუხა, რას მემდუროდა, არ ვიცი, გვერდზე მიბრუნდა, თაროდან თიხის ჯამი გადმოიღო, წყლიანი ჩაფიც იქავე იდგა, დაასხა წყალი, ცოტა ქე დეექცა და ჩემკენ წამოვიდა. ვერაფერი ვაჟკაცი ყოფილხარო, მითხრა და წყალი მომაწოდა, გარეთ ხალხი სისხლს აქცევს, მეორეთმოსვლა ტრიალებს, შენ კი ქოხში შემოძურწულხარ, მეძუძურ ქალს ასასივით თავზე დამდგომიხარ და აქ იმალებიო, ფუ შენს ვაჟკაცობასაო. რაღაი ასე გამიმეტა და აღარ დამზოგა, აღარც მე დამიკლია ხელი, ერთი ორი კაი-კაი, იცოცხლე, მეც ვუთხარი. იმ კუდიანმა ეილო და, ჯამი წყალი, ხელში რომ ეკავა, სახეში შემომასხა. იმისთანა ლაწუნი მამესმა, მე ვთქვი, სილა გამარტყეს, თუ რა ამბავი-თქვა. მეტი რა ღონე იყო, ვეცი, ხელები გადოვუგრიხე და ტახტზე წავაქციე...

— ახლა კი ტყუილს ამბობ, მახარობელა, — ღიმილით შეაწყვეტინა ასკია აბესაძემ და ხარებს სახრე აუქნია, ფეხი ააჩქარებინა. — ღმერთსა ვთხოვ, ისე ნუ მომკლავს, რომ შენგან სიმართლე არ გამაგონოს. რა გრჯის, ბიჭო, ტყუილს რომ მეუბნები. გეყოფა! გადმოდი ურმიდან, აქედან ფეხითაც კარგად ივლი. ისე, ცოდვა არ ითქმის, მოყოლა გემარჯვება. ვინც არ გიცნობს, შეიძლება, ქეც მოატყუო და დააჯერო!

— ვაი, ასკია, — მახარობელამ ჯერ ნიდაყვზე წამოიწია, მერე სულ წამოჯდა. — თუ ერთ სიტყვას ტყუილს ვამბობდე. ჩემი კუბო ნახე, შერცხვენილი კაცი დამიძახე!

— შერცხვენილი კი არა... ხარები ნუ გადარიე, შე დამთხვეულო, გადმოდი ძირს, ურემს ტვინს რაზე ალაყებინებ!

— ყური მიგდე! გგონია, ყვირილი ატეხა, ან ვინმეს საშველად დოუძახა? შენც არ მომიკვდე! კალმახი ხომ გინახავს? კალმახივით მოიქნია ტანი და თვალი რომ გამოვახილე, ვაი შენს მახარობელას: სოხანეზე ვაგდივარ გულაღმა, ალქაჯს კიდე ლობიოს საცეხვი კეტი დოუკავებია ხელში და მინაცვლებს და მინაცვლებს, სადაც მოხვდება. ცოცხალი თავით ძლივს გამოვასწარი და კარი გარედან გადავრაზე. ბევრი ეჯაჯგურა. მე გარედან ვაკავებდი, ის შიგნიდან ექაჩებოდა, კიდამ ჩარჩოიანა გამოიღო. ამ დროს ასისთავმა ჩამოიარა. სისხლში ამოსვრილი რომ დამინახა, დაჭრილი ხომ არა ხარ, ბიჭო, მახარობელაო, მკითხა. ვარ-თქვა. არ ვიყავი თუ? საკაცეზე დამაწვინეს და იქაურობას ციმციმ მამაშორეს. აშენდა იმათი ოჯახი! მერე ველარ ვიუარე, შემრცხვა, არა და, რაც იმ ალქაჯმა დამაკლო, მე რომ ანგელოზი მეგო-

ნა, ურემმა მომითავა. მოვკვდი, ბიჭო, ნახევარი კაცი აღარა ვარ. შენ გეუბნები ამას, ვიცი არ გამთქვამ, სხვასთან რა ღმერთი გამიწყრება და რავა გავამხელ!

აბესაძემ სიცილისაგან წამოყრილი კურცხლები ჩოხის სახელოთი მოიწმინდა და ურემზე სალოცავში მიმავალ ქალივით წამომჯდარ მახარობელას მხარზე ხელი დაჰკრა.

— ძალიან გიომია, მე და ჩემმა ღმერთმა!

—არც ახლა დამიჯერებ? ო, მაამო! — მახარობელა წინ გაჩოჩდა ჩალაზე, ხარებს დაუწრუპუნა, გააჩერა, შიშველ ტანზე წამოცმული ჰუჰკიანი ახალუხი გადაიღეღა, წითელი ხვანჯარიც გაიხსნა და ასკიას დალილავებული ადგილები აჩვენა.

აბესაძე გულიანად იცინოდა .

— ღმერთმა მოგახმაროს, მახარობელა, მართლა გემოზე უქექიხარ იმ მარჯვენადალოცვილს. სწორედ იმან უნდა დაიქადოს, ქალი ვარ და ლეჩაქი მხურავსო. შენისთანა წუწკსა და წამხდარს რატომ მეტიც არ ეკადრება! ცოლს რას ეტყვი ახლა, სად ვიყავი, ეს საიდან მჭირს-თქო?

— არ იქნება სახლში, ასკია. რავარც კი გარეთ დამიგულებდა — ასე არ იცის? — მიმატოვებდა ი ბებრებს, თუ აქამდი არ ამოხდომიათ სული, დახვევდა ბოვშებს ხელს და საყოლში გეიქცეოდა. ჯერ არ მივაკითხავ. მტერი ვარ ჩემი თავის? სანამდი მოიგუნებებდეს და მობრუნდებოდეს, იქნება ღმერთი მამეხმაროს და მამიშუშდეს. იცი, რანაირად მიბჟუის ტანი? ათასი ჭინჭველი რო დაგესევა... ასწილ მირჩევნოდა, მართლა ხმალი მომხვედროდა, ან ტყვია. ქემაინც დამინახავდა ვინმე და იტყოდა, ვერ უყურებთ, რა ყოფილა ეს ჩვენი მახარობელა გუნცაძეო? მართალია, თავადაც დასჭრეს, მარა სანამდი დეიჭრებოდა, იმ წუნკალ ლეკებს სულ ბდღვირი ადინა, ლომივით იომაო.

— ვაითუ არ ეთქვათ!

— იმე, მე თავად ვიტყოდი, შე კაცო!

— შენ ახლაც თქვი, რა გენაღვლება, ენას ძვალი კი არა აქვს!

— ცოდვა არი, ბიჭო, ტყუილის თქმა, ამდენ ტყუილს ღმერთი არ მაპატიებს და ერთხელაც იქნება, ცხვირიდან ძმრად წამომადენს. შენ ეს მითხარი, ამ ხარებს და ურემს რა ვქნათ ახლა ჩვენე?

მახარობელა გუნცაძეს გულში რაღაც ფარსაგი ედო. ასკია აბესაძე მიხვდა და სახე ერთბაშად მოექუფრა.

— რა უნდა ვქნათ?

— სხვები სულ ეიმსნენ, ამ ომიდან მე და შენ არაფერი სარგებელი გვერგება?

— ეგ შენი ნაქექებია შენი სარგებელი!

— შე უბედურო, შენ ესეც რომ არა გაქვს?

— არა მშურს, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

— რატომ იცი მუდამ ასე თავის გამოდება, მაშინდელის არ იყოს, დაჭერილი ცხენი და ბოვში ხელიდან რომ გამაშვებინე!

— ფუ, გაგიწყრა მამაზეციერი, შენ ისევე მაგას ჯავრობ? მე, ვინ იცის, რამდენი სანთელი ავუნთე ღმერთს, რამდენი ვემუდარე, ცოდვას ნუ მაკითხავ-თქვა, ღვდელს აღსარება ვუთხარი...

— არ გაგიგონია, წმინდა ბერი წმინდად წაწყდაო?

— ჩამოეთრიე ძირს, მახარობელა, არავინ გეკითხება შენ იმ სოფლის ამბების გარიგებას!

— ხელები დეიმკლე, მართლა საპყარი და დავარდნილი ხომ არ გგონივარ! აბა, ურემსაც და ხარებსაც მარტვა შენ გაგატან? უყურე ამას! შანამდე არ აგიდგა გვერდები!

— მახარობელა, მამის სული ნუ წამიწყდება, ისე გატყობ, რაცხას გამომტყუებ, — ბოღმიანად თქვა აბესაძემ, თუმცა მის ხმაში ჯერ კიდევ უწყინარი ხუმრობა ისმოდა, თითს დასწვდა და ჰალზე დამაგრე-

ბული ღვედი ახსნა. გუნცაძემ ლულაზე უტაცა ხელი. შეძიძგილდნენ. ბოლოს მაინც ასკია აბესაძემ აჯობა, რადგან ფეხი მიწაზე ედგა და მახარობელას თოფი ხელიდან გამოჰგლიჯა. — გაგიწყრა ხატი და ჯვარი, სულ წართმევაზე უნდა გეჭიროს თვალი, შე ოხერო?

— შენ კი არ გიჭირავს, შენმა სიცოცხლემ!

— ენა გააჩერე და გადმოდი ურმიდან, თუ არა, დედ-მამის სულს ვფიცავარ, მოვიდა ტყვია!

— ამაზე უარესიც მეკუთვნის შენგან. ვაი, რატომ ორივე ხელი არ შემახმა ძირში, როცა მე შენ ხელები გაგიხსენი და ენა ამოგადგმევინე. ძაღლივით უნდა მამეკალი, ვინ მყავდა დამშლელი, მაშინ ვიქნებოდი კაცი!

— კაცი ჯერ ახლა ხომ ხარ და მაშინ ხომ მთლად უკეთესი იქნებოდი. გადმოდი ძირს, მახარობელა, ნუ დამალამებინე, უკან უნდა დავბრუნდე, იქნება დღისულ ავასწრო.

— ქორფა ცოლი მოგენატრა?

— უ, შენი... აღარ მოიშლი ყიამყრალობას? — დაისისინა ასკიამ, მხარზე თოხივით გადებული თოფი წინ გადმოაგდო, მოიმარჯვა და ჩახმახს დააწვა წამოსაყენებლად.

— გაწიე იქით! — მახარობელამ ხელი აუკრა. — მარტვა შენ უნდა იმასხარავო აბა, სხვამ ყური გიგდოს და პირში წყალი ჩეიგუბოს?

— იცი შენ, მახარობელა, მაგისთანა მასხარაობისათვის შეიძლება თავი წააგო და თითზე კბენა მერე გვიან იქნება. იმ ალქაჯმა ქართლელმა ქალმა მაინც ვერ გასწავლა ჭკუა? ერთხელ კიდევ გაგიბედნია და... გადმოდი ახლა ძირს, მესამედ გეუბნები!

— არ არი ადვილი შენთან ლაპარაკი!

— შენ რა უნდა გელაპარაკო?!

— ლევან აბაშიძის ბებერი უკანალი რომ არ მიტლეკია, მიტომ?

— უკანალიც შენ ტლიკე და... — გამწარებულმა ასკიამ, მეტი რომ ველარაფერი იღონა, კბილები დაკრიჭა და შეიგინა. — თავს რისთვის მაკვლევინებ, შე ოჯახდასაქცევო, მაინც დაქცეული ხარ, ცოდვაში რისთვის მხვევ, ოცდარვა წლის კაცი მოვიყარე, ჯინჭველი, არ გამისრესია, იმასაც ღვთის სული უდგია, იმასაც სიცოცხლე წყურია-თქვა. ხომ მოგათრიე აქამდი! მოგათრიე? შენი საკუთარი ყურებით ხომ გესმოდა, ყველამ რომ უარი თქვა. ვინ რა მოიდო მიზეზად და ვინ რა. შემეცოდე, შე მყრალო. ვიცოდი, რა კაციც იყავი, მარა გზა-შარაზე ხომ არ მიგატოვებდი! შევაბი ხარები უღელში და გამოვუძეხი წინ. ორი ნაჩეხ-ნაგვემი კაცი ქვე ჩავაბარე პატრონს. ორივეს ჭირისუფალმა მადლობა მითხრა და სოფლის ბოლომდი მომდია, შემოგვასახელე სამაგიერო პატივისცემაო. მესამე თავად მიგასიკვდილო, კაცის სისხლში ხელი შევისვარო და ცოდვაში ჩავდგე? მართლა კაცი მაინც იყო, შე...

მახარობელას თავისი მუცლის გვრემა აწუხებდა:

— ხარებს რას უპირობ, ხარებს, ურემი, თუ გინდა, ჰე!..

— სვირის მოურავს უნდა გადმოვგვაროთ ხვალ დილას კოხრაში, ასეა დათქმული. იქ არ იყავი, შენი ყურით არ გეიგონე?

— მართალს უნობ მაგას?

— ცოლ-შვილით გავწყდე, თუ რამეს გატყუებდე. მე და ტყუილი, მახარობელა? ერთი უღელი ხარი, შე კაცო, მახათი ხომ არ არის, რომ სადმე გადავმალო!

— ურემიც იმათია?

— ურემიც და უღელიც. ხარ-ურემი ალის ციხის მოურავმა პეპია ხაჩიძემ მოაგროვა ახლომახლო სოფლებში, თეიმურაზ მეფეს ებრძანებინა.

— ვაი, რა ვთქვა მაგისთანა მეფე, ომში მამხმარე კაცისათვის ერთ უღელ ხარს რომ ვერ გეიმეტებს!

— ერთი და ორი უღელი ოუთავდე-

ბოდა ამხელა ჯარს, მახარობელა? მართლა ერთი და ორი რო ვყოფილიყავით, ან ყველა შენსავით მეძუძურ ქალებს დავდგომოდით თავზე და წყალი გვეთხოვა, რავა გგონია, ქართლი დღეის სწორსაც ლეკების ხელში იქნებოდა!

— მოაღე ახლა პირი და ილაპარაკე, არ გაგიჩინე სალაპარაკო თუ?

— სად არის ის დალოცვილი წყარო, ამდენ ხანს ველარ მივაწიეთ? მიდი, ხარო, არ მოგწონს აქაური ოღროჩოღრო გზები? ჩამოხვალ შენ, ბიჭო, თუ არა ძირს?

— წყარომდი ვიაროთ, ასკია, იქიდან დაბრუნდი, რაღაი არ იშლი და თუ ეგ ტყუილი გამოგდგომია, გირჩევნია, იშვირო ფეხი და დღესავე ყაჩაღად გახვიდე, სოფელ-კუთხეში მაინც აღარ დაგაყენებ!

— აგრე ქენი.

ხიმით შემოღობილი, ფოთლებშეყვითლებული ახალშენი ვენახის ბოლოზე გზამ მარჯვნივ მიუხვია და ხშირი ბაძაძგნარით დაჩრდილული თავდალმა დაეშვა. შემოდგომის ნაგვიანევი სიცხით გასავათებულმა, ოფლში გახვითქულმა ხარებმა შვებით ამოისუნთქეს. გრძელხელნიანი მაღალი ქართლური ურემი იმერეთის ვიწრო ოღრობეებში ძლივს რომ ეტეოდა, ერთობ გამსუბუქდა და რკინისტაბიკებიან უღელს ახლა აქედან მიაწვა. ასწლოვანი კოპიტისა და ჩქოლა კარტნების ჩრდილში წყაროს მოულოდნელად წაადგნენ და მოწყურებულმა ხარებმაც შეუჩერებლივ ანკარა წყლით პირამდე ავსებულ და ბაყაყის ბუდეებით გამწვანებულ ქვის მოგრძო გობს მიაშურეს.

— ერმონია! — ტყვიანაკრავივით შესძახა უცებ აბესაძემ და ერთ ადგილზე გაშეშდა, მერე ხარები მიატოვა და თავქუდმოგლეჯილი კოპიტისაკენ გაიქცა, რომლის ძირშიაც ის იყო წამოხტნენ ჭრელთავსაფრიანი ახალგაზრდა, მზით გარუჯული ღაჟღაჟა ქალი და დედასავით ფეროვანი ორი-სამი წლის ბიჭუნა და ურმისაკენ გამოიქცნენ. — რა გინდა აქ, ქალო, ოჯახი ვის იმედად მიატოვე?

— შენს შესახვედრად გადმოვცვივდით, ასკალონ, — დიდრონი ჩამუქებული თვალებიდან ერმონიას სიხარულის ცრემლები წასკდა, ომიდან მობრუნებული ქმარი ისევ საღი და უვნებელი რომ დაინახა, ასკიას მივარდა და მის მკერდზე, ქვეყნად ყველაზე უფრო უშიშარ ადგილას, დამფრთხალი მტრედივით მიიყუჟა და გაინაბა.

— დეიწი უკან, არ გრცხვენია, ჩემს გარდა ვერავის ხედები? — საპასუხო მიალერსების მაგიერ ასკიამ ცოლი მუჯლუგუნით მოიცილა და ფეხებზე მობღოტებულ სტირლად მომზადებულ ბიჭს დასწვდა, ხელში აიტაცა, თავს ზემოთ ასწია, თითქოს მთელ ქვეყნიერებას ახარბებსო და გულში ჩაიხუტა. — რავა ხარ, მამა, ამხელა გამეზარდე უკვე, რომ გზაში გამოდიხარ ჩემ დასახვედრად?

ბავშვმა რაღაც წინასწარ გაზეპირებული სიტყვა უპასუხა, რაც ახალგაზრდა მამამ ვერ გაარჩია, და წვერწამოზრდილ სახეზე საოცრად რბილი და სათუთი ხელები მოუცაცუნა. ასკიამ ხელები დაუკოცნა და თვალი ცოლის წამოზრდილ მუცლისაკენ გაეპარა. ომში წასულს ამის ჯავრი წაჰყვა, თავს ძალა არ დააყენოს, მძიმე არაფერი ასწიოს, არ დამღუპოსო.

— აქ რა გინდა მაინც, ეზოდან ფეხი არ გამოგიდგამს კვახჭირში რამ გამოგიყვანა?! — ასკიამ ისევ ცოლს მიმართა და შეეჭვებულმა, მეტისმეტი ხომ არ მომივიდა, გული ხომ არ ვატკინეო, თავისუფალი მარცხენა ხელი მოჰხვია.

— უბანში ამბავი მოიტანეს, დაჭრილები მოჰყავთ ურმებითაო. ლოდინში თვალი გამოგვილამდა მეც და ბიჭსაც. ვიფიქრეთ, გზაში დავხვდებითთქვა. კითხვა-კითხვით აქამდე ჩამოვედით. ახლა წყაროსთან დავისვენეთ და ხმაც ქე მოგვესმა.

— მეორედ არ ქნა ეგ, ერმონია. არ იცი, რავარი დროა? ან ლეკს გადაყ-

ოდით სადმე, ან ვინმე უკეთურს...: — სკიას მახარობელა გუნცაძე გაახსენდა, ცოლს ხელი შეუშვა და იქით მიიხედა, სადაც ხარ-ურემი ეგულებოდა.

წყურვილით დამხრჩვალი ხარები ხარბად სვამდნენ წყალს, ფშვინავდნენ და მოღრეცილი უღლით ერთმანეთს აწვებოდნენ, მახარობელა ურმიდან ჩამობარგებულიყო, ცარიელი აბგა მხარზე გადაეგდო, მეორე მხარზე თოფი გადაეკიდა და კოჭლობ-კოჭლობით წყაროსაკენ მიდიოდა.

აბესაძეებმა პირი დაალეს და უხმოდ მიაჩერდნენ ჩოხაშემოფლეთილ უცხო კაცს, რომლის აქ ყოფნა სამივეს ერთმანეთის ალერსით გულის მოჯერებას უშლიდა

უხერხული სიჩუმე ისევ ასკიამ დაარღვია.

— გამარჯობით, აბა, მახარობელა, წავალთ ჩვენ!

— გამარჯობით!

— ჭიშკრამდი მიგიყვანდი, მარა... — სიხარულითა და ფარული სიამაყით თვალებგაბრწყინებულმა აბესაძემ ცოლ-შვილს გადახედა. — შორს მაინც აღარა ხარ.

მახარობელას არაფერი უპასუხნია, არც მოუხედია, სამივეს ზურგი შეაქცია, წყაროს ქვის მილთან დაიხარა, თოფის კონდახი ჯოხივით დაიბჯგა, წყალი დალია, გაიმართა და შინისაკენ, სადაც სასიხარულო არაფერი ელოდა, გზას კოჭლობით გაუდგა.

## თავი XIV

არჩილ და ელენე ბატონიშვილების ნიშნობა დიდი ზარ-ზეიმით გადაიხადეს ცისარტყელის შვიდივე ფერით გაბრწყინებული ისნის სასახლის სამეჯლისო დარბაზში. ქალაქში და გაღმა-გამოღმა გორებზე ილუმინაცია მოეწყოთ. ხალხმრავალი ქუჩები და მოედნები დილამდე ბენგალის ჯადოსნური ალითა და ჰაერში ატყორცნილი მაშხალების მოციმციმე შუქით იყო განათებული. ნიშნობას სამივე მეფე, ორივე კათალიკოსი, სრულიად საქართველოსი — ანტონი და ლიხთიმერეთ-აფხაზეთისა — ბესარიონი, დიდძალი თავად-აზნაურობა და სამივე სამეფოს სამღვდელოება დაესწრო. ბოლო დღეს ბრწყინვალე ამალით გარემოსილ დადიანის ძე კაციას მოჰყვნენ ბედიელი და ცაგერელი ეპისკოპოსებიც და ახალდანიშნულთ ოდიშის ბატონის ძვირფასი შემოსაწირავი — დავით და კონსტანტინეს ოქროში დაფერილი ხატი მოართვეს.

ამის მსგავსი პატივი არც ერთ სხვა ბატონიშვილს არ რგებია.

ზეიმს ხალისსა და თავისებურ დიდებულებას ჰმატებდა გამარჯვება, სამივე სამეფოს გაერთიანებულმა ლაშქარმა, თითქმის ერთობილი საქართველოს ძლევამოსილმა მხედრობამ ბრძოლის ველზე რომ მოიმკო და მრავალტანჯული სამშობლოს დროშები სახელითა და დიდებით შემოსა.

იმათ შორის, კინც ომში სხვათაგან გამორჩეული მოსაზრებულობა და გმირობა გამოიჩინა, ერთ-ერთ უპირველესს, თითქმის ყვარლის ალყის გამრღვევთა წინ, ასახელებდნენ ერისთვიშვილ გიორგი სარდალს. გიორგი სარდლის მხედრულმა გამბედაობამ, მოხერხებამ და ჯარის გაძღოლის უნარმა ალის ციხის ბედი სასიკეთოდ გადაწყვიტა და ლიხთიმერეთის ოთხსავე სადროშოს გზა გაუხსნა გორისაკენ, სადაც მეფე თეიმურაზი იყო ალყაში მოქცეული და ორი მხრიდან — დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან მაშველი ძალის მოსვლას მოუთმენლად ელოდა.

როსტომ რაჭის ერისთავი ისე იყო წარმატებასაგან თავბრუდახვეული, ფეხზე ძლივს იდგა. ერისთავიშვილებმა და საერისთავოს მთელმა ჯარმა, რომელიც, მიუხედავად სოლომონის დაჟინებული სურვილისა, წინ როგორმე ზემომხრის სადროშო გაუშვა და დიდების

დაფნის გვირგვინით წერეთლების შუბლი შეამკო, თავიდანვე იმერთა ლაშქრის ავანგარდში აღმოჩნდნენ და საქვეყნოდ დაამტკიცეს, თუ იმერეთის მეფის მიერ მოძულებული და არა ერთჯერ დამცირებული ერისთავი რის პატრონი და შემძლებელი იყო.

თვით როსტომი, შეიძლება ითქვას, ომში არც კი გარეულა, მხოლოდ ჯარს ახლდა და თავისი აქ ყოფნით გულს უკეთებდა. სამაგიეროდ, ბურთი და მოედანი შვილებს დაუთმო, თუმცა ყველა გიორგის დაუქვემდებარა და გიორგიმაც, ენაცვალოს მამა, გაუმართლა!

საერთო გამარჯვებით ფრთებშესხმული, მაგრამ მაინც ჯავრით გულგასიებული იმერთა მეფე სოლომონი ჯერ რუის-ურბნისის მიდამოებსაც არ იქნებოდა გამოცილებული, როდესაც საერისთავოს მეწინავე რაზმი, იგივე გიორგისა და მეთოდეს სარდლობით გორს მიადგა და თოფ-ზამბულაკების გახშირებული სროლით მტრისაგან უწყალოდ აკლებულ ქალაქს თავისი აქ მოსვლა ამცნო.

წინაღამით ლეკებს ციხისათვის ალყა მოეხსნათ და ყველასათვის მოულოდნელად ქალაქი დაეცალათ. ერთი საათის შემდეგ გორის განაპირა უბნებში, მეჯვრისხევისა და კარალეთის მხრიდან, ერეკლე მეფის რაზმები შემოეჭრილიყვნენ და პირდაპირ ციხისათვის მიემართათ. თვით ერეკლე ბილიკ-ბილიკ უკანდახეულ ილარისას დასდევნებოდა და მუხრანამდე ედია. მტერი, რაკი აქ წინასწარ დაგებულ ხაფანგს წასწყდომოდა, მოტრიალებულიყო და პირი ახალგორისაკენ ექნა. აქაც მოეჭრა გზა ერეკლეს მიერ წინასწარ ჩასაფრებულ ჯარს. თავისი მცველი ხუთასი ხევსურით კახბატონი ლეკებს ახალგორის ვიწროში, მდინარე ქსნის პირას ჰკვეთებოდა და ამბის წამღებიც არავინ გაეშვა მხოლოდ მძიმედ დაკოდილ ილარისას გაესწრო სულ უკანასკნელ წუთს რამდენიმე მასავით დაჭრილ-დაცხავებული ერთგული მეკობრის თანხლებით.

ციხიდან მცირე ამალითა და მცველი რაზმით გამობრძანებული თეიმურაზი იმერთა ლაშქარს ქალაქის კედლის გარეთ, ტინისხიდთან გამოეგება. ქალაქში ყველა ეკლესიის ზარს რეკდნენ. გორის ციხის დაკბილულ კოშკებზე ზარბაზნები დასცალეს. თითქოს ამას-ღა ელოდაო, როსტომ რაჭის ერისთავი, ვაჟებითა და მხლებლების პატარა გუნდით, დაწინაურდა და ქართლის დიდებულ მეფე-ბატონს პირველი მიეახლა

ასაკთან შედარებით მხნე და გონების სინათლით დაჯილდოებული თეიმურაზი შემზადებული იყო ომში მოძმის საშველად მოსულ იმერთა მეფესთან შესახვედრად, გზადაგზა სიტყვაც კი ააწყო, რითაც სოლომონისათვის უნდა მიემართა, მაგრამ მეფის მაგიერ რომ ხელში რაჭის ერისთავი შერჩა, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა, მაგრამ არ დაიბნა, ძველი თანამდგომი და კეთილისმდომელი როსტომი რომ არ გაენაწყენებინა, გახარებული მიეგება, მხოლოდ ცხენიდან არ ჩამოხდა, ჩამოქვეითებულ ჰადარა ერისთავს თავისი მეფური კალთის მთხვევა დაანება.

— მეფეს ვერ ვხედავ. სად ბრძანდება მისი უმაღლესობა ბატონი სოლომონი?

— ბატონი მეფე მცირედ ჩამორჩა, თქვენო უმაღლესობავ, ვგონებ მუცელში უნდა ბრძანდებოდეს მწყრალად, — ხმის კილოში ჩაქსოვილი ფარული უკმაყოფილებით მიუგო როსტომმ და დარახტულ საომარ ცხენს, უკან მო ჩილად რომ მისდევდა და ყოველ გა ფაჩუნებაზე წამდაუწუმ ყურებს ცქვეტდა, კვლავ ახალგაზრდული სიმკვირცხლით მოახტა. — ხომ არ აჯობებდა ბატონო, აქ მოგვეცადა?

თეიმურაზმა იწყინა ერისთავის როყიო პასუხი, სახეზე ჩრდილმა გადაუარა, აშკარად არ ესიამოვნა, მის მიე არა ერთჯერ დამოძღვრილი რაჭის ბატონი თავის მეფეს კვლავ აგდებულა რომ იხსენიებდა და, ვითომც არ გა გონოს, პასუხი მხოლოდ უკანასკნე კითხვაზე გასცა:

— თქვენს შეწუხებას ვეღარ გავბ

დავ, ბატონო როსტომ, დიდლილი ბრძანდებით, ისედაც მოსვენება გეჭირებათ. მეჰმანდარებს მოგიჩენთ, — თეიმურაზი გორის მოურავ ოთარ ამილახვარს მიუბრუნდა. — ქალაქში შებრძანდით და იქ შესაფერი ბინა დაგხვდებათ.

როსტომი აილეწა, ისედაც სისხლმოჭარბებული სახე მთლად ჭარხალივით გაუხდა, ოფლმაც კი დაასხა და კისერში წურწურით ჩაუვიდა. ცოტა-ღა დააკლდა, იქვე მუხლი არ მოეკვეთა. ახლაღა მიხვდა, ზედმეტი სითამამე მომივიდაო. მსგავსი კადნიერების უფლებას თავს არც მისცემდა, წინასწარ დარწმუნებული რომ ყოფილიყო, თეიმურაზი იმერთა მეფის კილვაში, თუნდაც უწყინარ გაქილიკებაში არ ამყვება და ამას კიდევაც მიწყენსო. სანამ ხეირიანად მოიფიქრებდა, შემდეგ რა უნდა ექნა, ისე რომ საკუთარი ღირსება არ შეელახა, მხლებელ დიდებულებში გარეული მეფე თეიმურაზი უკვე შორს იყო და სოლომონთან შესახვედრად ცხენს მიაჭენებდა. გამოდევნება ხასცილოდ გახდიდა სხვათა თვალში. ცხენი მოატრიალა და აზნაურ ლალაკო გოცირიძის კვალდაკვალ, საერისთავოს დროშის ტარი მაგრად რომ ჩაებღუჯა და აქეთ-იქით დაბღვერილი იყურებოდა, ქალაქის კარისაკენ გზა განაგრძო.

პატივსა და დიდებას ჩვეული რაჭის ბატონი თავს უსაზღვროდ დამცირებულად, თითქმის შეურაცხყოფილად გრძნობდა. თეიმურაზ მეფესთან პირისპირ შეყრამ, რაც ამ წუთამდე სულ სხვა ფერებში ესახებოდა. მთელ მის სიხარულს ცივი წყალი გადაასხა და იგი არარაობად აქცია.

„უმადური! — ფიქრობდა გზადაგზა და აღარ იცოდა, ამბოხებული გულის მღუღარება ვის თავზე გადმოელვარა. — აფსუს, საცოდავი ვახტანგ მეფის ტახტი ვის ხელში ჩავარდა! ვახტანგი უცხო მიწაში ლპებოდეს და გარყვნილი ნაზარალიხანის ნაშიერი აქ, ქართლში პარპაშებდეს, ღვთის სამართალია? შეურცხვეს თავი ალექსანდრე ბატონიშვილსაც! ვერც იმან ივარგა. ქვე რა ჩემმა ჭირმა და სატკივარმა წაახდინა ისე, რომ მამისეული ტახტი რუსხელმწიფის გენერლის ეპოლეტებში გასცვალა. ვერც ქართლელებმა გამოიჩინეს ფხა, ვერა. გივი ამილახვარს რომ გვერდში ამოსდგომოდნენ, ვინ იცის, რა მოხდებოდა! ღმერთო კი მომკალი, მე ვყოფილიყავი და კახელ ბაგრატიონნს აქანა გავაჭაჭანებდი? რა ვუყოთ, თუ ვახტანგის სიძეა, სიძე სხვასაც ბევრსა ჰყავს, მაგრამ სიმამრის სახლ-კარსა და ყმა-მამულს კი არ დაპატრონებია! სანამ უჭირდა და დანა და ყელი ერთად ჰქონდა, იცოცხლე, ვაჟბატონ თეიმურაზს კაი როსტომი ვყავდი, „ლიხთიმერეთის სპასპეტი და ვიპატოსი“, ჩემზე ძვირფასი და მოსარიდებელი არც არავინ მოეძებნებოდა. ახლა, რაღაი ჩვენი შემწეობით მტერი დასძალა და თავზე ხელი მოისვა, ყვერულივით გაიფხორა და ცხენიდან ჩამობრძანებასაც აღარ კადრულობს! გეშლება შენ ეგ, თეიმურაზ, ეს ულვაში გამპარსე, გამოსხლეტილი კაცი დამიძახე, თუ არ გეშლებოდეს. იმერეთის მეფე სოლომონის კურკური შენ ხელს არ მოგცემს. ის დღეს არის, ხვალ აღარ იქნება. ისე იცოცხლოს, როსტომმა! სოლომონს, ქვეყანამ იცის, ჩემით, როსტომ რაჭის ერისთავით უდგას სული. თუ ეს არ გაგეგება, მართლა ვერაფერი გაგიგია ქვეყანაზე და ღმერთმა ნურც გაგაგებინოს! აბა, მე გამოვეშალო და მხარი არ ავუბა, მაშინ ნახავ, რა ჯარი ეყოლება და რა ბიჭიც იქნება! ახლაც ჩვენ, მე და ჩემი შვილები ვიყავით ყველაფერი. არა, არ ვიყავით? პირადადაც ხომ ენება და ებრძანებინა, გიორგი სარდალმა მოგვაბა-ყე თავიო სხვა რა გზა ჰქონდა! ჰოდა, ვნახოთ, გიორგი სარდალი და მისი მამა-ძმები ყოველთვის გვერდში კი არ ეყოლება.“

ქალაქში შესვლის და იქ „შესაფერი ბინის“ დაკავების მაგიერ, როსტომმა ჯარი შეაჩერებინა, ბრძანა, ჩამოქვეითებულიყვნენ და კარვები ქალაქის კედლის გარეთ გაეშალათ, თავისი კარავიც აქვე დაადგმევინა, რათა გულში

შეპარული წყენა ქართლის გვირგვინოსანი ბატონისათვის ამით მაინც ეგრძნობინებინა, შემდეგ კი შვილები მოიხმო და დაარიგა.

სხვებზე უმეტეს თავშეკავებასა და სიდინჯეს, როგორც როსტომმა შეამჩნია, ისევ ერისთვიშვილი გიორგი იჩენდა. ნაბერალი მეთოდე და ყაბარდოს ბატონის სიძე იაგორა ფიცხობდნენ და თავ-თავიანთ უკმაყოფილებას არ მალავდნენ: ვერ ეპატიებინათ მეფე თეიმურაზისათვის, ექვსივე ძმა ერისთვიშვილი სათითაოდ რომ არ მოიკითხა და ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის მადლობა არ უთხრა.

— ყური მიგდეთ, შვილებო — ჯერ მოუსმინა და შემდეგ თვით მამართა ვაჟებს როსტომმა. — ღვთის მადლით, პატარა არც ერთი აღარა ხართ, ამ ქვეყნის ასავალ-დასავალი ყველას გაგეგებათ.

თქვა ეს და თითქოსდა ბინდში გახვეული გონება როსტომს ერთბაშად გაუნათდა. „რას სჩადიხარ! — ჩასძახა შინაგანმა ხმამ, ყოველი დიდი ჭოჭმანის დროს რომ ილვიძებდა ხოლმე. — გინდა შვილები დაღუპო და საერისთავოს მთელი რჩეული ლაშქარიც თან მიაყოლო? გონს მოდი. როსტომ, ჭკუა და გამჭრიახობა სწორედ ახლა გმართებს!“

— უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერს თავისი წესი და რიგი აქვს, — ხელახლა, ალალბედზე დაიწყო მან და წინასწარ ჯერ კიდევ არ იცოდა, შემდეგ რას იტყოდა. — ერთი ცხვრისაკენ და ერთიც მგლისაკენო, ხომ გაგიგონიათ? ყველაფერში თეიმურაზი და სოლომონი ბრძანდებიან ვითომ დამნაშავე? ჩვენც ვტყუით, შვილებო, ზოგჯერ ჩვენც გვეშლება. აქ უცხო არავინ არის, მარტო ჩვენა ვართ, შინაურები, და უნდა ვთქვათ სიმართლე. თქვენა გგონიათ, მუდამ ისე ვიქცევით და გვიჭირავს თავი, როგორადაც უნდა ვიქცეოდეთ და თავი გვეჭიროს? მოვა დრო და მეფეები ყველა კუთვნილ პატივს მოგვაგებენ. შეიძლება, იმაზე მეტიც მოგვაგონ, ვიდრე დაგვიმსახურებია, მაგრამ მოთმინება უნდა ვიქონიოთ და გულმა წინ არ უნდა წაგვისწროს. მაცხოვარიც ხომ ამას გვეუბნება და გვასწავლის. რა მოგდის შენ, მეთოდე, ქვე რას იწმაწნები?

— თუ ყველა საქმის ავან-ჩავანი სოლომონია, ბატონო მამა, ჩვენ რაღაზე გვაწუხებდა და გვიძახოდა?

— ეგ ჯერ არავის უთქვამს, მეთოდე, შვილო. შენს ძმებს შენგნით კიდევ შეჩიჩხინება და გადარევა სჭირდებათ? აქეთ უნდა აწყნარებდე-ყე და აშოშმინებდე. სხვებზე ხნოვანი ხარ და, იცოდე, პასუხიც მეტი მოგეთხოვება.

— არ უთქვამს, მარა გამოვიდა! — ახლა საჩხუბრად მომზადებული მამალივით აფოფრილი იაგორა შეედავა მამას და ძმის მხარდასაჭერად წინ წამოდგა, რამაც დანარჩენი ოთხი ძმაც აალელვა და ხმის ამაღლების გუნებაზე მოიყვანა.

როსტომს ალმური მოეკიდა, წარბი მრისხანედ შეიკრა. შვილების შემოცაცხანებას ჩვეული როდი იყო. შინ რომ ყოფილიყვნენ, ენის ამგვარ შემობრუნებას იქნებ დიდი აყალმაყალიც მოჰყოლოდა, მაგრამ აქ, უცხოთა შორის, მტრისა და მოყვრის თვალწინ, გულის აყოლა არ ივარგებდა, გაწყრომას ისევ დაყვავება არჩია და სულმნათი რუსთაველისა არ იყოს, მაგარ ქვას გასატეხად, „გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ მიუმარჯვა:

— ნუ დაგავიწყდება, იაგორა, ნურც შენ და ნურც მეთოდეს, სხვებმაც დაიმახსოვრეთ და გულისფიცარზე დაიწერეთ ჩემი სიტყვა: ავია თუ კარგი, სოლომონი მეფეა, კანონიერი მეფეა ჩვენი და ქვეშევრდომებს მეფის მორჩილება და რიდი გვმართებს. რომელი ადგება და იტყვის, ეს ასე არ არისო? შენ იტყვი, შვილო, მეთოდე? ან შენ იტყვი, იაგორა? თუ გიორგი აპირებს ამის თქმას? ბევრიც რომ წავეტოლოთ, ომში კიდევაც რომ დავამარცხოთ, მეფეს ჩვენ მაინც ვერ გადავახ-

ტებით, შვილებო, ვერა. ქვეყანა მისია, მაღალ ღმერთს მისთვის უბოძებია. ბოლოს ყელს გიპოვნის, სადაც არ მოელი, სწორედ იქ დაგეცემა ქორივით, შენსავე თანამდგომებს მოგისევს, მოგერევა და, მტრისას და ავისას, ღმერთო, კაი ყურით გეიგონე! — სამარეს გაგითხრის. მართალს ვამბობ თუ არა? ამის ერთი მაგალითი ყოფილა თუ ორი? ბაბუათქვენს შოშიტასა და ალექსანდრე მეფის ამბავი მაინც მოიგონეთ. თუ თეიმურაზმა ჩვენ დაგვტოვა და სოლომონს მიაშურა, შეუშვით თავში: რამდენიც არ უნდა გვეწყინოს და უმადურობაში ჩამოვართვათ, — როსტომმა სწორედ ის სიტყვა იხმარა, რომლითაც ქართლის მეფის საქციელს თვით ახასიათებდა. — ყველა მაინც იმას გაამართლებს. რატომ? — ერისთავი აპილპილდა, თავისდა უნებლიეთ ხმასაც აუწია. — ჩვენ ყველა, მეც, თქვენც და სხვაც, სოლომონის ვართ, სოლომონის სახელით გამოვდივართ და მისი დროშის ქვეშ საომრად წამოსულებმა რაც არ უნდა გმირობა მოვიმოქმედოთ, მადლობის პირველი სიტყვა, პირველი სალამი, პატივი და დიდება სოლომონს ეკუთვნის, რაკი ის მეფეა და ჩვენ მხოლოდ რაჭის ბატონებად დაგვსახა მაღალმა ღმერთმა.

— გამოდის, რომ დღეის ამას იქით შენი შვილები და პირადად შენც სოლომონის ყურმოჭრილ ყმებად უნდა გადავიქცეთ, ბატონო მამა, — მშობლის მოსალოდნელ განრისხებას კიდევ არ მოერიდა და უფრო უკმაყოფილოდ შენიშნა ნაბერალმა მეთოდემ. — შენგან მიკვირს, მთელს აღმოსავლეთში განთქმულო ერისთავო, ვინაც მთელი სიცოცხლე მეფესთან ომს შეალიე. ყურს გიგდებ და რაც მესმის, შენს თავს ვფიცავარ, ვერ დამიჯერებია, შენ ბრძანდები ეს, ბატონო მამა, თუ სხვა ვინმე!

როსტომი ოდნავ მოალბო შვილის თავაზიანმა სიტყვა-პასუხმა და პირში ქებამ, რაც, თუ საჭიროება მოითხოვდა, მეთოდეს ძმებზე უფრო ემარჯვებოდა, მაგრამ მის ხმამაღალ ფიქრს ულმობელი სიმკაცრე ამით ოდნავადაც არ დაჰკლებია.

— მე ჩემი საერისთავოს შეუვალობას ვიცავდი, შვილო მეთოდე, და სანამ ცოცხალი ვარ და ხმლის მოქნევა შემიძლია, კიდევაც დავიცავ. თქვენც, ჩემს სახელოვან მემკვიდრეებს, ამასვე გიბარებთ. ქვეყანაში პირველობას მე მეფეს ვერ შევეცილები, ღმერთია მოწამე, არც არასოდეს შევცილებივარ. მე იმ მეფეს გავუწევ ერთგულ ქვეშევრდომობას და ყმობას, ამასაც სიტყვაზე, ვინც ღვთისაგან ბოძებულ ჩემს საბატონო რაჭაში არ შემომეჭრება, ჩემსავე მწევარ-მეძებრებს არ მომისევს და დაკნინებასა და გაღარიბებას არ მომინდომებს. ამნაირ მეფეს, ვისაც გულში ეს არ უდევს და ჩემს დასაჩოქებლად წელებზე ფეხს არ იდგამს, მამაშვილობის მადლმა, მე არ მოვსწრებივარ, ჩემი-ყისმათის ამბავი რომ ვიცი, ალბათ, ვერც მოვესწრები და ძალაუნებურად, მსურს თუ არა, მოძახილს ბანი უნდა ვუთხრა, გარემოებას შევეგუო, ხვლიკის ტყავში გავეხვიო, დღემუდამ ჩახმახივით შემართული ვიყო და თუ ნებით არა, მეფეს ძალით ვაგრძნობინო, რომ ჩემს მამაპაპეულ სამფლობელოში უზენაესი მბრძანებელი თავად მე ვარ, იქ სხვას, გარდა ყოვლის გამრიგე მაღალი ღმერთისა, არაფერი ესაქმება, მეფე იყოს, გინდ კათალიკოსი. ასეა, შვილებო, შვილო მეთოდე, იაგორა, ღმერთმა ასე დააწესა და რაც ღმერთს დაუწესებია, იმას კაცი, თუნდ მეფეც, რაფერ შეცვლის!

ერისთავის ვაჟები ღრმად ჩააფიქრა მამის საკვირველმა გულახდილობამ. ყოყმანმა შეიპყრო მათს შორის ყველაზე უფრო ფიცხი და დაუნდობელი, ტახტის დაუძინებელი მტერი ნაბერალი მეთოდე. ეს პირველი შემთხვევა იყო, როსტომი რომ ყველა ჰოსა და არას ფხიზლად, მიუდგომლად სწონიდა და უკვე სრულწლოვან შვილებს თავისი მრავალი წლის ნააზრევ-ნაფიქრალის თანა-

ზიარად ხდიდა. ის გრძნობდა შეურიგებელ წინააღმდეგობას გულის ნაკარნახევსა და გონებით ნაფიქრალს შორის, გრძნობდა, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, გულით კვლავ კვარივით აბრიალებულ, რკინისმკვნეტელა შვილებთან იყო, მაგრამ სადი გონების ხმა უკან ეწეოდა, გახურებულ გულს უგრილებდა და აიძულებდა, სადაც თავის სიმართლეს ხედავდა, იქ ჭეშმარიტების ლამპარი მოემარჯვებინა და სხვისი სიმართლეც დაენახა.

მამის თათბირს ბაჯაღლო ოქროს ფასი მაშინ დაედო, როდესაც ყველაფერი ზუსტად ისე ახდა, როგორც როსტომმა იწინასწარმეტყველა: ერისთავსა და მის ვაჟებს ისნის სასახლეში გამორჩეული პატივი მიაგეს. აქ ყველაფრის სული და გული თვით მეფე თეიმურაზი იყო. უკვე მოხუცებულ, სიცოცხლის მეშვიდე ათწლეულში გადამდგარ თეიმურაზს, სანაქებო ღვთისმოსავობით, სათნოებით, ვაჟკაცური შემართებითა და გონიერებით გულმხეცი ნადირ-შაჰიც რომ მოათვინიერა და თავის ჭკუაზე გაატარა, ძველი ხიბლი, რასაკვირველია, აღარ ჰქონდა, მაგრამ მეფის შინაგანი ადამიანური სისადავე, დახვეწილობა, კაცთმოყვარეობა და განათლებულ წინაპართაგან ნაანდერძევი გონების სიცხადე, მოხუცებულობაშიაც რომ უცვლელად შემორჩენოდა, განცვიფრებდა, გიპყრობდა და გიმორჩილებდა.

თეიმურაზმა მამაშვილური ალერსით მიიღო რაჭის ბატონები, ომში გაწეული ღვაწლისათვის გულითადი მადლობა უთხრა, შესაშური ყურადღება გამოიჩინა, შინაური ამბებიც გამოჰკითხა, ოღონდ ისე ფრთხილად და ფაქიზად, რომ აკრძალულ წრეს არ გადასცდენოდა. სინანული გამოთქვა, წუთისოფლიდან ისე მივდივარ, ძველ ოცნებას — ჩემს საყვარელ რაჭას როგორმე ვწვეოდი და იქაური ერის სტუმართმოყვარეობა შემეტკბო, ვერ ვისრულებო.

როსტომი მაგრად იდგა. ცდილობდა, ალერსიანი მასპინძლის გავლენას, რომელიც ყოველთვის ყელამდე ეფლობოდა, როგორმე გაჰქცეოდა. მოკრძალებული შეკამათებაც კი გაუბედა, რომ სიკვდილზე ფიქრი ჯერ ადრე იყო და მოიგონა ის დაუვიწყარი დღეები, რომლებიც მეფე ვახტანგმა, თეიმურაზის გვირგვინოსანმა სიმამრმა, ამალითურთ რუსეთში გადახვეწის წინ სწორედ რაჭაში, ერისთავის ჰერქვეშ გაატარა.

თეიმურაზი წამით შებორძიკდა. უთუოდ იმაზე ფიქრობდა, ბატონი ერისთავი ჩემს ძვირფას სიმამრს, მეფე ვახტანგ მეექვსეს, რაიმე მზაკვრული განზრახვით ხომ არ მიხსენებსო და, როდესაც დარწმუნდა, ეს ასე არ იყო, საუბრის საგანი შესცვალა, სიტყვა წმიდა ბარბარეს სახელობის ტაძარზე ჩამოაგდო, დედისა და მამის მოსაგონებლად და სულის საოხად ერისთავი იერუსალიმში რომ აშენებდა. ტაძრის კედლები უკვე ამოყვანილი და გადახურვაც გასრულებული იყო. როსტომს კარის მოძღვარი ლუკა იაშვილი წარევლინა იერუსალიმს კედლის მხატვრობის შესაკვეთად. ღვთისმოსავმა მეფემ კმაყოფილება გამოთქვა, მაგრამ ერისთავს იქვე რბილად შენიშნა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, ოსტატებიც აქედან გაგეგზავნათ და ტაძრის მოხატვა იმათთვის მიგენდოთო. ადრე თვით როსტომიც ამ აზრისა იყო, შესაფერი ოსტატებიც კი შეარჩია და კიდევაც გაურიგდა. ბოლოს კაპუჩინელი ბერები შეუჩნდნენ და ისიც იძულებული გახდა დაეთმო...

ერისთვისშვილებმა თვალი უყვეს მამას, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— ერიდეთ მაგ გადამთიელ ბერებს, — თეიმურაზს პირზე ღიმილი გაუქრა, თავი ასწია და მწიფე ქლიავივით დაბინდული ლურჯი თვალები როსტომს მიაპყრო. — უთუოდ შეტყობილი გექნებათ, რომ ჩვენ აქ პაპაჩვენ თეიმურაზ პირველის დროს დაარსებული მისიონი მოვშალეთ და სამეფოდან ყველა უცხოელი ბერი დავითხოვეთ. ვინ უწყის, რა ხმებს არ ავრცელებენ, ალ-

ბათ, ღვთის მგმობელებადაც გამოგვაცხადეს. ჩვენ ეს არ გვიკვირს, ბატონო როსტომ, ვინაიდან ღვთისა და საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვართ. მაგათ რომ ყური უგდოს კაცმა, ჭეშმარიტი ქრისტიანი ის არის, ვინც ამ ქვეყნად ღმერთის მოადგილედ რომის პაპს აღიარებს და მაგათაც მოწყალედ მოეკიდება, საცხოვრებელ სახსარს გაუჩენს და, როგორც ერთი ვინმე ურჯულო, თავს ხელახლა მოანათვლინებს!..

მეფე თეიმურაზს ლაწვები შეეფაკლა, ხმაშიც ოდნავი ხრინწი გაერია. კიდევ ბევრი ილაპარაკა, გადაკვრით კათოლიკობაში ეჭვმიტანილი სრულიად საქართველოს კათალიკოსი ანტონიც მოიხსენია. ყრუდ დაუმატა, მიუდგომელი კაცები, ერისკაცნიც და სამღვდელონიც, ახლა საქმეს იძიებენ და ვისაც გადამთიელ მისიონერებთან რაიმე კავშირი დაუმტკიცდება, თავზე ხელს არ გადავუსვამთო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მეფემ დანამდვილებით თუ არა, კილოკავად მაინც იცოდა კათოლიკობისადმი რაჭის ერისთავთა სახლის დამოკიდებულება და ამას არ იწონებდა, თუმცა პირდაპირ არაფერი უთქვამს, ეს აზრი მხოლოდ სიტყვასა და სიტყვას შორის გაატარა.

სანადიმო სუფრაზე, არჩილისა და ელენეს ნიშნობის სუფრა რომ დაერქვა, კათალიკოს ანტონის საპირისპირო მხარეს, კახბატონ ერეკლეს მხარმარცხნივ, მეფეებს მხარს უმშვენებდა ამერიმერის არა რომელიმე სხვა დიდებული, არამედ ლიხთიმერეთის სარდალი, სტრატილატი და ვიპატოსი, რაჭის ერისთავი როსტომი.

როსტომი გულში ზეიმობდა. უფრო ის ახარებდა, შვილებთან ნათათბირები სიტყვა რომ გაუმართლდა და ყველაფერი სწორედ ისე ხდებოდა, როგორც გონებით განსჭვრიტა.

ეს გარემოება ერთიორად ამაღლებდა შვილების თვალში და მის ნებას უფრო მეტ წონასა და გამავლობას სძენდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ლოხვიცკი

# თიბათვე

მოთხრობა

ანზორი რაღაცამ შეაკრთო და გამოაღვიძა.

თენდება. სიჩუმეა.

რა ესიზმრება? აღარც კი ახსოვს.

ფანჯარაზე ფარდა გადაწეულია, დათვის გორას თავს დასდგომიან ვარსკვლავები, ნაცნობნი და მახლობელნი, თავთავიანთ ადგილას განლაგებულნი ცის თავანზე, ზოგი — უფრო კაშკაშა, ზოგიც — წვრილი, სივრცეში გაბნეულ ხორბლის მარცვლებს რომ მოგაგონებს.

დახურულ ოთახში ალიონის ლურჯი სინათლე ციმციმებს. ღამღამობით დედა ფანჯრებს ხურავს. თვითონ ტახტზე წვება, ძილშიც არ ტოვებს საზრუნავი შეურვებულივით სუნთქვას. მისი სახე ლურჯად შეფერადებულ კედელზე აურეკლია გარიჟრაჟის სუსტ სხივს, მამის ხვრინვაც ისმის. მელოტი თავი გაუნძრევლად უდევს ბალიშზე, მოჩანს კეხიანი ცხვირი, მოკლედ შეკრეჭილი ულვაში... მალხაზს ადგილი გამოუცვლია, პაპის გვერდით მოკალათებულა და ტუჩებს აწლაპუნებს ძილში. კარგა ხანია შეეგუა ანზორი ბიძობას. მამამისი შვილიშვილს რომ დააძინებს, მერე თავის საწოლში გადაჰყავს ხოლმე; გუშინ ფეხსადგილის ორმოს თხრიდნენ, მეზობელი ეხმარებოდათ — სახელად პავლე, მეტსახელად „ყველას უშველე“, ხან ის თხრიდა ორმოს, ხან ანზორი, ხანაც მამამისი. მერე როგორც წესია, მეზობელი ვახშამზე მიიწვიეს, ღვინო არ ჰქონდათ, ჰანჰურის ორნახადი არაყი სვეს, დაღლილი მამა მალე შეთვრა და მალხაზის გვერდით მიწვა ზანდუკზე. დედამ თქვა, ნულარ გაალვიძებთო.

ტიხარის იქით რაღაცას ბუტბუტებს ძილში ლიზუნა. პეპელა-ბაბო, როგორც ყოველთვის, უთენია ამდგარა. გათენებას აღარ აცდის, დგება და ეზოში დადის, საქმეს ეძებს, ფიჩხს აგროვებს და სამზადში მიაქვს, ძროხას თივას უყრის. ანზორმა ერთხელ უთხრა კიდეც „პეპელა-ბაბო, თავს რად იწვალებ, დაჯე დაისვენეო“. დიდედა გაგულისდა: „რას ამბობ, იქნებ მალე სიკვდილიც მისურვო შე საძაგელო“. არასოდეს უავადმყოფია და ახლაც არაფერს უჩივის. გაზაფხულზე შეშფოთდა, იხვეწებოდა, ლამე გამითიეთო. დედა დილამდე ეჯდა სასთუმალთან, დიდედას კი ღრმა ძილით ეძინა. მეორე საღამოსაც მოითხოვა „ღამე გამითიეთო“, რაზე-

დაც დედამ ღიმილით უპასუხა: „შენ ვემრიელად გძინავს, მე კი თვალიც არ მომიხუჭავს“. პეპელა-ბაბომ დაბნეულად ააცმაცუნა ტუჩები, ანზორიმ ჩაიქირქილა, დიდედამ კი მუშტი მოუღერა და ჩაილაპარაკა: „კარგი, აღარ მინდა, ალბათ, ჯერ არ ვკვდებიო“.

კიბე ჭრაჭუნებს, კარი ჭრიალებს — ხელახლა უნდა გაიპოხოს ანჯამები — დიდედა წელში მოხრილი შემოდის ოთახში, ხელებგაშლილი საწოლს უახლოვდება, თავსაფარს იხსნის, თხელ თმას ივარცხნის, საწოლში წვება და თითქოს უჩინარდება ბამბის საბანში, ჭრიალა საწოლი დიდედას ხნისაა, მოხუცი ისე გამოფიტულა, რომ საწოლის ბადე არც კი შერხეულა. ნეტა რამდენი წლისაა? მამა ამბობს, ერთი წლის შემდეგ ასისა გახდებაო, ის კი ჯავრობს, არა ოთხმოცდაცამეტისა ვარო, ნეტა მისთვის რა მნიშვნელობა აქვს? ნუთუ ანზორიც მიაღწევს იქამდე; ძნელი წარმოსადგენია.

აქამდე ვერ არჩევდა, ახლა ესმის, როგორ ხმაურობს ეზოში წყალი. მეზობლის ქალი მელანო მთელ სოფელს მოსდებს, ხაჩიძე, ღამე რწყავს ბოსტანსო. ის ოხერი, თვითონ წყალს იპარავს. მაგრამ ონკანს გრძელ ნაჭერს შემოახვევს, წყალმა რომ ხმაურით არ იდინოს. წყალი უჭირს სოფელს, თუმცა მტკვარიც ახლოა და წყაროებიც. წინათ ანზორის დაბადებამდე, ეზოებში ჭები ედგათ, მერე კი როცა წყაროებიდან მილები გამოიყვანეს, ჭა ამოქოლეს. სოფელი იზრდება, წყაროს წყალი აღარ ყოფნის, განსაკუთრებით ზაფხულში, დიდი ხანია ლაპარაკია წყლის ახალ გაყვანილობაზე, ფულის შეგროვებას აპირებდნენ, მაგრამ მილები ვერ იშოვეს. სოფლის ახლოს, რომ სანატორიუმი აეშენებინათ, წყლის ახალ მილებსაც გაიყვანდნენ, მაგრამ სანატორიუმს არ აშენებენ.

ავდგე? ანზორი უცებ ისევ იძინებს, და როცა თვალს ახელს, ცა უკვე ბაცი მწვანეა; დათვის გორა ნარინჯისფრად აუკიაფებია ამომავალ მზის სხივებს. ღრუბლები ხეობაში ცურავენ, ნაძვის ტოტებზე წვებიან და დნებიან.

წუხელის შესმულმა ღვინომ პირი ისე ამოუწკლარტა, ლამის გული აერიოს. როცა „ყველას უშველე“ გაისტუმრა, ანზორმა კაჭკაჭასთან შეირბინა. იქ შაქრიან ღვინოს სვამდნენ. დაალევინეს. სხვა დროს აღარ წამოეგება მასპინძლის თხოვნაზე, კარდაკარ აღარ იწანწალებს... მორჩა, მტკიცედ გადაწყვიტა.

ოთახში არავინ არის. ანზორი ზარმაცად იზმორება. მერე დგება, ჯინსებს იცვამს და ეზოში გამოდის.

სამზადი ქოხის სახურავიდან ამოსული მტრედისფერი ბოლი თუნუქის სახურავს რბილად ეფინება. სამზადში დედა ვედროდან ქვაბში რძეს ასხამს. ალმაცერად გამოხედა ანზორს, მგონი ჯავრობს. კარის ზღურბლთან ქათმები შეგროვილან პეპელა-დიდედა კუნძზე ჩამომჯდარა, გამხდარი თითებით ლობიოს არჩევს და თან გოჭს იგერიებს, ვარდისფერი დინგით კალთაში რომ უძვრება. გომურში მშიერი ძროხა ბღავის. ლიზუნას ონკანთან მიუყენებია მალხაზი, ბანს და თან ტკბილად ეტიტინება. ბავშვი ხელიდან უსხლტება და წვრილად გაჰკივის. სულ ერთი და იგივე, როგორ ჰგავს ხოლმე ერთი დღე მეორეს!

ანზორი დედას ზურგს შეაქცევს. რცხვენია, წუხელის გვიან რომ დაბრუნდა შინ. ფეხზეც ძლივს იდგა. კიდევ კარგი, მეზობლებს არ დაუნახავთ, თორემ აბუჩად აიგდებდნენ, ანზორი ლიზუნას მიუბრუნდება:

— დაანებე თავი, ლიზუნა, იყოს ჭუჭყიანი...

მალხაზი ყუჩდება, დიდრონ, ეშმაკურ თვალებს ანზორს მიაპყრობს, ლიზუნა თავს გააქნევს.

— კარგი სანახავი იყავი წუხელ... ანზორი არ პასუხობს. პირს იბანს

და თან ცივ წყალს მალხაზს და ლიზუნას ასხურებს. მალხაზი გახარებული კივის, ლიზუნა კი ზურგზე პირსახოცს დასცხებს. ანზორი პირსახოცს წაართმევს, სახეს, კისერსა და მკერდს იმშრალებს.

— შენ ჯვალო გჭირდება პირსახოცის მაგიერ, — ეუბნება ლიზუნა.

ანზორი ღიმილით შესცქერის. კარგი რძალი ჰყავს. ანზორის კბილაა, შუა ტანის, მკვრივი ქალია, ქალაქელივით თეთრი, ნაზი პირისახე აქვს, გაზაფხულის ლორთქო ფოთოლივით მწვანე თვალები ბავშვური სიმშვიდით, მიამიტად შეჰყურებს ყველას. ჯუმბერი მაღალია, მხარბეჭიანი, წელწვრილი, მარჯვე და მოხერხებული. კოლმეურნეობაში საუკეთესო შოფრად ითვლებოდა, ჯარში კი მექანიკოსი გამხდარა. მზეთუნახავს მოიყვანდა, მაგრამ ლიზუნა აირჩია. „შევხედე თუ არა, იმწამსვე ბაღდით ხელში წარმოვიდგინე, — უთხრა მან ანზორს. — იცოდე, ცოლის შერთვას რომ დააპირებ, არ შეცდე“. ანზორს გაეცინა — „გოგოს რომ შევხედავ, შვილიშვილებსაც წარმოვიდგენ და მაშინვე შევირთავ!“ ანზორი ქორწინებაზე არც კი ფიქრობს. ოჯახის ტვირთი თუ არ აიკიდა!.. მაგრამ ალბათ მაინც შეირთავს ქალს. როგორც ყველა, როცა მობეზრდება ფეხბურთი და ცეკვა-თამაში. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ ბევრი დროა.

ანზორმა ლიზუნას მუცელს შეხედა — ქალი მეორე შვილს ელოდება.

— გუშინ ჯუმბერის წერილი მივიღე, შემოდგომას ჩამოვალო.

— ნოემბრისთვის მოლოგინდები მეორე ბიჭზე?

— გოგოზე, — ამბობს წამოწითლებული ლიზუნა. — გოგოზე!

გოგო უნდა, გოგო იყოს. ანზორისათვის სულერთია. ალბათ ჯუმბერისათვისაც სულერთია. ბიჭი ხომ ჰყავს უკვე! ჯუმბერი სადღაც მურმანსკთან არის ჯარში. შემოდგომაზე ანზორსაც გაიწვევენ. იქნებ ჯერაც კი შეხვდნენ ერთმანეთს.

დედა ონკანს უახლოვდება, ვედრო აქვს გასარეცხი. გაჯავრებულსაც კეთილად უციმციმებს თვალები.

— ვერ დავიძინე, შენი გულისთვის.

— პატარა ვარ თუ, — ცოტა უხეშად პასუხობს ანზორი.

— ვაგეფრთხილებინე მაინც.

— ბავშვი აღარა ვარ, — იმეორებს ანზორი და პირსახოცს თუთის ხეზე კიდებს. მარნიდან მამა გამოდის, ხელში წალდი უჭირავს.

— ნახირს მარტო გადენი, მე ბრიგადირმა დამავალა, მორები სახერხში წაიღეო. თუ მოვასწრებ, ამოვალ, მოგეხმარები.

მამას რასაც კი დაავალებენ. ყველაფერს გულმოდგინედ ასრულებს: მხრებზე უღელს გადაიდებს, ისევ დააგდებს, ნაჯახს დასწვდება და გომურისკენ გაემართება. უკან რომ ბრუნდება, ხელში მალხაზი უჭირავს.

— ჩემს მეტი აღარავინაა ბავშვის მიმხედავი? — როგორც ყოველთვის, არც ახლა უწევს ხმას, — ფეხსადგილის ორმო ხომ ღიაა.

დედა, რომელსაც მუდამ სწორად უჭირავს თავი, კიდევ უფრო სწორდება წელში, საყვედურს ღებულობს. ლიზუნას სახე წამოეჭარხლა, მამა თავს აქნევს უკმაყოფილოდ, ბავშვს ლიზუნას უბრუნებს, ისევ გადაიდებს მხარზე უღელს, დასწვდება ცულს და ჭიშკრისკენ მიდის, მალხაზი საწყალობლად ეხვეწება:

— პაპა, პაპა, მეც წამიყვანე!

— დავბრუნდები და ურემზე დაგსვამ, — ჰპირდება პაპა.

ანზორი გაჰყურებს მამის მოხრილ ზურგს. ერთმანეთს ჰგვანან, ოღონდ მამა უფრო დაბალია და შავგვრემანი, ანზორს ქერა თმა აქვს და ცისფერი თვალები.

უნდა იჩქაროს, მზე უკვე ამოიწვერა. ნაუცბადევად, ინდაურივით ყლა-

პავს რამდენიმე ლუკმას, წუხანდელ მჭადს და ცივ კარტოფილს.

— რძე დალიე! — ეუბნება დედა.

ველარ გაიგო, რომ გაზაფხულიდან მოყოლებული, რძე შეიძულა, აღარა სვამს. ჯერ ისევ მოსწავლე ჰგონია. ანზორი ხელს ჩაიქნევს, ხალათს ჩაიცვამს, ძველ ფეხსაცმელში ფეხს ჩაჰყოფს, თავზე კეპს ჩამოიფხატავს, თხილის სახრეს აიღებს, გრძელს და მოქნილს. დედა თოფრაში გახვეულ საჭმელს აწვდის და ძროხას აუშვებს. გვერდებგანიერი ნაცრისფერი ნიშა ძლივს ეტევა ჭიშკარში, მოუქნელად მიიზლაზნება რკინიგზის ბაქნისაკენ, სადაც დიასახლისებს უკვე მოურეკიათ თავიანთი ძროხები.

მესერზე არ გაუკრავთ კინოს აფიშა, თუ ბიჭები შეიკრიბებიან, საღამოს ფეხბურთს ითამაშებენ. ზვიადი ამბობს, მოდი, ტივი შევკრათ, პურმარილი წავიღოთ, ჩირაღდნები მოვამზადოთ და საღამოს სიმღერით გავცუროთ სოფლის გასწვრივო. მაგრამ არაფერი არ გამოვა, ისეთი სწაფი დინებაა, სანამ სადღეგრძელოს თქმას მოასწრებ, ტივი ჭორომებს შეასკდება. სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ. შარშანდელი ზაფხული უფრო მხიარულად გაატარეს, ბლომად ჩამოვიდნენ მოაგარაკეები, წელს კი, ალბათ, წვიმიანი ამინდების გამო ქალაქელები აღარა ჩანან. საღამოს ბაქანზე იკრიბებიან, იცეკვებენ, იმღერებენ, ზოგჯერ ფილმს ჩამოიტანენ, — ესეც შენი გართობა, თუ ღვინის სმას არ ჩავთვლით, რომელიც მაინცდამაინც არ იზიდავს. სუფრაზე თავს როგორ შეირცხვენს, სხვაზე ნაკლებს როდი დალევს, მაგრამ ზოგიერთივით დასალევად მიზეზს არ ეძებს, და არც იმაზე აქვს ყნოსვა გამახვილებული არიქა, არაყს ვის ოჯახში ხდიან, ან ბურვაკი ვისა ჰყავს დასაკლავიო.

თავისი სახლის წინ დგას ფეხშიშველა მელანო, ფეხის თითები ხელის თითებივით გრძელი აქვს, ილლიებქვეშ შემოხეული კაბა ტანზე შემოტმასნია და ძლივს უფარავს დიდ მუცელსა და მკერდს, გრძელი ცხვირი და გრძელი ნიკაპი ანზორისკენ მიუმართავს და ერთი შეხედვით შორიდან მომავალ სატვირთო მანქანას ჩამოჰგავს.

— უყურე ამ ძილისგუდას, — დუდღუნებს ის, — ცოლს რომ შეირთავ, რაღას იზამ?

მელანო ქვრივია. ქმარი რომ მოუკვდა, მალე ბიჭი შეეძინა. უმამობა დასტყობია ბიჭს, მთელი დღე სადღაც დაწანწალებს, შინ გვიან ბრუნდება და საღამოობით მთელ სოფელს აყრუებს მელანოს სევდიანი ძახილი: „ბიჭიკო-ო! ბიჭიკო-ო!“

— შენ ხელში რას გამოიძინებ, როცა მთელი წყალი გაქვს მოშვებული, — ეუბნება ანზორი და მელანოს ეზოში ახლადმორწყულ ვაშლის ხეებს გასცქერის.

— წყალი მაქვს მოშვებული? — დოინჯი შემოიყარა მელანომ.

აბეზარი დედაკაცია. თუ ალაპარაკდა, ველარ გააჩერებ, განსაკუთრებით გაბრაზებისას. ანზორი სიტყვას აწყვეტინებს:

— შენ ძალიან გალამაზდი, ზედგამოჭრილი...

გაკვირვებულ მელანოს პირი დაუღია.

— პეპელა-ბებო ხარ, — ამთავრებს ანზორი და გარბის.

რკინიგზის ბაქანთან, საბარგო მანქანის ირგვლივ შეგროვილან „ყველას უშველეს“ ბიჭები — ლევანი და ზვიადი, მათგან ერთად დგას ზვიადის ძმაკაცი — შოფერი კაჭკაჭა. ლევანი მამას ჰგავს, მასავით მაღალია და დონდლო, სიარულის დროს ვერ გაუგებ, ხელფეხს საით ამოძრავებს, გეგონება სახსრები ისე აქვს მოწყობილი, რომ ყველა მიმართულებით შეუძლია მიტრიალდესო. ზვიადი ძმაზე ერთი წლით უმცროსია და ნახევარი მეტრით დაბალი. დგას თუ ზის, მაინც ზევით

მიისწრაფვის და თითქოს ამის გამო, შუბლი, ცხვირი, წაგრძელებული აქვს, თვალები კი შუბლზე შეჯდომია. ყვითელ თვალებს ქორივით აბრიალებს. ლევანი გულუბრყვილოა, დამყოლი, ზვიადის მთავარი საზრუნავი კი ის არის, თავი ვინმეს არ დააჩაგვრინოს. ფიცხია და ჩხუბისთავი. კაჭკაჭა ჩაფსკვნილი ბიჭია, ღიპი ნაადრევად წამოზრდია, მხიარულია, კარგი ჭამა-სმის მოყვარული. მშობლები ძალიან ცდილობდნენ უმაღლესში მოეწყოთ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მაშინ საფინანსო-ეკონომიურ ტექნიკუმში მოაწყვეს, კაჭკაჭას მანქანა უყვარდა და პირველი კურსიდან გამოიქცა.

ანზორი გზატკეცილს მისჩერებია, მის ცხოვრებაში არაფერი იცვლება, კარგა ხანია, ელოდება. როცა ხუთი წლისა იყო, დილით გაიღვიძებდა თუ არა, სხეულში რაღაც უცახცახებდა, ვიღაც მხიარულად ჩასჩურჩულებდა: დღეს რაღაც იქნება, დღეს რაღაც მოხდებაო. მაგრამ დღეები ერთმანეთს მისდევდნენ და არაფერი არ იცვლებოდა. თვითონ კი იზრდებოდა, დადიოდა სკოლაში, წვერის პარსვა დაიწყო, სკოლის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში წავიდა, ცვლილებები იყო, მაგრამ ის არა, რომელსაც გაღვიძებისას ელოდა ხოლმე. თითქოს ანზორი კი არ იცვლებოდა, არამედ იცვლებოდნენ წლები, თანდათან რომ ტოვებდნენ მას. ნუთუ მუდამ ასე იქნება, მაშინაც კი როცა სამოცი წელი შეუსრულდება? ან იმ დღემდე, როცა სასაფლაოზე წაასვენებენ, იყო და აღარ არი. ქვეყანა კი ისევ დგას. ასეთი განწყობა იქნებ იმის ბრალია, რომ თვითონაც არ იცის რას ელოდება?

ანზორმა თავი დახარა და მძივებივით ბრჭყვიალა თვალებით შეამჩნია, თხმელის ხის ტოტებზე ჩამომსხდარან და ერთმანეთს ეკვრიან ბელურები. მერე წამოიშლებიან ჟღურტულით და ღრუბელივით გადაევლებიან მდინარეს.

ანზორი გზაზე ჩამოდის. ხელმარჯვნივ ლობეებია. ის ესალმება ყოფილ მემანქანე შაქროს, რომელიც თავის ეზოს წინ გრძელ მერხზე ზის, გადაჭრილი მარცხენა ფეხი ყავარჯენზე ჩამოუდვია და ღლენიადაგ გასცქერის აღმა-დაღმა მიმავალ მატარებლებს. შაქრო თუშურ ქუდს ისწორებს და ერთხანს ჩუმად შესცქერის ანზორს. შემდეგ თავს უკრავს და იწყება ჩვეული ბაასი.

— გაწვიმდება, — მუხლს ქვემოთ წაჭრილ ფეხზე ხელს ირტყამს და ნაღვლიანად იცინის.

— გტეხს? — ეკითხება ანზორი.

— წვიმის წინ მტეხს ხოლმე. ამინდის ბიუროზე უფრო ნაღდია. შენ რას შვრები, ბიჭო?

— არამიშავს რა, ძველებურად ვარ. ძროხებს ვმწყემსავ.

— იცოცხლე ას წელიწადს.

ანზორი ჩაფიქრდება. სკოლაშიც ემართებოდა ასე, უცებ გამოითიშებოდა, — ყველა დარბოდა, ხტოდა, ზოგს აგვიანდებოდა, ერთმანეთს კარნახობდნენ, თვითონაც ვინმესგან ამოცანას იწერდა, თანატოლებისაგან არაფრით არ გამოირჩეოდა, და უცებ, თითქოს თავში ზამბარა გაუწყდაო, ყველაფრის ინტერესს და ხალისს კარგავდა, რაღაცაზე ფიქრობდა, შეკითხვებით ხალხს აწუხებდა. მგონი დღესაც გაუწყდა ზამბარა. ას წელიწადს იცოცხლეო, რომ ლოცავს შაქრო, რად უნდა ისეთი სიცოცხლე, თუ პეპელა ბაბოსავით ხელით სათრევი შეიქნა?

— რად მინდა ას წელიწადს სიცოცხლე, ძია შაქრო? — ამბობს ანზორი.

— რას ქვია, — არ გინდა. რაც უფრო დიდხანს იცოცხლებ უკეთესი არ არის?

არ ვიცი...

— მაშინ, ბიჭო, ასორმოცდაათი წელი იცოცხლე.

— კარგი, შენი ხათრისათვის ვიცოცხლებ.

ძროხები წყაროს გადადიან, წყალს

სვამენ და ღელის კალაპოტივით ღორღიან გზაზე მიიზლაზნებიან. მარჯვნივ, ტყის პირზე ორი სახლი დგას. ერთი აგურისაა, ორსართულიანი, მეორე — პატარა ხის სახლია. აგურის სახლის პატრონი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე უშანგი კოჭაძე ჭიშკართან დგას. ჭიშკარი რკინისაა, როგორც ახალი სასაფლაოს მესერი. თავი უკან გადაუწევია, ბოთლი მოუყუდებია და ბორჯომს ეწაფება. წყლის წვეთები ნიკაპზე და ბანჯგვლიან, გაღეღილ მკერდზე ესხმება. მაღალი, ბეჭებგანიერი კაცია, გადმოკარკლული თვალები ჩასწითლებია, ფართო ცხვირი და თევზივით პატარა პირი აქვს.

ქვედა სართულის აივანზე უშანგის სქელი ცოლი მაკრინე ზოლიან ლეიბებს ბერტყავს, ქალიშვილი მილიცა სამზარეულოსთან ჩაცუცქულა და ქვაბს რეცხავს. ბაღიდან ბატკნის ბღავილი ისმის. ბატკანს შავთათებიანი ლეკვი მისდგომია და უყეფს.

უშანგი ბოთლს ჩამოიღებს, ამოიხვნეშებს და ჩახრენწილი ხმით ეკითხება:

— მამაშენი სად არის, შე მამლაყინწავ?

კაცს რომ არ დასცინოს, არ შეუძლია, ყველას ზედმეტი სახელი უნდა გამოუნახოს. პასუხის ღირსი არც არი, მაგრამ...

მაკრინე ბერტყვას თავს ანებებს და ყურს მიუგდებს.

— მორებს ეზიდება, — ამბობს ანზორი.

მილიცა ისევ ქვაბს ხეხავს, კაბა მუხლს ზემოთ ასწევია და მოუჩანს მზედაკრული სწორი ფეხები. შემდეგ წელში გასწორდება, ანზორს გახედავს და გაიღიმებს.

— მამას უთხარი, საღამოს შემოიაროს, ბატკანი უნდა დავკლა! — გასძახის უშანგი.

— ვეტყვი.

ხუთი წლის წინათ, უშანგი მორებით დატვირთულ სატვირთო მანქანასთან იდგა, უცაბედად, ძარა გადმოიხარა და მანქანიდან გადმოგორებულმა მორებმა გათელეს უშანგი. არავის ეგონა თუ გადარჩებოდა, მაგრამ როცა წამოდგა, საღსალამათი იყო, ფრჩხილიც კი არ სტკენია. მას შემდეგ, ყოველ წელს, იმ დღის სწორს, წმინდა გიორგის სადიდებლად ბატკანს კლავს და პურმარილს მართავს.

მამა გაურბის უშანგისთან სტუმრობას, მაგრამ დღეს მივა, რომ არ მივიდეს, სხვანაირად გაუგებენ, „ნეტამც მომკვდარიყავიო“. ასეთია ცხოვრება. ყველაზე პატიოსანი ადამიანებიც კი სხვებს გასცქერიან, უწესობა არ დამწამონო.

მილიცა ღობეს უახლოვდება და ანიშნებს ანზორს, საღამოს შენც მოდიო. მრგვალი სახე წამოსწითლებია, თაფლისფერი თვალები უბრწყინავს. მამისკენ თავს აქნევს და ტუჩებთან თითი მიაქვს. ანზორს ეცინება, თავით ფეხამდე ჩაათვალიერებს, მკვრივი გოგოა, ხვლიკივით მოქნილი. ამასწინათ, ბორჯომში ერთად წავიდნენ საესტრადო კონცერტზე. იქიდანაც ერთად დაბრუნდნენ. მილიცა ანზორზე ორი წლით უმცროსია, სკოლაში რომ იყო, ვერც კი ამჩნევდა. მატარებლით რომ ბრუნდებოდნენ, ტამბურში ისე ახლოს იდგნენ ერთმანეთთან, ანზორი დაიხარა და აკოცა. მილიცა გაშრა, „რას აკეთებო“ და სახეზე ხელები აიფარა. ანზორს შეეშინდა, ბოდიშის მოხდა უნდოდა, მაგრამ უცებ დაინახა, თვალებზე ხელები კი ჰქონდა აფარებული, მაგრამ ტუჩები ისე გამობურცვოდა, რომ კოცნას ითხოვდნენ, ჰოდა, ბოდიშის მაგიერ ისევ აკოცა. გოგომაც უპასუხა, თითქოს მოწიწკნა ტუჩზე, მერე ხელი კრა, მოიშორა და ღიმილით უთხრა, ჩვენი დაქორწინება ძნელი საქმეაო. ეს ანზორმა ისედაც იცოდა, — სოფლის ბიჭებს პატარძლები სხვა სოფლებიდან მოჰყავდათ. მაგრამ ქორწინებაზე ის არც ფიქრობდა, ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს, უბრალოდ მილიცას კოცნა მოუნდა და

მიიზიდა. მაგრამ ამ დროს მატარებელი გაჩერდა. უნდა ჩამოსულიყვნენ.

უშანგის ბოთლი ისევ პირთან მიაქვს, ხორხის ხვანჩი აღმა-დაღმა ჩაუდის, მაკრინე ისევ ბერტყავს ლეიბებს, ანზორი მილიცას ხელს უქნევს და მისდევს ნახირს.

— ჰეი, მამლაყინწავ! — ყვირის უშანგი.

ანზორი შემობრუნდება.

— შენც მოდი!

ესეც შენ! ნეტა რა ბუზმა უკბინა უშანგის? ის უანგაროდ არაფერს აკეთებს. ნეტა ანზორი რაში დასჭირდა?

მილიცა ხელს უქნევს, თავს უკრავს, თან მამაზე რაღაცას ანიშნებს, მერე თავის თავზე. ანზორი მხრებს იჩეჩავს, არაფერი გამეგებაო. გოგო მუშტს უღერებს, იცინის, თეთრად ჩაწიკწიკებული კბილები გამჭვირვალე წყაროში ჩაყრილ კენჭებივით უკრიალებს. ეზოში რომ უშანგი და მაკრინე არ იყვნენ, დაბრუნდებოდა და ჩაჰკოცნიდა მილიცას. მისი კოცნა თურაშაული ვაშლის ჩაკბეჩასავით გემრიელია.

მეზობელ ხის სახლში კარი ფართოდ დაუღიათ. ეს არაფერს ნიშნავს, რადგან ხეიბარი ერემო კარს არასოდეს კეტავს. თუ ძალიან დიდ ყინვას არ დაიჭერს. რომ გაიგო მასპინძელი შინ არის თუ არა ,ან უნდა დაუძახო, ან ოთახში უნდა შეხვიდე.

აივანთან წითელი ბუჩქი ყვავის ვარდისა, სინის ბადით შემოტიხრულ ბოსტანში სარის ლობიო ხარობს, მოშორებით, ვენახის ტალავერია. ერემოს ბოსტანს უფრო ეტყობა მზრუნველი ხელი, ვიდრე კოჭაძისას, თუმცა, რა სჭირდება მარტო კაცს?

ანზორი სახრეს იქნევს და მიერეკება ძროხებს.

ისმის მილიცას ხმა, დედას რაღაცას ეძახის.

გუშინწინ მეწალე გაბო ამბობდა, მილიცამ ჩექმები შემიკვეთა, ხომ არ იინიშნებაო? „შენ ვინ გეკითხებაო?“ უთხრა ანზორმა. გაბომ აუხსნა, მილიცასთან სხვა ანგარიში მაქვსო. ანზორი გაოცდა. გაბო და უშანგი ერთმანეთს ვერ იტანდნენ. როცა გაბო დარწმუნდა, რომ კოლექტივში მუშაობით ვერ გამდიდრდებოდა, სოფლიდან ბორჯომის სიახლოვეს, შავ ღელეზე გადასახლდა. უშანგი გაბრაზდა, სახლის გაყიდვის ნებართვას არ აძლევდა, ქალაქში ჩაწერაზეც ხელს უშლიდა, მაგრამ გაბომ მაინც თავისი გაიტანა, მილიციის უფროსს ფეხსაცმელი შეუკერა. „მე მილიცას პლატფორმებიან ფეხსაცმელებს უფასოდ შევუკერავ, — თქვა გაბომ, — ერთი ნახეთ, რა ფეხები აქვს. მართალი არა ვარ? — ანზორმა თავი დაუქნია და გაბომ განაგრძო: — დედაჩემი ამბობს, მოწიფული გოგო მწიფე ქლიავივით არის, ვინც პირველი დაბერტყავს, იმას ჩაუვარდებაო“. არა, მგონია გაბოს ეკოცნოს მილიცასათვის, ანზორმა კი უკვე აკოცა. ამის შემდეგ შეუძლია თქვას, რომ პირველს მას ერგო ქლიავი დასაბერტყად? მაგრამ გაბო ქორწინებაზე ფიქრობს, ანზორს კი ქორწინება აზრად არ მოსვლია. რამდენიც უნდა ილაპარაკოს... მაინც შეეკითხა: „უშანგისა აღარ გეშინია, თუ უკვე შეურიგდი?“ გაბომ გამელოტებულ თავზე ხელი გადაისვა. „არ შევრიგებულვართ, მაგრამ მილიცა ძალიან კარგი გოგოა. უშანგის ფული უყვარს, როგორმე მოვრიგდებით. იცი, რატომ გაცოფდა, აქედან რომ გადავედი? იმიტომ, რომ მაგას არაფერი ერგო, უმაგისოდაც იოლას გაველი. მოდი, ჩემი ხელისმომკიდე იყავი“. გაბო რომ დაქორწინებას აპირებს, მისი საქმეა, მაგრამ მილიცას ფეხებზე ლაპარაკი და ქება, ანზორს მაინც არ მოეწონა, გულში გაჰკრა, ხმა არ ამოიღო. ისინი გაბოსთან ისხდნენ, ტელევიზორში ფეხბურთს უყურებდნენ, კაჭკაჭა და ლევანი გაჰყვიროდნენ, ზვიადი კი ჩუმად ღელავდა. მათ გარდა სახელოსნოში გაბოს სიძე იყო, მათემატიკის მასწავლებელი არისტოტელე, გამხდარი და ყბედი კაცი. არისტოტელე ცოტა გადაკ-...

რულში იყო. სახელოსნოში ტყავის, რეზინისა და საღებავის სუნი ტრიალებდა. კედლებზე აკრული იყო ამერიკული და ფრანგული ჟურნალებიდან ამოჭრილი ფოტოები საბანაო კოსტუმებში და მინი-კაბებში გამოწყობილი ნახევრადშიშველი ქალებისა, რომელთაგან ზოგი პლიაჟზე წამოწოლილიყო, ზოგი იახტის ერდოზე იდგა, ზოგი გრძელ და დაბალ მანქანაში იჯდა, ზოგი ლიფს იზომებდა ან გრძელ, გამსჭვირვალე წინდას. დრო და დრო, გაბო აახლებდა თავის გამოფენას. დედასა და დებს ასეთი საპასუხისმგებლო მატჩების დროს ტელევიზორთან არ უშვებდა, არ უნდოდა ქალებს გინება მოესმინათ, ურომლისოდაც გულშემატკივრები ვერ ძლებდნენ. მთელი ოჯახი ერთად ცხოვრობდა, მხიარულად და მეგობრულად. არისტოტელე ხელმომჭირნეობდა, ფულს აგროვებდა სახლის ასაშენებლად, გაბოს შემოსავალი ყველას ხმარდებოდა, განსაკუთრებით დისშვილებს, მათ ანებივრებდა, უარს არაფერზე ეუბნებოდა. ზოგჯერ, როცა გაუჭირდებოდა, გაბო ისე აყვირდებოდა; რომ უცხო ხალხსაც არ ერიდებოდა: „გეყოფათ, მომშორდით, აღარ შემიძლია ყველას პატრონობა, ჩემთვის მინდა ვიცხოვრო!“ მისი დაი ბავშვებს ხელს დასტაცებდა და მეზობელთან გადადიოდა ღამის სათევად. არისტოტელეც სადღაც გადაიკარგებოდა და დილით ბრუნდებოდა შეზარხოშებული. ამ დროისათვის გაბოს დედას შინ მიჰყავდა შვილიშვილები, გაბოც ნანობდა თავის საქციელს, თავჩაქინდრული აგვირისტებდა ჩექმებს და ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა.

მეორე ტაიმში ანზორმა მოიწყინა და სულ დაკარგა თამაშის ცქერის ხალისი — ძალიან სამარცხვინოდ აგებდა „დინამო“. გაბომ მუცელზე ხელი დაიტყაპუნა და „მშიაო“, განაცხადა. ანზორის უკან მჯდარი არისტოტელე ბურდღუნებდა: „ამხანაგი გაგაცილეთ პენსიაზე და ცოტა დავლიეთ“. მერე რატომღაც სხვადასხვა ტომის ხალხზე ჩამოაგდო სიტყვა. „კარგი და ცუდი ეროვნება არ არსებობს, არიან ცუდი ადამიანები და კარგი ადამიანები. მე ბერძენი ვარ, რა არის ამაში ცუდი? არიან კარგი ბერძნები და ცუდი ბერძნები. შავი პოლკოვნიკები ჩამოსახრჩობი არიან, ჰომეროსი კი როგორი ბიჭი იყო? ჩვენი ბიჭი იყო, ეგრე არ არის? ქრისტიანი იყო“. — „ტყუილს ნუ ამბობს“, — თქვა ზვიადმა. არისტოტელე შეცბა, მაგრამ მაინც განაგრძო, „არ ვამბობ ტყუილს. მე ათეისტი კაცი ვარ, ღმერთი არა მწამს, მაგრამ ქრისტიანული რელიგია მაინც რაღაცას წარმოადგენს. კაცისთვის ცუდი არ გამიკეთებია ჩემ სიცოცხლეში. ღმერთი არა მწამს, მაგრამ რაღაცის მაინც მეშინია“. ეკრანიდან ინგლისელთა მრავალათასიანი ბრბო გუგუნებდა, არისტოტელეც კი განაგრძობდა: „ქრისტიანული სარწმუნოება ბერძნების შექმნილია“. — „პედაგოგო, ტყუილებს ნუ იგონებ“, — უთხრა ისევ ზვიადმა. — „ტყუილი კი არა, მართალია. თავდაპირველად ჩვენ მრავალი ღმერთი გვყავდა ზევსის მეთაურობით. მერე მარტო ზევსი დარჩა. ზევსი ღმერთით შეცვალეს და გვეშველა კიდეც; გიყვარდეს მოყვასი, ვითა თავი შენიო, მარჯვენა ლოყაში რომ გაგარტყამენ, მარცხენა მიუშვირეო, შენი გაიხადე და სხვას ჩააცვიო, რა ჯობია? მაგრამ დანარჩენი კათოლიკეებმა გააფუჭეს. მართლმადიდებლებს სწამთ სამოთხე და ჯოჯოხეთი. ცოდვას ჩაიდენ, — ჯოჯოხეთში გიკრავენ თავს, არ ჩაიდენ და სამოთხეში. ამ კათოლიკეებმა განსაწმენდელიც მოიგონეს, საიდანაც ცოდვილთა დახსნა შეიძლება ქრთამის საშუალებით. ეგ კათოლიკეები სულ მექრთამეები არიან, ცოდვას ფულით ისყიდიან“. გაბოს მოთმინების ფიალა აევსო. „გაჩუმდი რა, ხომ ხედავ, ვაგებთ“. „ცოდვის ფულით გამოსყიდვა ჩვენშიაც შეიძლება“, — თქვა არისტოტელემ და გაჩუმდა. ანზორი ვერ

მიხვდა რას გულისხმობდა იქნებ იმ მექრთამეებზე ლაპარაკობდა, რომლებიც ქრთამს კი არ იღებენ, არამედ იძლევიან. ან იქნებ, რაც ენაზე მოადგა, ის ილაპარაკა?

როცა ეკრანზე გაჩნდა წარწერა „ინტერვიზია", სიჩუმე ჩამოვარდა. გაბომ ბიჭები აღარ გაუშვა და მეორე სართულზე სავახშმოდ აიყვანა.

ვახშმის შემდეგ ქუჩაში გამოვიდნენ და შემთხვევით ჩხუბში ჩაებნენ. რაზე ამტყდარიყო ჩხუბი, ვერავის გაეგო. ერთნი ამბობდნენ, ერთმა ჟიგულის პატრონმა ბიჭმა, მეორე იაპონური „სეიკოს" პატრონს სანაძლეო დაუდო, ჩვენებმა რომ წააგეს, პირობა აღარ შეასრულაო. მეორენი ამბობდნენ, იმ „ჟიგულის" პატრონ ბიჭს ჩვენების წაგება გაუხარდა და იმიტომ ჟეჟესო. იმას მეგობრები წაეხმარნენ და ატყდა დავიდარაბა, გაბოს სტუმრები ორივე მხარემ მტრად მიიჩნია და სანამ გაერკვეოდნენ, ანზორს ხალათი ჩამოახიეს, ანზორმაც ვიღაცას სახეში გაარტყა, მერე ყველანი შერიგდნენ და ერთმანეთს კოცნიდნენ. უხეიროდ ჩაიარა საღამომ, ჩვენი გუნდიც ცუდად თამაშობდა, გაბოც ქორწინებაზე რაღაცას მიედ-მოედებოდა, არისტოტელეც სისულელეებს როშავდა. რა საღამოც იყო, დასასრულიც ისეთივე ჰქონდა, აყალ-მაყალით დამთავრებული.

ანზორი აღმართს მიყვება და მორღვეულ ღობეს გასცქერის. ნახევარი საუკუნის წინ, სოფელი აქ იყო, უცხო თვალისაგან დაფარულ ხეობაში. მერე ერთი გადმოსახლდა, იმას მეორე მიჰყვა და მთელი სოფელი აიყარა, ძირს, რკინიგზის სიახლოვეს. ზემოთ, მხოლოდ ძველი ეკლესია დარჩა, დანგრეული საძირკვლები და ღობეები.

მელანოს ჭრელ ძროხას სხვა ძროხებისათვის გაუსწრია, გეზი ეკლესიისაკენ აუღია. შეჩვენებული საქონელია! ანზორი მისდევს ძროხას, ძროხა ბუჩქებს გაარღვევს და გზაზე გამოდის.

უზარმაზარი ლოდებით ნაგები, ხავსით დაფარული ეკლესიის გვერდით დამპალი ფიცრები ყრია; ანზორი შესცქერის ეკლესიის კედლებს შორის ჩაგუბებულ წყვდიადს და თავდახრილი შედის. შეთეთრებული ბათქაში დამსკდარა. საკურთხევლის მარცხნივ სანთლისაგან გამჭვარტლული ნიშაა, იქვე ღვინის ბოთლებით გამოტენილი კომოდი დგას, რომელზედაც ქაღალდები ყრია, წმინდა გიორგის სახელზე დაწერილი ლოცვებით და თხოვნებით. აქვეა რამდენიმე ცალი ბანქოს ქაღალდი და ხურდა ფული. ეკლესიაში ყოველთვის სიჩუმეა, აქ ყოველთვის ხმადაბლა ლაპარაკობენ. ვერ გაიგებ, რატომ ხდება ასე, განსაკუთრებული აქ არაფერია, ქვები ქვებსა ჰგავს, ბათქაში — ბათქაშს, კუთხეებშიც ჩვეულებრივ ობობებს გაუბამთ ქსელი.

ვიწრო სარკმელში შემოიჭრება ოქროსფერი მზის სხივი, გამჭვირვალე, მოცქრიალე ფიფქებით აშუქებს ბნელ ეკლესიას, აცოცხლებს ირგვლივ ყოველივეს, სიჩუმეს აქრობს. ანზორი მთელი ხმით ყვირის:

— ოჰო-ჰოო-ო-ო!

ქვის კედლებით და მძიმე გუმბათით შემოფარგლული სივრცე ერთბაშად ხმიანდება.

ფეხის ხმა გაისმის. ანზორი უკან გაიხედავს. თაღქვეშ, ცულის ტარზე დაყრდნობილი ერემო დგას, თავი მოუბრუნებია და ანზორს შესცქერის. ცალთვალაა, მაგრამ უსინათლო თვალს სახვევით არ იფარავს. წარბს ზემოთ ღრმა ნაიარევი ამჩნევია, ცალი მხარი ჩამოვარდნილი აქვს, ორივე ფეხით კოჭლობს. ძნელია ერემოს ყურება, ძალაუნებურად გინდა თვალი აარიდო, თითქოს შენ იყო დამნაშავე, ასე რომ დაუსახიჩრებიათ.

— ა, შენა ხარ, ანზორ? — ეკითხება ერემო და მისი ბოხი ხმა გუგუნებს ეკლესიაში. ხმა ისეთი აქვს, რომ ქვას გახეთქავს. სქელი ხუჭუჭა თმა თავზე ისე ადევს, თითქოს სხვისი იყოს...

— გამარჯობა, ძია ერემო. ხომ არ შეგიშალე ხელი?

— რა უნდა შემიშალო. მე მაგას, — საკურთხევლისაკენ იყურება, — საკლავს არ ვუკლავ, არც ვლოცულობ. ჩემ გზაზე მივდიოდი, ყვირილი გავიგონე და შემოვიხედე.

ერემო ნელა მოავლებს თვალს კედლებს, თაღს და მერე ლასლასით გადის საყდრიდან. ანზორი უკან მიჰყვება.

— დღეს უშანგი ბატკანსა ჰკლავს.

—ვიცი, — გუგუნებს ერემო, — — გადარჩენისას.

მზით განათებულ მდელოზე გამოდიან.

— გადარჩენისას, — იმეორებს ერემო, — იქნებ მეც დავკლა ერთი ბატკანი, ჰა, რას მირჩევ?

— არ ვიცი, ძია ერემო, რატომ არასოდეს არ მღერი?

— ვმღერი? — ერემო ცულის ტარს ხელის გულზე იდებს და ბურღივით ატრიალებს, — წინათ ვმღეროდი, დიდი ხნის წინათ. ჰოსპიტალში ვმღეროდი ხოლმე ზოგჯერ.

ერემოს საერთოდ არ უყვარდა ლაპარაკი, კითხვაზე პასუხს არ გაგცემდა, — ვითომ არ მესმისო.

სოფელში ეცოდებათ, პატივსა სცემენ, როგორც კარგ ჯარა-ექიმს. ამოვარდნილ მკლავს ან ფეხს ერემოზე კარგად ვერავინ ჩასვამს, მაგრამ მკურნალობის გასამრჯელოს არასოდეს არ იღებს, ფული რომ ავიღო, ძვლები აღარ შეეზრდებიანო ერთმანეთს. ბავშვები ძალიან უყვარს, სიხარულით შესცქერის ხოლმე მათ, მაგრამ ხელში აყვანას ერიდება, თავისი საზარელი შესახედაობით რომ არ დააშინოს. ერთხელ, პატარა ანზორი ზედ შეეჩეხა ერემოს და ერემომაც ხელი სტაცა, ასწია, მაგრამ იქვე დაუშვა, შეშინებული ბავშვის ყვირილი რომ გაიგონა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ანზორს დღემდე რცხვენია მაშინდელი საქციელისა. დღემდე ახსოვს ერემოს გატანჯული გამოხედვა.

— ახლანდელ ახალგაზრდებს, — ნელა ამბობს ერემო, — სხვების დარდი არა გაქვთ. მერე ხანში რომ შეხვალ, მოგინდება ხელი გაუწოდო ვინმეს, ან დახმარებისთვის, ან დასახმარებლად, კარგია, როცა ვინმეს სჭირდები, ან შენ გჭირდება ვინმე, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას შენი დახმარება არავის ჭირდებოდეს და არ უნდოდეს.

— შენს დახმარებაზე უარი არავის უთქვამს.

— ჩემთან გაჭირვებულის მეტი ვინ მოვა?!

ერემო ისე დგას რომ ანზორისთვის თავისი დავსებული თვალი მიუპყრია,

— მე წავალ, — ლუღლუღებს ანზორი. თვალები ეწვის.

— წადი შვილო. ჩემს სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ყველას თავისი წილი ერგება, ჩვენ ჩვენი, თქვენ თქვენი.

ანზორი გზისკენ გარბის. ნახირს რომ წამოეწია, სოფლისკენ გაიხედა. მოჩანდა სახურავები, ზოგი თუნუქის, ზოგი კრამიტის, შიფერისა, ანდა ყავრის. სკოლაში რემონტია, — თეთრად მოსჩანს მოშიშვლებული ჩალანგარი. ბაქანთან შეგროვილი ხალხი ელექტრომატარებელს ელოდება. მდინარის გაღმა საკოლმეურნეო ფერმის გომურებია. საქონელი მაისში გარეკეს იალაღებზე. გზატკეცილთან მოჩანს მაღაზიის შენობის წვეტიანი სახურავი. გზაზე გუგუნით მიჰქრის დიდი, წითელი „იკარუსი“.

ძალზე მოსაწყენია ერთფეროვანი, უცვლელი, თითქოს გაყინული გარემოს მზერა. ერთხელ მაინც მოხდეს რამე უჩვეულო, ან სახლები შეღებონ სხვაფრად, ან მატარებელი გაფრინდეს თვითმფრინავივით, ან ადამიანები გაიზარდონ ალვის ხეებსავით.

სოფელი აღარ ჩანს. ტყიანი გორაკები, ერთმანეთის უკან ჩამწკრივებულნი, სადღაც ვარდისფერ ბურუსში ქრებიან. ჰაერში ფიჭვის სამო სუნი დგას, ბუჩქნარს მოფარებული წყარო

მორაკრაკებს. ზარივით რეკავს სადღაც ცულის ხმა, ვიღაც ტყეში ფიჭვს ჭრის და ისმის მოსაჭრელი ხის აცახცახებული კვნესა.

ხის კვნესას ყურს უგდებს ანზორი და თვალწინ უდგება მჭრელი ცულის პირი, რომელიც ერჭობა ფისით გაჟღენთილ ხის ქერქს. დასანანია, როცა ნორჩ ხეს ჭრიან. ანზორის ნება რომ იყოს, მხოლოდ გამხმარი ხეების მოჭრის ნებას დართავდა, ფიცრადაც ივარგებს და შეშადაც, არც გაშრობა უნდა, არც არაფერი.

ძროხები ზარმაცად მიიზლაზნებიან. ანზორი შეუძახებს ნახირს. ნახირი ფრიალო ფერდობს მიადგება და შუადღემდე იბალახებს, მერე წყაროსთან დაეშვება წყურვილის მოსაკლავად და დღეც თანდათან მიიწურება. საღამოს კი უშანგის ესტუმრება. რა იქნება იქ? ისევ ის ღრეობა, იგივე სადღეგრძელოები .მილიცა თუ მოიხელთა სადმე ბნელ კუთხეში და აკოცა, კარგი იქნება. მაგრამ კოცნასაც მაშინ აქვს ფასი, როცა უჩვევი ხარ. რა ემართება დღეს დილიდანვე რომ ბჭობის გუნებაზე დადგა. მზე კაშკაშებს? კაშკაშებს! ფუტკრები ბზუიან? ბზუიან! სოკოების სურნელს იყნოსავ? იყნოსავ! ჰოდა იცხოვრე, უყურე, ისუნთქე. აგერ, მარწყვიც მიირთვი ნახე რამდენია.

ბუჩქებიდან კატა გამოხტება, თეთრყურებიანი, შავთათებიანი. ანზორის დანახვაზე გაირინდება, თავს წინ წამოსწევს, ულვაშებს დაჭიმავს. კატები განმარტოებით ცხოვრობენ და სარგებლობაც ცოტა მოაქვთ, ტყეში ძღებიან, შინ ძინავთ. ანზორი სახრეს მოიქნევს, კატა განზე გახტება, მუხის ტოტზე აცოცდება და ფოთლებში იმალება. კატის ნახტომი ანზორს აოცებს. ხელს ყურის ბიბილოზე წაივლებს. ასეთი ჩვეულება აქვს სახრით ზომავს სიმაღლეს მიწიდან მუხის ტოტამდე. კაცს რომ შეეძლოს ასე ხტომა!

სადღაც ზემოთ, მოტეხილი ტოტის ტკაცუნი ისმის. ეს ვინღაა? ტევრში იელვებს წითელი ბეწვი. ისევ ჭრელაა. უყურე ამ თავგასულს. კლდეზე ამძვრალა, სადაც ბალახის ღერიც არ ხარობს. ანზორი მაღლა გარბის. ჭრელა უკან ჩამორბის, წაქცეულ ხესთან ჩერდება წამით, წინა ფეხებს ასწევს, ქანს აიღებს და გადაახტება ბილიკზე გადმოწოლილ გამოფუტუროებულ ხეს. ძროხისთვის საკმაოდ მაღალი ნახტომი გამოუვიდა. აი ამ სიმაღლეზე უნდა შეეძლოს ადამიანს ხტომა! ეჰ, რომ შეეძლოს!... დაიკუზოს, მიწას დაეყრდნოს და მერე აფრინდეს. ისეთი დაუოკებელი, წარმოუდგენელი სურვილი აიტანს ანზორს, რომ ყურები უჟუის, დაძაბულობისაგან ხელფეხი უცახცახებს. აიღებს და გაფრინდება, მაღლა, მაღლა, ხეებსა და კლდეებზე მაღლა.

ანზორი გზაზე ჩამოდის, მოიხრება და... უცებ აფრინდება, სახრე და ქუდი ძირს უვარდება, თავით და მხრებით ნაძვის შტოებს შეეხეთქება. ტოტები იშლება, წიწვი სახეს უკაწრავს, ის კი სულ ზევით მიფრინავს, წამით შეყოვნდება. ზემოდან დასცქერის ტყეს, ბნელ ხეობას, კიდევ — გაშენებულ სოფელს, და მერე დაბლა ვარდება, ტოტებს ებღაუჭება, ყელში რაღაც ეჩხირება... კისერს მოიტეხს! მსხვილ ტოტს ჩამოეკიდება, ქანაობს ზედ და მიწას დასცქერის. ძალიან მაღლაა, ხელი რომ გაუშვას, დაიმტვრევა. ტოტზე ჩამოკიდებული ხის ტანისაკენ მიიწევს, ხელს შემოხვევს და ჩამოჯდება. თავისუფლად ამოისუნთქავს. ხელფეხი უცახცახებს. ჩქარა უნდა დაეშვას, სანამ ახალ ფათერაკს არ გადაეკიდება. ძირს ჩასული წვეტიან ქვას ფეხს დაადგამს, შეკრთება, წაბლის ჩეროში გაჩერდება, ფრთხილად და მყარად აბიჯებს ფეხს, პირქვე ეშვება მიწაზე, სულ არა აქვს ეკლების დარდი, ტანი რომ გაუკაწრეს.

ყოვლად წარმოუდგენელია ის, რაც შეემთხვა!

მცხუნვარე მზე კეფას უხურებს. ხელებს დაეყრდნობა და წამოჯდება, ხელისგულები გადაყვლეფილი აქვს. მა-

რჯვენაზე ეკლები შერჭობია, სათითაოდ იძრობს, მერე ისევ ყურის ბიბილოზე ხელს წაივლებს და გასცქერის ტოტებგაშლილ აშოლტილ ნაძვს. ქვედა ტოტები მიწიდან საკმაოდ მოშორებულია, ხის ტანი ხორკლიანია, დაკოჟრილი. ამ მსხვილი ხის ტანს ჩამოჰყვა ძირს. ზემოთ აძრომა წარმოუდგენელია. მაშ, როგორღა მოხვდა ხეზე? რა მოუვიდა? თუ მოეჩვენა, მაშინ სად დაიგლიჯა ხელისგულები და რატომ ყრია ხის ძირში სახრე და ქუდი? ახსოვს ის, რაც შეუძლებელი ჩანს — მაღლა მიფრინავს, წიწვი სახეს უკაწრავს, შტოები განზე იწევიან, მისი თვალსაწიერი ფართოვდება თანდათან, წამით შეყოვნდება... მერე ის ვარდება. არა! არა! ყოვლად შეუძლებელია ეს მართლა მომხდარიყო. ალბათ, ავად გახდა, გონება დაკარგა, ქუდი და სახრე დაუვარდა.

მთის ძირში ქერქდამსკდარი ბებერი ფიჭვი დგას, მისი დახლეჩილი ტანიდან თეთრი ფისი მოჟონავს. დახვლანჯული ფესვებიდან მოსჩქეფს წყარო. ამაზე ცივ წყალს ვერსად ნახავ. ანზორი დგება, იღებს ქუდს, სახრეს, მიდის წყაროსთან. პალოზე კონსერვის კოლოფი ჩამოუცვიათ. წყურვილს იკლავს, ქილას ისევ პალოზე აცობს, ხალათს იხდის, ხელპირს იბანს, ჯდება და თოფრიდან ამოაქვს ხაჭაპური, ყველის ნაჭერი და კიტრი. ისევ ახედავს ტოტებგაშლილ ნაძვს. ნამდვილად ავიდა ამ ხეზე, ნაძვი კი ისე დგას თითქოს არაფერი არ მომხდარიყო. კარგი იქნებოდა ხეებს რომ ლაპარაკი შეეძლოთ. რამ აიყვანა იქ? ალბათ, ძალიან უნდოდა ახტომა და თითონაც ვერ შეამჩნია ისე აძვრა ნაძვზე. ძნელად სარწმუნოა, მეტადრე აფრენა...

ძროხები წყაროსთან მოდიან, ნელა ხვრეპენ წყალს. ბუჩქებში შეძვრებიან, ჩრდილში დგანან არხეინად და ზანტად იქნევენ კუდებს. ჭრელა ისევ დაბორიალობს, წყაროსთან მოდის, ალმაცერად შესცქერის ანზორს თავისი დიდი წყლიანი თვალებით, გრძელ წამწამებს ახამხამებს, ყნოსავს ბალახზე დაგდებულ ხალათს, მერე ღეჭავს, რქებზე წამოიცვამს და მიდის. ანზორი დაედევნება, ხალათს წაართმევს და წყაროსთან ბრუნდება; ეს საძაგელი პირუტყვი მოსვენებას არ აძლევს. შემოდგომაზე დაიკარგა. გვიან შემოდგომით ძროხები ხშირად მიდიან ტყეში, ზოგჯერ მარტო, ზოგჯერ ხბორებითურთ, და აღარ უნდათ დაბრუნება. ზოგჯერ დაკარგულ ძროხას დათვი დაეცემა ან შორიდან მოვარდნილი მგლები დაგლეჯენ. ჭრელაც დაიკარგა და მის ნაკვალევს მეჯოგეებმა ვერ მიაგნეს. იანვრის ბოლოს, როცა მთებში დიდი თოვლი დადო, ჭრელა სოფელში ჩამოვიდა და თივის ზვინს მიადგა. ხალხს ახლოს არ იკარებდა, ზმუოდა დი ირქინებოდა. ეზოში შედენეს, დააბეს, გაზაფხულისათვის ისევ მოშინაურდა. თუკი ძროხას, რომლის წინაპარი ათასობით წლის წინათ მოშინაურდა, ისევ იზიდავს ტყე და სილაღე, რა მოხდება რომ ადამიანი, რომლის წინაპართა შორის ალბათ, ფრთოსნებიც იყვნენ, ჰაერში მაღლა აიჭრას ხტომით? სულელური სიტყვებია „არ შეიძლება“, „შეუძლებელია“. დაარწმუნეს საკუთარი თავი, რომ არ შეუძლიათ და თვითონვე დაიჯერეს.

ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

აკი ახტა წელან ნაძვის ხეზე მაღლა.

ახტა თუ არა კაცი შეიძლება ჭკუაზე შეცდეს!

ანზორი დგება. ერთხელ და სამუდამოდ რომ მოიცილოს ეჭვი, კიდევ ერთხელ უნდა სცადოს, მორჩა და გათავდა, აქ ვერავინ დაინახავს და ვერ დასცინებს.

ანზორი ნაძვისკენ მიემართება, მერე გადაიფიქრებს. თუ სიცილია, სიცილი იყოს, გვირილებით მოფენილ მინდორზე ჩაუხვევს. ღმერთმა იცის რას ეძახიან, სულიო თუ რაღაც, ამოძვრა მკერდიდან და ფეხებში წაუვიდა. გაფრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისა კი არ ეშინია, არამედ იმისა, რომ წელან ყველაფერი მოეჩვენა.

შეჩერდება და ტირილნარევი სიცილით გაჰყვირის:

— შეიძლება! ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

შეხტება და უცებ, გვირილები, ბუჩქნარი, ძროხები, წყარო, მიწა ფეხქვეშ ეცლება, რაღაც ძალა ანზორს ზევით ისვრის. წყაროს უკან მდგარ ფიჭვებს გაუსწორდება, როგორც პირველად, ახლაც წამით შეყოვნდება, სუნთქვა ეკვრება და გვერდულად ეშვება მიწისკენ. ხელების ქნევით წონასწორობას ინარჩუნებს, სწორდება, მსუბუქად დაეშვება მიწაზე, თითქოს აივნიდან გადმომხტარიყოს.

ამდენ ხანს დაბნეული იყო, მაგრამ ახლა, ყველაფერი თავის ადგილზე დგება და ანზორი უყოყმანოდ, ხელმეორედ ხტება.

ახლა უფრო მაღლა აფრინდა, ისე მაღლა, რომ ხედავს გზატკეცილის ნაცრისფერ ზოლს, რომელზედაც პატარა თეთრი ავტობუსი მოჩანს. ხედავს თავის სოფელს, ბონდის ხიდს, მეზობელ სოფელ ბანავს, საკოლმეურნეო კანტორის წინ შეგროვილ ხალხს. უჩვეულო ელფერი მიიღო ყოველივემ, ასე უცხოდ არასოდეს ჩვენებია ნაცნობი ხეობა, არასოდეს დაუნახავს ადამიანები ამ სიმაღლიდან. აფრინდა, მაინც ხომ აფრინდა!

ბალახზე ვარდება, გვირილებს კრეფს და თაიგულში ჩარგავს სახეს. სურს ვინმეს მიეალერსოს, ვინმეს გაუზიაროს თავისი სიხარული. ახლა ყოველივე შეიცვალა, გადასხვაფერდა, ხელახლა უნდა გაეცნოს ყველაფერს. გრძელღეროიან გვირილას მოწყვეტს და ისე აკვირდება, როგორც დედის სახეს დააკვირდება, აქ რომ იყოს ახლა. ადრე არც კი შეუმჩნევია, რომ გვირილის ქვედა ფოთლები ნიჩბებს ჰგვანან, ზედა ფოთლები წამახულ ენას, ხოლო ღია ყვითელი ყვავილი მაურიანივით ბზინავს და სხივებივით ისვრის სიფრიფანა თეთრ ფურცლებს.

თურმე ვერაფერს ამჩნევდა და ისე ცხოვრობდა. ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა, თითქოს ჩაბნელებულ ოთახს მანქანა მიადგა და სინათლე მიანათა.

ყველაფერი ნაცნობია, იცის სად დგას სკამი, საწოლი, მაგრამ აი, ფანჯარასთან აინთო ფარები და გარემო განათდა, გამოიკვეთა, მახლობელი შეიქნა. თითქოს შენც შეიცვალე, ის აღარა ხარ, რაც სიბნელისას იყავი. დიახ, ახტა, გაფრინდა! გატეხილს ვერ გაამთელებ.

ანზორს ძროხები მოაგონდა. წყაროსკენ გასწია. ძროხები მინდორზე გაფანტულიყვნენ.

ნახირი შეაგროვა, მაგრამ სულ არ ედარდება ახლა ძროხები. მათ გარდა ირგვლივ არავინ არის. საძოვარს იქით, კლდესთან ფიჭვი დგას. წინათ მის წინ სხვა ფიჭვი იდგა. ის მოჭრეს და მეორეს გამოუჩნდა გაშიშვლებული, ტოტებჩამომხმარი, ყავისფერი ტანი. ხუთი წლის წინათ, ანზორი ტყიდან მოდიოდა და მდელოზე შეეჩეხა სოფელში დასასვენებლად ჩამოსულ ქალაქელ ქალიშვილს. ტანსაცმელს იცვლიდა, ალბათ, მზეზე გაშავებას აპირებდა, ბუჩქებიდან მოულოდნელად გამოსული ანზორი რომ დაინახა, კაბა დაუვარდა. სრულიად შიშველი იყო. სირცხვილისაგან გაშეშდა, ხელების მკერდზე აფარებაც კი არ უფიქრია. ანზორმა თვალი ვერ მოაცილა. მერე გაიქცა. იმ შიშველ და უმწეო ქალიშვილს ჰგავდა ეს ფიჭვი. ანზორი ხეს უახლოვდება, იძაბება, აფრინდება, ჰაერში ყოვნდება, ფიჭვის კენწეროს ხელს გადაუსვამს და დაბლა ეშვება. ფიჭვის უკან კლდოვანი ნაპრალია. წიწვებისაგან დარბილებულ მიწას მყარად ეყრდნობა და პიტალო კლდეზე ხტება. ხეობა ისე მოჩანს აქედან, თითქოს ხელისგულზე ედოს. რამდენჯერ ამოჰყოლია თხების ბილიკებს ამ კლდეზე, ამაზე მაღლაც ბევრჯერ ყოფილა მთაში, მაგრამ ასე შორს ვე-

რასოდეს ვერ იხედებოდა, როგორც ახლა, სიმაღლე კი არ ყოფილა მთავარი, არამედ რაღაც სხვა.

ლოდიანებიდან ამოფრინდა კაკაჩა და ანზორის თავზემოთ დაიწყო ტრიალი. ალბათ, ხეზე ბუდე აქვს. ფრინველი ისე ჩხაოდა, კატის კნავილი მოგაგონდებოდათ, ამ ჩხავილზე მეორე კაკაჩაც გამოჩნდა და ჩხავილ-ჩხავილით ორივემ ერთად დაიწყეს ფრიალი ჰაერში. ისე დაბლა იყვნენ, რომ ანზორი არჩევდა თვითეულ ბუმბულს მათ ფრთებზე, მუქი ზოლებით მოხაზულ მოკლე კუდს, ალისფერ მუცელთან შემოკეცილ ფეხებს. ანზორს შეუძლია ახტეს და კაკაჩების ბუდეს გაუსწორდეს.

ნეტავ, საიდან გაუჩნდა ასე უცებ ხტომის უნარი? იქნებ ყოველთვის შეეძლო ხტომა, მაგრამ არ იცოდა?

იქნებ სხვა ადამიანებსაც აქვთ ეს უნარი, მაგრამ ვერც კი ხვდებიან, ცხოვრობენ ისე, თვითონ რომ ცხოვრობდა აქამდე, რაღაცას ელიან, რას კი, არ იციან, უბრალო რამ სწადიათ, ძნელზე არ ფიქრობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ არსებობს გადაულახავი საზღვარი.

რით დაიწყო ყოველივე ეს, როგორ მოხდა? უბრალოდ... ძალიან მოუნდა ახტომა და ახტა კიდეც.

ანზორი დგას, სივრცეში იცქირება და ფიქრობს, დიდხანს ფიქრობს...

ქვემოთ, კლდისგან მარცხნივ, ქვები ყრია, ნასახლარი გეგონება. წინათ, აქ ხალხი ცხოვრობდა. ახლა მათი სახლების გამოფიტულ საძირკვლებზე ფიჭვები ამოსულა. გასულ ზაფხულს, უშანგიმ აქ გამხმარი ფიჭვი მოჭრა, ხე პირველი დარტყმისაგან წაიქცა და იმის ფესვებქვეშ მარანი გამოჩნდა, სამი დიდი ქვევრი მიწაში იჯდა. ორი მათგანი თავლია იყო, შიგ ათასგვარი ნაგავი ეყარა, მესამე, დახუფული, ღვინით იყო სავსე, მაგრამ ღვინო დასალევად აღარვარგოდა. უშანგის ქვევრების ამოთხრაში მამა ეხმარებოდა. მან თქვა: „ნეტა ვინ იყვნენ ის უბედურები, ღვინის დალევა რომ ვერ მოუსწრიათ?!".

ერთი ქვევრი უშანგიმ თავის მარანში ჩაფლო, დანარჩენი ორი სახლთან უყრია. სხვებს კი არ გაატანა. სოფელში ვენახი ცოტაა, მაგრამ რაც არი, ისიც დამწიფებას ვერ ასწრებს. სოფლელები ყურძნის წვენს შაქრიან წყალს უმატებენ, ჭაჭაზედაც აყენებენ შაქრიან ღვინოს. მამას ეს ცოდვად, მკრეხელობად მიაჩნია. ამბობს: „კაცი კაცია, ღვინო ღვინო უნდა იყოსო". ამაზე უშანგი ყვირის: „რაც ერი, ისე ბერიო. მე ყოველთვის სუფთა ღვინოს ვსვამ, მეზობლებსაც სუფთა ღვინოს ვასმევო". ტყუის უშანგი, თვითონაც აყენებს ღვინოს შაქარზე. ჰყიდის და სტუმრებსაც უმასპინძლდება.

ზემოდან მოჩანს — ძროხები ისევ გაიფანტნენ. ანზორი ძირს ჩამოხტება, ფეხს წვეტიან ქვას დაბიჯებს, მაგრამ ტკივილს ყურადღებას არ აქცევს. მიწას მოჩიჩქნის და ქვას ამოაძრობს. ქვა ბრტყელია, ზედ რაღაც ჩუქურთმაა ამოკვეთილი, ყურძნის მტევანს მოგაგონებს.

ჰეი თქვენ, ძველო ქვისმთლელებო და მეღვინეებო, მაღლა ფრენა თუ შეგეძლოთ? იქნებ იმათაც კი არ შეეძლოთ, იქნებ პირველია კაცთა შორის ვინც ეს შესძლო?

ანზორი ტყისკენ გარბის, ძროხებს ეწევა და ხევში მიერეკება. ყველა აქ არის? არა, ჭრელა არა ჩანს. მოწითალო ლაქა ბზინავს სადღაც წყაროს პირზე. ანზორი ძროხას წამოეწევა. ჭრელა ურჩებს, ზმუილით დაეშვება ქვემოთ, ბალახზე ფეხი მოუცურდება, ეცემა, წამოდგება და უკან ფეხებზე ჩამჯდარი ჩასრიალდება ნახირთან.

ძროხების მწყემსვაც სახალისო გახდა, ანზორი აღარაფერზე აღარ ფიქრობს. წითელ ყაყაჩოებით მოფენილ მინდორზე გარბის და ხტუნვას იწყებს. სიხარულისაგან ყვირის. აფრინდა, შეყოვნდა, დაეშვა. ისევ ახტა, სულიც არ მოუთქვამს, ისევ დაეშვა. ზემოთ მოსჩანს უშანგის და ერემოს სახლები. ძლიერი ბიძგი და, აჰა, გამოჩნდა სო-

ფელი, მტკვარი, ელექტრომატარებელი, ფანჯარასთან მომდგარი მგზავრები. აა, გზატკეცილი, ზანავიდან ვიღაც მოფრატუნებს, ავირით ექაჩება გაძვალტყავებულ ცხენს, ცალ თვალზე ლიბრი გადაჰკვრია... გადათელილ ყაყაჩოებში ჩამდგარი ანზორი მძიმედ სუნთქავს. ფეხები სასიამოვნო ტკივილისაგან უკანკალებს.

ენაძვირ გლეხებს არ უყვართ ლაპარაკი ბედნიერებაზე, ანზორს ეს სიტყვა არც დედისაგან გაუგონია, არც მამისაგან. მხოლოდ იმ წიგნებში იყო ლაპარაკი ბედნიერებაზე, რომელსაც ლიტერატურის მასწავლებელი ატანდა შინ. „ბედნიერი კაცი", „ახ, რა ბედნიერი ვარ", „ბედნიერებაა სიცოცხლე და შემოქმედება", — ეს სიტყვები არ აღელვებდნენ, მას არ ეხებოდნენ. არასოდეს უფიქრია, თუ რა არის ბედნიერება, რაში გამოიხატება, რამდენი რამ არსებობს შენგან დამოუკიდებლად, სადღაც შორს, სივრცეში. და უცებ თურმე ბედნიერება თვით შენშია. ბედნიერება ის არის, რომ მაღლა ხტები და შორს ხედავ, გაფართოვდება თვალსაწიერი, გული გიფანცქალებს, სიხარულს აუღელვებიხარ. ახლა გეჩვენება, რომ ყოველთვის იცოდი, რა არის ბედნიერება, იცოდი რომ მოვიდოდა, თუმცა ვერ გაგიგია საიდან მოვიდა და რატომ.

საიდანღაც ისმის ჭრიალი. წვრილ ვერხვის ხეს მოათრევს მინდორზე ერემო. სალი თვალი ანზორისკენ აქვს... ენამწარე კაცია უშანგი, ცალყურა რომ შეარქვა ერემოს. ანზორი სწრაფად დგამს რამოდენიმე ნაბიჯს და ჩერდება. დაე, მერე გაიგოს, ახლა არა, როცა ასე უზომოდ ბედნიერია. ანზორი ვითომ რაღაცას ეძებს, მიწაზე ჯდება. ერემო ჩუმად მოკელანობს. თვალს არ აშორებს, შეჩერდება, სახე ელრიცება, იცინის თუ? ხელს ჩაიქნევს და მიჩანჩალებს, შვინდის ხეებს ეფარება. მოჭრილი ვერხვის ტოტები მტვრიან შარაზე კვალს ტოვებენ.

ანზორი ზურგზე წვება. გრძელი, დაფლეთილი ღრუბლები დასავლეთისაკენ მიცურავენ. მათ შესახვედრად იისფერი ღრუბელი მოემართება. ღრუბელი მზეს ფარავს და ცალი გვერდით დათვის გორას ეყრდნობა. ჰაერი დაიხუთა. ანზორი თვალებს ხუჭავს. ეჰ, რამდენი წელი დაკარგა. როგორ გაახარებს დედას, მამას, პეპელა ბებიას, ლიზუნას. შინ რომ მივა, მეზობლებს შეყრის. არა, ჯერ მაღაზიაში გაიქცევა, ქალებს კამფეტებს უყიდის, სუფრას გააშლევინებს. და მაშინ ახტება, ყველანი გაოცებისაგან წამოიყვირებენ, მოეხვევიან, ის კი განუმარტავს: კაცმა მოინდომოს თორემ, რას არ იზამს... უეცრად ფრუტუნი მოესმა, სახეზე რაღაც სველი შეეხო. შეხტა შემკრთალი და ძროხის დრუნჩს შეასკდა. ჭრელა დგას და პირს ილოკავს. ფოთლებს, ქვებსა და ბალახს წვიმის წვეთები ეცემა წკაპუნით. ანზორი წამოხტება და ძროხებისაკენ გარბის, მაგრამ მათ თვითონ მოუნახავთ თავშესაფარი, ფერდობზე ამძვრალან და ნაძვებს შეფარებიან. ანზორი თავის ქუდსა და თოფრას მონახავს. ტევრიდან ულელი ხარი გამოძვრება, მორს მოათრევენ. ხარებს მამამისი მოერეკება:

— ო-ჰო-ჰო-ო!

ანზორი მირბის მისაშველებლად. წვიმამ უფრო მოუხშირა. მამა და ანზორი ხარებს უღლიდან გამოხსნიან და ნაძვებისკენ მიერეკებიან. თვითონაც შეეფარებიან ფართო და მკვრივ ტოტებს. მამა ჯდება, თავჩაღუნული ფეხზე იხდის, მოღიმარე ანზორი გვერდზე წვება, ფეხებს მოკეცავს და მამას შესცქერის.

ქარი ხმაურით არხევს ხეებს. სადღაც იელვებს და ისმის გამაყრუებელი ჭექა-ქუხილი. ისეთი თქეში მოდის, თითქოს წარღვნას აპირებდეს. ღვარცოფი ხევებში შეიჭრა. ღელე იმღვრევა, აღვართქაფებული მორებს და ლოდიანებს მოათრევს.

— ღვინოს სჯობია, — ამბობს მამა

და ფეხსაცმლიდან სილას და კენჭებს ყრის.

— რა?

— ჰაერი. სიცოცხლეა! ერემო ხომ არ დაგინახავს. ღვარმა არ წაიღოს. რა გაცინებს?

— ერემო უკვე შინ იქნება.

— ალალმართალი კაცია. წმინდანივით ცხოვრობს.

— ვითომ რათა?

— ავადმყოფობს, იტანჯება, მარტოა ამ ქვეყნად, მაგრამ თავისთვის არის, წყნარად, არ გაბოროტებულა, ყველასათვის სიკეთე უნდა.

მამის სახეზე ნაოჭები მოხშირებულან. ღაწვები ჩავარდნილი აქვს, ყურებზე კანი აქერცლია. უშანგიმ დაგპატიჟაო, ეუბნება ანზორი.

— სულ ჭამა-სმა იქნება? — ბუზღუნებს მამა, — საღამოს კიტრია მოსარწყავი, კარტოფილსაც მიწა უნდა მივაყაროო. რა წელიწადია! გაზაფხული ცივი იყო, წვიმიანი, ახლაც, დღე არ არის რომ არ გაწვიმდეს... არა, წელს პამიდორი არ იქნება. რა გაცინებს, ბიჭო?

ამდენის მოთმენა აღარ შეუძლია.

— მამა, მე თურმე ხტომა შემიძლია, მაღლა ახტომა!

მამა წინდაზე მიკრულ ბირკას იშორებს, ფეხსაცმელს იცვამს, ანზორს შესცქერის და გულკეთილად ეცინება.

— ეჰ, შვილო, რა დროს ხტუნაობაა, — მხარზე ხელს ადებს, — უშანგის ველაპარაკე, დამპირდა ჯუმბერისა და ლიზუნასათვის შენი ნაკვეთის ზემოთ გამოგიყოფ ადგილსო. სახლი უნდა დავუდგათ მაგათ. მერე შენთვისაც დავდგამთ.

— ვერ გამიგე, მამაჩემო, მე დავფრინავ. ყოველთვის მინდოდა აფრენა, მაგრამ ვერ ვახერხებდი... დღეს კი, უცებ... უყურე! — ანზორი წვიმაში გამოდის, ფესვიანად ამოთხრილი ხისაგან დატოვებულ ღრმულში დგება და იყურება, — ზემოთ იყურე, მამი!

მიწას მოსწყდება, წვიმის ნაკადს კვეთს, მაღლა აჭრილი ბურუსში ეხვევა, სუნთქვა ეკვრის. მამა მეყსეულად წამოხტება და ხელებგაშლილი გამოვარდება მინდორზე, რათა დაიჭიროს შვილი.

— გაიწი!

ანზორი თავს ძალას ატანს, გვერდზე გადაქანდება და ხევის მეორე ნაპირზე დახტება. მამას ხელები ჩამოუცვივა. ფერდაკარგული, შეშინებული იცქირება, ნაწვიმარი წყალი წურწურით ჩამოსდის სახეზე, გეგონება ტირისო. პირისპირ დგანან და ჩუმად შესცქერიან ერთმანეთს. ანზორიც შემკრთალია, მამის სახეზე შიშს რომ ამჩნევს.

წვიმა იკლებს, ქინქლავს, თითქოს შემოდგომა იყოს. ნაძვების კენწეროებიდან წამოსული წვეთები მიწას ტკაპანით ეცემა.

— ეს... რა ჰქენი? — ეკითხება მამა და მაღლა იხედება, სადაც შავი ღრუბელი მოჩანს.

ანზორი სულმოუთქმელად უყვება. მამა ულვაშს იწიწკნის, ყურს უგდებს, შეშფოთებული შეჰყურებს სახეში.

— ასე მოხდა, — ამთავრებს ანზორი, — გატეხილს ვეღარ გაამთელებ.

მამა დუმს, რაღაცას ფიქრობს. ანზორიც დუმს.

ღრუბელი ქედს მიღმა გადაძვრა და ხეობა განათდა. სადღაც კოდალა ხეს უკაკუნებს.

— გამორეკე ძროხები, — ეუბნება მამა.

ხარებს უღელში აბამენ, ანზორი ნახირს შეკრებს, ძროხებს დაითვლის, თან მამას შეჰყურებს, რომელიც ხარის სველ ზურგს უსვამს ხელს.

— კი მაგრამ.. — ეკითხება მამა,— ფეხები არ გეტკინა?

ანზორს ეცინება და რამდენჯერმე შეხტება. მამა თვალს აყოლებს. ზევითქვევით აქნევს თავს.

— კარგი, გეყოფა, აი, რა გითხრა, დედაშენს არ გაუმხილო, გული გაუსკდება, — უღლის თოკს ასწორებს და მტკიცედ ამბობს: — არავის არ უთხრა, მერე წინ მიდის.

დასვენებული ხარები მკვირცხლად

ეწევიან ჭაპანს, მორებს ტრიალ-ტრიალით მიათრევენ, ხარებს ძროხები მიყვებიან.

ეკლესიას რომ მიუახლოვდებიან, მამა განზე გადის, ანზორს ელოდება.

— ბიჭო, სიტყვა მომე, რომ არც არავის უჩვენებ და არც მოუყვები.

თვალებში ნაღველი ჩასდგომია.

— რათა, მამა?

— ასე აჯობებს...

— მე ხომ...

— ცხოვრება ისეა მოწყობილი, ანზორ, რაც უფრო მაღლა ხტება კაცი, მით უფრო მაგრა იმტვრევა. ზოგი ძლიერ ყოყოჩდება, მაგრამ დრო გადის და ისეთ თხლაშანს მოადენს, მისი კვალიც აღარ რჩება.

თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

— მე არ გავყოყოჩდები, მამი. მე სხვა რამე მჭირს.

როგორ აუხსნას ის ენით უთქმელი სიხარული, ცაში აფრენილს რომ ეუფლება, როცა წამით შეყოვნდება იქ, ზემოთ და თვალწინ გადაეშლება უნაპიროდ გაშლილი სივრცე.

ხარები და ძროხები ტყრუშულ ღობეს მიეფარებიან.

— ვერ გამიგია, როგორ, რათა... — ამბობს მამა, — რა აზრი აქვს ყოველივე ამას?

მაინც უნდა აუხსნას.

— მამაჩემო, მე ხომ ის გავაკეთე, რაც ძალიან მეწადა. იცი, ზემოდან რამდენი რამ მოჩანს?!.

მაგრამ მამა მაინც თავისას იძახის.

— ცხოვრება უფრო რთულია, ვიდრე შენა გგონია. ჩვენიანებს არ მოეწონებათ, შენ რომ ხტუნვა შეგიძლია. მოგერიდებიან, შეიძლება შეშურდეთ, შეგიძულონ კიდეც.

— რას ამბობ?! ყველას გაუხარდება. მე ხომ არავის არაფერს ვუშავებ.

— სიხარული და მწუხარება ერთმანეთის ძმებია. მე გთხოვ, ჯერ ნურავის ნუ ეტყვი...

— მამა!

— გეყოფა, მერე ვილაპარაკოთ. აგე, ძროხები სად წასულან!

ფეხს აუჩქარებენ, ნახირს მისდევენ.

შინ დაბრუნებულნი ნაჩქარევად სადილობენ, ორმოს აღრმავებენ, „ყველასუშველეს“ — მოიხმარებენ, ჩეჩმას ორმოზე დაადგამენ, ძველ ორმოში მორებს ყრიან და მიწით ავსებენ. „ყველას უშველე“ შინ მიდის.

საღამოს ბინდი წვება ჭალაში. მამას წყლისთვის კისერი შეუშვერია და იბანს. იქვე, ონკანის გვერდით, პირსახოცით ხელში დგას დედა და ხან ქმარს გასცქერის, ხან ანზორს. ანზორი თავისთვის მღერის.

— დღეს რა ვერ გაგიყვიათ, ეგრე გალუმპულნი რათ დაბრუნდით? — კითხულობს დედა.

მამა ანზორს გამოხედავს, აქაო და, სიტყვა არ დაგცდესო.

— აქეთ არ უწვიმია? ისეთმა თქეშმა მოგვისწრო გზაზე, რომ... მე უშანგისთან წავალ. შენ ანზორ, ბოსტანში ადი, კიტრი მორწყე, დიდხანს არ უწვიმია, მიწა ვერ გაძღა. მერე მოდი იქა. მე პავლეს გავუვლი.

მამა მიდის, დედა კითხულობს:

— რა მოუვიდა მამაშენს, ვინმეს ხომ არ წაეჩხუბა?

— არა, დედი, დაიღალა, ალბათ.

— რაღაცას მიმალავ.

ანზორს ეცინება, მხრებზე ხელს მოხვევს.

— ეჰ, დედაჩემო, სულ ეგრე იცი...

— შენ რაღაცა გიხარია, მამაშენი კი ვერ არის გუნებაზე.

— გეფიცები, არაფერი არ მომხდარა.

დედა სამზადისკენ მიდის. ვერ მოატყუებ. თბილისში რომ გაემგზავროს, თუნდაც მოსკოვში, ცხრა მთას იქეთ, დედა მაინც იგრძნობს დალხინებულია თუ გაჭირვებული მისი შვილი. შემოდგომაზე დედა ჯუმბერის გამო შეშფოთდა. დეპეშა გაუგზავნა. მერე ჯუმბერის დეპეშა მოვიდა, თურმე ფეხი დაიზიანა და ჰოსპიტალში წევს; ანზორს

დედის თვალზე ცრემლი არ ენახა, მამასთანაც არასოდეს მოსვლია ჩხუბი. მეზობლებიც ანგარიშს უწევენ მის სიტყვას. უშანგიც კი ხმადაბლა ელაპარაკება. მელანოს ცხონებული ქმარი, სანდრო რომ დათვრებოდა, ვირივით გაჯიუტდებოდა ხოლმე, არავის შეეძლო მისი მორჯულება. ერთ ზამთარს, გარდაცვალებამდე ცოტათი ადრე, დამთვრალიყო და ეზოში თოვლზე დაწოლილიყო. სასოწარკვეთილმა მელანომ დედასთან მოირბინა. ანზორიც გაჰყვა დედას. დედამ რაღაც უთხრა სანდროს, ის წამოდგა და მორჩილად წალასლასდა შინ. „ეგეთი რა უთხარი, რათ დაგიჯერა?“ — ჩააცივდა ანზორი დედას. დედამ წაუქიმუნჯა: „ეხლავე შინ გასწი, ასეთ ყინვაში ტიტლიკანა გამოსულხარ! სანდროსაც ეგ ვუთხარი, სახლში შედი, თორემ გაცივდები მეთქი“. ანზორმა არ დაუჯერა, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, ახლა ძმას მიადგა. „დედაჩვენს იმიტომ უჯერებენ, — თქვა ჯუმბერმა, — რომ კარგი ქალია, ტყუილუბრალოდ არავის აწყენინებს“. ამასაც განმარტება ჰქვია რაღა, ეს ხომ ანზორმა ისედაც იცოდა!

ანზორი თოხს იღებს და მიდის. მიდის და თავისთვის ღიღინებს. მდინარის შხუილი ისმის. გაუბზარავ სიჩუმეს მელანოს მწუხარე ძახილი არღვევს:

— ბიჭიკო-ო! ბიჭიკო-ო!

ამ ამაო ძახილის გარეშე ძნელი წარმოსადგენია სოფლის საღამო.

კოჭაძის სახლში სინათლე ანთია, აივანზე ფუსფუსია, მილიცა და მაკრინე სუფრას შლიან. უშანგი ცოლს უყვირის:

— მოდი და გაგზავნე დედაკაცი სტუმრის დასაპატიჟებლად! უთხარი, როდის მოვიდნენ? მაშ, რას იზლაზნებიან? ერემო სად არის? რა შორი გზა მაგას აქვს გამოსავლელი... ჰეი, ცალყურავ!

ერემო აივანზე გამოდის. მაგრამ ამ დროს უშანგი გზაზე მიმავალ ანზორს შეამჩნევს.

— ჰეი, მანდ რომელი ხარ? გაჩერდი!

ანზორი არ პასუხობს და ნაბიჯს უმატებს. ერთი წუთით რომ შეხვიდე უშანგის ეზოში, იქედან თავს ვერ დააღწევ.

ბოსტანი საყდრის ქვემოთ არის. ანზორმა კვალში წყალი შეუშვა, მერე კუნძზე ჩამოჯდა და წყლის რაკრაკს ყური მიუგდო.

ცაზე, თითქოს ვიღაც რიგრიგობით რთავს ჩამრაზს, თანდათანობით ინთება ვარსკვლავთა გუნდები. ტყიდან სოკოს და ნესტის სუნი გამოდის, ფეხები ექავება ისე, ცარიელ კარში დარტყმის წინ რომ ემართება ფეხბურთელს. ანზორი დგება, ღობეს გადააბიჯებს, ფეხებით ფრთხილად მოსინჯავს ბილიკს და მიყვება მას მაღლა, საყდრის ეზოსკენ, თან გულისფანცქალით შესცქერის ცას, რომელიც უზარმაზარი თასივით გადმომხმობია ქვეყანას. გეგონება ხელს ასწევ და ვარსკვლავებს მისწვდებიო.

ანზორი გამოქანდება და ხტება. ისევ მეორდება ყველაფერი! კრამიტით დახურული ეკლესიის გუმბათი და ქარისგან აშრიალებული ბნელი ხეები დაბლა მიფრინავენ. ეჩვენება, რომ ძალიან მაღლა აფრინდა, ალბათ, სიბნელის ბრალია. შორს, რომელიღაც ქალაქის სინათლეები ციმციმებენ.

ანზორი სწრაფად ეშვება, ფეხი უცურდება და ეცემა, რაღაცა სველი და ბლანტი ეწებება ხელზე. ვარსკვლავთა მკრთალ შუქზე ხედავს დაკლული საქონლის შიგნეულს, წვრილ-წვრილ ნაწლავებს. აშკარაა, რომ აქ ცოტა ხნის წინათ ბატკანი დაუკლავთ. უშანგი იქნებოდა. არ უნდა იქ მისვლა, მაგრამ მამა ელოდება. ბავშვობიდან ხედავდა, როგორ კლავდნენ ბატკნებს და ატყავებდნენ, თვითონ მოხმარებია სხვებს ცხვრისა და ძროხის, ან საახალწლო ღორის დაკვლაში, მაგრამ ახლა გული ერევა დალექერტებული სისხლის სუნისაგან. წყაროსთან მიდის, გულმოდგინედ იბანს ხელპირს, იწმენდს ტანსაცმელს, ფეხსაცმელს. აღარ ემღერება

სჯრა, რომ ერთი წუთის წინ, შორეული ქალაქის სინათლეები შეამჩნია.

ცოტა რომ შეშრა, ანზორმა წყალი მეზობლის ბოსტანში მიუშვა, და მერე უშანგის სახლისკენ გასწია. განათებული აივნიდან ჭურჭლის წკარუნი და სტუმრების ხმები ისმის. ანზორი ჭიშკარს შეაღებს. ლეკვი ყეფით გამოენთება და მერე სახლის უკან იმალება.

მილიცა სამზადიდან მორბის თეფშით ხელში, ანზორს შეეჩეხება — საკმაზისა და ხაშლამის სუნით გაჟღენთილა.

— სადა ხარ, შე უსინდისო? რამდენი ხანია გელოდები! თოხი დადე, საპონს და პირსახოცს მოგიტან.

— წყლით დავიბანე ხელები.

— სისუფთავისაგან არავინ მომკვდარა. იქეთ წადი, სულელო!

მილიცას ხმა რომ ესმის, გუნება ეცვლება. ასეა თუ ისე, ხომ ახლა წყლის მაღლა და შორეული სინათლეები დაინახა!

უშანგის ორი ოჯახი აქვს, ერთი აივანთან, მეორე — სამზად ქოხთან. ანზორი ქოხისკენ მიდის.

სახლიდან მაკრინე და მელანო გამოდიან. სადაც ქეიფია, მელანოც იქ არის, — საცივს აკეთებს, ხაჭაპურს აცხობს. განსაკუთრებით განთქმულია მელანოს ტოლმა. ეს კერძი სოფელში ომის შემდეგ შემოიღეს. შინ რომ ბრუნდება მელანო, ცოტა-ცოტა ყველაფერი მიაქვს ბიჭიკოსათვის.

მელანო დუდღუნებს:

— სად გაიქცა ეგ გონასახდელი? შემიკლა ხელში! არა და ისეთი ჭკვიანია! დირექტორმა მითხრა, ძალიან ნიჭიერი ბავშვიაო, მასწავლებლები არ გვივარგა, თორემ მაგას ორიანები როგორ უნდა ჰქონდესო? ინტერნატში სიამოვნებით მიიღებენო.

მილიცა ანზორს ეძახის:

— მოდი!

ანზორი ხელს იბანს. სამზადის უკან ბნელა. მილიცა პირსახოცს კასრზე ჩამოჰკიდებს, ხელებს მხრებზე დააწყობს და მისკენ მიიწევს. ანზორი ჰკოცნის ტუჩებში და ჩაჰხედავს სიბნელეში ნაკვერჩხალივით აციმციმებულ თვალებში. შესძლებს მილიცა ახტომას, რომ მოინდომოს? წვეწვამახულ ბალახის ღეროსავით არის, ასფალტსაც კი რომ ამოჰრის.

— რას მომჩერებიხარ? — ეკითხება მილიცა, — რას იკრიჭები?

— მალე რაღაცას გაიგებ.

მილიცა ისე ეკვრის, რომ ანზორი გრძნობს მის მკვრივ მკერდს.

— ეხლავე მითხარი, — ეხვეწება გოგო.

— ჯერ ადრეა.

— გინდა გამოვიცნო?

სამზადიდან მელანოს წვეტიანი ცხვირი გამოჩნდა.

მილიცა ანზორს ხელს კრავს.

— წადი აქედან, და ხელები ნუ წაგიგრძელდება.

ლოყაზე უჩქმეტს და დაბნეული, მელანოს წინ გაირბენს, რომელიც სამზადის კარებში გაჩხერილა.

ანზორი შედგება, იცდის. ისევ ღიღინებს თავის გულში.

„ ბიჭიკო არ დაგინახავს? — ეკითხება მელანო, — ფეხისგულები ემავება, თუ რა სჭირს ამ ბიჭს, ერთ ადგილზე რომ ვერ ჩერდება? — გულმოსული აქნევს თავს, მაგრამ მერე ხმა ურბილდება, თვალები უცინის. — მეც მიყვარდა სირბილი. ცხონებული სანდრო სულ ჯავრობდა, შინ რომ ვერ ვიცდიდი. ის დღე დაიქცეს, რელსზე რომ დაეძინა. მოსახვევი რომ არ ყოფილიყო, იქნებ მემანქანეს გაჩერება მოესწრო. —დანაღვლიანებული მელანო მაკრინეს მისჩერებია, მაკრინე ღვინოს ასხამს დოქში. მელანო დღეს პირველად ელაპარაკება ასე ანზორს, და ისიც უსმენს, სიტყვას არ აწყვეტინებს. უჭირს შვილის გაზრდა. ბოსტანში და ბაღში მეტს რომ შრომობდეს, იქნებ უკეთ ჰქონოდა საქმე, მაგრამ თხასავით დარბის სოფელში, ყველგან უნდა შეჰყოს თავისი გრძელი ცხვირი, ჭორაობა

სულს ურჩევნია. ზოგჯერ მელანო უცნაურ რამეს ჩაიდენს. როცა ჭრელა დაიკარგა, „ყველას უშველესაგან“ ფული აიღო, რადგან ის იყო მაშინ მენახირედ. იმ ფულით ახალი ძროხა იყიდა, ბევრად უკეთესი. როცა ჭრელა დაბრუნდა, ახალი ძროხა გაყიდა და ფული პავლეს დაუბრუნა. სოფელმა იფიქრა, გაგიჟდაო.

— ჭრელა რათ დატოვე, ის მეორე ძროხა ხომ ჭრელაზე მეტს იწველიდა? — ეკითხება ანზორი.

მოულოდნელ კითხვაზე მელანო შეცბა, წაილუღლუღა:

— ჭრელა? მართალია ის ახალი ძროხა უკეთესი იყო, თხუთმეტ ლიტრა რძეს იწველიდა, მაგრამ... ჭრელა უფრო მხიარულია, ანცია, დაუდგრომელი. ძროხა რამ გაგახსენა?

მაკრინე ოხრავს და ღვინოს ასხამს. მაკრინე ყოველთვის ოხრავს. უშანგი დასცინის: „ეს ჩემი დედაკაცი სულ წუწუნებს. დგება — წუწუნებს, წვება — წუწუნებს, ქორწილის დროსაც წუწუნებდა — ლოგინში ჩემთან დაწოლა ენანებოდა, მოლოგინების დროსაც წუწუნებდა, ბიჭი მინდა, გოგო მეყოლებაო“.

— ჭრელა რამ მოგაგონა? — ჩააცივდა მელანო ანზორს.

— შენი ჭრელა, შენა გგავს, — პასუხობს ანზორი, — ხტომაც სცოდნია, დღეს იმოდენა მორზე გადახტა, რომ გავკვირდი, დეიდაჩემო!

— ვინ არის შენი დეიდა? — გაალმასდა მელანო, — მე რა შენი დეიდა ვარ?

— ერთი ამას დამიხედეთ?! არ იცი რამდენი წლისა ვარ?

— იცის, იცის, — ოხრავს მაკრინე და ანზორს ღვინით სავსე დოქს აწვდის. ანზორი სახლისკენ მიდის. მელანო თან დაადევნებს:

— დამაცადე მე შენა, თუ მთელ სოფელში თავი არ მოგჭერი! შენც გამოგიჭერ რამეში!

— ყიყლიყო მოსულა — ყვირის უშანგი — სადა ხარ, უშენოდ ხალხი დავწყდით. თამადავ, ყიყლიყო დაგვეწიოს. ერემო, შე ძველო, დაუსხი ბიჭს ღვინო, ხელები არა გაქვს?! შაქრო, შე ზარმაცო, სამი ჭიქა აავსე, თორემ ერემო ვერა სწვდება.

შაქრო ჩაიწევს, ანზორი მის გვერდით ჯდება.

შუშაბანდში ჰაერი დახუთულია, თუმცა ფანჯრები ღიაა. ანზორი პირველად არის სტუმრად უშანგისთან, ამ ოჯახში პირველად დაპატიჟეს, მაგრამ ყველა სტუმარს იცნობს და იმასაც ამჩნევს, რომ უკვე ბევრი ღვინოა შესმული, წინასწარ იცის კიდევ რა სადღეგრძელოებს დალევენ, რა საჭმელებს შემოიტანენ სუფრაზე, მიუხედავად ამისა, თვით მისთვისვე აუხსნელი ინტერესით შესცქერის მოქეიფეებს, თითქოს პირველად ხედავდეს ამ ხალხს. რატომღაც ჰგონია, რომ დაინახავს იმას, რასაც წინათ ვერ ამჩნევდა, როგორც ვერ ამჩნევდა გვირილის დაკბილულ ფოთლებს.

მამა წარბშეკრული ზის ანზორის პირდაპირ, ერემოს გვერდით. „ყველას უშველეს“ წვრილ კისერზე დაყრდნობილი დიდი თავი ბაბუაწვერასავით მოჩანს მამის მეორე გვერდზე. პავლეს გვერდით ლევანი ზის, რომელიც თვალს უკრავს ანზორს. უშანგი ისევ გაკენწლავს ერემოს.

— გეყოფა, — ვეღარ ითმენს მამა, — სხვას ემასხრე.

— დღეს ჩემი დღეა, დამკვრელო! — ყვირის უშანგი.

„არა, ჩემი დღეა! — თავისთვის, მერე კი მთელი სოფლის გასაგონად ყვირის ანზორი, — დღეს ჩემი დღეა, ხალხნო!“

— შენ ჭკუას ნუ მასწავლი, — აგრძელებს უშანგი, — გამომიხედეთ რაოსაბჭოს თავმჯდომარე, ღმერთმა ის კარგად გვიმყოფოს! ერემომ თვითონ იცის... ჯერ მაგას შეხედეთ და მერე — მე. რომელია ჩვენში კაცი? — ყურისწამღებად როხროხებს უშანგი.

ერემოს ვითომ არ ესმის.

ირიბად სხედან ზვიადი და კაჭკაჭა. უშანგის ხელმარცხნით ანზორისთვის უცნობი, ჩამოსული სტუმრებია, ქალაქელებივით კოხტა კოსტუმებში გამოწყობილნი, ეტყობათ თანამდებობის პირები არიან. უშანგის დიდი ხანია რაიონულ ხელმძღვანელობაში უნდა გაეძვრეს, მაგრამ სულ ძველ ადგილზე ჰყავთ, კოლმეურნეებმა იმედი დაკარგეს, რომ ოდესმე თავიდან მოიშორებენ. როგორც „ყველას უშველე“ ამბობს, სასწაულები ქვეყანაზე არ ხდება.

სინამდვილეში კი სასწაულები ხდება. ანზორმა იცის ეს, მამამისმაც იცის. ანზორს ეჩვენება, რომ ყურებში ქარი უწივის და ვარსკვლავები თანდათან უახლოვდებიან. თავისდაუნებურად სიმღერას წამოიწყებს. შაქრო მუჯლუგუნს წაკრავს, გაჩუმდიო, და სამ ჭიქას აუვსებს.

— სადღეგრძელო თქვი, ბიჭო, და ცოტა-ცოტა დალიე, ჩვენ ვეღარ დაგეწევი, — ამბობს ის.

ორ ჭიქას ანზორი განზე გასწევს, მაგრამ უშანგის სუფრაზე შეუმჩნეველი არაფერი რჩება.

— ყიყლიყო, იცი ვის ოჯახში ხარ? ან სულ დალიე, ან წადი, ქალებს მიეხმარე.

— გამოუშვი, მამა, ჩვენთან, — კივის კარში მდგარი მილიცა, — წინსაფარს გავუკეთებთ.

— შარვალსაც ჩახდით? — როხროხებს უშანგი.

თითქოს წკეპლა გადაუჭირესო, კარს მოსწყდება მილიცა. ნასმურევი სტუმრები ხარხარებენ. ანზორის მამა იღუშება, არ უყვარს ასეთი მასხრობა, მით უმეტეს, ოჯახში. რად აუბა მილიცამ მამამისს მხარი? წინსაფარს გავუკეთებთო? ნუთუ მაგასაც ჰგონია, რომ თუ ხარივით არა სვამს ღვინოს კაცი, ის კაცი არ არის? არ დალევს, ნამდვილად არ დალევს. უკვე ხვდება, რატომ დაპატიჟა უშანგიმ დღეს სოფლის ბიჭები, ჩამოსულ სტუმრებს უნდა აჩვენოს, ყველასთან კარგად ვარ, სულგრძელი კაცი ვარო.

გაჭიანურებაც უხერხულია. ანზორი წამოდგება, სადღეგრძელოს ამბობს და ბოლომდე ცლის ჭიქას. უშანგი მას აღარ უყურებს. ანზორი მამის მოუსვენარ მზერას წააწყდება, ჯდება და უშანგის გახედავს, რომელიც თამადას აუჭინჯყლდა, შემდეგი სადღეგრძელო ლუდის ტოლჩებით დავლიოთო. მცირე კამათის შემდეგ, თამადა დაყვა მასპინძლის ნებას. ალბათ, ასე ითრევენ ადამიანს გარემოებანი, ჯერ ხათრით თმობენ, მერე ძალას ემორჩილებიან, არ სურთ საქმის გამწვავება, აყალმაყალი, არ უნდათ ვინმეს აწყენინონ, მერე ვერც კი ამჩნევენ, ისე ეჩვევიან დათმობას და ბოლოს მთვარეულებივით დაბორიალობენ ამ ცხოვრებაში. „არაფრის გულისთვის არ დავლევ“, — გადაწყვეტს ანზორი და კარის წირთხლს მიყრდნობილ, გაღიმებულ მილიცას უყურებს. ღიმილს გაუპია მისი ალუბლისფერი ტუჩები. თეთრი კბილები ელავენ, ჩაფიქრებული მილიცა თითზე თმას იხვევს. თავის ოცნებაში ანზორი ეხვევა მილიცას და მასთან ერთად მიფრინავს მაღლა, ნესტიანი ღრუბლებისაკენ...

— იცოცხლე ას წელიწადს, შვილო, — ეუბნება შაქრო, ხომ იცი...

— ვიცი, ძია შაქრო!

— როგორც კი დავბრუნდი, პირველად თქვენ ოჯახში შემოვდგი ფეხი, შენი ნახვა მინდოდა.

— მახსოვს, ძია შაქრო!

ის, რასაც შაქრო იხსენებს, მრავალ წელს ახსენდებოდა და ესიზმრებოდა კიდეც ანზორს, ყვირილით და ტირილით წამოაგდებდა ხოლმე, მაგრამ ახლა სამუდამოდ სურს დაივიწყოს დიდი ხნის წინანდელი ამბავი.

მაკრინე და მელანო თეფშებს უცვლიან სტუმრებს, შემოაქვთ კომბოსტოს მწნილი, ჯონჯოლი და მჟავე კიტრი.

ვიღაც დაჟინებით შესცქერის ან-

ზორს თვალებში. ერემოა. ნეტა რა უნდა?

—მე არ ვიყავი დამნაშავე, შვილო, იცოდე, — ეუბნება შაქრო.

— ვიცი, ძია შაქრო, გეყოფა.

ანზორი ჩაიწევს და თვალს მოავლებს სუფრასთან მსხდომთ. „ყველას უშველე" ხაშლამას შეექცევა,კაჭკაჭაც რაღაცას ღეჭავს, ძვალსა ხრავს, ლევანი და ზვიადი ქათმის ბარკალს ძიძგნიან. ინტერესით უყურებს ყველას. ნუთუ ამ ხალხს უნდა შეშურდეს მისი უნარი, ამათ უნდა აქციონ ზურგი და შეიძულონ? თვითონ რას იზამდა ზვიადს, ან კაჭკაჭას რომ შეეძლოთ ხტომა? არა, არც შეშურდებოდა და არც დაიბოღმებოდა. მაგრამ იქნებ, თვითონ სხვა კაცია?

შაქრო ისევ რაღაცას ეუბნება, ანზორი უხეშად პასუხობს.

—ყიყლიყო, ისევ შენა ყბედობ!— ღრიალებს უშანგი, — ღვინო შესვი, დროა დედის რძეს გადაეჩვიო.

ანზორი თითქოს ქვებზე დაეცა და რაღაც იტკინაო, გამწარებული ყვირის:

— შენ, მგონი, იცი, ჩემი სახელი! მე მამალი არა ვარ!

ყველანი მისკენ მობრუნდებიან.

მოულოდნელობისაგან უშანგის ენა ჩაუვარდება, თვალებში სისხლი მოაწვება, უყურებს ანზორს, ხმას დაუწევს და მუქარით ეუბნება:

—შენ ჯერ ყვინჩილა ხარ! თუ უფროსებთან ყვილს გაბედავ, გაგპუტავ და ტიტველს გაგაგდებ გარეთ. გაიგე?

ვიღაც ხარხარებს. მამა ხელით ანიშნებს ანზორს გაჩუმდიო. შაქრო სახელოზე ექაჩება:

— გაგიჟდი, ბიჭო!?

—არ უნდოდა, უშანგი, დაუფიქრებლად მოუვიდა, — ამბობს „ყველას უშველე", — შემთხვევით წამოსცდა. ღვინის ბრალია, მაგარი ღვინოა.

— ღვინო ღვინოა, მაგრამ... — უშანგი ჩამოსულ სტუმრებს შეავლებს თვალს და ღიმილად გაიბადრება. — ყიყლიყოვ, ყოჩაღ თავს რომ არავის აჩაგვრინებ. აი, ეს მომწონს. თამადა, აბა, ქესტრად ახალგაზრდებისა. ჩვენი ბიჭები შრომაშიც მაგრები არიან და ლხინშიც. ასეთებად აღვზარდეთ, მაშა?!

ვინ შეედრება უშანგის! თითქოს ფეხბურთის მსაჯი იყოს, წამსვე გააგდო ანზორი მინდვრიდან. ანზორმა რომ ვირივით გაქირი გასწიოს, ყველას სამასხრო გახდება.

კართან მდგარი მილიცა ანზორს შესცქერის და მგონი, ეცინება. იცინოს, ვისაც უნდა იცინოს, ანზორმა ხომ იცის ვინ არის ამ სუფრაზე მართლა ვირი?

ზვიადი, ლევანი და კაჭკაჭა დგებიან, ანზორიც დგება და ამჩნევს, რომ ერემოს პურის ნაჭერი დაუმრგვალებია და უცნაურად შესცქერის. ანზორი ზვიადს თავს უკრავს, მადლობა მოახსენე სტუმრებსო, და ჩუმად ჯდება. ერემო ახლა უშანგის მისჩერებია.

ანზორი უშანგის მზერას წააწყდება, მას თვალები ბოროტად უბრწყინავს. უშანგი ღვარძლიანი კაცია. იყოს, ანზორს ვერაფერს დააკლებს! რატომ უთმენენ ამდენი წელიწადია უშანგის, რატომ იტანენ მის ყვირილს. იმიტომ რომ თავმჯდომარეა? თუ გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ უშანგისთან ბრძოლას აზრი არა აქვს? უშანგი ყველას ერთად არასოდეს თავს არ ესხმის. ჯერ ერთს მიადგება, მერე მეორეს მოწამლავს, ხალხს ერთმანეთს გადაკიდებს, ამას ისე მოხერხებულად აკეთებს, რომ მერე ყველანი გაკვირვებული დგანან და კეფას იფხანენ, როგორ მოხდა, რომ საწყალ გუჯას, ამ ღვთის პირიდან დაწყევლილთან ერთად, თავს დავესხითო. უშანგიმ ზომაც იცის, ზოგს მთლად თავს ლაფს დაასხამს, ზოგს, ანზორის მამისნაირს, დამცინავი სახელით გაქირდავს, ზოგს ზედმეტ სიტყვას ვერ უბედავს. ყველაზე მეტად შაქრო და ერემო სძულს. გულკეთილ „ყველას უშველეს" კაცა-

დაც არ აგდებს. „ყველას უშველეს“ გადახედავს ანზორი და ამჩნევს, მოხუცი კმაყოფილია, ანზორმა უშანგის სიტყვა რომ შეუბრუნა. კმაყოფილი იქნება, მაშ არა?

შარშან ზვიადმა უშანგის შეუკურთხა და ერთი კვირის შემდეგ გამგეობამ „ყველას უშველეს“ ნაკვეთი ჩამოართვა ტყეში, რომელსაც ის შვილებთან ერთად ამუშავებდა.

კანონიერ საფუძველზე ჩამოართვა, ნახევარ ჰექტარზე მეტი კოლმეურნეს არ ეკუთვნის, მაგრამ სოფელში ყველას ჰქონდა ზედმეტი ნაკვეთი, გამგეობა კი ამაზე თვალს ხუჭავდა.

უშანგიმ იცოდა, რომ „ყველას უშველე“ ჩივილს არ დაიწყებდა და არც მეზობლებს დააბეზღებდა. გაზაფხულზე „ყველას უშველე“ იძულებული გახდა უშანგისთან თხოვნით მისულიყო. მან ისევ მიიღო ნაკვეთი ტყეში, მართალია, ცოტა უფრო მოშორებით, მაგრამ ამისათვის ზვიადთან და ლევანთან ერთად უშანგის ბოსტანი დაუბარა და კიდევ რაღაც პატივი სცა.

ყველას ეზიზღება უშანგი, მაგრამ ყველანი ეწვივნენ დღეს, ღვინოსაც კარგად სვამენ და ბატკანსაც კარგად მიირთმევენ. მამამისიც მოვიდა, ჭამს, სვამს, თუმცა შუბლი არ გაუხსნია. თვითონ ანზორიც არ ამდგარა და არ წასულა, ზის და სხვებს კილავს. რის გულისთვის დარჩა, მამის გამო, მილიცას გამო თუ იმიტომ, რომ უშანგი— უშანგია? ისევ და ისევ შესცქერის ანზორი თავის თანასოფლელებს. მაღლა რომ ახტე, ძალიან უნდა მოინდომო, შესძლებენ ესენი რისამე ძლიერ მოწადინებას, როცა სულ მუდამ იხშობენ გრძნობებს და აღშფოთებას?

ვერ შეძლებენ, არცერთი ამათგან მაღლა ამხტომი არ არის.

მხოლოდ მან შეძლო მარტო.

ეტყობა, მამა მართალია, ჯერ ამათ არ უნდა გაუმხილოს. იქნებ, მაინც გაუმხილოს? აზრები ეწეწება თავში, ვერ გაუგია რა არის კარგი და რა ცუდი.

— ჰეი, შაქრო, შენ გელოდებიან! — ყვირის უშანგი, — დალევა რომ შენი გულისთვის მატარებელი დგას. არ გეყოფა ერთი რომ დალიო, შენთან არიან ალავერდს.

შაქრო მაგიდას ხელს ჩაავლებს, წამოდგება, სადღეგრძელოს იმეორებს, სვამს ღვინოს, ეშვება სკამზე და თითქოს რცხვენია, ანზორს თვალს არიდებს.

ერემომ პურის გორგოლა მაგიდაზე დააგდო. გორგოლა შეხტა. ერემო გორგოლას აგდებს და იჭერს, აგდებს და იჭერს, ანზორს გამოხედავს, ჩაიცინებს, ისევ აგდებს. ეტყობა ამასაც დაუნახავს.

— დაიჭი! — ეუბნება ერემო, გორგოლას გადმოუგდებს და თვალსაც მოარიდებს.

კიდევ ერთმა კაცმა იცის. რა ჰქნას ახლა? შუბი ხალთაში არ დაიმალება.

მაკრინეს და მილიცას მოხარშული ხორცი შემოაქვთ ლანგრით.

— ბატკანი მოვიდა! — ყვირის უშანგი, — თამადა, შენ სკამზე ხომ არ მიგაბეს?

— ეს ბატკანია? — „ყველას უშველე“ მოზრდილ ძვალს აქნევს, — კაი ბებერი ცხვარია!

— ბატკანია, ჰო, ცოტა მოზრდილი იყო, — როხროხებს უშანგი, — ცალი თვალი არა ჰქონდა და თუმანი დავაკლებინე.

ერემო ხელს გაიწვდის, სინიდან ნეკნის ძვალს აიღებს და აუჩქარებლად წუწნის. ერემოც დუმს, თუმცა რა აქვს დასაკარგი?

ყველანი სვამენ. კაჭკაჭა ჯერ პირში იგუბებს და მერე ყლაპავს, ლევანი არაყსავით უცბად გადაკრავს ღვინოს, ზვიადი, ჰიქას არც ავსებს და არც ბოლომდე ცლის, არ უნდა სიმთვრალე შეეტყოს. კაი ბიჭები არიან, მაგრამ გულს მაგათაც ვერ გადაუშლი გულის კუნჭული ყოველთვის დაკეტილია. ალბათ, ყველა ადამიანი ეგრეა, ყველას აქლია გულახდილობა. სიცილი და

ხუმრობა — მიღებულია, გულახდილობა სირცხვილად ითვლება, ყველას არც ეხერხება. რომ იცოდეს მომავალში რა ელოდება, მაშინ თავის თავად გადაწყდებოდა, მოეყოლა თუ გაჩუმებულიყო.

თამადა ომში დაღუპულთა და ომის მონაწილეთა სადღეგრძელოს სვამს.

— სამარადისო ხსოვნა იყოს! — ყვირის უშანგი, — სამართლიანი ომი იყო, სამამულო...

ერემო მაგიდაზე ძვალს აგდებს. დავსებული თვალიდან ლოყაზე ცრემლი ჩამოუცურდება. ნელა დგება, თითქოს მძიმე ტომარას სწევსო, გრძელ ხელს გაშლის, ჭიქას თითებს ისე მაგრა უჭერს, რომ სახსრები უთეთრდება, თითქოს სალი თვალით უშანგი ამოუღია მიზანში.

— გარდასულ ომზე ყბედობა ყველას შეუძლია, — გრგვინავს მისი ბანი, სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდება, — ჩემს ამხანაგებს გაუმარჯოს! ნამდვილი კაცები იყვნენ. — ერემო ჭიქას ხრის და რამდენიმე წვეთს პურზე აქცევს. ერთი ყლუპით სვამს ღვინოს, თავს გააქანებს, ჯდება და უმატებს: — ზოგი უჩუმრად კვდება, მაგრამ სახელოვნად, ზოგი უსახელოდ ცხოვრობს, მაგრამ ქვეყანას აყრუებს.

— სწორია, — ამბობს მამა და ანზორს შესცქერის, — კარგად ის ცხოვრობს, ვისაც სიკვდილის მერე კეთილად მოიგონებენ.

უშანგი ჩაიცინებს, ერემოს გახედავს.

— ოქროს სიტყვები ითქვა, მაგრამ ფუტურო თავში წარმოიშვა ეგ სიტყვები. ქალებო, ღვინო!

ანზორმა ომის შესახებ მხოლოდ ის იცის, რაც ფილმებში უნახავს, და რაც ძველი მეომრებისაგან გაუგონია. კინოფილმებისა და მონაყოლების მიხედვით ომი არც ისე საშინელი ჩანს, ქვეყანაზე ერემო რომ არ იყოს. მისი დასახიჩრებული სხეული შემზარავ შიშს იწვევს ანზორის სულში, ისეთსავე შიშს, როგორც შაქროს საუბრები და აქედან გამოწვეული მოგონებები.

მამაკაცები ფეხზე დგებიან და სათითაოდ სვამენ ომში დაღუპულთა და გადარჩენილთა სადღეგრძელოს. თუმცა სტუმართაგან ზოგიერთები ფრონტზე ნამყოფები არიან, მაინც ყველანი ერემოს შესცქერიან და ჭიქას უჭახუნებენ. ადგილი არავის შეუცვლია, მაგრამ ანზორი ამჩნევს, რომ ყველანი სცილდებიან უშანგის და ერემოსკენ მიიწევენ.

უშანგი ჩაიხითხითებს და დაბოლმილი მოითხოვს:

— თამადავ, იმღერე!

თამადა ჩაახველებს და წამოიწყებს:

პატარა გლეხის ბიჭი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია...

სიმღერა არ ეწყობა, თამადას ორიოდე კაცი აყვა, ახალგაზრდებმა სულაც არ იციან ეს ძველი სიმღერა.

— ძია შაქრო, — ეკითხება ანზორი, — უშანგი და ერემო ტოლები არიან?

— ტოლები არიან. სკოლაში ერთად სწავლობდნენ. ერემო კარგი ბიჭი იყო. — შაქრო ანზორის ყურთან იხრება. — ომამდე ერთმანეთში რაღაც მოუვიდათ, უშანგის საცოლის გულისთვის.

— მაკრინეს გულისთვის?

— არა, სხვა იყო. როდისმე მოგიყვები.

— უშანგი ომში იყო, ძია შაქრო?

— არა მაგასაც ჩემსავით ჯავშანი ჰქონდა.

ერემოს, მამის, „ყველას უშველეს“, ლევანის სახეები თითქოს ბურუსშია გახვეული. ჭერზე ჩამოკიდებული ნავთურის მქრქალი შუქი თანდათან ქრება.

— ქალებო, სად დაიკარგეთ? ლამფა მოიტანეთ! ყვირის უშანგი.

. შაქრო ჯიბის ფანარს იღებს, ანთებს და მაგიდაზე დებს, თეთრი სხივი ჭერს შეასკდება.

— თურმე შენგანაც შეიძლება, შაქ-

რო ხეირის ნახვა! — გაიძახის უშანგი. — სად არის ლამფა?

— ეხლავე, მამა, — ისმის მილიცას ხმა, — ნავთს ვასხამთ.

— თამადავ, შენი ენა უელექტრონოდ ვერ მუშაობს? ლამფა, თქვე ზლაზნიებო!

ვიღაც მხიარულად გაიძახის:

— სინათლე მოგვეცით, სინათლე!

— გეყოფათ! — ყვირის უშანგი. — ათქმევინეთ თამადას სიტყვა!

მაგრამ სტუმრები ყურს არ უგდებენ. მაგიდაზე აბრახუნებენ.

— სინათლე მაიტა, სინათლე!

ანზორს მოსწონს ეს თამაში და ისიც აყვება სხვებს.

— გეყოფათ კაცო, მაგიდა არ ჩაამტვრიოთ! — ნაწყენი კილოთი ამბობს შაქრო, — ეხლა მაგრები ხართ, ლამფას რომ, მოიტანენ, პირში ენა ჩაგივარდებათ.

ნეტა ერემოც აბრახუნებს? ანზორი წყვდიადს ჩასჩერებია, თვალები მიეჩვია სიბნელეს. ერემო გაუნძრევლად ზის, თავი უკან გადაუწევია, პირი მოღრეცია. ეცინება ამათ ყვირილზე, თუ რაშია საქმე?

ვიღაცა ანზორს მხარზე ხელს ადებს. ხელს, ცხვრის ქონისა და საკმაზის სუნი სდის, ანზორის სახეს ნაზი ლოყა შეეხება, ზურგით გრძნობს ქალის მკვრივ მკერდს. მილიცა! სეირი მაშინ ნახე, თუ უცებ აინთო სინათლე! ანზორი თავს მოაბრუნებს, რომ ლოყაზე აკოცოს, მაგრამ გოგო სახეს მოარიდებს და ეკითხება:

— ტყემალი მოგიტანო? გასინჯე ბატკნის ხორცი.

— არ მიყვარს ბატკანი.

— რამდენი ხანია? — გარბის მილიცა.

— ხომ იცი, ბიჭო, კანონმა გამამართლა, თუმცა გვიან. — უკვე მერამდენედ იწყებს თავისას შაქრო.

ხმები მიყუჩდა. მილიცას ეზოდან ლამფა მოაქვს, ლამფის შუქი სახეს უნათებს. ფანჯარასთან მოვა და ერემოს გაუწვდის ლამფას. ერემო ჩამოართმევს ლამფას და მაგიდაზე დგამს. მილიცა ანზორს შეათვალიერებს და გაუჩინარდება.

სუფრა ისევ ხმაურობს. რა გაუთავებელი ღრეობაა. ანზორს სული ეხუთება, შუბლზე ოფლს ასხამს, ზურგი დაუსველდა. უნდა ადგეს და გავიდეს.

ანზორი მამას შეხედავს.

— რა იყო, ანზორ?

— მივდივარ.

— წადი. მე ცოტახანს დავრჩები. შინ მიდიხარ?

— ჰო.

— „ერთიც ვნახოთ, — ფიქრობს ანზორი, — ხვალ გამეღვიძა და არ შემიძლია ხტომა, თუ ეს უნარი ერთი დღით მებოძა? ხომ არსებობს განუმეორებელი დღეები. როგორც დაბადების დღე, ან სიკვდილის დღე? იქნებ სხვებსაც მოსვლიათ ასეთი რამ, მაგრამ არავისთვის გაუმხელიათ, რადგან ეშინოდათ, არ დამიჯერებენო. ანდა დაკარგულს ელოდნენ, ელოდნენ იმ დღეს, როცა კვლავ შესძლებდნენ აფრენას? თუ ეს ასეა, მაშინ დღევანდელი ზღაპრული დღე ჯობდა სულ არ დამდგარიყო!“

ის სუფრას ტოვებს.

— ყიყლიყო! — ყვირის უშანგი.

ანზორი პასუხს არ სცემს.

— ახლავე მოვა, — ანზორის მაგივრად პასუხობს მამა მისი.

ეზოში ბნელა, გრილა. მაკრინე, მელანო და მილიცა კუნძის ირგვლივ სხედან გაბრდღვიალებულ სამზადში. კუნძზე ღვინიანი კოკა და სანოვაგიანი თეფშები აწყვია. მელანოს თვალები გადმოუკარკლავს, ლოყები გაღაჟღაჟებია, გრძელი ცხვირი და ნიკაპი, ლამის ერთმანეთს წაეჯახოს. მაკრინეს სქელი ლოყები ალანძვია. ვიწრო მხრებიანი, განიერ თეძოებიანი, სქელფეხება მაკრინე ტიკს წაავავს, რომლიდანაც ცოტა ღვინო გადმოუსხამთ.

მაკრინე ოხვრით უსმენს მელანოს ყბედობას:

— თვითონ დირექტორმა მითხრა, — შენი ბიჭიკო ყველაზე ნიჭიერია, ყველას ჯობია სკოლაში, უმაღლესში ულაპარაკოდ მიიღებენო..

მილიცა გასაფრენად მომზადებული ჩიტივით ზის, ანზორს აღარ უნდა მისი კოცნა, ის ეხლა მხოლოდ ერთზე ფიქრობს, როგორმე გააღწიოს აქედან. ეკლესიასთან ან სხვა ადგილას, სადმე შეამოწმოს მართლა შეუძლია ახტომა, თუ დღევანდელი დღე სიზმარი იყო.

ფეხის ხმის გაგონებაზე, მილიცა წამოხტება.

— შენა ხარ ანზორ? სად მიდიხარ?

მაკრინე კაბის კალთაზე ექაჩება.

—დაჯექი, იქნებ სად მიდის ბიჭი!

მილიცა უხალისოდ ჯდება. მელანო ყურში რაღაცას ეჩურჩულება, მილიცა წამოწითლდება და ჩაიკისკისებს.

— შეჩვენებულო, გოგოს ნუ მიფუჭებ, ისედაც დასაბმელია. — ამბობს მაკრინე.

ანზორი ჭიშკრისკენ გაუხვევს, უკან ჩქარი ნაბიჯი ისმის.

— მიდიხარ, უსვინდისო? ქუდი დაგავიწყდა.

მილიცა სხვის ქუდს თავზე ჩამოაფხატებს და მკერდით მიეკვრება, კოცნის. ანზორი ქუდს უბრუნებს და უკან იხევს. მილიცა წაიბორძიკებს და გაოცებული შეჰყურებს — რა დაემართა?

* * *

ანზორი პატარაა, სტუმრად არის სოფელში, ბებიასთან და ბაბუასთან.

ბებია აღვიძებს.

— ადე, შვილო, ნახე, ვინ ჩამოვიდა.

მაგიდას მამა უზის, ახალი კოსტუმი აცვია და ცისფერი პერანგი, დედასაც საგარეო ხავერდის კაბა ჩაუცვამს. ანზორი გახარებული წამოხტება.

— დახე, როგორ გაეხარდა, ჩვენ კი არ ვეცოდებით, ისევ მარტო [illegible] უნდა დავრჩეთ, — ბუზღუნებს პაპა.

— თქვენც... თქვენც წამოდით ჩვენთან, — გამოსავალს პოულობს ანზორი.

— შვილიშვილისა მაინც გაიგონეთ, მამა, — ამბობს ანზორის დედა, — ერთხელ მაინც ჩამოდით.

— სახლკარი ვიღას დავუტოვო? — ამბობს პაპა და ბებიასკენ გაიქნევს თავს, — თუ გინდა ეს დედაკაცი წაიყვანეთ, უმაგისოდაც მოვუვლი ოჯახს. — პაპა პატარა ტანის, ძარღვიანი, მოძრავი მოხუცია, ბებია ქმარზე მთელი თავით მაღალია, ანზორის დედა სახით ბებიასა ჰგავს.

— მოუვლი მაშ? — ბებია სუფრას აწყობს, — მე რომ შინა ვარ მაშინაც ვერ უვლი, მე რომ არ ვიყო...

ანზორი იცინის. ბებიასა და ბაბუას მთელი დღე შეუძლიათ კინკლაობა, ოღონდ მსმენელი ჰყავდეთ. ამ ზაფხულს რა არ უთხრეს შვილიშვილს ერთმანეთზე.

საუზმის შემდეგ მამა და პაპა ვენახში მიდიან, დედას ანზორი რკინიგზის ბაქანზე მიჰყავს, ბებიამ თქვა, იქ, ფარდულში კარგი სასკოლო ჩანთები იყიდებაო. ანზორს ბებია ისეთ ტკიცინა მანეთიანებს ჩრის, გაუთოებული გეგონება.

— ჩვენ სახელზე იყიდე. შვილო, ჩანთა...

— დედი, რა საჭიროა...

— პირველად მიდის ჩემი შვილიშვილი სკოლაში, — აწყვეტინებს ანზორის დედას ბებია, — რა მოხდება ჩანთა რომ ვუყიდო, ხომ არ დავიქცევი?

ანზორი და დედამისი სადგურისაკენ მიჰყვებიან ვიწრო ბილიკს. დედა ფეხშიშველა მიდის, წვრილქუსლიანი ლაკის ფეხსაცმელები იღლიაში ამოიდო. რკინიგზას რომ მიუახლოვდნენ, გუბეში ფეხები დაიბანა [illegible]

ჩაიცვა. მდინარეზე გაბმულ ბონდის ხიდზე გადაიარეს.

მათ შესახვედრად, ტანის რხევით მოდის ვიღაც მამაკაცის მსგავსი ქალი.

ანზორი გაკვირვებული შეჰყურებს ამ ქალის თმიან ლოყებს და ნიკაპს.

— მარო! — გახარებული შეჰყვირებს დედა.

— ამას ვის ვხედავ! როდის ჩამოხვედი! ეს შენი ბიჭია?

ანზორი დედას კაბაზე ექაჩება. დედა თავს უკრავს.

— მოვდივარ, მოვდივარ... მარო შემოიარე ჩვენსა, თორემ ამ საღამოს მივდივარ.

რკინიგზის ლიანდაგებს მაზუთის, ფისის და მარილის სუნი სდის. მარილისა იმიტომ, რომ შპალებს შორის ზღვიდან ჩამოტანილ ხრეშსა და სილას ყრიან. სილაში ბევრი ნიჟარებია. ფარდული ჯერ არ გაუღიათ. დედა სკამზე ჯდება, ანზორი ბაქნიდან ლიანდაგებზე ხტება, სილაში იქექება, ნიჟარას პოულობს და დედას უჩვენებს.

— ნახე!

ბაქანზე ხალხი გროვდება. სადგურის შენობის ქვემოთ ისარია. როცა ზემოდან მომავალი მატარებელი სადგურს უახლოვდება, ისარს ჩიხისკენ გადასწევენ, რომელიც მთისკენ მიდის. თუ უღელტეხილიდან ქვემოთ მომავალმა მატარებელმა დამუხრუჭება ვერ მოახერხა, მაშინ იგი ჩიხში შევარდება და თავისთავად გაჩერდება.

— მოდი აქ, ანზორ! — ეძახის დედა.

— მოიცა, დედა, ნახე რა ლამაზი ნიჟარა ვიპოვე.

წითელქუდიანი მორიგე სადგურის ზარს რეკავს.

— ანზორ!

ანზორი სასწრაფოდ იქექება სილაში და პატარა გამხმარ კიბორჩხალას ამოათრევს.

— ვა, ეს რა არის?

წითელქუდიანი მორიგე ყვირის. მეორე რკინიგზელი ისრისკენ გარბის. დედა მაგრა ჩასჭიდებს ხელს ანზორს და ბაქანზე აათრევს. ანზორი წუწუნებს.

— იქ კიდევ იყო ასეთი კიბორჩხალა...

უღელტეხილის მხრიდან ისმის გუგუნი, რომელიც სულ უფრო და უფრო მატულობს. დედა მაგრა უჭერს ანზორს ხელს. ანზორი პრიალა რელსებს გასცქერის, რომელზედაც საშინელი კივილით მოჰქრის მატარებელი. ფანჯარაში მოჩანს ძია შაქროს გაფითრებული სახე. მეორე ლოკომოტივი. ცისტერნები. ბაქნებზე ხალხი დგას. ყვირიან: „გვიშველეთ!“ — ვიღაც გადმოხტება, რკინის ბოძს შეასკდება და თავგაჩეხილი პერონზე გაიშხლართება. მიჰქრიან ცისტერნები. ლოკომოტივი ჩიხში შევარდება, გამაყრუებელი ხმაურით ასცდება ლიანდაგებს და მთავარ ხაზზე ვარდება. ცისტერნები ერთმანეთს ეჯახებიან. გაისმის აფეთქება და უზარმაზარი ალი ცამდე ავარდება. სადგურის უკან, ტყეს ცეცხლი ეკიდება. ცხელი ჰაერი სახეს წვავს. ყველანი გარბიან. დედა ანზორის ხელს ჩაფრენია და გარბის, გარბის ანზორიც, რომელიც დედას ხელს გამოსტაცებს და გულგახეთქილი მთისკენ მოკურცხლავს. ტყის თავზე ჩიტები დაფრინავენ, ბუჩქებიდან გამოძვრება კუდმომწვარი ძაღლი თუ ტურა და აწკმუტუნებული გარბის. ზურგს უკან რაღაც სკდება, ტკაცუნებს. ისმის აფეთქების ხმა. ანზორი სირბილს უმატებს.

— ანზორ! — დედას სული ეხუთება, — მომიცადე!

შიშისაგან აცახცახებული შეჩერდება და უცდის დედას.

წაქცეულ ხეებს გადაახტებიან, თხრილებს და ნაკადულებს, სულ უფრო და უფრო შორდებიან სადგურს, მოიხედავენ და შავად ალმარ-

თულ კვამლის სვეტს მოკრავენ თვალს, ისევ გარბიან.

— ანზორ!

დედა დგას და მძიმედ სუნთქავს, ხელები გულზე მიუდვია. ანზორი დედას მივარდება.

— დედა! ძია შაქრო დაინახე?

დედა მოეხვევა და გულში ჩაიკრავს შვილს.

სულ უფრო შორს მიდიან, ძირს დაეშვებიან, რკინიგზის ლიანდაგზე გადაირბენენ, ფონს მონახავენ და ღელეს გადაჰრიან. დედა კაბის კალთას გაწურავს. ცალ ფეხსაცმელს ქუსლი მოძრობია. ფეხსაცმელებს გაიხდის და ნელა აგრძელებენ გზას.

ხანძრის დროს გაქცეული ხალხი უკან ბრუნდება. მოდიან და ლაპარაკობენ:

— მდინარე რომ არ ყოფილიყო, მთელი დაბა გადაიწვებოდა...

— ახალ მუხრუჭებს ცდიდნენ.

— შემომვლელმა თქვა, მატარებელი წინა სადგურზე ჩიხში შევარდაო.

— ჩიხი რას უშველის, ხომ ხედავ. რამოდენა დაღმართია, სიჩქარე ორასამდე ავიდა.

—მემანქანე უარზე ყოფილა, მაგრამ უბრძანებიათ:

— ქვეყნის ხალხი დაიღუპა, ხარაგოულში მიდიოდნენ ბაზრობაზე.

— კაი ბაზარი დაუთენდათ... მაგ უბედურებს...

მდინარის გაღმა სადგური სქელ ბოლში გახვეულა. ლიანდაგზე დგანან ცეცხლმოკიდებული ცისტერნები.

ფუსფუსებენ რკინის ჩაჩქანიანი მეხანძრეები, ხელში სახანძრო წყლები და ცეცხლმქრობები უჭირავთ. ალმოდებული ნავთობი მდინარეზე მოცურავს. დაბასთან წითელჯვრიანი მანქანები და კარვები დგას. მოჩანს თეთრხალათიანი ადამიანები და მილიციელები. კარვებთან ცეცხლით გატრუსული ადამიანები შეშასავით აწყვია. ზოგი მოძრაობს კიდეც. ჰაერში დამწვარი ხორცის სუნი ტრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქით არ გაიხედო, შვილო!

მაგრამ ანზორი ასწრებს გახედვას.

კარვებიდან მამა მორბის, კოსტუმი და პერანგი დაგლეჯია და რაღაცით დასვრია. ანზორს აიტაცებს და ისე ჩაიკრავს გულში, რომ ძვლების ტკაცანი ისმის.

— მტკივა, მამა!

მამა ძირს ჩამოსვამს, მერე დედაც და შვილიც ორივე სოფლისკენ მიჰყავს. ანზორი ალს შეჰყურებს, რომელიც მდინარეზე მიცურავს.

ბილიკზე რომ გადაუხვიეს, მამამ თქვა:

— ბაბუა ვენახში დარჩა, მე კი ფერმაში შევიარე სიმონთან. უცებ აფეთქების ხმა გაისმა, გარეთ გამოვცვივდით, გზად მარო შემოგვხვდა, ცრემლად იღვრებოდა და მე შემომყურებდა, „შენი ცოლ-შვილი სადგურზეაო“. სადგურზე გამოვვარდი, გეძებეთ, გეძებეთ. აქეთ დამწვრები, იქით დახოცილები, გავიხედე, კარავთან დამწვარი ქალი გდია, გვერდით ბავშვი უწევს — კვნესიან ორთავენი... ვიფიქრე თუ ჩემებია, მილიციელს რევოლვერს ამოვართმევ და... ამ დროს ქე დაგინახეთ.

— შე გადარეულო! — ქვითინებს დედა.

— მამა იქ ძია შაქრო დავინახე. — ამბობს ანზორი.

— ვიცი შვილო. ფეხი მოჰყვა უბედურს, ძლივს ამბობს, უარზე ყოფილაო, მაგრამ უბრძანებიათ.

— მბრძანებელი დაამტკიცებს, რომ მართებულად უბრძანა. მაგრამ მისი ბრძანება უმართებულოდ შესრულდა... შაქრო, მე მგონი გადაირია, ისეთებს გაიძახის.

იმ საღამოს ველარ გაემგზავრნენ, რკინიგზა დაიკეტა. ანზორს დასაძინებლად აწვენენ, მაგრამ ძილი არ ეკარება, წრიალებს, ბალიშს ხან აქეთ აბრუნებს და ხან იქით. აივანზე ბებია, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუა, დედა, მამა, მარო და კიდევ სხვა მეზობლები და ნაცნობები არიან, შაქრო-მემანქანეზე და დალუპულებზე ლაპარაკობენ. ჭერზე სინათლის მეწამული ათინათი ციმციმებს. ანზორი ლოგინზე წამოჯდება და ფანჯარაში იხედება — მდინარეზე ისევ მიცურავს ცეცხლი. გეგონება წყალი იწვისო. ანზორი ატირდება, დედას ეძახის:

— დედა-ა!

* * *

ბავშვობის ყველაზე შემზარავი მოგონება, რომელიც თანდათან იშლებოდა მეხსიერებაში, და შაქრო რომ არ ყოფილიყო, ალბათ, სულაც დაავიწყდებოდა, — კვლავ გაცოცხლდა უშანგის ოჯახში გამართული ქეიფის შემდეგ. ღამღამობით სულ უფრო ხშირად ელანდება ცეცხლში გამობუგული, მომაკვდავი ადამიანები, ალმოდებული მდინარე და შავი კვამლით დაფარული ცა.

ხტომის უნარი არ დაუკარგავს — ანზორი ახლა უფრო მაღლა ხტება.

ერთმანეთს ცვლიან დღეები, ზოგჯერ მომაბეზრებლად გაჭიმული, ზოგჯერ კი ნათელი, დაძაბული, სავსე, ეს მაშინ, როცა ყველასაგან განმარტოვდება და ახტება მაღლა, აფრინდება და ზემოდან გადმოხედავს ქვეყანას...

პეპელა-ბებოს გოჭი ჰყვიტინით უტრიალებს ირგვლივ, დედა ქათმებს საკენკს უყრის, ლიზუნა საბანს ფერთხავს.

ანზორი ჯირკვზე ზის, ძველი ფეხსაცმლის ლანჩას აკერებს. მამამ აღარ დაუცადა სამუშაოდ წავიდა და დაუბარა, დიდხანს არ დაიგვიანოო. ანზორი ჩქარობს; იქვე, ზურგზე ხელებდაწყობილი მალხაზი დასეირნობს.

— არ მაძლევ მახათს? — ამბობს ის, — არც მინდა. მოიცა ტყეში წავიდე, დათვი შემჭამს.. .

ანზორს ეცინება და ყურს უგდებს მალხაზს.

— ხიდიდან გადავვარდები და დავიხრჩობი...

— ზემოთ, ცაში გადავარდნა თუ შეგიძლია? — ეკითხება ანზორი.

მალხაზი წარბებს შეიკრავს. არ უყვარს, როცა უფროსები დასცინიან. ანზორი ღიმილს მალავს. მალხაზი უხსნის:

— ცაში არ ვარდებიან. ცაში ჩიტები დაფრინავენ.

— შენც გაფრინდი, ჩიტივით.

— სადგისს მომცემ?

— არა.

— არც მინდა მოიცა, გავიზრდები და ნახავ, თუ არ გავფრინდები.

ანზორი ხარხარებს, ფეხსაცმელს გვერდზე გადადებს, დგება, მალხაზს ხელში იყვანს და ჰაერში შეაგდებს. „ამასაც რომ შეეძლოს მაღლა ახტომა“, — ფიქრობს ანზორი და წარმოიდგენს, ვითომ მალხაზი კი არა, თვითონ მიქრის ზევით. ამის გაფიქრებასაც ვერ ასწრებს, რომ მალხაზი სახურავს ზემოთ აფრინდება. ანზორს შიშისაგან სუნთქვა ეკვრის, ბავშვს ხელებს შეაგებებს და დაიჭერს. პატარას შიშისაგან ენა ჩავარდნია. ანზორი მალხაზს გულში ჩაიკრავს, თავისი საქმით გართული ბებია, დედა და რძალი ვერაფერს ამჩნევენ. ოღონდ მალხაზმა არ მორთოს ღრიალი. ანზორი, რაც შეიძლება უდარდელად იცინის და მალხაზს თავზე ხელს უსვამს.

— ყოჩაღ! ვაჟკაცი ხარ! ვიფიქრე, მართლა არ გაფრინდეს-მეთქი. დაიმსახურე სადგისი, ახლავე მოგცემ.

მალხაზი გაიტრუნა, ყელზე ხელები მოხვია.

ან თვითონ მალხაზია განსაკუთრებული, ან... ნუთუ ანზორს შეუძლია ახტომისას სხვაც აიყოლიოს, ან მაღლა აისროლოს?

— მეტი აღარ მინდა, აღარ მინდა, — ეხვეწება მალხაზი.

— მე აღარ ვიზამ. კარგი, დაწყნარდი.

—შემეშინდა. განზრახ ამაგდე, არა?

მალხაზს პირი ებრიცება, ატირებას არაფერი აკლია.

— შენ ხომ სადგისი გინდოდა. მოდი, აიღე!

მალხაზს მიწაზე სვამს, სადგისს აძლევს, ჯირკვზე ჯდება და ფეხსაცმელს იცვამს. ბოლომდე ვერ დააკერა, მაგრამ ჯანდაბას, საღამომდე როგორმე გაძლებს. მალხაზი ქშინავს, სადგისს ნაფოტში არჭობს. რასაკვირველია, დედასაც მოუყვება და ბებიასაც, მაგრამ ვინ დაუჯერებს? ანზორი გაოცებით დაჰყურებს საკუთარ ხელებს. ნეტავ კიდევ რისი უნარი აქვს?

საიდანღაც ვირთხა გამოვარდება, მას უკან ორი გაფოფრილი კრუხი მოსდევს. ვირთხა ლიზუნას ფეხზე გადაურბენს და ბოსლის ქვეშ გაუჩინარდება. ლიზუნა შეჰყვირებს, შიშისაგან საბანი გაუვარდება, ანზორი შეკრთება და მისკენ მიბრუნდება.

— რა იყო?

ლიზუნა უყვება და თან ეცინება.

— შენი შეშინება არ შეიძლება, — ამბობს დედა, — მომრავლდნენ ვირთხები.

საყვედურით შესცქერის ანზორს, თითქოს ის იყოს დამნაშავე, რომ ღამღამობით ვირთხები ბონდის ხიდთან გამოდიან სოფელში. ძროხები საზაფხულო იალაღებზე გარეკეს და დაცარიელებულ ფერმაში ვირთხებს სასუსნავი გამოელიათ.

— სანატორიუმი რომ აეშენებინათ, ვირთხებს მოსპობდნენ, — ამბობს დედა, — ფერმასაც მოშორებით გადაიტანდნენ.

ანზორი დედას უყურებს. ისე უნდა უთხრას: „დედა, ოღონდ კი არ შეშინდე...“ დედა გაოცდება, გაჯავრდება; ანზორმა ახტომა რომ მოუნდომოს. იქნებ, მალხაზივით შეშინდეს? ამ ბოლო დროს გულს უჩივის.

შარშან, „ყველას უშველეს“ დათვებმა ძროხა დაუგლიჯეს. ანზორი და ლევანი სამი დღე და ღამე იჯდნენ საფარში ძროხის ლეშთან, მშიერ-მწყურვალნი... გათოშილნი... ზვიადი ირწმუნებოდა, დათვები მოვლენო. ერთ ღამეს, დათვები მართლაც მოვიდნენ, მაგრამ ამ დროს ლევანმა შემთხვევით ჩაახველა და დათვები შედგნენ. უთავბოლო სროლა ატეხეს, დათვები გაიქცნენ, დილით ბალახზე სისხლის კვალი შეამჩნიეს, კვალს გაუყვნენ, მაგრამ დათვს ვერსად წააწყდნენ. სახლში დაბრუნების მერე, ანზორს პური არ უნდოდა ისე, როგორც ახლა დედისთვის სურდა მოეყოლა ყველაფერი... არა მარტო დედისთვის. რაც უფრო ხშირად ხტება, რაც უფრო მაღლა ფრინდება, მით უფრო დიდი სურვილი აქვს საიდუმლოს გამჟღავნებისა.

ორი თეთრი ყვინჩილა ლატაკებია ერთმანეთს, გარინდულან, ნისკარტი ნისკარტზე მიუდვიათ, მერე გაშორდებიან. ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს. ერთი მათგანი საღამოობით, ჭიშკართან ელოდება ძროხას, მერე წინ მიუძღვება, ბაგაში რომ დააბამენ, ზედ შეახტება და ბუზებს აცლის. ნიშა დაბლა ხრის თავს, რომ ყვინჩილას საქმე გაუადვილოს. გუშინწინ, მამალს რომ უყურებდა, ანზორმა თავისი თავი დაიჭირა: „ახტი, შენი ჭირიმე, ახტიო“, — ამბობდა გულში.

— ბებია, — ამბობს მალხაზი და გაბუტული გამოსცქერის ანზორს, — ამან იცი, რა მაღლა ამახტუნა? სახურავზე მაღლა, ცაში.

— ვიცი, ვიცი, — იცინის დედა. — იცოდე, მეორედ რომ ახტები, ფრთხილად იყავი, მზემ არ დაგწვას, — მერე ანზორს აკვირდება.

— შენ რამე ხომ არ გინდა?

— არა, დედა, არაფერი.

შინისკენ მიდის.

ანზორი თვალს გააყოლებს, მერე ლიზუნაზე გადაიტანს მზერას, პეპელაბებოს გახედავს, მესერს რომ მიჰყრდნობია დასასვენებლად. მერე წამოხტება, თოხს ხელს დაავლებს და ეზოდან გარბის.

მელანოს ჩაურბენს, ის რაღაცას ეძახის. რკინიგზის ბაქანთან, ვიღაც ხელს უქნევს, შაქრო თავს მოაბრუნებს მისკენ და უღიმის, ანზორი კი ღელის ნაპირს მიყვება მაღლა. უშანჯის ეზოში არავინა ჩანს. ერემოს სახლის კარი ისევ ღიაა. აი, ეკლესიის გუმბათი, ხრამი... ანზორი სულს ძლივს ითქვამს, ნაბიჯით აგრძელებს გზას.

ხეობაში არავინ ჩანს. მინდვრამდე ჯერ შორსაა. ანზორი პიტალო კლდეს შეხედავს, ბილიკიდან გადაუხვევს, გამოქანდება და აფრინდება, კლდის შვერილზე შეხტება, ბუჩქებს მოეჭიდება და კიდევ ერთხელ ახტება. დაბლობი, სოფელი, მტკვარი და გზატკეცილი მკრთალად მოჩანს ძილის ბურუსში. ყველგან ხალხია — მუშაობენ ბოსტნებში, ავტობუსის გაჩერებისკენ მიიჩქარიან, სატვირთო მანქანების საჭეს უზიან, სახეები ისე მკაფიოდ ჩანს, რომ ანზორი რკინიგზის დარაჯის ლოყაზე ხალსაც კი ამჩნევს. კიდევ ერთხელ ახტება და ქალაქ ხაშურს დაინახავს, რკინიგზების დაქსაქსულ ქსელს, ერთი სურამისკენ მიდის, მეორე უღელტეხილისკენ მიემართება, სულაც არ უკვირს, რომ ხედავს ხაშურს, აქედან ოცი კილომეტრის იქით რომ მდებარეობს, და ასი კილომეტრით მოშორებულ ზესტაფონს. ზესტაფონის სადგურის ბაქანზე ჯიბეში ხელებჩაწყობილი ლურჯკოსტუმიანი ახალგაზრდა დასეირნობს, ხაშურის ვაგზლის შენობიდან მოხუცი კაცი გამოდის, მძიმე ჩემოდნით ხელში. რას დაბორიალობს ეს ბიჭი, ვერ მიეხმარება მოხუც კაცს? რა ახლოსაა ყველაფერი, ერთმანეთის პვერდით.

ფეხზე რომ დადგება ანზორი ლაღად, გაბმულად ყვირის:

— ჰეი-ეი-ეი-ი!

ექო რამდენჯერმე იმეორებს ანზორის ხმას.

მოეჩვენა, თუ მართლა გაიგონა

უამრავ გამოძახილში მამაკაცის ყვირილი? ალბათ, მამაა, გაიგონა ანზორის ხმა და გამოეპასუხა.

დიდი შავი ყვავი ფრთების ტყლაშუნით აფრინდა მთებს მიღმა. ის ხომ არ არის, სოფლის გაღმა რომ ცხოვრობდა, მდინარის მეორე მხარეს? მეორე ყვავი მოჰკლეს. ყველაფერი იცვლება ამ ცხოვრებაში, მაგრამ მაინც დასანანია, როცა ორი ყვავის ნაცვლად ერთი რჩება.

ანზორი ტყეში შედის და მამას წააწყდება.

— შენა ყვიროდი?

— ჰო, მამი. მინდოდა ექო მომესმინა.

— საქმე გამოგელია? მე ვიფიქრე რამე ხომ არ მოუვიდა-მეთქი.

მთები ბურუსშია გახვეული. ცხელა. თოხები ქვას წამოედება და გაიწკრიალებს. მამა წინ მიდის. რომ დაეჭიდოს, მამას ბეჭებზე დასცემს, მაგრამ ყანაში ვერ აჯობებს. თუ გაასწარი, მოხედვას ვერ მოასწრებ, ისე გაგისწორდება, მერე კი მის მოხრილ ზურგსაც დაინახავ, ოფლისგან დასველებულ ხალათს, თოხს აუჩქარებლად იქნევს, მაგრამ ერთი ბალახიც არ დარჩება გაუმარგლავი, კარტოფილის ბუჩქებს თანაბრად შემოუყრის მიწას. მამისთვის მუშაობის გარდა სხვა სიხარული არ არსებობს ანზორს არ ახსოვს დღე, რომ დაესვენოს, გინდ საშვიდნოემბრო დღესასწაული ყოფილიყო და გინდ საეკლესიო, წმინდა გიორგის სახელობისა.

ზეგანზე გაჭიმული კარტოფილის ყანები ტყითაა გარშემორტყმული. ტყის პირზე, ქვემოთ, სოფელია, რომელიც აქედან არ ჩანს. მეორე მხარეს ლურჯ მთებს შემოურტყამთ ალყა.

— ანზორ, წყალი მომიტანე! — თხოვს მამა.

ანზორი თოხს დებს და კუწახურის ბუჩქთან მიდის, სადაც წყლიანი დოქია შეფარებული. მამა ორივე ხელით

იღებს დოქს, სიმინდის ნაქურჩალას მოაცილებს, მოიყუდებს და სვამს.

ანზორი კარტოფილის ბუჩქებს გასცქერის.

— აღარ გვეყოფა, მამი?

— დაიღალე თუ? — მამა დოქს უბრუნებს, — გაათავე შენი კვალი, მეც იქიდან შემოგხვდები.

მუშაობის შემდეგ, ბილიკს მოყვებიან ქვემოთ.

— თუ ამინდმა არ გვიმტყუნა, კარგი კარტოფილი მოგვივა, — ხმამაღლა ფიქრობს მამა.

ანზორი ვეღარ ითმენს.

— მამი, რომ იცოდე, მაღლიდან რეები ჩანს...

— არ იშლი შენსას?

— გამიგონე... როგორ აგიხსნა? ხედავ იმ მთას? შენ და სხვებსაც იქამდის მისასვლელად კარგი ბლომად სიარული დაგჭირდებათ, მე კი შემიძლია წამში ავხტე ზედ და უფრო მაღლაც.

მამა მიწაზე ფეხს არტყამს.

— ამ ბილიკით დადიოდა ჩემი პაპა, პაპის პაპა, და იმისი პაპის პაპა.

— აქი იმერეთიდან გადმოვსახლდითო?

მამა თოხს გამოუწვდის, თავსაფარს მოიშორებს და შუბლს და კისერს იმშრალებს.

— შენ რომ შეგეძლოს, ახტე და სიმინდი მეტი მოვიდეს, ახტე და კარტოფილი უფრო ადრე დამწიფდეს, ეს საქმე იქნებოდა. სანატორიუმი თუ აგვიშენეს, ყველას შეღავათი მოგვეცემა.

— შენ შენსას გაიძახი, მამი. ერთი მითხარი, გიცდია ახტომა როდისმე? იქნებ შენც შეგეძლო, იქნებ ახლაც შეგიძლია?

— მნახე რა მხტომელი, — ბუზღუნებს მამა, — სად მქონდა ხტუნაობის დრო! შვიდი წლიდან მიწას ჩავჩიჩინებ. შენ ეს მითხარი, რას აპირებ?

— არ ვიცი, მამა. ჯერ ვფიქრობ. მე მგონი, ყველას უნდა ვუთხრა, გაუხარდებათ.

— სიხარულისაგან წაღებს ვერ შეკერავ, ვერც შამფურზე წამოაგებ ხორცის მაგიერ. სიხარული დიდი შრომის საფასურია.

— მამა, შენ ყოველთვის ცდილობდი ყველასთვის სიხარული მოგეტანა, ჩემთვისაც, ჯუმბერისთვისაც, დედასთვისაც, რატომ არ გინდა რომ გამიგო?

— როგორ არ მინდა? სისულელეს ნუ ლაპარაკობ! ეჰ, ისე დღე არ გავა, კაცს საზრუნავი არ მოგემატოს. ვატყობ, რაღაც შარს გადამკიდებ.

მოუყვეს, მალხაზი რომ აათრინა? გაჯავრდება, შვილიშვილი ქვეყანას ურჩევნია. მალხაზის სიტყვებს კი, დედასი არ იყოს, შეიძლება არ დაუჯეროს. მომწვანო-მოყვითალო ფერი დასდებია ხეობას, მთები თითქოს გაზრდილან. დათვის მთის მიღმა მორიდებით გამოიხედავს ღრუბელი, ნელა შემოცურდება ხეობაში, მას მწკრივად მოჰყვებიან სხვა ღრუბლები.

ბილიკი ბოსტნებისკენ უხვევს. მორზე ზის ერემო, ხელებით ბარს დაყრდნობია.

— აი, კიდევ ერთი, შენისთანა, — ამბობს მამა და ანზორს უკვირს, რატომ შეადარა ხეიბარს. ერთმანეთს მიესალმებიან, მამა ერემოს გვერდით მორზე ჩამოჯდება, ეკითხება, საქმე როგორა გაქვსო. ერემო ბარს დებს და ანზორს ანიშნებს სიგარეტი მომაწევინეო. სიგარეტს გამოართმევს, ფილტრს მოაგლეჯს და გააბოლებს მამა ხელახლა ეკითხება:

— საქმე როგორ არის-მეთქი?

— რა გაყვირებს, მესმის, — ერემო ღრმად ჩაისუნთქავს ბოლს, — ვცდილობ გავუძლო...

— ისევ ზურგი გტკივა?

— როდის არა მტკივა. ბიჭი წამოგეზარდა...

ანზორი ყურს ცქვიტავს.

— რა ბიჭი? — კითხულობს მამა.

— დავაუკაცდა-მეთქი.

—ჰოო, დავაუკაცდა.

მამა ჩაფიქრდება.

ამ დროს გამოჩნდნენ „ყველას უშველე“ და ლევანი, რომელსაც ხელში ჩართული ტრანზისტორი უჭირავს. ვიღაც ისე ლაპარაკობს რომელიღაც უცხო ენაზე, თითქოს ყელში ცხელი კარტოფილი გაჩხეროდეს. ისმის ტაშის ხმა. „ყველას უშველეც“ ჩამოჯდება, ხოლო ლევანი ტრანზისტორს გადართავს და ორატორი ისე უცებ მიყუჩდება, თითქოს მიახრჩესო.

ანზორი „ყველას უშველეს“ და ლევანს მისჩერებია, გუნებაში იმას ფიქრობს, საიდუმლო რომელს გავუმხილოო. მამას რამდენიც გინდა ელაპარაკე...

— ეჰ, დავისიცხე, სანამ ვთოხნიდი, — ბუზღუნებს ლევანი, — ოფლად ვარ გახვითქული...

— კობა მეტყევეს შევეყარეთ, — ამბობს „ყველას უშველე“, — გუშინ ვიღაც უცხოელი წაიყვანა ტყეში, ირემზე სანადიროდ. ზედ ჯოგთან მიუყვანია, რაღაც ოცდაათ მეტრში, მაგრამ უცხოელს არ უსროლია, უთქვამს, ძალიან ლამაზები არიან, ვერ გავიმეტეო. რას არ გაიგონებ! — გაკვირვებით იქნევს მრგვალ თავს.

— რატომ უნდა მოეკლა, თუკი არაფერი არ დაუშავეს? — ჩაიგუგუნებს ერემო.

— იტყვი რა! თითქოს არასოდეს გინადირია!?

— მინადირია. ოთხი წელი ვნადირობდი. ორმოცდაერთი წლიდან, — ერემოს პირი მოებრიცება, — ხან ნადირი ვიყავი, ხან მონადირე.

დაწყვილებული პეპლები თავს დასტრიალებენ ერემოს და თმებში გაებლანდებიან, ის ნამწვს ფეხით სრესს, ხელს ასწევს, პეპლებს გამოიღებს და დახედავს. პეპლები წითელი ზოლით დასერილ ყავისფერ ფრთებს აფართხალებენ. პეპლებს მაღლა აისვრის და უყურებს, როგორ ფარფატებს ოთხი პატარა ფრთა სივრცეში. ანზორიც თვალს მიადევნებს პეპლებს.

ფეხის ხმა ისმის — ეს უშანგია, გაოფლილი, აქლოშინებული. ხელში შვინდის ჯოხი უჭირავს, გაჯავრებული ჩანს.

— ა-ა, დამკვრელო, ყიყლიყო, ბი, თურმე სადა ყოფილხართ? მე კი ზემოთ გეძებდით, თქვენს ძებნაში დრო დავკარგე. ცალყურაც აქ ყოფილა, სასწრაფო დახმარებაც თავისი მემკვიდრით. რა ადრე გადაგიწყვეტიათ შინ წასვლა?

— ნორმაზე ორჯერ მეტი შევასრულეთ, — მშვიდად პასუხობს მამა.

— ხვალაც გათოხნეთ. ნორმაზე ლაპარაკს კი შეეშვით! სამუშაოზე დროზე უნდა გამოხვიდეთ. ყიყლიყოს დღესაც დაიგვიანდა. ასეთი დორის გაშვება არ იქნება!

— ვიცით.

— დაჯექი, — „ყველას უშველე“ მორზე ჩაიწევა.

— სადა მცალია?! რაიონში თათბირზე მეჩქარება. სანამ დავიბან, ჩავიცვამ...

უშანგი ანზორს და მამამისს თვალს მოაშორებს და ლევანს და „ყველას უშველეს“ მიაპყრობს მზერას. ერემოს თვალს არიდებს. არც ერემო უყურებს უშანგის. უშანგის თვალები ავად უბრწყინავს.

— ცოტა უნდა მივაწვეთ. ამბობენ, დღეს არა, ხვალ რაიაღმასკომიდან კომისია ჩამოდისო.

— ჩამოვიდეს რა! — ბუზღუნებს ლევანი, — ცხელა!

— სიცხეს მოგცემ მე შენ! იმ კვირას კრება იქნება და გაგაგრილებ. უყურე ამას, დასცხომია! — უშანგი გაჭარხლებულია, ლამის შეიკურთხოს, მაგრამ ფეხზე ჯოხს ირტყამს და თავს ძლივს იკავებს. ყოველთვის, როცა ყრუ წინააღმდეგობას წააწყ-

დება, ან ძალიან ღრმად შეტოპავს ხოლმე, ცდილობს საუბარი ხუმრობაში გადაიტანოს.

— არ ვიცი, გახსოვთ თუ არა?.. მე კი მახსოვს, ერთ ზაფხულს ისეთი სიცხე დაიჭირა, რომ პეპლებს ფრთები ეხრუკებოდათ და ძირს ცვიოდნენ. გახსოვს, პავლე?

— მე სხვა ზაფხული მახსოვს. ჩემს პატარა ბიჭობაში, მამაჩემი ქათმებს ნაყინს აჭმევდა, მოხარშული კვერცხები არ დადონო.

ლევანს, ანზორს და მამამისს ეცინებათ. უშანგი მოიქუფრება, ერემოს მიაჩერდება და ამბობს:

— ეგ მაშინ ხომ არ იყო, ცალყურა რომ დაზარალდა?

მიდის.

ერემო წამოდგება, ბარს დაეყრდნობა და ტყისკენ წალასლასდება.

— საით? — ეძახის პავლე.

ერემო არ პასუხობს.

— სულ მთლად თავს გავიდა უშანგი, — ამბობს „ყველას უშველე“, — დღითი დღე მხეცდება, ოღონდ კაცს უკბინოს და პურს ნუ აჭმევ...

— ნეტა რაიალმასკომის თავმჯდომარედ დაენიშნათ, მოვისვენებდით, — ამბობს ლევანი და თან ტრანზისტორის ანტენას აწვალებს.

„ყველას უშველე“ შვილს შესცქერის.

— რას მოგასვენებს? მეტი ძალა რომ ექნება?

— ყველა სოფელი რომ მაგას დაუმორჩილონ, თვითეულისთვის ცალცალკე ისე ველარ მოიცლის და ნაკლებად შეგვაწუხებს.

„ყველას უშველეს“ ეღიმება.

— მაშინ უფრო ხშირად უნდა დასვან. რა გგონიათ, ეგრე ბევრი ვინმესგან დაუღწევიათ თავი. იქნებ თბილისში წავსულიყავით, შევვექო, გვეთხოვა, კაცს ასპარეზი მიეცითთქო?

— გეყოფათ, — ჩაერევა მამა, — ცხოვრება თავისას იზამს. ნეტა ერემო სად წავიდა, ცუდად არ გახდეს, ხანდახან ბნედა ემართება.. გაყევი, შვილო, ანზორ, თოხი დატოვე, მე წამოვიღებ.

ანზორი დგება.

ლევანი ტრანზისტორს ჩართავს, ყურს უგდებს — ვერ გაუგია — ქალთა გუნდი მღერის, თუ რაღაც უცნაური ინსტრუმენტი ჟღერს.

— ტაკარაცუკელი ქალიშვილები!

ანზორი ტყისკენ გარბის. შორს ერემოს ზურგი მოჩანს. ნიაღვრისგან გათხრილ თხრილზე გადალასლასდება. ეტყობა, თვითონაც არ იცის საით მიდის, ხან ერთ გზას დაადგება, ხან მეორეს , ფერდობს მიადგება, კუნელის ბუჩქში შეძვრება და გაუჩინარდება. ანზორი ერემოს მდელოზე პირქვე დამხობილს პოულობს, ხელში ბარი უჭირავს, კვნესის. ანზორი გაეხმიანება. ერემო წამოიწევა და ბარს მოუღერებს.

— წადი! ნუ მიყურებ! წადი აქედან-მეთქი!

— მოგეხმარები!...

თან უკან იხევს.

ერემო ზურგზე დავარდება, იკრუნჩხება, თითქოს უჩინარ მოწინააღმდეგეს ებრძვის. ანზორი მიუახლოვდება, დახედავს. ერემოს თვალი ისე გაფართოებია, ლამის ბუდიდან ამოუვარდეს.

— დამაწექი და დამაკავე, — ხრიალებს ერემო.

ანზორი დააწვება და იჭერს. ერემო ფართხალს უკლებს. ოფლად არის გაწვითქული, მზერაც უფრო ნათელი უხდება.

— წადი. მე თვითონ ავდგები. გამივლის და წამოვდგები. მოიცა! — ხელს გაიწვდის და ანზორს მხარზე წაეპოტინება. — მე დაგინახე — ...ყელში რაღაც ებჯინება, სიტყვა ეჩხირება, მერე მოეშვება და ანზორს ძლიერად ჩასჭიდებს ხელს, — ნუ გეშინია, შვილო, იხტუნავე. გესმის, რას გე-

უბნები? კიდევ ერთხელ მინდა დაგინახო...

ერემოს ტანჯვა, რასაც ანზორი პირველად ხედავს, გულს ტკივილით უსერავს. ანზორი წელში სწორდება. ერემო თავს წამოწევს, მობრუნდება, ღიღილოები დასახიჩრებულ სახეს უფარავენ, და ანზორს თხოვს:

— მაჩვენე, როგორ ხტები.

ანზორი ირგვლივ მიმოიხედავს, გარშემო მდელოა, კუნელის და ასკილის ბუჩქებით დაფარული, მათ უკან კორომად დგანან ფიჭვები, ნაძვები და წაბლები.

ანზორი ისე მსუბუქად აფრინდება, თითქოს დღეს არც ექვს შეეწუხებინოს, არც მცხუნვარე მზეს, არც თოხნას და არც გულისტკივილს.

— იხტუნე, ანზორ ,იხტუნე! — გაჰყვირის ერემო.

ღიღილოები დავსებულ თვალს უფარავენ, ხუჭუჭა თმა შუბლზე ისეთნაირად ჩამოშლია, შემზარავი ნაიარევი აღარ ჩანს, მიმწუხრის ბინდი უხეშ ნაკვთებს ნაზად ელამუნება და ახალგაზრდულ იერს და სილამაზეს უბრუნებს კეთილი ადამიანის სახეს. მარტო ამისათვის ღირდა ცაში ახტომა, ყველას უნდა უამბოს, დიახ, ყველას.

ანზორი დგას და სულს ითქვამს.

ერემო ზევით იყურება და მის თვალში ირეკლება ჩამავალი მზის შუქი

— იცი, — იწყებს ის, — რამდენიმე წელი დაბლობში გავატარე. იქ ვრცელია მიწაც და ცაც. მაგრამ მარტო ჩვენთან უერთდება ერთმანეთს ცა და მიწა. აი, ასე. — და ხელის თითებს ერთმანეთს ჩააჭდობს, — მთები ცაში აჭრილან, ცა ვაკეზე დაცემულა. მაგრამ ადამიანები ყველგან ერთნაირები არიან. წადი, შინ თვითონ მივალ, არ მეგონა თუ ოდესმე ასეთ რამეს ვნახავდი...

— ერემო ძია, მამამ მითხრა არც არავის უთხრა და მეორედ აღარც ახტეო, თორემ ხათაბალას გადავეკიდებითო.

ხეიბრის თვალზე აფარებულ ღიღილოებს ნიავი არხევს.

— მამაშენი ჭკვიანი კაცია და შენი მშობელია. — ერემო ჩაფიქრდება, უფრო მტკიცედ განაგრძობს, — მაგრამ შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო... გაიხედ-გამოიხედე, განა ქვა ეტყვის ნაძვს არ გაიზარდოო, ან ნაძვი ქვას — ნუ ხარ ასეთი მტკიცეო, განა წყარო შევარდნისგან იმას მოითხოვს არ იფრინო, ან შევარდენი ეტყვის ნაკადულს, არ იდინოო?

— შენი სიტყვით ისე გამოდის, რომ მამაჩემი ცდება, ხოლო მე და მაჩემი სხვადასხვანაირები ვყოფილვართ.

ერემო თავს უქნევს.

— შენც ისეთივე კაცი ხარ, როგორც ყველა. მამაშენი რომ არ ყოფილიყო, არც შენ იქნებოდი და არც ის უნარი გექნებოდა, ღმერთს რომ შენთვის მოუცია.

— რატომ ჩემთვის? და არა სხვებისთვისაც, თუნდაც შენთვის?

— ჩემთვის? — ერემო წამოჯდება, იჭმუხნება, ფეხს ისრესს ხელით, ალბათ ატკივდა. — მე ახლა რაღა შემიძლია.. წადი, ანზორ, წადი.

ანზორი მიდის, მოხედავს ერემოს, ის ზის დაფიქრებული და ფეხს იზელს.

არ ეხალისება შინ დაბრუნება. ეკლესიასთან აუხვევს, მაღლა აჰყვება ხევს და ლოდიანზე ჩამოჯდება. ერემოზე ფიქრობს, აგონდება, რაც შაქრომ უთხრა ერემოზე და უშანგიზე. ძალიან უჭირს ამ სამი პირის ერთად წარმოდგენა, თუნდაც ორის, წარმოდგენაში ისინი ჯიუტად ერიდებიან ერთმანეთს, სხვადასხვა მხარეს მიისწრაფიან, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ შორდებიან.

ანზორის სახესთან ნიავი აშრიალებს შროშანის ფურცლებს. ზზიკები ზუზუნით უვლიან თავს ყვავილებს. ანზორის თვალწინ ჩაიქროლებს ერ-

-თი და ყვავილზე დაჯდება, მაგრამ ნესტარს არ ჩაარჭობს, თავის ქნევით ყვავილის ფუძეს მისწვდება და ნექტარს ამოსწუწნის.

—მე რომ გითხრა, არ იფრინო და ყვავილებს ნექტარი არ ამოსწუწნო-მეთქი, ხომ არ დამიჯერებ? — ეუბნება ანზორი ბზიკებს.

ბზიკი ბზუის, თითქოს რამე გაიგონა. ვინ იცის, იქნებ გაიგო კიდეც?

ანზორი დგება და ბილიკისკენ მიდის. ბილიკი ისეა დაკლაკნილი, როგორც მთვრალის ნაბიჯები, ხან მარცხნივ ხის ძირში შეუხვევს, ხან მარჯვნივ, ხრამის პირს მიადგება. მთაში ბევრი გზა მიდის, ზოგი ღარივით ჩაჭრილია მიწაში, აქედან მოჭრილ ხეტყეს აცურებენ, ზოგს ურმის თვლის ნაკვალევი ამჩნევია, არის უამრავი წვრილ-წვრილი ბილიკებიც, რომელიც არავინ იცის ვინ გაკვალა და როდის.

ბუჩქებს შორის წითელი კაბა ოცლებს. ქალიშვილს ხელში დაწნული კალათა უჭირავს. ჩაცუცქდება, მარწყვს მოკრეფს და ძებნას განაგრძობს. მილიცაა“.

ანზორი მიეპარება, კატაბარდებში ჩაიმალება, ხელებს პირთან მიიტანს და მგლისებურად დაიყმუვლებს. ცოტა ხნის მერე კვლავ იმეორებს ყმუილს. მერე გამოიხედავს.

მილიცა მაყვლის ბუჩქთან დგას და შეშინებული იმზირება აქეთ-იქით. ბუჩქთანვე გდია კალათი, წითელი ნაყოფი ბალახზე გაბნეულა.

ანზორი მდელოზე გამოდის.

— მაყვლებში რათ შემძვრალხარ?

— შენ იყავი, უსვინდისო?!

ეკლიანი ტოტების ტყვეობიდან გამოღწევას ლამობს, კაბა გაეფხრიწება, წამოიკივლებს.

— გაიკაწრე?

— კაბა დამეგლიჯა! სულ შენი გულისთვის. მარწყვიც დამეპნა.

მილიცა ჩაცუცქდება, პეშვით იღებს მარწყვს და კალათში ყრის. ანზორი მიუახლოვდება, გვერდით მიუჯდება. მილიცა მისკენ არ გაიხედავს, მაგრამ ტუჩები უთრთის, სიცილს ძლივს იკავებს.

— მშიშარა ყოფილხარ, — ეუბნება ანზორი.

— დაიკარგე აქედან!

ანზორი მილიცას უბიძგებს და ბალახზე გადააგორებს, ხელებს მოხვევს, კოცნის. გოგოს ხახვის, მარწყვის და ოფლის სუნი დაჰკრავს. მილიცა ტუჩზე უკბენს. ანზორი ტკივილისაგან დაიკვნესებს. მილიცა მარწყვის სურნელით გაჟღენთილ ტუჩებს შეახებს, ნაზად, რბილად იკოცებს და წამოხტება.

— ვიღაც მოდის. არ დაგვინახონ. სად იყავი დაკარგული?

— არ მეცალა. იმდენი საქმე მქონდა.

მილიცა გახეულ კაბას ეკლით იმაგრებს და ეშმაკურად შესცქერის ანზორს.

— ერთი მითხარი, — ეუბნება ანზორი, — გაჰყვები გაბოს ცოლად?

— რა შენი საქმეა ვის გავყვები?!

— კი არ გეხუმრები. მაჭანკალი ვარ.

— შენ რა, გაბოს დავალებით ხომ არ მეძებდი? იმან ეგ უშენოდაც იცის. გუშინ ჩამოვიდა, მამაჩემის ნახვა უნდოდა, მაგრამ შინ არ დაუხვდა.

— გაბო მეც ვნახე ბაქანზე.

— მერე რა გითხრა?

მილიცა მოცინარი თვალებით შესცქერის ანზორს. მზემოკიდებულ შუბლზე თმის კულული ჰკიდია, ტუჩები მარწყვისფერი აქვს, ყელი ვარდისფერი...

ანზორსაც ეცინება.

— არაფერი. რა უნდა ეთქვა?

— ჰკითხე და გეტყვის.

გაბომ გაანდო ანზორს, როგორ მოეხვია მილიცას ბაღში, მაგრამ ისეთი სილა მიიღო, რომ კინაღამ დაყრუვდა. დადამებამდის უცადა თურმე უშანგის, მერე ჩაბნელებულ სამზადში

შესულა, უფიქრია, კიდევ ერთხელ ვცდი, იქნებ ამჯერად დავიყოლიო მილიცაო. „მოვეხვიე, აღარ მებრძვის, გაყუჩდა, მერე დასხლტომა დააპირა. აჰა, ვფიქრობ და უცებ... გარედან მილიცას ხმა არ მესმის?! ეს რა უბედურებაა მეთქი, ჩემს თავს? თურმე დედამისში არ შემშლია. ახლაც აზრზე არა ვარ, როდის გამოვიდა მილიცა ქოხიდან, და როდის შევიდა დედამისი ქოხში. გამოვვარდი გარეთ და გიყვარდეს, მოვკურცხლე". გაბო სიცილით ყვებოდა ამ ამბავს, მაგრამ თვალები ნაღვლიანი ჰქონდა.

— რას ხითხითებ? — ეკითხება მილიცა.

— გაბოს შეკერილი ჩექმები არ მოგერგება.

— ვითომ რატომ? ბორჯომში ყველა გაბოს აკერინებს.

— დედაშენიც?

ერთმანეთს თვალებში შეხედავენ და მილიცას კისკისი აუტყდება.

— გიამბო? — და ძლივს იკავებს სიცილისაგან თვალზე მომდგარ ცრემლს. — დედაჩემი ოხრავდა, ოხრავდა, მერე ჯოხს ხელი დაატანა და გარეთ გამოვარდა. სად არის ეგ გათახსირებულიო? იმისი კვალიც კი გამქრალიყო..

— მილიცა. გახსოვს, რომ შეგპირდი, რაღაცა უნდა გითხრა-მეთქი?

მილიცა თავს უქნევს, თვალები გაუბრწყინდება.

— გინდა მაღლა, ძალზე მაღლა აფრინდე? მომიახლოვდი.

მილიცა იძაბება.

— არ მინდა.

— ნუ გეშინია, სულელო, — ხელს ჩასჭიდებს და შუა მინდორში გაიყვანს. გოგონა ძალაუნებურად ემორჩილება. — კისერზე მომხვიე ხელები და მაგრა მომიჭირე. არავითარ შემთხვევაში არ გამიშვა.

— კიდევ რა გინდა? შენ თუ... არაფერი გამოგივა! წარბშეკრული, გამომცდელად უყურებს თვალებში.

— სულელო! თუკი გაბო ვერაფერს გახდა შენთან, მე რა გამომივა.

მილიცას ეცინება, ყოველშემთხვევისათვის აქეთ-იქეთ გაიხედ-გამოიხედავს და კისერზე შემოხვევს ხელებს. თაფლისფერ თვალებში ცნობისმოყვარეობა ჩასდგომია — ეს რა გამოიგონაო? ანზორი მაგრად მოხვევს ხელებს და ისინი ხტებიან. მილიცა შეჰკივლებს და ხელებს უფრო მაგრად ჩასჭიდებს ანზორს. ანზორს არ უნდოდა მაღალი ნახტომით შეეშინებინა ქალიშვილი და მოშორებით მდგარი მუხის სიმაღლეზე აახტუნა. მერე ძირს დაეშვნენ. მილიცას კივილისაგან ანზორს ყურები უწივის. მილიცას მაღლა ასწევს და თვითონ პირველი დახტება მიწაზე.

მილიცას სახეზე მიწისფერი დასდებია. ალბათ, სხვა რომ აგიტაცებს მაღლა, უფრო საშიშია, ვიდრე თვითონ რომ ხტები. ანზორი მხრებში მოკიდებს ხელს და შეანჯღრევს.

— რამ შეგაშინა? მე ხომ მაგრა მეჭირე, თვითონაც ისე ჩამაფრინდი, კინაღამ დამახრჩე. დაწყნარდი და კიდევ ერთხელ ავხტეთ. ოღონდ, სადმე შორს გაიხედე!

მილიცას მოდუნებული სხეული კვლავ იძაბება. ანზორს ხელიდან უსხლტება და გარბის, ანზორს გულზე მოეშვება, იცინის.

— გახსოვდეს, ტოროლასავით აფრინდი ცაში, და თანაც უფრთებოდ!

სუნთქვაშეკრული მილიცა დგას და ისეთი გაკვირვებით შესცქერის ანზორს, თითქოს მის წინ, ამ ულრან ტყეში, რაღაც უცნაური და უცნობი ადამიანი იდგეს. ანზორს თვალს არ აშორებს ისე, იღებს კალათას და ტირილით თუ ოხვრით გარბის, თან უკან იხედება.

ყველაფერი მოსალოდნელი იყო ამ გოგოსაგან, გაქცევის გარდა: გა-

იქცა და ერთბაშად გაქრა ყოველივე, მისი ალერსიანი თვალებიც, თბილი მკერდიც და ცხელი ტუჩებიც. ნუთუ, მამამ სიმართლე უთხრა? მიხვალ ხალხთან, ეტყვი: აიღეთ, რაც არასოდეს გქონიათ, ახტით, გაფრინდით, შეხედეთ ქვეყანას, ისინი კი შეშინდებიან და გიგანებენ. მაგრამ ერემო? ის ხომ არ აფრენილა, მხოლოდ უყურებდა. მაინც.. მილიცა ისე შეშინდა, რომ ანზორის ხალათის საყელოს გარდა არაფერი დაუნახავს, ალმაფრენის სიხარული არ განუცდია. სულ არ ეგონა, ასე თუ შეშინდებოდა. ანზორი მიწიდან მარწყვის ნაყოფს იღებს, პირში იდებს, ბალახზე წამოწვება და ნაღვლიანად გასცქერის ღრუბელს, რომლის ცალი ვვერდი მეწამულად შეუფერადებია დაისს.

ნეტა თუ დაუჯერებენ მილიცას, ეს ამბავი თუ მოყვა? დაუჯერებენ, თუ არ დაუჯერებენ, მითქმა-მოთქმა კი ატყდება, მელანო ერთ საათში მთელ სოფელს შემოირბენს.

ხელებს თავქვეშ ამოიდებს და თვალებს ხუჭავს. ნუთუ კაცი, რომელსაც მინიჭებული აქვს რაღაც განსაკუთრებული, სხვისთვის მიუწვდომელი, ვერავის გაუყოფს და გაუზიარებს თავის ქონებას, და ყოველთვის მარტოსულად დარჩება? უჩვეულო, მტანჯველი ფიქრები მოსჯარვია ანზორს და ისე უჭირს ამ ხლართში გზის გაკვლევა, როგორც ღამეულ მგზავრს უცნობი ჭაობის გადალახვა, მოლიპულ ნიადაგზე ფეხის მოკიდება.

სიგრილე გამოაფხიზლებს, სახეზე რომ დასწოლია. თვალებს გაახელს. ნისლის ნაცრისფერი ფარდა ძირს ჩამოწოლილა. შიგ რომ გაეხვიო, წერტილებივით წვრილი ნამი თავზე შეგეპკურება. ფიქრები იმ ნახირივით იფანტება, რომელიც მწვანე მდელოებს შორის, კლდოვან ქიმზე შეგროვებულა. მარტოდმარტო რჩება საკუთარ თავთან და თუგინდ თავში ქვა იხალე. რას იზამ, თუკი ჭირსა და სიხარულს მხოლოდ საკუთარი ჭიდან უნდა დაეწაფო, მაშინ მარტოკამ უნდა შესვა შენი წილი.

ანზორი დგება.

თმა და სახე მართლაც ენამება. ანზორი ხტება, მიმოიხედავს ირგვლივ და ხედავს ნაბდიან მწყემსს, რომელიც ცხვრის ფარას მიუძღვის წინ, მთის ფერდობზე, ხოლო მეორე მხარეს, ზღვის ქაფიანი ტალღები აწყდებიან სილიან ნაპირს და წითელქუდიანი პატარა გოგონა სიცილ-კისკისით ჭყუმპალაობს წყალში. არც ეს გოგონა და არც ის მწყემსი არასოდეს უნახავს, მაგრამ ორივე ნაცნობად ეჩვენება.

— ეჰე-ჰეი-ი! — გასძახებს მათ ანზორი და ხელს უქნევს.

მანდვრის ბოლოში, მაყვლის ბუჩქებს შორის, წითელი კაბა გაიელვებს. ნუთუ მილიცა ბრუნდება? თვალწინ ჯერ კიდევ წეღან დანახული, ნაცნობი, მაგრამ შორეული სივრცე უდგას. მილიცა მაინც დაბრუნებულა. ანზორი ზურგს შეაქცევს. თან ბრაზდება.

— ანზორ, — დამნაშავესავით ეძახის მილიცა.

ანზორი განგებ, ნელა შემობრუნდება. თავდახრილი მილიცა წარბებქვემოდან უყურებს. კაბის კალთა ჩამოხევია და გასვრია, ლოყებზეც ჭუჭყიანი ლაქები აჩნია. რა მოუვიდა? გოგონა უახლოვდება, თავს ასწევს, შუბლზე ჩამოშლილ თმას მაღლა აიყრის და შეუპოვარ მზერას არ აცილებს.

— ისევ ამაფრინე! — კი არ თხოვს. არამედ მოითხოვს.

— ამას დამიხედეთ! — აფეთქდება უცებ ანზორი. — აგაფრინო? ისევ გოჭივით ჭყვიტინი მოგინდა? აი ხეზე და იხტუნავი, რამდენიც გინდა. თუ გინდა, დათვის მთიდან გადახ-

ტი მტკვარში. გეშინია? მომშორდი, თავი დამანებე.

მილიცას ყელში რაღაც ებჯინება, მორიდებით ასწევს ხელებს და ანზორის მკერდს დაებჯინება. ანზორს სხეულში რაღაც აუცახცახდება, მაგრამ ბრაზს მოსაშორებლად ჯერ ვერ იმეტებს და მილიცას ხელებს მოიცილებს, მილიცა ტუჩს მოიკვნეტს, ფითრდება. ირგვლივ მიმოიხედავს და უცებ, ადგილს მოწყდება, ციცაბო ხრამის პირზე გარბის და ზევით მიძვრება, ქვებზე ფეხი უსხლტება. საით გაუწევია?

მილიცა სულ უფრო მაღლა მიიწევს, გადმოიხედავს, კლდის კიდეზე შედგება და ხელებს წინ გაიშვერს. შიშისაგან ანზორს გული შეეკუმშება, ხრამისკენ გარბის, სწორედ, ამ დროს მილიცა გადმოხტება, ანზორს დაეცემა და ორივენი მიწაზე კოტრიალობენ. ანზორი ეხვევა, კოცნას მოუნდომებს, მაგრამ მილიცა არ ემორჩილება, სახეში მუშტებს დაუშენს და ტირილით ეკითხება:

— შემეშინდა? ესეც შენ, ესეც შენ, თუ შემეშინდა!

მიილცას ხელებს დაუჭერს, მიწაზე გააკრავს და საკოცნელად მიიწევს, მაგრამ უცებ, შეჰყვირებს და განზე გახტება, ნაკბენი ტუჩიდან სისხლი მოსდის.

— დასაბმელი ხარ! — კვლავ გაბრაზებით ამბობს ანზორი.

— რაც გეკუთვნოდა, ის მიიღე! — პაუხობს მილიცა და აბრიალებს თაფლისფერ თვალებს.

ჩუმად სხედან და გამწყრალნი შეჰყურებენ ერთმანეთს. მილიცა თვალებს დახრის, მრავალძარღვას ფოთოლს მოგლეჯს და ანზორს ესვრის.

— ტუჩზე დაიდე.

— არ მინდა.

დგება, გუბეს მონახავს, და სახეზე წყალს შეისხამს. ტუჩი გაუსივდა და ეწვის.

— გადარეული ხარ! რომ არ დამეჭირე, რას ფიქრობდი?

— დამიჭირე არა?! როგორმე უშენოდაც არ დავიმტვრეოდი.

— ეგრე სად გაითხუპნე?

— რა შენი საქმეა! — სიცილნარევი ხმით ეპასუხება გოგო, მერე თავს ველარ იკავებს და ხარხარი აუვარდება.

— როგორ გამოიქეცი... შეგეშინდა არა? ხომ შეგეშინდა?

ანზორი მოქუფრული შეჰყურებს, მაგრამ გადამდები რამ არის სიცილი. თავს ველარ იკავებს, ეცინება.

ერთდროულად გაჩუმდებიან, თითქოს გულზე რაღაც დაადგათო. მილიცა წამოიწევს, ფეხებს შემოიკეცავს და ისევ ჯდება.

— ანზორ, რა იყო ეს?

ანზორი მხრებს აიჩეჩავს მდუმარედ.

— შენ რა დავემართა? კაბა რას გიგავს?

— ლოდიანს წამოვედე, როცა გავრბოდი და წყალში მოვადინე ტყაპანი, — სწრაფად, აგდებულად პასუხობს მილიცა და ისევ იმეორებს კითხვას: — რა იყო ანზორ, ეს?

— გინდა კიდევ?

თავს უქნევს და დგება.

ანზორი ხელს გაუწვდის.

— მხრებში მომკიდე ხელი, ოღონდ მაგრად. თუ იყვირებ, გაგიშვებ და მაშინ დაიმტვრევი.

— არ ვიყვირებ, — ჩურჩულებს გოგო და თვალებს ნაბავს.

ისე სწრაფად და ისე მაღლა აფრინდებიან, რომ მუხის კენწერო ელვისებურად გაქანდება ქვემოთ. ანზორი მილიცას უყურებს. გოგო გაფითრებულია. საცაა წამოიჭყივლებს, მაგრამ არა, ხმას არ იღებს და მხოლოდ მაშინ, როცა ვარდნის წინ წამით შეყოვნდებიან, ამოიოხრებს მიწაზე ფეხს დაადგამენ თუ არა, მილიცა დაჟინებით მოითხოვს:

— კიდევ!

გაოცებული და გახარებული ანზორი ვიწრო და მკვრივ წელზე შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვევს ხელს და ისე მიიზიდავს, თითქოს ნორჩი ვერხვის ხე იყოს.

— არ გეშინია?

მილიცა უარყოფის ნიშნად თავს გა-აქნევს.

კვლავ აფრინდებიან, სულ მაღლა რომ ავლენ, ორივენი ერთხმად ამო-იოხრებენ, მილიცა სწრაფად იმეორებს:

— კიდევ, კიდევ!

— თვალებს ნუ ხუჭავ, თორემ ეგრე ვერაფერს დაინახავ.

მესამედ აფრინდებიან, მაგრამ მი-ლიცა ისევ ხუჭავს თვალს და არა-ფერს არ უყურებს.

ანზორი ხელს უშვებს, მილიცა რამ-დენიმე ნაბიჯს გადადგამს, ბალახზე დაეშვება და ანზორს შეჰყურებს. ან-ზორს ეცინება.

— არ მეშინიაო, და თვალს კი არ ახელ.

— ისედაც კარგი იყო, — ჩურჩუ-ლებს ქალიშვილი, — ღმერთო ჩემო, თითქოს სიზმარში ვიყავი.

აღფრთოვანებისაგან შეჰყვირებს, ზურგზე გადაწვება, თითებით ბალახს გლეჯს და ჰაერში ისვრის. ანზორი გვერდით მიუჯდება, იცინის.

— რომ გაიქეცი, ვიფიქრე, აწი, ახ-ლოს არავინ გამეკარება, ყველანი შე-შინდებიან და მომერიდებიან-მეთქი.

—ყველანი? — ხელებით დაეყრდ-ნობა მიწას და წამოიწევს. — სხვებიც გინდა აიყოლიო?

— რასაკვირველია.

— ნათესავები, ამხანაგები, ნაცნო-ბები?

— ჰო.

— მთელი სოფელი?

— მთელი სოფელი!

მილიცა სახიდან ბალახის ღერებს მოიშორებს, ყურადღებით შეხედავს ანზორს და ჩაფიქრდება. მერე ეკი-თხება, სად ისწავლე ფრენაო. ანზო-რი უამბობს. მილიცა ხარბად უსმენს, ხან ღიმილი, ხან ეღიმება.

— ასე ჩემ დღეში არ შემშინებია, — ამბობს ის, — ვერაფერი გავიგე. რა-ღაცამ მომწყვიტა მიწას, მომეჩვენა, თითქოს შენ კი არ იყავი, არამედ ვი-ღაც უცხო, შენი მსგავსი... რა სას-წაული დაგემართა, საიდან? კიდევ რამე ხომ არ იცი?

— ესეც მეყოფა. — ხელს გაუწვ-დის, მაგრამ ვოგო შეკრთება, გაიწევს.

— რა იყო, მილიცა?

— არაფერი... მე რა ვიცი... იქნებ...

ანზორი მხარზე ხელს გადახვევს.

— რა იქნებ?

— იქნებ უხილავად მაქციო, ან სუ-ლაც ძაღლად გადამაქციო, — ნახევ-რად ხუმრობით და თან სერიოზულა-დაც ამბობს ის.

— ვერაფერი გაგიგია!

— რა უნდა გამეგო, — ამოიოხრებს მილიცა, — წავალ, თორემ დედა გა-მიჯავრდება.

— მოიცა! თუ კიდევ მოგინდეს, აქ მოდი. შენთან უფრო მაღლა ვხტები, ვიდრე მარტო. საღამოს, როცა და-ბინდდება, ეკლესიასთან მოდი. ვარ-სკვლავიან ღამით უფრო უკეთესია, შორეულ ქალაქების სინათლეებს და-ინახავ, შუქს ფანჯრებში, ადამია-ნებს, რომლებიც არასოდეს არ გი-ნახავს.

— განა შეიძლება შორეული ქალა-ქებისა და ადამიანების დანახვა ღა-მით? — უნდობლად კითხულობს მი-ლიცა.

— მოდი და ნახავ.

მილიცას თვალები სიხარულისა-გან უბრწყინავს.

— როგორც კი დაბინდდება, მო-ვალ.

ანზორი შინ ბრუნდება, ლიზუნას გაუბამს მასლაათს, მალხაზს ზურგზე შეისვამს და დაასეირნებს. მალხაზი კისკისებს, ყურებს უწევს. აღარ ახ-სოვს სახლზე მაღლა რომ აფრინდა. წასვლის დროა, მილიცა ალბათ, ელ-ოდება.

ეკლესიასთან არავინ არის.

ანზორი საფლავის ლოდზე ზის და მილიცას უცდის. ჭრიჭინობელებას ჭრიჭინი ისმის. მილიცას ნაბიჯების ხმა მას არ ესმის, როცა გზაზე გაიელვებს თეთრი კაბა. მილიცა გაბედულად მოაბიჯებს წყვდიადში, საფლავებს შორის, ახლოს მოდის, ანზორი დგება, ხელს მოხვევს და ეკლესიისაკენ წაიყვანს. მილიცა ხელებს დააწყობს მხარზე... ერთად აიჭრებიან ზემოთ, ვარსკვლავებისაკენ, ერთად ამოიკვნესებენ და მიექანებიან ძირს; „აჰ", კვლავ ერთად წამოიძახებენ მაღლა აჭრილნი და ისევ ეშვებიან, ისევ ზემოთ, ისევ ძირს და მილიცას ლოყა მადლობის ნიშნად ანზორის ლოყას ეხება, გოგოს სიხარულს ანზორი ისე განიცდის, როგორც თავისას, თუნდაც იმიტომ, რომ ეს სიხარული მისი ნაჩუქარია.

ანზორი შედგება. მილიცა ისევ ეხვევა ყელზე. მოშორებით რაკრაკით მოსჩქეფს ნაკადული. ტყის თავზე, ფრთების ტყლაშუნით ბუმ გადაიფრინა. ეკლესიის გუმბათიდან წივილით ამოფრინდებიან ღამურები. ღამის დუმილი მაინც დაურღვეველია, ის სავსეა იმ აზრით, რომელიც სიტყვით არ გადმოიცემა.

ცოტა ხნის შემდეგ, ჩურჩულით ეკითხება მილიცას:

— დაინახე?

— არაფერი დამინახავს. რათ მინდა? ისედაც კმაყოფილი ვარ! ეჰ, მე თვითონ რომ შემეძლოს.

— სცადე.

ხითხითებს.

— იმ ბაყაყის ამბავი ხომ იცი, ძალზე რომ იჭაჭაბოდა , ხარად უნდა ვიქცეო, და ბოლოს რომ გასკდა? მე რას შევძლებ? ვერავინ ვერ შეძლებს. შენ ბედნიერი ხარ. მადლობელი ვარ, შენ რომ არა, ვერასოდეს ვერ განვიცდიდი ნამდვილ სიხარულს.

— მე ვარ მადლობელი, — ამბობს ანზორი და მილიცას გულში იკრავს. მილიცა არ ეწინააღმდეგება, მაგრამ სხეული ეძაბება, არ ნებდება, შეიძლება თავისდაუნებურად.

— მე რის მადლობას მიხდი?

— ახლა დავრწმუნდი, რომ სხვებიც გამიგებენ, ბოლოსდაბოლოს აუცილებლად გამიგებენ.

— სხვები? რა თავში იხლი სხვებს? აუცილებლად სხვებიც უნდა აახტუნო?

— შენ რა გენანება?

— ყველასათვის დრო არც გეყოფა... მარტო იმასღა გააკეთებ, რომ ხან ერთს აიყვან და ხან მეორეს. შენთვის დრო არ დაგრჩება.

— მამაჩემსა და პავლეს ხომ იცნობ. მთელი ცხოვრება სხვებს ეხმარებიან. ვითომ ცუდად ცხოვრობენ?

— მე ალთასა ვარ და შენ ბალთას. „ყველას უშველესთან" რა მესაქმება. უბრალოდ არ მინდა, შენ სხვებთანაც იფრინო.

— მაგალითად, ვისთან?

— თუგინდ, მელანოსთან! — ხელს აშვებინებს და იშორებს, — ჩვენთან რომ იყავი, მაშინაც შეგატყვე, რომ გამოიცვალე.

გამოიცვალეო? იქნებ მართლაც გამოიცვალა? ანზორი ჩაფიქრდება. მილიცა შეხედავს და გაიცინებს.

— დღეს, გაბო ისევ იყო ჩვენთან. იმიტომაც დამაგვიანდა. არ გაინტერესებს რატომ მოვიდა?

— ისედაც ვიცი. რაო, მამაშენმა?

— მამაჩემმა? თვითონაც ხშირად მოჰყავს საქმროები ჩემთვის. ერთხელ ავტოინსპექტორი მოიყვანა, მეორედ — მაღაზიის გამგე. ბევრნი იყვნენ, მაგრამ მერე თვითონვე უარზეა ხოლმე. მე არც კი მეკითხება, ასე ამბობს: მე უკეთ ვიცი, შენ ვინა გჭირდებაო.

— შენ რას ეუბნები?

— ჩხუბი მოგვდის. ერთხელ ცემით დამალურჯა, მაგრამ მეც ხელზე ვუკბინე. იმის მერე აღარ მეკარე-

ბა, მაგრამ მაინც მეშინია. რომ იცოდე, ზოგჯერ როგორია!.. — ხელებს კისერზე შემოხვევს, როგორც ახტომის წინ აკეთებს ხოლმე და მოუჭერს: — გეხვეწები ნურავის ნუ გააგებინებ, მოიცადე ცოტა ხანს, იქნებ მეც ვისწავლო!.. დაიფიცე, რომ მოიცდი... ერთ თვეს, ერთ კვირას მაინც. რა დაგიშავდება?

კოცნის თვალებში, ლოყებზე, ტუჩებში, ტუჩებზე ნივრის საამო სუნი ასდის, თავს უკან გადასწევს და ეხვეწება:

— ნურავის ეტყვი, კარგი?

ანზორი იცინის.

— შენ მკვდარსაც კი დაიყოლიებ კარგი, თანახმა ვარ.

— მარტო მე ამახტუნებ?

— ევრე გამოდის.

— ანზო-ორ! — აღტაცებით შესძახებს მილიცა და ისე მიეკრობა მკერდზე, რომ ანზორს დასცხება. მერე ხელიდან გაუსხლტება და გზისკენ გარბის.

ანზორი გზის შესამოკლებლად, შინისაკენ ძველი სოფლის თავზე გამავალ ბილიკს დაადგება. ერემოს სახლში ბნელა. უშანგის სახლში ფანჯრები განათებულია. რაზე ლაპარაკობენ ახლა იქ? ანზორი გზას განაგრძობს. ძველი წაბლის ქვეშ დგება და სოფელს გადაჰყურებს. ქვემოდან მელანოს უნუგეშო ძახილიც ისმის:

— ბიჭიკო! ბიჭიკოო!

ისევ სადღაც გადაიკარგა მისი ბედოვლათი ბიჭი. მაგრამ სახლში რა გააჩერებს მარტოს? მართალია, მელანოს პირზე სულ ბიჭიკო აკერია, ის არის მისი თვალისჩინი, მაგრამ მთელი დღე სოფელში დაწანწალებს და შვილი ავიწყდება. ალბათ, მარტო შვილი არ კმარა მისთვის, მას სურს საზოგადო ცხოვრება, ყველა საქმეში რომ მონაწილეობდეს, იმიტომაც არის მუდამ მეზობლის კარად, ყველაფერი აინტერესებს, ყველაფერს განიცდის. ბევრი ემდურება, მაგრამ მაინც ეძახიან, ისიც თავისებურად ეხმარება მეზობლებს, ყველას მოუსმენს და თანაუგრძნობს.

მილიცას უარს ვერ ეტყოდა, ისე მოიქცა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ რატომ არ იხედება მილიცა იქით. საითაც ანზორი იხედება? საოცარია, მამა თავისას იძახის, მილიცა თავისას, მაგრამ ორივენი ერთსა და იმავე რამეს სთხოვენ, გაჩუმდი და სხვას არაფერი უთხრაო.

ვახშმის შემდეგ, დედა ანზორს ეზოში გაიხმობს, მორზე დასვამს, თვითონაც გვერდით მოუჯდება და ეკითხება, სად იყავი, ასე გვიან რათ დაბრუნდიო, რომელ გოგოს დასდევ, არ გააუბედურო, თუ მართლა ვინმე გიყვარს, რატომ არ ამბობო, თუმცა სოფელში შენი შესაფერი არც არავინ მეგულებაო, ისე კი ცოლის თხოვას ნუ იჩქარებ, სანამ ჯუმბერს სახლს არ ავუშენებთო. ანზორი პასუხობს, ტყუილად აღელვებულხარო, არც ცოლის თხოვას ვაპირებ და არც არავის ვაუბედურებო. დედა თავს გაიქნევს უნდოდ, სახეზე ფანრის შუქი ეცემა, და ჩანს, რომ შორიდან ჰგავს ახალგაზრდას, თორემ ახლოდან აშკარად ეტყობა ხანი, მოტეხილა უკვე.

კლუბიდან გარმონის ხმა ისმის, იქ ცეკვავენ. ანზორი ძმაკაცებს შეუერთდება და ლევანს, ზვიადს და კაჭკაჭას უყვება, თითქოს სიზმარში ნახა, რომ ძალზე მაღლა ახტომა შეეძლო, ხეებზე მაღლა. ზვიადი პასუხობს, რომ თვითონაც ხშირად ნახულობს ასეთ სიზმრებს, ლევანი იცინის.

— ჩვენ ფეხბურთელებს რომ ჰქონდეთ ეგ უნარი!

ზვიადი თავს გააქნევს

— თამაშის უფლებას არ მისცემენ. ინსტრუქცია გამოვა, ორ მეტრზე მაღლა ახტომა აკრძალულიაო.

კაჭკაჭა არც ახლა ამთავრებს სიტყვას:

— მე რომ შემეძლოს, ცირკში წავიდოდი...

ვიმღეროთ, იტყვის ანზორი და გვიანობამდე მღერიან, მერე დიდხანს არ ეძინება, ყურს უგდებს მამის ხვრინვას, დედის, პეპელა ბებიასა და ლიზუნას სუნთქვას. მალხაზი ძილში რაღაცას ბუტბუტებს.

— დამაცადე, მამაჩემი ჩამოვიდეს, გაჩვენებს სეირს...

* * *

— გამარჯობა, შვილო, ანზორ. ჩამოჯექი, მოასწრებ მუშაობას. ამ ბოლო დროს სულ გარბიხარ... რა იყო, არ გინდა ლაპარაკი? მაშინ ჩამოჯექი და მე მომისმინე. მალე, საგარაკო მატარებელი ჩამოდგება, ერთად დავხვდეთ, ერთად გავაცილოთ. დაგავიწყდა ბებერი შაქრო, სულ დაგავიწყდა? რითი ხარ დაკავებული ვერ გამიგია. ყოველ სადამოს ეკლესიისკენ გარბიხარ, ნუთუ ბოსტანი გინდა სხვებზე ადრე მორწყა? არ ვარგა ეგრე. წყალი ყველას ყოფნის, გამდინარე წყალი არ ფუჭდება, გინდ პირველს შეგისვამს და გინდ მეათეს, რა განსხვავებაა. ხალხს კი შეიძლება აწყენინო. ხომ გაგიგონია ანდაზა: ავაფურთხე ულვაშს მოხვდა, დავაფურთხე წვერებსაო. მეზობლებს ანგარიში უნდა გაუწიო, მეტადრე, თუ შენზე უფროსები არიან, ან ბედით დაჩაგრულები. თითქოს გახდი კიდეც, ცარიელა ძვლები ხარ, ეგ არაფერი, ძვალი იყოს, თორემ ხორცს ყოველთვის შეისხამს კაცი. ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, ზოგი უკეთესობისაკენ, ზოგი უარესობისაკენ. მართალია, ამ ჩემი სკამიდან კაცი ყველაფერს ვერ გაწვდები, უწინ, როცა ცხოვრებას ელმავლის ჯიხურიდან გავცქეროდი, მეგონა ყველაფერს ვხედავ, ყველაფერი მესმის-მეთქი. ავარიის შემდეგ რწმენა ისე შემერყა, როგორც დანგრეული ვაგონი. ახლა რწმენის ნამსხვრევებს ვაგროვებ, მაგრამ ვერ მომიგროვებია... აგე, საგარაკოც მოდის. ახლა კაბინაში ისეთი ხელსაწყო დგას, თუ მემანქანეს ჩაეძინება, ან წითელ შუქზე გაივლის, იმ წუთში საყვირს მისცემს, გამოაფხიზლებს მემანქანეს, რომ ავარია არ მოხდეს. მაგრამ მე ეგეთი საყვირი არ მიშველიდა, იმიტომ რომ ნაბრძანები მქონდა. მე თვითონ ვუსტვენდი და ვაფრთხილებდი, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ვუსტვენდი და უბედურებისკენ მივდიოდი. ეჰ-ეჰ-ე, ყველაფერი კაციდან მოდის... ხომ შეგპირდი, უშანგის და ერემოს ამბავს გიამბობ-მეთქი, გგონია დამავიწყდა? მე ყველაფერი მახსოვს, ბებერ შაქროს ჯერ მეხსიერება არ ღალატობს. შენ მაშინა მკითხე, უშანგი თუ იყო ომშიო. მე გიპასუხე, არა-მეთქი. კიდევ შემეკითხე, მაკრინე იყო ის გოგო, რომლისთვისაც მაგათ შორის შავმა კატამ გადაირბინა და მე გითხარი, არა, ის სხვა ქალი იყო-მეთქი. მხსომებია? ფილტრიანი სიგარეტი ხომ არა გაქვს? არა? არაუშავს, ჩემ „პრიმას" მოვწევ. ეგ ჯობია. ზოგჯერ სული წაგძლევს, ძვირიანზე გადახვალ და მერე ჭლექიანივით ახველებ. ნათქვამია, ამ ცხოვრებაში არაფერი არ შეგრჩებაო. შეიძლება, ასეც არის... კარგი, თავს აღარ შეგაწყენ: უშანგის და ერემოს ამბავს მოგიყვები, რაკი შეგპირდი, სიტყვა — სიტყვაა. იქიდან დავიწყებ, რომ დაბადებიდან ერთად იზრდებოდნენ, მეზობლად ცხოვრობდნენ, სკოლაშიც ერთად დადიოდნენ, ტანითაც ტოლნი იყვნენ და ჯანღონითაც ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ. ერთი სიტყვით, ორივე კარგი ბიჭი იყო. მაგრამ სხვადასხვა იერის, ხასიათის და იღბლის პატრონი. თამაშში, სწავლაში თუ სხვა რამეში ერემო ცოტათი წინ უსწრებ-

და უშანგის. ქვეყანა ასეა მოწყობილი, ვიღაცამ ყველას უნდა გაასწროს, ვიღაცა მეორე უნდა იყოს, ვიღაცა უკანასკნელი. მე და შენ გვესმის ეს, მაგრამ უშანგის არ ესმოდა... რამდენჯერ მინახავს: ჭიდაობენ, ერემო უშანგის ბეჭებზე დასცემს, ის კი ბოღმისგან კბილებს აკრაჭუნებს. კიდევ მიიწევს, რამეს უმუხთლებს, იმაცდურებს და მერე იცინის. კმაყოფილია, რომ ღალატით წააქცია. ყველანი ყვირიან: არ იყო სწორიო, მაგრამ ერემო ყურადღებას არ აქცევს, მაჯობა და მაჯობოსო. ზოგჯერ ძალით წაიქცეოდა ხოლმე; უშანგი რომ შეამჩნევდა, მთლად გადაირეოდა. არ იცოდა ანდაზა: ბადრიჯანს რომ ფრთები შეასხა, მერცხლად გადაიქცევაო. მაინც მეგობრობდნენ. როგორც მიწა და ხე. მიწა აძლევს, ხე იღებს. ასე იყო, სანამ უშანგიმ ახალდაბაში ერთი ლამაზი გოგო არ გაიცნო. დაიწყო უშანგიმ იქ მარტოკამ სიარული და გოგო დაითანხმა ნიშნობაზე; ერემო ხელისმომკიდედ წაიყვანა. ახლა იძახიან ერემოს წასვლა არ უნდოდაო, მაგრამ არ მჯერა ეგ ამბავი. მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ ამბობენ, გოგომ ერემო რომ დაინახა, თვალს ველარ აშორებდაო და ერემოც სულ პატარძალს უყურებდაო. ცქერას ვინ დაგიშლის, მაგრამ ცქერაც არის და ცქერაც. ზოგი შემოხედვა ადამიანის მთელ სულს გადმოშლის. ასეც მოხდა. უშანგი თითქოს რაღაცას გრძნობდა, ქორწილს აჩქარებდა. მშობლები შემოდგომით აპირებდნენ, უშანგიმ საპირველმაისოდ გადაწყვიტა ასეც შეთანხმდნენ. გავიდა ერთი კვირა, მეორე, უშანგის მშობლები ჩქარობდნენ, ცოტა დრო იყო დარჩენილი, ეს ამბავი აპრილში ხდებოდა. პატარძლისათვის ნაცნობობით ოქროს საათი და ლაკის ფეხსაცმელები იშოვეს, ორი მოზვერი იყიდეს, ათი ცხვარი. ღვინისთვის იმერეთში კაცის გაგზავნას აპირებდნენ, რომ უცებ... საპატარძლოს მამა და ძმა ჩამოდიან. მიხვდი ალბათ. ჩამოვიდნენ უარით. დიდი ამბავი დატრიალდა. ქორწილი უკვე გამოცხადებულია. გოგოს მამა აქეთ ბოდიშებს იხდის, იქეთ გოგოს ძმა იმუქრება, მოვკლავო ჩემს დას. უშანგის მშობლები შეურაცხყოფილად თვლიან თავს, უშანგიზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, თურმე გოგოს ნიშნობის მერე განუცხადებია, მტკვარში თავს დავიხრჩობ და მაგას არ გავყვებიო. რას გაიგებ! სოფელში ხმა გავრცელდა, ვითომ ერემომ შეუშალა მეგობარსო, და თითქოს უშანგის ეთქვას. ერემომ თუ ეს გოგო მოიყვანა, ორივეს თავს წავაცლიო. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე დღის მერე ერემოჰ თან წაიყვანა უშანგის მამა გრიგოლი, კიდევ ერთი კაცი, აღარ მახსოვს მამაშენი იყო, თუ „ყველას უშველე“, და წავიდა ახალდაბაში საქმის ჩასაწყობად. უთქვამს: ძმაკაცის გულისთვის ყველაფერს ვიზამ, გოგოს დავიყოლიებო. რას დაიყოლიებ? რა უთხრა იმ გოგომ ერემოს, არ ვიცი, მაგრამ ამბობენ, ერემოს რომ მოუსმინა, განზე გაიხმო და ყურში რაღაც უჩურჩულაო ერემო კი კარში გავარდა და უკანმოუხედავად მოჰკურცხლაო. ყველგან ეძებეს. ბოლოს შინ დაბრუნდა წვერგაუპარსავი, გაბურძგნილი... იმ დღიდან შეიცვალა, ხან ტყეში დახეტიალობდა, ხან მთებში დაძვრებოდა, არავის არ ცნობდა, და ასე იყო მანამდე, სანამ ივნისში ომი არ გამოცხადდა. მეორე დღესვე წავიდა ერემო ფრონტზე. იქიდან როგორი დაბრუნდა, შენ თვითონ ხედავ. უშანგის ყოფილი საცოლე არ გათხოვილა, ომის მერე ერემოსთან მოდიოდა ხოლმე. მაღალი ქალი იყო, ლამაზი, სოფლის ქალიაო, არ იტყოდი. მე თვითონ მინახავს და მილაპარაკია. ბორანიდან გადმოვიდა და მკითხა, ერემო სადა ცხოვრობსო? მე ვაჩვენე და გავიფიქრე: ვინ უნდა იყოს-

მეთქი? დანარჩენი ქალებისაგან შევიტყე. ვითომ იმ ქალს ეთქვას, მიყვარს და ცოლად გავყვებიო, რა ვუყოთ რომ ხეიბარია, ბავშვებს ბავშვთა სახლიდან ავიყვანთო. ერემოს უარი უთქვამს და ქალი წასულა. ამის მერე მგონი ერემოს დასცინოდნენ, სულელია, მოეყვანა ის ქალი, ხმის გამცემი ეყოლებოდაო; მეორენი ამართლებდნენ, მაგისთვის ცოლის მოყვანა რა ბედენაა, სხვისთვის ხომ არ მოიყვანდაო; მესამენი ფიქრობდნენ. ერემოს უშანგისა შეეშინდაო, მაშინ უშანგი ჯერ კიდევ უცოლო იყო. ზოგიერთები ქალს აქებდნენ, ზოგიერთები დასცინოდნენ, იყო კამათი, უყვარდა ერემოს ეს ქალი თუ არაო. ლაპარაკობდნენ ქალები, აბა, კაცები სიყვარულზე ხომ არ ილაპარაკებდნენ! ეს ამბები ჩემი დედაკაცისგან ვიცი. ბევრი ილაპარაკეს, გული მოიოხეს და გადაავიწყდათ ის ამბავი; ახლა არავინ იგონებს წარსულს. ერთხელ სიტყვამ მოიტანა და „ყველას უშველემ“ თქვა, უშანგის დღემდე ვერ უპატიებია ერემოსათვის თავისი დაკარგული საცოლეო, მაგრამ ეს მარტივი განმარტებაა. არც უშანგის საცოლით დაწყებულა ყველაფერი და არც იმით დამთავრებულა. შენ რა ენა ჩაგივარდა? კარგი, კარგი, თუ არაფერი გაქვს სათქმელი, ჩუმად იყავი. მეც მიყვარს ხანდახან გაჩუმება... გესმის, საბარგო მოდის. ძლივს მობობღავს. აქ ვერც გაქანდები, ისეთი ვიწრო მოსახვევებია. სიჩქარეს მოუმატებ და ლიანდაგიდან გადავარდები. ამ გზას გამოცვლა უნდა, უკვე ასი წლისაა. ჩვენი სოფელი რკინიგზისთვის ისეთივე უმნიშვნელო რამეა, როგორც ბუჩქი ჩქარი მატარებლისთვის. სანატორიუმი რომ აეშენებინათ, მაშინ სხვა იყო..

* * *

ანზორი ჯაგებს ჩეხავს, საბოსტნე ნაკვეთს ამზადებს — გაზაფხულზე კოლექტივი აქ კიტრს დათესავს. მალე მილიცაც მოვა.

მრგვალი სახე ამ ბოლო დროს ჩამოუგრძელდა, ღაწვები ჩაუცვივდა, თვალებიც ავადმყოფი ბავშვივით ნაღვლიანი გაუხდა. არ ამბობს გულს რა უღრღნის, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდება ხოლმე, როცა მაღლა აფრინდებიან. თვალებს აღარ ხუჭავს, მაგრამ შორს არ იყურება, თითქოს საკუთარ თავს აკვირდებაო, და ანზორს უკვირს, რას ეძებს თავის თავში? ანზორიც გახდა. საკუთარი თავი დამნაშავე ჰგონია, ხან დედის წინაშე, რომელსაც თავის უნარს უმალავს, ხან მთელი სოფლის წინაშე, განსაკუთრებით კი, ერემოს წინაშე, რომელიც შეხვედრისას, პირს არიდებს, თითქოს ანზორს რამე ბრალი მიუძღოდეს. მაგრამ ერემომ იცის... ზოგჯერ ყველაფერი ისე ბეზრდება, რომ იმ დღეებს ნატრობს, როცა ხტომა არ შეეძლო და სხვებსავით ყოველდღიური საქმიანობით იყო გართული...

მილიცა მორბის, თან კალათი მოაქვს სოკოების დასაკრეფად. ანზორს შორიდან შეამჩნევს და სახეგაბადრული უძახის:

— ანზორ, მოვდივარ!

ამის მეტ სიტყვას არ იტყვის, სანამ ხტუნაობით არ დაიქანცება.

ფერდობს აყვებიან და ტაშირზე შეჩერდებიან. ანზორი ცულს მორში ჩაასობს, მილიცა კალათს მიწაზე დადებს, მიუახლოვდება ანზორს და ხელებს კისერზე მოხვევს.

ანზორი იღლიებქვეშ მოკიდებს ხელებს და აფრინდებიან. მილიცას თვალები ნახევრად მიუნაბავს და ისეთი სახე აქვს, თითქოს შორეულ მუსიკას უსმენს.

— თვალი გაახილე, — წყრომით ეუბნება ანზორი, — გაიხედე გარშემო, ადამიანებს შეხედე.

— კარგი.

ხელმეორედ ხტებიან.

შორს, თოვლით დაფარულ მწვერვალის თხემზე, მთამსვლელები ადიან. ერთი კოჭლობს, დანარჩენებს ჩამორჩენია. მილიცა წამოიკივლებს.

— დაინახე?

— ჰო-ო!-ისე პასუხობს, თითქოს მღერისო. — მე მჯეროდა შენი, მაგრამ არ მინდოდა გახედვა.

— რატომ?

მილიცა არ პასუხობს, მაგრამ ჩვეულებისამებრ თხოვს:

— კიდევ!

ისინი ისევ აფრინდებიან. ანზორი ხედავს, ჩამორჩენილ მთამსვლელს მეგობარმა როგორ ჩამოართვა ზურგჩანთა. მილიცა ხედავს ამას, ძირს რომ ჩამოხტებიან მილიცა მორზე ჩამოჯდება.

— დაიღალე? რატომ იღლები ასე?

— არ ვიცი, გაფრენის შემდეგ ყველაფერი მტკივა. ძალიან ვცდილობ და...

— რომ წამეშველო?

— შეიძლება. — წარბებს შეკრავს. — არა, მე მინდა თვითონ, ვცდილობ, ვცდილობ, მაგრამ რაღაც მაკლია... ხანდახან ვფიქრობ, ნეტავი სულ არ გეჩვენებინა.

— როცა ფრინავ, ხომ გიხარია?

— მიხარია, მაგრამ.. მერე სულ ვფიქრობ, ვაკვირდები დედას, მამას, საკუთარ თავს სარკეში, და ვერავის ვერ ვცნობ. ეტყობა, ძალზე მაღლა მიმაფრენ... როცა მთაზე ამავალი ადამიანები დავინახე, ჩემი თავი ძალზე პატარა მომეჩვენა.

— პატარა?

— ახლა, მთლად ბალღი კი არა, მაგრამ ვგრძნობ, რომ არაფერი არ მინახავს და არც არაფერი ვიცი.

თვალებს დახრის.

ანზორი დგას და ზემოდან დასცქერის. ლამაზია. განსაკუთრებით ლამაზია, როცა მასთან ერთად მაღლა მიფრინავს, როცა რაღაც უხარია. კისერზე რომ მოხვევს მკლავებს, მკვრივი ტანით რომ მიეკვრება, ფრენის განცდის ბედნიერებით სუნთქვაშეკრული, ანზორს ყველაფერი ავიწყდება.

— ერთი რამ უნდა გითხრა, ანზორ. — მილიცა მუხლებზე შემოიხვევს ხელებს და თითქოს პატარავდება, — წამომცდა, მამაჩემს ვუთხარი.

— მამაშენს? — ანზორი გვერდით მიუჯდება.

— ჩვენთან ისევ იყო გაბო. მამაჩემი რაღაცაზე გაცეცხლებული იყო, დედაჩემს შეუტია, მეც მომდგა, ქორწილისათვის მოემზადე, შენისთანა სულელს ამაზე უკეთესი კაცი არ ეკუთვნისო... ვეღარ მოვითმინე და მივახალე, რომ... ერთი სიტყვით, ვუთხარი, რომ მე და შენ ერთად დავფრინავთ. — ანზორისკენ შემობრუნდება და თავს მხარზე მიადებს. — არ უნდა მეთქვა, არა? არ მინდოდა, წამომცდა.

— იმან რა გიპასუხა?

— ჯერ გაიცინა, მერე ძლანძღა, სულელი და მატყუარა მიძახა. მერე მითხრა, ენას კბილი დააჭირეო. შენზე თქვა, მაგას ჭკუას ვასწავლითო. ახლა ალბათ, გეძებს. დილიდან კანტორაში იჯდა.

— ეგ როდის მოხდა?

— გუშინ. მომხვიე ხელი, მითხარი, რომ აღარ მიწყრები.

ხელს გადახვევს და ჩაფიქრებული ზის. მილიცას თმები ყურთან ულიტინებს.

— ჰეი, ყიყლიყო-ო! — ისმის ზემოდან უშანგის როხიო ხმა.

ფერდობზე ქვა ჩამოგორდა.

— მამაჩემია, — მშვიდად ამბობს მილიცა. — რა ვქნათ! თუ გინდა ვიჯდეთ ასე, დაგვინახოს..

— წასვლა აჯობებს. შინ დაბრუნდი, მე თვითონ ველაპარაკები... გაიქეცი!

მილიცა წამოდგება, მოიხრება და ბუჩქებისკენ გარბის.

ანზორი მარტო რჩება.

ნაძვნარიდან უშანგი გამოდის, სალამს არ ამბობს, მორზე ჯდება, ფშვინავს, შუბლიდან და კისრიდან ოფლს იწმენდს, კისერი სიმსუქნისაგან დანაოჭებია.

— დღეს ცოტა გიმუშავნია! მამაშენს არ გავხარ შრომაში, ის მაშინაც მოწინავე იყო, როცა ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ გამოეგონათ. — მისი გადმოკარკლული თვალები უნდოდ, ეჭვიანად ათვალიერებენ ანზორს. — შენთან სალაპარაკო მაქვს. — სისინებს უშანგი, ახეელებს და მოლზე აფურთხებს. — აქ ვინ იყო? — მილიცას დატოვებულ კალათს იღებს მიწიდან.

— მე რა ვიცი!

— წესიერად მელაპარაკე! მილიცა იყო?

— არ ყოფილა.

კალათს ხელში ატრიალებს და შიგს გადაისვრის, კალათი ხტუნვახტუნვით მიგორავს ქვემოთ, წყაროსკენ. ანზორი თვალს გააყოლებს.

— შენთან ყბედობის დრო არ მაქვს, — იწყებს უშანგი. — შენც ერთი კარგი ალიყურის გარდა, არაფრის ღირსი ხარ. ყველაფერი ვიცი, ყიყლიყო. — წამით გაინაპება მონადირესავით, რომელსაც ჩიტი ამოუღია მიზანში.

— რა იცი? — ეკითხება ანზორი.

უშანგი გაცეცხლდება, თუ გაბრაზებულად ცდილობს თავი მოაჩვენოს.

— ძვლები უნდა დაგიმტვრიოს კაცმა! შენი მშობლები რომ არა...

„თავშეკავებაა საჭირო, და ეშმაკობა“ ანზორი გაკვირვებით შეხედავს უშანგის. უშანგის თვალებში გაოცება გამოესახება მაგრამ მაინც თავისას აგრძელებს.

— მილიცამ ყველაფერი მიამბო. ჩემი გოგოს შეურაცხყოფას არ გაპატიებ. — ქეჩოში ხელს დაავლებს ანზორს და ანჯღრევს. — კარგად დაიხსომე, ჩემი გოგო საშენო არ არის. ჩემი გოგო ოქროა, ბაჯაღლო ოქრო, გაიგე?!

— კი, როგორ არა. მეც ვიცი, რომ კარგი გოგოა, — კვერს უკრავს ანზორი.

— მილიცასთან ერთად ტყეში ყოფილხარ, თუ არ ყოფილხარ? — ბღავის უშანგი.

— ერთხელ შევხვდი, მარწყვს კრეფდა.

— ნუ ცუღლუტობ! იცოდე, მამაშენს მოველაპარაკები.

— ხელი გამიშვი , ხალათი არ დამიხიო, — ანზორი თავს ითავისუფლებს .— თუ გინდა საღამოს შემოიარე, ჩვენები შინ იქნებიან, იქნებ მილიცას ჩემზე არ უთქვამს?

უშანგი თვალებს დააჭყეტს, ხველა აუტყდება და გადააფურთხებს.

— გავცივდი, მგონი, ეს ოხერი!.. ამას დამიხედეთ, შენზე არ ამბობს?

მე მისთვის არ მიწყენინებია, ხმა არ გამიცია, — წყნარად ამბობს ანზორი, — აქ რაღაც გაუგებრობაა. რაო, რა თქვა მილიცამ?

— რაც იყო ისა თქვა, ხმას დაუწია უშანგიმ და ბუზღუნზე გადავიდა. ახლა თავის ჩვეულებისამებრ, სხვანაირად ალაპარაკდება. — შენ ნუ ბრაზდები. როცა შვილები გეყოლება, მიხვდები. აბა, წარმოიდგინე: უმცროსი და გყავდეს, და ვიღაცას მალულად ხვდებოდეს ტყეში, ხმას არ ამოიღებდი? ახალგაზრდები შორს არ იყურებიან, ბიჭი რას დაეძებს, მუცლით გოგომ უნდა იაროს... გესმის?

— მესმის, გაუგებარი რა არის?!

— ჰოდა, — უშანგი მხარზე ხელს ადებს. — იქნებ გულში ცუდი რამ არც გიდევს, მაგრამ — ყველამ თავისი გზა უნდა იცოდეს. არ გეწყინოს და, მილიცას მე თავის შესაფერ კაცს გამოვუნახავ.

— მე რა, მაჭანკლები გამოგიგზავნე?

— გამიგე, რას გეუბნები? — უშანგი გამომცდელად შესცქერის ანზორს.

— გავიგე-მეთქი, რა არის გაუგებარი.

— მაშინ, მე წავედი.

უშანგი დგება, თავის ცულს ეძებს. მაგრამ უშანგი არ მიდის, სწრაფად შემობრუნდება და ეკითხება:

— მართლა იცი მაღლა ხტომა? — თვალს თვალში გაუყრის. — მილიცა რაღაცას მიედ-მოედებოდა, ვერ გავიგე.. იქნებ ისე ჩაეხუტე, რომ ელეთმელეთისაგან ცაში ფრენა დაიწყო? — უშანგი ცისკენ იშვერს ხელს და თვალს უკრავს ანზორს, თითქოს მისი ტოლი და მეგობარი იყოს. ანზორი ღიმილით შესცქერის უშანგს. გინდა სიმართლე? ახლავე გაიგებ. რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს და მაღლა აფრინდება.

უშანგი თავს ისე სწრაფად აიშვერს, თითქოს ნიკაპში მუშტი ამოარტყესო, უკან უკან მიფარფატებს. მორს ფეხს წამოკრავს, აყირავდება და ზურგზე დაეცემა, მუცელზე გადმობრუნდება და ოთხფეხზე შემდგარი ბუჩქებისაკენ მიფორთხავს.

ანზორი დაბლა ეშვება ,შესცქერის უშანგის შიშისაგან გალურჯებულ სახეს და იცინის. მერე ანზორი ცულს აიღებს და წყაროსკენ დაეშვება.

ბუჩქის გაკაფვას ვერ ასწრებს, რომ უშანგი თავზე დაადგება.

— დაანებე მაგ ოხერს თავი, რა დროს მუშაობაა! — თვალები აქეთ-იქით გაურბის, მუცლის ტკვილისაგან იჭმუხნება. — მეგონა იმ გოგომ მომატყუა. ეს რა ქენი, კაცო? ეს რა ვნახე? — გამწარებული გარბის შვინდის ბუჩქებისაკენ, შარვალს ჩაიხდის და ჩაცუცქდება. თურმე დათვის ავადმყოფობა სჭირს. ანზორი მობრუნდება და გაშმაგებით ურტყამს ცულს ძეძვის დაუმორჩილებელ ბუჩქს.

უშანგი ბუჩქებიდან გამოძვრება, რუში ხელს იბანს, წყალს პირზე შეისხამს და ანზორთან მიდის.

— დააგდე ცული, აქ მაინც არაფერი გაიხარებს! ვილაპარაკოთ.

— ხომ ვილაპარაკეთ, მორჩა!

უშანგი მთხოვნელივით დგას ანზორის წინაშე. რა ცოტა სჭირდება ადამიანს. ნეტა, რას შეეხვეწება ახლა უშანგი, ან რას მოთხოვს?

— მითხარი, მაინც, როგორ აკეთებ? — მოწიწებით ეუბნება უშანგი.

— მინდა და ვაკეთებ.

— გინდა? — უშანგი ჩაფიქრდება, — თუ შეიძლება კაცმა ისწავლოს?

— შეიძლება. მე ვაჩვენებ ყველას.

უშანგის სახეზე ისევ მიწისფერი ედება.

— ყველა რა საჭიროა?

ნაცნობი სიტყვებია, უკვე მესამედ ესმის ანზორს ეს სიტყვები.

— მილიცასა და ჩემს გარდა ვინმეს რომ გაეგო, კარგა ხანია ალაპარაკდებოდნენ, — ხმამაღლა ფიქრობს უშანგი. — ეტყობა, რომ ჩვენ ორმა ვიცით. — აქეთ-იქით ბოლთას სცემს, კენჭს ფეხს გაკრავს და წყალში ჩააგდებს. ანზორის წინ შედგება და პირდაპირ თვალებში ჩააჩერდება. — დამნაშავე ვარ, მაპატიე. ერთი ეს მითხარი, მე თუ შევძლებ?

— ვერა, — დაბეჯითებით, სიამოვნებით პასუხობს ანზორი.

— ასაკი, წლები თავისას შვება, — თვალებში სისხლი მოაწვება უშანგის, თხელ პირს ღიმილი უპობს და ულვაშებს ქვემოთ ელავს თეთრი ეშვისებური კბილები. — ცოტაც რომ ვილაპარაკოთ, შენ არაფერი დაგიშავდება. მოდი, აქვე ქვაზე ჩამოვსხდეთ.

უშანგი ლოდზე ჩამოჯდება, ანზორი შეყოვნდება და მეორე ლოდზე მოკალათდება. უშანგი ხმადაბლა იცინის, თავს იქნევს.

— როგორ შემეშინდა. მოულოდნელობისაგან სულ მთლად დავიბენი შენ არხეინად გეცინებოდა... მაგრამ ასეთი რამისაგან არც შენა ხარ დაზ-

ღვეული. მოულოდნელობა სიკვდილს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კაცი ცოცხალი რჩება. მაშ, შენ ამბობ, რომ ყველას უნდა უჩვენო? ჯეელობით მოგდის ეს სისულელე. მეტი რა გაგაჩნია, რომ მაგასაც სხვებს აძლევ? ნუ იზამ მაგას. — მის ხმაში მუქარა გაისმის, რომელსაც თვითონაც ვერ ამჩნევს, და რომელიც სულ არ ეხება მის ნათქვამ სიტყვებს. — ხალხს რომ ხტომა ასწავლო, არ შეიძლება, მაგას ვერ დავიჯერებ. აი, ვინმე რომ თან აიტაცო, როგორც მილიცა, ეგ შეიძლება. მე, მაგალითად, ამწევდი?

— თუ მოვინდომებ?..

— თუ მოინდომებ?..

უშანგის თვალებს განუჭვრეტელი საფარი ჩამოეფარა, ის პირქუშად შესცქერის ანზორის ცულს, დიდხანს უყურებს, რაღაცას ფიქრობს. ნეტა, მოკვლას ხომ არ უპირებს?

— ვიცი, რა თვალითაც მიყურებ შენ, — ისევ ალაპარაკდება უშანგი. — შენც და სხვებიც. ყველა კაცი ერთსა ფიქრობს და მეორეს ამბობს. ამას რომ მიხვდე, ბევრი რამ უნდა განიცადო. — უშანგი თავს გააქნევს და მძიმედ ამოისუნთქავს, თითქოს გული ამოაყოლაო. თავისი ძველი შეყვარებული ხომ არ მოაგონდა? უნებური თანაგრძნობით შესცქერის ანზორი უშანგის მოწყენილ სახეს. ამასაც თავისი გაჭირვება აქვს, ამასაც უყვარს ცოლშვილი, და ამასაც აქვს თავისი სადარდებელი.

— ის, რაც შენ ბედმა გარგუნა, პატარა რამ როდია. ეს ძალაა, ბაჯაღლო ოქროა. შენ ვერც წარმოგიდგენია რა შესაძლებლობების და რა საშიშროების წინაშე დგახარ. ეგ რომ ხალხმა გაიგოს, გაგგლეჯავენ, ნაკუწებათ გაქცევენ. კიდევ კარგი, მარტო მე და მილიცამ ვიცით. სხვამაც იცის ვინმემ?

— ერემომ, — ეცინება ანზორს.

— მასხრობ? — უშანგიც ჩაიხითხითებს, — იმასხრე კაცო, მასხრობას რა ჯობია. ახლა მოდი, საქმეს მივხედოთ. ყური მიგდე. მომავლში საქმეს როგორ წაიყვან, შენ, რასაკვირველია, არ იცი. ნადირს რომ თოფი დაუმიზნო, არა კმარა, კიდეც უნდა მოკლა, გაატყაო და შეწვა. მე მოგეხმარები. ჩემსავით ვერავინ ვერ მოგეხმარება. ერთად მოვიფიქროთ, როგორ მოვიხმაროთ შენი სიმდიდრე. შენ მარტო ვერაფერს გახდები, ნამდვილად გაგიჭირდება, მე ხომ გიცნობ რაცა ხარ...

რაღაც იფარება ამ სიტყვებს იქით, რაღაც დაფარული მიზანსწრაფვა.

— მე არ გაჩქარებ, კარგად მოიფიქრე. — ალალმართალი კაცივით ამბობს უშანგი, — ასწონ-დასწონე და ისე გადაჭერი, მაგრამ არ შეცდე იცოდე, თორემ შეცდომა ძვირად დაგიჯდება. — თვალები მხიარულად აუცეტდება, თითქოს რაღაც უცებ მოაგონდაო. — რაც მართალია, მართალია, ყველაფერი არ გითხარი. რაკი გულახდილი საუბარია... იცი, მილიცამ შენზე რა მითხრა? ერთი საქმრო გამოვუნახე და ვუთხარი, — უშანგი ხითხითებს და ანზორს მუხლზე ხელს ურტყამს, — ხო იცი მილიცა რა კაპასიც არის? იმოდენა მიყვირა, თავი დამანებეთ თქვენი საქმროებითო, რომ კინაღამ გული გამისკდა. ეგენა ანზორის ნეკის ფრჩხილად არა ღირანო. იცით, ანზორი რა ბიჭიაო?! ასე გავიგე შენი ამბავი, — უშანგი დაიხრება და გულთპილად ჩახედავს ანზორს თვალებში. — არ გეწყინოს ჩემი სიფიცხე, შენი გამოცდა მინდოდა. მართლა გიყვარს ის გოგო, მისთვის თავს გადადებ, თუ უკან დაიხევ. მწყინს, შენი სიტყვა რომ უკან წაიღე. თორემ შენზე უკეთეს სიძეს არც ვინატრებდი. — თავს მჭმუნვარედ დახრის დაბლა, — იფიქრე მილიცაზე, ა? მოდი, მოვილაპარაკოთ და ეს საქმე

მე და შენ ბოლომდე მივიყვანოთ.

ჭრიალი ისმის. ნაკადულის პირას, მილასლასებს ერემო, პატარა ფესვებგამხმარ ნაძვს მიათრევს. უშანგისა და ანზორის დანახვაზე, შეჩერდება.

ანზორი წამოდგება. ცულს აიღებს და უშანგის გაუწვდის.

— წადი, ჯაგები გაკაფე! — ამბობს ის. — იშრომე, როგორც წესია, აქ მაინც არაფერი გაიხარებს.

— რას მიჭქარავ? — ცულს დასწვდება უშანგი და ანზორისკენ გაიწევს.

— აბა, დამიჭირე! — ანზორი ხარხარებს, განზე გახტება, მაღალ კლდიდან იყურება ძირს. უშანგი ცულს დააგდებს, მუშტებს იქნევს და ყვირის. მეორე ნახტომით ანზორი მთის წვერზე მოექცევა, კიდევ ერთხელ ახტება, და ცაში აფრენილი ხედავს უნაპირო მიწას და ხალხის ნაკადს, სადღაც ერთად მიმავალს...

* * *

ჩამავლი მზე ანათებს დათვის გორას, ყვითელი სხივი ეღვრება შორიდან ლურჯად მბზინავ ნაძვებსა და ფიჭვებს. კლდეებს მიმინო დაჰფრენს ზემოდან. სადღაც, ეკლესიის მიღმა, ძროხა ბღავის.

ანზორი შაქროს უახლოვდება, ესალმება.

— ეხმარები? — ეკითხება შაქრო. — ცოტა ხანს შეისვენე, ჩამოჯექი.

ღობის გასწვრივ, ეზოში, სოფლელები დგანან. ქალები სახლში შესულან მაკრინესთან და მილიცასთან. სამზადთან „ყველას უშველე“ და მელანო ფუსფუსებენ. სამზადის უკან, ღვინიანი კასრი დგას. მესერის გასწვრივ ფიცრებისაგან სკამები და მაგიდები შეუკოწიწებიათ და ზედ გადაუფარებიათ. გოგოებს თეფშები, ჩანგლები და დანები დააქვთ. კაჭკაჭას, ზვიადს და ლევანს ღვინიანი ბოთლები მოაქვთ მაგიდებთან. ღვინის ბოთლები ქაღალდის საცობებით არის დაცობილი, რომ არ დაიმტვეროს, სანამ ხალხი სასაფლაოზეა იქნება.

იმ დღეს, უშანგისთან საუბრის შემდეგ, შინ დაბრუნებული ანზორი დედამ ხაშურის რაიონში გაგზავნა, ლიზუნას მშობლებთან, რომელთაც მომავალი შვილიშვილისათვის საჩუქრები შეეძინათ. ანზორი იმავე საღამოს აპირებდა დაბრუნებას, მაგრამ ნათესავებმა არ გამოუშვეს და ღამე იქ დარჩა, დილით, ელექტრომატარებელს ჩამოჰყვა. ვაგონში გაბოს შეხვდა, გორგლად დახვეული ხელოვნური ტყავი მოჰქონდა. გაბო გვერდით მიუჯდა. ანზორმა ჰკითხა, საქმე როგორ არიო. „საქმეს რა უჭირს? — უპასუხა გაბომ ღიმილით და თავისი მეჩხერი კბილები გამოაჩინა, — ბებია ქალებს, მესაფლავეებს და მეწაღეებს საქმეს რა გამოულევს. ჩემი და ისევ ფეხმძიმედაა, არისტოტელეს ცოლი, ლუიზა... ყველაფერი ჩემ თავზე გადადის, ყელში ამომივიდა. მინდა ჩემ თავსაც მივხედო. დედაჩემი მეჩიჩინება, რას ჩააცივდი ამ მილიცასო. წაიყვანონ ქალებმა აბანოში და მივალ ერთი ვნახავ, რაიმე ხინჯი არ ჰქონდესო. ვის უძებნის ხინჯს?! სკლეროზი აქვს საწყალს, ისევ ცხრასცამეტი წელი ჰგონია უშანგის ველაპარაკე, გამლანძღა, მაგრამ ზომა ამაღებინა. ფეხსაცმელს შევუკერავ. უჯიათი კაცია, ასე მითხრა, ახლა გავიგე შენი ფასი. შენსას გაიტან, ოქროს ხელებიც გაქვსო, იცი, მგონი, მართლა წავიყვანო მილიცა...“

ანზორი თითქმის არ უგდებდა ყურს, უცნაურად ეცოდებოდა გაბო. გვერდი-გვერდ ისხდნენ, ზოგჯერ გაბო მხარს წაკრავდა და თითქოს უფრო შორდებოდა მას და ამიტომაც უჭირდა რაიმეს თქმა. რა აზრი ჰქონდა მიმავალ კაცთან ლაპარაკს. ანზორი ფანჯარაში იყურებოდა — მტკვარი ისე სუფთა და კამკამა იყო, რომ ფსკერზე კენჭები მოჩანდა. ნაპირის

გასწვრივ მიცურავდა ხეებიდან ჩამოცვენილი ფოთლები და მაზუთის ნალევენთი. გაბოს ხმა სადღაც, შორიდან ისმოდა. გაბოს მილიცას წაყვანა უნდა. როცა ხეს ბერტყავ, მწიფე ნაყოფი ცვივა, ოღონდ ხელი შეუშვირე. დაიჭირე? ვინ არის ეს — მილიცა? მოალერსე ტუჩები, ცხელი ჩურჩული, თაფლისფერი თვალები, ფართოდ გახელილი რომ შესცქერის ქვეყანას. უშანგისთან საუბრის შემდეგ, აღარ ენახა ის... დაიკივლა ელმავალმა და ანზორს მატარებელი მოაგონდა, დაღმართში გამოქანებული. დაბრუკული ადამიანები, ხმაური, შაქროს მიწისფერი სახე, აფეთქება, ცეცხლის ალმური, ხეები რომ გადატრუსა, მდინარეზე მცურავი ალი...

როცა მატარებელი ახალდაბას გასცდა, ვაგზლის კედელზე წარწერა წაიკითხა, რომელიც ალბათ, იმდენივე წლისა იყო, რამდენისაც ეს რკინიგზა, წარწერა ლიანდაგებზე სიარულს და მატარებლიდან ჩამოხტომას კრძალავდა. წვრილი ასოები ძნელი გასარჩევი იყო, ხოლო მსხვილი ასოები კარგად იკითხებოდა: „ნუ დადიხარ!" „ნუ ხტები!" მერე, სადგურს რომ გაცდა, ბოძზე სხვა წარწერაც დაინახა: „დაკეტე ქვესაბერი!" და გაეცინა. გაბომ ეს სიცილი თავის თავზე მიიღო და გაჩუმდა, რაზე ლაპარაკობდა, ანზორს აღარ ესმოდა.

შინ რომ დაბრუნდა, ანზორმა გაიგო უშანგი მოკლესო. იმ საღამოს, ანზორი რომ უშანგის ელაპარაკა, „ყველას უშველე" რკინიგზის ბაქანზე ხიდისკენ მიმავალ ერემოს შეხვედრია. ერემოს უთხოვია, ქალები გააგზავნე მაკრინესთან, უშანგი მოკვდა და შეატყობინეო. „როგორ თუ მოკვდა?" — გაუკვირდა „ყველას უშველეს". „მე მოვკალი უშანგი, თავში ნაჯახი ჩავარტყიო — უთქვამს ერემოს, — წყაროს პირზე გდია; კაცები წავიდნენ და წამოიღონო. მე მილიციაში უნდა გამოვცხადდეო." „ყველას უშველე" უკუღმა და ველარაფერი ჰკითხა, მოჯადოებულივით შესცქეროდა ერემოს მოხრილ ზურგს, როცა იგი ბონდის ხიდით მდინარის მეორე ნაპირზე გადადიოდა.

ანზორმა მისცა უშანგის თავისი ცული. ნუთუ ამ ცულით მოჰკლა ერემომ უშანგი? თუმცა ერემოს თავისიც ჰქონდა ქამარში გარჭობილი. გამომძიებელი ნაჯახით არ დაინტერესებულა, ერემო ხომ თავისით გამოცხადდა და განაცხადა, ჩემი მოთმინების ფიალა აივსოო. რა მოხდა მათ შორის? უშანგი მკვდარია, ერემო კი დაწვრილებით არაფერს ყვება.

მამაკაცები ერთმანეთში ბაასობენ:

— ისეთი ჯანმრთელი იყო, ას წლამდი გაძლებდა.

— სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო.

— სმაში ტოლს ვერავინ დაუდებდა.

— უკაცო ოჯახის ცხოვრება ძნელია.

— რა არის ჩვენი ცხოვრება, იყო კაცი და აღარ არის...

ახლა, როცა უშანგი მკვდარია, ყველას მისი სიკეთე სურს მოიგონოს. მაგრამ მილიცას და მაკრინეს უფრო ხშირად ახსენებენ, ეცოდებათ. ერემოზე ხმას არავინ იღებს, თითქოს ის არასოდეს არსებულა.

გაბო მიუახლოვდათ. პალტოსავით გრძელი ახალი შავი კოსტუმი აცვია. თეთრ პერანგზე დიდი, განიერი ჰალსტუკი გაუკეთებია. საქორწილოდ ხომ არ შეიკერა ეს კოსტუმი?

— ეს რა უბედურებაა, — ამბობს გაბო, — დღეს უნდა მოსულიყო ჩემთან ფეხსაცმელების წასაღებად.

ხიდიდან, რკინიგზის ბაქნიდან უშანგის სახლისკენ გაჭიმული ჩამოსული ხალხის ნაკადი — უშანგისა და მაკრინეს ნაცნობ-ნათესავები არიან, კაცები ეზოში რჩებიან, ქალები შავ თავსაფრებს ჩამოიფარებენ და ოთახში შედიან.

მაკრინე ყველას მოთქმით ხვდება. ღია ფანჯრიდან ანზორი ხედავს კუბოს, უშანგის სახეზე თეთრი ნაჭერი აქვს დაფარებული, კუბოსთან ზის ერთბაშად დაბერებული მაკრინე, გვერდით უზის ფერმკრთალი მილიცა. როცა ანზორი მიუახლოვდა მათ, მაკრინე ატირდა, ხოლო მილიცა არც განძრეულა, შეიძლება ვერ კი იცნო. ანზორი შეეხო მილიცას ხელებს, მუხლებზე რომ დაეწყო. მილიცა შეკრთა, გამოერკვა, რაღაცის თქმაც კი უნდოდა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

ანზორი ერემოს სახლს გასცქერის. კარი ჩვეულებისამებრ ღიაა, ეზოში მშიერი ქათმები დაფარფატებენ.

შეწუხებული სახით მოდის მამა.

— გამოსვენების დროა, ბიჭებს დაუძახე.

მამა სახლში შედის, ანზორი, ზვიადი და დანარჩენი ბიჭები კართან ჩერდებიან, ქალების გამოსვლას ელოდებიან, მერე ოთახში შედიან და კუბოს ორივე მხარეს დგებიან.

სწევენ მძიმე კუბოს, ფარდაგგადაფარებულ ტახტს მამა კედელთან მიდგამს, კუბოს სამჯერ შემოატრიალებენ. მერე კართან მიაქვთ და წესისამებრ სამჯერ ფეხებით მიაჯახუნებენ დაკეტილ კარს, ახალთახალი ლაკის ფეხსაცმელები ისე ინძრევა, თითქოს მიცვალებული ფეხების გადანაცვლებას აპირებდეს.

როცა პროცესია ერემოს სახლს გაუსწორდება, ყველა პირს იბრუნებს მისგან, თითქოს კეთროვანის სახლი ყოფილიყოს.

სასაფლაოზე ფუტკრები ბზუიან, პეპლები რიალებენ. რამდენიმე პეპელა მიცვალებულის სახეზე დაფარებულ ნაჭერს დააფრინდება.

— ნუ მოაშორებთ, იყოს, კარგი ნიშანია, — ამბობს ვიღაც.

კუბოს სამარეში უშვებენ. მაკრინე კივის. კუბოს ფიცარს ბელტები ეცემა.

ხალხი იშლება, სახეზე ისეთი შვება აწერიათ, თითქოს რაღაც უკეთესობისაკენ შეიცვალა.

ქელეხზე ანზორი შაქროს გვერდით ზის.

მელანო დიდი თეფშით შილაფლავს ჩამოატარებს.

— მოდი, მე გადმოგიღებ, ბიჭო, — ამბობს შაქრო, — მიყვარს შილაფლავი, მარტო ქელეხზე თუ შეჭამ გემრიელად, სხვაგან არა, — შაქრო ხელს მოხვევს ანზორს. — ბიჭო, იცი შენ, უშანგის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერემოსი შურდა.

— რა ჰქონდა შესაშური?

— შურდა. მე ვიცი. წარსულის გამო კი არ შურდა, აწმყოს გამოც. ვიცი, ვიცი, იმისიც შურდა, რომ ერემო ომში იყო და დასახიჩრდა, რომ უშანგის ყოფილი საცოლე მზად იყო ერემოსთვის ყველაფერზე, იმისიც, რომ ერემომ არ მიიღო იმ ქალის მსხვერპლი, იმისიც, რომ ერემოსთანა ხმა არავის ჰქონდა, იმისიც რომ ასეთი ხეიბარი იყო, მაგრამ თავი არ ჩამოიხრჩო, როგორც შეიძლება სხვას ექნა მის ადგილზე. უშანგის ერემოს მომავალიც კი შურდა, რადგან ერემოს შეეძლო ისეთი რამ ჩაედინა, რაც უშანგის არ ძალუძდა.

— ჩუმათ, ძია შაქრო, გაიგონებენ.

— მერე რა? მე მიცვალებულს ხომ არ ვაგინებ, იმას ვამბობ, რაც იყო. მკვდრებზე ცუდს არ ლაპარაკობენ, მაგრამ კიდეც რომ ლაპარაკობდნენ, მე არავის გამკითხავი არა ვარ. დაე, იქ მაინც მოისვენოს, სადაც ახლაა. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ერემო მკვლელი გახდებოდა.

— რამდენს მისცემენ, ძია შაქრო?

— რამდენიც არ უნდა მისცენ... ერემომ მარტო უშანგი კი არ მოკლა, ბევრი რამ დაასამარა, უპირველეს ყოვლისა თავისი თავი... — შაქრო მოიწყენს და ჩუმდება. მერე ამბობს: — ახლა წავალ, შვილო!

— გაგაცილებ, ძია შაქრო. ხიდამდე წამოგყვები და დავბრუნდები.

— წამოდი რა!

ჭიშკართან მივლენ, ანზორი ჭიშკარს გამოაღებს, შაქროს გაატარებს.

— შენ მე შვილივით მიყვარხარ. ერთი მითხარი, გახსოვს თუ დაგავიწყდა?

— ყველაფერი მახსოვს, თითქოს გუშინ იყო. ზოგჯერ მესიზმრება.

ღელეზე გადებულ ბოგირთან შედგებიან.

— მაშ, გახსოვს, არა? სასაფლაოზე რომ ვიყავი, უშანგიზეც ვფიქრობდი, ერემოზეც და ჩემ თავზეც. მაინც დამნაშავე ვარ! მართალია, მიბრძანეს, მაგრამ მე ხომ ვიცოდი, რომ მუხრუჭები არ ვარგოდა, ვიცოდი და, ღმერთმა დასწყევლოს ჩემი თავი, მაინც წავიყვანე მატარებელი...

— დგას და ქანაობს. — ეხლა წავალ, მაგრამ ხანდახან მინახულე ხოლმე, ბიჭო. — ყავარჯენს წინ გაიგდებს და ბოგირზე გადახტება.

ანზორი ბრუნდება. ერთ მაგიდასთან ჯერ კიდევ სხედან უშანგის ნათესავები, მამა, „ყველას უშველე" და კიდევ რამდენიმე კაცი, ჭირისუფალს რომ ეხმარებოდნენ დაკრძალვაში და ქელეხში.

— უშანგის არაერთხელ უთქვამს, როცა მოვკვდები, ჩემი საყვარელი სიმღერები იმღერეთო. ძალიან უყვარდა ძველი სუფრული, — იგონებს პავლე, ჩაახველებს და იწყებს:

წუთისოფელო ასეა,
ღამე დღეს უთენებია...

— გაჩუმდი! — ბრაზდება მამა, — მერე რა, რომ ამბობდა! მაკრინესა და გოგოს ძალიან არ ემღერებათ?...

შუშაბანდიდან გამოდის მილიცა, თოკიდან ზეწარს ჩამოხსნის და ტყისკენ გაიხედავს. ანზორი ადგება და მიუახლოვდება. მილიცა მისკენ მობრუნდება და თვალებით ეკითხება, აქ რათა ხარ და რა გინდაო. სიტყვის თქმასაც ვერ ასწრებს, რომ მილიცა ხელს აწევს.

— ნურაფერს იტყვი.

— შენ ახლა უბედურება დაგატყდა...

— შენ მეტყვი, რომ ყველაფერი გაივლის და მერე ჩვენ ისევ წავალთ ეკლესიასთან და ისევ ავფრინდებით! მაგრამ ჩვენს ქვემოთ, მიწაში ხომ მამაჩემის საფლავი იქნება?

— არა მარტო მამაშენის.

— ვიცი, ეხლა მე ყველაფერი ვიცი, ანზორ, მე ახლა შენს პეპელა ბაბოზე უფრო ბებერი ვარ, და მე მივხვდი, რომ ჩვენი ფრენა იყო... ნუღარ მალაპარაკებ, წადი.

— ჰო, მაგრამ მილიცა...

— გლოვა რომ გათავდება, გაბოს გავყვები, ასე აჯობებს.

ელექტრონის შუქი მკვეთრად ანათებს მის გამხდარ სახეს, ჩაცვენილ ღაწვებს, ნაღვლიან თვალებს, პირქუშად მოკუმულ პირს. ანზორს თავს დაუქნევს და მიდის.

ანზორი მაგიდასთან ბრუნდება. მის თავშიც ისეთივე წყვდიადი გამეფებულა, როგორც გარშემო.

ბოლოს ყველანი დაიშლებიან, ნათესავების გარდა.

ლევანი ფანრით უნათებს ქალებს გზას. მამა და „ყველას უშველე" თიბვაზე ლაპარაკობენ, ცხრაწყაროში წვიმებია, გაჭირდება თივის გაშრობა, კაჭკაჭა მერამდენედ აგინებს სოფსაბჭოს, რამდენი წელია გზაზე ხიდის გადებას გვპირდებიან, შემოდგომით მანქანით ვერ გაივლი, ლევანი და ზვიადი თბილისის „დინამოს" და „სპარტაკის" ხვალინდელ მატჩზე მსჯელობენ.

ბაქანთან, სანამ დაიშლებოდნენ, ყველა ჩუმდება.

— როგორც იქნა, მოვიშორეთ, — ამბობს „ყველას უშველე".

— შენ რა მოგივიდა დღეს? — დინჯად ეკითხება მამა, — პირველად გხედავ ეგრე მთვრალს.

— დაე, ეს ცოდვა ჩემს კისერზე იყოს, — აცხადებს „ყველას უშველე".

— არ შეიძლება ხმამაღლა ვთქვა,

რასაც ყველა თავის გულში ფიქრობს?

— არ ღირს, — ამბობს მამა. — წამოდი, ანზორ.

ყველანი დასაძინებლად წვებიან. ანზორს არ ეძინება. წრიალებს, დგება, ეზოში გამოდის, მორზე ჯდება და მდინარის შხუილს უგდებს ყურს. სიბნელეში მთები უფრო გამაღლებულან, მჭიდროდ შემოკვრიან სოფელს და ფერხულში მდგარ კაცებს გვანან.

ძნელია იმაში გარკვევა, რაც შენში ხდება. უშანგის მოულოდნელმა სიკვდილმა, ერემოს სამუდამოდ დაცარიელებულმა სახლმა, მილიცამ, შაქროს სიტყვებმა, ანზორს დანაშაულის გრძნობა გაუჩინა და შეაშფოთა. ყველაფერი ერთმანეთში გადახლართულა და ძნელი ასახსნელი ხდება.

სიჩუმეში ვიღაცის ხვრინვა ისმის. წამოხტება, ხვრინვის მიმართულებით მიდის. თურმე, ბოსლის უკან შემოღობილ ქართაში ადამიანივით ხვრინავს კერატი. კარი ჭრიალებს და აივანზე მამა გამოჩნდება.

— ანზორ, შენა ხარ? რას დაბორიალობ? — მამა ამთქნარებს და კერატის ხვრინვას მიაყურებს. — რა გემრიელად ხვრინავს. შენ რატომ არ გეძინება?

— მამა, უშანგიმ გაიგო, და ნახა როგორ ვხტები... მთხოვა არავის არ უთხრაო.

— როდის იყო ეგ?

ანზორი უყვება, ოღონდ მილიცას არ ახსენებს.

— ლაპარაკი რომ დავამთავრეთ, ერემო შემოგვესწროო. ერემომაც დამინახა ერთხელ, უშანგიზე ადრე.

— გგონია, შენი გულისთვის წაიჩხუბნენ?

— რა ვიცი. იქნებ?..

მამა ჯირკზე ჯდება. სიტყვაძვირი კაცია, რაზე ფიქრობს ვერ მიუხვდები სახეზე თუ შეატყობ, ან ულაბედად ნასროლი სიტყვით. ანზორიც მას ჰგავს, თუმცა უფრო მოსაუბრეა. ეგ არის რომ, გაურკვეველი ფიქრები უტრიალებს თავში, ბნელი და ბუნდოვანი, მაგრამ თუ ფიქრს ნასკვი მოუნახა, თურმე გასაოცრად მარტივი რამ აწუხებდა. ალბათ, სხვებიც ეგრე არიან. კითხვის დასმა უფრო ადვილია, ვიდრე პასუხის გაცემა.

— შენ ისეთივე დამნაშავე ხარ, როგორც მე, — ამბობს მამა, — თუნდაც მთელი სოფელი. მე მარტო ერთი რამ ვერ გამიგია, როგორ მოიმოქმედა ერემომ ის, რაც მარტო უშანგის შეეფერებოდა.

მთვარე მშვიდად ანათებდა უსასრულოდ გადაჭიმულ უვარსკვლავო ცას. ანზორი თავს ასწევს და მშვიდდება, მაგრამ მაინც ფიქრობს მილიცაზე, ერემოზე, შაქროზე, „ყველას უშველეზე“, მელანოზე, ყველაზე, ვინც მის ირგვლივ ცხოვრობს. ის [illegible]რეული საღამო აგონდება, უშანგისთან რომ იყო დაპატიჟებული; მაშინ ხალხს ისე უყურებდა, თითქოს ყველას პირველად ხედავსო, და გულში ყველას კიცხავდა, ასეთები რათ არიანო. განა თვითონაც ისეთი არ არის, როგორიც არის? უცებ, თითქოს ცივი წყალი გადმოასხეს და გამოაფხიზლესო.

— მამა, — ამბობს ის, — მეტი აღარ შემიძლია, ყველას უნდა ვუთხრა.

მამა აჰხედავს ცას, მერე მდინარეს, მერე ანზორს და ჩააჩველებს. ასე იცის, როცა დათმობაზე მიდის ხოლმე.

— ნუ იჩქარებ, — ურჩევს ბოლოს, — ერთი დღით რომ გადადო, გვიან არ იქნება. კარგად მოიფიქრე, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს, მით უმეტეს, ასეთ საქმეს.

ანზორი მამას ხელს წაავლებს.

— გინდა, ახლავე ავფრინდეთ ერთად?

— ხომ იცი, შვილო, არც სხვის-

თვის გზის გადაჭრა მიყვარს და არც ურიგო პირველობა...

• • •

დღეს სოფელი დაცარიელდება, მარტო მოხუცები და ჩვილბავშვიანი დედები დარჩებიან შინ. დანარჩენები სათიბში გაემგზავრებიან. ისეთი ფუსფუსია, თითქოს დღესასწაულისთვის ემზადებოდნენ. დიასახლისები საგზალს ამზადებენ, თონეში პურებს აცხობენ, სარდაფიდან ამოაქვთ შაში და აპოხტი, კვერცხებს ხარშავენ. ჭანჭურისა და ვაშლის არაყს ასხამენ ბოთლებში, ფერთხავენ და ანიავებენ დაბამბულ ქურთუკებს, ზანდუკებიდან თბილი ქუდები და თბილი საცვალი ამოაქვთ. კაცები ცულებსა და ცელებს ლესავენ.

ანზორის ოჯახში არავინ ფუსფუსებს, მამის წყალობით იარაღი კაი ხნის გალესილია, დედამაც წინასწარ მოამზადა საგზალი და ტანსაცმელი, ახლა მხოლოდ პურს აცხობს თონეში და ხურჯინში აწყობს. მხოლოდ ანზორი ჩქარობს, თუმცა დედას უმალავს. დედა ღელავს, მერამდენედ ეკითხება, მეორე წინდა ან სხვა რამ ხომ არ გრჩებაო.

კაჭკაჭას მანქანა, და კიდევ ორი სხვა, ხიდის იქეთ დგას. დგანან, ელოდებიან, როდის შეგროვდება ხალხი. ამათ რომ მიიყვანს, კაჭკაჭა დანარჩენების წასაყვანად დაბრუნდება და მთელი თვე ასე იქნება გაბმული გზაზე სათიბიდან სოფლისაკენ. თივა უნდა გადმოზიდოს. ერთი ბრიგადა გუშინვე გაემგზავრა.

მამა მალხაზს კოცნის. პეპელა ბებია ანზორს ექვს მანეთს აჩეჩებს ხელში, თავისი პენსიის მესამედს. ბებია დასამარხ ფულს აგროვებს, ქველებურ პორტმანეში ინახავს და ბალიშის ქვეშ დებს, მაგრამ ზოგჯერ ალალი წამოუქროლებს და რამდენიმე მანეთს ანზორს ან ლიზუნას აძლევს.

ანზორი და მამამისი ზურგზე ტომრებს მოიკიდებენ, ცელსა და ნაჯახს მხარზე შეიდებენ და ჭიშკრისკენ გაემართებიან.

— მზით გევლოთ! — ლოცავს დედა. — ცელი ფრთხილად იხმარე, ანზორ!

ლიზუნია დედის გვერდით დგას, მალხაზისთვის ხელი ჩაუვლია.

— ბაბუ! — ყვირის მალხაზი. — მეც წამიყვანე რა!

მამას ულვაშებში ეცინება და უკან ბრუნდება შვილიშვილის საკოცნელად.

მელანოს სახლს რომ ჩაუვლიან, ანზორს ესმის, როგორ ელაპარაკება ის თავის შვილს:

— ნუ ტირი... ინტერნატში კარგად იქნები, იქ კარგი მასწავლებლებია. დღეგამოშვებით ჩამოვალ. სამაგიეროდ, ინსტიტუტში მოეწყობი, ინჟინერი გამოხვალ, გაჩუმდი, ვაჟკაცი არა ხარ..

— მამა, — ეუბნება ანზორი, — მოდი, ერთი ზედმეტი მანქანა თივაც მოვთიბოთ.

— რატომაც არა, ზამთარში გავყიდოთ.

— ჩვენთვის კი არა, მელანოს ჩამოვუტანოთ.

— ჯუმბერის სახლია ასაშენებელი.

— მე თვითონ მოვთიბავ, კაჭკაჭას მოველაპარაკები და გადმოიტანს.

მამა მელანოს სახლისკენ გაიხედავს.

— დიდი ენაჭარტალაა... კარგი, ერთად მოვთიბოთ.

სოფლის ბოლოდან ქალები მოდიან ხიდისკენ. მათ შორისაა შავკაბიანი მილიცა.

— შეხედე, — ამბობს მამა, — უშანგის გოგოც მოდის. უცნაური გოგოა, გუშინ ყვებოდნენ, ერემოს რომ ქათმები დარჩა, თურმე ეკლესიაში უნდოდათ წაეყვანათ წმინდა გიორგის სახელზე, მერმე ვინმე გამოისყიდისო, მაგრამ მილიცას დაუშლია, დატოვეთ, მე დავაპურებო. — მხრები აიჩეჩა მამამ.

— ხომ არ შეგივლია მაგათთან?

— კი, უშანგის ფული ჰქონია ასა..

ღები, კანტორაში მომცეს, მაკრინეს წაუღეო, მეც მივუტანე. — მამა თავს აქნევს. — აღარ მოთქვამს, საწყალი.

მანქანის საფეხურზე მდგარი კაჭკაკა ყვირის, ხალხს აჩქარებს, პირველი უნდა რომ დაიძრას.

ანზორი მამას წაეხმარება. სხვა მანქანებთან ქალები დგანან, რაღაცაზე კამათობენ და იცინიან. მილიცა განზე გამდგარა, ერთი-ორჯერ გამოხედავს ანზორს. ანზორი მიესალმება და ძარაზე აძვრება.

— ყველანი დასხდნენ? — კითხულობს კაჭკაჭა. — წავედით!

ბანავში მანქანას აჩერებს, ვიღაც ნაცნობებს სვამს მანქანაში, მერე ერთ ვაზისხეველსაც შემოიმატებს. ვაზისხევი მტკვრის გაღმაა, მიწა ცოტა აქვთ და სახლები ერთმანეთზე მჭიდროდ არის მიჯრილი, შორიდან ერთი უცნაური მთლიანი ნაგებობა გეგონება. ერთი კვერცხისთავა ბანაველი ვაზისხეველს ეშმაკურად გადახედავს და მოჩვენებითი თანაგრძნობით ამბობს:

—მეცოდებიან ეს უბედურები, ან როგორა ცხოვრობენ ერთ სახლში ამდენი სული, თურმე ბავშვებიც ერევათ, რომელი რომლისაა.

— სამაგიეროდ ერთი ოჯახივითა ვართ, — მიამიტად პასუხობს წვერგაუპარსავი ვაზისხეველი, — რომელ ოჯახშიც არ უნდა შეხვიდე, შენი ოჯახი გგონია. აბა, ბანავშია ცხოვრება? მეზობელი მეზობელს ვერა ცნობს, სულ გატყიურებულან, კაცსა და მგელს ერთმანეთში ვერ არჩევენ, უთოფოდ შინიდან არ გამოდიან.

მიდიან და ხუმრობენ, არ თავდება სიცილი და სიმღერა. კაჭკაჭას უცებ მოაგონდება, რომ ბაზაშია შესასვლელი, საწყობის გამგე საკისრებს შეპირებია.

ბაზა მილიციის გვერდითაა. ანზორი მაინც მოვიდოდა აქ, ჯობია, ისარგებლოს ამ შემთხვევით და არ გადადოს.

— ახლავე მოვალ, — ეუბნება მამას, — თუ შემაგვიანდა, უჩემოდ წადით, დაგეწევით.

მამა ხვდება, თავს უქნევს.

— არ ღირს, ანზორ!

— აუცილებლად უნდა ვნახოთ, მამა!

ერემო საკანში ზის. ხვალ ციხეში გადაიყვანენ. ანზორს არ უშვებენ ერემოსთან, მაგრამ მილიციელი მამამისის ნაცნობია, ანზორის გვარს რომ გაიგებს, მოლბება.

—მარტო ხუთი წუთი. გისოსს აქედან ელაპარაკე, არაფრის გადაცემა არ შეიძლება.

ერემო გაფითრებულია, ნაიარევი ისფრად აჩნია სახეზე და უფრო შემზარავაია, ვიდრე წინათ. ანზორს რომ დაინახავს, ეკითხება:

— სათიბში გაგიწევია?

ანზორი დუმს, არ იცის როგორ დაიწყოს. ერემო თვითონ იწყებს:

— მეტი ველარ ავიტანე, შვილო, ასევე ვუთხარი. მე ნუ შემიცოდებ, ციხეში ჩემნაირები არიან. ჭიქას რომ ასწევ, მომიგონე, თუ არა და — არც მაგით დაშავდება.

— რა მოხდა თქვენ შორის? ჩე მაინც მითხარი, არავის ვეტყვი.

— რათ გინდა ყველაფრის ცოდნა? დიდი ხანია ასე უნდა მომხდარიყო. ან მე, ან ის. — ერემო ლოყაზე ხელს მოისვამს. — მშვიდობით, შვილო. წადი, რომ წახვალ, უკან ნუ მოიხედავ!

ნუ მოიხედავო? რის თქმა უნდა?

ანზორი მობრუნდება და გასასვლელისაკენ მიდის, ნელა მიაბიჯებს, მაგრამ ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს საოცარი სისწრაფით შორდება ერემოს.

მანქანა უკვე დაიძრა. ანზორი გამოეკიდება, ძარას მოეჭიდება, ლევანი და ზვიადი აათრევენ ზევით.

— როგორ არის? — ეკითხება მამა.

— ისე უნდა მომხდარიყოო, მითხრა.

— ეჰ. — თავს აქნევს მამა.

ხიდს რომ გადავლენ, კაჭკაჭა გასტრონომთან აჩერებს მანქანას. ვისაც სურს, შეუძლია იყიდოს ძეხვი, კარაქი, კონსერვი.

— წადი, სამი მანეთის ძეხვი იყიდე, — ეუბნება მამა.

მაღაზიიდან გამოსული ანზორი გაბოს შეეჩეხება. გაბოს წინსაფარი უკეთია, ხელში ჩანთა უჭირავს.

— სათიბში?

— ჰო. შენ?

— მუშტარი მელოდება, კარგი მუშტარია, ლუდით მინდა გაუმასპინძლდე. სოფელში რა ამბავია?

— მილიცაზე მეკითხები?

— არა, ისე, საერთოდ. მილიცას, უშანგი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ვითხოვდი, ისე — ათი თავი კი არა მაქვს? ცოლი და სიდედრი, არ მინდა ძმაო. ისე, მილიცა, გიყვარდეს. კაი გოგოა, მაგრამ.. სურათი რომ მქონდეს, სახელოსნოში დავკიდებდი. წავალ, მუშტარი არ გამექცეს.

გაბო მაღაზიაში შეძვრება და დახლთან მისეულ ხალხს შეერევა.

ანზორი მანქანასთან ბრუნდება.

მანქანა მდინარის გასწვრივ მიდის.

— წინათ აქ რამდენი თევზი იყო, გახსოვს, პავლე? — ეკითხება მამა. — კიდეც იანკესებდი და ბადითაც დაიჭერდი. მტკვარში კასპიის ზღვიდან ორაგული ამოდიოდა. სადღაა თევზი, დალუპეს...

მანქანა განიერ ველზე მიდის, მარჯვნივ ფერდობზე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გადის. შარშან, თოვლის ზვავმა საბარგო შემადგენლობა დაიტანა. ანზორი, მამამისი, „ყველას უშველე“ და სხვები სოფლიდან ჩამოიყვანეს თოვლის სათხრელად. ანზორი მამას მხარს გაკრავს

— გახსოვს, რა ვთხარეთ?

მამა თავს უქნევს. ანზორი უკან მიმრბოლავ გზას გასცქერის. იშლება მანძილი, რომელიც მას ხაგუთარეროვნული ბიბლიოთეკა თავთან აშორებდა.

მთელი ეს აღმართი ცხრაწყაროს მდელოებისკენ, ერთ გრძელ და ხანგრძლივ ნახტომს ჰგავს. თანაც ნაცნობი გზა მუდამ მოკლე გეჩვენება. მოსახვევს მოსახვევი მოსდევს, თურქულის საწინააღმდეგო საკარანტინო პოსტზე არც კი აჩერებენ, მანქანა ღმუილით მიყვება აღმართს, ოღროჩოღროებზე მიჯანჯღარებს, ღრმა კვალს ტოვებს თავისი თვლებით. ირგვლივ არყის ჭალებია, თხილნარის ბუჩქები, წიფლებს შორის, აქა-იქ ვეებერთელა მწვანე ცაცხვები დგას. ტყის პირზე ნისლი ტრიალებს, ფერდობებზე ნაირფერად აჭრელებული მდელოები ფარდაგივით არის დაგებული. სადღაც გარმონი უკრავს.

კაჭკაჭა მანქანას ბებერი რცხილის ქვეშ მიაყენებს.

კაცები ნაჯახებს დასწვდებიან, წიფელს მოჭრიან და წააქცევენ, გასხეპავენ, შტოებს მოთიბულ ბალახს დააყრიან, ზედ ქურთუკებს, ტყაპუჭებს და ძველ მაზარებს დააწყობენ. ანზორს მამამისის და თავისი აბგა მოაქვს და ჩარდახქვეშ დებს. შორიახლო სიმლერით მორბის ნაკადული. „ყველას უშველე“ წყაროს ღარს მოურგებს, დასალევად რომ იოლი იყოს. ცხრაწყარო კი ჰქვია ამ ადგილს, მაგრამ აქ გაცილებით მეტი წყაროა და ყველა ფერდობებზე მოჩუხჩუხებს.

სანამ კაჭკაჭამ ბაზაში შეიარა და გასტრონომთან დაყოვნდა, დანარჩენმა მანქანებმა გადაასწრეს, ქალებს უკვე კოცონი გაუჩაღებიათ, საჭმელს იმზადებენ. უმრავლესობა ხვალვე გაბრუნდება უკან. მერე ისევ დაბრუნდებიან თივის მოსაზვინად და საჭმელის გასაკეთებლად.

მილიცა ცეცხლთან ზის, კარტოფილს ფცქვნის, არავის არ უყურებს.

ანზორს ყავარჯნების ქნევით. უახლოვდება შაქრო.

— როგორა ხარ, ბიჭო? მეც აქ ვარ.

ცოტას გამოგადგება. ცელებს გავლესავ, საქმელს მოვხარშავ, ჩემი დედაბერი გამიბრაზდა, სად მიჩანჩალებო, მაგრამ ასეთ დროს შინ რა გული დამიდგებოდა. თივა წელამდეა. ეს ყავარჯნები რომ არა, ყველას უკან ჩამოვიტოვებდი. ისეთი თიბვა ვიცოდი, ახალგაზრდობაში კაცი ვერ მჯობდა.

ზვიადი ორლულიან სანადირო თოფს შალითას მოაძრობს, ათვალიერებს, ჩახმახს შეაყენებს და დაჭკრავს, თოფს სარზე ჩამოჰკიდებს და ქორისებურ მზერას მოავლებს გარემოს. ლევანი თითით სინჯავს ცელის პირს. მამა მოჭუტული თვალებით გადახედავს სათიბს, ულვაშებზე ხელს გადაისვამს, გაივლ-გამოივლის. მიწას ფეხის წვერით მოჩიჩქნის და განაწყენებული თავს აქნევს.

— მემინდვრიების სოროები გაუთხრიათ, წელს თიბვაზე გვიან გამოვედით.

— ამინდი რომ ყოფილიყო! — ამბობს შაქრო.

ლევანი ანზორს და მამამისს უახლოვდება, ცელს უჩვენებს.

— ცუდად გამოვპირე, თუ რა მოუვიდა..

— მაჩვენე.

მამა ტომრიდან ზინდანს ამოიღებს და კუნძზე ჩამოჯდება.

— თვითონ გაწკეპოს, ამოდენა ოყლოყია და... — ბრაზდება „ყველას უშველე".

— ცელის კვერვას ცოდნა უნდა, — ამბობს მამა, — უყუროს, ისწავლის. ხომ იცი: კაცს პურს მისცემენ, ერთი დღე მაძღარი იქნება, ორ პურს მისცემენ, ორი დღე მაძღარი იქნება, პურის ცხობას თუ ასწავლიან, მთელი ცხოვრება მაძღარი იქნება.

„ყველას უშველე" ზედმეტი სახელია, რომელიც დიდი ხანია პავლეს მიაკერეს, თუმცა მამას უფრო შეეფერება. მაგრამ ეს სახელი პავლეს ხვდა წილად, ალბათ, იმიტომ, რომ პავლე ფუსფუსაა და მოუსვენარი, ...

როდესაც მამა ყველაფერს ჩუმად და შეუმჩნევლად აკეთებს.

მამა კვერს ცემს ზინდანს და წკეპავს ზედ დადებულ ცელს, მერე პატარა ქლიბი ამოაქვს ჯიბიდან და ლესავს.. ლევანი ყურადღებით მისჩერებია. სხვები მოუთმენლად წრიალებენ გარშემო. ქლიბით რომ მორჩება ლესვას, ახლა სალესავს ამოიღებს.

— ღერო მსხვილია, — ეუბნება ლევანს, — ტარს ირიბად მიარგე.

ცელს გაუწვდის და წამოდგება.

— აბა, საქმეს მივხედოთ, ბიჭებო, დავიწყოთ მუშაობა!

კაცები მოპირდაპირე ფერდობზე გადიან და მწკრივად დგებიან. მარცხნივ, ყველაზე წინ, მამა დგას, მის მარჯვნივ, ორიოდე ნაბიჯით უკან „ყველას უშველე", მერე ლევანი, ზვიადი. ანზორი ყველაზე ბოლოს დგას მარცხნივ.

— ე-ჰე, — შესძახებს მამა. მისი ცელი წრეს შემოხაზავს და მზეზე ielვებს, ბალახი შხრიალით წვება მიწაზე.

სუნთქვა გაიოლდა, შეხმატკბილებულად მოძრაობენ ცელები, მწკრივი შეწყობილად მიიწევს წინ და უკან იტოვებს მოცელილ ბალახს. ანზორის ცელი ხორკლიან ბურთს გამოაგორებს. ფოთლებში გახვეული ზღარბია. ანზორი აიყვანს, ხომ არ დავჭერიო. ზღარბი თავს მოიმკვდარუნებს. ანზორი ფერდობზე ბურთივით დააგორებს. ზღარბი ნაპირს დაეჯახება, მობრუნდება და ბუჩქებში შეძვრება.

ოფლი ღვარად მიედინება ზურგზე, შუბლი და ზედა ტუჩი დანამვია, ტუჩზე რომ ენას მოისვამს, პირში მარილის გემო დგება. ცელი თითქოს თავისით მოძრაობს და ხელი მიჰყვება მას. ალესილი ცელის პირი ოდნავ ზეაწეულია, მიცურავს ბალახში, ჭრის ღეროებს და ჯაგარივით ტოვებს მოცელილი ბალახის ძირებს. ცელი კივის. ველზე თავის სურნელება დგას, წინ ვერ წახვალ, შენს წინ მიმავალს შეეძლება ქუსლზე წაკრა, ვერც ჩამორ-

ჩები, რადგან ერთი მთლიანობის ნაწილი ხარ და არა მარტოკაცი. ეს არის ერთადერთი მამაკაცური საქმე, რომელსაც წელიწადში მხოლოდ ერთხელ ეკიდები და მოუთმენლად ელი იმ დღიდან, როცა თოვლის საფარს გამოარღვევს ნოტიო მიწიდან ამოსული პირველი მწვანე ღერო. ქვეყნად არაფერს აქვს დასასრული, მწვერვალზე ასვლას მოყვება დაშვება, და კვლავ გელოდება ახალი მწვერვალი, რომელიც უფრო დიდ სიხარულს გპირდება. მხოლოდ ის წამი, როცა ცელს იქნევ, არის სამანი, რომლის იქით არ არსებობს მიუღწეველი სურვილი, უფრო უკეთესი რამ.

ვჟიკ-ვჟიკ! ვჟიკ-ვჟიკ!

* * *

ბალახზე წრიულად გაუშლიათ გაზეთები, ზედ თეფშებზე დაწყობილი ხაჭაპური, კიტრი და პამიდორი, ყველი, ხორცი, მოხარშული კარტოფილი დაულაგებიათ, არყიანი ბოთლები დაუდგამთ. დაქანცული მუშაკები ხმადაბლა ბაასობენ.

ანზორი წამოდგება, განზე გადის, ეტყობა, ძალზე ღელავს, რადგან მამამ რამდენჯერმე ყურადღებით გამოხედა და შაქრომაც უთხრა: „შენ დღეს ვერ უნდა იყო გუნებაზეო".

ჩარდახის უკან გვიმრებით დაფარული ფერდობია, სადაც ტანკენარი ფიჭვები და ლონიერი რცხილები დგანან. ბალახში ჩუხჩუხით მიიკვლევს გზას წყარო, მიწაზე შარშან ქარისაგან წაქცეული, გამოფუღუროებული ხეები წვანან. აქ თიბვა შეუძლებელია და ბალახიც კაცის სიმაღლეზე გაზრდილა. შიგ თუ შეხვალ, ისე დაგებნევა გზაკვალი, როგორც უსიერ ტყეში, შემთხვევით ფეხი თუ დაგიცდა და ხრამში ჩავარდი, მშველელს მოუხმე.

ჰაერი ისეთი სუფთაა და გამჭვირვალეა, თითქოს საცერში გაუცრიათ. ჰაერი გაჟღენთილია აყვავებული ბალახის სუნით. მოწყვიტე ყვავილი, დაყნოსე, განსაკუთრებულ სურნელს თითქოს ვერცა გრძნობ, მაგრამ ყველანი ერთად, ლურჯი, იისფერი, თეთრი და წითელი ყვავილები — თავბრუდამხვევ ტკბილსურნელებას ავრცელებენ ირგვლივ. ერთმანეთშია არეული კუტკალიების ჭრიჭინი, ჭოტების კივილი, ფუტკრების ბზუილი. ზოგჯერ ხის ფოთლებიც შრიალებენ და ტალღასავით ღელავს ბალახი. ქარი ზეკარიდან ისე შემოუბერავს, თითქოს გახარებული კაცი იყოს.

მინდვრის გულყვითელა ისე ირხევა ნიავზე, გეგონება სანთლის ალი ციმციმებსო. ანზორი ერთ ყვავილს მოწყვეტს. მისი გახსნილი ბაგეებიდან მოჩანს ფუტკრის ტანი, რომელიც თითქოს ყვავილს შეზრდიაო, ისე დასწაფებია სანუკვარ წვენს. ფუტკარი თითქოს საშიშროებას გრძნობსო, გამოძვრება და მეორე ყვავილზე გადაფრინდება.

ფუტკრის აუჩქარებელი, საქმიანი მოძრაობა, თუ სიცოცხლით აღსავსე, შრომით და სიმღერით მჩქეფარე გარემო, ანზორს უნელებს შიშს იმის წინაშე, რაც ახლა უნდა მოხდეს.

დრო დადგა! ანზორი წყაროსთან მიდის, სახეზე წყალს შეისხამს, ხელებს შეიმშრალებს, „ხალხნოო!" — დაიძახებს და წყაროს მოშორდება, ახლადმოთიბულ მინდორზე დადგება.

მამა უყვირის:

— ანზორ!

— მორჩა, მამა, დღეს გადაწყდა. დაე, ყველამ ნახოს, — აღელვებული ამბობს ანზორი. ხალხი ერთმანეთს გადახედავს, მიჩუმდება. მილიცა მკერდზე მიიდებს ხელს.

იმედიან თვალს მოავლებს თანასოფლელებს და ცაში აიჭრება ანზორი, სადაც გრილი ნიავის ნაკადი ხის კენწეროებს აშრიალებს. დაეშვება ძირს და კვლავ აფრინდება.

— უყურეთ, რა კოჭია!

— ა-ა-ა! — გაისმის გამყინავი კი-

ვილი და ერთი ქალი პირქვე ლაემხობა მიწაზე, თავზე ქურთუკს გადაიფარებს.

ანზორი ძნებზე დგას. სიჩუმეა, აღარც ფუტკრების ბზუილი ისმის და აღარც კუტკალიების ზუზუნი. ბეღურები ყოლოს ბუჩქებში მიმალულან და გატრუნულან. მხოლოდ ღარზე მომდინარე წყალი რაკრაკებს. ხალხს სახე გაშეშებია, თვალები გაოცებით მოუპყრია. ყავარჯნებს დაყრდნობილი შაქრო უცხოსავით შემოსცქერის. მამა წყნარად იქნევს თავს. ტუჩები მოუკუმავს, მილიცა მიწაზე ზის, თავი უკან გადაუგდია, პირი დაუღია, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდეს, თვალები ჩაღამებია. ასე უცქერენ გალიაში დამწყვდეულ ჩიტები თავისუფლად მონავარდე თანამოძმეებს. მილიცას მზერამ გამოაფხიზლა ანზორი, თავს ძალა დაატანა და გაიცინა. ისევ ახტა. ხალხი თავს ხრის, ერთმანეთს ეკვრიან, ჩურჩულებენ და ჩუმდებიან.

— რას გაჩუმებულხართ? ნუთუ არაფერი არ გესმით?..

ანზორი ორ ნაბიჯზე დგას მათთან, ისინი კი ისე უყურებენ, თითქოს განიერი მდინარის მეორე ნაპირზე იდგეს, სადღაც, ღრმა ხეობაში. რა დაემართა? ის ხომ თავისი არსებობის პირველი დღიდანვე მათი მახლობელი და განუყოფელია, თვალდახუჭული იცნობს თითოეულის ფეხისხმაზე.

— რატომ არაფერს იტყვით? — ისევ კითხულობს ის.

მილიცა სახეზე ხელებს აიფარებს. ანზორს შეკავებული ქვითინი ესმის, თვალს არ აშორებს მოცახცახე მხრებს, და ამბობს:

— მომიახლოვდით, რომელსაც გინდათ აგაფრენთ..

დაეჭვებული გლეხები ერთმანეთს გადახედავენ, ანზორის სიტყვას სწონიან, უფრო და უფრო იქუფრებიან და შორდებიან მას.

— დაიჭირეთ და დააბით! — ამბობს ერთი ქალი. — წესიერი კაცი მაგას ვერ იზამს, ხომ ნახეთ...

— ლევან, შენ ხომ ჩემი ძმაკაცი ხარ, მოდი, — ფარხმალს არ ყრის ანზორი.

ვიღაც შიშნარევი ხმით ჩაიხითხითებს და მაშინვე ყუჩდება.

— ზვიად!

ზვიადა ტუჩებს იკვნეტს, ცას გასცქერის, მერე ანზორს, და ფეხის წვერებზე იწევა, თითქოს ვიღაცას ეტოლებაო.

— მე რა ახტომა მინდა, ბავშვი კი არა ვარ. თუ მომინდა, უშენოდაც ავხტები!

— შაქრო ძია! — თანაგრძნობას შეამჩნევს მის თვალებში და ახლა მას მიმართავს განწირული კაცივით ანზორი. — შენ მაინც უთხარი რამე ამათ!

შაქრო სევდიანად აქნევს თავს.

— რა უნდა ვუთხრა შვილო? მე რომ შემეძლოს, გიყვარდეს, მაგრამ...

ანზორი ხან ერთს შეხედავს, ხან მეორეს, მაგრამ ყველა თვალს არიდებს მას. მილიცა წამოდგება და ანზორთან მიიჭრება.

— მილიცა! — ყვირის „ყველას უშველეს“ ცოლი. — არ გაბედო! დედაშენს რა ვუთხრათ, მამაშენი ჯერ არ გაციებულა სამარეში! გიდაირიე?! პავლე, არ გაუშვა!

„ყველას უშველე“ ადგილიდან არ იძვრის.

ვიღაცა ხელს სტაცებს მილიცას.

სიბრალულის გამო გამოქანდა მისკენ თუ!.. მილიცას და მამის გარდა, ალბათ, ვერავის დაიყოლიებს, სხვა გზა არ არის.

ანზორი მილიცას მიუახლოვდება. მილიცა გამომწვევად გადახედავს დანარჩენებს და ანზორის გვერდით დგება.

მამაც ახლო მოდის, მუშტები მოუკუმავს, მზად არის შვილის და მილიცას დასაცავად.

ანზორი მილიცას მხარზე დააწყობს ხელებს.

— არ მეგონა, თუ მიშველიდი.

ახლა იგი გამომწვევად შეხედავს ანზორს.

— არც მიფიქრია. შენ გაფუჭებულ საქმეს, თვითონვე მოუარე. მე აფრენა მომინდა, უამისოდ ვეღარ ვძლებ. ამიყვან?

— აგიყვან!

— დასკდნენ ეგენი ბოღმისაგან!

ხელებს შემოხვევს ანზორს, შუბლზე აკოცებს, თვალებში, ლოყაზე, ისევ თვალებში.

— უსირცხვილო! — გაჰყვირის ისევ „ყველას უშველეს“ ცოლი.

მილიცას ეცინება, თაფლისფერი თვალები უბრწყინავს. ლევანს, ზვიადს, კაჰკაჰას მიუბრუნდება და დაცინვით ეკითხება:

— ბიჭებო, თქვენც ხომ არ გინდათ გაკოცოთ? აქვე ანზორთან ერთად და სუყველას გადაგკოცნით.

ბიჭები თავს ხრიან.

— ეჰ, რა მშიშრები ყოფილხართ, აბა, მე მიყურეთ! — იცინის მილიცა.

ბელურების გუნდი ბუჩქებიდან გამოიჭრება და ჰაერში შეინავარდებს, ისევ ბზუიან ფუტკრები და ზუზუნებენ კუტკალიები.

მილიცა და ანზორი ერთმანეთს ხელებს მოხვევენ და აფრინდებიან.

ხალხი მათ შესცქერის, ერთმანეთს მხარს გაკრავენ, ალაპარაკდნენ, აკამათდნენ, იღიმებიან. არც ერთი მოღუშული სახე და უსიამო მზერა. საცაა უნდა მოხდეს ის, რისი იმედიც ჰქონდა ანზორს.

— გესმის, — ეუბნება ანზორი მილიცას, — ხალხი იცინის.

მილიცას სახე უფითრდება, ანზორს ხელიდან უსხლტება და უფრო მაღლა აიჭრება, კვლავ ჩამოეშვება და ანზორი ხელს სტაცებს მას... ისინი მიწაზე არიან.

თავჩაქინდრული მილიცა განზე გადგება, თითქოს რაღაცას ყურს უგდებსო.

— რა მოგდის? — ეკითხება ანზორი.

— მოიცა. არ მომიახლოვდე.

ანზორს თვალს არ აშორებს, მილიცა დაიხრება და უცებ, ცაში აიჭრება. ერთხმად შეჰყვირებს ყველა, თითქოს მეხი გავარდაო. ანზორს ტანში სიცივე დაუვლის და ახტება მილიცას კვალდაკვალ, მაგრამ მილიცა უკვე ძირს ეშვება. ანზორს ჩაუქროლებენ მილიცას აღფრთოვანებული თვალები და მოკუმული ტუჩები. და მაშინ ანზორი ხვდება, რაც მოხდა. ფეხზე დამდგარს, სიხარულისგან ენა ებმის:

— შ-შენც შ-შეგიძლია?

— მე ისე მინდოდა, ანზორ!

სიტყვის დამთავრებას ვერ ასწრებს, ზვავივით მოაწყდება ხალხი.

— მეც ამიყვანე; ანზორ! თუ კაცი ხარ, მე ამწიე! მეც მინდა! — ქალები მილიცასთან! — რა განსხვავებაა! — რიგი დაიცავით, ძმაო, ნუ ჯიკაობ, მაშ, ჩვენც შევძლებთ?! — რომ გაიგებენ, რა ამბავი ატყდება!

ანზორი ვიღაცას დაავლებს ხელს და ახტება, გვერდით მილიცა მიფრინავს „ყველას უშველეს“ ცოლთან ერთად: ძირს დამხტარი ანზორი ახლა სხვას აიტაცებს მაღლა. ხალხი იცინის, მხიარულობს, ერთმანეთს ეხვევიან, ბალახზე კოტრიალობენ, ცეკვავენ, არყის ბოთლები ამოაქვთ, ერთმანეთს უმასპინძლდებიან, ბედნიერებისაგან გაბრუებულნი არაყს თავზე ისხამენ, ზოგიერთები ახტომას ცდილობენ, არ გამოსდით, მაგრამ მაინც უხარიათ, ისევ ხტებიან, ისევ ხარხარებენ, იხვეწებიან, კიდევ ამახტუნეთო, ისევ ხტებიან, ისევ ხარხარებენ, იხვეწებიან, კიდევ ამახტუნეთო, მაღლა აჭრილნი. ქვემოთ დარჩენილებს დი შორს დანახულებს ეძახიან:

— ჰეი, ძმაო, ხელი გამომიწოდე! აქედან ყველაფერი ჩანს! აგე, შირა-

ქი გამოჩნდა! — მარო, მარო-ო! გამოიხედე ჩემკენ! მილიცა, ჩვენ დაბალ მაროსა ვხედავ! — სად მიდენის ფარას, იქ ხომ დახრამული ფლატეა?!

— გეყოფათ! — ყვირის „ყველას უშველე“, — ცოდონი არიან.

— ჰო, ჰო, გეყოფათ, — მხარს უბამს შაქრო, — ცოტა დააყოვნეთ!

ლაპარაკი, შეძახილები და სიცილი არ წყდება. ანზორი მილიცას ხელს სტაცებს, თხილნარისკენ მიარბენინებს და იქ, მოფარებულში, კოცნის. მილიცას ბაგეები მორჩილად იღება. მაგრამ მერე თავს აქნევს და უძალიანდება.

— გეყოფა, დავიხრჩვი!

— გაბო მთელი ცხოვრება უნდა მიმადლოდეს, — სიცილით ამბობს ანზორი, — თორემ ნივრის სუნი გაგუდავდა.

— ნიორს ჯერ კაცი არ მოუკლავს. ისიც შეეჩვეოდა... ეგ რა თქვი? ესეც შენ! — მილიცა მკერდზე მუჯებს უბრაგუნებს. — წამოგცდა თუ, მართლა გინდა, რომ მე...

— მე და შენ განუყოფელნი ვართ. ასე არ არის?

თავს არ ასწევს, სახეს მკერდზე მიიაბჯენს და გოგოს ხმა ყრუდ ისმის.

—მაშინ მართლაც ეგრე ვფიქრობდი. მამაჩემის არშინით ვზომავდი... მე მეგონა, რომ არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა, რომ შენც შეცდი და მეც...

— წარსულს ნუ მიუბრუნდები, — ერემოს სიტყვებს იმეორებს ანზორი, — ეს მითხარი, ახტომა როგორ შეძელი?..

მილიცა თავს ასწევს და ქვემოდან შესცქერის ანზორს თვალებში.

— ისე მინდოდა, ისე მინდოდა, რომ... ანზორ, — თავს მიაყრდნობს მხარზე, — ახლა რა იქნება?

— რა უნდა იყოს?

— ხალხი რას იტყვის, ყველაფერი იციან...

ანზორი შესცქერის თანასოფლელებს, წრეს რომ დაუხლიან, მრავალფეროვან ხალიჩასავით აჭრელებულ ფერდობს, უცქერის ტყეს, მდუმარედ რომ ყურს უგდებს მათ საუბარს, და ჩაფიქრდება.

მფრინავი ხოჭო ზუზუნით გადაიფრენს მაღლა.

ანზორი თავს გააქნევს.

— დაინახე, ხოჭომ როგორ გადაგვიფრინა?

— აბა რა, თვითმფრინავივით გუგუნებდა.

— მოტეხილს ვეღარ გაამთელებ! წამო, ავფრინდეთ კიდევ ერთხელ.

ხელს გაუწვდის, ერთად დადგებიან და აფრინდებიან, ქვემოდან აღფრთოვანებული ძახილი ისმის.

— უყურე! — წამოიკივლებს მილიცა და ზეკარისკენ მიახედებს.

მზისგან გახრუკულ მოტიტვლებულ მთის წვერს გამოეყოფა ტყვიისფერი ღრუბელი, რომელიც ნელა მოღოღავს და ფარავს ლურჯ ცას.

— დაინახე? — ეკითხება მილიცა.

— ხალხნო-ო! — ყვირის ანზორი. — საავდრო ღრუბელი მოდის, ქარიშხალი ამოვარდება!

მხიარულება წამში შეწყდება. კაცები წამოვარდებიან და გარბიან თავის მოსაზვინავად, ქალებიც მათ მისდევენ.

ანზორი ზეკარისაკენ იხედება. მიწიდან ჩანს ღრუბელი, მაგრამ უკვე კივილით ახლოვდება ქარი, არყევს წიფლებს და ფიჭვებს, აჭრიალებს ბებერ რცხილებს, და მოგლეჯილ ფოთლებს შეშინებული ფრინველებივით დააფარფატებს მდელოზე. დღის სინათლე თანდათან ქრება.

— გავიქცეთ! — ყვირის ანზორი. — ფიწალი სად არის? ჩქარა! უნდა მოვასწროთ, თორემ ყველაფერი დაილუპება.

თარგმანი **დოლორეს ჯიჯინაძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნანა ღვინეფაძე**

## ზაფხული მთაში

აქეთ ხინკლის მოხვევაა,
იქ ხითხითებს ქვაბი ლუდის,
შუბის ტარზე ატყორცნილ მზეს
ცხელი პურის სუნი უდის.

შარას ზურგი ეწვის სიცხით
და ბუერებს ეტანება,
მხოლოდ ივრის ტალღებშია
სიგრილე და ნეტარება.

იქ არაყი ითვლის ცრემლებს,
აქ ხითხითებს ცხელი ლუდი,
მთვრალ მზეს, მთვრალი ხევსურივით
მოქცევია გვერდზე ქუდი.

მას საღამო ფრთანიავა
საგზლად ნაზუქს შეაგებებს,
მზეც, წარმავალ სტუმარივით
ნაბიჯს ოდნავ შეანელებს.

ვარსკვლავების აშიკობა
გატეხილ გულს გაამთელებს,
ვახშმად მთვარეც დაგვეწვევა
და ჩვენს გვერდით გაათენებს.

## ფიქრისგორის ელეგია

გახსენება ნელი საყვარელიძისა

შენს ფანჯარასთან დახრილი ნაძვი
შორი გზით მოსულ მოამბეს ჰგავდა,
არავინ ჩანდა მყუდრო ქუჩაზე
იმ ერთი ჩუმი მოამბის გარდა.

ფიქრი უშენოდ გაისეირნებს,
მთვარეც უშენოდ ივლის და ივლის.
ფიქრისგორაზე გამომცხვარ პურის
სუნი აპურებს მძინარე თბილისს.

ეს სუნი ჩემთვის ნაცნობი არის,
ეს სუნი ალბათ შენამდეც აღწევს,
თუმც ფიქრისგორის მსგავსი ყორლანი
ახლა შენს ლამაზ სხეულსაც აწევს.

. . . . . . . .

შენს ფანჯარასთან დახრილი ნაძვი
შორი გზით მოსულ მოამბეს ჰგავდა,
არავინ იყო ფიქრის გორაზე
ნაძვის და შენი აჩრდილის გარდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საუბარი თვალებით**

ისევ ვინატრი,
რომ დავუბრუნდეთ
წარსულ დღეებს და
ახალგაზრდობას,
მატარო შენი სულის ბილიკზე
და მომეშველო, თუკი შევკრთები...
მაგრამ ამ ნატვრას,
როგორც ზღვაში გემს,
წამოწევია დიდი გრიგალი
და იძირება...

. . . . . . . . .

თუ კი ჩვენს შორის,
ახლაც, დღემდისაც,
არის ძნელი და
შორი მანძილი,
მსურს შენი სულის სიღრმეში,
სადღაც,
დავრჩე განძივით....

**იისფერი სინანული**

მე ერთი დღისთვის
იისფერ კაბას
შევიკერავდი;
იისფერ ბეჭედს
გავიკეთებდი
და იისფერი ბინდის
პირბადით
როგორც მშობელს და
როგორც უხუცესს, —
მივაკითხავდი ჯვარს...
და მელნისფერი ასტრებით
ხელში,
დავბრუნდებოდი
ისევ თბილისში, —
შეგაყვარებდი თავს, —
წლები რომ ასე
არ მიფრინავდნენ...

. . . . . . . . .

წლევანდელ წელსაც,
როგორც იმ ალვას,
ფანჯარასთან რომ
დგას სევდიანი,
შემორჩა ერთადერთი
ფოთოლი...

**ელეგია**

ჩემს ბავშვობაში,
ამ ქუჩებზე —
მშვიდზე და წყნარზე,
შოპენის მარშით
ჩაივლიდა ხოლმე სიკვდილი...
და სიკვდილშიაც
იყო მაშინ რაღაც ლამაზი....
ახლა, როდესაც
ათასში ერთხელ,
მივუბრუნდები ისევ
იმ უბანს,
იმ აკაციებს, —
უჩემოდ გაზრდილს,
და მათზე შემდგარ
კერასა ბოძებს,
კუნწულებივით რომ მოუსხამთ
ელნათურები,
მომეჩვენება, რომ ბავშვობას,
რომელსაც ვეძებ,
შოპენის მარში მიაცილებს
სადღაც, შორეთში...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ბელა შალვაშვილი**

## გაბედულება

მკითხველს ლექსები შესთავაზო, — ეს იმას ნიშნავს,
გამოფენაზე გაიტანო შიშველი გული,
და დაანახვო ხალხს: სიამე, ტკივილი, წყლული, —
გულს შიგან როდის, რატომ, რისთვის, რაგვარად იშვა.

რა ზემართალი უნდა იყოს შენი განცდები, —
ხალხმა რომ იგი მიიღოს და გაითავისოს,
შენს სატკივარზე სამზერელი ცრემლით აევსოს...
სჯეროდეს, როგორ იმარჯვებ და რატომ მარცხდები.

გამოფენაზე გატანილი მფეთქავი გული —
ლექსები, ანუ აღსარება სახალხოდ თქმული, —
თუკი გუნებას არ შეუცვლის უკეთურ კაცთა, —

ჩანს, ნაფიქრალი უნიათოდ, უგულოდ დაგცდა...
მკითხველს ლექსები შესთავაზო, ეს იმას ნიშნავს,
რომ შენი სახით გაბედული არსება იშვა.

## სივრცე მივცეთ

ლაღად დაფრენენ ჩიტუნიები, —
მაღლა, მაღლა და... ლაღად.
დასეირნობენ, ზეცა უსაზღვრო
უჩანთ ედემის ბაღად,
მშობლიურია მათთვის სიმაღლე
და ლაჟვარდების ენა;

დაფრენენ, ფრთები მიჰმადლებიათ
და სხვა რა უნდა ფრენას, —
თუმცა... ფრენისთვის ფრთები რას კმარა.
საჭირო არი სივრცეც...
და ვისაც ფრთები ამოეზარდა, —
გვმართებსღა — სივრცე მივცეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამარა გვაზავა-სანაძე

# ანთიმ ივერიელი სნაგოვოში

ნაადრევი გაზაფხული იდგა. ჰყვაოდნენ წაბლის ხეები, თეთრი მტევნებით დაიხუნძლნენ აკაციები, ზღვიდან მონაბერი ნიავქარი მაღალ ხეთა ვარჯნარში იცინოდა, გზის ორივე მხარეს კი ფერგაუხუნარი ფოთლები შარიშურობდნენ.

ანთიმი ბუქარესტიდან სნაგოვოში მიემგზავრებოდა. იქ, დიდი ტბის პატარა კუნძულზე, ძველთაძველი მონასტერი იდგა. მისი მოვლა-პატრონობა მას დაავალეს. ვლახეთის მთავარს სჯეროდა, რომ ეს გამრჯე, კეთილგონიერი უცხოელი, წაქცევის პირად მისულ სავანეს ფეხზე წამოაყენებდა. რაც მთავარია, ივერიელს სნაგოვოში წიგნსაბეჭდის გამართვა ჰქონდა განზრახული. ეს განზრახვა, ქვეყნის აყვავება-აღორძინებაზე მზრუნველ თავადს ძლიერ მოსწონდა და დახმარებაც აღუთქვა.

სნაგოვის გზაზე კარეტა ნელი რწევით მიდიოდა. გაზაფხულის თვალისმომჭრელი სიხასხასე მგზავრს ამშვიდებდა. უცხოურ მიწაზე ფეხმოდგმულს უხაროდა, რომ შეხსიჟრებას არაფერი დავიწყებოდა, კარეტის სარკმლიდანაც იღვრებოდა მზის შუქი და ანთიმს გაშლილ სახეზე ეფინებოდა. მან თვალები მილულა და მის მდუმარე ბაგეებს ნელი ჩურჩული მოწყდა.

— მაცხოვარო! სითბო-სინათლის მადლს ნუღარ მოაკლებ შენს საუფლოს!

კარეტა შეუჩერებლივ მიიწევდა. ბორბლები ხმაშეწყობილად კაკუნებდნენ, მათ ერთფეროვან ხმაურს მორგებულ-მოჭერილი ჭანჭიკების ჭრაჭუნიც ესადაგებოდა.

თვალებმილეული ანთიმი თვლემდა, დამძიმებული წამწამები არ ირხეოდნენ, გონება კი ფხიზლობდა. გონების თვალი საოცარი სისწრაფით წვდებოდა ხილულს თუ უხილავ საგნებს, სადღაც, ბურუსში ჩაკარგულ ყოველდღიურ საზრუნავს, მომავალი საქმიანობის წვრილმანებს, შემდეგ მივიწყებულ მოგონებასაც გადასწვდებოდა და ყოველივე ამას ანგარიშობდა, აჯამებდა, ძილ-ღვიძილს ზოგჯერ მეეტლის ხმამაღალი შეძახილი არღვევდა, შემდეგ იღუმენის კარეტაში კვლავ სიმყუდროვე ისადგურებდა.

სნაგოვის კუნძულზე წამომართული სავანე დედაქალაქს სულ რაღაც სამი ათეული კილომეტრით აშორებდა, მაგრამ დილიდან გასული კარეტა დანიშნულ ადგილზე მხოლოდ ნაშუადღევს ჩავიდა.

ივერიელს მოუთმენლად მოელოდნენ: ბერები, ხუცები, მორჩილები. მათ შორის იყო გულგადალეული ამფილოქსეც, ყოფილი იღუმენი, რომელიც შიშით დაზაფრული ელოდა თავის მეტოქეს, დღეიდან კი უფროსს.

ყველას აინტერესებდა საოცარი კაცის ნახვა-გაცნობა, რომელიც უცხოელად იწოდებოდა, მაგრამ იმათი მშობლიური ენის ცოდნა-სიყვარულში ტოლს არავის უდებდა. სულ რაღაც სამიოდე წლის მანძილზე ვლახეთში იმდენი მადლი და სიკეთე

დათესა, რომ თავადი ბრინკოვიანუც გამორჩეული ყურადღებითა და პატივით ეპყრობოდა.

ანთიმის მაღალ ზნეობაზე, მის განათლებაზე ლეგენდებს თხზავდნენ — რასაც ხელს შეახებს, ყველაფერი სულს იდგამსო, მეტყველებს და მღერისო. ამაზე მხოლოდ შურით გულანთებული ამფილოქსე ქილიკაობდა.

— ღვთის გმობაა, როცა მოკვდავს, უკვდავად რაცხთ, — თვალებს დამცინავად ჭუტავდა მოხუცი.

— თქვენო უწმინდესობავ! მხოლოდ რჩეულს შეეძლო უცხო მიწაზე ასე ძლიერ დაფესვიანება, — შეეპასუხა ბერი. ასეთ სითამამეს არ მოელოდა ყოფილი იღუმენი.

— ტყის ვაზიც ფესვგამდგარია, წარჩინებით კი ვერ იამაყებს, — მკვახედ მიუგო ამფილოქსემ.

ბერს არაფერი უპასუხნია, იცოდა მისი გაბოროტებისა და შურიანობის მიზეზი და თავი მოარიდა...

ანთიმის კარეტა სნაგოვოს უახლოვდებოდა. ეს გაპარტახებული სავანე თვითონ აირჩია საპატრონოდ. კონსტანტინესაც პირობა მისცა:

— ღვთის მადლითა და თქვენი შეწევნით იქაურობას აღვაშენებ, ავაყვავებ, ავამაღლებო.

ბრინკოვიანუს სჯეროდა მისი სიტყვისა. ბერებსაც სწამდათ, რომ ანთიმის მობრძანებით სნაგოვოში ყველაფერი წალმა დატრიალდებოდა და იქ შეყუჟულ შავოსნებს მეტი პატივ-ღირსება დაედებოდათ, მხოლოდ ყოფილი იღუმენი არ იზიარებდა საერთო სიხარულსა და განწყობილებას, შემცვლელის გამოჩენას შეშფოთებით, სიძულვილითა და მიუტევებელი გაბოროტებით მოელოდა. გულის სიღრმეში წყევლიდა იმ ვიღაც გადამთიელის ჩამოსვლის დღესა და საათს, რომელმაც მას წინამძღოლობის გვირგვინი მოსტაცა. თუმცა კარგად ერკვეოდა საკუთარ შესაძლებლობებში, საკუთარი ფასიც, ძალა, ჭკუა-გონება, ზნეობა და ჯანიც კარგად იცოდა. ის საოცარ კაცი, გადამთიელს რომ უწოდებდა, ათი თავით მაღლა იდგა მასზე, მაგრამ უფროსობის დაკარგვამ გაამწარა, გაა-ბოროტა ამფილოქსე.

ანთიმის იღუმენად კურთხევის თაობაზე ხმებმა ჯერ კიდევ ადრე ჩამოაღწია სნაგოვოში. ამ ცნობამ განსაკუთრებით ამფილოქსეს მოშურნეები გაახარა. სწორედ ამიტომ იმედგაცრუებულმა და დამცირებულმა მამა ამფილოქსემ პირველ დღიდანვე ივერიელისადმი მტრობა-სიძულვილი იგრძნო და გულში ჩაიმარხა. გარეგნულად კი ღიმილიანი და სიტყვადამტკბარი შეეგება ანთიმს.

პირველი მოკითხვა-მისალმების შემდეგ მისთვის განკუთვნილ სენაკში მიაცილა და ტკბილი დასვენება უსურვა. ანთიმმა არ ისურვა დასვენება, იმავე დღეს დაიწყო მონასტრისა და მისი ყურე-კუნჭულის შემოვლა. სტამბის გასამართავი შენობა გულისყურით დაათვალიერა. საბეჭდი დანადგარების განლაგების ადგილი გუნებაში მოხაზა. მაგრამ თავდაპირველად აუცილებელი იყო დარბაზის შეკეთება, ჭერის, სახურავის, კარების, ფანჯრების და თახჩების განახლება, მძიმე მანქანებისათვის საძირკვლის გამაგრება. ვიდრე დედაქალაქიდან მანქანებს ჩამოიტანდნენ, ამ საქმისათვის თავი უნდა მოება. და ახალმა იღუმენმა გადაწყვიტა თავისი საქმიანობა აქედანვე დაეწყო.

სნოგოვოში სამუშაო ყველას ყელამდე ექნებოდა და წინამძღოლმა ჩამოქცეულ-ჩამოფხავებულ მონასტრის აღდგენა-განახლებაზე დაიწყო ფიქრი. დამხმარე მასალათა შესანახად მონასტრის მარჯვენა ფრთაზე მინაშენი შეათვალიერა. ფარღალალა დარაბას სახურავი არ უვარგოდა, კედლებიც ამოსაგოზავი ქონდა. და როცა ანთიმმა ოსტატებზე სიტყვა ჩამოაგდო, მამა ამფილოქსემ პირზე დაშაქრული ღიმილით მიუგო:

— სვებედნიერო წინამძღოლო! ყველაფერი ისე მოგვარდება, როგორც თქვენ ინებებთ.

მის დათაფლულ ღიმილსა და სიტყვებში ვერ იგრძნო ივერიელმა გულწრფელობა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. იგი თავისი მხლებლებით ახლა საჯინიბოსაკენ გაემართა. მიხურული კარი ხელჯოხით გაალო

და შიგ შეიხედა. იქაურობა ისე მოუვლელი, ბინძური, ნესტიანი იყო, რომ ანთიმს სახეზე აშკარა წყენა აესახა, თუმცა საყვედურის თქმას ამჯერადაც მოერიდა. მხოლოდ ყურადღებით ჩახედა ამფილოქსეს ჩაბჟუტულ თვალებში და უსიტყვოდ აგრძნობინა. „წმინდა სავანეში სისუფთავე, სიფაქიზე და წესრიგი უნდა სუფევდესო". შეცბუნდა მამა ამფილოქსე და დანაშაული იქვე მდგომ შავოსანს გადააბრალა.

— ბევრჯერ გავაფრთხილე ეს მორჩილი, რათა იყოს სუფთა და წიგნიერი, მაგრამ ახირებული და ზარმაცია. საჯინიბო მიშვებული აქვს.

ფერმკრთალ ბერს მოულოდნელობისაგან თავზარი დაეცა. მამა ამფილოქსეს საყვედური მის მიმართ ცილისწამება იყო და სირცხვილისაგან სიწითლემ გადაჰკრა. ვერც იმაში გარკვეულიყო რად მოექცნენ ასე მკაცრად, ასე სასტიკად. იგი უცებ მოწყდა ადგილიდან, ანთიმის წინ მუხლი მოიყარა და მანტიის კალთას მოწიწებით ეამბორა.

— თქვენო უწმინდესობავ! ბრალი არ მიმიძღვის. დაცხავებულ სახურავიდან წყალი ჩამოდის, მორები ლპება. ჩემი ცდა და ღონე ამაოა.

ბერის განიერ ბეჭებზე ტალღებად ეცემოდა შავი, ხვეული თმა, ხოლო ანაფორა ღეთრად იყო მოფიფქული. ივერიელმა მზერა ჭაბუკის ქერტლიან ზურგზე შეაჩერა. ამის შემხედვარე ამფილოქსეს თვალები კვლავ ავად გაუბრწყინდა.

„ეს შეჩვენებული ყოველი ფეხის ნაბიჯზე მარცხვენს" — გაიფიქრა. გულის სიღრმეში კი სინდისის ქენჯნა იგრძნო. ჭაბუკს მუდამ უსამართლოდ ექცეოდა. თუმცა იცოდა, რომ იგი სხვებზე მეტს შრომობდა, იყო მოკრძალებული, პატიოსანი და გონიერი. მიუხედავად ამისა, პირველსავე დღიდან არ მოეწონა, ამიტომ სახელიც უკადრი და სათაკილო შეურჩია — არდალიონი, რაც ბერძნულად გათხუპნულს, ჭუჭყიანს ნიშნავდა. ამგვარ დამოკიდებულებას მორჩილიც კარგად გრძნობდა, მაგრამ შეურაცხყოფა-დამცირების გულის შემწუხლავ ტკივილს მუდამ ჩუმად ატარებდა. ღოისაც უმიზეზოდ შეარცხვინეს. მას სიტყვა არ დასცდენია, შეეძლო კი თამამად ეთქვა — ამფილოქსე ბერს საჯინიბოში არასოდეს შემოუხედავსო.

— ადექი, შვილო, — დაუყვავა ანთიმმა, თან დასძინა, — ამ მიდამოებში უთუოდ ხარობს ჭინჭარი, ვირისტერფა ბალახი და თალგამი.

— დიახ, ხარობს, თქვენო უწმინდესობავ, — მიუგო ახალგაზრდა ბერმა, სხვები გაოცებულნი შეჰყურებდნენ იღუმენს.

— ახლავე დაჰკრიფე და აქ მომიტანე.

ჭაბუკი ორად მოიკეცა, თავი მდაბლად დაუკრა და დავალების შესასრულებლად წავიდა. იღუმენის ესოდენ კეთილმა განწყობილებამ გაალიზიანა ბერი ამფილოქსე. მაგრამ ვიდრე სამაგიეროს გადახდის ფიქრებს თავს მოაბამდა, ანთიმმა შეაწყვეტინა:

— ძმაო ჩემო! კეთილ საქმეთა დამხმარედ ქალაქიდან მოწაფეებს მოველი, მათ სენაკები დასჭირდებათ.

ამფილოქსემ პასუხი ოდნავ დააყოვნა, შემდეგ ტკბილი ღიმი ტუჩებზე დაიყენა და ჩუმად წაიმღერა:

— ღირსეულო წინამძღოლო, იყოს ნება თქვენი, გვაქვს სენაკები, — იგი მონასტრის მარცხენა ფლიგელისაკენ წარუძღვა სტუმარს. ჯოხზე დაყრდნობილი მიდიოდა ნელა, ქოშინით. ანთიმს უკვირდა, ამფილოქსეს უძლებ ბუნებაზე, მის სიმკაცრესა და სიმტკიცეზე ბევრი რამ სმენოდა და იგი ასე დაჩიავებული ვერ წარმოედგინა. ბერიკაცს ჯანი და გამჭრიახობაც უკვე გამოფიტვოდა, მხოლოდ სული უკვნესოდა. დაუკმაყოფილებელი სურვილი აწვალებდა და იერომახს შეეცოდა იგო. ისინი მონასტრის დაბალ თაღქვეშ შეცვიდნენ და გრძელ ტალანს გაუყვნენ. მათ წინ მიდიოდა ბერი და ობმოკიდებულ, ბნელსა და ნესტიან საკნის კარებს ერთიმეორეზე აღებდა.

ივერიელმა კვლავ შეიკრა შუბლი და ახლა უკვე დაუფარავი წყენით წარმოთქვა:

— ძმაო ჩემო! ვიდრე მოწაფეები სნაგოვოს ჩამოვიდოდნენ, ჩვენ ამ სენაკებს სალოცავ, საცხოვრებელ, სამუშაო ბინებად ვაქცევთ.

ამფილოქსემ ოდნავ გაოცებით ახედა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ უცებ გონს მოეგო და თავისებურად წაიმღერა:

— ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გნებავთ.

როცა ეზოში გავიდნენ, უკვე ღამდებოდა. ლეღვის ამონაყართან არდალიონი შემოხვდათ, მას ანაფორის კალთა ბალახით ევსო. მიუახლოვდა ანთიმს და მდაბლად თავი დაუკრა.

— წმინდაო მამაო! თქვენი ბრძანება შევასრულე, — ანაფორას კალთა გაშალა. ანთიმმა ბალახს დახედა, შემდეგ მზერა მორჩილზე გადაიტანა.

— ყური დამიგდე, შვილო! როცა შენ თავად გაიგებ, კეთილსა და მოყვარესაც ახწავლე — ეს არს სიბრძნე ხალხური. — მორჩილი ყურადღებით უსმენდა, უსმენდნენ სხვებიც, — ორ წილ ჭინჭარსა და პირისტერფას მესამედი შეურიე თალგამი, ხუთი ჩარექა წყალი დაასხი, ადუღე და ნელთბილი ნახარშით ქერტლს უწამლე.

ასეთ საუბარს არ მოელოდა მორჩილი და სევდიან თვალებში უცებ ცრემლი ჩაუდგა. ჭინჭრით დასუსხული მარჯვენა კულზე მიიდო და აღელვებისაგან გაწითლებულმა წაილუღლუღა:

— მოძღვარო ჩემო! თქვენ წმინდანი ხართ. ჭეშმარიტი წმინდანი. თქვენ მომაცილეთ ურვა ესოდენ ტკივილიანი. მე წავალ სენაკად, რათა ღვთის მიმართ ვილოცო... ვილოცო თქვენზე.

ანთიმმა ხელები მხრებზე დაადო და შეგონებით უთხრა:

— ილოცე, შვილო... სნებასა და სატკივარს დათრგუნავს ძალა ღვთისა.

არე-მარეს საღამოს ბინდი მიეძალა. დაღლილი ანთიმი მისთვის განკუთვნილი სენაკისაკენ მიდიოდა. მასპინძლის ტრაპეზზე უარი უთხრა.

— გვიან ვახშმობას გადაჩვეული ვარო.

ირგვლივ გაზაფხულის სურნელი იდგა. წაბლის ხეები ყვავილობდნენ, თეთრი მტევნებით დახუნძლულ ტუის ბუჩქებზე გირჩები იყო დაყრილი, რბილი, მომრგვალებული ყვავილებით. სნაგოვის ტბიდან გრილი სიო უბერავდა.

* * *

ანთიმმა კარი მიიხურა. სენაკში ჩამოლევენთილ ცვილში, პატრუქი ხრჩოლავდა და საამო სუნს აყენებდა. კუთხეში ზეთის კანდელის მოციმციმე შუქით ოდნავ განათებული ჯვარცმა იდგა. იღუმენმა პირჯვარი გადაიწერა.

— მოწყალებისათვის დიდება შენდა უფალო! — დაიჩურჩულა და კანდელის წინ თავი დახარა. ჩუმად ლოცულობდა.

მორჩილმა კარებში შემოჰყო თავი და ანთიმის გაოცებულ მზერას მორიდებული კითხვა შეაგება.

— თქვენი უწმინდესობა ხომ არ ინებებს რითიმე დამსაქმოს?

— არა, შვილო, წადი, დაისვენე.

— ბერმა მოწიწებით დახარა თავი და კარი ნელი ჭრიალით გაიხურა. ფილაქანმოგებულ დერეფანში ფოსტლების ფრატუნი ნელ-ნელა მიწყდა და კვლავ გამეფდა სიჩუმე.

იღუმენმა ანაფორა გაიხადა და ბოხჩიდან წიგნების ამოლაგება დაიწყო. იმათგან ოთხი მის მიერ ბუქარესტში გამოცემული იყო. რუმინულად დასტამბული „დავითნი" თახჩაზე ცალკე დადო. ასევე კარგა ხანს დაჰყურებდა მის მიერვე პირველად გამოცემულ წიგნს „66 თავი ბერძენთა თვითმპყრობელის, ბასილი მაკედონელის შეგონებათა", თითქოს გაფანტულ აზრს თავს უყრიდა. მაკედონელთა გვარი მის ცხოვრებისეულ გეგმაში ერთ-ერთ საპატიო ადგილზე იდგა. ქვეყნის მპყრობელ ალექსანდრეზე წიგნის დაწერა განეზრახა, თუმცა ნაფიქრალისათვის თავის მობმა ნაადრევად მიაჩნდა.

ცალკე ადგილი მიუჩინა იმ ორ ხელნაწერსაც, რომელთა გამოცემა სნაგოვის მონასტერში ჰქონდა განზრახული. ესენი გახლდათ „ქრისტიანული სწავლებანი" და „კონდაკი".

ამჯერად იღუმენის მთავარი საფიქრალსაზრუნავი სტამბის გახსნის საკითხი გახლდათ და მისი გონებაც მონასტერში ნახულს, გაგონილს აჯამებდა, წონიდა. მანქანის დასადგმელი დარბაზი უკვე მოათავალიერა. ახლა აუცილებელი იყო მანქანებისათვის სადგომის განმტკიცება, ასევე

უნდა შეეკეთებინა ჩამონგრეულ-ჩამოფხავებული და მოუვლელობით გატიალებული სათავსოები, სენაკები და სამლოცავო. იგი თავის საიმედო მოწაფეებს: მიხეილ იშტვანოვიჩსა და გიორგი როდონოვიჩს ბუქარესტიდან მოელოდა. ეს ამხნევებდა და ახარებდა. დარწმუნებული იყო, რომ იმათი სიბეჯითე, საქმის სიყვარული და ენამზეობა მაგალითის მიმცემი იქნებოდა ყველასათვის, ვისაც შრომა სურდა და საერთო საქმისათვის გული შესტკიოდა.

სნაგოვის მონასტერში ორიოდე კვირის შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი, მამა ათანასეც ჩამობრძანდებოდა. ბრინკოვიანუსის თხოვნით ანთიმ ივერიელი მას ბეჭდვის საქმეს ასწავლიდა.

სიბნელესა და მყუდროებაში ჩაიძირა მონასტერი. ანთიმის სენაკში ბატის ფრთა წრიპინებდა. და იღუმენი სინათლის მოციმციმე შუქზე მონასტრის შეკეთება-გადაკეთების გეგმას ადგენდა. მას ჯერ კიდევ ბუქარესტში მოესმინა სნაგოვის ბერ-მონაზონთა უთავბოლობა-უსაქმურობაზე, მაგრამ უფლისთვის განკუთვნილი სახლის ასე გაპარტახებას მაინც ვერ წარმოიდგენდა. ამფილოქსე ბერის უთავობა არა მარტო აოცებდა, არამედ აბრაზებდა და უკვირდა, რომ ღვთისმოსავს გამბედაობა არ ეყო უარი ეთქვა თავისი ჯანისა და წლოვანებისათვის შეუფერებელ საქმეზე. ეს კი ნაყოფი იყო მისი უძლები პატივმოყვარეობის და სიკერპე-ჯიუტობისა. სადღა შეეძლო გადაჯრუებულ იღუმენს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, ბებერი ძვლებისათვის აკიდებული მძიმე ტვირთი ეტარებინა. თუმცა ამფილოქსე სხვაგვარად ფიქრობდა — ღვთისა და კაცის მიერ ნაბოძები იღუმენის გვირგვინი სულის ამოხდამდე მას უნდა ეტარებინა. და დღეს თუ ძალა ეყოფოდა, შური უნდა ეძია იმაზე, ვინც ქაღარა თავიდან ეს გვირგვინი მოხადა.

ბუნებით წესრიგიანი, შრომისმოყვარე და ავ-კარგის გამკითხავი ანთიმი ცდილობდა როგორმე ამოეწია და საღ საძირკველზე დაემკვიდრებინა ვლახეთში განთქმული სნაგოვო. თანაც ყველაფერი ეს ისე მოემოქმედა, რომ ამფილოქსე მამისათვის წყენის ჩრდილი არ მიეყენებინა და პატივმოყვარე ბერიკაცისათვის დარჩენილი ორიოდე დღე აღარ ჩაემწარებინა.

* * *

შუაღამე გადასულიყო. შთაბეჭდილებებით დატვირთულ იღუმენს ძილი გაუკრთა. მან ბატის ფრთა გვერდზე გადადო და შანდლის სადგამზე ჩამონაღვენთ ცვილის სურნელოვანსა და უფორმო მასას დააცქერდა. მისმა ფიქრებმა სენაკის კედლები დატოვეს და უხილავი ფრთებით ბუქარესტს, ტირგოვიშტესა თუ სნაგოვის შემოუქროლეს და იღუმენის ყველა სამოქმედო უბანი მოათვალიერეს, ყველა კუნჭულში შეიხედეს. საფიქრალ-საზრუნავი ძალიან ბევრი ჰქონდა ანთიმს და ისიც გაზომილი ნაბიჯებით მიჰყვებოდა ცხოვრების ძნელ გზას. წუთისოფლის ბორბალი მისთვის ხან წაღმა ტრიალებდა, ზოგჯერ უკუღმაც. დღეს ეს ბორბალი სნაგოვოში გაჩერდა. მრავალტანჯულმა იღუმენმა უკან მოიხედა, უცებ ელვასავით გაკვესა წამიერმა სიხარულმა.

ოჰ! რამდენმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც თავაწეული და თვალგამორთული ჭაბუკი ბედნიერი ღიმილით გაჰყურებდა ნათელ ქვეყანას. შემდეგ ერთბაშად, სრულიად მოულოდნელად, თითქოს მიწამ პირი უყო მის დალხინებულ სიჭაბუკეს, უზრუნველ მომავალსა და მთელი ოჯახის ბედნიერებას. უცებ ყველაფერი გაჰქრა, როგორც უდაბნოს მირაჟი და დარჩა უძირო მწუხარება, რომელსაც არ ჰქონდა გამართლება, აღარც ხსნის იმედი ჩანდა, მაგრამ ადამიანი ყოველგვარ მწუხარებაზე ძლიერი ყოფილა თურმე. ყრმა ანდრიამაც (როგორც მას სიჭაბუკეში ეძახდნენ) გაუძლო და გადაიტანა უდიდესი მწუხარება: უუფლებობა, მონობა, ახლობელთა სამუდამო დაკარგვის ტკივილი. მიუხედავად ამისა, წუთითაც არ დაუკარგავს საკუთარი ღირსება, სამშობლოს გრძნობა, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილი. და ყველაფერი ეს ისეთ დიდ სულიერ ტკივილებთან იყო დაკავშირებული, რომ ანთიმი მუდამ გაურბოდა მძიმე მოსაგონარის გაცოცხლებას, მაგრამ დღეს, მონასტრის ნესტიან საკანში მორეულ აჩრდილთა მოჯა-

რებას არ გაძალიანებია და მორჩილად გაჰყვა მოგონებათა გრძელ ჯაჭვს; თუმცა ანთიმი ბედის მიმართ უკმაყოფილო არ უნდა ყოფილიყო, სამღურავიც მკრეხელობად ჩაეთვლებოდა, რადგან დიდმა ნიჭმა და შრომის სიყვარულმა მას კარგად შემოუბრუნა ბედის ჩარხი, მაგრამ მაინც მძიმე იყო ათეული წლის მანძილზე სამშობლოდან მოშორებული კაცისათვის, ეულად, სხვის კარზე, სხვის მიწაზე ცხოვრება, როგორი თბილი და ალერსიანიც არ უნდა ყოფილიყო; დღეს, საკმევლის სუნით გაჟღენთილ სენაკში, განვლილ დღეთა ანარეკლი საოცარი სისწრაფითა და სიზუსტით იხატებოდა ცხოვრებისეულ ფონზე და ყოველივე ამას იღუმენი ისე მტკივნეულად აღიქვამდა, როგორც ათეული წლის წინათ. თითქოს აწმყო და წარსული პირისპირ იდგნენ და მისი ბედის კარაბადინიდან რიგრიგობით კითხულობდნენ განვლილ დღეთა სიხარულსა და მწუხარებას.

ანთიმის თვალწინ საავდრო ღრუბლებივით ირეოდა ტკბილი და მწარე მოსაგონარი. მოსაგონარი სიკეთისა, ბოროტებისა, რწმენისა, სასოწარკვეთისა და ყოველივე ეს წლების მანძილზე წვეთ-წვეთობით ილექებოდა გულის სიღრმეში. სწორედ მისი დაუცხრომელი გული, რომელსაც მასში მიყუჩდებოდა გამოვლილ დღეთა სიმწარე, კვლავ იკრებდა ძალებს და უშიშრად განაგებდა სიმართლისა და კაცობის მაღალ ფიქრებს. სულიერი ცხოვრებით ამაღლებულს, რეალური ცხოვრების გარეშე ვერ წარმოედგინა სიხარული, მაღალი, საკაცობრიო იდეალები. სწორედ ხილულ ქვეყანაში იყო დამკვიდრებული დიდი და მშვენიერი, მიწიერი ცხოვრება, რომელსაც ვერ შეცვლიდა ვერავითარი წარმოსახვითი ძალა. ხოლო მეორე, სულიერი სამყარო, რომელიც ასევე წმიდათაწმიდა იყო ანთიმისათვის, მხოლოდ შეცნობილ-შესწავლილი, ნახულ-განცდილი ქვეყნიერების გაგრძელებას წარმოადგენდა.

შუაღამე გადავიდა, სნაგოვის მონასტერი ძილქუშში ჩაიძირა. ირგვლივ მხოლოდ მდუმარება სუფევდა. სიწყნარე იყო სანთლის ენებით მოხატულ საკანშიც. მდუმარების სამეფოში იჯდა იღუმენი და [illegible]ელზე მოქანავე ლანდს მისჩერებოდა. ცხოვრების ძნელსა და გრძელ გზაზე, საკუთარ გრძნობებთან მარტოდმარტო დარჩენილი ანთიმი, თავისი მოუთრგუნავი ძალა-ენერგიით, გამუდმებული ჯაფით, საქვეყნო საქმეებისათვის ზრუნვა-გარჯით, ყველგან და ყოველთვის ცდილობდა სულიერი ცხოვრებისა და უკვდავებისათვის ბრძოლით მიეყუჩებინა, მიეძინებინა და ბოლოს ჩაეკლა აბობოქრებული გრძნობები, რომელიც დროდადრო აუჯანყდებოდა, აბობოქრდებოდა და ნაპირიდან გადმოხეთქვას ლამობდა, მაგრამ იგი თავის რკინის ნებისყოფით კვლავ აჩერხებდა მოეთრგუნა მოზღვავებულ გრძნობათა სიურჩე, გულიდან ანასხლეტი მიწიერებაც, სულის მორჩილი გაეხადა და აი, სნაგოვის ჯერ კიდევ შეუჩვეველ მონასტერში, მოგონებები ახალი ძალით შეირხა და ხილვადაკარგული მზერით ანთიმს თვალებში ჩახედა. იღუმენი შეკრთა, მის ცნობიერებაში კვლავ ერთმანეთს ჩაეხლართა: სიყვარული, ბოროტება, შორს მოტოვებული წარსულიც და გულზე მჭვალივით დაადგა. მოგონებები აღარ ასვენებდნენ.

— ანდრია! — თითქოს სხვა სამყაროდან ამოაღწია ოდესღაც ახლობელმა, სანატრელმა, ვერცხლის ზარივით წკრიალა ხმამ. და მისი სულის საუფლოში ჩასახლდა. ჩასახლდა სამუდამოდ, მოუშორებლად. უცებ ვიწრო საკანი, სადაც ბინა დაიდო, თითქოს გაფართოვდა, განათდა.

— ანდრია!

მწუხარების ცეცხლში გამოვლილმა ჭაბუკობის სახელმა წარსულის მოქუფრულ ღრუბლებიდან ნათელ მოგონებად გამოანათა.

ანთიმი შორეული წარსულის ჩრდილქვეშ იდგა და ახალგაზრდა წყვილის გაბაასებას მოწყურებული უგდებდა ყურს, ეს იყო ბმათი უკანასკნელი და საბედისწერო შეხვედრა, რომელმაც დიდ სიყვარულს სამუდამოდ დაუხურა გულის კარები... ჭაბუკი ანდრია თუმცა ცხოვრობდა, ფიქრობდა, სწავლობდა, მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა სინათლის, იმედისა და აღმაფრენის გარეშე. მწუხარებით გაფანგულ ჭა-

ბუკს სულიერი წონასწორობაც არ უნდა დაეკარგა, ამას მოითხოვდა ღირსება. ძველი რომაელები ამბობდნენ — განსაცდელის ჟამსაც უნდა შეინარჩუნო ზრდილობა და სიმხნევეო. და ჭაბუკი ანდრიაც დაკარგულ პირველ სიყვარულს თუმცა გულისგულში მტკივნეულად ინახავდა, გარეგნულად არავის ამჩნევინებდა. ამიტომ იყო უტყვი და თავდაჭერილი.

შემდეგ ანდრიას წაართვეს სიყვარული, სიცოცხლესავით საყვარელი სამშობლო და ცხოვრების გრძელ ეკლიან გზას შეუყენეს. სიხარული, იმედი, რწმენა დაიფერფლა, ნათელი სამყარო გაქრა და ყოველივე თვალგაუვალ უფსკრულად შეიცვალა. მიუსაფარსა და უსამშობლოს, დიდი სიხარულის უფლება წაერთვა, იგი მხოლოდ ამ სიხარულის ნამცეცებითღა კმაყოფილდებოდა. ხშირად იმედგაქურდულს საკუთარი არსების გაორებაც განუცდია, მაგრამ იყვნენ კეთილი ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ შებრალებაც, ხოლო როცა ბედუკუღმართობით განწირულსა და ცისანაბარა მყოფ უცხოელს გულის სითბოს უწილადებდნენ, ტკივილიც უყუჩდებოდა.

სნაგოვის მონასტერი ღამის მდუმარებაში იყო ჩაძირული. ხელებში თავჩარგულ ილუმენს ძალა და გამბედაობა ვერ ეყო, ზურგი შეექცია და გათავისუფლებულიყო მწარე და ტკბილ მოგონებათა ხლართებიდან, ხოლო როცა გონების თვალი სანუკვარ სამშობლოს მოავლო, თითქოს ავმა სულმა ისე ძლიერად დაქაჩა, რომ მან უნებლიედ თვალი გაახილა. ირგვლივ მიმოიხედა. კვლავინდებურად ციმციმებდა კანდელი, კუთხეში იდგა ხისაგან გამოკვეთილი და ჟამთასვლისაგან ფერდაკარგული ჯვარცმა. შანდლის სადგამზე სანთლიდან ჩამონაღვენთი ცვილის ჯერ კიდევ თბილი და უფორმო მასა იყო დალექილი. გარეთ სიბნელე და მყუდროება სუფევდა.

— მაცხოვარო, ნებით თუ უნებლიეთ, იქნებ შეგცოდე რამე, მაშინ მომიტევე მე უბედურს, — დაიჩურჩულა ანთიმმა.

— არა ხარ ცოდვილი, — თითქოს წლების მიღმიდან ასევე ჩურჩულით გაეპასუხა უხილავი ხმა და დაღლილი ილუმენი კვლავ მოგონებათა ლაბირინთებში შევიდა.

მთის ძირში იდგა მათი სახლი. კლდეთა ჩაჭრილ სხეულში ტყვიაჩასხმულ ზოლებად ბრწყინავდნენ მწვერვალიდან მოქუხარე წყაროები.

ორი ბერი ჰყავდა მასწავლებლად მიჩენილი ანდრიას, ქართველი ექვთიმე ქვეყნის გაჩენას, მის წარღვნასა და ხელახლა განახლებაზე უამბობდა; ეს შავოსანი ჭაბუკისათვის აღმზრდელიც იყო, მწყრთნელიც, მოძღვარიცა და მასწავლებელიც. როცა კავკასიონის გრძელი ჯაჭვი ლილისფერ ბურუსში გაწვებოდა და შავი ზღვიდან მონაბერი ქვენა ტყის ვარჯნარს ქოჩორს აუწეწავდა, ისინი წყაროს პირას სხდებოდნენ და აქ იშლებოდა და იკითხებოდა ისტორიის ძველთაძველი ფურცლები, ზოგჯერ საუკუნეების მიერ თუმცა ფერგაცლილი, მაგრამ მუდამ ცხოველი და მიმზიდველი.

მეორე ბერი, ათინოდორედ წოდებული, ბერძენი გახლდათ. ბევრი ჭირნახული და ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი, ბრძენი კაცი.

— სიბრძნესრულობას ცოტა ვინმე თუ დაიჩემებს, შვილო ჩემო, მოკვდავთა ხვედრია გონიერთა რჩევა-დარიგება ყურად იღოს, რათა თვალებიდან ბინდი ჩამოიშოროს, — ასწავლიდა ჭაბუკს ბერძენი.

— სულიერი საზრდოთი მდიდარ კაცს ყველგან აქვს გზა ხსნილი, ამ მხრივ თქვენს დალოცვილ ქვეყანას ბევრი სიბრძნით მდიდარი და საქები შვილი ჰყოლია წინათაც... ჰყავს დღესაც. სიბრძნეში გაწაფულები, ქედუდრეკნი და მოყვასთა გამკითხავნი არიან, თქვენს ხალხზე ეს ყველგან თქმულა, — გაფაციცებით უგდებდა ყურს ანდრია.

— შვილო ჩემო! შენ ღვთისგან ნიჭი-მადლითა ხარ მირონცხებული. ეცადე უქმად არ დაშვრეს უფლის წყალობა, — ვედრებასავით ჩაესმოდა ანდრიას მწყრთნელის სიტყვები.

— ჩემო მოძღვარო! მე თქვენ შემოგყურებთ, მიჩვენეთ გზა ჭეშმარიტი და გამოგყვებით. ჩემს სულს არა სჩვევია ორჭოფობა საძრახისი, — აღელვებით პასუხობდა ჭაბუკიც.

— თაყვანი მიცია ყოვლისშემძლე უფ-

ლისათვის და მადლობა მომიხსენებია შენთვის, კეთილო ბავშვო, ასეთი ნდობისათვის, — თვალცრემლიანი მოძღვარი ბუტბუტებდა თავისთვის.

სიხარულის მოლოდინი ბედნიერებაა. ანდრიაც ყოველდღე ელოდა შორეულ წლებიდან მოსულ „რაინდებთან შეხვედრას“. როგორც კი მათი ეზოს პატარა ეკლესიაში წირვას მოისმენდნენ, ექვთიმე ბერთან ერთად ამორჩეულ ადგილისაკენ მიდიოდა. სწორედ იქ, ბებერი მუხის ძირში, კვლავ იშლებოდა ძველი ისტორიის უზარმაზარი წიგნი და საოცნებო სამყაროში შესული ჭაბუკი მოწიწებით შეჰყურებდა თბილისის სანახებში მონადირე ვახტანგ გორგასალსა და თბილ წყალზე მოფარფატე დაკოდილ ხოხობს, თითქოს ხედავდა დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის მიერ ნაშენ-ნალოლიავებ მაღალ გუმბათოვან ტაძრებს, სასახლეებსა და ვარძიას, ხედავდა ბიზანტიელი დედოფლის უიმედო სიყვარულით გულმოკლულსა და ბერად აღკვეცილ პეტრე იბერს. ესმოდა როგორც საკაცობრიო საგალობელი „ვეფხისტყაოსანი“. ბევრი რამ იცოდა ექვთიმე ბერმა საქართველოს ბედუკუღმართ ისტორიაზე, იცოდა სახელ-დიდებით განათებულ დღეთა ისტორიაც.

იგი ასევე ასწავლიდა მას ქართულ ენაზე წერა-კითხვას, სახარებასა და გრამატიკას... საღამო ჟამს უკვე დგებოდა ბერძენი ბერის—ათინოდორეს ჯერი და ანდრია ახლა კვლავ ახალ სამყაროში შეაბიჯებდა, სადაც ისმოდა ძველი საბერძნეთის, რომისა და ბიზანტიის ფილოსოფოსთა უკვდავი სიბრძნე, და სპარტელ მეომართა ყიჟინა, ჭვრეტდა ამაყად თავაწეულ პატრიციებს, მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნებიდან ჩამოზიდულ სიმდიდრეს. ესმოდა თქმულებები თავდადებულ სიყვარულზე და საშინელ მტრობა-ვერაგობაზე. ეცნობოდა რაინდებსა და სულმდაბალ მოღალატეებს. გარდასული ისტორია იზიდავდა და ხიბლავდა ყრმას.

იმ საღამოს ბერმა ათინოდორემ ანიკეტის გმირობაზე მოუთხრო ანდრიას, ახალგაზრდობისას მონობაში გაყიდული ლაზის მძიმე წარსული საინტერესოც იყო და გულსატკენიც. ჭაბუკი დაძაბული უგდებდა ყურს.

ბიბლიოთეკა

— ზეგარდმო ნიჭითა და მცდელობით მომადლებულმა ანიკეტმა დაიბრუნა თავისუფლება და გახდა კაცი საჩინო, თავად მეფის მიერ ზღვაზე გემების უფროსად აღზევებული.

როგორც საღვთო კანდელიდან გამონაშუქი სიბნელეს აკრთობს, ასევე, ნათელს ამკვიდრებდა ლაზი ანიკეტი, მისმა კეთილმა საქმეებმა შორს გაუთქვეს სახელი. მაგრამ ხშირად უმადურია მბრძანებელი და გაუფასურებულია გულით ნაღვაწი სიკეთე ყმისა. არც ლაზს დაუფასდა თავდადება, კვლავ ლაგამის ამოდება მოუნდომეს, მაშინ გაგულისდა ჭაბუკი და ტრაპიზონს წავიდა.

ახოვანი, ლამაზი და ჭკვიანი იყო, წინდახედული და კაცთმოყვარე, რომაელები გაოცდნენ იმისი ახოვნებითა, დააფასეს და სამსახურიც საკადრისი შესთავაზეს, არც წყალობაზე უთქვამთ უარი, ყოველივეს დიდ მოწყალებასავით იღებდა ლაზი ჭაბუკი, გულში კი თავისი ქვეყნის მტრების მიმართ მტრობას მალავდა.

გავიდა დრო და ჟამი, რომაელებმა კოლხეთს ფეხქვეშ გათელვა დაუპირეს, მაშინ თავისუფლებას დანატრებული ანიკეტი წინ წარუძღვა თავისიანებს. კოლხთა მოულოდნელმა თავდასხმამ დიდი ზიანი მიაყენა რომაელთა ლაშქარს, მაგრამ მათ რომიდან მაშველი ჯარი გამოითხოვეს და მიწასთან გასწორებულსა და დამარცხებულ მეციხოვნეებს ახალი ძალა შემატეს. გულმოცემულმა რომაელებმა ახლა უკვე მძლავრად შეუტიეს მოწინააღმდეგეს. კოლხეთის მიწაზე გაიმართა ფიცხელი ბრძოლა, თავდაუზოგავად იცავდნენ კოლხი მეომრები სამშობლოსა და თავისუფლებას, რადგან სამშობლო გულზე გამობმული საუნჯეა და მას ყველა პატიოსანი კაცი საკუთარ სიცოცხლის ფასად იცავს, — უხსნიდა ბერძენი ბერი ჭაბუკ ანდრიას

— კოლხებს ბრძოლა გოჯის ციხის სანახებში მიუღიათ, შემდეგ ხობის წყალი სისხლით შეღებილა და უგონოდ მყოფი, დაჭრილი წინამძღოლი მოლაშქრეებისათვის რომაელებს წაურთმევიათ.

-- მოჰკლეს ანიკეტი? — ყველაზე ძლიერ ეს კითხვა აღელვებდა ანდრიას. იგი ლამაზ ყმაწვილში თითქოს თავის ორეულს ხედავდა. მისი ტკივილი, დამცირება თუ ტყვეობა გულთან ახლო მიჰქონდა.

— არა, ანიკეტი არ მოუკლავთ, — მოგუდული ხმით ღუღუნებდა მასწავლებელი. და კვლავ იწყებდა ძველსა და გრძელ ამბავს.

— ლაზს ბედი წყალობდა, თავგასულობა აპატიეს, უზნეო და ბილწმა ნერონმა, რომელიც მართავდა მაშინ ქვეყანას, დაუბრუნა მას გემის კაპიტნობაც, მხოლოდ იგი მოვალე იყო, იმპერატორის დედა გემით სასეირნოდ წაეყვანა და ზღვაში ჩაეხრჩო. უარის თქმა სიკვდილს ნიშნავდა და იგი დათანხმდა, მაგრამ დედის მოყვარულთა მოდგმისა იყო ქართველი და მას არ შეეძლო დედაკაცის მოკვლა, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი.

— და კაცმან ქველმან და ღვთისაგან ნაკურთხმან მცდელობითა და კეთილგონიერებით იპოვა გზა, რომ ცოდვას განრიდებოდა. ღვთით შთაგონებულმან გემი ნაპირთან სილა-ხვავზე დასვა და შვილის მიერ განწირულ დედაკაცს უთხრა:

— აჰა, დედოფალო, თქვენ სამშვიდობოსა ხართ, აგერ სულ ახლოსაა ნაპირი შყარი, აწ თავად გაიკვლიეთ გზა. — და ქალი ცურვა-ტივტივით უვნებელი გავიდა სამშვიდობოს, ანიკეტი განთავისუფლდა ცოდვისაგან. — რატომ ჩნდებიან ღვთის საუფლოში ბოროტი და დაუნდობელნი? — ანდრია სულ უფრო კუმშავდა მუშტებს.

— დედოფალსაც თავის შვილივით ბევრი ცოდვა ედო ვალად. იყო სისხლმოწყურებული, მრუში, ბილწი და მუხანათი, მისმა ნაშობმა ჯალათს მოაკვლევინა იგი, მალე მკვლელის ჯერიც დადგა და ღვთის ნება-სურვილით წარმართო და ქრისტიანთა სისხლის მსმელი ნერონიც მწარედ დაისაჯა.

— მოჰკლეს?

— მოიკლა თავი და იმ ქვეყნად სატანჯველი გაუჩინა წარწყმედილ სულს.

— ანიკეტი?

— დარჩა უსამშობლოდ სხვის ქვეყანაში, თუმცა იყო სახელქებული, დაფასებული, მაგრამ მაინც უცხო ტომად მიჩნეული.

— მოძღვარო! მადლს ვწირავ უფალს, რადგან დარჩა ცოცხალი.

— ძნელია, შვილო, თვისტომთა დაკარგვა, მეც ხომ ამ დღეში ვარ. ერთმა ღმერთმა იცის თუ რამდენ ხანს მატრიალებს ბედისწერა.

— აკი ღვთის საუფლოში ადამიანი თავისუფალი და უვნებელია! მაშ, ღმერთი რისთვის ითხოვს ზვარაკს?

— სიცოცხლე მის მიერაა ნაბოძები და მასვე ეკუთვნის, მაგრამ უფლისადმი განკუთვნილი სიყვარული — თაყვანისცემა, როდი ამცირებს მოკვდავთა პატიოს-ღირსებას! ღვთისმოსავი ადამიანი სულიერად მაღლდება, იწმინდება, ფაქიზდება.

— სასუფეველში ადგილის დასამკვიდრებლად, უფალი მსხვერპლს არ უნდა ითხოვდეს, მოძღვარო!

— ცხოვრებას დიდი კანონი აქვს, ანდრი! ის ზღვარბოძად უდგას ადამიანის ძლიერებას, მის ნება-სურვილს. შეიძლება ადამიანი აღზევდეს, თავისი ბედიც თვითონვე გამოჭედოს, მაგრამ ყოველივე ეს წუთიერია, როცა ბედისწერა დაატყდება მას, ჯავშანი ვეღარ დაიფარავს. მხოლოდ ერთი რამ უნდა ახსოვდეს ადამის მოდგმას, წუთიერი ტკბობა არ გაცვალოს მარადიულ სინათლეზე. კიდევ ერთი დარიგება ისმინე ჩემგან — არ დაკარგო სამშობლო, უსამშობლოდ მძიმეა ცხოვრებაში გზის გაკვლევა. ქვეყნად დიდი დროჟამი მომილევია, აწი საეჭვოა ფერიცვალებას ველოდო, და ალბათ მალე სამშობლოსათვის დაკარგული, ეული და უპატრონო წავალ წუთისოფლიდან.

ანდრიას თვალებზე ცრემლი მოადგა და მასწავლებლის სანუგეშებლად სურდა რაღაც თბილი და იმედიანი ეთქვა, მაგრამ ბერმა დაასწრო.

— დღეისათვის უკვე გვეყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# ლეო ქიაჩელის შემოქმედება

„— ... მათმა თვალებმა სისხლი არ უნდა ნახონ, მარიამ!"

ეს გმინვა აღმოხდა გვადის და სისხლიანი ხელები ზურგს უკან მოიგდო დასამალად. მის ფეხთ კი არჩილ ფორიას თავგაპობილი, წითლად შეღებილი გვამი ეგდო. გვადის, ამ ლაღი და ცუღლუტი ადამიანის ცხოვრებაც თითქოს სრულიად მოულოდნელად. მაგრამ მაინც ლოგიკურად მივიდა სისხლიან ფინალამდე. ამით შეძრწუნებული გვადის ერთადერთი საფიქრალი და სანუგეშო ისღაა, რომ ეგებ მისმა შვილებმა მაინც არ ნახონ სისხლი, არ გაიზიარონ მამის ხვედრი. ეს იმედიანი რწმენა რომანის ბოლო სიმბოლიკურ ფრაზაში თვალნათლივ ჩანს, როცა განთიადის პირველი სხივი გაარღვევს ბინდს და გვადის წინ განერთხმება.

მაგრამ მაშინ არც მწერალმა და არც მისმა გმირმა არ იცოდნენ, რომ სულ მალე გვადის შვილებსაც მოუწევდათ სისხლის ღვრა სამამულო ომის დიდ გზაზე და რომ ამ ჰეროიკულ, თუმცა ტრაგიზმით სავსე წლებს მიეძღვნებოდა ლეო ქიაჩელის მომდევნო და უკანასკნელი რომანი.

წინა რომანს ხომ ასევე ერქვა — „სისხლი". და საერთოდ, შეიძლება ითქვას, ლეო ქიაჩელის შემოქმედება სისხლიანი მატიანეა ჩვენი მამა-პაპათა ცხოვრებისა, იმ თაობების ცხოვრებისა, რომელთაც კაცობრიობის ნანატრი გაზაფხულის მოსაყვანად უხვად მორწყეს მშობლიური მიწა საკუთარი წმინდა სისხლით, რომელთაც საზოგადოების ორგანიზმის გასაჯანსაღებლად სხვათა შავი და ჭუჭყიანი სისხლის დაღვრა მოუხდათ.

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი.

ასე მოუწოდებდა ეპოქის უპირველესი ქართველი პოეტი თანამოკალმეებს და ეს იყო თავად დროის მოწოდება.

ეს იყო სიკეთის, სიმშვიდის, ჰუმანიზმის ზეიმისათვის საბრძოლველად მოხმობა.

ეს იყო მძიმე, მაგრამ ისტორიულად გარდუვალი გზა ადამიანური ბედნიერების გამოსაჭედად.

ეს იყო სისხლიანი გზა, ურომლისოდაც ვერ მიიღწეოდა მზიანი და ნათელი სამყარო.

ეს ჩვენთვის დღესავით ნათელია იმ მხატვრულ მატიანეთა წყალობითაც, მწერლობამ რომ შექმნა და დაგვიტოვა. ერთი ღრმად შთამბეჭდავი ფურცელი ამ მატიანესი ლეო ქიაჩელის შემოქმედებაცაა.

ლეო ქიაჩელი ამ საუკუნის დასაწყისში მოვიდა ქართულ მწერლობაში. მერცე საუკუნემ კი თავიდანვე დიდი და რთული არჩევანის წინ დააყენა მწერლობა: რომელი გზით ევლო — ცხოვრების ნიაღვარს გაჰყოლოდა, რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულიყო, ხალხის ფართო მასების ინტერესების გამომხატველი ყოფილიყო, თუ პირიქით, გარიდებოდა რეალურ ვითარებას, საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილიყო და ცხოვრებისათვის ზურგი შეექცია, „წმინდა ხელოვნების" მსახური, „რჩეულთა" საკუთრებად გადაქცეულიყო და თავისი ფუნქცია ესთეტიკური ტკბობის ვიწრო ფარგლით შემოეფარგლა. მწერლობის წინ გადაშლილი უამრავი გზა საბოლოოდ მაინც ამ ორ მაგისტრალში იყრიდა თავს.

დღევანდელი სიშორიდან სწორი არჩევანის გაკეთება სულ იოლად თუ არა, არცთუ რთულ საქმედ ჩანს, მაშინ კი ეს საკმაოდ მტანჯველი დილემა გახლდათ. სამწუხაროდ, არაერთი ნიჭიერი შემოქმედი გაცუდდა უსწოროდ არჩეულ გზაზე, ბევრი დროზე მოეგო გონს და შემოქმედებითი სიკვდილის გზიდან სიცოცხლის გზაზე გადაინაცვლა; შორსმჭვრე-

ტელებმა კი თავიდანვე რევოლუციურ მასებს დაუკავშირეს საკუთარი ბედი და თავისი შემოქმედებით ახალ, ჭეშმარიტად ხალხურ და სახალხო მწერლობას დაუდეს სათავე.

მეოცე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის უაღრესად მრავალფეროვანი, მრავალრიცხოვანი, ჭრელი ლიტერატურული სამყაროდან უფრო ის ფიგურები იკვეთებიან და მოჰყვებიან ჩვენს ცხოვრებას, რომელთა შემოქმედებაშიც ხალხის ისტორიული საბრძოლო გზა წარმოისახა, სადაც არა მხოლოდ მომავლის წინათგრძნობა სჭვიოდა, არამედ მისი რეალური კონტურებიც ჩანდა, ყოველ შემთხვევაში, ოცნება და მიზანი ცხადად იყო გამჟღავნებული. მწერლობის სიდიადე ყოველთვის იყო გაპირობებული ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვით, მისი ჭირისა და ლხინის ზიარებით, მეოცე საუკუნეში კი ეს ურთიერთშერწყმა, გადაჯაჭვულობა მთელი სიძლიერით და კატეგორიულობით გახდა აუცილებელი.

საბედნიეროდ, ქართული მწერლობის დიდი და საუკეთესო ნაწილი, მისი უნიჭიერესი წარმომადგენლები გულწრფელად, მთელი ძალითა და მონდომებით ეხმაურებოდნენ დროის მოთხოვნას, მათი შემოქმედება რევოლუციური სუნთქვით იყო გაჟღენთილი. ამიტომაც შეეგებნენ ისინი დიდი სიხარულითა და აღტაცებით 1917 წელს, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისს.

,,გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა" — აი, იმ განწყობის გამომხატველი იმდროინდელი პოეტური სიტყვა და მას შემდეგ ახალი ქართული მწერლობა, საბჭოთა მწერლობა ამ მზითა და მისი სხივებით არის ფენილი. ამისი ერთერთი დიდებული, შთამაგონებელი, მშვენიერი ნიმუშია ლეო ქიაჩელის შემოქმედება.

ახალი, სოციალისტური იდეალებით გამსჭვალული ლიტერატურის საძირკველი ჯერ კიდევ ოქტომბრამდე იქნა ჩაყრილი იმ მწერლობის მიერ, რომელთაც იგრძნეს და გაიცნობიერეს დროის მოთხოვნა. ეს სიახლე არა მარტო რუსეთის თუ მასთან დაკავშირებული ქვეყნების, არამედ ევროპელ და ამერიკელ მწერალთა შემოქმედებაშიც იგრძნობოდა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე.

ნიშანდობლივია რომენ როლანის, მეოცე საუკუნის ამ ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის აღსარება, რაც მან თავისი დღიურებით გაგვანდო. 1895 წელს იგი წერდა, რომ ,,სოციალისტური იდეები თავისთავად შემოდიან ჩემში, ჩემი სურვილებისა და ინტერესების წინააღმდეგ". იმავ დღიურებში, უფრო მოგვიანებით, ხელოვნების ბედიღბალთან დაკავშირებით იგი ასეთ მოსაზრებასაც გამოთქვამდა: ,,ბურჟუაზიული ხელოვნება დაავადებულია ბებრული ინფანტილიზმით, ეს კი განვითარების დასასრულია. აქამდე მეგონა, რომ ხელოვნება განწირულია დასაღუპავად, არა, ჩაქრება ერთი ხელოვნება და აინთება მეორე. მე მინდა ნარკვევებში სოციალისტური ხელოვნების შესახებ ვაჩვენო სიუჟეტებისა და მოქმედი პირების ჰარმონიული ჯანმრთელობა, ახალი ხელოვნების არსებობის ვაჟკაცური უფლება".

აი ასე, თავისთავად, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კარნახით მწიფდებოდა მსოფლიო მწერლობაში სოციალისტური იდეები, მჟღავნდებოდა ახალი გზების ძიების შინაგანი მოთხოვნილება.

ეს ახალი გზა იმ მწერლებმა გაკვალეს, ვინც მთელი თავისი ნიჭი და კალამი რევოლუციური კლასის — პროლეტარიატის, ხალხის ფართო მასების მსოფლიოს გარდაქმნისათვის ბრძოლას დაუკავშირეს, ვის შემოქმედებასაც უხვად კვებავდა სოციალისტური იდეალები, ხალხის რევოლუციური შემართების პათოსი, სიდიადე თავგანწირული ბრძოლისა ნათელი მომავლისათვის.

ამ ახალი მწერლობის გაზაფხულის მაცნე მაქსიმ გორკის ,,შევარდნის სიმღერა" იყო, ხოლო სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის, სულ მოკლე ხანში რომ ელოდა მსოფლიო. მასშტაბები, პირველი კლასიკური ეპიკური ტილო — იმავ გორკის რომანი ,,დედა".

ლეო ქიაჩელი ერთ თავის გვიანდელ წერილში — ,,სადა და ნათელი ხელოვნებისათვის" — წერდა: ,,სოციალისტური რეალიზმის პრინციპისა და მეთოდის მიღება თავისთავად დიდი გამარჯვება იყო თავის დროზე, ის გულისხმობდა ეპოქის სწორი დიდი ხელოვნების შექმნას. საზოგადოდ რეალიზმი ყოველთვის დიდი გზა იყო ხელოვნებისა. ნამდვილი და დიდი გამარჯვებანი მხატვრულ შემოქმედებას სწორედ ამ გზით მოუპოვებია.

სოციალისტური რეალიზმის მთელი მოთხოვნა ხელოვნებისადმი ორი უბრალო, სადა და ნათელი სიტყვით გამოიხატება: ,,სთქვი მართალი". პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მართლის თქმა არც ისე ადვილი საქმეა... აღმოჩნდა, რომ ის ორი სადა და მოჭრილი სიტყვა უაღრესად რთულ შინაარსს შეიცავს. ეს მართალია, რა თქმა უნდა, ის აბსოლუტი კი არ არის, რომელიც მეტაფიზიკოსებს დროსა და სივრცის მიღმა ეგულებოდათ. იგი ცხოვრების სინამდვილეა, სხვა კი არაფერი, მაგრამ ცხოვრება თავისთავად მრავალსახიანია, მრავალფერიანია, მისაგნებელია ის არსებითი, მთავარი სახე, ფერი და აზრი, რომელთა ნიშანს ქვეშ მიმდინარეობს ცხოვრების მაგისტრალური ხაზი. თუ ეს სახე, ან ფერი ვერ დაინახა მხატვარმა, თუ ამ აზრს ვერ მისწვდა, ცხადია, იგი მართალსაც ვერ იტყვის, ნამდვილ ცხოვრებას მოწყდება, წაეპოტინება ყველა სა-

ხეს, ფერებს და აზრებს, დაიბნევა — აი, აქ არის ფორმალიზმის სათავე და დაბალი ნატურალიზმიც ერთთავად სწორედ აქ იწყება".

ამ სიტყვების სისწორეში ეჭვის შეტანა ისედაც შეუძლებელია, მით უფრო დაეჯერება ეს ლეო ქიაჩელს, ვინც შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში თავად გამოსცადა რეალიზმიდან მოწყვეტის საშიშროებაც და ის სიქეთეც, რაც მას ცხოვრების დიდი სიმართლის დანახვამ და შეცნობამ მოუტანა.

თუმცა, მაინცდამაინც არ ღირს ლეო ქიაჩელის პირველი ნაბიჯების ნაკვალევის ჩაძიებული კირკიტი იმ მიზნით, რომ იქ დეკადენტური განწყობილებები მოვიძიოთ როგორმე. მთავარი ის არის, რომ მწერლის რევოლუციამდელი არცთუ ვრცელი შემოქმედება ისეთი დიდად მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებით არის განათებული, როგორიცაა „ტარიელ გოლუა". ეს რომანი უბრალოდ კი არ გადასწონის ზოგიერთი მოთხრობის აზრობრივ-ემოციურ ბუნდოვანებას, მხოლოდ იმაში კი არ გვარწმუნებს, რომ მისი ავტორი თავიდანვე რეალიზმის ერთგული იყო, არამედ „ტარიელ გოლუას" უფრო სხვა, დიდად მნიშვნელოვანი როლიც დაეკისრა ქართულ მწერლობაში. ეს რევოლუციამდელი მხატვრული ნაწარმოები სოციალისტური რეალიზმის პირველ კლასიკურ ეპიკურ ტილოდ არის მიჩნეული, ხოლო მისი ავტორი კი სამართლიანად არის აღიარებული ამ ლიტერატურის პიონერად თუ ფუძემდებლად ჩვენს ეროვნულ კულტურაში.

ლეო ქიაჩელს მარტო ეს ეყოფოდა თავისი მნიშვნელოვანი ადგილის დასამკვიდრებლად ქართული მწერლობის ისტორიაში, მაგრამ მას არაერთი სხვა მშვენიერი ნაყოფიც შეუმატნია ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის. ამიტომაცაა, რომ ეს შემოქმედება მთლიანად ქართული საბჭოთა მწერლობის საგანძურს განეკუთვნება, ხოლო მისი ავტორი ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე იქნა აღიარებული ამ მწერლობის კლასიკოსად.

* * *

ლეო ქიაჩელს საზოგადოებრიობისა თუ სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება არასოდეს მოჰკლებია. მისი პირველივე მოთხრობა „წარსული აწყმოში", რომელიც 1909 წლის 7 მაისს ლ. მიხაძის ფსევდონიმით დაიბეჭდა გაზეთ „ჩვენი აზრის" ფურცლებზე, კარგად იქნა მიღებული, ხოლო შემდეგ კი, განსაკუთრებით „ტარიელ გოლუას" გამოქვეყნებიდან, ინტერესი მისი ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. პირველი გამოხმაურება ლეო ქიაჩელის მოთხრობებზე 1912 წელს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში" (№ 490). ამ წერილის ავტორი გრიგოლ ბარელი (რცხილაძე) გახლდათ. დღეისათვის მწერლის ირგვლივ უამრავი რამ არის თქმული და გამოქვეყნებული, მათ შორის მონოგრაფიული გამოკვლევებიც.

ლეო ქიაჩელის შემოქმედების შესახებ თუ ცალკეულ ნაწარმოებთა გამო ხშირად გამოთქმულა განსხვავებული, ზოგჯერ ერთმანეთის საპირისპირო შეხედულებებიც კი, არც აშკარად მცდარი ინტერპრეტაცია დაჰკლებიათ მათ, განსაკუთრებით 20-30-იან წლებში, როცა სალიტერატურო კრიტიკა და საერთოდ ლიტერატურული ატმოსფერო ჭარბად იყო გაჟღენთილი ვულგარიზატორული სულით, მაგრამ მწერლის დიდი ნიჭი და დამსახურება ყოველთვის თვალსაჩინო და აღიარებული იყო.

უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებულ წერილებსა და წიგნებშიც შეიძლება შევხვდეთ მეტ-ნაკლებად განსხვავებულ მოსაზრებებს, ეს სავსებით მოსალოდნელი, ჩვეულებრივი, შეიძლება ითქვას, გარდუვალიც კი არის მხატვრული ლიტერატურის ანალიზის დროს, მაგრამ ლეო ქიაჩელის შემოქმედების დიდმნიშვნელოვანება ქართული საბჭოთა მწერლობისათვის არა მარტო უცილობლადაა აღიარებული, არამედ მრავალმხრივაც არის შესწავლილი და ნათელყოფილი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ამ ერთ-ერთი ფუძემდებლისა და კლასიკოსის შესახებ ახალ, კიდევ უფრო საფუძვლიან, ვრცელ და ღრმა მონოგრაფიებს ინტერესით არ ელოდნენ ქართველი საზოგადოებრიობა და ქართული კულტურის თაყვანისმცემელნი თუ მოყვარულნი ჩვენ ერთიან მრავალეროვან სამშობლოში თუ მის ფარგლებს გარეთაც.

ყველაზე უფრო გულსატკენი ის იყო, რომ ლეო ქიაჩელის ბიოგრაფია, ესოდენ მდიდარი და ამასთანავე დრამატულიც, ძალზე ძუნწად, მხოლოდ ზოგად ხაზებში ვიცოდით, სპეციალურ მონოგრაფიებშიც კი მისი ცხოვრების გზას თითო-ოროლა გვერდი ეთმობოდა და მთელი ყურადღება შემოქმედების ანალიზზე იყო გადატანილი, ეს უფრო იმიტომ მოხდა, რომ თავად მწერალმა თითქმის არ დაგვიტოვა მემუარული მემკვიდრეობა, მოგონებები, მასალები განვლილ გზას და ცხოვრებაზე მისი ორი მცირე სხვადასხვა დროს დაწერილი ავტობიოგრაფია, ქართულ და რუსულ ენებზე, უფრო ანკეტურ მონაცემებს გვაწვდის და ნაკლებ გვიჩვენებს განვლილი ცხოვრების ზეგავლენით მწერლის სულიერი ფორმირების პროცესს. ამ მხრივ ვერც რამდენიმე სხვა მოკლე მოგონება უწყობს დიდად ხელს მკვლევარს საინტერესო ისტორიული პანორამის აღსადგენად.

მიუხედავად იმისა, რომ ლეო ქიაჩელმა ხანდაზმულ ასაკს მიაღწია, თითქმის ოთხმოცი

წელი იცხოვრა, მან, ვინ იცის რატომ, მაინც ვერ მოიცალა, ან ვერ მოახერხა ვრცელი ავტობიოგრაფიული მასალა დაეტოვებინა ჩვენთვის. არადა, ამისი სურვილიცა და მოთხოვნილებაც მას გააჩნდა. ამას მოწმობს ფრაგმენტები მოგონებიდან „ჩემი ცხოვრების გზა და კვალი" და ამ დაუწერელი თხზულების გეგმა — მონახაზის სხვადასხვა დროს ჩანიშნული რამდენიმე ვარიანტი, საიდანაც ირკვევა არა მარტო საკითხთა და პრობლემათა რკალი, არამედ ისიც, რომ მხოლოდ რევოლუციამდელ ცხოვრებას სულ ცოტა ორი წიგნი უნდა დათმობოდა.

რაკიღა მწერალმა თავად არ დაგვიტოვა მზამზარეული საკუთარი ვრცელი ბიოგრაფია, მისი ცხოვრების გზის დადგენა მკვლევარებს უნდა ეტვირთათ. ეს კეთილი მისია თავს იდო აკაკი თოფურიამ, ვისი ახალი წიგნის „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება" უმთავრესი ღირსება სწორედ იმაშია, რომ აქ მწერლის ცხოვრებას მართლაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი. მკვლევარმა ხანგრძლივი და გულმოდგინე შრომის შედეგად მეტად საინტერესოდ, ვრცლად, მეცნიერული სიზუსტითა და მხატვრული ფერადოვნებით გადმოგვცა ლეო ქიაჩელის ცხოვრების გზა და ბევრი რამ ახალი გვითხრა, ან ახლებურად გააშუქა მწერლის ბიოგრაფიიდან.

აკაკი თოფურიამ ამით უაღრესად საჭირო საქმე გააკეთა, რადგან საერთოდაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი მწერლის ბიოგრაფიის თავისთავადაც და მისი შემოქმედების გასაგებადაც, მითუმეტეს კი ისეთი მწერლებისას, ვისი მხატვრული ნაწარმოებებიც უპირატესად, ან მეტწილად საკუთარი თვალით ნანახსა და უშუალოდ განცდილ მასალას ეფუძნება. ლეო ქიაჩელი სწორედ ასეთ მწერალთა რიგს განეკუთვნება.

აკაკი თოფურიამ აგვიხსნა თავის წიგნში მწერლის ფსევდონიმის წარმომავლობა. ლეო ქიაჩელის ლეონ მაჭეილის ძე შენგელაიას ლიტერატურული ფსევდონიმია და მისი წარმოშობა დიდხანს ამოუხსნელი რჩებოდა. თავად მწერალს არასოდეს მიუნიშნებია ამის შესახებ; თუმცა დაინტერესება მისთვისაც ბევრჯერ გაუმჟღავნებიათ. თავისი მემუარების ერთ-ერთ გეგმა-ვარიანტში მწერალს 50-ე პუნქტად შეტანილი აქვს საკითხი: „საიდანაა ქიაჩელი". მაგრამ გეგმა სამწუხაროდ საერთოდაც ხორცშეუსხმელი დარჩა და ეს საკითხიც არ გარკვეულა. ახლა ცხადი გახდა, რომ ქიაჩელი ნაწარმოებია „ქიაჩიდან", ასე ერქვა ძველთაგანვე ცნობილ ხატს, რომელიც მწერლის მშობლიური სოფლის ობუჯის მონასტერში ესვენა და განთქმული იყო ორიგინალური და უნიკალური ნაკეთობით.

ლეო ქიაჩელი დაიბადა 1884 წლის 19 (7) თებერვალს ზუგდიდის მაზრის სოფელ ობუჯში, აზნაურის ოჯახში. მამამისი, მახეილ ზურაბის ძე შენგელაია ხელმოკლე აზნაური, მაგრამ იმ დროისათვის განათლებული კაცი ყოფილა, ქუთაისის გიმნაზიაშიც უსწავლია, თუმცა არ დაუმთავრებია. მას სამართლიანი და კეთილი კაცის სახელი მოუხვეჭია. ამას ალბათ იმ ფაქტმაც შეუწყო ხელი. რომ ერთხელ ვექილად მუშაობისას უდანაშაულო კაცის დასჯისათვის მოსამართლე გაულახავს, რისთვისაც აზნაურის ღირსება აუყრიათ და ციხეშიც მოუთავსებიათ. მხოლოდ მეუღლის დაჟინებული მეცადინეობის წყალობით აღუდგენიათ იგი ყველა თავის უფლებებში. გარდაიცვალა 1902 წელს და დაკრძალეს ზუგდიდის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში. მწერლის დედა, მართა კელუცას ასული ხვიტია შედარებით შეძლებული აზნაურის ოჯახიდან იყო. ზუგდიდსა და რუხში მამულები ჰქონია. იგი თვითნასწავლი, ლამაზი და სათნოებით აღსავსე ქალი ყოფილა. კარგად სცოდნია ქართული მწერლობა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის ტვირთი და შვილების აღზრდა-განათლების მთელი სიმძიმე მას დააწვა მხრებზე. თუ გავიხსენებთ ლეო ქიაჩელის ახალგაზრდობის მთელ ფათერაკებს, მის პოლიტიკურ ტუსაღობას, არალეგალურ ცხოვრებას, ემიგრაციას, ამის გამო შექმნილ სიძნელეებსაც სწავლაში, ნათელი გახდება დედამისის მთელი ამაგი და დამსახურება მომავალი მწერლის წინაშე. გარდაიცვალა 1920 წელს და დაკრძალეს მეუღლის გვერდით. სიყვარულითა და მადლიერებით სავსე შვილმა, უკვე ხანდაზმულმა, 1955 წელს საგანგებოდ გამოათლევინა დიდი საფლავის ქვა და ზედ უბრალოდ წააწერა: „დაუვიწყარ მშობლებს მართას და მიხას ლეო შენგელაია-ქიაჩელისაგან".

ახლადდაბადებული ლეონი ჯიხაშკარის ერთ უბანში, სობოგაში თედორე არაჩემიას ოჯახში გააძიძავეს. აქ იზრდებოდა იგი 7 წლამდე. მისი ძიძა იყო ელენე ქვანია, თედორე არაჩემიას მეუღლე.

„ისე როგორც აკაკი წერეთლის პიროვნების, მისი მოქალაქეობრივი და მსოფლმხედველობრივი მრწამსის, დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის საწყისი ელემენტების ფორმირებაში უდიდესი როლი შეასრულა სავანეში გატარებულმა ბავშვობის წლებმა, ასევე ლეო ქიაჩელის ხასიათის, ადამიანური თვისებების, საზოგადოებრივი, სოციალურ-პოლიტიკური იდეალებისა და მხატვრულ-ესთეტიკური კრედოს გამომუშავების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი გახდა სწორედ ის შვიდი წელი, რომელიც გაატარა მან ჭაქვინჯის ისტორიული ციხის კედლებთან, სობოგელ ღარიბ გლეხებთან, ჭანისწყლისა და მასთან შემდინარე ღელე-ნაკადულების ნაპირებთან.

მხოლოდ ამ ფაქტის ღრმად გაანალიზების შემდეგ ხდება გასაგები ის, თუ რატომ გაბატონდა ქიაჩელის მხატვრული აზროვნების სამყაროში ასე ძლიერად ლაკადა, სოფელი, გლეხი და სიწმინდე“ (აკაკი თოფურია).

1892 წელს მიხეილ შენგელაია ოჯახით ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად. პატარა ლეოც ზუგდიდში ჩაიყვანეს. სულ რაღაც ნახევარი წლის შემდეგ კი, 1893 წლის 25 აგვისტოს იგი მამამისმა ქუთაისში ჩაიყვანა, თავის სკოლისდროინდელი მეგობრის ბუქა იოსელიანის სახლში დააბინავა და კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარა სასწავლებლად. ლეო ქიაჩელმა გიმნაზია 1904 წელს დაამთავრა.

გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ლეო ქიაჩელი მარტო თავისი ნიჭითა და მუყაითობით, სწავლითა და განათლებით კი არ იქცევდა ყურადღებას, არამედ რევოლუციურ-გამათავისუფლებელი მოძრაობისადმი და საერთოდ პოლიტიკური მოღვაწეობისადმი აშკარა, თამამი ინტერესითაც.

ქიაჩელი ავტობიოგრაფიაში იგონებს გიმნაზიის მოსწავლეთა წრის და მისი ხელნაწერი ჟურნალის „მომავლის“ საქმიანობას, რამაც ლიტერატურული ინტერესებიდან სულ მალე გადაინაცვლა პოლიტიკურისაკენ. როგორც თავად ავტორი ამბობს, „სერიოზულად ჩავუჯექით მარქსიზმის შესწავლას და არალეგალური მუშაობა გავაჩაღეთო“. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მარქსიზმს ასწავლიდა და საერთოდაც წარმართავდა მათ საქმიანობას იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრი, ცნობილი რევოლუციონერი ბოლშევიკი ალიოშა ჯაფარიძე, შემდგომში ერთ-ერთი ბაქოელი კომისარი, რომელიც 1918 წელს სხვა 25 კომისართან ერთად მუხანათურად იქნა დახვრეტილი.

19 წლის ჭაბუკი ლეო აქტიურად ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, მის ბინაზე იმართებოდა არალეგალური შეკრებები ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით, 1903-4 წლებში მისი მოთავეობითაც კი ეწყობოდა მოსწავლეთა გაფიცვები და დემონსტრაციები.

1904 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ხარკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა. როგორც თვითონ წერს, მოსკოვსა და პეტერბურგზე ვოცნებობდი, მაგრამ ხელმოკლე ოჯახის შვილი ვიყავი და იქ სწავლა ვერ გავბედეო. თუმცა არც ხარკოვში დაუყვია მას დიდი ხანი, 1905 წლის იანვრის მღელვარების გამო უნივერსიტეტში დროებით შეწყდა სწავლება. ლეო ქიაჩელი სამშობლოში დაბრუნდა და მაშინვე აქტიურად ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, როგორც თვითონაც ადასტურებს, „მოძრაობის ხელმძღვანელთა მწყობრში ჩავდექით“.

რეაქციის ხანაში სასტიკ რეპრესიებს ვერც ქიაჩელი გადაურჩა. იგი დააპატიმრეს 1908 წლის 6 აგვისტოს. მას ბრალად ედებოდა ზუგდიდში შეიარაღებული აჯანყების მეთაურობა და ორგანიზატორობა, ძირგამომთხრელი საქმიანობა, აგიტატორების დარაზმვა მოსახლეობის ხელისუფალთა წინააღმდეგ ასამხედრებლად, და ისიც, რომ მარქსის, ენგელსის, ლენინის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნები უპოვნეს სახლში ჩხრეკის დროს.

ქუთაისის საგუბერნიო სატუსაღოში ლეო ქიაჩელმა წელიწადი და ერთი თვე დაჰყო. 1907 წლის 26 სექტემბერს მიწისქვეშა ხვრელით მოეწყო ქუთაისის ციხიდან პოლიტიკურ პატიმართა ისტორიული გაქცევა. გაქცეულთა შორის იყო ლეო ქიაჩელიც.

ლეო ქიაჩელმა, დავით სულიაშვილთან ერთად, ჯერ კიდევ ციხის კედლებში გადაწყვიტა ხელი აეღო პოლიტიკურ საქმიანობაზე და თავისი ცხოვრება ლიტერატურული მოღვაწეობისათვის მიეძღვნა. ციხიდან გაქცევის შემდეგ, 1907 წლის 7 ოქტომბრიდან ლეო ქიაჩელი მოსკოვში დასახლდა სხვისი პასპორტით და მწერლობას მიჰყო ხელი. როგორც თვითონ იგონებს, ხშირი სტუმარი იყო თეატრებისა, ლიტერატურული საღამოებისა, დისკუსიებისა. ცხოვრობდა იგი მე-4 ტვერსკაია-იამსკაიას ქუჩაზე. ამავე ქუჩაზე, მის მეზობლად სახლობდა მაიაკოვსკების ოჯახიც. აქ გაიცნო მან ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელიც მაშინ მხატვრობას მისდევდა. ერთად იგონებდნენ ქუთაისს, ბაღდადს თუ ობუჯს, იქ გატარებულ წლებს. 1912 წელს მოსკოვი სამამულო ომის 100 წლისთავის აღსანიშნავად მზადებას შეუდგა, ელოდნენ მეფის ჩამოსვლას. ამასთან დაკავშირებით დაიწყო ქალაქის წმენდა არაკეთილსაიმედო პირთაგან. ლეო ქიაჩელი იძულებული გახდა ახალი თავშესაფარი ეძებნა. მეგობრების დახმარებით მან მოახერხა საზღვარგარეთ წასვლა და ბერლინის გავლით ჟენევაში ჩავიდა. აქ მას ბევრი ძველი ნაცნობი დახვდა, მათ შორის დავით სულიაშვილი. ლეო ქიაჩელი პოლიტიკურ ემიგრანტებში ტრიალებდა, მისივე გადმოცემით პირადად იცნობდა ლენინს, პლეხანოვს, ლუნაჩარსკის, და სხვებს. ყურადღებით ისმენდა მათ საჯარო გამოსვლებს თუ კერძო საუბრებს, თუმცა მისი ინტერესი ძირითადად ლიტერატურისაკენ იყო მიმართული. ამ თვალსაზრისით მან არ გატეხა ქუთაისის ციხეში დავით სულიაშვილთან ერთად დადებული აღთქმა.

* * *

მოსკოვის ლიტერატურულ და თეატრალურ წრეებთან სიახლოვემ, იქაურმა ატმოსფერომ ლეო ქიაჩელს გაუაძლიერა თავისი ოცნების ასრულების გადაწყვეტა. ტვერსკაია-იამსკაიას ქუჩის ძველ სახლში, ერთ პატარა მუდ-

რო ოთახში, რომლის ფანჯარაც ეზოს გადაჰყურებდა, შეუდგა იგი წერას და აქ გატარებული თითქმის ხუთი წლის მანძილზე იგემა მან თავისუფალი შემოქმედებითი შრომით მინიჭებული ბედნიერებაც და პირველი მოთხრობების გამოქვეყნებით განცდილი სიხარულიც. აქ დაიწერა მისი მოთხრობები „წარსული აწმყოში", „სიზმარი და სინამდვილე", „ცოდვის შვილები", „ქალი", „სტეფანე", „მამა ოქროპირი", „ტყუილი და მართალი", „წუთისოფელი", „ჯადოსანი", ოთხმოქმედებიანი დრამა-პოემა „სამდედიშვილი", ერთსურათიანი „ქალ-ვაჟიანი" და სხვ.

მოთხრობაში „წარსული აწმყოში" ბატონიშვილ ლევანის, მისი ოჯახისა და ძმების თუ სტუმრების ზნე-ჩვეულებები, ქცევა, მეტყველება, საკუთარი ღირსებებით ტკბობა ერთი შეხედვით ძველი დროის რაინდული ყოფისა და სულის გამოხატულებაა, მაგრამ ეს ნადიმიცა და მისი მონაწილეთა დასიც მწერლის შეფარული ირონიის წყალობით მთელი თავისი ბუტაფორიულობით, ხელოვნურობით უნიადაგო, ნაძალადევ და ამდენად დასაცინ რომანტიკად ისახება. წარსულის აწმყოში გადმონერგვის ცდა მხოლოდ ასეთი კრახით შეიძლება დამთავრდეს, ახალგაზრდა მწერლის ეს სათქმელი უთუოდ მნიშვნელოვნად ჩანს საერთოდაც და კერძოდ იმ წლებისათვის, როცა ფსევდო-რომანტიკული დამოკიდებულება გარდასული ჟამისა და დიდებისადმი საკმაოდ ფეხმოკიდებული იყო ქართველ თავად-აზნაურთა შორის.

არც „მამა-ოქროპირს" აკლია მწერლის სატირული გესლი. მაკოთის მოძღვარი ცაცხვის ძირში ირგვლივ შემოკრებილ თანასოფლელებს ტყუილებით კვებავს, რომ ეგებ ერთობით გათამამებულ გლეხებს ახლა, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დამდგარ სუსხიან დროში შიში ჩაუნერგოს და რაიმე დასტყუოს. მაგრამ მამა ოქროპირის ხანაც წარსულს ჩაბარებია და მის ზორბა მუცელს ამოვსება, როგორც ჩანს, არ უწერია, აზნაურ სოლომონსაც ალბათ ისევ თოხის იმედით თუ შეუძლია ახალი ცხოვრება, კრიალოსნის მარცვლა მას კარგს არაფერს უქადის.

სატირის ელფერი ლეო ქიაჩელის ადრინდელ მოთხრობებს ყველას როდი დაჰკრავს. ზოგიერთ მათგანში მწერლის დიდი თანაგრძნობა ჩანს იმ ავბედითი ყოფისა და ადამიანური სიბნელის გამო, რაც ცხოვრებას ტრაგიზმით ავსებს. ასეთია მოთხრობა „ცოდვის შვილები", რომელიც თავისი თემატიკითა და განწყობილებით ცოტა უფრო ადრინდელი პერიოდის ქართულ მწერლობას ეხმაურება. ხოფელი დარწმუნებულია, რომ ავი ზნით შეპყრობილნა და სულით ავადმყოფ ჯეებეს ოჯახს პაპამისის ცოდვა მოსდევს, ბატონები არიან გადაცემული და ამისი ბრალიაო. ჯვებესა და სოფლად ჩამოსახლებული მეწისქვილის, განთქმული მწყევარის ბეკოს უცნაური ახლობლობა ურთიერთ შიშითაც არის გამოწვეული. ამ ორი უბედური ადამიანის ცხოვრება ტრაგიკულად მთავრდება, ერთმანეთს იმსხვერპლებენ ისინი და მიზეზი ამისა არის ის სიბნელე, რომელიც მათ, და არა მხოლოდ მათ, არამედ თანასოფლელთა გონებასა და სულში დასადგურებულა.

ლეო ქიაჩელის ადრინდელი მოთხრობები მეტწილად რეალისტური ხასიათისაა, უშუალოდ ცხოვრების მიერაა ნაკარნახევი. ასეთია „წუთისოფელიც", სადაც ქალაქური ყოფით შეპირობებული მორალი სრულიად უცხოდ ჩანს ძველი სოფლელი დედაბერისათვის, ან კიდევ „სიზმარი და სინამდვილე (მშიერი სტუდენტის ჩანაწერიდან)", მოთხრობა ხელმოკლე ახალგაზრდის გაჭირვებით სავსე ცხოვრებაზე უცხო ქალაქში.

ყველა ეს მოთხრობა, ასე ვთქვათ, მწერლის მოსკოვურ პერიოდს ეკუთვნის. ამის გარდა, ლეო ქიაჩელმა ზოგიერთი ისეთი მოთხრობაც დაწერა ტვერსკაია-იამსკაიაზე, სადაც იგრძნობა იმდროინდელი რუსეთის ლიტერატურული საზოგადოებრიობისათვის ჭარბად დამახასიათებელი განწყობილებებიც; ამ მოდური გატაცებით არის დაღდასმული „სტეფანე", „ჯადოსანი" თუ კიდევ ერთი-ორი სხვა მოთხრობაც, სადაც წინა პლანზე უფრო ავადმყოფური ხილვებია წამოწეული, ვიდრე რეალური ცხოვრებით შთაგონებული სახეები.

ჟენევაშიც გადაჰყვა ამდაგვარი განწყობილება ლეო ქიაჩელს. აქაც შეინიშნება პარალელური ორი ხაზი მის შემოქმედებით ინტერესებში. მწერლის მოთხრობებს აქაც ხან რეალური ცხოვრება ჰკვებავს, ხანაც ლიტერატურული რემინისცენციები. მხოლოდ ახლა ამას დაემატა კიდევ ერთი, არცთუ სახარბიელო განწყობილება — გულგატეხილობა, იმედგაცრუება, რწმენის დაკარგვა.

ლეო ქიაჩელმა პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრებაზე მწერლობის გამო აიღო ხელი, მაგრამ ეტყობა ამ გადაწყვეტილების მიღებას მისმა შინაგანმა მერყეობამაც, სულში შეპარულმა უიმედობის მღრღნელმა ეჭვებმაც შეუწყო ხელი. ამდაგვარი აზრი თუ განწყობილება ნათლად ჩანს მოთხრობაში „პატარა ისტორია".

ამ მოთხრობის სათაურიც ცოტა ირონიულად ჟღერს, მას გაკილვის ინტონაცია დაჰკრავს. ერთი სოფლელი რევოლუციონერის კერძო ცხოვრება შეიძლება მართლაც არ ჩანდეს დიდ მოვლენად ამ ეპოქის აზვირთებული საზოგადოებრივი მოძრაობის ფონზე, მაგრამ არც პატარა ისტორია ეთქმის ადამიანურ ტრაგედიას, მით უფრო, როცა იგი ხალ-

ხისათვის თავგანწირვის, მის საკეთილდღეოდ მიმართული მოქმედების დროს დატრიალდება. ქალაქში რევოლუციურ იდეებს ნაზიარევი ბესიკი რეპრესიების შემდეგ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდება და აქ ცდილობს პრაქტიკულად შეასხას ხორცი ხალხის ერთობის იდეას. მის მიერ დაარსებული ამხანაგობა მატერიალურად და მორალურადაც წელში გამართავს თანასოფლელებს, მაგრამ მამა ოქროპირის ცილისწამებით ბესიკს კვლავ გადაასახლებენ. უკან დაბრუნებულ ბესიკს და მის ოჯახს უკვე სოფელი გადაუდგება, ემშაკის მოციქულებად გამოაცხადებენ, მოკლითაც დაემუქრებიან. ხალხის უმადურობაა ბესიკისათვის ყველაზე მძიმე და აუტანელი, იმ ხალხისა, ვისთვისაც ზრუნავდა, ვისზეც ფიქრობდა იგი მუდამ, ვისაც შესწირა თავისი ცხოვრება. ასე იმსგვერპლებს ხალხი მისთვის თავდადებულ კაცს და მწერალიც ხმამაღლა აცხადებს სოფლის სამდურავს.

გულგატეხილობის, ცხოვრების ამაოების, ადამიანური გაუტანლობის, სიკეთის თესვის უნაყოფობის ალეგორიულ-სიმბოლური გამოხატულებაა მოთხრობები „მუხა და ტირიფი“, „ბერი და ყორანი“. ერთი შეხედვით, შეიძლებოდა ეფიქრა კაცს, რომ ამას უნდა გადაეწონა ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში ადრევე საგრძნობლად გამჟღავნებული რეალისტური ტენდენცია, თითქოს აშკარად შეიქმნა საშიშროება იმისა, რომ სიმახინჯის კულტი და რწმენის დაკარგვა ააცდენდა მწერალს ერთადერთ ნამდვილ გზას, მაგრამ ეს, როგორც მალე გაირკვა, მხოლოდ მოჩვენებითი დროებითი საფრთხე იყო და ცხოვრების ზეგავლენით, საკუთარი სულიერი სიჯანსაღის წყალობით იგი დეკადენტობის ტბორებიდან მალე დაუბრუნდა რეალიზმის ფართო დინებას. ეს „ტარიელ გოლუათი“ შეიქნა ცხადი.

როგორც თავად იხსენებს მწერალი, ჟენევაში დასახლების შემდეგ, როცა პირველმა სიძნელეებმა გაიარა და ფინანსიური მდგომარეობაც კატასტროფიული აღარ ჰქონდა, იგი ლიტერატურულ შრომას მიუბრუნდა და მზერა თავის მშობლიურ ობუჯს და ბავშვობის და ჭაბუკობის შთაბეჭდილებებს მიაპყრო. მის მეხსიერებაში წამოტივტივდა სოფლელი მწყემსის, ახალგაზრდა, ღონიერი, თუმცა სულიერად ავადმყოფი ძიკის სახე, რომელიც მუდამ მარტო იყო, ნახევრად შიშველი დადიოდა, თავის თავს ელაპარაკებოდა მხოლოდ და უცნაური საქციელით ბავშვებს შიშსა გვრიდა. ლეო ქიაჩელმა გადაწყვიტა სწორედ იგი გაეხადა თავისი ახალი მოთხრობის გმირად და მას ბაჩუა შეარქვა. ამ ჩანაფიქრში უკვე ჩანდა, რომ „სტეფანეს“, „ჯადოსანის“ თუ ამდაგვარი დეკადენტიზმით აღბეჭდილი მოთხრობების უცნაური გმირებისადმი ინტერესი მწერალს არ ჩაქრობოდა.

მოთხრობა არ გამოუდიოდა. სურვილი, ერთი იყო, მაგრამ შინაგანი ხმა, მისი მწერლური ბუნება და მიდრეკილება, რაც მთავარია ცხოვრების სიმართლე. როგორც ჩანს, ეწინააღმდეგებოდა ამ განზრახვას. მშობლიური კუთხის რევოლუციური მღელვარებისა და ბრძოლის სურათები, რომლებიც ცოცხლად და ძლიერად აღბეჭდილიყო მწერლის მეხსიერებაში, ჩრდილავდა ბაჩუას სახეს. ასე გაიმარჯვა ქიაჩელის ადრინდელ შემოქმედებაში რეალიზმმა, დაუნდობლად დაუნგრია მას ნალოლიაევი ჩანაფიქრი და ავადმყოფი ბაჩუას ნაცვლად რევოლუციის, ეპოქის სახალხო გმირზე დააწერინა ნაწარმოები.

ასე წარმოიშვა რომანი 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ აჯანყებაზე, სადაც მართალია არის ბაჩუას მიმზიდველი, მეტად კოლორიტული, თბილი საღებავებით, და დიდი ადამიანური თანაგრძნობით დახატული სახე, მაგრამ მას მხოლოდ ეპიზოდური, ნაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია, მთავარი და ცენტრალური გმირი კი ჰარმაგი, მხნე გლეხი, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი პიროვნება, სოფლის თავკაცი ტარიელ გოლუაა.

ახლა კი საბოლოოდ გაირკვა, რომ დეკადენტური განწყობილებები, სიმახინჯის კულტი, ავადმყოფური ხილვები და მათი ფსიქოლოგიური წვდომის უნაყოფო სურვილი, აზრი შესახებ იმისა, რომ „სიზმარიც ხომ სინამდვილეა“, ან კაცობრიობის იდეალიც ისეთივე სისულელეა, როგორც ცარიელი ნიღაბი და სხვა, ყველაფერი ეს უცხო და არაორგანული ყოფილა ქიაჩელისათვის, გაირკვა, რომ იგი ჭეშმარიტი მხატვარია და ცხოვრების რეალური სურათები თავისთავად კარნახობენ მას რეალურ სათქმელს, სახეებს, განწყობილებასაც და ფილოსოფიასაც.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ ლეო ქიაჩელმა ჯერ კიდევ 1912 წელს დაწერა მეტად საინტერესო წერილი დავით გურამიშვილზე, სადაც ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „საქმე ის არის, რომ მხატვრულ აზროვნებას თავისი ისტორია აქვს, განვითარების საკუთარი საფეხურები, რომ მისი წინსვლა და წარმატება მემკვიდრეობითია და იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეთვისებულია მის მიერ განვლილი ფაზა, რამდენად მონელებულია მის მიერ მოცემული სულიერი საკვები, რომ მისით ფრთა გაშალოს მხატვრული შემოქმედების შემდეგმა აღმაფრენამ“.

ქართული კლასიკური მწერლობისადმი და მისი ტრადიციებისადმი ერთგულების არა დეკლარაციული, არამედ კონკრეტული, მხატვრული, შთამბეჭდავი გამოხატულება იყო „ტარიელ გოლუა“; მიუხედავად იმისა, რომ ეს რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანი ახალი რეალიზმის დამწყები, ანუ ჭეშმარიტად ნოვატორული ხასიათისა და მნიშვნელობისა იყო. საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზეთ „სახალხო ფურცელის“ 1916 წლის 17 მარტის ნომერში, როცა დაიწყო „ტარიელ გოლუას“ ბეჭდვა, რედაქციის შენიშვნაში საგანგებოდ მიექცა ყურადღება იმ გარემოებას, რომ იგი „მოგვაგონებს ალ. ყაზბეგის მოთხრობებს“. ასე შეუერთდა ლეო ქიაჩელი ქართული მწერლობის განვითარების მაგისტრალურ რეალისტურ ხაზს, გააგრძელა და განავითარა იგი.

რომანით, უწინარეს ყოვლისა კი ტარიელ გოლუას სახით, მწერალმა დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა ქართველ გლეხთა რევოლუციური შეგნების ზრდა. მართალია, რეაქციის მსახურებმა ტარიელ გოლუას დაურბიეს და გაუპარტახეს ოჯახი, მოუკლეს შვილი, აუწიოკეს და დაუხოცეს ახლობლები და თანამებრძოლები, მაგრამ სულიერად მაინც ვერ გატეხეს და ახალი რევოლუციური ბრძოლისაკენ მოწოდებას იგი პირველი ეხმაურება რომანი მძიმე და დრამატულ ეპოქას წარმოსახავს, ესაა რუსეთში პირველი რევოლუციის მზადებისა და დამარცხების წლები, რასაც თავისი ძლიერი გამოძახილი ჰქონდა საქართველოში, კერძოდ კი ზუგდიდის მაზრაში. მწერალი მკაცრი რეალისტური ფერებით გვიხატავს იმდროინდელი სოფლის ცხოვრების სურათებს, მაგრამ ამასთანავე იგი მთელი სიძლიერით გადმოგვცემს იმ ოპტიმიზმს, რომელსაც უნერგავს ცხოვრების რევოლუციური განვითარების ნათელი პერსპექტივის შეცნობა. ამ ოპტიმიზმის, გაუტეხლობის, რწმენის ყველაზე ძლიერი და კოლორიტული მატარებელი რომანში არის მისი ცენტრალური გმირი ტარიელ გოლუა. პროლეტარული რევოლუციის ქარ-ცეცხლით გაღვიძებული ქართველი გლეხის ეს დიდებული მხატვრული სიმბოლო, ტარიელ გოლუა რომანის ფინალში მართლაც ქარიშხლით ტოტებშემომსხვრეული, კანდაკორძებული, მაგრამ ფესვმაგარი და ტანძლიერი ძველი მუხასავით დგას ახალგაზრდების, ამ ახალ ავარდნილ მწვანე ნორჩ ტყეში და ამ სიმბოლურ სურათში მშვენივრად არის გამოკვეთილი ის რეალური ძალა, რამაც გამარჯვება უნდა გამოსჭედოს.

„ტარიელ გოლუას“ ავტორის მისამართით უკვე მაშინ, როცა დაიწერა ეს პირველი მისი რომანი, შეიძლებოდა მოწიწებით ეთქვათ ის ამაღელვებელი სიტყვები, რომელიც თავად ქიაჩელმა დავით გურამიშვილის მისამართით თქვა: „მან შეიზავა ერის სული და ტკივილები გამოააშკარავა. მისმა შემოქმედებამ გამოაჩინა ის, რაც უძგერებდა მის დროს ერს ვულსა და სულს“.

* * *

„ტარიელ გოლუამ“ ლეო ქიაჩელის შემოქმედების მაგისტრალური ხაზი განსაზღვრა. მას გაცილებით უფრო დიდი როლიც დაეკისრა ქართული მწერლობის ისტორიაში — იგი გახდა პირველი ეპიკური თხზულება, რომელმაც სათავე დაუდო სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურას, მაგრამ ამ ბრწყინვალე მისიამ არ უნდა დაგვავიწყოს კიდევ ერთი დამსახურება ამ რომანისა — მან დაუბრუნა საქართველოს მისი შვილი, ავტორი ამ ისტორიული თხზულებისა.

ამ რომანის შექმნისა და მნიშვნელობის შესახებ არსებობს ლეო ქიაჩელის საგულისხმო მოგონება. „ტარიელ გოლუა“ 1914-15 წლებში იწერებოდა. მწერალმა ქართველ ემიგრანტთა ჯგუფს წაუკითხა რომანი და გულისფანცქალით ელოდა განაჩენს. რომანი ფრიად მოუწონეს. 1916 წლის დასაწყისში ქიაჩელმა ხელნაწერი თბილისში გამოუგზავნა „სახალხო ფურცლის“ რედაქციას. მსოფლიო ომის გამო რუსეთთან კავშირი დიდად იყო გაძნელებული, ფოსტა შვეიცარიიდან მოდიოდა საფრანგეთის, ინგლისის, ნორვეგიის, ფინეთის გავლით. მწერალს მაინცდამაინც არა სჯეროდა, რომ მისი თხზულება დანიშნულების ადგილს მიაღწევდა.

„ტარიელ გოლუაზე“ მუშაობამ მწერალი მთელი მისი გრძნობებითა და ფიქრებით კვლავ დააბრუნა სამშობლოში, მშობლიურ კუთხეში, ძველი ტკივილები და მოვალეობის გრძნობა გაუმძაფრა მას. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს ჟენევაში თავს კარგადა გრძნობდა, — უნივერსიტეტში ფილოსოფიისა და ლიტერატურის კურსს ისმენდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბოლშევიკურ ემიგრაციასთან, აღარც ფინანსიურად უჭირდა, რაკილა მისი საბავშვო მოთხრობები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდიასაც იღებდა — მაინც დროდადრო გული სამშობლოსაკენ გამოუწევდა ხოლმე. „ტარიელ გოლუამ“ კი საბოლოოდ გადააწყვეტინა დაბრუნება. მწერალი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. თედო სახოკიასთან ერთად იგი გრძელი და სახიფათო გზით გამოემგზავრა თბილისისაკენ. დიდი ფათერაკებით. პარიზსა და ლონდონში მისი კეთილსაიმედოობის გულმოდგინე შემოწმების შემდეგ, როგორც იქნა, ნორვეგიაში ჩავიდნენ, ბერგენში თედო სახოკიამ ინგლისის გენერალური კონსული, მარჯორი უორდროპის ძმა ოლივერი მოინახულა. უორდროპს რეგულარულად მის დიოდა ქართული ჟურნალ-გაზეთები. გულისფანცქალით გადაშალეს მშობლიური გაზეთები და სასწაული აქ მოხდა. „ათასნაირი დამთხვევა ხდება ცხოვრებაში, — იგონებდა

ლეო ქიაჩელი — მაგრამ ამისთანა თუ შესაძლებელი იყო, ვერ წარმომედგინა. კინაღამ გავგიჟდი... სიზმარი მეგონა. ხელში მეჭირა ფართოდ გაშლილი გაზეთი და თვალს ვერ ვაშორებდი მისი მაღალი ფელეტონის მომსხოდ დაბეჭდილ სათაურს — „ტარიელ გოლუა".

1916 წლის ივნისში, როცა ლეო ქიაჩელი თითქმის 9 წლის განშორების შემდეგ სამშობლოს დაუბრუნდა, იგი „ტარიელ გოლუას" წყალობით უკვე საყოველთაოდ ცნობილი მწერალი იყო. ამავე წელს შეირთო ცოლად ჭაბუკობისდროინდელი მეგობარი ქალი ვერა კაკაბაძე. ერთხანს არალეგალურად ცხოვრობდა, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წყალობით ეღირსა თავისუფლებას.

1917 წელს „ტარიელ გოლუა" ცალკე წიგნად გამოიცა. მალე „სახალხო საქმის". ფურცლებზე (1918 წ. № 166) დაიბეჭდა პირველი რეცენზიაც, სადაც კ. აბაშისპირელი (კონსტანტინე გამსახურდია) წერდა: „არასოდეს ეპატიებოდა ქართველ მწერალს, რომ ქართული ხელოვნების ნეგატივზე ერთის ხაზგასმით მაინც არ აღნიშნულიყო ის ღელვანი და ტანჯვა-სიხარული, რომელიც ინტენსიურად იგრძნო ხალხმა 1905 წლის რევოლუციის დროს. ლეო ქიაჩელმა ეს მიუტევებელი ცოდო ქართველი ხელოვანისა გამოისყიდა... ტარიელი და ლევანი ინსტინქტურად გრძნობენ, რომ ერთობა ქართველ ხალხს პოლიტიკურ თავისუფლებას მოუტანს... შეიშმუშნა ქართველი ხალხი და იღვიძებს ის წინაალმდეგობის გენია, რომელიც მზად ჰქონდა ელგუჯებს და ტარიელ გოლუებს, გარეშე მტრის წინ დასახვედრებლად".

ერთი საოცარი, ძნელად ასახსნელი რამ მოხდა ლეო ქიაჩელის ცხოვრებაში. იგი სამშობლოში „ტარიელ გოლუას" წამოყვა. ნორვეგიისაკენ მიმავალ გზაზე შუა ზღვაში გემი მოულოდნელად გაჩერდა და მგზავრებში პანიკა ატყდა, გერმანელთა წყალქვეშა ნავი აფეთქებას გვიპირებსო. ლეო ქიაჩელი იგონებს: „ვაიმე, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ცოლო და შვილო — აღმოხდა თედოს. მე კი უდიდესი განსაცდელის წინაშე ხმის ამოღება ვერ შევძელი, მაგრამ თავში უეცრად უცნაური აზრი აღმეძრა, რომელიც იმ წამში, აუცილებელი დაღუპვის წინ უნდა დამბადებოდა: „ვაიმე, ჩემო"... — მინდოდა მეყვირა მეც, თუმცა ეს „ჩემო" არც სამშობლო იყო და არც ცოლშვილი". ეს „ჩემო" მწერლის პირმშო რომანი „ტარიელ გოლუა" ყოფილა. თბილისში ჩამოსვლისას, როგორც უკვე ვთქვით, მას აღიარებული მწერლის სახელი დახვდა. ყველა პირობა გააჩნდა მხოლოდ თავის საყვარელ და სანუკვარ საქმეს — მწერლობას მიჰყოლოდა: იგი აირჩიეს ახლადდაარსებულ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ქალთა გიმნაზიაში მას ეკავა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლის ადგილი. და მაინც გატეხა ლეო ქიაჩელმა ფიცი, დავით სულიაშვილთან ერთად დადებული ქუთაისის ციხეში, პოლიტიკურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, საქართველოს მენშევიკურ მთავრობასთან დაიწყო თანამშრომლობა, ყველაფერი მიატოვა და ზუგდიდის ერობის თავმჯდომარეობაზე გასცვალა სამწერლო ასპარეზი.

ცხადია, ეს საბედისწერო ნაბიჯი მან მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ გადადგა მხოლოდ. როგორც ა. ჩხეტიას მოგონებიდან ასკვნის აკაკი თოფურია, სავარაუდოა, რომ ქიაჩელს მისი აზრით ხალხში ჩამკვდარი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების აღორძინების კეთილი სურვილი ამოძრავებდა; მხოლოდ. მაგრამ ამ კეთილი სურვილის აღსასრულებლად მან მცდარი გზა აირჩია და მალევე დარწმუნდა ამაში.

1921 წლის 18 მარტს ლეო ქიაჩელმა ბათუმიდან გააცილა ემიგრაციაში მიმავალი მენშევიკური მთავრობა, თვითონ კი არ გაჰყვა მას და ამით გაწყვიტა პოლიტიკური კავშირები.

1921 წლის 30 მარტს ზუგდიდის რევკომის წარმომადგენელმა რევოლუციური კომიტეტის სახელით საკანიდან გაათავისუფლა ლეო ქიაჩელი, როგორც ცნობილი მწერალი და კეთილსაიმედო მოქალაქე.

ცნობილი მწერლის სახელი ლეო ქიაჩელს ისევ „ტარიელ გოლუას" წყალობით შემორჩა, თორემ ამ წლებში დაწერილი მისი „მკვლელობა კოხტა-გორაზე", „შეურაცხყოფილი", „იშვიათი შემთხვევის გმირი", „სიკოს ხვედრი ოქრო" და კიდევ რამდენიმე სხვა მოთხრობა თუ არ დააკლებდა, თორემ ვერაფერს შემატებდა მის ღირსებას.

* * *

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ლეო ქიაჩელი თბილისში დაბრუნდა და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მიეცა. 1921 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, რედაქტორობდა გაზეთ „ლომისს", წერდა პუბლიცისტურ წერილებს, ლიტერატურულ პორტრეტებს, უფრო მოგვიანებით „არიფიონის" ლიტერატურული ჯგუფის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორთაგანი გახდა.

1921 წლის დამლევს ჟურნალ „ხომალდის" პირველ ნომერში დაბეჭდა საკუთარი მრწამსის გამომხატველი წერილი „ჩვენი მწერლობის შორიახლო", რომელშიაც ავტორი რეალისტურად აფასებს ქართული მწერლობის მდგომარეობას და იმედებს მომავალზე ამყარებს: „ახლის ძიების პროცესი სუფევს. ახალი კი

ჯერ შორს არის. ძიების ძალა მომწყვდეულია ქართული სულის შესაძლებლობის ფარგლებში. მიღწევა მცირეა... სამზადისია უთუოდ. მაგრამ ისარი მაინც გატყორცნილია. ნიშანი თითქმის აღებულია და მას დიდ მიღწევისაკენ მივყავართ. ჩვენ გვაქვს იმედი ახლისა. თავდებია: — ჩვენი მწერლობის მარად რძიანი ძუძუ-მკერდი!"

ეს მართლაც ითქმოდა საერთოდ იმდროის ქართულ მწერლობაზე, კერძოდ კი ლეო ქიაჩელის შემოქმედების შესახებ. ქიაჩელი, როგორც მხატვარი ერთხანს ძველი, არცთუ სახარბიელო ინერციით ცხოვრობდა, რაც მენშევიკების მმართველობის წლებიდან გამოჰყოლოდა. ამას აშკარად მოწმობს ის თითოოროლა მოთხრობა „მე და ჩემი ორი მეს", „ისკანდერის" თუ „კრიმანჭულის" მაგვარი, რომელიც უფრო ბუნდოვან, მანერულ ან ფრივოლურ მსუბუქ ჟანრს განეკუთვნება, 1916 წლის შემდეგ ასე რომ დასჩემდა მწერალს და რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალიზმთან და არც კერძოდ ქიაჩელის შემოქმედების ჯანსაღ საფუძველთან.

ერთი შეხედვით, ლეო ქიაჩელი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში პასიურადაც კი გამოიყურება, ცოტას წერს და აქვეყნებს მოთხრობებს, უფრო საზოგადო მოღვაწეობით, თანაც არცთუ ყოველთვის სწორად ორიენტირებულით, არის გატაცებული, ლიტერატურული პორტრეტებისა და წერილების წერას არჩევს. მაგრამ ეს პირველი შთაბეჭდილება სულ სწორი და მართებული არ უნდა იყოს. „ისარი მაინც გატყორცნილია". ლეო ქიაჩელი შორს უმიზნებს. მას სწორი შემოქმედებითი ორიენტაცია აქვს აღებული. 1923 წლიდან იგი ფიქრობს და მუშაობს ახალ რომანზე, რამაც მისი შემოქმედება „ტარიელ გოლუას" ხაზს უნდა დაუბრუნოს. სწორედ იმ ცნობილი, მართალი, ძლიერი რომანის გაგრძელება უნდა იყოს ეს ახალი, ასე რომ, ეს წლები არც პასიურია და არც ფუჭაყოფო მწერლისათვის. პირიქით, სწორედ ამ წლებში მწიფდება ის ნაყოფი, რომელიც მალე მოიწევა კიდეც და 1927 წელს გამოქვეყნდება ჟურნალ „მნათობის", ფურცლებზე, რომელსაც ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი განვითარების გზაზე შემობრუნების ახალ ეტაპად მიიჩნევენ შემდგომ. ამ ნაყოფს „სისხლი" ჰქვია.

თემატურად „სისხლი" „ტარიელ გოლუას" აგრძელებს. ლეო ქიაჩელი აქაც ; რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდგომი პერიოდის მხატვრულ სურათებს გვიცოცხლებს. მაგრამ თუ წარმოსახული ეპოქის თვალსაზრისით ამ ორ რომანს შორის დიდი სხვაობა არ არის, სამაგიეროდ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ხედვის კუთხით.

ავტორისეული ლირიზმი, სითბო და თანაგრძნობა, რითაც გარემოცულნი არიან „ტარიელ გოლუას" მთავარი გმირები, მონუმენტალური, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომანტიკული სახეობრიობა, რაც ასე დამახასიათებელია ქიაჩელის პირველი რომანისათვის, „სისხლში" არ იგრძნობა. აქ იგი შეცვლილია უფრო დინჯი, მეტიც, თითქოს გულგრილი და ცივი თხრობითაც კი.

ასეთი მანერა წერისა თუ თხრობისა იმით არის გამოწვეული, რომ „სისხლში" ყურადღების ცენტრში, ფოკუსში არჩილ დადიშიანის სახეა, რომელიც არაფრით ჰგავს მუხასავით ძლიერ, შეუდრეკელ ტარიელ გოლუას. იგი აშკარად უარყოფითი გმირია. ეჭვს გარეშეა, რომ მწერალი, როცა „უნებლიე რევოლუციონერის", მენშევიკ არჩილ დადიშიანის სახეს ქმნიდა, მიზნად ისახავდა გაეხსნა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენტის ხასიათი, იმ ადამიანის ბუნება, ვინც თავისი შინაგანი რწმენითა და მოწოდებით კი არ დაუკავშირდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობას, არამედ უბრალოდ მოლიბერალო ახალგაზრდობის მოდურ გატაცებას აჰყვა.

ლეო ქიაჩელი მხატვრულად დამაჯერებლად გვიჩვენებს იმ გზას სოციალ-დემოკრატიული ბანაკიდან უკიდურეს ნაციონალისტობამდე, რასაც ჩვენ თვალწინ გაივლის რომანის მთავარი გმირი. არჩილ დადიშიანი, ეს უხერხემლო და უნებისყოფო ადამიანი, ცდილობს თავი რევოლუციონერად მოგვაჩვენოს, მაგრამ როგორც კი დეკლარაციების ნაცვლად ცხოვრება მისგან მოქმედებასა და აქტიურ ბრძოლას მოითხოვს, იგი მაშინვე ღალატობს რევოლუციის საქმეს და აშკარა ნაციონალისტთა ბანაკში ეძებს თავშესაფარს.

რევოლუციების ეპოქისადმი მიძღვნილ რომანში უარყოფითი გმირის ყურადღების ცენტრში დაყენების გამო ადრეც და ახლაც, აშკარად თუ შეფარვით, გაისმოდა და გაისმის საყვედურები მწერლის მისამართით. უსაფუძვლო და უსამართლო საყვედურებია. სწორედ ამდაგვარ გმირზეა დაწერილი მაქსიმ გორკის „კლიმ სამგინის ცხოვრება" და ამან სულაც არ შეუშალა ხელი რომან-ეპოპეას, ლუნაჩარსკის სიტყვები რომ ვიხმაროთ, გამხდარიყო „ათეული წლების მოძრავი პანორამა". კლიმ სამგინის სახით გორკიმ დაგვიხატა რევოლუციების ეპოქის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ტიპიური წარმომადგენლის შესანიშნავი, ღრმად შთამბეჭდავი პორტრეტი. იმდენად დიდია მამხილებელი ძალა ამ სახისა, რომ მთელი ცნებაც კი შეიქმნა „სამგინშჩინისა", რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების დაცემასა და გახრწნას გულისხმობს. მაქსიმ გორკის ეს კლასიკური ეპიკური ტილო ბრწყინვალე დადასტურებაა იმისა, რომ ჭეშმარიტი მაღალ-

მხატვრული ნაწარმოების ღირსებას სულაც არ განსაზღვრავს ის პირობა, თუ რა ხასიათის გმირში გადატუდება და აირეკლება ცხოვრების სიმართლე.

ლეო ქიაჩელის „სისხლი“ და მისი გმირო ბევრწილად, მათ შორის მასშტაბურობითაც და მხატვრულადაც, განსხვავდება გორკის ამ რომან-ეპოპეისა და თვად კლიმ სამგინისაგან, მაგრამ ზოგ რამეში, უოველ შემთხვევაში პრობლემების პრინციპული გადაწყვეტის თვალსაზრისით, კიდეც ენათესავება მას. არჩილ დადიშიანის სახე წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთერთი საუკეთესო მამხილებელი პორტრეტია მთელ ქართულ საბჭოთა პროზაში და ამდენად მისი მნიშვნელობაც აშკარა და თვალსაჩინოა.

ლეო ქიაჩელი „სისხლში“ ისე ოსტატურად ანვითარებს მოქმედებას, რომ თანდათან მკითხველის ყურადღების ცენტრში არჩილ დადიშიანთან ერთად უბრალო ახალგაზრდა გლეხის ანდრო ქარიველის ბედიც ექცევა. თუ არჩილ დადიშიანის სახით მწერალი საზოგადოების ერთ ნაწილს ამხელს, ანდრო ქარიველ ქართველ გლეხობაში რევოლუციური შეგნების ზრდას გვიჩვენებს.

უნდა ითქვას, რომ თუ სხვა სახეები პროფესიონალი ბოლშევიკი რევოლუციონერებისა მწერალს არცთუ დამაჯერებელი, ცოცხალი, საინტერესო გამოუვიდა, სამაგიეროდ ანდრო ქარიველ უდაოდ დიდი მხატვრული სიმართლის მატარებელი გმირია.

არჩილისა და ანდროს ცხოვრება რომანში პარალელურად მიედინება და ვითარდება, ისინი, ამავე დროს, ბავშვობის მეგობრებიც არიან. და რამდენადაც ღრმად ეფლობა არჩილი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ჭაობში, იმდენად სწრაფად იზრდება ანდროს რევოლუციური შეგნება და აქტივობა.

ანდროს თავდაპირველად ჯერ კიდევ არ ესმის ნათლად იმ იდეოლოგიური ბრძოლის არსი, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში წარმოშობილიყო ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. იგი ინსტინქტურად, შინაგანი ალღოთი გრძნობს ბოლშევიკების ისტორიულ სიმართლეს და მათკენ მიუწევს გული. მისი აქტიური ბუნება და ახალი ცხოვრებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა ვერ ეგუება მენშევიკების ტაქტიკას, არჩილისა და მისი თანამოაზრეების პასიურობას. აქედან იწყება ამ ორი გმირის ცხოვრების გზების გაყრა და ისინი სულ უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს.

რომანის ბოლოს, მოქმედების დასასრულს მწერალი საბოლოოდ, განსაზღვრავს თავისი გმირების ხასიათსა და ბედსაც. ნაწარმოების ფინალი ღრმად გვარწმუნებს, რომ დადიშიანების, რევოლუციის ამ დეზერტირების ნაცვლად იზრდებიან და მოდიან ნამდვილი მებრძოლები, შეუდრეკელი რევოლუციონერები, რომელთა განსახიერებაცაა ანდრო ქარიველ. თუ ხალხის რევოლუციური აზვირთებით დამფრთხალი არჩილ დადიშიანი ცხოვრების გზას თავის საშველად ემიგრაციაში მიჰყავს, სამაგიეროდ ახალი ცხოვრების გამარჯვების ღრმა რწმენით სავსე ანდრო ქარიველ ამაყად და მხნედ მიეშურება ციმბირისაკენ, გადასახლებაში.

ლეო ქიაჩელის ამ რომანს ალაგ-ალაგ აშკარად ეტყობა მხატვრული დაუხვეწაობა, ზოზიერთი სახეც უთუოდ სქემატურია, მაგრამ „სისხლის“ პათოსი, მისი ისტორიული სიმართლე და სათქმელის მნიშვნელოვანება მას მართლაც საეტაპო ნაწარმოებად აქცევს მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში.

* * *

ლეო ქიაჩელს 1927 წლამდე რამდენიმე ათეული მოთხრობა ჰქონდა დაწერილი და გამოქვეყნებული. გზადაგზა ზოგიერთი მათგანი მოვიხსენიეთ კიდეც. ისიც ვთქვით, რომ მოთხრობები ძირითადად რეალისტური ხასიათისა იყო, თუმცა შიგადაშიგ დეკადენტური განწყობილებებისაც ერია. არც ის დაგვავიწყდა, რომ ზოგი მათგანი თავისი სათქმელით მნიშვნელოვანი იყო, ზოგი კი — მსუბუქი და ზერელე. იმ მოთხრობებს ჰქონდათ თავისი მეტ-ნაკლები ფასი და მნიშვნელობა, ეს აღინიშნა კიდეც თავის დროზე სალიტერატურო კრიტიკის მიერ. მაგრამ ჩვენ დაგვავიწყდა კიდევ ერთი და მთავარი კრიტერიუმი — მხატვრული. მხატვრული სრულყოფისათვის ლეო ქიაჩელის ადრინდელი მოთხრობებიდან არცერთს არ მიუღწევია, თუ გულახდილად ვიტყვით, არც კი მიახლოვებია რომელიმე მათგანი მას.

და აი, უეცრად, თითქო ცა გაეხსნაო, მწერალმა ზედიზედ გამოაქვეყნა „თავადის ქალი მაია“ (1927 წ.), „ალმასგირ კიბულან“ (1928), და „ჰაკი აძბა“ (1933 წ.), სამი მოთხრობა, სამი მარგალიტი, რომელიც ძვირფასი თვლებივით ამშვენებს მის შემოქმედებასაც და საერთოდ ქართულ მწერლობასაც. ამის შემდეგაც არაერთი მოთხრობა დაწერა ლეო ქიაჩელმა, მათ შორის უთუოდ მნიშვნელოვანიც, მაგრამ ეს სამი მოთხრობა რჩება მისი ნოველისტიკის მწვერვალად და შედევრად.

„თავადის ქალი მაიას“ ზოგადი ინტერპრეტაცია ასეთია: ამ მოთხრობაში ორი რეალობაა დაპირისპირებული, ძველი და ახალი. ერთი მხრივ, თავადიშვილები მაია და ბონდო წარმავალი ცხოვრების წარმომადგენლები არიან და ამდენად — განწირულნიც დასაღუპად, მეორე მხრივ კი, დაფინო და ამბაკო მშრომელ გლეხობას განასახიერებენ და მომავალიც მათია. ცხოვრების განვითარების კანონზომიერებაც ცხადად ჩანს მოთხრობაში — მაია და

ბონდო იღუპებიან, დაფინოს და ამბაკოს ხვალინდელი დღე ულიმით.

ეს ყველაფერი მართლაც ასეა და სწორია. მოთხრობაში ორი საზოგადოებრივი კლასის, ფენის, ძალის თუ სამყაროს შერკინების ბედი უკვე გადაწყვეტილია, ორთავ მხარემ იცის ცხოვრების განაჩენი, ერთისათვის საბედის. წერო და მწუხარე, მეორისათვის — საბედნიერო და ხალისიანი. მთავარი აქ ისაა, როგორ ხვდებიან ამ განაჩენს ერთნიცა და მეორენიც. გამარჯვებული, სიცოცხლისუნარიანი მხარე არ ამპარტავნობს, შეკავშირებულია, თავდაჯერილი და თავდაჭერებულიც. დამარცხებული ბანაკი კი გათიშულია, ბონდო ლალატობს თავისიანს, მაიას, ახალ, ახალგაზრდულ სიცოცხლეს ეძალება და კიდეც იღუპება: მაია, ვითარცა არა მხოლოდ მშვენიერი, არამედ ამასთანავე გონიერი ქალი მშვიდად ეგებება აღსასრულს, რადგან ბედისწერის მორჩილია.

საოცარია, მაგრამ მაიას არცა სძულს და არც ემეტება დასაღუპად ისინი, ვინც მისი და მისთანების ნაცვლად მოექცნენ ამ ცხოვრების სათავეში. იგი ალალი გულით ანუგეშებს. დედა-შვილურად არიგებს დაფინოს, გულში ქვითინით იკრავს მას და ისე ემშვიდობება თავისი ფარული ზრახვის აღსრულების წინ.

მაია ბედისწერის მორჩილია, მაგრამ დაუნდობელი მოღალატის მიმართ. მარტივი და მზაკვრულია ის ხაფანგი, რასაც მაია ბონდოს დაუგებს, გასაოცარია ის ლოგიკური და რიტმული წყობა სხარტი დიალოგისა, რომლითაც მაია ამბაკოს აქეზებს საკუთარი განზრახვის აღსასრულებლად:

„— ეს რა არის...

— რევოლვერი...

— რად გინდა? ნამდვილი ხომ არ არის?

— მაშ, ხისას ხომ არ დავიკიდებდი? — გაეცინა უმაწვილ გლეხს.

— ტყვიები მაინც არ გექნება, ალბათ, ცარიელია!

— ხუთივე შიგ ზის, თავის ალაგზე, რატომ დაეჭვდი?

— მაინც რად გინდა? კაცს ვერ გაიმეტებ!

— კაცს არა... მტერი კი ვერ გადამირჩება.

— ააცილებ. გლეხს სროლა საიდან გეცოდინება?

—ნასალდათარიც რომ არ ვიყვე, თვალი არა მაქვს, გული თუ ხელი?

— მტერმა რომ დაგასწროს?

— ეს შემთხვევაზე ჰკიდია: გამარჯვება მართლა დასწრებაზეა.

— გამოცდილი ყოფილხარ. ეს ამბავი გცოდნია.

— უცნაურ კითხვებს მაძლევ. მეც საკითხავად მოვდიოდი შენთან; დაფინო კოცონთან იდგა მთელი ღამე... ახლა სადღაც წავიდა. აქ ვერ ვხედავ. სად არის შენი გოგო, რომ ვერ დავინახე.

—ჰო, რა დაწყობილია ბედისწერის კანონები, ამბაკო... ამ დროს რომ მოიკითხე, ეს უკვე განგება არის“.

და კარავისკენ გაქცეულ ჭაბუკს მთავარი სათქმელი თუ ერთადერთი შემორჩენილი გულისწადილი დაადევნა:

„— ივარგე ჩემო ამბაკო! ივარგე, ბიჭო, იცოდე!“

შინაგანი დაძაბულობა და რიტმულობა მთელ მოთხრობას გასდევს, ყოველი ფრაზა დაწურულია და სხარტი, სახე — ტევადი, ორგანზომილებიანი, რეალური და სიმბოლიკური მნიშვნელობისა. მოთხრობას ოქრომჭედლის ფილიგრანული ხელოვნება თუ შეედრება, სადაც ყოველი დეტალი შთაგონებასთან ერთად, გულმოდგინე, დაუშურველი დამუშავების ნაყოფიცაა.

თითქოს კინემატოგრაფიული ხელოვნების ხერხებიც აქვს მომარჯვებული მწერალს, როცა მაიას მსხვილი პლანითაც გვიჩვენებს და საერთოთიც. ასე გგონია, კამერის თვალი ხან უახლოვდებაო თავადის ქალს და ხანაც შორდება. და ამ დროს სრულიად განსხვავებულად ჩანს მოთხრობის გმირი.

ახლოდან მაია ძველი დიდების მხოლოდ აჩრდილილაა. მწერალი დაუნდობლად მიგვაქცევინებს ყურადღებას მის „ღია მკერდზე კანმოშვებული ხორცის სიმჭკნარეს“, „უტევნო, დაწურულ მკერდს“, „ხანდაზმულობის უმარილით შეფერფლილ სახეს“. მაიას დამჭკნარი მშვენება კიდევ უფრო კონტრასტულად ჩანს ახალგაზრდა დაფინოს ფონზე: „მეურმის თვალებმა ერთდროულად აღბეჭდეს: წინ, პირველ რიგზე, კოფოზე გადმოხრილი მაიას ღია მკერდის გაცვეთილი სამკაულები, მის უკან კი — შავი ვარსკვლავივით ანთებული უმაწვილი ქალის გამწყრალი თვალების ელვარება“.

შორიდან კი, დღესასწაულზე შეკრებილი ხალხისათვის მაია ძველი ბრწყინვალებით არის მოსილი: „ათასი თვალი რიგრიგობით ნიშანში იღებდა მის ჩაცმულობას, ტანადობას, თავდაჭერილობას, სახეს, თვალებს, ხელებს და კოცონების ალზე აბრჭყვიალებულ მისი თითების ბეჭდებს სამაჭურითურთ...

— ვინა თქვა, მოხუცდაო! რომ არ ეტყობა?

— ისეთ წამლებს ხმარობს თურმე... და როგორც ამბობენ, თილისმაც უნდა ჰქონდეს ხნიერობის წინააღმდეგ...“

ეს მეღიდური მშვენიერება, ზვიადი და მიუკარებელი, ახლოდან კვლავ მთელი თავისი ტრაგიკულობით წარმოგვიდგება. ერთდროულად დიდებულია იგი თავისი პათოსით, გრძნობით, ვნებით, სიტყვამჭევრობით; მაია ასე მიმართავს ბონდოს: „თუ ჩემი ტანის სურნელი აღარ გაგონებს ახლად მოწველილს, გაუწუ-

რავი რძის სურნელს რომელიც ოდესმე ასე გხიბლავდა, სამაგიეროდ მას ხომ ძველი ღვინის ძალა აქვს ახლა, რომელიც ნამდვილი ვაჟკაცის სასმელია, ვაჟკაცის ნამდვილი დამათრობელი...“ ეს მხოლოდ პირველი ფრაზაა ურცხვად, ხმამაღლა გამხელილი ნდომისა, რომლითაც ასე ჯიქურ ეძალება მაია ბონდოს და რომელიც მომხიბლავიცაა და შემაძრწუნებელიც, რისი საზღაურიც ან უსაზღვრო სიყვარული შეიძლება იყოს, ან უკიდურესი სიძულვილი.

ბონდომ უკანასკნელი ირჩია და კიდეც მიიღო მაიას ქალური შურისგება, სასტიკი და დაუნდობელი.

„ცხოვრებას ხანიც აჰყვა — ეს მეორე ყაჩაღი — და... აჰა, გაძარცულია თავადის ქალი ყოველნაირად: ქონებასა და დიდებასთან ერთად გაქრა მისი ახალგაზრდობაც“. ამასთან ერთად გაქრა მისი უკანასკნელი იმედი და თავშესაფარი — სიყვარული; თავადის ქალი მაია მშვიდად ეთხოვება ამ ქვეყანას. ასე ამბობდნენ, თურმე. როცა თავად იყო ახალგაზრდა და ძლიერი სისხლი უყვარდა, მის ნაკვალევს სიკვდილი გასდევდა. მაგრამ იქნებ ბოროტი ენები ამბობდნენ ამას. ახლა მაიას გული არა იმდენად შურით და მტრობით, არამედ უფრო თანაგრძნობით და სიყვარულით არის სავსე ახალგაზრდა დაფინოსადმი.

მითოსური ბედისწერის ძალა და გარდუვალობა იკითხება მოთხრობის ბოლო თავში, როცა მაია ცხოვრების მიერ მისთვის გამოტანილ განაჩენს თვით აღასრულებს.

„— ვინ არის აქ ისეთი, ვინც აღარ უნდა იყვეს!“ — რამდენჯერმე იკითხავენ ზღვის ტალღები და მსხვერპლს მოითხოვენ. მაიამ კარგად იცის, ვისაც უხმობს მშფოთვარე ზღვა. „უბედური თავადის ქალი მაია“ — აი, თავად მისი პასუხი ამ შეკითხვაზე. რადგან ახლა მხოლოდ დაფინოს თვალებიდან ანათებს „სიკვდილზე უფრო ძლიერი სიცოცხლე“ და ამ ჯანსაღი გლეხის გოგოს სულის ნათელია, რომელიც თვალებში სიცოცხლეჩამქრალ „ცოდვილს ქალბატონს წინ გაუძღვება ცხოვრების უკანასკნელ გადასავალზე“.

აღსარებასავით, თანაც სიამაყით და სინანულით ისმის მაიას ხმა, რომელიც ნელნელა შედის ზღვაში და თან საკუთარი ცხოვრების გზას უყვება დაფინოს. იგი თურმე მართლაც სისხლითა და სიკვდილით ყოფილა აღბეჭდილი. ყოველი მიჯნურის გახსენების შემდეგ იგი ზღვას სწირავს ნაჩუქარ სამკაულს. და თითქოს არც სამკაულებს და არც მაიასათვის გაწირული ვაჟკაცების სახელებს უჩანს ბოლო.

თანდათან, რაც უფრო ღრმად შედის მაია წყალში, ყუჩდება და წყნარდება ზღვა. ასევე წყნარდება ბედისწერას დამორჩილებული თავადის ქალი, ოდესღაც მშვენიერი და სიცოცხლით სავსე, ახლა კი მსხვერპლად გაწირული ცხოვრებისგანაც და თითქოს გამქრალისგანაც. სიკვდილი მხოლოდ მას ერგება. [illegible] მაიამ ეს, ამიტომაც გამოაბრუნებს უკან დაფინოს, სიცოცხლისა და იმედის ხორცშესხმულ სიმბოლოს.

„მალე მეთქი, გიბრძანებ, გესმის? თავსაკრავი მჭირია!

შეშინებული დაფინო სწრაფად წავიდა ნაპირისაკენ.

აჩქარებისაგან ფეხი ეშლებოდა. წყალსაც ვერ სჭრიდა.

როცა ნაპირს მიაღწია, უკან მოუხედავად გაიქცა, სადაც მაიას ტანსაცმელი ეწყო. დასტაცა ხელი თავსაკრავს და უმალვე ისევ უკან გამობრუნდა.

გაიხედა:

აღარსად იყო თავადის ქალი მაია...“

ასეთია ფინალი ამ ტრაგიკული და მშვენიერი მოთხრობისა.

აი ლეო ქიაჩელის კიდევ ერთი მოთხრობის ფინალი:

„— გივერგილ! — არაადამიანური გახარებით შესძახა ალმასგირმა, მძიმე ტანი აიმჩატა, ჰაერში შემართული ხელების დიდრონი, კაუჭა თითები მოლანდებული შვილისაკენ გაიშვირა, წყალი შეაპო და ზღვაში შეიჭრა.

მაგრამ მას ზღვა არ უგრძვნია.

და არც სიკვდილი უგრძვნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მომღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია“.

ალმასგირ კიბულანიც ზღვაში შედის და იღუპება, მაგრამ ამ ზედაპირული მსგავსების იქით რაოდენ განსხვავებულია მისი და თავადის ქალი მაიას ტრაგიზმის საფუძველიც, ხვედრიც და თუნდაც სტიქიონში შესვლის მოტივიც. თუ თავადის ქალი მაია სიკვდილს ეგებება მშვიდად ზღვაში, ალმასგირი იქ სიცოცხლის საძიებლად იჭრება გამძაგებული, რაკიღა თავისი გივერგილას მომღიმარე სახე ზღვის აქაფებულ ტალღებში დალანდა მისი მფარველი დალის ოქროს თმებში გახვეული.

ამ პატარა მოთხრობაში ლეო ქიაჩელმა საოცარი ძალის მონუმენტური ფიგურა გამოჰკვეთა სვანი კაცისა და მამა-შვილური სიყვარული ისეთი სიმძაფრით გაგვიხსნა, რომ მიუხედავად უსაზღვრო ტრაგიზმისა, „ალმასგირ კიბულან“ მაინც ამ გრძნობის სადიდებელ საგალობლად ჟღერს, თითქოს ლილეოს დიდებული, ამაღლებული, პათეტიკური ჰანგები მოგვესმისო.

მამაცა და შვილიც არა მარტო მამაკაცური ვნების და ღირსების სიძლიერით, პორტრეტულადაც მოგვაგონებენ მითოსურ გმირებს. ალმასგირი „თავისი დევური აღნაგობით ისე გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან, როგორც ძველებური სვანური კოშკი სვანების ჩვეულებრივი

სადგომებისაგან“, ხოლო მის შვილს, გივერგილას, „დალი გეზალს“, ანუ მონადირეთა მფარველი ქალღმერთის დალის შვილს უწოდებდნენ.

ლეო ქიაჩელის პროზის ენა თანდათან სულ უფრო მეტ ლექსიკურ სიმდიდრეს და მხატვრულ ფერადოვნებას იძენდა, „თავადის ქალ მაიაში“ და „ალმასგირ კიბულანში“ კი მწერლის ეს ნიჭი მთელი სიძლიერით გამჟღავნდა. იქნებ ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ზღაპრული მოტივების მოშველიებამ მეტი გასაქანი მისცა მხატვრის მეტაფორულ აზროვნებასაც და მეტყველებასაც.

გივერგილა „ბოკვერის ნახტომით, როგორც ცხენს, ალმართის ზურგს ისე შეახტა“, — გვეტყვის მწერალი, როცა მისი გმირი კარვიდან გამოვა და სანადიროდ მთას მიაშურებს. ამ ერთი ფრაზით, ზუსტად მიგნებული მხატვრული შედარებით ლეო ქიაჩელმა მეტი გვითხრა თავისი მოთხრობის გმირზე, უკეთ გაგვიხსნა სახე, ვიდრე ამას ჩვეულებრივი დახასიათების თუ აღწერის ვრცელ პერიოდში მოახერხებდა. ან კიდევ: „აიმრიზა ალმასგირ კიბულან, დევის ლანდივით საშინელი“ — ასე ლაკონურად და არცთუ სულ რეალური მინიშნებით გვიხასიათებს ლეო ქიაჩელი სვანი მეტყევის შეშფოთებას, შვილის ხიფათის წინათგრძნობით გამოწვეულს და უფრო მეტყველი დახასიათება გმირის სულიერი მდგომარეობისა, მისი გულისწყრომისა თუ იდუმალი შიშისა თითქოს შეუძლებელია. და კიდევ მხოლოდ ერთი ნიმუში მწერლის მხატვრულ-მეტაფორული მეტყველებისა, თორემ ასე გამუდმებით შეიძლება ამ ამოუწურავი წყაროს დაწაფება: „უცებ, თითქოს ზღაპარს მოჰყვაო, დღემ ფრთები შეკეცა და მთებში ფერთა აღრევის დრო დადგა“.

არა, მოიჯარადრის კაუზა ფიფიას ფულს არ დახარბებია გივერგილა, როცა ენგურში ჩაჭერგილი მორების დაშლა იკისრა, ამაში მისი „თავის გამოჩენის სურვილით ანთებული თვალები“ გვარწმუნებენ, მაგრამ ნადირობის დროს თუ სწყალობდა გივერგილას დალი, ახლა, ხე-ტყის დამზადებისას ველარ დაიფარა იგი, ერთბაშად მოვარდნილი მდინარის საშინელი ხრიალისაგან „მთების კედლები შექანდნენ და გარშემო მიწაც შეინძრა“.

აქ კი, უბედურებით შეძრული მამის ინსტინქტურ შურისგებას მწერალი ყრუდ, თითქოს უსიტყვოდ გადმოგვცემს, რადგან მომხდარს არავითარი კომენტარი, თუნდაც მხატვრული აღარ სჭირდება.

გივერგილს დადევნებული ალმასგირი აქაფებულ ენგურს მისდევდა, „ძველი ზღაპრების დევგმირივით, ამ დღის სიცხადეში, ცეცხლის მთასავით მოაბიჯებდა და პირიდან მუგუზლებს, ხოლო თვალებიდან ნაპერწკლებს ჰყრიდა“.

აქ კვლავ ზღაპრულ მოტივებს და სახეებს მიმართავს მწერალი და ასეთნაირად აგვიწერს ალმასგირის პირველ და უკანასკნელ გამოსვლას სვანეთის მთებიდან კოლხეთის ველებზე, სადაც „ჰაერი მძიმდებოდა და ალმასგირს სულს უხუთავდა“.

შვილის ძებნაში ასე მისდია მან „დევის ლაჯებით“ ენგურს, სანამ მისთვის გაუგებარ საკვირველებას არ მიადგა, მაგრამ არც ამან შეაკრთო მამის გული და ალმასგირ კიბულანი გივერგილას მოლანდებას თამამად შეჰყვა ზღვაში.

კიდევ ერთი მოთხრობა ლეო ქიაჩელისა, ასე რომ გამოირჩევა მის შემოქმედებით მემკვიდრეობაში, არის „ჰაკი აძბა“. აქ მწერალი აღარ იშველიებს მითოლოგიისა თუ ზღაპრის სტილისტიკას, მისთვის ადრევე ჩვეული „სუფთა“ რეალისტური მანერით მოგვითხრობს ამბავს და გვიხსნის ხასიათებს.

აქ აღწერილი ტრაგიკული შემთხვევა სოხუმში ხდება 1918 წელს, საქართველოში მენშევიკების მმართველობის დროს. სრულიად მოულოდნელად სოხუმს მოაშურებს ბოლშევიკების კრეისერი „შმიდტი“, რომელსაც მეთაურობს ყოფილი ბოცმანი კუჩმა კილგა, „მრისხანედ“ წოდებული.

მოთხრობის პირველი ნახევარი, სადაც სოხუმის მმართველობის თუ საზოგადოებრიობის პანიკური შიშის მოწმენი ვხდებით „შმიდტის“ მოახლოების გამო, აშკარად ირონიული ინტონაციითაა დაწერილი და თითქოს მსუბუქ განწყობილებას უქმნის მკითხველს. მწერალი აშკარად დასცინის დამხვდურთა მლიქვნელურ სულს და ლაჩრულ ბუნებას. აქ კიდევ ერთხელ გამჟღავნდა ლეო ქიაჩელის სატირული ნიჭი, რასაც არც „შმიდტის“ ეკიპაჟი და მისი მრისხანე კაპიტანი გადაურჩნენ. მაგრამ მოვლენათა უეცარი შემობრუნება სხვა კალაპოტში აგდებს მოქმედების მდინარებასაც, მოთხრობის სათქმელსაც და თხრობის მანერასაც.

აფხაზ ახალგაზრდა თავად უჭუშ ემხას, ყოფილ თეთრგვარდიელ ოფიცერს, ბოლშევიკებს რომ გამოქცევია და ახლა სამშობლოში უპოვნია თავშესაფარი, მისდა უნებურად შემოაკვდება ქუჩაში მიძალებული მეზღვაური ვასკა ხრიტანიუკი, პირატად წოდებული.

აქ კვლავ გამოჩნდება სოხუმის მმართველთა დამფრთხალი სახეები, მაგრამ ეს უკვე აღარ არის მთავარი. მთავარია კუზმა კილგასა და ჰაკი აძბას დაძაბული დუელი ერთმანეთში საკუთარი ნების მეორისათვის შთასაგონებლად. ჰაკი აძბა უჭუშ ემხას ძუძუმტეა და მისთვის თავის გაწირვა წმინდა მოვალეობად, სიცოცხლის მიზნად მიაჩნია. კუზმასათვის კი ეს მონური სულის გამოვლენაა და სხვა არაფერი, ამიტომ ჰაკის კლასობრივი სიბრმავე საკუთარ შეურაცხყოფად მიაჩნია. ეს ფსიქო-

ლოგიური დუელი, სადაც უკვე კუზმა გულწრფელ პარტნიორად ჩანს. ჰაკი კი — ფარისევლად, ორთავეს მარცხით მთავრდება, რადგან მათ ერთმანეთისა არ ესმით. კუზმას გული დახშულია იმ საუკუნეების მანძილზე გამჯდარი ადათისა და რწმენისათვის, რაც ამორავებს ჰაკის. თავის მხრივ, ჰაკი აძბას ისედაც განუვითარებელი გონება ახლა, ამ ტრაგიკულ სიტუაციაში კიდევ უფრო დაჩლუნგებულია იმისათვის, რომ კუზმას კლასობრივი მოძღვრება შეიგნოს. ასე რომ, აქ ბრძოლა სხვადასხვა სიბრტყეებზე მიმდინარეობს, გონება გრძნობისა არ ესმის, გრძნობას კი — გონებისა. და თუ უჯუშ ემხა და ჰაკი აძბა ერთგვარ სიმპატიებს მაინც იმსახურებენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ აქ კონკრეტულ შემთხვევაში ისინი უდანაშაულონი არიან და ვაჟკაცურად ეგებებიან სიკვდილს. თუმცა მთელი თავისი ბიოგრაფიით დამსახურებული აქვთ ის საზღაური, რომელიც მხოლოდ სიცოცხლის ფასად უნდა გაიღონ.

არის ერთი მოტივი, რომელიც, რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს ეს, „ჰაკი აძბას", „თავადის ქალ მაიასა" და „ალმასგირ კიბულანთან" აკავშირებს, ესაა ბედისწერისა და წინათგრძნობის მოტივი, სიზმრის აცხადების მოტივი, რომელიც ამ სამ მოთხრობას (ქიაჩელის ზოგ სხვა მოთხრობასაც) თანაბრად გასდევს. აქაც, უჯუშ ემხა, სასტუმროში ბანქოს თამაშის დროს, გრძნობს მოახლოებულ ხიფათს და თუმცა მის მეგობართაგან ჯერ არავინ არაფერი იცის, მოულოდნელად გამოაცხადებს, რომ პორტში შემოსული გემი წითლების კრეისერი „შმიდტიაო". ბედისწერის მოტივი, უნდა ვივარაუდოთ, უფრო სიუჟეტური ინტრიგის გასამძაფრებლად აქვს მოხმობილი მწერალს, ვიდრე საკუთარი შემოქმედების მისტიკური ელემენტებით დამძიმებისა და გაბუნდოვანებისათვის.

ლეო ქიაჩელის ეს სამივე მოთხრობა დროის უტყუარი ნიშნებით არის აღბეჭდილი. ეპოქის ვითარება და სული ზუსტად და შთამბეჭდავად არის აქ გახსნილი. და ამასთანავე, ვნებების სიმძაფრით, ადამიანური ბუნების და ხასიათების ღრმად წვდომით და განზოგადებით. ამ მიზნით მოხმობილი სიმბოლიკით, რაც მთავარია მწერლის მხატვრული აზროვნების წყალობით მას უფრო მეტი და ფართო მასშტაბები ენიჭებათ.

* * *

ლეო ქიაჩელს ავტობიოგრაფიაში უწერია: „1932-33 წლებში — გაცხოველებული საკოლმეურნეო მოძრაობის პერიოდში — მე და ცნობილ კინორეჟისორ ნიკოლოზ შენგელაიას შემოგვთავაზეს დაგვეწერა სცენარი ამ დიდი სახალხო მოძრაობის თემაზე. ჩვენ შემოვიარეთ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი და დიდძალი მასალა დავაგროვეთ. ასე იშვა მხატვრული კინოფილმი „ნარინჯის ველი", რომელმაც წარმატებით შემოიარა მთელი საბჭოთა კავშირის ეკრანები. მაგრამ ფილმში მთლიანად არ გამოგვიყენებია ის მდიდარი მასალა, რომელიც მე და რეჟისორმა შევკრიბეთ. ამიტომ გადავწყვიტე, შეგროვილი ახალი მასალისა და რევოლუციამდელი სოფლის ცხოვრების ცოდნის საფუძველზე ახალი ნაწარმოები დამეწერა. ასე შეიქმნა რომანი „გვადი ბიგვა".

ამ ბედნიერი შემთხვევის, ფილმზე მუშაობის წყალობით შექმნილია „გვადი ბიგვა", ქართული საბჭოთა პროზის, და საერთოდ მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო რომანი, რისთვისაც ავტორს 1941 წელს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. „გვადი ბიგვა" უმალ ითარგმნა რუსულ და სხვა მოძმე ხალხების ენებზე. მერე კი ამ რომანმა შორეული მოგზაურობებიც დაიწყო, გამოიცა ინგლისურ ენაზე ლონდონში, ესპანურად — ბუენოს-აირესში, გერმანულად — ბერლინში, ჩეხურად და სლოვაკურად — პრაღაში, უნგრულად — ბუდაპეშტში, ბულგარულად — სოფიაში, რუმინულად — ბუქარესტში, პოლონურად — ვარშავაში, ინდურად — დელიში, ჩინურად — პეკინში. ეს უკვე თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია.

ლეო ქიაჩელი მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე დიდ ინტერესს იჩენდა საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპების მიმართ, რადგან სწორედ ამ დროს განსაკუთრებული ძალით ვლინდება ადამიანის ღირსება თუ უღირსობა, მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრე თუ სიღარიბე, უფრო აშკარად, გამოკვეთილად ჩანს დროის მთავარი ტენდენციები. ამასთანავე ერთად, შეიმჩნევა მწერლის კიდევ ერთი თავისებურება — თვით უაღრესად დიდ ეპოქალურ მოვლენებსაც კი ლეო ქიაჩელი გვიხსნის ერთი ადამიანის კერძო ბედთან დაკავშირებით და ამას ისეთი ოსტატობით ახერხებს, რომ გმირის მხატვრულ ბიოგრაფიაში მთელი თაობების, დროის სული იკვეთება.

ეს ხერხიცა და მისი დაუფლების ოსტატობაც ლეო ქიაჩელმა „გვადი ბიგვაშიც" ნათლად გაამჟღავნა. გვადის საოცრად თავისებურ, განუმეორებელ, ბევრწილად უცნაურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მწერალი დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიხსნის ახლის, პროგრესულის ბრძოლას ძველთან და მომაკვდავთან კოლექტივიზაციის რთულ, დაძაბულ ეპოქაში, გვარწმუნებს პირველის გამარჯვების ისტორიულ აუცილებლობაში.

„გვადი ბიგვას" ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო მისი მაღალი მხატვრული ღირსე-

ბების გამო, არამედ სტილის თავისებურებების წყალობითაც. რომანი სავსეა არა მხოლოდ სითბოთი და ლირიზმით, არამედ საოცარი სიხალისით, სილაღით, დახვეწილი იუმორით.

რომენ როლანი წერდა, მე ვიგრძენი თვით კადნიერებამდე მისული თავისუფალი გალური სიმხიარულის დაუოკებელი სურვილიო. ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, თუ რამ წააქეზა „ჟან კრისტოფის" ავტორი „კოლა ბრუნიონი" დაეწერა. ასეთივე ალსარება არ დაუტოვებია ჩვენთვის ლეო ქიაჩელს, მაგრამ ალბათ მანაც იგრძნო ამდაგვარი შინაგანი მოთხოვნილება და დაუოკებელი სურვილი, მოძალება ლაღი ქართული ხალხური იუმორისა, როდესაც ხელი მიჰყო „გვადი ბიგვას" წერას.

არცთუ ისე დალხენილი ცხოვრება აქვს გვადის, ზოგჯერ დრამატიზმით ალსავსე მდგომარეობაშიც კივარდება, მაგრამ იუმორი ანელებს ამ განცდებს და მკითხველი უფრო ლიმილით, ვიდრე ცრემლით ადევნებს თვალს ამ უცნაური გმირის ფათერაკებს. მრავალტანჯვაგამოვლილ გვადის სრული უფლება აქვს კოლა ბრუნიონივით გამოგვიტყდეს. — რას იზამ, ასეთი ვარ მე, შემიძლია ვიცინო მაშინაც კი, როცა გულში ნაღველი მიტრიალებსო.

გვადი ბიგვა, კოლა ბრუნიონთან ერთად, მსოფლიო მწერლობის კიდევ სხვა კლასიკურ გმირებსაც შეიძლება გვაგონებდეს, მაგრამ იგი მაინც ქართული ხალხური საუნჯიდან არის ამოზრდილი, პირველ რიგში კი ხალხის გენიის მიერ შექმნილ ნაცარქექიას ენათესავება.

წარმოუდგენელი სიზარმაცე, მახვილგონიერება, რთული სიტუაციებიდან თავის დაძვრენის იშვიათი უნარი, საოცარი მოხერხებულობა გვადის აახლოებს და ანათესავებს ნაცარქექიასთან. ამას რომანის პერსონაჟებიც გრძნობენ, გოჩა სალანდია აკი ასეც მიმართავს — ნაცარქექიაო. ერთხელ, როცა შეურაცხყოფილმა, გალანძღულმა და დამფრთხალმა გვადიმ ძლივს გაასწრო და თავი სამშვიდობოს დაიხელთა, გული მოეცა, საკუთარ თავთან ასეთი მასლაათი გააბა: „რომ გაჭირდეს, ჩხუბსაც არ გაექცევა გვადი, ისე კი არ არის საქმე, აქაოდა გვადი პატარა კაცია, ტყირპიანი, გლახაკი და ადვილად მოვერევით. ჰე, ფრთხილად, ფრთხილად! პატარა და გლახაკი ჩანდა ნაცარქექიაც, მაგრამ უზარმაზარ მდევებს კუდით ქვა ასროლინა". აქ ნაცარქექიასათვის დამახასიათებელი ბაქიაობა და მკვეხარობა კი არ ჩანს მხოლოდ, არამედ ისიც, რომ გვადის ემაყება თავისი ფოლკლორული პროტოტიპი.

ნაცარქექიას ლიტერატურულ ორეულს, ზარმაცსა და უქნარა გვადის ამ სიბერის ხანს კი გასძნელებია ცხოვრება. შრომის პათოსი მის მშვიდ და უშფოთველ ყოფასაც ემუქრება. კოლმეურნეები პირდაპირ საშველს აღარ აძლევენ მას. თუ ადრე ბაზრის გზა უხიფათო და ხსნილი ჰქონდა, ახლა თანასოფლელებს ემალება და ჩუმად, ქურდულად მიიპარება. თუ მაინც ვინმე შეამჩნევს, გვადის მხსნელად ისევ საკუთარი ენა და გონებამახვილობა ეგულება.

ლეო ქიაჩელი ფსიქოლოგიური პორტრეტის დიდი ოსტატია. იგი გმირის სულიერი სამყაროს გახსნასთან ერთად ნათლად გვიჩვენებს იმ სოციალურ გარემოსაც, რომლის გავლენითაც ხდება ადამიანის ხასიათის და შეგნების ფორმირება. ამას მწერალი დიდი ტაქტითა და ზომიერების გრძნობით აკეთებს.

მართალია, გვადის საქციელი მკითხველში სიცილს იწვევს, მაგრამ თანდათანობით სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ არცთუ ისე უდარდელი ყოფილა მისი ცხოვრება. მეტიც, იგი ერთ ჭეშმარიტად ბედნიერ დღესაც ვერ გაიხსენებს თავისი წარსულიდან. ახლა კი უკვე ღრმა თანაგრძნობას ღიმილს იწვევს ის კომიკური სიტუაციები, რომლებშიც აღმოჩნდება ხოლმე გვადი ძველი ცხოვრებისაგან ნაანდერძევი ჩვევების გამო. ცხოვრების ახალ, სოციალისტურ პირობებშიც ეძნელება გვადის ამ მახინჯი ჩვევებისაგან გათავისუფლება, მაგრამ ისიც ცხადია, რომ გვადი ბუნებით სუფთა და წესიერი ადამიანია.

თანდათან სულ უფრო უძლიერდება გვადის სურვილი, რომ საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი წარსულთან, ამოძირკვოს მისი კვალი საკუთარ ხასიათსა და ჩვევებში, ჩადგეს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა რიგებში, მაგრამ შიში იმისა, რომ ეს ყველაფერი უკვე გვიანაა, აყოვნებს მას. მხოლოდ თანასოფლელთა მიერ აღმოჩენილმა დიდმა და ჯერ დაუმსახურებელმა ნდობამ გახადა შესაძლო მასში ფსიქოლოგიურად კარგა ხნის მომწიფებული გარდატეხის მოხდენა. ახალი ძალით იფეთქებს გვადიში პატიოსანი, ადამიანური ცხოვრების სურვილი, მასაც მოსწყურდა შრომა, მოქმედება და, წარმოიდგინეთ, მიუხედავად ასაკისა, სიყვარულიც კი: „ბედნიერება მინდა, მარიამ... სიყვარული და სიცოცხლე მინდა, მარიამ... შენი მადლი... შენი წყალობა...

გვადის ვერავითარი ცდუნება ველარ ააცდენს სწორი ცხოვრების ძლივს მიგნებულ გზას. იგი ალალად, მთელი გულით ეზიარა ახალ ყოფას, რომლისკენაც თურმე ასე ძლიერად ილტვოდა მისი სული.

მაქსიმ გორკი წერდა: „მწერალი თავის გმირებს სწორედაც ისე უნდა უყურებდეს, როგორც ცოცხალ ადამიანებს. ცოცხლები კი მაშინ გამოუვა, როდესაც ყოველ მათგანში იგი იპოვის, აღნიშნავს და ხაზს გაუსვამს მეტყველების, ჟესტის, ფიგურის, სახის, ღიმილის, გამოხედვის და ასე შემდეგ, დამახასიათებელ

ორიგინალურ თავისებურებებს. ყოველივე ამის აღნიშვნით, მწერალი ეხმარება მკითხველს უკეთ დაინახოს და გაიგოს ის, რაც მან ახახა. სავსებით ერთნაირი ადამიანები არ არიან, თითოეულ მათგანს გააჩნია რაღაც თავისი, როგორც გარეგნული, ისე შინაგანი“.

ლეო ქიაჩელი, როცა გვადის სახეს ხატავს, დიდი ოსტატობით გვიხსნის და გვიჩვენებს სწორედ იმ „რაღაც თავისს“, ასე დამახასიათებელი რომ არის გვადისათვის, რაც მას ყველასგან გამოარჩევს. გვადის ხასიათის თავისებურებები და ცხოვრების წესი მის გარეგნულ იერშიც მჟღავნდება. პირველი გაცნობისას შემაძრწუნებელია გვადი შესახედად. „სახებანჯგვლიანი, ცალმხარზე ნაბადგადმოგდებული, მუცელგამობერილი“ კაცი ყოფილა გვადი, მისი „ბაიასფერი სახე ფერგადასულ ბუძგურა წვერ-ულვაშს დაებარდნა. შუბლზე ორ ბუწკნარად გადმოკიდებულ წარბებს ქვეშ, წირპლიან და დაბღენძილ ქუთუთოებში, შემალული პატარა, ჭროლა და მოძრავი თვალები უნდოდ, ქურდულად გამოიმზირებოდნენ“. როცა გვადი ახალ ცხოვრებას იწყებს, აღარ შეშვენის ჩამოფლეთილ-ჩამოძენძილი ტანსაცმელი, მასში საკუთარი ღირსების გრძნობა ილვიძებს და იგი მივიწყებულ სკივრს გახსნის, სადაც ახალთახალი ჩოხა-ახალუხი და წუღები ქორწილს შემდეგ ასე უპატრონოდ ეყარა. მწერალი თბილი იუმორით აგვიწერს გვადის ახალ ტანსაცმელში, რამაც ისე გამოცვალა იგი, რომ მეზობელი ქალის მარიამის მიჩვეულმა მურიამაც კი ველარ იცნო. ცუდად იქნებოდა საქმე, ძაღლს რომ ბოლოს ხმით არ ეცნო გლახაკი გვადი.

ლეო ქიაჩელი გმირის პორტრეტული ცვლილებებითაც გვიჩვენებს გვადის გარდაქმნის პროცესს. ჩვენთვის ამით კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ გმირი ახალ გზას დაადგა, რომ მას ცხოვრების მიზანი გაუჩნდა.

რაკილა მწერალმა რომანის ცენტრში გვადი მოაქცია და ყურადღებაც ძირითადად ამ მთავარი გმირის ხასიათის გახსნას, მისი ცხოვრების გზას დაუთმო, ამან შეიძლება გვაფიქრებინოს, ან ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება შეგვიქმნას, თითქოს ამით სხვა პერსონაჟები დაიჩრდილა და დაზარალდა. ეს ზერელე და მცდარი შეხედულება იქნება. მარიამის, გოჩა ხალანდიას, გერა ბიგვას, ნაიას, ზოსიმეს, თუ სხვა კოლმეურნეთა, აგრეთვე კლასობრივი მტრის არჩილ ფორიას სახეები მწერალმა შედარებით ძუნწად, მეტ-ნაკლებად ეპიზოდურად, მაგრამ მკვეთრად, ცოცხლად და საინტერესოდ დაგვიხატა.

ლეო ქიაჩელი სამართლიანად არის აღიარებული სიუჟეტის დიდ ოსტატად. მისი მწერლური ნიჭის ეს მხარე განსაკუთრებით თვალნათლივ სწორედ „გვადი ბიგვაში“ გამოჩნდა. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ავტორი უბრალოდ გვიხატავს პირადად გვადის თუ საერთოდ სოფელ ორკეთის მკვიდრთა ცხოვრების ყოფით სურათებს, მაგრამ თანდათან ნათელი ხდება კომპოზიციური შეკრულობა რომანისა, სიუჟეტის ძალდაუტანებელი, უშუალო, თანაც მკაცრად თანმიმდევრული განვითარება. მწერლის ოსტატობის ეს მხარეც იმ მთავარ მიზანს ემსახურება, რომ რაც შეიძლება ნათლად და შთამბეჭდავად გამოხატოს მთავარი გმირის, გვადი ბიგვას ცხოვრების გზა, გვიჩვენოს და მხატვრულად დაგვისაბუთოს მისი გარდაქმნის პროცესი და პირობები. ჩვენც გულწრფელი კმაყოფილებით მივესალმებით გვადის, ამ გულმხიარულ გმირს მისი ცხოვრების ახალ გზაზე.

* * *

დიდი ისტორიული მოვლენების მხატვრული გახსნის დროს ლეო ქიაჩელმა რამდენჯერმე და თვალსაჩინო წარმატებით მოიშველია სათქმელის გასამძაფრებლად მამა-შვილური გრძნობა. მაღალი იდეალებისათვის შვილის თავგანწირვა და ამ უმტკივნეულესი პირადი უბედურების დროს გამჟღავნებული სულიერი სიმტკიცე მამისა საერთო-სახალხო მიზნის სიდიადეს მთელი სიმძაფრით და სიცხადით წარმოაჩენს ტრაგიკული ჟღერა ნაწარმოებს ემოციურ ძაბვას მატებს. ასე იყო „ტარიელ გოლუაში“, „ალმასგირ კიბულანიც“ ხომ ამ ღრმა და მოურჩენელი ადამიანური ჭრილობის მხატვრული გაშიშვლებაა.

თითქოს ბედისწერის ძალით, ლეო ქიაჩელს არა მხოლოდ თავისი გმირების, საკუთარი პირმშოს გამოც მოუხდა ამ გაუყუჩებელი სულიერი ტკივილის განცდა და მისი ტარება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მასაც დაეღუპა ერთადერთი ვაჟიშვილი დიდი სამამულო ომის გმირულ, მაგრამ ბევრისათვის მოუსვლელ გზაზე. უმცროსი ლეიტენანტი ოთარ შენგელაია 1942 წლის 8 ივნისს ვაჟკაცურად დაეცა სევასტოპოლთან. მისი მეთაურის ალექსანდრე კანიშჩევის სახელზე 1945 წელს გაგზავნილ საპასუხო წერილში ლეო ქიაჩელი წერდა: „მე მოხუცი ვარ. ჩემთვის აუცილებელია დანამდვილებით ვიცოდე ის ადგილი, სადაც მარხია ჩემი ერთადერთი ვაჟი. მიშველეთ, მომეხმარეთ“. ამ უბრალო სიტყვებში უდიდესი ადამიანური ტკივილი იგრძნობა.

„ლეო ქიაჩელის გახსენებაში“ მწერლის დაბადების 90 წლისთავზე სერგო კლდიაშვილი წერდა: „გულჩათხრობილიაო, იქნებ ასე იმიტომ ეგონათ, რომ არ უყვარდა, — არ

უყვარდა კი არა, კიდევაც თავს არიდებდა, — იმ დიდ ტკივილზე ლაპარაკს, რომელსაც გულში ატარებდა. არავისთვის არ უთქვამს მამას, ისე გაემგზავრა იმ ადგილის და გარემოს სანახავად, სადაც დალია სული ქართველმა ვაჟკაცმა, მამამ თბილისიდან ქართული მიწა წაიღო, მოაბნია იმ ადგილებზე, სადაც ვარაუდით დამარხული უნდა ყოფილიყო შვილი, შემდეგ თან წამოიღო სევასტოპოლის მიწა და თავის ოჯახში ჰქონდა შენახული. ასეთ დიდ მწუხარებაზე არ უყვართ ლაპარაკი იმათ, ვინც ნამდვილად განიცდის მწუხარებას“.

ლეო ქიაჩელმა თავისი ეს სათქმელი „მთისკაცში“ გაგვანდო. იქნებ სწორედ პირადმა განცდამაც გადააწყვეტინა ამ ასპექტში გახსნა ომის თემა.

სამამულო ომი საბჭოთა ხალხისთვის არა მარტო დიდი განსაცდელი იყო, არამედ სულიერი სიმტკიცის, პატრიოტული სულისკვეთების, ჰუმანიზმისათვის თავგანწირვის უნარის მძიმე გამოცდაც. საბჭოთა ლიტერატურამ თავისი შეუნელებელი ყურადღებით პირნათლად მოიხადა ვალი ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დრამატიზმითა თუ ტრაგიზმით, მაგრამ ამასთანავე ჰეროიკით სავსე ეპოქის წინაშე. თუმცა, ამ პრობლემის ამოწურვა, ცხადია, შეუძლებელია. საბჭოთა ხალხის უმაგალითო გმირობა კვლავაც დიდხანს იქნება ლიტერატურის შთაგონების წყარო.

ლეო ქიაჩელმა ქართველ მწერალთა შორის ერთ-ერთმა პირველმა უძღვნა რომანი სამამულო ომის თემას. „მთისკაცი“ ომის წლებშივე იწერებოდა და ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ მალევე გამოქვეყნდა. დიდი იყო ამ რომანის რეზონანსი და მისი მნიშვნელობა ქართული პროზისათვის დღესაც განუზომელია.

სამამულო ომის თემა მწერალს კარგ შესაძლებლობას აძლევს მონუმენტური ეპიური ტილოს შესაქმნელად. ლეო ქიაჩელმა კი არც აქ უღალატა რომანის აგების მისეულ ხერხს, არ მიმართა ბატალურ სცენებს, მოქმედება ფართოდ არ გაშალა დროსა და სივრცეში, მთელი ყურადღება მთავარი გმირის — ბათუ ქარდუას სახის გახსნას შეალია. მთისკაცის ამ კერძო ბედში, როგორც პრიზმაში, ისე გადატყდა სამამულო ომის მთელი საშინელებაცა და სიდიადეც.

მწერალი ჩვეული ოსტატობით გვიხსნის თავისი გმირის — მეჯოგე ბათუ ქარდუას სულიერ სამყაროს. გმირი გვხიბლავს უაღრესი პატიოსნებითა და კეთილშობილებით, ამაღლებული სულითა და სიწმინდით, ადამიანური გულისხმიერებით, ხასიათის სიდიადით, შინაგანი დიდბუნოვნებით. მწერალი მრავალმხრივ გვიხასიათებს ბათუ ქარდუას, მაგრამ ყველაფერს უმორჩილებს მთავარისა და განმსაზღვრელის გახსნას. ესაა ბათუს უბრალო და წრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი, მოხუცი მეჯოგის ღრმა რწმენა ახალი, სოციალისტური ქვეყნის სილამაზეში და უკვდავებაში, მისთვის უყოყმანოდ თავგანწირვის აუცილებლობაში. ეს რწმენა გადაატანინებს მთისკაცს ყველაზე დიდ უბედურებას — ერთადერთი ვაჟის დაღუპვას ფრონტზე.

ბათუ ქარდუა არა მარტო მშობლის გამძაფრებული გრძნობით და ტრაგიკული ხვედრით, არამედ ბევრი სხვა რამითაც გვაგონებს ლეო ქიაჩელის პირველი რომანის გმირს ტარიელ გოლუას. რაც მთავარია, გვაგონებს თავისი მონუმენტურობით, ურყევი ნებისყოფით, ვაჟკაცური ხასიათით, გაუტეხელი სულით, ხალხური სიბრძნით და სიმტკიცით. ტარიელ გოლუასა და ბათუ ქარდუას სულიერი ნათესაობა ეჭვს არ იწვევს, ორთავ ერთად კი თითქოს შორეულ ხევისბერებსაც გვაგონებენ ქართული კლასიკური მწერლობიდან.

ლეო ქიაჩელმა მთისკაცის სახის გასახსნელად რომანტიკულ ფერებსაც უხვად მიმართა და ამით კიდევ უფრო ზეასწია იგი, ამაღლებული შტრიხები შემატა მის ისედაც შთამაგონებელ პორტრეტს.

ლეო ქიაჩელი არა მარტო შესანიშნავი მხატვარი, თავგადადებული საზოგადო მოღვაწეც იყო. ამ დიდი დამსახურებისათვის 1954 წელს ზეიმით გადაუხადეს დაბადების 70 წლისთავი. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

მას სულ ორიოდე თვე დააკლდა 80 წლამდე. გარდაიცვალა 1963 წლის 23 დეკემბერს. სამგლოვიარო განცხადებაში ნათქვამი იყო: „ქართველმა ხალხმა დაჰკარგა თავისი გმირული ცხოვრების ჭეშმარიტი მხატვარი, დიდი რეალისტი, დიდი მოქალაქე და პატრიოტი“.

ასე იცნობდნენ, ასე აფასებდნენ მას. ქართველმა ხალხმა ამიტომაც მიაბარა მისი ნეშტი მთაწმინდის მიწას.

ლეო ქიაჩელმა მართლაც დიდი გზა განვლო. მისი ამაგი ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხის წინაშე განუზომელია. ლეო ქიაჩელის შემოქმედება დღესაც არა მარტო ძვირფას განძად ჩანს, არამედ შთამაგონებელ მაგალითადაც. ასე იქნება ხვალაც, მომავალშიც. ამიტომაც, ეს ძვირფასი სახელი — ლეო ქიაჩელი მარტო მისი საფლავის ქვაზე კი არ არის ამოტვიფრული, არამედ ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა იმედაშვილი

# ლირიკული ანუ „ახალი პოემა"

ქართულ ლიტერატურაში სამოციანი წლებიდან გამძაფრებულმა პიროვნების აქტიურმა და უკომპრომისო დამოკიდებულებამ სინამდვილისადმი, საზოგადოების წინაშე პიროვნების პასუხისმგებლობის მწვავე შეგრძნებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს არა მარტო ამა თუ იმ პოეტის შემოქმედების ხასიათის განსაზღვრაში, არამედ ე. წ. ლირიკული პოემის ერთგვარ მოძალებისა და ასე განსაჯეთ, მისი ჟანრული თავისებურებების ჩამოყალიბებაშიც.

ბოლო ორი ათეული წლის ჩვენს საზოგადოებაში პიროვნული თვითშეგნება იმდენად ახალია, ღრმა და რთული, რომ იგი, როგორც ლირიკის შინაარსი, ველარ ეტევა ტრადიციულ ფორმებში, ხდება ძველი ფორმების მნიშვნელოვანი შეცვლა, ჟანრული საზღვრების უგულებელყოფა, ან ძველი ელემენტების გამოყენებით ახალი ჟანრული ერთეულების შექმნა. ეს პროცესი თავის დროზე რომანტიზმისთვის დამახასიათებელი პროცესის ანალოგიურია[1].

ეტყობა, „სულის დიალექტიკა" ლოგიკურად იწვევს ჟანრების ფორმალური კანონების დარღვევას, არსებული სტრუქტურის თვისობრივ გადახალისებას.

პიროვნებისა და ყოველივე პიროვნულის წინ წამოწევამ, როგორც ლიტერატურული პროცესის (და არა ცალკეულ ავტორთა) ძირითადმა დამახასიათებელმა ტენდენციამ, ზნეობრივი პრობლემების მწვავედ დაყენებამ გამოიწვია ლიტერატურაში ინტელექტუალური საწყისის გაძლიერება. როგორც პოეზიისათვის, ისე პროზისათვის არსებითი გახდა არა მოვლენათა წყება, არამედ მათი პიროვნებისეული შეფასება, პიროვნების მიერ მათი აღქმა და ანალიზი. ნუ ვდავებთ იმაზე, რომ პიროვნებისა და ინტელექტის გარეშე მწერლობა არასოდეს არსებულა. მე აქ მხოლოდ აქცენტებზე ვლაპარაკობ, ხაზს ვუსვამ იმას, თუ რა არის მწერლისათვის მთავარი — თხრობა, აღწერა თუ განსჯა-მედიტაცია?

სწორედ მოვლენათა პიროვნებისეული შეფასების აქცენტირება, მორალურ-ეთიკური განსჯა თუ ფილოსოფიური ხასიათის მსჯელობანი ქმნიან ინტელექტუალური პროზისა თუ ლირიკული პოემის მხატვრულ სპეციფიკას. ყოველ შემთხვევაში, სამოციანი წლების ქართულ პროზასა და პოეზიაში ძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით სწარმოებდა.

დღეს ბევრს წერენ ლირიკულ პოემებს და ბევრს წერენ ლირიკულ პოემებზე. კამათობენ. მაგრამ სანამ კამათს დავიწყებდეთ, არ იქნებოდა ურიგო საერთო ენა მოგვენახა. რაზე ვკამათობთ?

მე ვფიქრობ, ლაპარაკია „ახალ პოემაზე", რომელიც განვითარდა ტრადიციული პოემისა და ლირიკული პოეზიის ციკლიზაციის გადაკვეთის გზებზე და რომელმაც იტვირთა როგორც ეპიკური ფუნქცია პირველისა, ისე უშუალობა და სიწრფელე მეორისა.

თვითვე განსაჯეთ, სწორედ ეპიკურისა და ლირიკულის ანტინომიით ხასიათდება ქვემოთჩამოთვლილი ლირიკული პოემები, რომელთაც მე სიზუსტისათვის „ახალ პოემებს" ვუწოდებდი: ევგენი ევტუშენკოს „ბრატსკის ჰესი" ბელა ახმადულინას „ჩემი წინაპრები", ანდრეი ვოზნესენსკის, ოთარ ჭილაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, ედუარდ მეჟელაიტისის პოემები, ჩეხი პოეტის ვაცლავ გონსას „თებერვალი", რობერტ როჟდესტვენსკის „რექვიემი", უკრაინელი პოეტის ბორის ოლეინიკის „ხვედრი" და ა. შ. ჩამოთვლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

---

[1] შეადარე В. Д. Сквозников, Лирика, გვ. 209—210.

ზემოთჩამოთვლილი და მათი მსგავსი პოემები უკვე გარეგნულადაც მკვეთრად განსხვავდებიან ტრადიციული პოემისაგან. ძირითადი განსხვავება კი ნაკარნახევია პოემის შინაგანი ცვლილებით, მისი სიმძიმის ცენტრის გადაადგილებით, მისი მიზანდასახულობის განსაკუთრებულობით. განსხვავდებიან ეს პოემები ერთმანეთისაგანაც, მაგრამ ყველა მათთვის მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ სამყაროს ვრცელი სურათი, ზოგჯერ დროსგარეშე მდგომი, ზოგჯერ ისტორიულად თვალშესავლები და ლოკალიზებული, მაგრამ ყოველთვის მრავალგვარი და მრავალფერი, პიროვნებისეული შეფასებითა და ხედვით არის მოცემული.

პიროვნება კი არანაკლებ რთულია, ვიდრე ცხოვრება, რადგან იგი თავის თავში ერთ დონეზე ატარებს წარსულსაც, აწმყოსაც, მომავალსაც. სხვადასხვა მოვლენათა, სხვადასხვა ადამიანთა, სხვადასხვა დროთა და გარემოთა ერთ დონეზე — პიროვნების დონეზე არსებობა ართულებს ახალი პოემის სტრუქტურას. მაგალითად, ევგენი ევტუშენკოს „ბრატსკის ჰესი" შემდეგი ნაწილებისაგან შესდგება: 1. ლოცვა პოემის დაწერის წინ; 2. პროლოგი; 3. ეგვიპტის პირამიდის მონოლოგი; 4. ბრატსკის ჰესის მონოლოგი; 5. სტენკა რაზინის ლასჯა; 6. დეკაბრისტები; 7. პეტრაშეველები; 8. ჩერნიშევსკი; 9. სიმბირსკის ბაზრობა; 10. „ხოდოკები" მიდიან ლენინთან; 11. რევოლუციის ანბანი; 12. სოციალიზმის ბეტონი; 13. კომუნარები მონებად არ იქცევიან.

ბელა ახმადულინას „ჩემს წინაპრებში", უსათაუროთა გარდა, შემდეგი ნაწილებია: „ავტორისაგან", „იგრეკის შეპასუხება", „ავტორის შენიშვნა", „მეარღნის სიმღერა", „თათრული სიმღერის თავისუფალი გარდათქმა," „ცნობა მათი ავადმყოფობის შესახებ," „ჟანდარმის კომენტარები", „ავტორის შენიშვნა," „კეთილისმსურველის რეპლიკა."

შედარებით დაწვრილებით შევჩერდები ოთარ ჭილაძის „სიყვარულის პოემაზე", ორთა სიყვარულის დრამატულ ამბავზე. დასაწყისი და დასასრული, პოემის პირველი და მერვე ნაწილი, ერთი და იმავე წყვილის სიყვარულს ეხება, მათ წარსულსა და მათ აწმყოს, სიზმარში გაცხადებულს. გარდა ამ ორი ნაწილისა, პოემა ექვსი ნაწილისაგან შესდგება: 2. კიდევ ერთი გაზაფხული; 5. კიდევ ერთი გაზაფხული (გაგრძელება); 7. კიდევ ერთი გაზაფხული (დასასრული.) მათ შორის ჩართულია: 3. ევრიდიკე და ორფეოსი; 6. ევრიდიკე და ორფეოსი (გაგრძელება. დასასრული). ერთი უსათაურო ნაწილი—„4". წარმოადგენს პოეტის მედიტაციას მოხმობილი მითის თემაზე. ეს ნაწილი დროში აახლოებს ერთმანეთთან აქრონულ მითს და კონკრეტულ დღევანდელობას („და აი, დიდი წინაპრის ლანდი დღესაც ჩვენს შორის ცოცხლობს და დადის"). მეექვსე ნაწილი, თავის მხრით, ძირითადი ამბის გარდა შეიცავს „ნიმფების სიმღერას," „მთვარის ხმას" და „ევრიდიკეს ხმას".

გაზაფხულის თემისა და მისი ვარიაციების ლირიკული გმირი უშუალო მთხრობელი არ არის. პოეტი მოგვითხრობს ორი მარტოსულის სულიერ განცდებზე, სხვათა სიყვარულზე.

გაზაფხული სიყვარულის აფეთქების დროა, გაზაფხული შეხვედრათა დროა, მაგრამ გაზაფხული სიმარტოვის დროცაა, რადგან მარტოსული, სწორედ გაზაფხულზე გრძნობს ყველაზე მეტად სიმარტოვეს:

ის მარტო იყო,
თუმცა მის ირგვლივ,
ბევრნი ეძებდნენ დასადგომ ადგილს,
რომ შეესრუტათ ჯადო და მადლი
ცეცხლის,
რომლითაც იწვოდა იგი.
...ეს ის დრო იყო, როცა არ იცი
რას გააკეთებ...
...ბრმად რომ დაეძებს ნაწილი ნაწილს,
ეს ის დრო იყო.
(2. კიდევ ერთი გაზაფხული)

სიმარტოვეა ხვედრი მისიც, ვისაც იმედით, მაგრამ უსასრულოდ ელიან, რადგან ისიც ელის გაზაფხულზე, ისიც უხმობს, მასაც სტკივა სული, მასაც მოგონებები სტანჯავენ.

შემოდიოდა შენი ნაწილი:
გზით გალახული და ფერშეცვლილი.
ხელი ბრმასავით ჰქონდა გაწვდილი
და პეშვში ცრემლი ენთო ცეცხლივით."
(5. კიდევ ერთი გაზაფხული (გაგრძელება)

მთხრობელი არ არის. პოეტი მოგვითხრობს ორი მარტოსულის სულიერ განცდებზე, სხვათა სიყვარულზე.

ამ ტრიადის ბოლო ნაწილში („7. კიდევ ერთი გაზაფხული (დასასრული") ორივეს ტკივილი, ორივეს სევდა იქცევა საერთოს ნაწილად, პიროვნული ტკივილი იქცევა ზოგადადამიანურ ტკივილად:

დარწმუნდა ისიც, რომ მისი სევდა
ნაწილი იყო საერთო სევდის.
საერთო ცეცხლის ფურცლებში ხვევდა
მის არსებასაც ღმერთი თუ ბედი...

სწორედ ამ „საერთოობას", „ზოგადობას", „მუდმივობას" უსვამს ხაზს ევრიდიკესა და ორფეოსის ცნობილი მითიც. ოღონდ აქ პოეტს აქცენტი გადააქვს არა ამბის თხრობაზე, არამედ ორფეოსის განცდათა გამოვლენაზე და მის შეფასებაზე. ისიც უნდა ითქვას, რომ შეფასე-

ბისათვის პოეტი ნიღაბს ხმარობს — როდესაც ორფეოსს მიმართავს იგი, „მთვარის ხმას“ ეფარება.

„შენ ახლა რკინის კედლის წინ დგეხარ და ეს კედელი კარს არ შეიბამს, რადგან მუნჯია და ბრმაა იგი.

სამაგიეროდ შენი ტკივილი, შენი ოცნება და ვნება შენი — სწორედ დღეს გახდა მარადიული.

არ დაკარგულან შენი სიტყვებიც.

ამ ყრუ კედელზე ასხლტნენ ისინი და შორს, შენს იქით იპოვეს ხნული. ადამიანის სული, შიშველი, ჯერ გულუბრყვილო, მაგრამ ჯიუტი“.

(„6. ევრიდიკე და ორფეოსი (გაგრძელება. დასასრული).

ასევე, შეფასებაა ყოველივესი და დიდი სიყვარულით სიკვდილის დამარცხების მაჩვენებელი „ევრიდიკეს ხმა,“ რომელიც, რა თქმა უნდა, ასევე ნიღაბია პოეტისა.

ასე მგონია დღეს დავიბადე
და მოვიშორე როგორც პირბადე
სიკვდილის ჩრდილი, ჩვენს შორის მდგარი.
(იქვე)

... პოემის ბოლო ნაწილი — „8“, პირველის გაგრძელებაა და თავისი თემითა თუ ინტონაციით ეხმაურება სხვა ნაწილებსაც, რადგან ნაწილის მიერ ნაწილის ძებნა, შეერთება დაშორებულ ცალთა აქ სიზმარში ახდენილ ოცნებად იჩენს, თავს: ...

უბრალო იყო ჩემი სიზმარი,
უფრო უბრალო, ვიდრე სიზმარი
ბრმისა ან ბავშვის...
მე და შენ თითქოს
ერთ ცის ქვეშ ისევ ერთად ვიყავით,
ხოლო სამყარო თავისთვის იდო
და ცივი იყო, როგორც ნიღაბი.
უბრალო იყო ჩემი სიზმარი:
ერთი ხმა გვქონდა,
ერთი სხეული.
მიწა საწოლად იყო ქცეული:
უხეში, ვიწრო და ნასხვისარი.

ამავე დროს, პირველი და ბოლო ნაწილები გარკვეულად დროისა და ადგილის ლოკალში აქცევენ ამ აქრონულ პოემას. აქრონულს, რადგან როგორც მითოლოგიური პლანი, ისე რეალური, მაგრამ სიმბოლოებამდე განზოგადებული სინამდვილე, თავისუფალია დროის გავლებისაგან.

ლირიკულ გმირთან აქ პოეტს ვერ გავაიგივებთ, რადგან მხოლოდ პირველ, მეოთხე და მერვე ნაწილში გვევლინება პოეტი თავისი გახილვებისა თუ ფიქრების [illegible] გამომდიმად. სხვა შემთხვევებში იგი ეფარება ნიღაბს („ის,“ „ორფეოსი“, „მთვარე“, „ევრიდიკე“), აქ საქმე გვაქვს ლირიკული გმირის დაშლასთან პერსონაჟებად, რაც გარკვეულ პარალელს ნახულობს თანამედროვე პროზაში გავრცელებულ ხასიათის ექსტერიზაციასთან. თანამედროვე პროზისათვის დამახასიათებელ ტენდენციასთან აახლოებს ამ პოემას მითის ელემენტების გამოყენებაც, როგორც ზედროული და ზოგადკაცობრიული სიმბოლოებისა.

კრიტიკაში აღინიშნა კიდეც, რომ ორი მოტივი, ორი თემა — მითოლოგიური და არამითოლოგიური ერთმანეთს მხოლოდ მკითხველის შემეცნებაში გადაკვეთავს. მწერალი არ უკავშირებს ერთმანეთს მითოლოგიურ და ყოფისეულ მოტივებს. მეტიც, განგებისად ჰყოფს მათ ვერსიფიკაციულად; შეერთება მკითხველის საქმეა. მკითხველი აქ გამოდის თანაშემოქმედად, რადგან ასეთი ტიპის ლირიკული პოემა აშკარად ღია სისტემაა, რომლის დასრულებაში მკითხველი დიდ როლს თამაშობს. სწორედ მკითხველის ანუ რეციპიენტის მზადყოფნაზე მის უნარზეა დამოკიდებული გაშიფროს და აკინძოს ის „ხმები“, შეაერთოს ის ხაზები ლირიკული პოემისა, რომელთა შორისაც მოუმზადებელმა მკითხველმა შეიძლება ვერავითარი კავშირი ვერ მოხახოს. მეტიც, მან უნდა ამოხსნას ის მეტაფორული ჩანართები და სიმბოლოები, რომელთაც მოაქვთ სწორედ ის ინფორმაცია, რაც აქამდე ამბის დინჯ მდინარებას მოჰქონდა.

სხვათა შორის, ყოველივე ამაში ვლინდება არა მარტო ლირიკული პოემის, არამედ საერთოდ, დღევანდელი ლიტერატურის ხასიათიც, რომელმაც ეპიკურობა შეინარჩუნა მხატვრული ენის ინტენსიფიკაციის, მითოლოგიური და ისტორიული სიმბოლოების რეარანჟირებისა და სივრცისა და დროის საზღვრების წაშლის მეშვეობით. ზემოაღნიშნული ახალი პოემების უმრავლესობას სინამდვილესთან სწორედ ასეთი დამოკიდებულება ახასიათებს. მეტიც, უფითი და მითოლოგიური თუ ისტორიული სიმბოლოების დუბლირება ახასიათებს თანამედროვე ქართული პროზის გამოკვეთილ ნაკადსაც, რომელიც სწორედ ოთარ ჭილაძემ გაამდიდრა თავისი რომანებით — „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა,“ „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“. და ეს არ იყო შემთხვევითი. ამ რომანის სტრუქტურაში მითის სიმბოლოების პოეტური ათვისება მთავარ როლს თამაშობს. ცხადია, რომანისაკენ მიმავალი პროზაიკოსის გზა მასივე პოემებიდან იწყება.

ოთარ ჭილაძის მეორე პოემა „თიხის სამი ფირფიტა (გილგამეშის მოტივები)“, არის სამი ვარიაცია. სამ მოცემულ თემაზე. ყოველ ნაწილს წინ უძღვის რიტმული პროზით შესრუ-

ეროვნული

ლებული გილგამეშის მოტივებიდან აღებული სტილიზებული თემა. შემდეგ მას მოჰყვება ამ თემის პოეტური კომენტარი, მისი მედიტაციური ვარიაცია. აქ თავს იჩენს მარადიული თემები სიკვდილ-სიცოცხლის, სიყვარულის, ადამიანური ხვედრის, ადამიანური ვალის როგორც საკუთარი თავის, ისე წარსულის, აწმყოსი და მომავლის მიმართ. ადამიანი კავშირების ჯამია და სწორედ ამიტომ:

ხვალ, შეიძლება, განახლდეს ისევ,
რაც დღეს საოცრად ძველია უკვე
და ისევ გახდეს სიცოცხლის ღირსი
და გაახილოს თვალები უკეთ.

ვნებები და გარდასული ტკივილები ცოცხლდება არა მარტო ჩვენში, იგი ცოცხლდება სიტყვაშიც: „ის შეიძლება, უბრალო იყო და აუტანელ ტკივილით ითქვას," „სიკვდილის წინ შეიძლება, რომ ერთი სიტყვით თქვა ყველაფერი", და ვისაც აქვს სათქმელი, იგი მოვალეა გაენდოს სიტყვას, დროისა და სივრცის გადამლახავს, კავშირს წარსულსა, აწმყოსა და მომავალს შორის. ადამიანმა უნდა იცხოვროს სრული ცხოვრებით, უნდა გადაუხადო ვალი წარსულსაც და აწმყოსაც...

და რასაც ფიქრობ, ყველას აჩვენე,
ან ვისთან რა გაქვს დასამალავი.
სიჩუმე ზოგჯერ სისუსტეს უდრის
და შენც გახსენი შენი ფიქრები,
რომ პატიოსნად, ღიღხანს და მყუდროდ
იცხოვრო, როცა აღარ იქნები.

ამ პოემის სტრუქტურა უახლოვდება მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურას, რომელიც მოცემული თემის ვარიაციის პრინციპითაა აგებული. „თიხის სამ ფირფიტაში" თემა მედიტაციური ვარირების საფუძველია, თემიდან აღებულია ძირითადი ემოციური თუ ფილოსოფიური მარცვალი.

პოემის თავისებურებას ისიც ქმნის, რომ მითოლოგიური და არამითოლოგიური პლანი ერთმანეთისაგან განსხვავდება ვერსიფიკაციულადაც. თეთრი ლექსით აქ დაწერილია გილგამეშის მონოლოგები, ხოლო პოეტის სამი კომენტარი, მითოლოგიური თემის სამი მედიტაციური ვარიაცია გარითმული ლექსით. ერთგმირიანი პოემისაგან განსხვავებით, სადაც მკითხველი ერთი ლირიკული გმირის მონოლოგს ისმენს, ამ პოემაში ორ მონოლოგთან, ორ პოეტურ ხმასთან გვაქვს საქმე. „ხმები" „თიხის სამ ფირფიტაში" თანაბარუფლებრივი, თანაბარმნიშვნელოვანია. თუ ისევ მუსიკალური ნაწარმოების სტრუქტურასთან გავავლებთ პარალელს, ესეც პოლიფონიური ლირიკული პოემა. ასეთივე პოლიფონიურია ოთარ ჭილაძის „სიყვარულის პოემაც", ტარიელ ჭანტურიას „ხმები", რობერტ როჟდესტვენსკის „რექვიემი".

მაგრამ მრავალხმიანი პოემა ყოველთვის თანაბარუფლებრივი „ხმებით" არაა წარმოდგენილი, არცთუიშვიათად, მასში მაინც ერთი „ხმაა" მთავარი და სხვა „ხმები" დაქვემდებარებულია, ლირიკული გმირი ექსტერიორიზებულია გმირებად (მაგალითად, ჯანსულ ჩარკვიანის „რწმენის კედელი", ემზარ კვიტაიშვილის „გადარჩენილი სალამური", ლადო სულაბერიძის „მოთხრობა სიკვდილის შემდეგ".) ესაა პომოფონიური პოემა. სხვათაშორის, გმირის ექსტერიორიზება არის დამახასიათებელი უკრაინელი მწერლის ბორის ოლეინიკის პომოფონიური ლირიკული პოემისათვის „ხვედრი", სადაც გმირის ყველაზე სანუკვარი აზრებისა და განცდების გამმცხადებელი მისსავე ხილვაში წარმოსახული რაშია. ზემოთ გაკვრით ითქვა, რომ ეს მოვლენა მსგავსია მეოცე საუკუნის პროზასა და დრამატურგიაში გავრცელებული მოვლენის, — ხასიათის ექსტერიორიზებისა. რომლისაც ხასიათი იშლება სხვადასხვა წარმოსახულ „გმირებად", მაგრამ მხოლოდ მათი მთლიანობაში გააზრება გვიქმნის ხასიათზე სრულ წარმოდგენას. შეადარეთ თომას მანის ლევერკიუნი და ეშმაკი, დოსტოევსკის ხვიდრიგაილოვი და ეშმაკი, გამსახურდიას თარაში და ორეული და ა. შ.

ასეთი ნაწარმოების აღქმისას რეციპიენტის (მკითხველის) ფუნქცია მეტად მნიშვნელოვანია, მან უნდა დააკავშიროს, გააერთიანოს ის „ხმები", რომლებიც სხვადასხვაა, ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მკითხველმა უნდა დაძლიოს „ხმების" ანტინომია.

„თიხის სამი ფირფიტა", ამასთანავე ერთად, აქრონული პოემაა. აქრონულია მასალით, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილესთან კავშირი ყოველ ბწკარში იგრძნობა. მაგრამ „იგრძნობა", უკვე რეციპიენტის პოზიციას გულისხმობს. რეციპიენტი ზედროულ და უზოგადეს სიმბოლოებს კონკრეტულ დღევანდელობას უკავშირებს.

სხვა სტრუქტურისაა ოთარ ჭილაძის ლირიკული პოემა „ადამიანი გაზეთის სვეტში" (1963), ერთხმიანი ლირიკული პოემა, მონოლოგი გმირისა (ასეთივე სტრუქტურისაა მისივე პოემები „დევებით სავსე ქუდი," „იტალიური რვეული", „თაკო და ზაზა," „ცირკი").

პოემა ფაქტიურად ლირიკულ მონოლოგს წარმოადგენს. მას წინ ეპიკური შესავალი უძღვის — ამბავი, მოცემული თემა, რაც საფუძველი, საყრდენია მედიტაციისა (ასევე „დევებით სავსე ქუდი," ტარიელ ჭანტურიას „ძმები", ემზარ კვიტაიშვილის „გადარჩენილი სალამური" და ა. შ.). ეს შესავალი ორი ეპიგრაფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან შესდგება. ერთია ოფიციალური ცნობა გაზეთებიდან, მეორე — ამ ცნობის გავრცობილი პოეტური ვარიანტია.

„პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაღუპულ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში. გაზეთებიდან“ ... „ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი სისხლის გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლისა და ირევიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები. ამერიკელი ჯარისკაცებიც და პანამელი პატრიოტებიც დაბნეულები არიან ოდნავ, მაგრამ ყველანი გრძნობენ გუმანით, რომ დიდი ამბის გახდნენ მოწმენი.

მზეზე ბრჭყვიალებს პანამის არხი, არხზე — ბუქსირი. ხოლო ნაპირთან დგანან პალმები და ამწეები“.

ამ ორი ეპიგრაფით რეციპიენტი ღებულობს დასრულებულ ინფორმაციას „მომხდარი ამბის შესახებ“. აქ მოთხრობილი ამბავი შემდეგ აღარ განივრცობა. მას მოჰყვება ვრცელი მონოლოგი სასიკვდილოდ დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცისა, მისი უკანასკნელი ფიქრი და განცდა... ესაა აღსარება პიროვნებისა, რომელიც ჩაწვდა ადამიანის მოვალეობას, ადამიანის არსებობის საიდუმლოებას, ადამიანის ამქვეყნიური არსებობის სიკეთეს, პიროვნებისა, რომელმაც შესძლო ამაღლებულიყო სხვებზე... „მეც, რა თქმა უნდა, ვნანობ სიცოცხლეს, ძალიან მალე დასრულდა იგი. მაგრამ არ ვნანობ ასე რომ მოვკვდი, რაღაცას ნიშნავს ასე სიკვდილიც. რაღაცას ნიშნავს, რადგან ამ ქვეყნად ბოროტის გვერდით არის კეთილიც.“

სხვათაშორის, ასეთი სტრუქტურა ბალადას აქვს: ჯერ ამბავი, ხოლო შემდეგ ფიქრი ან განცდა ამ ამბისა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამბავი ბალადაშივე „ხდება“, ამბის დასაწყისიდან დასასრულამდე ჩვენ მოქმედების განვითარებას მივყვებით, აქ მოთხრობილი ამბავი კი უკვე მომხდარი ფაქტის მშრალი კონსტატაციაა, იგი მხოლოდ ფორმალური ფონია მიზეზისა — მკითხველმა უნდა იცოდეს ვის მონოლოგს ისმენს და რა სიტუაციაში. და მთავარია არა ამბავი, არამედ მონოლოგი, რომლითაც გმირის სულიერი ტკივილებია გამოვლენილი. თავისი ემოციური ელფერით იგი ელეგიას მოგვაგონებს, მაგრამ მოცულობისა და ეპიკური ნაწილის გამო (წინასწარი ინფორმაცია — „მომხდარი ამბავი“) მას ელეგიად ვერ ჩავთვლით.

საერთოდ, როგორც შემდეგ არაერთხელ დავრწმუნდებით, ლირიკული პოემა ხშირად ავლენს მეტ-ნაკლებ სიახლოვეს ბალადასთან, ელეგიასთან თუ ოდასთან.

ეპიკური ეპიგრაფი თუ პროლოგი მედიტაციისა თავისი ფორმალური სიმცირის გამო იქცევა ლირიკული პოემის ერთ-ერთ ელემენტად. მას დაკარგული აქვს დამოუკიდებელი ფუნქცია. მაგრამ თავისი ბუნებით ერთგვარად ეწინააღმდეგება კიდეც ლირიკული პოემის სხვა ელემენტებს. ზოგჯერ ეპიკური ელემენტი (ან უფრო იშვიათად, დრამატული) ჩასმულია ლირიკული პოემის შუაში. ეს წინააღმდეგობას უფრო გამოკვეთავს. ასე რომ, ორივე შემთხვევაში გვაქვს საქმე ლირიკული და ეპიკური ელემენტების ანტინომიასთან.

ანტინომია ვლინდება არამარტო ფუნქციაში, არამედ სტილშიც. ლირიკული პლანი თავისი მედიტაციური თუ ემოციური აქცენტუაციით ქმნის კონტრასტს ეპიკური ნაწილის „პროზულ სტილთან“.

მკითხველზე ზემოქმედებას ახდენს არა ეპიკური დანართი თუ ჩანართი, არამედ — ლირიკული ნაწილი, არა თავგადასავალი გმირებისა, არამედ ამ გმირთა განსჯა, ფიქრი მათი. თუ დროს მივმართავთ, — არა უკვე მომხდარი ამბავი, არამედ მომხდარი ამბის განცდა და განსჯა.

ბოლოსდაბოლოს, ჟანრი განისაზღვრება მკითხველის მიერ. მკითხველზე კი აქ ზემოქმედებას ახდენს ეპიკურისა და ლირიკულის ანტინომია.

ანტინომია ვლინდება პროზაული და პოეტური ტექსტის დაპირისპირებითაც. ემზარ კვიტაიშვილის ლირიკულ პოემაში „ხე ცხოვრებისა“ პროზაული და პოეტური ნაწილები ერთმანეთს უპირისპირდებიან არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ შინაარსობრივადაც. მათ ერთმანეთთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო, მაგრამ შინაგანი კანონზომიერება მათ მონაცვლეობაში მაინც იგრძნობა.

პროზის ფუნქცია შედარებით მეორე პლანის მოქმედების გადმოცემაა, ლექსით — ძირითადისა და მნიშვნელოვანისა.

„ა): განათებულ სცენაზე დაბალი, ჩასუქებული, შუა ხანს გადაცილებული მამაკაცი გამოვიდა, გადასლექილ თმაზე ორივე ხელი გადაისვა და ხალხს ანიშნა, გაჩუმებულიყო, ჩაახველა, მიკროფონი შეაჯანჯღარა და საქმეს შეუდგა.

მთავარი ადმინისტრატორი

არავითარი ოინი, ხრიკი...
მაყურებელი ბევრად მეტია,
ვიდრე ადგილი, თუმც იმედია,
ყველამ მონახა თავისი რიგი“

და ა. შ.

„ადმინისტრატორმა პროგრამის წამყვანს დაუთმო სიტყვა — მასთან შედარებით ახალგაზრდა, მასზე გაცილებით მაღალ და მჭლე კაცს.

ბ) წითურმა კლოუნმა „ბევრი იტრიალა, ბლომად ოფლი დაღვარა; ხან ერთი მხრიდან

გამოჩნდებოდა, ხან — მეორედან, ხანაც ზეშოდან დაეშვებოდა. ჯამბაზობის გარდა, ილუზიონისტის ნიჭიც გამოამჟღავნა. იძულებული გავხდი, რამდენიმე მჩატე სტრიქონი მისთვისაც მეძღვნა:

> აგერ მოდის პიეი
> ქუდზე ჭრელი ლენტებია,
> რის დალლა და შიში,
> სახეს ცეცხლი შენთებია".
>
> და ა. შ.

გ) „ცალკეულ მსახიობებსა და ნომრებზე სალაპარაკოდ, რასაკვირველია ვერავინ მოიცლის, მაგრამ ზოგიერთი რამ მაინც უნდა ითქვას.

განსაკუთრებით შემეცოდა ერთი ქონდრისკაცი, რომელიც მოულოდნელად აღელდა და პროგრამით გათვალისწინებული გეზიდან გადაუხვია; სასტიკად დაიხაჯა:

> ერთად აინთო სანთელი სამი...
> და პისტოლეტმაც დაიტკაცუნა
> ზედიზედ, სამჯერ... დაუდგეს სკამი,
> სკამზე ამაყად შედგა კაცუნა".
>
> და ა. შ.

დ) „მომდევნო სამი ნომერი ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ რაღაცეებზე დამაფიქრა და მიტომ ცოტა ხნით მივაქცევ თქვენს ყურადღებას:

> ერთიც დაიძრა. გაწრიპულს, მაღალს
> სალაპარაკო და საყბედალი
> არ ჰქონდა. კოფოს მოევლო ლალად,
> გადააგორა ცალი პედალი."
>
> და ა. შ.

მოხმობილი ციტატებისთვის საერთო ისაა, რომ ყოველივე მათში მომხდარი წარმოსახულ სამყაროში დანახული სურათებია. ასე რომ პროზასაც, პოეტური პირობითობა ახასიათებს, ამავე დროს იგი და პოეტური „წარმოსახვის თამაში" ფონია იმ ლირიკული აღსარებისა, რომელიც განშორების სევდით არის აღბეჭდილი.

პროზა დაახლოებით ამავე ფუნქციით გამოიყენება შოთა ნიშნიანიძის პოემაში „აქილევსის ქუსლი და ფარი". გმირის ცხოვრების შესახებ თხრობა ამ პოემაში ფორსირებულია პროზით. ავტორი უარყოფს „ამბის" პოეტური ფორმით გადმოცემას, ეს გაართულებდა პოემას. სიუჟეტური ხაზი ავტორისათვის მეორადია, იგი არჩევს ლექსად გააანალიზოს მოვლენები, განსაჯოს ისინი. პოეტური მედიტაციის მნიშვნელობა ამ პოემაში ბევრად მეტია, ვიდრე პროზაული თხრობისა.

აქ უკვე ანტინომიასთან კი არა გვაქვს საქმე, როგორც ეს ემზარ კვიტაიშვილის პოემაში იყო, არამედ ლირიკის უდაო დომინირებასთან.

ეს ტენდენცია, პროზის შემოჭრა ლირიკაში, არაა ახალი, მაგრამ თუ ადრე ასეთი ექსპანსია ყოველთვის ექსპერიმენტად აღიქმებოდა ხოლმე, დღეს იგი აღარ გვაკვირვებს. საქმე ის გახლავთ, რომ პიროვნების შინაგანი სამყაროს მრავალფეროვნების ასახვის სურვილმა მოითხოვა იმ გარესინამდვილის ასახვაც, რომელიც მოქმედებს პიროვნებაზე. ოღონდ აქ ძირითადი ისევ და ისევ პიროვნებაა და მისი დანახვის კუთხე.

თანამედროვე რუსულ პოეზიაში ყველაზე გაბედული და ნიჭიერი ექსპერიმენტატორი ანდრეი ვოზნესენსკი, რომლის პოემებზეც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ვფიქრობ, საკმაოდ ხატოვნად მოგვითხრობს ამ პროცესზე:

**«Видели ли вы, как фотографируют зеркалкой».**

**Человек приставляет аппарат к животу или груди и смотрит на него, наклонив голову. Со стороны кажется, что человек рассматривает себя, занят изучением собственного пупа. Но нет! Идет процесс запечатлевания действительности.**

**Поэт — та же зеркалка, когда мир преломляется через нутро. Отсюда и творчество — взгляд в себя, изучение внутреннего мира. А значит и внешнего. Всегда опосредованно. Через личность».**

ეს ციტატი ვოზნესენსკის პოემიდანაა, სადაც ერთმანეთს ენაცვლება პროზა, ლექსი, თარგმანი სხვისი ლექსის, ცნობიერების ნაკადს მოყოლილი, გახსენება. რა არის ეს, რა პოეტურ ჟანრს ეკუთვნის ასეთი „პოემა?" ყოველივე ეს კოლაჟს გავს, როდესაც ნაწარმოებში მონტირებულია მზა დეტალები, სხვადასხვა ნაწარმოებიდან და მათ შერჩევასა თუ დალაგებაში ვლინდება შემოქმედების ინდივიდუალობა.[1] ბოლოსდაბოლოს დალაგებაც ხომ იგივე შეფასებაა?

არ შეიძლება არ ითქვას, რომ ვოზნესენსკის ამ პოემაში თავს იჩენს იგივე სტრუქტურული ელემენტი, რომელზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი — „ხმები". განა იმ გათვისებული ლირიკული ლექსები მისთვის ახლობელი ავტორებისა, რომელიც მას თავის ლირიკულ რეპორტაჟში შემოაქვს, მისი, ლირიკული გმირის ნაწილი არაა — იგივე „ხმები", ოღონდ სხვაგვარად წარმოდგენილი?

---

1 ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ძიებანი აქვს ჯონ კოლომბოს, კანადელ პოეტს, რომელიც თავის ლექსებში ურთავს ანდაზებს და მითოლოგიურ ციტატებს (ცნობა ნასესხებია ვოზნესენსკის წიგნებიდან, **„Взгляд"**).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთივე რთული კოლაჟია ვოზნესენსკის პოემა „Авось“, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება სტილიზებული ნაწყვეტები დოკუმენტებიდან და ლექსები. ანტინომია, როგორც განგებისი მხატვრული ხერხი, აქ უდაოა. მხოლოდ ერთი ციტატა:

**«16 августа 1804 г. я должен так-же Вашему Императорскому величеству представить замечания мои о приметном здесь уменьшении народа. Еще более препятствует размножению жителей недостаток женского полу. Здесь теперь более нежели 30-ть человек по одной женщине. Молодые люди приходят в отчаянье, а женщины разными по нужде хитростями вовлекаются в распутство и делаются к деторождению неспособными».**

(Из письма Н. Резанова Императору)

**Чин ИКС:**
**«И ты, без женщин забуревший,**
**на импорт клюнул зарубежный?!**
**Раскис!»**

(**«Авось»**) и т. д.

ასეთი სტრუქტურა ქართული პოემისათვის თითქოს შედარებით უცხოა, მაგრამ იგივე „თიხის სამი ფირფიტა“ სტრუქტურულად ისევე არაა აგებული, როგორც ეს პოემა? განსხვავება ისაა, რომ აქ გამოყენებულია ისტორიული დოკუმენტი, იქ — მითი. სტრუქტურული თვალსაზრისით ამას არა აქვს მნიშვნელობა: კოლაჟი და ვარიაცია ორივე შემთხვევაში იხმარება, თუმცა განსხვავებაც არის და მნიშვნელოვანიც. პროზა აქ მოგვითხრობს პიროვნების თავგადასავალს, ფრაგმენტულად, მაგრამ საკმაო სისავსით, პროზა აქ კონკრეტულია, მასში განსაზღვრულია დრო და ადგილი...

პროზის ერთგვარი შემოჭრა ლირიკულ პოემაში არაა შემთხვევითი და დროებითი მოვლენა, ეტყობა ეს პროცესი უფრო გაღრმავდება, რადგან მასში თავი იჩინა ჟანრთა ურთიერთდაახლოების და ერთმანეთზე ზეგავლენის იმ პროცესმა, რომელიც საერთოდ თანამედროვე ლიტერატურისთვისაა დამახასიათებელი.

პრინციპულად ასეთივე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც პოემაში თავს იჩენს დრამის ელემენტები. შესანიშნავი მაგალითი ასეთი პოემისა არის ოთარ ჭილაძის „სინათლის წელიწადი“.

პოემა იწყება ლირიკული შესავლით, გარითმული ლექსით, რომელიც არამარტო ტონს აძლევს მთელ პოემას, არამედ ერთგვარი ჩარჩოცაა შემდეგ პოემაში მონათხრობი იმ განცდებისა მოგონებისა, რომელიც პოეტს სულის ბევრ იარას აშიშვლებს:

გამოჩნდა მიწა, ჩუმი და სველი,
ფოთოლზე ფოთლის დაცურდა, ...
და გამახსენდა, რომ მთელი წელი
აღარც ისმოდი და აღარც ჩანდი.
ხოლო ის წელი, ის ერთი წელი,
რომელიც უკვე უკუნეთს ერთვის,
ჩემთვის გავიდა ძალიან ნელა
და ღმერთმა იცის, რა იყო შენთვის.

პოეტი ჰყვება რა განიცადა ამ ერთი წლის მანძილზე, რა იყო მისი ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება, რა განიცადა ყველაზე ძლიერ და სადამდე მიიყვანა ამ განცდამ.

ეპიკური მწერლის ხელში ეს შემოქმედებითი ამოცანა ვრცელ სიუჟეტურ პოემას მოგვცემდა, ლირიკოსის ხელში კი ლირიკულ ახალ პოემად იქცა.

ოთარ ჭილაძემ თავის პოემაში აირჩია გზა პიროვნების სულში მომხდარი ცვლილებების აღწერისა და არა მის გარშემო მომხდარ ცვლილებათა ჩვენებისა. სტრუქტურული თვალსაზრისით პოემაში რამდენიმე ეპიზოდია განსაკუთრებით საინტერესო. პირველი დიალოგი მოჩვენებასთან (V-VII); მეორე პენსიონერის გახსენება (XIX); მესამე — საუბარი წარმოსახულ ზედამხედველთან (XXII-XXV); მეოთხე — პენსიონერის მოლანდება (XXVI).

დიალოგი მოჩვენებასთან ავტორის ხილვაში ხდება, ეს არარეალური დიალოგია იმდენად, რამდენადაც არ მომხდარა ორ პიროვნებას შორის, მაგრამ რეალურია იმდენად, რამდენადაც ერთი პიროვნების წარმოსახვაში მოხდა.

„უცებ ლელვებთან შევნიშნე ლანდი: ზურგით წყვდიადის კედელს აკვროდა და გამიკვირდა, რადგან არავის არ მოველოდი აქ ასე გვიან.

მერე კი მივხვდი, ვინც იქნებოდა და ლელვებისკენ წაველი ნელა. და არც შევმცდარვარ: ამდენმა ფიქრმა კვლავ მომიგზავნა მე მოჩვენება, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ მტკენოდა, მეგრძნო და განმეცადა“.

შემდეგ მიდის მწვავე კამათი, დიალოგი, მაგრამ ეს დიალოგი ფაქტიურად მონოლოგია.

„მე უცებ მივხვდი, რომ აღარ ღირდა მეტი კამათი მოჩვენებასთან. ამიტომ ნელა გამოვტრიალდი და კვლავ კიბეზე დავჯექი ჩუმად“.

მართალია, მოჩვენება რეალურად არ არსებულა, მაგრამ იგი როგორც მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი, არსებობს, რადგან პერსონაჟი — სიუჟეტის ის ძირითადი ელემენტია, რომლის გარშემოც ხდება მოქმედება და რომელთანაც მიმართებაში ყოველი ქმედება დროისა და სივრცის კატეგორიას იძენს.

ზემოთმოყვანილი ციტატა მოხმობილია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, გმირი აქ ჰალუცინაციურ პერსონაჟებს ელაპარაკება და ხედავს, არარსებულს თავისი წარმოსახვის გარეშე.

ამ ორ ხილვას შორის, არის ჩართული მოკ-

ლე დიალოგი ყოფილ ტყვესთან, პენსიონერთან, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა. და, აი მისი მშვიდი საუბარი, მისი სიძლიერე ახალ ხილვაში დაუპირისპირდა მოჩვენებით ზედამხედველსა და მოჩვენებით საფრთხეს:

„XXVI მე უკვე ღობის იქით ვიყავი. მიცახცახებდა მთელი სხეული, წასვლა მინდოდა, გავრბოდი კიდეც, მაგრამ სულ ღობის გასწვრივ გავრბოდი.

ხოლო იმ ღობის იქითა მხარეს კიდევ მორბოდა ვილაც ჩემსავით. მაშინვე მივხვდი, რომ მე მომდევდა და რომ რალაცის თქმა სურდა ჩემთვის.

მე მოვიხედე: ღობის გაღალმა მძიმედ მორბოდა პენსიონერი. თან ძალლის ნაკბენს იხვევდა ძონძით, ამოვარდნოდა სირბილით გული.

იმანაც მიცნო და გამილთმა არ შეჩერდეო, მანიშნა ხელით. ასე მომდევდა და მომძახოდა, ხმა კი ყურებში რეკდა ზარივით".

ამ ხილვას რეალური სინამდვილე (პოემის რეალური სინამდვილე) უდევს საფუძვლად. პენსიონერმა მართლაც გაჭირვებაში გაუწოდა ხელი გმირს, უთხრა კიდეც: „მე ძველი ტყვე ვარ და ჩემზე კარგად არავინ იცის, რას ნიშნავს ხელი, ან შემოხედვა მეორე კაცის, თუკი გიყურებს ის თანაგრძნობით". პოემაში სხვა ხილვებიცაა, სხვა ჰალუცინაციური თუ ილუზორული სახეები: მშობიარე ქალის, ურჩხულის გამგმირავი ადამიანის, მაგრამ ისინი მხოლოდ მოქმედებენ, მათ არა აქვთ ტექსტი ამავე პოემაში არის სიმბოლური ჰალუცინაციური პერსონაჟი, ადამიანის იერით წარმოსახული ბუნება:

„XXXVI. მე გამოვფხიზლდი და ჩემს წინაშე, ადამიანის ტანით და სახით, თვითონ ბუნება ვიხილე მდგარი"...

„XXXVII. მე სანამ რამეს მოვიფიქრებდი, მხარზე დამადო თამამი ხელი და მითხრა მშვიდად:

— ნუ გეშინია. მე ვარ საწყისიც და დასასრულიც".

და ა. შ.

წარმოსახულ პერსონაჟებთან კამათი. მათთან ურთიერთობის დინამიკა ამ პოემას დრამატული პოემის ელფერს აძლევს, მაგრამ მხოლოდ ელფერს. იგი „ახალი პოემაა", რომელშიც დრამატული ელემენტები ჭარბად მოიპოვება.

ახალი პოემა გარკვეულ სიახლოვეს ავლენს არამარტო დრამასთან, არამედ საკუთრივ ლირიკის სახეებთანაც — ელეგიასთან, ოდასთან, ბალადასთან.

რა თქმა უნდა, დღევანდელი ოდა, მაგალითად, მნიშვნელოვნად დასცილდა ლირიკის ამ სახეობის კლასიკურ მაგალითებს, მაგრამ თუ პათოსს, სხვათა ხოტბის შესხმას, ზეაწეულ ტონს ოდის დამახასიათებლად ჩავთვლით, მაშინ, როგორც ძალზე ინტიმური, ოთარ ჭილაძის „თაკო და ზაზა", ისე პუბლიცისტური ჯანსულ ჩარკვიანის „კოლხეთისაკენ, ბიჭებო!" ოდის ტრანსფორმირებულ ვარიანტებად უნდა მივიჩნიოთ.

სხვათაშორის, სიტყვა „სახოტბო" ამ შემთხვევაში ნახმარია არა შეფასებითი კატეგორიის მნიშვნელობით, არამედ საგნის თვისების განსასაზღვრავად. ისიც უნდა ითქვას, რომ „ხოტბა", ისევე, როგორც „ალსარება" — „ელეგია" თუ გაქრა ლირიკიდან, მაშინ გალარიბებულ ლირიკასთან გვექნება საქმე.

ოთარ ჭილაძის „ცირკი," ლადო სულაბერიძის „მოთხრობა სიკვდილის შემდეგ", გივი გეგეჭკორის „სეზამ, გაიღე!", ბესიკ ხარანაულის „რა წერია სუფთა ქაღალდზე", თავისი ინტონაციით ელეგიას უფრო უახლოვდება, ხოლო ო. ჭილაძის „რკინის საწოლი" და ბ. ხარანაულის „მეთხუთმეტე პალატა" — ბალადას. ეს ერთხმიანი პოემებია, რომელიც შეიძლება მეტნაკლებ სიახლოვეს ავლენენ ამა თუ იმ სახეობასთან ლირიკისა, მაგრამ დღეს „ახალი პოემის" სახით წარმოგვიდგებიან.

ფორმას ისევე ცვლის ისტორია, როგორც სათქმელს და არაა გასაკვირი თუ ჩვენ ზოგჯერ ველარ ვცნობთ ძველ აზრსა და ძველ ფორმას, რადგან დრო მათი მეშვეობით ახალ აზრებსა და ახალ ფორმებს ქმნის. ძველი ელემენტები ახალ ფორმებს წარმოშობენ.

ლირიკული პოემა თავისი მედიტაციური ხასიათის გამო, შეიძლება შეიცავდეს გარკვეულ საშიშროებას სტატისტიკურ ფორმად გადაქცევისა. ეს განსაკუთრებით ეხება „საპროგრამო" ხასიათის პოემებს. იქნებ ამიტომაც ზოგი ავტორი ცდილობს მხატვრული ტექსტის გამრავალფეროვნებას, გამძაფრებას მასში „ხმების" შემოყვანით, იქნება ეს სიტყვა თუ ალსარება გამონაგონი თუ რეალურად არსებული გმირისა (იქნებ აქ გადაიკვეთა ერთი ხაზი „ალმსარებლობითი პროზისა" პოეზიასთან?). როგორც ზემოთ ვნახეთ, ასეთი ფორმალური ძიება გამართლებულია ორგანული ლირიკული პოემისათვის, მაგრამ ზოგჯერ ეს „ხმები" თუ თემის ვარიაციები იმდენია, რომ ჭირს პოემის, როგორც ერთი ნაწარმოების აღქმა (მაგალითად, ჯანსულ ჩარკვიანის „ჭაჭვის თორაწში" ოცდახუთი ასეთი ვარიაციაა).

ოცი წლის წინათ მსგავს „ლირიკულ პოემას" ლექსების ციკლს უწოდებდნენ. აქ, სხვათაშორის თავი იჩინა ლირიკული პოემის გენეზისმაც, ვფიქრობ, იგი, უფრო სწორად, მისი მრავალხმიანი ფორმა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული „ლექსების ციკლთან".". ეს მოვლენა დღეს თავს იჩენს აგრეთვე ბალტიისპირეთის თანამედროვე პოეზიაში „ციკლიზაციის" სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგის აზრით, მრავალხმიანობა კომპოზიციური ამორფულობის ბრალია, მაგრამ ჩემის აზრით, ეს უნდა აიხსნას ლირიკული გმირის სრულად, მრავალფეროვნად წარმოდგენის აუცილებლობით და იმითაც, რომ ჩვენ ჯერჯერობით ლირიკული პოემის ძირითადი კონტურების დადგენასთან გვაქვს საქმე.

„ახალი პოემა“ ბევრ პრობლემას ბადებს. ამჟამად ჩემთვის მთავარი იყო მის სტრუქტურას დავკვირვებოდი, მომენიშნა ახალი პოემის უამრავ ნიმუშთა კლასიფიცირების გზა, მომეძებნა ის მთავარი, რამაც განსაზღვრა მისი თავისებურებანი.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ უკანასკნელი ოცწლეულის ქართული ლირიკის ხასიათი განსაზღვრა ახალმა ადამიანმა, რომლის პიროვნული თვითშეგნების სრულად გამოხატვამ მოითხოვა მნიშვნელოვანი განახლება არამარტო თემებისა და პრობლემების თვალსაზრისით, არამედ ფორმის მხრივაც.

თანამედროვე ქართული ლირიკული ანუ „ახალი პოემა“ ორგანულად უკავშირდება პიროვნების თვითგამოხატვის ამ პროცესს და ალბათ ამიტომაც დაიჭირა დომინირებული ადგილი თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

„ახალი პოემა“ რთული სტრუქტურის მქონე მხატვრული ტექსტია, იგი თავის განვითარებაში სხვადასხვა ფორმით გვევლინება. მასში „ამბავი“ და მისი თხრობა არ ემთხვევა მოცულობრივად პოემას, „ამბავი“ მხოლოდ მიზეზია მსჯელობისა. მას განიცდიან, მასზე მსჯელობენ, მაგრამ ის უკვე „მომხდარია“, სიუჟეტი პოემისა წარმოადგენს უკვე მომხდარი ფაქტის განცდასა თუ განსჯას, სწორედ მათი წარმოსახვა დროში ქმნის პოემის პირობით სიუჟეტს.

ჩვენ უშუალო მოწმენი ვართ ლირიკული პოემის ჩამოყალიბების, რაც აძნელებს მის ზუსტ დახასიათებას, მის სხვადასხვა გამოვლინებათა კლასიფიცირებას.

საერთო საფუძველი, რის მიხედვითაც შეიძლება ახალი პოემების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და კლასიფიცირება, ვფიქრობ ლირიკული გმირის გამოვლენის თავისებურებანია, მისი ნილბები ან, ეგრეთწოდებული, „ხმები“.

ყოველივე ამის გათვალისწინებით ლირიკული პოემები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: ე რ თ ხ მ ი ა ნ და მ რ ა ვ ა ლ ხ მ ი ა ნ ლ ი რ ი კ უ ლ პ ო ე მ ე ბ ა დ.

ერთხმიანი პოემა, პოემა მონოლოგია, ალსარება პერსონაჟისა ან ქება, ვისმესთვის ხოტბის შესხმა. ერთხმიანი პოემა ავლენს მეტ-ნაკლებ სიახლოვეს ელეგიასთან, ოდასთან, ბალადასთან — ლირიკის სხვა სახეებთან.

უფრო რთულ ლირიკულ პოემაში დრამის ელემენტებიც ვლინდება, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ იგი ერთი პერსონაჟის ხმაა.

მრავალხმიანი პოემები რთული სტრუქტურის მქონე ტექსტია, მასში ხშირად ერთმანეთს ენაცვლება ერთის შეხედვით დაუკავშირებელი „ხმები“.

მრავალხმიანი პოემები განიყოფება ჰ ო მ ო ფ ო ნ ი უ რ და პ ო ლ ი ფ ო ნ ი უ რ პოემებად.

ჰ ო მ ო ფ ო ნ ი უ რ ი ა პოემა, სადაც ერთი ხმა ძირითადია, წამყვანი, ხოლო სხვა ხმები მის მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

პ ო ლ ი ფ ო ნ ი უ რ პოემაში, განსხვავებით ჰ ო მ ო ფ ო ნ ი უ რ ი ს ა გ ა ნ ხმები თანაბარუფლებრივია (უფლება გულისხმობს დამოკიდებულებას მხატვრულ ტექსტთან, ფუნქციას).

ლირიკული პოემის გმირი და დავუშვათ „რომანის გმირი“ თვისობრივად განსხვავებული ცნებებია. „გმირის“ გაგების თვალსაზრისით მათ შორის იგივეობა არ არსებობს, მაგრამ ლიტერატურის ზოგადადამიანური ხასიათის გამო, ლირიკული პოემის გმირშიც თავს იჩენს პიროვნების დაშლის, აზრისა და განცდის პერსონიფიცირების მოვლენები ექსტერიორიზაციის სახით.

ლირიკულ პოემას ძირითადად ახასიათებს აქრონულობა, აქრონულობა ხშირად მიიღწევა მითოლოგიური მოდელების, მითის სიმბოლოებისა და მითოლოგიური მოტივების გამოყენებით.

ლირიკული პოემისთვის დამახასიათებელია ეპიკური და ლირიკული საწყისების ანტინომია, იშვიათად, მაგრამ მაინც, აქ თავს იჩენს პროზაული და პოეტური ტექსტის ანტინომიაც, ყოველივე ამას პოეტური ექსპერიმენტის ხასიათი უფრო აქვს. აქ ქართული პოეზია გარკვეულად რუსული და ევროპული ლირიკის გამოცდილებას ემყარება.

ახალ პოემაში მოხდა ახალი ადამიანის პიროვნული თვითშემეცნების „აფეთქება“ ეს „აფეთქება“ საერთო საკავშირო მოვლენა იყო ამიტომ მან ფაქტიურად ყველა მოძმე რესპუბლიკის ლიტერატურაში იჩინა თავი.

ქართული ახალი პოემის პრობლემები არაა ერთი ლიტერატურის საზღვრებით შემოზღუდული პროცესების გამოხატულება, პირიქით, იგი გამოხატავს ყოველივე იმას, რაც ახასიათებს საბჭოთა ლიტერატურაში ლირიკული ანუ ახალი პოემის განვითარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფიო ჩოხელი

# ქართული ხალხური საქორწილო პოეზიის საკითხისათვის

ქორწინების ინსტიტუტმა და მასთან დაკავშირებულმა წესჩვეულებებმა თავისი განვითარების ვრცელი და ფრიად შინაარსიანი გზა განვლო. მისი სათავეები შორეულ წარსულში ღრმად იჭრება და თავისი ფესვებით მსოფლიოს უძველეს ხალხთა კულტურას უკავშირდება, იგივე ითქმის საქორწილო ლექს-სიმღერებთან დაკავშირებით.

ქორწინების შედეგად საფუძველი ეყრებოდა ახალ ოჯახს, გვარის, შთამომავლობის გაგრძელებას, და ამიტომაც, როგორც დიდი საზოგადოებრივი მოვლენა, იგი განსაკუთრებული ცერემონიალით უნდა აღნიშნულიყო. ასე იქცა ქორწილი სილამაზისა და სიყვარულის დემონსტრაციად. და ეს სადღესასწაულო განწყობილება, ბუნებრივია, წარმოუდგენელი იქნებოდა მხატვრული სიტყვის გარეშე, ლექსისა და სიმღერის გარეშე.

მართლაც, ქორწილი იყო ერთგვარი ასპარეზი, სადაც თავის მაქსიმალურ გამოხატულებას პოულობდა როგორც სიტყვიერი ხელოვნება, ასევე მუსიკა და ქორეოგრაფია. მთელს ამ კომპლექსში კი ასახული იყო ხალხის სოციალურ-ეკონომიური, იურიდიული და რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებანი, რამაც თავის მხრივ განაპირობა საქორწილო რეპერტუარის თემატიკური თუ ჟანრობრივი მრავალფეროვნება.

მაგრამ, მიუხედავად ამ მრავალფეროვნებისა, საქორწილო პოეზიას ძირითადად მაინც მაყრულები და დალოცვა-სადღეგრძელოები განსაზღვრავენ.*

მაყრული ლექს-სიმღერები საქორწილო ცერემონიალის ამა თუ იმ მომენტთან უშუალოდ იყო დაკავშირებული და ამდენად ქორწილის მთელ პერიოდს გასდევდა, დაწყებული საქორწილო მზადებიდან, ვიდრე უკანასკნელ მომენტამდე — ვაჟის ოჯახში პატარძლის დატოვებამდე. როგორც სამართლიანად შენიშნავს მიხ. ჩიქოვანი, „ჩვეულების თანახმად, ქორწილს ყოველ საფეხურზე თან სდევდა სიმღერა „მაყრული“, რომელიც განსაკუთრებით მრავლად ითქმოდა დედოფლის წაყვანის დროს გზაზე და მეფისას“.[1]

როგორც ვთქვით, მაყრულებს არა მარტო ქორწილის დროს ასრულებდნენ, არამედ საქორწილო მზადების პროცესშიც. სამწუხაროდ, ამ მომენტთან დაკავშირებულ პოეტურ ტექსტებს, რითაც ასე მდიდარია რუსული ფოლკლორი, ქართულ მასალებში ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ, რომ იგი ჩვენშიაც წესად ყოფილა, ამაზე მიგვანიშნებს მეფე-პოეტი თეიმურაზი თავის „სარკე თქმულთა“-ში, როდესაც აღნიშნავს:

„სამჯერ იტყვიან მაყრულსა,
სანამ დასჭრიან კაბებსაო.[2]

როგორც ცნობილია, ქორწილის დღეს ნეფე თავისი მაყრიონით ქალის სახლისაკენ მიემგზავრებოდა. ამ დროს „ჯვრისწერისათვის საცოლოს სახლში მიმავალ სასიძოს მოუძღოდიან მოხელენი და მგალობელნი მაყრულისა თქმითა და კარგად შეკაზმილნი და თვითცა და გაპყოლნიცა ისხდებოდიან ცხენთა ზედა, ვით შორს მიმავალნი, ეგრეთ ახლოს“.[3]

სწორედ ამ მომენტთან დაკავშირებით უნდა ემღერა ნეფის მაყრიონს:

ნეფეო, ჩვენი მზე ხარო,
მთავარ ანგელოზს ხგევხარო...

* საქორწილო პოეზიას განეკუთვნება აგრეთვე საპატარძლოს გამოსათხოვარი და სამუშაოდ გაყვანის ცერემონიალებთან დაკავშირებული ლექს-სიმღერებიც, მაგრამ ისინი ჩვენ ცალკე წერილებში განვიხილეთ.

ღმერთმა ხელი მოგიმართოს,
რა საქმეზედაც სდგეხარო.

ან:

წადი, ღმერთმა გაგიმარჯოს,
გზა მოგცეს და ბედი კარგიო.

ვინაიდან აღნიშნულ ტექსტებში მხოლოდ ერთ პიროვნებაზეა საუბარი და მაყრიონის ხეტყვებიც მხოლოდ ნეფის მისამართითაა წარმოთქმული, ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად ნეფისა და დედოფლის მაყრებს თავთავიანთი სასიმღერო ტექსტი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ დროთა ვითარებაში მათ შორის დიფერენციაცია დაირღვა და ერთსა და იმავე ტექსტს იყენებდნენ როგორც ქალის, ასევე ვაჟის მაყრები. მხოლოდ ნეფის მაყრიონის კუთვნილება უნდა ყოფილიყო აგრეთვე — „ბიჭო, აიღეთ თოფები", ან: „იარე, ბიჭო და წავიდეთ"... და სხვ.

ჩვენი თვალსაზრისი მაყრების ცალკეულ რეპერტუართან დაკავშირებით კიდევ უფრო ნათელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პატარძლის თანხლებით უკან დაბრუნებული მაყრების შესასრულებელ ლექს-სიმღერებში ნეფესთან ერთად ან მეორე პიროვნებაც არის მოხსენიებული, ან აქცენტი გადატანილია მხოლოდ „თვალ-წარბებ გადახატულ, ძუძუ-კოკობ დედოფალზე". და მასთან, ერთად, ბუნებრივია, ნეფეც იგულისხმება. ეს აზრი შესანიშნავად არის გამოხატული ზოგიერთი მაყრულის თვით სათაურშიც; აი, მაგალითად, აჭარული მაყრული „ვორირამა", შემდეგნაირად განუმარტავს ინფორმატორს: „ვორი რამაა — გოგო და ბაჭიო".4 აღნიშნული სიმღერა სხვადასხვა სახელწოდებით („ორირა", „ვარირა", „ორერა") საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ფიქსირებული. ამავე დროს, ე. ი. პატარძლის წამოყვანისას ხევსა და მთიულეთში გაისმოდა „ჯორული" და „კარკუჩით წამაიყვანეს", აფხაზეთსა და სამეგრელოში—„კუჩხი ბედნიერი" და „ოურაიდა". თავად „ოურაიდა", საფიქრებელია, რომ ჩერქეზული სიმღერის „ოურედედა მაფას" ტრანსფორმაციას წარმოადგენდეს, რომელიც ამავე სახელწოდებით საკმაოდ პოპულარულია თითქმის ყველა ადიღეურ ხალხებში და ზოგიერთ ჩრდილო კავკასიელებშიაც (მაგალითად, ოსებში)5 ჩვენი ვარაუდით, იგივე სიმღერა იმერეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამასთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო ცნობა დაუცავს პოეტ დომენტი თომაშვილს მის ერთ-ერთ ლექსში, რომელიც „იმერეთის" სახელწოდებითაა ცნობილი, ვკითხულობთ:

...აგუნდება მაყრული
და მშვენიერი ევრიდა.

პოეტი იქვე. სქოლიოში განმარტავს:—„ევრიდა საქორწილო სიმღერაა".6

აღნიშნული სათაურით ქართული ხალხური სიმღერის ტექსტის არსებობა არ დასტურდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა, იგივე თავისებური ვარიანტი ყოფილიყო ზემოდასახელებული „ოურედედა მაფახი", (ეს სიმღერა კი ყველაზე უძველესად გამოიყურება, რადგან მას საკმაოდ მყარი და თანაც მითოსური ელემენტების შემცველი ტრადიციული ტექსტი გააჩნია, თავისი ვარიანტებით).

ასევე, პატარძლის წამოყვანისას მღეროდნენ, მაგალითად, „დედოფლის სიმღერას" — აჭარაში „ღმერთო ბედნიერი ქენი" იმერეთში, „პატარძლეულის ციხესა" — რაჭაში, მესხეთ-ჯავახეთში, ქართლში, კახეთში და სხვაგან.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვანებს, სპეციალური ტექსტი მაყრული სიმღერებისა არა ჰქონიათ, გარდა სულ პატარა, ერთსტროფიანი ლექსისა, რომელსაც გაწელილად ასრულებდნენ. ამ ლექსშიაც დედოფლის წამოყვანაზეა საუბარი: „ქორწილია, მოგვყავს დედოფალი, დავ, ბედნიერი ამყოფე იგიო".

მაგრამ ყველაზე პოპულარული სიმღერა, რომელიც მთელ საქართველოში „მაყრულის" სახელწოდებითაა ცნობილი და ამავე მომენტთან არის დაკავშირებული, გახლავთ მრავალვარიანტად ცნობილი „მოვდივართ, მოგვიხარია". აღსანიშნავია, რომ ეს არის საქორწილო პოეზიის ერთადერთი ნიმუში, რომელმაც მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია. ალ. ხახანაშვილმა და ვ. კოტეტიშვილმა იგი მოტაცებითი ქორწინების ოდესღაც არსებული წესის შორეულ გამოძახილად მიიჩნიეს. „რას ნიშნავს ხოხობზე სანადიროდ წასვლა? — რას ნიშნავს ხოხობის მოყვანა? — წერდა ვ. კოტეტიშვილი თავის ექსკურსებში, — რასაკვირველია, ხოხობი პატარძალია, მონადირე კი — ნეფე. განა ამ პარალელიზმში ნათლად არა ჩანს ის ეპოქა, როდესაც ქალებს იტაცებდნენ?"7. მკვლევრის ეს თვალსაზრისი იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ იგი უკრიტიკოდ გაიზიარეს მიხ. ჩიქოვანმა, ქს. სიხარულიძემ, ელ. ვირსალაძემ. მოტაცებითი ქორწინების კვალი სხვა მაყრულებშიაც შეინიშნება, როგორიცაა, მაგალითად, „ჩვენს ნეფეს უნდოდნია", „ბიჭო, აიღეთ თოფები".

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე მოტაცებითი ქორწინების გადმონაშთად არის მიჩნეული ორი გუნდის პრინციპი, მტრობისა და შერიგების ინსცენირება, რომელიც საქორწილო პოეტურ ფოლკლორში ძირითად მოტივად გვევლინება. ეს მოტივი ბოლო დრომდე შემორჩა პოეტურ ტექსტებს, როგორიც მგზავრულ, ასევე სუფრულ მაყრულებს, სალაღობო შაირებს, რომელთაც ხშირად მიმართავდნენ ქორწილის დროს. ამგვარი ტექსტებისათვის დამახასიათებელია მხიარული განწყობილება, შეხუმრება, რომელიც ზოგჯერ იუმორშიაც კი გადადის, მაგ-

რამ არა წრეხგადასულ იუმორში; ყველაფერს ზომიერების ელფერი დაჰკრავს. ეხუმრებიან მღადეს, ეჯიფეს, თამადას, მახპინძლებს; ალარც ნეფე-დედოფალს ინდობენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამ დღეს განსაკუთრებულ მოკრძალებას იმსახურებენ. ამგვარ სალაღობო ხასიათის ლექსებს განეკუთვნება: „დაშლილთა ფეტვის მარცვალთა"..., „ჰოი, მღადეო, მღადეო", „ჩემო მძახალო, კიკნაო", „დედოფალო, მღადიანო", „სიძევ, სიძევ"... „ჩვენი ნეფის მაყრებიო", ან „ჩვენი დედოფლის მაყრებიო" და ა. შ.8.

მაყრულ ლექს-სიმღერებს ქორწინების სხვა უძველესი ფორმების ელემენტებიც შემორჩენია; მაგალითად, სყიდვითი ქორწინებისა.

სყიდვითი ქორწინება, მოტაცებასთან ერთად, საყოველთაოდ გავრცელებულ ფორმად იყო აღიარებული. სწორედ ამიტომაც, ქორწინების ცერემონიალში საგანგებოდ არის ხაზგასმული ქალის „ყიდვის აქტი". საქორწილო რიტუალის ბევრი მომენტი მიუთითებს მის არსებობაზე; ამასვე გვიდასტურებს მაყრულის შემდეგი ნიმუში:

ქორწილოა და გვეწვიე,
ცოტა რამ შემოგვაწიე,
წინ რომ ხატი დაგისვენე,
იმის მადლი შეგვაწიე.

ან საქორწილო სიმღერა:

ეხლა დავჭექ ცეცხლის პირსა,
ეხლა დამიამდა გული,
ნეფესა და დედოფალსა
მოუგროვეთ ჯიბის ფული.

ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს არა უშუალოდ სყიდვით ქორწინებასთან, არამედ ამ წესიდან მომდინარე ჩვეულებასთან, რასაც „გადალოცვას" უწოდებდნენ. „გადალოცვა" კი თავისთავად წარმოადგენდა იმ ეპოქის გამოძახილს, როცა საპატარძლოს მთელი თავისი საზოგადოებითა და საგვარეულოთი ყიდულობდნენ.

სყიდვითი ქორწინების შორეული გამოძახილი დალოცვა-სადღეგრძელოებშიც შეინიშნება. მაგალითად:

ნეფევ აავსე ბადია, მომაწოდე ხელსა,
საჩუქარი მოუმზადე შენსა დამლოცველსა.
ან:
შენ, ნათლიავ, რაღას ელი,
არ გეგონო ღვინით მთვრალი,
უჩურჩულე შენს ნეფესა,
მაჩუქოს ერთი მანათი...

დამლოცველების მღადის, მაყრებისა თუ სხვა მექორწილეთათვის საჩუქრის მიცემის წესიც სყიდვითი ქორწინების გადმონაშთს წარმოადგენს.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, პატარძლის გამოყვანისას და გზაზეც ხშირად მღეროდნენ „ჯვარულს" ანუ „ჯორულს". აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იგი ძირითადად მაინც კერასთან, ე. ი. ჯვრისწერის დროს შესასრულებელი სიმღერა იყო.

როგორც ცნობილია, კერის კულტი განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებდა საქორწილო ცერემონიალში. იგი „თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო". ამიტომაც უძველესი დროიდან მოყოლებული ძირითადი საქორწილო რიტუალები სრულდებოდა კერასთან. კერის გარშემო ნეფე-დედოფლის შემოტარებისას გვირგვინის კურთხევაც კერასთანვე ხდებოდა. და თუ ეს წესი შესრულდებოდა, ეკლესიაში ჯვრისწერას ზედმეტად ჩათვლიდნენ.

სწორედ ამ ცერომონიალის დროს, ე. ი. ნეფე-დედოფლის კერის გარშემო შემოტარებისას, მაყრები საკიდელზე ხმლებს ურტყამდნენ და თან მღეროდნენ:

ჯვარი ჯვარსაო,
ჯვარი წინასაო...

ან:

ჯორისწინასაო, აღგა მხარესაო,
ვინ დასწერს ჯორსა
ამ ჩვენს ნეფიონთა?..

ან კიდევ:

ჯვარი წინა, ჯვარს უკანაო,
ანგელოზო, შინ შემოდიო.9 10.

აღნიშნული სიმღერა სხვადასხვა ვარიანტებით განსაკუთრებით გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთ საქართველოში. კერის გარშემო შემოვლისას სვანეთში მღეროდნენ „სადამსა დორი ოხას",11 სამეგრელოში კვლავ — „კუჩხი ბედინერს". როგორც ჩანს, მეგრელებს სპეციალური მაყრულის ტექსტები ან არ გააჩნდათ, ანდა ძალიან ადრე მისცემიან ისინი დავიწყებას.

მაგრამ თუ ჯვრისწერა ეკლესიაში ხდებოდა, მაშინ „მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რომ გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილეებით და სალხინო სახლში შეიყვანდნენ მღერით, იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო სხვადასხვა სოფლიურის სიმღერებით და ლილინებით". ამასვე გვამცნობს თეიმურაზიც:

აწ საყდრიდამე გამოვლენ
ისევ მაყრულის თქმაზედა,
. . . . . . . . . . . . . . . .
წერს იგი. . . . . . . . . . . .

ჩანს, ამ მომენტთან დაკავშირებით შეუქმნია ხალხს მაყრულის ნიმუში:

საყდრიგანი წამოვიდა
თეთროსანი ქალიო,
თავს გვირგვინოსანი,
ყირმიზი და ლალიო,
ვინც თქვენ ბედი დაგიწყიოთ,
წამოვარდეს თვალიო;
სამი ვაჟიშვილი მოგცათ
და მეოთხე ქალიო.

როგორც ცნობილია, ქორწილის დროს მაყართაგან პირველი სიტყვა მახარობელს ეკუთვნოდა, ვინაიდან სამოქმედო ასპარეზზე პირველი იგი ჩნდებოდა. მაყრულ ლექს-სიმღერებშიც ყველაზე კარგად სწორედ მახარობლის სახე, მისი ფუნქციაა გამოკვეთილი; მისი როლი კი იმაში მდგომარეობდა, რომ საპატარძლოს ოჯახისათვის ნეფის მობრძანება, ხოლო ნეფის ოჯახისათვის პატარძლის მოყვანა ეხარებინა.

მახარობელს თავისი სპეციალური, ტრადიციულად ჩამოყალიბებული ტექსტი გააჩნდა, რომელსაც იგი მღეროდა ნეფისა თუ პატარძლის სახლთან მიახლოებისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში ნეფე-დედოფლის სახელი მონაცვლეობდა.

მე ვარ მახარობელი,
სახლის გამხარებელი,
დაგვიცალეთ დარბაზიო,
ნეფე მოგვყავს ლამაზიო!

ან:

..დაგვიცალეთ დარბაზიო
ქალი მოგვყავს ლამაზიო.

მახარობელი საგანგებოდ მოითხოვდა „მხარის ახვევას", „კარის გავლას", „სანთლის მინათებას", „დარბაზის დაცლას". ყველაფერი ეს გარკვეული რწმენიდან მომდინარეობდა და მაგიურ მოქმედებასთან იყო დაკავშირებული — ძირითადად ნეფე-დედოფლის ავი თვალისა და მტრისაგან დაცვას ემსახურებოდა. ამასვე გვიდასტურებს ყოფაში შემორჩენილი მახარობლის მიერ თოფის სროლითა და ყიჟინით ეზოში შესვლისა, თუ სადღეგრძელოს შესმის შემდეგ დაცლილი ფიალის დამსხვრევის ჩვეულებაც.

ასევე სპეციალური ტექსტი გააჩნდათ დამხვდურებსაც, რაზედაც მიგვანიშნებს აჭარული მაყრული „თირამოლა" და ზოგადქართული გავრცელების სიმღერები „ვისაც ველოდი მოვიდა", „სახლი დავდგი ვერხვისაო", „ზალო, ბედითამც მოგვიხვალ" და სხვ.12 13.

დამხვდურთა ლექს-სიმღერები განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ იმ მხრივ, რომ მათში საკმაოდ კარგად არის შემონახული ქართველთა რელიგიური მსოფლმხედველობის ზოგიერთი მომენტი; კერძოდ, მაგიზმის ელემენტები, რაც უშუალოდ ოჯახის გამრავლებასთან, მის მომავალ ბედნიერებასთან იყო დაკავშირებული:

ზალო, ბედითამც მოგვიხვალ,
ბედსაც მოგვიტან ტერფითა,
ხელთა ყრმა, ზურგზე აკვანი,
ზედ ქუდი ათას წლისაო.

მღერიან დამხვდურები და თან პატარძალს ეგებებიან ტკბილეულობით. მეორე სიმღერაში კი აღნიშნულია:

სახლი დავდგი ვერხვისაო,
საძირკველი ვერცხლისაო,
აქ დედოფალი მობრძანდა
ბედნიერი ფეხისაო.

როგორც ტექსტიდან ჩანს, პატარძალი „ხელში ყრმითა და ზურგზე აკვნით" უნდა მისულიყო ნეფის ოჯახში, რაც მრავალშვილიანობის სურვილის სიმბოლური გამოხატულება იყო, მაგრამ თავდაპირველად მას მაგიური ფუნქცია ჰქონდა, ბავშვის კალთაში ჩასმის წესის ანალოგიური. აქვე აქცენტი გადატანილია პატარძლის ფეხის მაგიურ ძალაზე.

აღსანიშნავია, რომ, მორწმუნეთა აზრით, ადამიანის ფეხს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, მას თან სდევდა ბედი და უბედობა.

ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ სპეციალური დღეც კი არსებობდა ფეხადობისა— „ფერხობა" ან მეგრულად „კუჩხა" — ახალი წლის მეორე დღე. ვინც ამ დღეს პირველი შევიდოდა ამა თუ იმ ოჯახში, მის ფეხზე იყო დამოკიდებული მთელი ოჯახის მომავალი ბედიღბალი. აქედან წარმოდგა თვით საახალწლო სიმღერა „კუჩხი ბედინერი".

რადგან პატარძალი უცხო გვარიდან პირველად მოდიოდა ქმრისეულ ოჯახში, ამიტომ ხალხის ღრმა რწმენით, მასაც თავისი ტერფით ბედი თუ უბედობა უნდა შეეტანა მათთვის, თუ მარჯვენა ფეხს შედგამდა პირველად სახლის ზღურბლზე, საქმე წაღმა დატრიალდებოდა, თუ მარცხენას — მარცხი და უბედობა არ ასცდებოდათ. ამიტომ არის, რომ ხალხის შეხედულება ასე მკვეთრად გამოვლინდა დამხვდურთა სიმღერაში. ისინი თითქოს ერთგვარად ევედრებოდნენ კიდეც პატარძალს: „ზალო, ბედითამც მოგვიხვალო".

ამავე თვალსაზრისმა განაპირობა ალბათ საახალწლო სიმღერის „კუჩხი ბედინერის" საქორწილო რიტუალთან დაკავშირება. აქედან მოყოლებული, აღნიშნულმა სიმღერამ თავისი პირვანდელი დანიშნულების პარალელურად ახალი ფუნქცია შეიძინა — იგი საქორწილო სიმღერათა რკალში მოექცა, როგორც „ფეხბედნიერის" ლოცვა.

როდესაც ნეფე-დადოფალს ეზოში შეიყვან-

დნენ, ხალხური ჩვეულების თანახმად. პატარძალს ცხენიდან მანამდე არ ჩამოსვამდნენ, ხანამ სასიმამროსა ან სასიძოს რომელიმე სხვა ნათესავისაგან პატარძლის მაყარი ეგრეთწოდებულ „უზანგის ხარჭარს“ არ მიიღებდა. ამ დროსაც მაყრები სპეციალურ სიმღერას ასრულებდნენ, აღნიშნულ ჩვეულებასთან დაკავშირებული ფოლკლორული ტექსტი მხოლოდ აჭარულ საქორწილო პოეზიაშია შემორჩენილი. თუმცა თვით რიტუალი ზოგადქართული გავრცელებისა უნდა იყოს, რადგან მის შესახებ თეიმურაზის ლექსშიც არის მითითებული.

ამ ცერემონიალის შემდეგ ნეფე-დედოფალს სახლში შეუძღვებოდნენ, აქ მათ კვლავ კერის ან დედაბოძის გარშემო მაყრული სიმღერით შემოატარებდნენ და შემდეგ მათთვის განკუთვნილ ადგილას დასვამდნენ, ისევ მაყრულის თქმით. ი. მესხი-გვარამაძის, ცნობით, აღნიშნულ მომენტთან დაკავშირებით, — იტყვიან:

ნეტარი ნეფის დედ-მამას,
გვრიტნი უსხედან კერასა,
თემქვეყანას დახარიან,
ულოცვენ კარგ ბედ-წერასა.

უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ტექსტი საქართველოს სხვა კუთხეებშიც (ქართლში, კახეთში, სვანეთში) ამავე მომენტთან ყოფილა დაკავშირებული.

ეს იყო უკანასკნელი ცერემონიალი, რომლის შემდეგაც იმართებოდა დიდი ნადიმი ნეფის ოჯახში. აქ უკვე სუფრულ მაყრულებს, შაირებს და სხვა სახის ლექს-სიმღერებს წარმოთქვამდნენ. იყო მაყრების შეჯიბრი ზმებისა, გამოცანებისა თუ ლექსის თქმაში, სიმღერაში, სადღეგრძელოების უკეთ წარმოთქმასა თუ ღვინის სმაში. მაგრამ ყველაზე წინა პლანზე მაინც დალოცვა-სადღეგრძელოები იყო წამოწეული. საქორწილო დალოცვა-სადღეგრძელოებმა დროთა მსვლელობაში ძალიან მყარი სახე მიიღო და ამგვარად ჩამოყალიბებული, დამკვიდრდა საქორწილო პოეზიაში. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ დალოცვა-სადღეგრძელოები საქორწილო პოეზიის მეტად თავისებურ და საინტერესო უბანს წარმოადგენს. ისინი გამოირჩევიან თავიანთი ფუნქციითა და მხატვრული სპეციფიკურობით.

მაყრულებისაგან განსხვავებით, დალოცვა-სადღეგრძელოებს ძირითადად სუფრაზე წარმოთქვამდნენ, გარდა ზოგიერთი დალოცვისა, რომლებიც უშუალოდ ნეფე-დედოფალს შეეხებოდა;

პირველი სადღეგრძელო ნეფე-დედოფალს ეკუთვნოდა. მათ სახალხო მთქმელები იდეალიზებურად გვიხატავენ; ხაზს უსვამენ როგორც პატარძლის ხასიათს, მოკრძალებას, შრომისმოყვარეობას, გარეგნულ მშვენებას, ასევე ხოტბას ასხამენ ნეფის თვალტანადობას, ვაჟკაცობას, ზრდილობას, ენაწყლიანობას.

ნეფე-დედოფლის დამლოცველად, პირველ ყოვლისა, ღვთიური არსებები გვევლინებიან, განსაკუთრებით წარმართული ღვთაებები — ლაშარის ჯვარი და გიორგი მუხის ანგელოზი, რომელსაც შემდგომ საფეხურზე წმინდა გიორგი და ქრისტე ღმერთი შენაცვლებიან: „დიდება შენდა, გიორგი მუხის ანგელოზო, — ვკითხულობთ ხევისბერის დალოცვის ფშაურ ტექსტში, რომელსაც რიტმული პროზის სახე აქვს და მტკიცედ შემუშავებულ სტრუქტურას ემყარება, — ლაშარის ჯვარო, თამარ დედოფალო, გიორგი მუხის ანგელოზი გწყალობდეთ ერთგან შეყრილ ახალ ყოილთა (იტყვის სასძლოსა და სანეფოს სახელს). ერთ-ურთს შაბერდეს, ერთ სასთაულზე დააბერნეს, ქნეს ეტლიან-ბეტლიანი და ბედით დოვლათიანი, გიორგი მუხის ანგელოზო, ქალის პატრონს დღეს ქალის ქორწილი აქვს, ხვალ ვაჟის მიეც; ვაჟის პატრონს ვაჟის ქორწილს ნუ მოუშლი, დაიცავით, დაიფარეთ ლალის მტრისაგან და მწარე სიკვდილისაგან, უმატეთ ამათ სახლის ღონესა, კაცსა კაცრიელობასა და აგრემც გაემარჯვება თქვენს ხმალსა, თქვენს ძალასა და სამართალსა“.

მოგვეპოვება ამ ტექსტთან შინაარსობრივად ძალიან ახლოს მდგომი პოეტური ნიმუშებიც (სხვადასხვა კუთხეში ფიქსირებული) მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში წარმართული ღვთაებები ცალ-ცალკე კი არ იხსენიებიან, არამედ ზოგადად, თანაც ჯერ თვითონ ღვთისშვილთ ადიდებენ და შემდეგ მათვე შესთხოვენ „ახალ ყოილთა“ დალოცვას.

ადრეულ ვარიანტებში (მაგალითად, თედორაძისეულ ვარიანტში) ახალშეუღლებულთა დამლოცველად და ჯვრის დამწერლად ლაშარის ჯვარი გვევლინება, რომელსაც შემდგომ პერიოდში ჩაწერილ ტექსტებში უკვე წმინდა გიორგი შენაცვლებია.

წმ. გიორგის მრავალსახეობა და მისი ფუნქცია შესანიშნავად არის წარმოდგენილი ნეფე-დედოფლისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ დალოცვის ნიმუშში.

პირმა დაგლოცოთ ღვთისამა,
ნაწილმა ბარძიმისამა,
ატოცის წმინდა გიორგი შეგეწიოთ,
ძლიერი არის მის მადლმა.
სარკის წმინდა გიორგი გწყალობდეთ,
საციციანოს მთისამა,
გიორგი ჯვრის წმინდა გიორგი
გწყალობდეთ,
გადმომცქერალი მტკვრისამა,
გწყალობდეთ გერის წმინდა გიორგი —
ნაქები ოსეთისამა,
გაცოცხლოთ და გადღეგრძელოთ,
პური, ღვინო დაგიძველოთ და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ტექსტს კუთხური დალოცვის სახე მიუღია, კერძოდ, შუა ქართლის

მხარისა. მასში მოხსენიებულია ატოცის წმ გიორგი, საციციანოს მთის სარკის წმინდა გიორგი; „მტკვარს გადმომცქერალი“ ჯვრის წმინდა გიორგი; ასევე მოხსენიებულია გერის წმინდა გიორგი. ყველა ესენი ისტორიულად შუა ქართლის, როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანობისდროინდელი ძლიერი, მთავარი ღვთაებებია.

აღნიშნული ტექსტი და მისი ვარიანტები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ფიქსირებული, ნათელ დადასტურებას წარმოადგენს იმისას, თუ როგორ ლოკალიზდებოდა ესა თუ ის ტექსტი ცალკეულ მხარეთა მიხედვით.

ხშირად მხოლოდ ნეფეს მიმართავდნენ სახოტბო სიმღერით, რასაც ხევში „სმურის შაძრახვას“ უწოდებდნენ. ამ შემთხვევაში სმურის ტექსტს სუფრის ხელმძღვანელი იწყებდა, შემდეგ მის ნათქვამს სხვებიც იმეორებდნენ და ასე გრძელდებოდა ტექსტის დასრულებამდე. ლექსის ხასიათს ძირითადად ტონს აძლევდა პიროვნების (ნეფის) დამსახურება და ავტორიტეტი.

გარდა ნეფისა, მოხუცები ხშირად ახალგაზრდებსაც სმურს ეტყოდნენ ხოლმე.

სმურის მოთავების შემდეგ ადღეგრძელებდნენ ქალ-ვაჟის მშობლებს, მახლობლებს, ეჯიფეს, მაყრებს, სტუმარსა და „გარეთ გასულებს“.

ჰა, დიდება ღმერთსა,
თასი ვიგდე ხელსა,
მოდი, ყველას გაუმარჯოს —
სტუმარს, მასპინძელსა,
შინაურსა, გარეულსა,
კარის მეზობელსა.

ზოგჯერ სადღეგრძელოს, მაგალითად, მშობლებისას, კვლავ სმურით აბოლოებდნენ.

ზოგიერთი სადღეგრძელოს წარმოშობას უშუალოდ სოციალური ყოფა განაპირობებდა. ეკონომიურ მდგომარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ახლად შექმნილი ოჯახისათვის. ამიტომაც, მთელ რიგ დალოცვა-სადღეგრძელოებში აქცენტი პირდაპირ მატერიალურ პირობებზეა გადატანილი: ახალდაქორწინებულთ უსურვებენ სახნავ-სათეს მინდორს უდიდესს, შვიდ გუთანს შებმულს, ასოც სამე ურემს, შვიდ ფარა ცხვარს და ა. შ. ამგვარი ტექსტების წარმოქმნა ძირითადად ხალხის დაბალ ფენაში, განსაკუთრებით ღარიბთა წრეშია სავარაუდო, მითუმეტეს იმ პერიოდში, როდესაც ღრმად სწამდათ სიტყვის მაგიური ძალისა. მატერიალურ უზრუნველყოფის — ბედნიერების და ხვავრიელობის სურვილმა საქორწილო რიტუალს დაუკავშირა აგრეთვე ისეთი პოეტური ნიმუშებიც, რომელთაც თავისი წარმოშობით არაფერი ჰქონდათ საერთო ქორწილთან და ძირითადად ვაკლვის დროს თუ ახალწლის დღესასწაულზე წარმოთქვამდნენ, მაგალითად:

ღმერთმა ისე აგაშენოთ,
როგორც შიოს მარანიო...

ასევე ბედნიერებისა და გამრავლების სურვილმა საქორწილო პოეზიის რკალში მოაქცია შემდეგი სიმღერა:

შემოვდგი ფეხი,
გწყალობდეთ ღმერთი,
ათი შვილითა —
აკვნის ძირითა,
ძილით მშვიდითა
დღეთა მშვიდითა.

ეს ლექსი შესაძლოა თავდაპირველად მხოლოდ საახალწლო, კერძოდ „ფერხობის“ დღეს წარმოსათქმელ ლოცვას წარმოადგენდა.

ასევე საქორწილო ცერემონიალს დაკავშირებია ძილისპირული „დაწვები, დაშეძინება“. კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს პერიოდულ ორგანოში — „კავკასიის ტომთა და ადგილთა აღწერის მასალების კრებულის“ 1894 წლის № 19-ში მოთავსებული წერილის მიხედვით, როდესაც ნეფე-დედოფალს სპეციალურად განკუთვნილი ოთახისაკენ „სანთიობოსაკენ“ წაიყვანდნენ, მათ წინ მიუძღოდა მდადე, რომელიც პირველად პატარძალს შეიყვანდა ოთახში, ტანთ გახდიდა და წარმოთქვამდა შემდეგ ლოცვას.

დაწვება, დაეძინება,
პირჯვარი დაეწერება,
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
თავ-ფეხით დაესვენება,
ჯვარი სწყალობს, ჯვარცმული,
ვერას აკლებს მაცდური.

ამ სიტყვებით პატარძალს საწოლში ჩააწვენდა, სინათლეს ჩააქრობდა და მხოლოდ ამის შემდეგ ეპატიჟებოდა ნეფეს ოთახში შესასვლელად.

როგორც ვხედავთ, სამივე შემთხვევაში ლექსების საქორწილო რეპერტუარში მოქცევა ერთგვარად განაპირობა ხალხის რელიგიურმა მსოფლმხედველობამ, კერძოდ, მაგიზმის ღრმა რწმენამ, მაშასადამე, სწამდათ რა სიტყვის მაგიური ძალა, ცდილობდნენ თავიანთი დალოცვით ბედნიერება მოეტანათ ახალი ოჯახისათვის, ან, პირიქით, წყევლითა და მუქარით აეცდინათ ისინი უბედურებისა და ავი თვალისაგან. ამიტომ ეჭვგარეშეა, დალოცვა-სადღეგრძელოების თავდაპირველი მაგიური მნიშვნელობა, მითუმეტეს, რომ მათში შეინიშნება პროდუციულმიმბაძველობითი, თუ პროფილაქტიკური მაგიზმის ელემენტები, რომლებიც მისა ფორმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებად გვხვდება საერთოდ საწესჩვეულებო პოეზიაში — დალოცვის ტექსტებში, შელოცვებსა თუ საახალწლო ჭონის ლექსებში, რაც უნდა მიუთითებდეს მათს უძველეს ერთიანო ბაზე, მათს გენეტიკურ კავშირზე.

დალოცვა-სადღეგრძელოებში თუ ერთი მხრივ ვკითხულობთ:

ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს,
მოგცემოდეს ბედი კარგი,
წყვილი ვაჟიშვილი მოგცეს,
არ გქონოდეს **გულში** დარდი...

ან:

ბევრი **ხნა** და ბევრი სთესო,
არ გქონოდეს გულში დარდი,
მარჯვენის გაცემულობა,
პირზედ მოგდგომოდეს ვარდი,
სამოთხისა კლიტე გქონოდეს
ქვეყნის სანატრელი ფანდი;

მეორე მხრივ მკაცრად გაისმის:

...ოჯახობა ამოუწყდეს,
ნეფევ, შენსა მტერსა...

ან:

ოჯახობა დაუქციე
ჩვენი ნეფის მტერსა,
იმათი ცხვარი და ღორი
დააჭმიე მგელსა...

ან კიდევ:

დედოფალო, გიხდება
ლერწამ ტანზე ალია,
ვინც შენ ბედი დაგიწყიოს
წამოვარდეს თვალია.

დალოცვა-სადღეგრძელოების ციკლში შესულა ზოგიერთი საისტორიო-საგმირო ხასიათის ლექსიც. მათ დღესაც იგივე შინაარსი შერჩენიათ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, რომ ტექსტს დასასრულში მიმატებოდა ქორწინების გამომხატველი თუნდაც ერთი სტროფი, რომ მას ახალი გააზრება შეეძინა და მთლიანად საქორწილო პოეზიის რკალში მოქცეულიყო, ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს „მეჯვრის დალოცვა“ და „ჩავხედეთ ეროვნელებსა“. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორივე ტექსტს:

1. მეფე ილოცება,
ღვთის პირით დაილოცება!
დიდება ღმერთსა,
ამოწყვეტა ლეკთა,
ქამი ხორასნელთა,
მათი ჯარის ბელადები
გარდაცვივდეს კლდესა,
ივე კაცი და მოქმედი
დაილუპნენ ბნელთა.
ამხანაგის მოღალატე
მიეცეს დიდ სენთა,
ღმერთო, შენი გამარჯვება
მიეც თავადელთა,
ქართლ-კახეთის აზნაურთა
აძლევინე მტერთა.
ჭირნახულის მოსავალი
მიუმატე გლეხთა,
ეჯიფევ, შენს ნეფეს გაუმარჯოს.

2. ჩავხედეთ ეროვნელებსა...
კარავი კარავს უმბია,
მაგ ამირანის კარავსა
თავს ირმის ტყავი ჰხურია.
მშვიდობა და დღეგრძელობა
ჩარიგებულნო ჯარზედა,
გაუმარჯვნია მეფესა
ბაზალეთისა ტბაზედა;
ხარი მაუკლავს ირემი,
გავა გაუდევ მხარზედა;
მშვიდობა და დღეგრძელობა,
მაყრებო, ესე თქვენზედა!

ეს უკანასკნელი აგრეთვე შესანიშნავი ნიმუშებია კონტამინაციისაც.

უძველესი დროიდან გვარის, შთამომავლობის გაგრძელება აუცილებელ მოვალეობად ითვლებოდა თითოეული ქალისა თუ მამაკაცისათვის (ძველ რომში, ძველ საბერძნეთში სპეციალური კანონიც კი არსებობდა, რომელიც ყველა მოზრდილ ადამიანს ავალდებულებდა შვილების ყოლას). ამიტომ მორწმუნე ადამიანი, ჯერ კიდევ ოდითგან ათასგვარ მაგიურ საშუალებას მიმართავდა, რომ უშვილოდ არ გადაშენებულიყო. განსაკუთრებით დიდი ბედნიერება იყო ვაჟის დაბადება, რადგან გვარის გამგრძელებლად მხოლოდ ის ითვლებოდა.

ჩვენ ვაჟი დაგვბადება,
მზევ, შინ შემოდით,
დუშმანსა ქალი ჰგონია,
მზევ, შინ შემოდით,

აღნიშნულია ერთ-ერთ საძეობო სიმღერაში და განა იგივე თვალსაზრისი არ არის გადმოცემული დალოცვა-სადღეგრძელოებში, სადაც განსაკუთრებული სურვილია გამოხატული ვაჟის შეძენისა:

წყვილი ვაჟიშვილი გყავდეს
საგაისო წელსა—

ან:

ღმერთმა მაგ ქალს შეგაბეროს,
მოგცემოდეს ხუთი ვაჟი... და სხვ.

დალოცვა-სადღეგრძელოებთან დაკავშირებით ქს. სიხარულიძე შენიშნავს: სმურები და სადღეგრძელოები თანდათან დავიწყებას ეძლევაო, და იქვე დასძენს : — ჯერ კიდევ ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნის დასაწყისში სადღეგრძელოს ტექსტი მისმა ჩამწერმა თუ რედაქტორმა ასე დაასათაურა: „მეფე-დედოფლის ჩვეულებრივი დალოცვა უწინდელ დროში“.

ახლადმოპოვებული ტექსტების გადასინჯვამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ დალოცვა-სადღეგრძელოებს ტრადიციულად საკმაოდ მყარი ტექსტები გააჩნდათ, რომელნიც გარკვეული დროის შემდეგ აღარც კი განვითარებულან და ჩვენამდე ან იმ ძველი, მტკიცე ფორმით მოუღწევიათ, ან საკმაოდ დაკნინებულან. ზოგიერთ მათგანს, დროთა მსვლელობაში, სახუმარო-სალაღობო ხასიათიც კი მიუღია. მათ რიცხვს განეკუთვნება ზოგიერთი მესტვირული დალოცვა, როგორიცაა:

ნეფევ, ღმერთმა გადღეგრძელოს,
დედოფალო, შენცა;
თქვენ ქვეითად ქალი რო ზის,
თვალი უგავს მწყერსა,
ცოტა ხანს კარში გამომყვეს,
თუ კი შაიძლებსა.

ან:

პატარძალო, გადღეგრძელებ,
მართა გქვია თუ მარია,
სუყველა შენ გენაცვალოს,
საცა კაპასი ქალია.

საქორწილო ლექს-სიმღერები მეტად საინტერესოა პოეტიკის თვალსაზრისით. უმეტესად მათ აქვთ მიმართვითი ფორმა. მექორწილენი ლაპარაკობენ მრავლობითი რიცხვით — „ჩვენ“, „თქვენ“. და ძირითადად დამსწრეთა საერთო, ზოგად აზრს გამოხატავენ; მაგალითად, „მოვდივართ, მოგვიხარია“, „ჩვენს ნეფეს უნადირნია“, „ნეფეო, ჩვენი მზე ხარო“, „ვაჟია ჩვენი ძმისწული“ და სხვ. ასევე ზოგადი აზრია გამოხატული პატარძლის შესამკობ სიტყვებშიაც. ამგვარ ტექსტებს უმეტესად აღწერილობითი ხასიათი აქვთ, მაგრამ არაინდივიდუალური, არამედ ტიპიური გარეგანი სახის აღწერა, ძირითადად გარკვეული დეტალების ასახვაზეა აგებული. ყველაზე დამახასიათებელი დეტალი ამ მხრივ გახლავთ პატარძლის თმისა და თვალწარბთა აღწერა, ან მეფის საერთო თვალტანადობისა და ვაჟკაცობის შექება. სახალხო მთქმელები მათ შესამკობად ხშირად მიმართავენ ეპითეტებს, შედარებებს; პატარძალი — ტანად ალვაა, ვარდი კოკობი, წითელი პეპელა, ამომავალი მზე, შუქურ-ვარსკვლავი. მას მკლავები ვარდის შტოს მიუგავს, თანაც იმდენად მშვენიერია, რომ მისი სილამაზე „ქვეყანას გააკვირვებს“.

ნეფე კი უმეტესწილად მზესთან, მთვარესთან, ანგელოზებთან არის შეპირისპირებული. ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები:

გაიხარეთ და გამრავლდით,
როგორც აბრამი და სარა.

ან:

შეაბერდით ერთმანეთსა,
როგორც მზე და როგორც მთვარე,

მაგრამ ყველაზე მეტად ყურადსაღებია საქორწილო ლექს-სიმღერების სიმბოლიკა, თავდაპირველად თითოეულ სიტყვას ხალხის მსოფლმხედველობა, მათი რწმენა-წარმოდგენები განსაზღვრავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მან თავდაპირველი მნიშვნელობა დაკარგა, ლამაზი სიმბოლიკის სახით შემორჩა პოეტურ ფოლკლორს.

ასეთთა რიცხვა განეკუთვნება, მაგალითად, პატარძლისა და ნეფისადმი ნახმარი ეპითეტები, შედარებანი და მთელი რიგი ხატოვანი სიტყვათქმანი, რომელთაც უხვად ვხვდებით საქორწილო პოეზიაში.

ძველი რწმენის თანახმად, ავი სულები განსაკუთრებით ემტერებოდნენ ახალდაქორწინებულებს, უმეტესად — პატარძალს. ამიტომ ხალხი მრავალ ტაბუირებულ და მაგიურ მოქმედებას მიმართავდა, რათა დაეცვა ისინი ავთვალთა და ბოროტ სულთაგან. ტაბუირებული იყო ნეფისა და დედოფლის სახელიც, მათი პირდაპირი ხსენება არ შეიძლებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ თვალსაზრისმა განაპირობა პატარძლის ხოხბის, პეპლას, მტრედისა თუ სხვათა სახელით, ხოლო ნეფის — მონადირის, მტრედის, მამალი ხოხბის სახით მოხსენიება. ეს სახელები კი, როგორც ვხედავთ, შემდგომში იქცა მათ მუდმივ, ეპითეტებად.

მსგავსი პოეტური სახეებით განსაკუთრებით მდიდარია რუსული საქორწილო პოეზია, სადაც თვით შუამავალიც კი არ იხსენიება პირდაპირი მნიშვნელობით. იგი უმეტესად ვაჭართანაა შეპირისპირებული. მაჭანკლის ვაჭართან შედარების მაგალითს ქართულ საქორწილო პოეზიაშიც ვხვდებით, სადაც ვკითხულობთ.

ცისა ცხენი მოგოგებდა და
ხელმანდუულებდა, ჰერი ვაჲო!
ვაჭარ შიგან და ვაჭარ ჩიტი რას
ქართულებდა...

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დოვლათიანობისა და სიმდიდრის სიმბოლოდაა ნახმარი სადღეგრძელოებში გამოთქმა „შიოს მარანი“.

დალოცვა-სადღეგრძელოებში ძალიან ხშირად გვხვდება გამოთქმა — „გწყალობდეთ ღმერთი“, ე. ი. სიქველე, მფარველობა, ღმობიერება ნუ მოგაკლოთ ღმერთმაო, რაც უშუალოდ წყლის თაყვანისცემიდან უნდა მომდინარეობდეს. გავიხსენოთ ისრაელთა მეფე დავითის მე-50 ფსალმუნის პირველი სტრიქონები, სადაც თითქმის ყოველ სიტყვას წყალი აქვს ძირში: „მ ი წ ყ ა-

ლე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაი ჩემი". ამასვე ადასტურებს ერთი მეტად საყურადღებო მომენტი, რაც უშუალოდ პატარძალის მოყვანასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, როცა ნეფის ოჯახში პატარძალს შემოიყვანდნენ, მასთან ახლოს მივიდოდა იღბლიანი, მრავალშვილიანი ქალი, გადაკოცნიდა და ეტყოდა: „ჩემი წყალი დაგესხასო".14.

ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია პოეტურმა ტექსტებმა, რომლებიც უმეტესად „გვირგვინის დალოცვის" ან „გვირგვინის მილოცვის" სახელითაა ცნობილი თითქმის მთელს საქართველოში. მოვიტანთ ერთ-ერთ ვარიანტს:

გიხარის ვირდი შეყრისა,
ღმერთმა ნუ მოგიწყინოსა,
გვერდს გიზის შუქურ-ვარსკვლავი,
ქვეყანას გაწბილებსა,
გვირგვინი წალმა, კეთილად,
ბედნიერ მოგიხდინოსა.

როგორც ვხედავთ, მოტანილ ნიმუშში აქცენტი გვირგვინის დალოცვაზეა გადატანილი.

აღსანიშნავია, რომ ქორწილის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა გვირგვინის კურთხევას. გვირგვინის დადგმა თავზე იყო სიმბოლო საქმის დასრულებისა, აქედან ტერმინი — „დაგვირგვინება".

ჩვენ ძალიან შორს წაგვიყვანს განსაზღვრა იმისა, თუ საიდან მომდინარეობს ეს ჩვეულება; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ძველად ძალიან გავრცელებული იყო საბერძნეთსა და რომში.

მაგრამ უფრო ადრე, პირველყოფილ ხალხებში მას სულ უფრო სხვა დანიშნულება ჰქონდა. პირველყოფილ ხალხებს ღრმად სწამდათ ქალის მცენარის სულის მიერ განაყოფიერება (ანიმისტური მსოფლმხედველობის თანახმად). ეს უკანასკნელი როცა დედობას მოისურვებდა, ბავშვის შეძენის მიზნით, თავზე იდებდა ყვავილებს ან მისგან დაწნულ გვირგვინს, დარწმუნებული, რომ მიზანს ეწეოდა, რადგან მცენარის სული მის სხეულში გადავიდოდა. ამ წესის გამოსახატავად ძველად იხმარებოდა ტერმინი დაგვირგვინება ანუ გვირგვინის დადგმა.

შემდგომში გვირგვინი იქცა ღირსების მაჩვენებლად; მას თავზე ადგამდნენ ღმერთების ქანდაკებებს, ქურუმებს, მეფეებს დღესასწაულების, საგანგებო წვეულებისა თუ ნადიმის დროს.

ბოლოს, ეს წესი ქრისტიანულმა რელიგიამ ქორწილის დროსაც დაამკვიდრა და ჯვრისწერისას გვირგვინების დადგმა შემოიღო, რადგან ეკლესიას შესაძლებელი ქალ-ვაჟი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც „უბიწონი, მძლეველნი თავიანთ ხორციელ მოთხოვნილებათა". სწორედ ამავე მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი იგი ზემოთ დასახელებულ ტექსტშიც.

სიმბოლიკის თვალსაზრისით ახევე საინტერესოა დალოცვა-სადღეგრძელოების შემდეგი ფრაგმენტები:

მეფეო, შენსა გვირგვინსა,
ოთხკუთხივ ჯვარი სწერია,
ან:
ნეფეო შენსა გვირგვინსა,
ღვთისაგან ჯვარი სწერია.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში გვირგვინის ჯვრით დალოცვასთან გვაქვს საქმე. რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, წარმართობის ხანაში, ჯვარი წარმოადგენდა სიცოცხლისა და უკვდავების ემბლემას, ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა იგი ძველ ეგვიპტეშიც, სადაც მთავარი ღმერთები ჯვრით ხელში გამოისახებოდნენ.

აქვე ყურადსაღებია, რომ ძველ ეგვიპტურ რელიგიაში ჯვარმა სხვა თვისებაც შეიძინა — იგი ოზირისის ბოძის (სიცოცხლის ხის) ატრიბუტს წარმოადგენდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯვარი, რომელზედაც ქრისტე გააკრეს, ქრისტიანულ რელიგიაშიც მიჩნეულია „სიცოცხლის ხედ", მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, ხალხურ ლექსში აღნიშნულ ჯვრით დალოცვას თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა საქორწილო ცერემონიალში — იგი იყო ახალდაქორწინებულთათვის მარადიული სიცოცხლისა და სიკეთის მიმნიჭებელი. ამიტომაც არის, რომ ნეფე-დედოფლის კერის გარშემო შემოტარებისას ერთგვარ სადიდებელ ჰიმნად გაისმის:

ჯვარი ჯვარსაო, ჯვარი წინსაო...
ვინ დასწერს ჯვარსა ამ ჩვენს ნეფიონსა...

მოგვიანებით კი ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მორწმუნე ხალხმა ჯვარი თავის მფარველად დასახა და მას ახალი ფუნქცია დააკისრა: ვინც რაიმე საფრთხის დროს ამ ჯვარს, ჯვარცმული ქრისტეს სიმბოლოს გამოისახავდა, ანუ „პირჯვარს დაიწერდა", მას იმედი უნდა ჰქონოდა, რომ ბოროტი სული და ავი თვალი ვერას ავნებდა — ქრისტეს ჯვარი ყველგან და ყოველთვის იქნებოდა მისი შემწე და მფარველი. სწორედ აქედან უნდა წარმომდგარიყო ზემოხსენებული გამოთქმა: „ოთხკუთხივ ჯვარი გწერია!" ე. ი. ყოველმხრივ გიცავდეს და გფარვიდეს ჯვრის ძალაო. ამავე მნიშვნელობით გვხვდება იგი დალოცვა-სადღეგრძელოებშიც.

გარდა საკუთრივ საქორწილო ლექს-სიმღერებისა, ქორწილის დროს სხვა ჟანრის ნაწარმოე-

ბებსაც ასრულებდნენ. ყოველივე ამის საფუძველი იყო ხალხური ტრადიცია, ხალხური წეს-ჩვეულებანი, რაც შემდგომში მდგომარეობდა: ქართველი კაცი ოდითგან უდიდეს პატივს სცემდა გმირობას, ვაჟკაცობას, პატიოსნებასა და შრომას. საქორწილო სუფრაზე ამგვარი მოტივების შემცველი ლექსების თქმით იგი ახალდაქორწინებულთაც გმირული სულის, ვაჟკაცური შემართების, მტკიცე, პატიოსანი, ერთგული და მშრომელი ოჯახის შექმნას შთააგონებდა. სწორედ ხალხის ამ მსოფლმხედველობამ განაპირობა საგმირო-საისტორიო ხასიათის ლექსისა და შრომის პოეზიის ნიმუშების ქორწილთან დაკავშირება.

ხალხი ასევე დიდად აფასებდა ადამიანის გონიერებას და მოხერხებულობას. ამ თვალსაზრისით ქორწილში სცოდნიათ გამოცანის თქმა, რასაც „დასაბმელს“ უწოდებდნენ. იგი უმეტესად ნეფის ჭკუა-გონიერებაში გამოცდას ემსახურებოდა. იგივე დანიშნულება ჰქონდა ქორწილში მცირე მოცულობის იგავური ფორმის ზღაპრის თქმასაც, რომელიც სასიძოს უნდა ამოეხსნა.

ქორწილში ხშირად სრულდეობდა სატრფიალო, საყოფიერო და სალაღობო ლექს-სიმღერები. ზოგი მათგანი წარმოშობითაც საქორწილო იყო, ზოგი კი საქორწილო წესებისაგან დამოუკიდებლად იყო შექმნილი და შემდეგ დაუკავშირდა მას.

ქორწილში სრულდებოდა ფერხულები და სხვა სახის გართობა-თამაშობანი, რომელთაც ხშირად პოეტური ტექსტი ამშვენებდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხალხური დრამისა და სამონადირეო ეპოსის გენეტიკური კავშირი საქორწილო ცერემონიალთან. ამგვარი ხასიათის პოეტურ ძეგლებში განსაკუთრებით შეიმჩნევა უძველეს წარმოდგენათა კვალი.

ასევე გენეტიკური კავშირი შეინიშნება საქორწილო დალოცვის ტექსტებსა და საახალწლო თუ საგაზაფხულო ჰონის ლექს-სიმღერებს შორის. ყველა ამ შემთხვევაში ნაყოფიერების, კეთილდღეობის, ხვავიანობის თუ ბარაქიანობის სურვილები ერთი და იგივე ფორმულებით იყო გამოხატული. ძნელია თქმა იმისა, თუ სად ჩაისახა თავდაპირველად ესა თუ ის ტექსტი.

## გამოყენებული ლიტერატურა


1 მიხ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, 1956.

2 თეიმურაზ ბატონიშვილი, „სარკე თქმელთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, 1914.

3 ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიებრი აღწერა, ს. კაკაბაძის გამოცემა, ტფ. 1914.

4 ალ მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი, 1962.

5 ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960.

6 დ. თომაშვილი, ლექსები, თბ., 1955 (მოხმობილი ტექსტი დათარიღებულია 1919 წლით).

7 ვ. კოტეტიშვილი, ქართული ხალხური პოეზია, თბ., 1961.

8 ქართული ხალხური პოეზია V, თბ., 1976. მიხ. ჩიქოვანის რედაქციითა და შესავალი წერილით.

9 ე. ვირსალაძე, ქართველ მთიელთა ზეპირსიტყვიერება (მთიულეთ-გუდამაყარი). თბ., 1965.

10 მისივე ,მთისა და ზემო რაჭის საწესჩვეულებო პოეზიის ზოგიერთი საკითხი, წიგნში: „ხალხური პოეზია და პროზა“, ქართული ფოლკლორი VII (მასალები და გამოკვლევები), თბ., 1977.

11 ვ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961.

12 გ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი, 1972.

13 ქს. სიხარულიძე, საქორწილო პოეზია, წიგნში: „ქართული ხალხური პოეტების შემოქმედება“, თბ., 1960.

14 თ. სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, III, თბ., 1955.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამიდ ველიევი

# აზერბაიჯანული ფოლკლორი ქართულ წყაროებში

XIX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანში ჩამოსვლა და ფოლკლორის ნიმუშების შეკრება-გამოქვეყნება დაიწყეს რუსმა მეცნიერებმა და მწერლებმა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ აზერბაიჯანელი ხალხის მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი მემკვიდრეობით, მისი ისტორიით, ეთნოგრაფიით, ტრადიციებითა და ჩვეულებებით. ჯერ კიდევ 1825 წელს ჟურნალმა „პოლიარნაია ზვეზდამ“ დაბეჭდა აზერბაიჯანული ზღაპარი „სოფლის მზეთუნახავი“, ხოლო 1852 წელს გაზეთმა „კავკაზმა“ დაბეჭდა ზღაპარი „ყველას არ უნდა ენდო“.

1853-1854 წლებში გაზეთმა „კავკაზსკი ვესტნიკმა“ გამოაქვეყნა რამდენიმე აზერბაიჯანული ზღაპარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანული ფოლკლორის ნიმუშების ბეჭდვა გასული საუკუნის 80-იან წლებამდე არასისტემატურ ხასიათს ატარებდა.

1881 წელს თბილისში კავკასიის სასწავლო ოლქის გამომცემლობის მიერ გამოცემულმა „კავკასიის მხარისა და ტომების აღწერილობათა მასალების კრებულმა“ დიდი შესაძლებლობა შექმნა ზეპირი ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებისა და გამოქვეყნებისათვის. ამ სერიის გამოცემებში აზერბაიჯანულ ზეპირ ხალხურ შემოქმედებას დიდი ადგილი ეთმობოდა.

როგორც ცნობილია, ქორ-ოღლის ამბავი ძლიერ პოპულარულია მთელ აზერბაიჯანში სწორედ მას მიუძღვნა თავისი პიესა „ქოროღლი“ ცნობილმა ქართველმა დრამატურგმა ზურაბ ანტონოვმა. შეიძლება დავასახელოთ სხვა ანალოგიური ფაქტებიც. როგორც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ წერდა, სახალხო მომღერალმა ჰაზირამ ჯერ კიდევ 1870 წელს დაწერა პიესა „ყაჩაღი ქიარამი“, რომელსაც საფუძვლად აზერბაიჯანული დასთანები დაედო.

1842 წელს ლონდონში ინგლისურ ენაზე გამოიცა აზერბაიჯანული ეპოსი „ქორ-ოღლა“. მისი შემდგენელი და გამომცემელი ა. ხოძკო შესავალ წერილში წერდა: „აზიაში, საერთოდ აღმოსავლეთში, ვერ მოძებნით ვერცერთ კუთხეს, სადაც ეს სახელი (ქორ-ოღლი) ცნობილი არ იყოს. მის სახელს ბესარაბიასა და მოლდავეთშიც კი გაიგონებდით“.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა „ქორ-ოღლისადმი“ მიძღვნილი წერილი. ამ წერილში ქორ-ოღლი ისმაც გმირად იყო წარმოდგენილი, რომელიც სახალხო ბრძოლას მეთაურობდა, ძალა შესწევდა ყოველგვარი წინააღმდეგობები გადაელახა და ნებისმიერი ხიფათიდან თუ განსაცდელიდან დაეხსნა თავი. სულ მალე „ქორ-ოღლიმ“ მიიპყრო ქართველი მკითხველის ყურადღებაც: გაჩნდა ამ ეპოსის რამდენიმე ვარიანტი ქართულ ენაზე.

როცა ჩვენ „ქორ-ოღლის“ ქართულ ვარიანტებზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ მივმართოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებს. აქ ქორ-ოღლზე შემონახულია ლეგენდები, ლექსები. ორი მათგანი ყველაზე ძვირფასია. ორივე ვარიანტში ამბები ქართულ ენაზე გადმოიცემა, სიმღერები კი — ქართული ასოებით აზერბაიჯანულ ენაზე. ქართული ვარიანტები ეკუთვნის კ. გვარამაძეს, რომელიც დიდ ინტერესს იჩენდა აზერბაიჯანული ფოლკლორის მიმართ.

ქართულ ენაზე „ქორ-ოღლის“ ყველაზე მნიშვნელოვან ვარიანტად დავით გივიშვილის პოემა უნდა ჩაითვალოს. ეს ეპოსი მან გაგრ-

ძელებებით ოთხ წიგნად გამოსცა. პირველი წიგნი 1887 წელს გამოვიდა, მეორე — 1891 წელს, მესამე — 1911 წელს, მეოთხე — 1912 წელს. პირველ წიგნს ეწოდება „ყაჩაღი ქოროღლი", დანარჩენებს — უბრალოდ „ქოროღლი".

ყველა გამოცემის ყდაზე ქორ-ოღლი ცხენზე ამხედრებულად არის გამოხატული. დავით გივიშვილი მთელ ეპოსს მკითხველს ლექსად სთავაზობს.

ჩვენს მიერ განხილული ვარიანტები ნათლად მოწმობენ ქართველი მკითხველის ღრმა ინტერესს „ქორ-ოღლისადმი". ისმება კითხვა: რატომ უყვარდა კავკასიის ხალხებს ქოროღლი? აზერბაიჯანელი პროფესორი მ. ჰ. თემმასიბი ამ კითხვაზე ასეთ პასუხს იძლევა: „ქოროღლის" ერთ-ერთი შესანიშნავი თვისება — ეპოსის ინტერნაციონალური ხასიათია. ამიტომ მრავალ ერს, მათ შორის მოძმე ქართველ ერს ქოროღლი უყვარდა, როგორც საკუთარი გმირი". ისიც ცნობილია, რომ ქოროღლის ერთ-ერთი მამაცი მეომართაგანი — გურჯი ოღლი მამედი (ქართველის შვილი მამედი) იყო. ქოროღლიმ მას ხანის ქალიშვილი, რუქია გაურიგა, ქორწილი ჩახლიბელში გადაიხადეს.

ამ ეპოსზე არანაკლებ პოპულარული იყო მოლა ნასრედინის ანეკდოტები. ქართული პრესა ხშირად აქვეყნებდა მოლა ნასრედინის ანეკდოტებს; გაზეთ „ივერიის" და ჟურნალ „კავკასიის ესპერანტისტის" ფურცლებზე მოლა ნასრედინის მრავალი საინტერესო ანეკდოტია დაბეჭდილი.

1895 წლის „საქართველოს კალენდარში" მოლა ნასრედინის 27 ანეკდოტია გამოქვეყნებული. საინტერესოა, რომ მრავალი მათგანი ნაწილობრივ ან მთლიანად განსხვავდება ჩვენთვის ცნობილი ანეკდოტებისაგან.

„საქართველოს კალენდარში" დაბეჭდილი ერთი საინტერესო ანეკდოტი უკანასკნელ წლებში ბაქოში გამოცემულ მოლა ნასრედინის ანეკდოტების არცერთ კრებულში არ შედის. აი ისიც:

„საშინელი ზამთარი იყო. მოლა აბანოში ბრძანდებოდა და სულ ოფლი სდიოდა. ამ დროს მივიდნენ მეზობლები და უთხრეს: მოლა, შენი ცოლი გზაში გაიყინაო.

— აი გამოგასულელათ ღმერთმა! —შეუტია მოლამ, — ამ სიცხე-პაპანაქებაში ადამიანი გაიყინებაო?!"

მოლა ნასრედინის მრავალი საინტერესო ანეკდოტი შედის ა. მირაქიშვილის წიგნში „ნაპერწკალი", რომელიც 1896 წელს გამოიცა. ამ მრავალფეროვან ანეკდოტებში მხილებულია და გამასხარავებულია ორპირობა, პირფერობა, მატყუარობა, სიხარბე, სიბრიყვე, რელიგიური ფანატიზმი და ა. შ. მოლა ყოველთვის ჭკვიანი და მოხერხებულია.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალი „კავკასიის ესპერანტისტის" ფურცლებზე მოლა ნასრედინის ანეკდოტები ესპერანტოს ენაზეა დაბეჭდილი. ჟურნალი 1911 წლის მეშვიდე ნომერში წერს, რომ მოლა ნასრედინის ანეკდოტები ფართოდაა ცნობილი ირანში, თურქეთში, აგრეთვე ქართველთა და სომეხთა შორის.

საიდან გავრცელდა მოლა ნასრედინის ანეკდოტები ქართველ ხალხში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ისინი ქართველებში მახლობელი მეზობლების — აზერბაიჯანელებისაგან გადავიდა. ეს იქიდან ჩანს, რომ ქართველები, ისევე, როგორც აზერბაიჯანელები, წარმოთქვამდნენ მ ო ლ ა ნასრედინი და არა ხ ო ჯ ა ნასრედინი როგორც მას შუა აზიასა და თურქეთში უწოდებდნენ.

აზერბაიჯანული ფოლკლორით დიდად დაინტერესებული იყვნენ თბილისელი სახალხო მთქმელები. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ქართველმა სახალხო მთქმელებმა შეკრიბეს აზერბაიჯანული სიმღერები, გადათარგმნეს ქართულ ენაზე და წიგნებად გამოსცეს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ანტონ განჯისკარელს, რომელიც თავისუფლად ფლობდა აზერბაიჯანულ ენას, მან მეზობელი ხალხის პოპულარული სიმღერები შეკრიბა, გადათარგმნა მშობლიურ ენაზე და წიგნად გამოსცა. ასე გაჩნდა 1903 წელს მისი წიგნი სამეჯლისო გასართობი".

1908 წელს ანტონ განჯისკარელმა აბდულა ზაბუზალ ოღლის ფსევდონიმით გამოსცა წიგნი „თათრული და ქართული ლექსები". აქ მოთავსებულია აზერბაიჯანული ხალხური სიმღერები, დაბეჭდილი ქართული შრიფტით, აგრეთვე აზერბაიჯანული პოპულარული სიმღერების მოტივებზე შექმნილი ავტორის ლექსები. ამ მიმართულებით ბევრი რამ გააკეთა ვანო ესალოვმა. მან შეკრიბა აზერბაიჯანული ბაიათები და სპეციალური წიგნი გამოსცა ორჯერ „ახალი თათრული შიქასტების" სახელწოდებით. პირველი წიგნი 1893 წელს, მეორე კი, იმავე შინაარსით, 1904 წელს გამოვიდა.

აქ აუცილებელია ერთი შენიშვნა: იმ დროის მკითხველი, რომელიც დაწაფებული იყო როგორც მშობლიური ქართული, ისე რუსული და უცხოეთის ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ცხადია, ვერ დაკმაყოფილდებოდა ამ თვითნასწავლი მთქმელებისა და აშუღების ლექსებით. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჟურნალმა „მოამბემ" გამოაქვეყნა ი. მაჟავარიანის რეცენზია ვ. ესალოვის წიგნზე. რეცენზიის ავტორი წერდა:

„როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, ეს წიგნიც უმნიშვნელოა. ვ. ესალოვს შეუგროვებია და თვითონაც შეუთხზავს შიქასტები და

ლექსები თათრულ (აზერბაიჯანულ — გ. ვ.) ენაზე და ქართულ ლექსებთან ერთად დაუბეჭდავს. თათრული მიქასტები, ქართული ლექსთწყობით არის გალექსილი და ქართული ასოებით დაწერილი. ამ წიგნის მეორე გამოცემა ამტკიცებს, რომ ასეთ ლექსებს გასავალი ჰქონია და ამ გარემოებას კი ყურადღება უნდა მიექცეს".

ვ. ესალოვი თავის წიგნში ასეთი მოწოდებით მიმართავს ამიერკავკასიის ხალხებს:

„გვქონდეს ერთობა მრავალჟამ
და სიყვარული".

ზემოხსენებული რეცენზიის ავტორი ამ სტრიქონების შესახებ წერს: „ერთობა და სიყვარული ქართველებსა და თათრებს შორის, რა თანამედროვე და სასურველი თემაა ჩვენის ლიტერატორებისათვის, რომ ყურადღებას მიაქცევდნენ!"

როგორც უკვე ვთქვით, ეს არ იყო მაღალი რანგის ლიტერატურა, ხშირად ძალზე პრიმიტიული იყო, მაგრამ თავის საქმეს, ძალზე სასარგებლო საქმეს, მაინც აკეთებდა — ამიერკავკასიის მშრომელებს აახლოებდა ერთიმეორესთან, აკავშირებდა, უნერგავდა ურთიერთ სიყვარულის გრძნობებს.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ალექსანდრე მირაქიშვილმა შეკრიბა მოლა ნასრედინის ანეკდოტები და ქართულად თარგმნა. მას არა მარტო ანეკდოტები, არამედ აზერბაიჯანული ხალხური შემოქმედების სხვა ჟანრების ნაწარმოებებიც აინტერესებდა: ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია რვეული, სადაც მირაქიშვილის მიერ შეკრებილი 14 გამოცანა, 80 ბაიათი, 82 ანდაზაა. ყველაფერი ეს ქართული ასოებითაა დაწერილი აზერბაიჯანულ ენაზე.

ზეპირი ხალხური შემოქმედების პროპაგანდის საქმეში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდნენ აშუღები — საიათნოვა, ლაზათ ოღლი, შამჩი მელქო, იეთიმ გურჯი, ბეჩარა, ჰაზირა და სხვ. ყველა ისინი ქმნიდნენ და მღეროდნენ სამ ენაზე — აზერბაიჯანულსა, სომხურსა და ქართულ ენებზე, ავრცელებდნენ აზერბაიჯანულ დასთანებს.

ი. გრიშაშვილი თავის შესანიშნავ წიგნში — „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა" წერდა: „ყოველ ხანას თავისი პოეზია აქვს, მაგრამ ეს პოეზია ყოველთვის მწერლობით არ ვრცელდებოდა. ტფილისის აშუღები და საზანდრები ხიმღერითა და ზეპირსიტყვაობით ავრცელებდნენ თავიანთ პოეზიას. მე მინახავს შეითანბაზრის ყავახანებში თურქი (აზერბაიჯანელი) აშუღი, რომელიც საზით ხელში დადიოდა და დამსწრეებს მთელი ორი-სამი საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ უამბობდა აღმოსავლეთის რომელიმე გმირის („აშუღ-ყარიბ", „შაჰ ისმაილ" და სხვ). თავგადასავალს".

იეთიმ გურჯის პოემაში „ანა-მაჯი" აზერბაიჯანულ წინადადებებს ხმარობს, „საქართველოს" ნაცვლად ხშირად ამბობს „გურჯისტანს".

ახლახან ჩვენ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში მისფინ გურჯის ლექსი აღმოვაჩინეთ, დაწერილი ქართული ასოებით აზერბაიჯანულ ენაზე.

ზეპირი ხალხური შემოქმედების პროპაგანდასა და განვითარებაში XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა აშუღი ჰაზირა, რომელიც გულითადად უყვარდათ აკაკი წერეთელსა და იოსებ გრიშაშვილს. ქართული პრესა თავის დროზე დიდად აფასებდა ჰაზირას შემოქმედებას. ბორჩალოელი აბრამ აბრამოვი (აშუღი ჰაზირას ფსევდონიმი მოდის აზერბაიჯანული სიტყვიდან „ჰაზირ", რაც ნიშნავს „მზადმყოფს") სრულად ფლობდა აზერბაიჯანულ ენას, იცნობდა ცნობილი აზერბაიჯანელი აშუღების შემოქმედებას.

ჰაზირამ მთელი რიგი წერილები დაწერა აშუღურ პოეზიაზე, რომელთა უმრავლესობა გამოქვეყნდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" ფურცლებზე. „აშუღების ნაღლი" (აზერბაიჯანულად ზღაპარი) ანუ „მარაქა", „აშუღების ადათი და ჩვეულება", „აშუღობა", — აი ჟურნალში გამოქვეყნებული ჰაზირას წერილების არასრული ხია. თავის წერილებში ჰაზირა აშუღური ხელოვნების ბრწყინვალე დახასიათებას იძლევა, აღნიშნავს მის დიდ როლს ხალხში სამშობლოსადმი სიყვარულის, სხვადასხვა ერებს შორის თანასწორობისა და სიყვარულის გრძნობის აღზრდაში და ამას მეტად მნიშვნელოვნად თვლის. იგი იყო მეგობრობის მომღერალი, ნიჭიერი აშუღი მას ეძღვნება იოსებ არიმათიელის (ი. იმედაშვილი) სტატია „სახალხო მღერალ-მომღერალნი", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება". წერილში ნათქვამია. „თუ როდისმე ძმობის, სიყვარულის და მამულის ტრფიალების გრძნობის გამაღვიძებელთ სახელი და დიდება ჰქონიათ — ეს კი მუდამ ასე იქნება — მათ რიცხვში ჰაზირაც საპატიო ადგილს დაიჭერს, როგორც კაცთა შორის უკეთილშობილეს გრძნობათა გამავრცელებელი ტკბილი შაირ-ხმებით".

ჰაზირას ავტობიოგრაფიიდან ჩანს, რომ მას აზერბაიჯანელი მოწაფეებიც ჰყავდა: „მე მყავდა სამოცდათხუთმეტი შეგირდი — ქართველი, სომეხი, თათარი, ბერძენი..."

ყველაფერი ეს იმაზე ლაპარაკობს, რომ XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში აზერბაიჯანულ ფოლკლორს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ძველი თბილისის ხალხურ პოეზიაში.

6 64/55

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ